

111
1966/3



მედიკალიზაცია

1966 8

პნათობი

პნათობის
იზმონიკა

უძველესი ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-კოლტიკური შურონი

წელიწადი 43-ე

№ 8

აგვისტო, 1966 წ.

საბართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

10231

შ ი ნ ა ა რ ს ი

გორბილი დროები

გრიგოლ აბაშიძე — ერის პოეტი	9
კარლო კალაძე — ჩრდილოეთიდან სამხრეთით. ლექსი	11
ბესარიონ ქორბუნიძე — ზეარაკი. მოთხრობა	13
ალექსანდრე ქუთათელი — გაზაფხულის მოზრძანება. ლექსი	41
ქანულ ჩარკვიანი — ჩემი კალენდარი. ლირიკული პოემა	42
სერგი ბილაია — ეკატერინე შავბუაძე. ქრონიკა. წიგნი მეორე. გაგრძელება	50
ნიკოლოზ ჩახავა — ლექსები	91
ვახტანგ გორგანელი — ლექსები	93
ელიზბარ შიხურაძე — დაქარგული ოცნება. რომანი. წიგნი მეორე	95
უახინ უფლიფი — ლექსები. თარგმანი თეიმურაზ ჯანგულაშვილისა	121
ფედეროვო ვარსია ლორცა — ლექსები. თარგმანი თამაზ ჩხენკელისა	124

800 შოთა რუსთაველი 800

ვიორგი ჯიბლაძე — რუსთაველის პოეტიკა	126
ვახტანგ აბაშიძე — „მართალი სამართლის“ ცნება ვეფხისტყაოსანში	144
ილია შიხურაძე — ვეფხისტყაოსანი და მესხური პოეზია	147

კრიტიკა

გურამ გვარდწითელი — სამი ავტორი, სამი რომანი	151
ფრიდო ბერიძე — ლირიკული გმირის პრობლემა	166
ალ. ლლონტი — ახალი თეორია სონანტა და აბლატის შესახებ ქართველურ ენებში	170

განმარტობარი

ბერტი ავალიანი — სივლე წერეთელი	177
---------------------------------	-----





კონსტანტინე ფაღვა — „არმალანი“	183
ტ. ლომიძე — გაზაფხულის ნიაღვრები	186
ვ. შაქარაძე — XVIII საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთ-საქართველოს ისტორიისათვის	198
პროფ. ს. ა. იაკობზონი — საქართველოს მედიცინის ისტორია	190



მთავარი რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდა-
შვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მაღრაძე, ბ. უღენტი, ა. სულაყაური, ა. ქუთათე-
ლი, ე. ყიფიანი, ს. შანშიაშვილი, ვ. წულუკიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ჭიბლაძე.

ტექნიკური რ. ჩაყვებაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-13-62; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/VI-66 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ინაწყოების ზომა
7 1/4 × 12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
უკ 11398. ტირაჟი 6800. შეკვეთა № 2593

საქ. კა. ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი,
თბილისი, ლენინის ქ. № 14

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина № 14.

გიორგი ლეონიძე

გარდაიცვალა გიორგი ლეონიძე — მწვავე გულისტკივილს და განუზომელ მწუხარებას მოგვრის ეს სიტყვები მილიონობით ადამიანებს საქართველოში, მთელს ჩვენს თვალუწვდენელ საბჭოთა საშობლოში და მისი საზღვრების მიღმა, — ყველგან, სადაც სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობიან პატრიოტიზმისა და ხალხთა ძმობის ნათელი იდელებით, უმაღლესი ადამიანური გრძნობებითა და მისწრაფებებით შთაგონებულ ქვეშაირიტ პოეზიას.

ქართულმა მწერლობამ, მთელმა ჩვენმა ეროვნულმა კულტურამ, მთელმა მრავალეროვნულმა საბჭოთა ლიტერატურამ უმძიმესი და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. ჩვენგან წავიდა საბჭოთა ეპოქის დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ლექსის დიდებული ოსტატი, სიტყვის შთაგონებული ხელოვანი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში უმღეროდა და ადიდებდა ჩვენი საშობლოს აღორძინებისა და განახლების დიად ეპოქას. მგზნებარე სიყვარულით აცოცხლებდა და წარმოსახავდა ჩვენი ქვეყნის სწორუპოვარ გმირულ წარსულს. დაუცხრომლად ხატავდა მშობლიური ქვეყნის დიდებული ბუნების მომხიბვლელ სურათებს. თავისი უჭკნობი ლირიკული შედევრებით, პოეტური ეპოსის შესანიშნავი ნიმუშებით, მრავალსაუკუნოვანი ქართული კლასიკური მწერლობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი მიძღვნილი მეცნიერული გამოკვლევებით, — ყველაფრით, რასაც იგი ქმნიდა და რითაც იგი ამდიდრებდა ჩვენი ქვეყნის სულიერ ღირებულებათა საგანძურს, პოეტი ნერგავდა და აღვივებდა ხალხის გულში საშობლოსადმი თავდადებული სიყვარულის უწმინდეს გრძნობას, მაღალ ჰუმანისტურ მისწრაფებებს, თანამედროვეობის ნათელი იდეალების უძლეველობის რწმენას, მათდამი განუყრელ ერთგულებას. მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით, აზროვნებით, მოღვაწეობით გიორგი ლეონიძემ მოიხვეჭა სრული უფლება ეთქვა:

დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი,
ეს ყვავილები მე დაფაგროვე;
მე ვარ საშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე.
გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი,
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქება,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი!

სამშობლოს ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის, მისი ძლიერებისა და უვდავებისათვის ფეთქავდა პოეტის დიდი მზურგაღე გული და ამ მგზნებარე გულისძგერის გამოხატულებას შეადგენდა მისი პოეტური შემოქმედება, აღბეჭდილი განუზომელი მხატვრული ნიჭიერებით, მომხიბვლელი პოეტური ოსტატობით, მაღალი მოქალაქობრივი მიზანდასახულობით.

თავისი მართლაც და გოლიათური შემოქმედებითი ძალების სრული სიმწიფისა და ვაჟკაცობის ასაკში წავიდა ჩვენგან გიორგი ლეონიძე და დაუტოვა შთამომავლობას

ამოუწურავად მდიდარი, ჭეშმარიტად უკედავი პოეტური შემკვიდრობა, რომელიც ღირსეულად აგრძელებს დიდი ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს და ღირსეულ ადგილს უმკვიდრებს ქართულ პოეზიას მრავალეროვნულ სამჭოთა პოეტურ კულტურაში და მამასადაც, თანამედროვე ცივილიზებული კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში.

გიორგი ნიკოლოზის ძე ლეონიძე დაიბადა 1899 წელს 27 დეკემბერს საქართველოს ერთერთ ულამაზეს და უმდიდრეს კუთხეში — კახეთში. ახლანდელი საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძელში. მისი მამა სახალხო მასწავლებელი იყო და აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში. მას ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ქართული კულტურის მოღვაწეებთან, განსაკუთრებით კი ვაჟა-ფშაველასთან. ასეთ გარემოებაში იღვიძებდა და ყალიბდებოდა მომავალი პოეტის ჭაბუკური შეგნება და ამიტომაც მას ზაგვიანად ადრეულ წლებშივე აღეძრა სიყვარული და მისწრაფება მშობლიური მწერლობისადმი, საქართველოს დიდებული ისტორიისადმი. ჯერ კიდევ 11-12 წლის ყმაწვილი იგი ლექსებსა და ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის წერილებს აქვეყნებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. სწორედ ამ წლებში დიდი შემოქმედებითი მისწრაფებებით აღფრთოვანებული ყმაწვილის უცქველი ნიჭიერება შეინიშნა და დააფასა ვაჟა-ფშაველამ. ლექსი მიუძღვნა მას, რომლითაც ნათელი მომავალი უსურვა და უწინასწარმეტყველა, დალოცა მისი შემდგომი სამწერლო გზა. ასეთი აღიარებით ფრთაასხმული ჭაბუკი თბილისის სასულიერო სემინარიაში და შემდეგ თბილისის სასულიერო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის წლებში აგრძელებდა აქტიურ შემოქმედებით მუშაობას, ლექსებსა და წერილებს აქვეყნებდა იმდროინდელ ლიტერატურულ პრესაში და თვითონაც გამოსცა ლიტერატურულ-მხატვრული აღმანახი „საფირონი“, რომლის თანამშრომლებდაც მოიწვია რევოლუციამდელი ქართული მწერლობის მრავალი გამოჩენილი წარმომადგენელი. თავის ადრინდელ პოეტურ შემოქმედებაში გ. ლეონიძე ქართული კლასიკური მწერლობის პატრიოტული და პუმანისტური ტრადიციების ერთგულ მიმდევრად გამოდიოდა. თავის ჭაბუკურ ლექსებში იგი ცხოვრების გარდაქმნასა და განახლებაზე, ერთგულ და სოციალურ ჩაგვრისაგან ხალხის განთავისუფლებაზე კეთილშობილურ ოცნებას გამოხატავდა.

მაგრამ ახალგაზრდა პოეტის მძივებელი ბუნება ვერ ვგუებოდა იმ ეპიგონურ ტენდენციებს, რომლებიც გაბატონებული იყო ჩვენი საუკუნის ათიანი წლების ქართულ პოეზიაში. ჭაბუკი პოეტი მხატვრული შემოქმედების ახლებურ გზებს მიესწრაფოდა. სწორედ ამ მისწრაფებებმა დააახლოვა გ. ლეონიძე სიმბოლისტურ-პოეტურ სკოლასთან — „ცისფერყანწლებთან“, რომელიც სწორედ რევოლუციის წინა წლებში გამოვიდა ქართული მწერლობის სარბიულზე დიდი ნოვატორული პრეტენზიებით. წლების განმავლობაში გ. ლეონიძე თანამშრომლობდა „ცისფერყანწელთა“ ბუნდებით ორგანოებში და მონაწილეობდა ამ სამწერლო გაერთიანების მთელ საქმიანობაში. მაგრამ იმთავითვე ნათელი იყო, რომ ახალგაზრდა პოეტის სიკოცხლისმოყვარეობრივი მსოფლმეგობრებისათვის, მისი სისხლხორცეული კავშირისათვის, მშობლიური მწერლობის კლასიკურ ტრადიციებთან და სალხური პოეზიის საუნჯესთან არ შეიძლებოდა ორგანული და ხანგრძლივი ყოფილიყო დეკადენტობის მაცდუნებელი გატაცება. უკვე იმ წლებში გ. ლეონიძის პოეზიაში მძლავრად თავს იჩენდა სინამდვილის ფხიზლად და ჯანსაღად აღქმის მისწრაფება, ნათელი და მზიური საღებავები, თანამედროვეობის სუნთქვა, სიკოცხლისმოყვარეობის გამახვილებული გრძნობა, ერთგული პოეტური ტრადიციებისადმი შეგნებული ერთგულება. პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ამ ძვირფასმა თვისებებმა სრული გამოვლინება და შეუზღუდავი განვითარება ჰპოვეს უკვე სამჭოთა წყობილების წლებში, როცა გ. ლეონიძემ ერთბაშად მოიპოვა თვალსაჩინო ად-

გილი მშობლიური ქვეყნის განახლებული ცხოვრებისა და ახალი ეროვნული კულტურის მშენებელთა მოწინავე რიგებში.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველსავე დღეებშივე დაიწყო მისი მუშაობის იწყება განათლების სახალხო კომისარიატის პოლიტგანათლების სამმართველოში, შემდეგ მონაწილეობს პირველი ქართული წითელარმიული გაზეთისა და ჟურნალების „გრდემლისა“ და „დროის“ დაარსებაში, შემდეგ იგი აარსებს და რედაქტორობს ლიტერატურულ გაზეთს „ბატრიონს“. ასე იწყება მისი დიდი და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქართული საბჭოთა კულტურის სარბიელზე. წლების მანძილზე მისი ეს მოღვაწეობა სულ უფრო ფართო მასშტაბებსა და გასაქანს იძენდა. 30-იანი წლების დამლევს მისი ინიციატივით არსდება საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, რომელსაც უმუშაოდ ხელმძღვანელობდა თითქმის 20 წლის განმავლობაში. შემდეგ მისივე ინიციატივით შეიქმნა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, დაარსდა ალმანახი „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, რომელსაც იგი მრავალი წლის განმავლობაში რედაქტორობდა.

ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიის მთელ მანძილზე გ. ლეონიძე იყო ჩვენი სამწერლო ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მუდმივი აქტიური მონაწილე. წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ყველა რესპუბლიკური და საკავშირო მწერალთა ყრილობის, პლენუმებისა და თათბირების მონაწილე, სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი. გ. ლეონიძე იყო მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ერთერთი გამოჩენილი მოღვაწე, როგორც მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრი, იგი მონაწილეობდა საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებზე, დიდი ვატაცებით ემსახურებოდა მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს. იგი, როგორც საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის გამოჩენილი და საქვეყნოდ სახელმოსხვეჭილი წარმომადგენელი, ხშირად მოგზაურობდა უცხოეთის ქვეყნებში და დაუღალავად იღვწოდა საბჭოთა კულტურისა და ლიტერატურის საერთაშორისო კონტაქტების განმტკიცებისათვის. გ. ლეონიძე რამდენჯერმე იყო არჩეული საქართველოს დედაქალაქის — თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, ქართველი ხალხი ზედმედ ირჩევდა მას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ოთხი უკანასკნელი მოწვევის დეპუტატად, თავის ამ მუშაობაში გ. ლეონიძე იჩენდა უდიდეს გულისხმიერებას მშრომელთა მოთხოვნებისადმი და გამოდიოდა მრავალი სახალხო სასარგებლო წამოწყებისა და ღონისძიების ინიციატორად.

თავის ამ მრავალმხრივ საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, თავის დიდ პოეტურ შემოქმედებას გ. ლეონიძე ორგანულად ახამებდა ფრიად ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასთან ქართული კლასიკური მწერლობის კვლევის სფეროში. მის კალამს ეკუთვნის დიდი ერუდიციითა და ნამდვილი პატრიოტული მგზნებარებით დაწერილი შესანიშნავი გამოკვლევები, რომლებშიც მონოგრაფიულად არის შესწავლილი და გაშუქებული დიდი ქართველი კლასიკოსების სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, საიათნოვას, ივანე მაჩაბლის, გენიალური მხატვრის ფიროსმანის და სხვათა ცხოვრება და შემოქმედება. მრავალი წერილი და გამოკვლევა მიუძღვნა გ. ლეონიძემ აგრეთვე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, მომე ხალხების კულტურასთან ქართული კულტურის ურთიერთობის პრობლემებს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, იგი მრავალი წლის განმავლობაში, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე სათავეში ედგა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს და ღირსეულად მეთაურობდა ლიტერატურათმცოდნეობრივი აზრის განვითარებას საქართველოში.

ესოდენ განუწონვლად მრავალფეროვანი და ნაყოფიერია გიორგი ლეონიძის მოღ-

ვაწეობა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურული მშენებლობის სარბიელზე. მაგრამ ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი, რაც მან დაუტოვა სამშობლოსა და შთამომავლობას, ეს არის მისი დიდი პოეტური შემოქმედება, რომელიც ჩვენი საუკუნის მხატვრული კულტურის ნამდვილ მშვენიერებასა და სიამაყეს შეადგენს. გ. ლეონიძე ჩვენი ეპოქის პოეტური კულტურის ერთერთი უბრწყინვალესი ოსტატი, მრავალერთვნილი საბჭოთა პოეზიის ერთერთი აღიარებული ფუძემდებელი, ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციების ერთერთი შემქმნელი და დამამკვიდრებელია. გ. ლეონიძის შემოქმედება მიეკუთვნება თანამედროვე ქართული პოეზიის ისეთ დიდ მონაპოვართა რიცხვს, რომლებიც მალღებებიან ჩვენი დიდებული კლასიკური მწერლობის უმაღლეს მწვერვალთა დონემდე და ნამდვილ საკავშირო და საკაცობრიო ელვრას იძენენ. გ. ლეონიძის სახით ღირსეული შემოქმედრე და გამგრძელებელი პოვა ნიკოლოზ ბარათაშვილის რაინდულმა ქედუხრელობამ და სამყაროს ფილოსოფიურმა აღქმამ ილია ჭავჭავაძის ყოვლისმომცველმა პატრიოტულმა მგზნებარებამ, აკაკი წერეთლის პოეზიის მაღალმა ხალხურობამ, ლექსის მომხილელმა სინათლემ, სიწრფელემ, კეთილზმოვანებამ, ვაჟა-ფშაველას არწივისებურმა სულისკვეთებამ, როგორც ქართული პოეზიის ამ უკვდავმა კორიფეებმა, გ. ლეონიძემაც განუყოფლად დაუკავშირა თავისი შემოქმედება ხალხის ცხოვრებას, მის უმაღლეს მისწრაფებებს, ეპოქის მოთხოვნებს, თანამედროვეობის დიად მიზნებსა და ამოცანებს, თანამედროვეობის გამახვილებული გრძნობა გ. ლეონიძის პოეტური ბუნების საუკეთესო და უპირველესი ღირსებაა...

მე მათრეოლებს ჩემი დიდი დროება...
 დავინახე, ცეცხლი ცეცხლზე მოება.
 დავინახე, მებსა როგორ გააპო
 საქართველოს საყდრული მყუდროება!
 ლეონიძე! ამ დღეებს უდარაჯე,
 შენ თუ გაძლებ, შენიც სიტყვის იმედით...
 საიათნოვას გაყინულ სუდარაში
 ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები.

ჩვენი დიადი დროების სადარაჯოზე თავგანწირულად დგომა, ეპოქის ნათელი იდეალებისადმი რაინდული ერთგულება შეადგენდა გ. ლეონიძის ესთეტიკური მრწამსის საფუძველთა საფუძველს. იგი ეძიებდა და პოულობდა კიდევ ჩვენი მღვლვარე საუკუნის მაჯისცემასთან თანზმოვან პანგებსა და საღებავებს. აქედან წარმოდგებოდა მისი ლექსის მათორული მუსიკა, ვაჟაკური აღმაგზნებელი ელვრა. პოეტური კულტურის დიდმა ნოვატორმა მან მრავალი საკუთარი მიგნებითა და აღმოჩენით გაამდიდრა ქართული პოეზიის გამომსახველობით საშუალებათა არსენალი, მაგრამ სიახლის უადრესად გაბედული მადიებელი არასოდეს დაშორებია კლასიკური ქართული პოეზიის მაგისტრალურ გეზს. ჩვენი ეპოქის ქართველ პოეტთა შორის არავის ისე ღრმად და გამანაყოფიერებლად არ შეუისხლხორცებია ეროვნული პოეტური ფოლკლორის მთელი სიმდიდრე, როგორც გიორგი ლეონიძეს. აქედან გამომდინარეობს მისი ჯადოქრული ძალა ქართული ენის უღრმეს წიაღებში წვდომისა, ქართული სიტყვის ყველა გამომსახველობითი აზრობრივი და მუსიკალური ნიუანსის დაუფლებისა. აქედანვე მომდინარეობს გ. ლეონიძის პოეზიის მკვეთრად გამოვლენილი, განუმეორებელი ეროვნული ელფერი, რაც კი არ ანელვებს, არამედ პირიქით ზრდის და აძლიერებს მისი შემოქმედების უნივერსალურ ზოგად კაცობრიულ მნიშვნელობას.

გ. ლეონიძის შემოქმედება საუკეთესო ნიმუშია პოეზიის მაღალი ხალხურობისა. ხალხის უმაღლეს მიზნებსა და მისწრაფებებს, მის ნათელ საბრძოლო იდეალებს, უკეთილზმობილეს აზრებსა და გრძნობებს პოეტი განასახიერებდა ხალხისათვის საყვარელი,



გულის სიღრმეებზე ჩამწვდომი ვნით, რომელიც ამოზრდილია ხალხური მეტყველების. პოეტური ზეპირსიტყვაობის წიაღიდან და ამადღებულა ისეთი პოეტური სტილის რანგში, რომლისთვისაც უცნობი და მიუწვდომელი არ არის თანამედროვე მსოფლიო პოეტური კულტურის არცერთი მიღწევა.

გ. ლეონიძის პოეზიის მაღალმა ხალხურობამ ახალი წრთობა განიცადა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში. ამ წლების თავისი საუკეთესო ქმნილებებით პოეტი სამშობლოსათვის თავგანწირული საგმირო საქმეებისათვის ადაგზნებდა ფრონტისა და ზურგის მებრძოლ აზრსა და გრძნობებს. გ. ლეონიძის ლექსი „არ დაიდარდო, დედაო“ ეს დიდებული პატრიოტული ჰიმნი დაიწვირა და იმდღეა ომის მრისხანე წლებში მთელმა საქართველომ.

ხალხის გულთან ასეთი სიახლოვისათვის მიაკუთვნა სამშობლომ გიორგი ლეონიძეს საქართველოს სახალხო პოეტის მაღალი წოდება, რომელსაც იგი დიდი ღირსებით ატარებდა და ამართლებდა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

გ. ლეონიძე იყო პოეტური პეიზაჟის იშვიათი ოსტატი, მომზიბლავი ფერადონებით არის წარმოსახული საქართველოს დედაქალაქის — თბილისის საზე, ცივგომბორის მთებისა და ალაზნის ველის დიდებული ხედვები, ქართლის ხავერდოვანი ბაღვენახები, აჭარისა და აფხაზეთის ჩაისა და ციტრუსოვანთა მარად მწვანე პლანტაციები — მთელი საქართველო, მისი იშვიათად მრავალფეროვანი ლანდშაფტები დახატულია გიორგი ლეონიძის პოეზიაში პოეტური ფერწერის იშვიათი ოსტატობით, და ყოველი ეს სურათი გაკოცხლებულია პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი გრძნობით, მშობლიური ქვეყნის განახლებისა და აყვავების სასიხარულო განცდით.

თანამედროვეობის ყოვლისმომცველ გრძნობასთან გ. ლეონიძის პოეზიაში ორგანულად არის შესამებული ფართო და ღრმა ისტორიზმი, სამშობლოს გმირული წარსულის ცხოველმყოფელი განცდა. ისტორიულ თემებზე დაწერილი მისი შესანიშნავი პოეტური ქმნილებანი იმის საუკეთესო ნიმუშებია, თუ როგორ უნდა აღიქვამდეს და გაიზიარებდეს თანამედროვე პოეტი ჩვენი ხალხის მიერ თავდადებული ბრძოლებით სახელოვნად განვლილ დიად გზას.

თავის ღირიკულ და ეპიკურ ქმნილებებში გ. ლეონიძემ დაბატა ჩვენი სახელოვანი წინაპრების პოეტურ სახეთა მდიდარი გალერეა და დიდი მოწინააღმდეგეობით და სიყვარულით გააცოცხლა ეროვნული კულტურის დეაწლმოსილ ოსტატთა სახეები.

დიდი სიწრფელით და უშუალობით გამოთქვა პოეტმა თანამედროვე საქართველოს უსასწერო მადლიერება შემოქმედებითი აზრის ისეთი ტიტანებისადმი, როგორც იყო დავით გურამიშვილი, საბა ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა, ხოლო უპირველეს და უწინარეს ყოვლისა — შოთა რუსთაველი.

რა დასანანი და გულსატკეპნი, რომ გ. ლეონიძე თავის ცოცხალ ხმას ვერ შეუერთებს ქართველი ხალხისა და მთელი საბჭოთა კულტურის იმ დიდებულ დღესასწაულს, როგორც იქნება უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დაბადების 800 წლისთავის იუბილე.

მაგრამ ამ იუბილის დღეებშიც და ყოველთვისაც ქართველი ხალხი სიყვარულით გაიმეორებს გ. ლეონიძის ფრთაასხმულ სტრიქონებს, მიძღვნილს შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილებისადმი:

ხელში ავიღებ... გაკოცებ,
კიდევ ჩაგკოცნი... ჩაგკეპრი;
წიგნი კი არა, ერგოლა ხარ,
ჩამოჭაფული ჩანჩქერის,
წიგნი კი არა — ბაღი ხარ



ოქროს ცვარჩამოწვეთილი;
გაშლილი ბაირალი ხარ,
ლექი ფრთაგაუცვეთელი!
წიგნი კი არა — დილა ხარ,
ქართველი ხალხის ნათელი,
გულის ფესვებში გინახავ,
გულში ხარ გამონათალი.

მრავალ ლირიკულ შედევრში განასახიერა გ. ლეონიძემ ადამიანის უაღრესად პირადულ-ინტიმურ გრძნობათა სამყარო და გააშუქა იგი თანამედროვეობის სპეტაკი მორალური იდეალების თვალთახედვით. ეს ლექსები პოეტის შემოქმედებითი ინტერესების იშვიათ სიფართოვეს, მისი მხატვრული ნიჭიერების დიდ მრავალფეროვნებას მოწმობენ.

გ. ლეონიძის პოემები: „სამგორი“, „ფორთოხალა“, „ბერშოლა“ და სხვა, თანამედროვე პოეტური ეპოსის საუკეთესო ნიმუშებს მიეკუთვნებიან მთელ მრავალფეროვნულ საბჭოთა მწერლობაში.

გ. ლეონიძის საუკეთესო პოეტური ქმნილებანი ითარგმნა რუსულ ენაზე, ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა მოძმე ხალხის და მსოფლიოს მრავალი სხვა ხალხის ენაზე. რუსული პოეზიის უდიდესი ოსტატები, ყოველი საბჭოთა ეროვნული პოეტური კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები დიდი სიყვარულით და შემოქმედებითი გუნებათ თარგმნიდნენ დიდი ქართველი საბჭოთა პოეტის ქმნილებებს, რომლებიც ღრმად არის გამსჭვალული ხალხთა ძმობისა და მეგობრობის კეთილშობილური გრძნობით. თავის მხრივაც გ. ლეონიძე განუზომელი სიყვარულითა და პატივისცემით უპასუხებდა თავის სახელოვან, მრავალრიცხოვან მეგობრებსა და თანამოკალმეებს დიდი საბჭოეთის ყოველ კუთხეში.

მადლიერმა სამშობლომ არა ერთხელ მისცა მაღალი შეფასება გ. ლეონიძის შემოქმედებას და ღვაწლს. დიდი სახალხო ზეიმით იქნა აღნიშნული მისი დაბადების 50 და 60 წლისთავი, გ. ლეონიძეს სამგზის მიეკუთვნა სახელმწიფო პრემია; იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედალებით. საყვარელ პოეტს ახლა მადლიერი საქართველო სამუდამო განსასვენებელს მიუჩენს მთაწმინდის საფანეში, სადაც მარადიული ძალით სძინავთ ქართული კულტურის დიდ გოლიათებს — ჩვენი კლასიკური მწერლობის კორიფეებს და ქართული საბჭოთა ლიტერატურის უდიდეს ოსტატებს.

გ. ლეონიძის იშვიათად მომზიბეღელი ადამიანური სახე, მისი მოყვარული გული, მისი მარადწაუქრობელი ნათელი ღიმილი მუდამ იცოცხლებს პოეტის თანამოკალმეთა და თანამოღვაწეთა, მის ამხანავთა და მეგობართა ხსოვნაში, მთელი ჩვენი ხალხის მესხიერებაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტის ინსტიტუტი.

პირობა პაპიძე

ერის პოეტი

ქართველ მწერალთა ოჯახს დიდი პოეტი გამოაყვალდა. გიორგი ლეონიძის სიკვდილით დაიხურა ის შესანიშნავი წიგნი, რომელიც ბრწყინვალე პოეტების მთელმა თაობამ საფუძვლად დაუდო ახალ ქართულ პოეზიას.

თავის თანამებრძოლ პოეტებთან ერთად გიორგი ლეონიძე თითქმის ხუთი ათეული წლის განმავლობაში ქმნიდა იმას, რითაც დღევანდელ ქართულ პოეზიას თავი მოაქვს, რითაც ჩვენ ვამაყობთ და რასაც მომავალი პატივისცემით შეინახავს.

დაგვიანებული უცხო გავლენების ბატონობის პერიოდში გ. ლეონიძე თითქმის ერთადერთი პოეტი იყო, რომელმაც პრინციპულად ირჩია ეროვნულ ნიადაგზე დგომა და ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის დიდ გზას გაჰყვა.

მოდერნიზმის ყვავილები გ. ლეონიძემ გურამიშვილისა და ბესიკის ტოტებზე, ვაჟასა და ხალხურობის ძირებზე დაამყნო და ახალი ქართული პოეზიის ხის ნაყოფი თავისებური გემოთი და სურნელით გაავსო.

გ. ლეონიძე უაღრესად ეროვნული პოეტი იყო. მის ლექსებში საქართველოს მთებისა და ხეობების გუგუნის გაისმოდა და მისი სტრიქონების დენა გაუხედნელი ცხენის დაუოკებელ ჰენებას გავდა. გ. ლეონიძე ქართლის ცხოვრების ტრაგედიით გულდაკოდილი პოეტი — მემატინე იყო და მისი წიგნებიდან ჩვენამდე შორეულ ექოდ აღწევს მონაგოლთა უზანგების ელარუნი, ყივჩაღთა

მერნების ნაღების წყრიალი და ხაზართა შუბების ლაწა-ლაწი.

ვაჟა-ფშაველას შემდეგ მასავეთ ახლო არავინ ყოფილა ხალხური პოეზიის სათავეებთან და არავის ისე მძლავრად არ გაუდგამს ფესვი მშობლიური მიწის სიღრმეში.

ჩვენს დროში, როცა დასავლეთის პოეზიას გამოფიტვისა და უნაყოფობის ბინდი მორევია, გიორგი ლეონიძე შემოქმედების ხალხური ძირების ერთგული რჩებოდა და თავისი ლექსებით გვიმტკიცებდა რწმენას, რომ ქართული პოეზიის ძეძუ არ დამშრალა და არც არასოდეს დაშრება.

გ. ლეონიძის პოეზია აღიდებულ მთის მდინარესა გავს, იგი გრგვინითა და ზატქით მონანგრევს კალაპოტს და მის ტალღებს უდიდესი ძალა აქვს იმისათვის, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს იკამეაშოს ჩაუქრობელი შუქით.

გ. ლეონიძის პოეზიის ძარღვი, შორს, ძალიან შორსა და ღრმა ფენებში მიდის. მის ლექსს თვითნაბადი ოქროს ელვარება აქვს და თვალის მომკრელი ბრწყინვალეობით ბრწყინავს.

გ. ლეონიძის ლექსი ლღია და გულიდან ამომდინარი. მას დიდი დიაპაზონი აქვს: ვაჟაკურად მოუზომავ ძლიერ მოქნევას მის პოეზიაში უნაზესი ქროლვა ენაცვლება, და ეს თვისება არა მარტო მისი ლექსის, არამედ მისი პიროვნების დამახასიათებელიც იყო.

გ. ლეონიძე თავის ლექსში მსუყვე ფერებით გვიხატავდა ბრძოლის ცეცხლში მბრუნავ, თავჩაჩქნიან გმირებს, ხალხური თქმულებების ცხრათავიან დევებს.

სისწლითა და ხორციით, ღმერთითა და
ომით გაუმადლარ ბუმბერაზებს.

გ. ლეონიძე თავით გაგდა მის მიერ
დახატულ ბუმბერაზებს თავისი გარეგ-
ნული ახოვანებით, სიცოცხლისა და სი-
ყვარულის დაუშრეტელი წყურვილით.

იგი ჩვენს შორის შუა საუკუნეებიდან
გადმოსული წინაპარივით დადიოდა.
ლომევიტ ბუმბუნებდა და მართლაც გო-
ლიათური ენერგიით გვაოცებდა. იგი
ჩვენი ხალხის ყოფის ბევრ მივიწყებულ
წესს აცოცხლებდა, და მის პიროვნება-
ში უაღრესად თანამედროვე ადამიან-
თან ერთად ჩვენი დიდი წარსულის
მკვიდრიც ცხოვრობდა.

გ. ლეონიძემ თავისი ცხოვრების გზა-
ზე ბევრს მიუძღვნა და განაცდევინა გუ-
ლის სითბო და ვაჟკაცური ალერსი, მაგ-
რამ არავისა და არაფრის მიმართ არ
ყოფილა იგი ისე მგრძობიარე და ერთ-
გული, როგორც ქართული სიტყვისადმი.
მას ქართული სიტყვის ლაზათისა და
მადლის გრძნობა დედის მუცლიდან
ჰქონდა თანდაყოლილი და მისებრ ეშ-
ხიანად ეს სიტყვა ჩვენს დროში არავის
უქლერებია. იგი ძარღვიანი სიტყვის
ტრფიალი იყო, ქართული ენის უსას-
რულო მრავალფეროვნებიდან ყველაზე
გამძლე, ყველაზე ველურ ყვავილებს
არჩევდა, მათ პირველყოფილ შნოსა და
მიმზიდველობას უბრუნებდა და ზოგ-
ჯერ მიწიან-ფესვიანად შემოჰქონდა
პოეზიის სავარდეში.

პოეტის ეს დიდი რუღუნება და სიყ-
ვარული უკანასკნელად მისივე შემოქმედო-
ბების შესანიშნავ კრებულს "შქაშქაშობის
ხეში" გამოჩნდა მთელი ბრწყინვალე-
ბით, და ეს წიგნი არა მარტო გ. ლეონი-
ძის პოეზიის დამამშვენებლად, არამედ
ყველა ქართველი მწერლის და ქართუ-
ლი სიტყვის მოყვარულის სამაგიდო წი-
გნად დარჩება სამუდამოდ.

გ. ლეონიძის პოეზია ჩვენი განუყრე-
ლი თანამგზავრი იყო, ბოლო თვითონ
გოგლა მუდამ ჩვენს ცხოვრების გულ-
ში ტრიალებდა და ჩვენს ცხოვრებას
მარტო თავისი ლექსით კი არა, თავისი
არსებობითაც აღამაზებდა.

ბოლოს იგი საარტყელზე მიკრული,
შეუბოვრად ებრძოდა სიკვდილს და იმ
ხევსურ ვაჟკაცს გაგდა, სულის დაღე-
ვამდე რომ არ ტყდება და სიკვდილის
მოსვლას ხმალამოღებული ზედება.

იგი სულითა და სხეულით ჯერ კიდევ
ძლიერი იყო და მისი საწყაული სამ-
შობლოს სიყვარულით, სიცოცხლის
წყურვილით კიდევ დიდხანს არ აღიესე-
ბოდა.

გ. ლეონიძე ერთი მათგანი იყო, ვი-
საც ჩვენი გულის სიმები არაერთხელ
შეურბევია.

ამიტომ არის დღეს ასე დიდი ჩვენი
ხალხის მწუხარება!

ამიტომ არის ასე ძნელი მასთან გან-
შორება!



კარო კაიძე

ჩრდილოეთიდან სამხრეთით

ფეხზე რომ დგანან ცისპირად —
ჩემი სამშობლო მთებია, —
ჩრდილოეთიდან სამხრეთით
წამოსულს გზაში მხედებია...

და მე ბინდ-ბუნდშიც რომ ვიყო,
აშკარად ვხედავ ყოველთვის
ელშავლის თვალთა სისწრაფე
თვალთა სისწრაფეს რომ ერთვის!

ხელმარჯვნივ ზღვაა, ხელმარცხნივ
ქედი გზას გაუხანჯლია —
კლდეებს გვირაბი აქა-იქ
ნატყვიაროვით აჩნია!

როგორ არ მივეგებები
უკეთესთ შორის უკეთესს, —
მტერს გააფთრებულს გზა-ვიწრო
რამდენჯერ გადაუკეტეს!

როგორ არ უნდა ვიკითხო:
გზა საით მიდის, სად აღარ...
სადა ხარ, ჩემო სიცოცხლე,
სადა ხარ, ჰეი, სადა ხარ!

ხელმარჯვნივ ისევ ლეღვაა
ზღვის, გასაოცრად ფიცხელის,
ხელმარცხნივ ცაა და ისევ
ცალთვალა ღამე მიცქერის.

მკერდ-გაშლით ვსუნთქავ, ხალისი
მკერდში მეც აღარ შეტევა,
საცაა ცის კარს შევადებ,
ჩემი მზის მოიმედე ვარ!

შენ კი ელშავლის ნაღარავ,
ცის რომელ ვარსკვლავს გასძახი,



ბნელს შენი შუქიც აჩნია,
ისე, ვით ფოთოლთ ცახცახი!..

როცა მთის ნაკადს ვადასჭრი,
რომელი იტყვის, რომელი,
ცოცხალ ძარღვივით მდინარეც
არ ფეთქავს დაუდგრომელი?

რომელი სიზმრის ახსნაა,
ნისლი რომ მოგვდევს ქარდაქარ...
სადა ხარ, ჩემო სიცოცხლე,
სადა ხარ, ჰეი, სადა ხარ!

ქარმა ლანდები დააფრთხო,
ბნელს ცისკიდემდე მისდია, —
იქაა ჩემი ცისკარი,
დღეები მეც იქ მიცდიან!..



ბესარიონ ჯორჯანიძე

ზ ვ ა რ ა კ ი

მოთხრობა

ოფიციალტმა ჩვეული მოძრაობით ისევ გადაწმინდა ისედაც სუფთა მაგიდა, არც კი მიგრძენია მისი სიახლოვე. მერე ღიმილით გადმოიხარა ჩემსკენ:

— დიდი ხანია აღარ ყოფილხარ!...

თითქოს შემაშინა კიდეც მისმა ჩურჩულმა, და გამეღიმა:

— რა უხმოდ დამადექი თავზე!... არც ისე დიდი ხანია!..

— რა თქმა უნდა, არც ისე დიდი ხანია!... ისე ვთქვი.

საოცრად დამყოლი იყო. ვერავის ეუბნებოდა უარს. ძველი დრო რომ ყოფილიყო, ყოველგვარი პარტიის წევრი იქნებოდა, ალბათ.

— რა მოგართვათ? ყავა და კონიაკი ისევ, არა?

— საუზმეც!

— ახლავე, გეთყავა.

ყველა პატიოსან კაცად თვლიდა და ყველა ჩაგრაჟდა. ის კი ყველას ეთანხმებოდა.

— დაქექი, ერთად დავლიოთ! მაინც არავინ არის! — ვუთხარი, როცა შეკვეთილი მომიტანა, — ხომ არ გწყინს, შენობით რომ მოგმართავ?

— რას ბრძანებთ!

— შენც შენობით მელაპარაკე!

— კარგი, — გაიცინა, — დავჭდები, მაგრამ ვერ დავლევ, აკრძალული გვაქვს.

— ერთი-ორი ჭიქა არაფერს გიხამს! ისევ გაიცინა.

— შენზე ამბობენ, უცხოეთიდან არისო ჩამოსული, მართალია?

— მართალი გახლავთ!

— შენობით მელაპარაკე!

— მართალია! — გაიღიმა.

— ან რად წახვედი, ან რაღას ბრუნდებოდი?

— სისულელე გავაკეთე... ტყვედ ჩავვარდი და წამიყვანეს...

— ამ ომში?

— დიახ... კი. ამ ომში. — გაიცინა.

— სად იბრძოდი?

— ჩრდილოეთში... ბლოკადაში მოყვები. მერე კი ტყვედ ჩამიგდეს. 1943 წლის მიწურულს...

ვიღაც კაცი შემოვიდა. ჩემი თანამეინახე წამოხტა და შეეგება. მოსულს არც კი შეუხედავს, ისე შეუყვება რაღაც. არც დამჭდარა. პაპიროსი გააბოლა, რომელიღაც შორეულ წერტილს უცქეროდა. ოფიციალტმა ჩაციკებული ლუდი მოუტანა...

მოსულმა ორი ჭიქა ზედიზედ დაცალა, ფული მაგიდაზე დაყარა და უკან მოუხედავად გავიდა. ამასობაში, ერთი ჭიქა კონიაკი გადავკარი და ძლივს დავიოკე სურვილი, გავდევნებოდი და სიფათში ჩამეფარებინა.

ოფიციალტმა ფული აკრიფა და ჩემთან მოვიდა.

— ხუთი კაპიკი დამავლო, მაგრამ არაუშავს. შავას ეპატიება!

— ვინ არის? — ვკითხე და თლაშო აუუესე.

— დიდი კაცია... უფრო დიდი იყო. ახლა დააქვეითეს, მაგრამ მაინც დიდი

კაცია. კარგი აღამიანია. ამბობენ, დიდი კაციაო.

— კარგი ერთი! მოლასი არ იყოს, რაც უნდ დიდი იყოს, აქლემზე დიდი მაინც ვერ იქნება...

— ეს ასეა, მაგრამ... — გაიცინა.

— ძალიან ვიჭირდა, ალბათ, ბლოკადაში?

— ჰო, ძალიან... 25 გრამ პურს გვაძლევდნენ დღეში ხანდახან. ხან ისიც არ იყო. ნახერხს ვურევდით ხორცში და ისე ვჭამდით...

— არაყსაც გაძლევდნენ?

— არა. არაყს ფრონტზე გვაძლევდნენ. მე არ ვსვამდი, მაგრამ მაინც მაძლევდნენ. ხანდახან დავლევდი ხოლმე. ისიც შეტყვის მერე... რომ გამახსენდება, როგორ გვეძინა!...

— მაგრად ისროდნენ, არა?

— ჯერ — ჰო. მერე შეანელეს... ჩვენთან ტყვედ რომ ჩაიგდებდნენ, შოკოლადებითა და სასმელებით დატვირთავდნენ, თან ჰიტლერის წიგნს გამოატნდნენ... ნახეთ, რეები გვაქვსო...

— მერე?!

— განა მართლა ვებრალებოდით! ზამთარი დაუდგათ და ადგილიდან ვერ იძროდნენ. ბატყნებად მოგვაჩვენეს თავი.

— როდისღა დაიწყეს?

— მერე მიხვდნენ, ყველა გარეწარი უკვე მათ მხარეზე იყო, და სხვებთან ვერაფერს ვახდებოდნენ. დავვიშინეს და დავვიშინეს! ფეხებიც ვერ მოგვკამეს! — უცებ გაცხარდა.

— ბლოკადას როდისღა დააღწიე თავი?

— თითქმის ორი წელი ვიყავი ბლოკადაში. სხვები კიდევ მეტ ხანს. ცოტა მოვითქვით სული, როცა ლადოვის ტბაზე მანქანებმა გადმოიარეს.

— მე ამას ყველაზე დიდ გამირობად ვთვლი ამ ომში! ასე ვაწირო თავი!... ასე გეტყინოს სხვისი ტყვილი!

— ჩვენების მეტი ვერავინ გაბედავდა ამას! ვერც მოიფიქრებდა!

— ასე გგონია? — მხრები ავიჩქინე და ისევ ავავსე თლაშოებზე.

— მეტს ველარ დავლევ? — ხელები გაასავსავა.

— ერთიც და. მეტს აღარ დავაძლებ!

— კარგი, — გაიცინა. — ოღონდ მეტი არა!...

— სიტყვა სიტყვა! ელჩი და დიპლომატი არასდროს ვყოფილვარ. ასე რომ, შევიძლია, მენდო!... ეს ერთი და მეტი არა! მეც აღარ დავლევ მეტს. თუმცა ერთს კიდევ დავლევ ამის შემდეგ და მეტს აღარა!...

— კარგი!... — ისევ გაიცინა.

— მაშ, სული მოგათქმევინეს!

— კი, ცოტათი! ოთხმაგი კერძი დავირიგეს და გაგვაფრთხილეს, ერთად არ კამოთო. ზოგმა ვერ მოითმინა და მაშინვე მოკვდა. მერე აღარ გვაძლევდნენ ზედმეტს. თითონ გვიზოგავდნენ.

— უდიდესი თავხედობაა ომი ორიოდ იდიოტის გულისთვის მილიონები აკლავენ თავს ერთმანეთს!... თუმცა...

— რა, თუმცა?

— თუმცა მსოფლიოს ერთგვარი ჰიგენა, მართლაც, არის ომი...

— ჰო, ეს ასეა! — უხალისოდ დამეთანხმა.

— ორიოდ იდიოტის გულისთვის!...

— საოცარი საზიზღრობაა!

— რა თქმა უნდა! ღმერთო ჩემო. ორიოდ იდიოტის გულისთვის! თითონ იჩხუბონ, თუ ვაეკაცები არიან!

— მაგას ვინ იზამს!

— მაშინ გამოცანები უთხრან ერთმანეთს!

— ო, ეს კარგი იქნება! — გაიცინა. მეც გამეცინა მის სიცილზე. ახალა მეჩვენა სასაცილოდ სერიოზულად ნათქვამი.

ისევ შემოვიდა ვილაც. ოფიციალტი მოემსახურა და კვლავ მე მომიჯდა. ერთი თლაშო კონიაკი დავალევი კიდევ.

— მართალია, დიპლომატი არ ვყო-

ფილვარ, მაგრამ მათი სიახლოვე ხშირად განმცილია...

ვაიცონა. რა ეთქმოდა. ხათრიანი კაცი იყო და უარი ვერ მითხრა.

— რას იზამ! — მხრები აიჩეჩა და გაწყვეტილი საუბარი აღადგინა. — ომი მარტო თოფებსა და ზარბაზნებს კი არ აძლევს საქმეს, არამედ მწერლებს, მეცნიერებს, პოლიტიკოსებს და სხვა ათასს! და ითქმება მგზნებარე პატრიოტული სიტყვები იმათ მიერ, ვინაც იქნებ ხვალ გროშებად გაყიდოს სამშობლო! რატომღაც ასეთი ხალხი უფრო იხვეჭს სახელს. ჭეშმარიტ გმირებს კი — უსახელო საფლავი რჩებათ მხოლოდ.

— უაზრობაა ომი! უსაქმური კაცის მოგონილია. ყოველგვარი ჩხუბი უსაქმურების საქმეა. უსაქმურებისა და ჩერჩეტების მოგონილია. არა, მოგონილი კი არა, ეს თვით მათშია. ეს საოცარი სისხლის წყურვილი, საოცარი ბოროტება.

— ჰო, რა თქმა უნდა. მაგრამ ერთი კარგი თვისებაც აქვს! — მითხრა ყოყმანის შემდეგ.

— აბსოლუტური არაფერია... — უფრო ის გამიკვირდა. რომ შემეკამათა.

— ყველაზე უკეთ ომში ჩანს კაცის სიბინძურეცა და კეთილშობილებაც!... ვიყურებ. მერე ვეკითხები:

— ტყვედ როდისღა ჩავარდი?

— ორმოცდასამის მიწურულში...

ისევ მოხალისედ წასულა. ეგონა, ძალა ჰქონდა. ვერ მოზომა. პირველივე შეტვის დროს უმტყუნა გულმა. დაეცა და თვალი რომ გაახილა, უკვე ოთახში იყო. გერმანელები აღდგნენ თავზე. ერთი იმათი ოფიცერი მასზე უთითებდა და რაღაცას ეკითხებოდა სანიტარს...

— მერე?

— მერე საკონცენტრაციო ბანაკში მიკრეს თავი. ერთხელ მეც დამიკრეს მარში: „მოდრი ჩემთან, მეგობარო, მე შენ გელი!“ ურიკით წამაგორეს და როიალის სიმზე ჩამოკიდეღს, აგონია რომ

დიდ ხანს გაგრძელებულიყო. ბრძალს სიმი გაწყდა. ძაღლის ბედზე მკვდრად მერე. როცა თვით დაეწყებინა გამორეკეს და თხრილთან ჩამაწყრივეს ყველანი. მიხვდნენ, ველარ გადარჩებოდნენ...

— ღმერთო ჩემო, რა წიოკობა ატყდა!...

ქალები კიოდნენ. ბავშვები ტიროდნენ. მთლად გააშიშვლეს. ერთმანეთს აწყდებოდნენ. ისინი კი ცემდნენ და ლორებს ეძახდნენ. ისე ყვიროდნენ, რომ ზოგი გავიქცა... ვინც გაქცევა სცადა, იქვე დახვრიტეს... მერე ესროლეს...

— მეც მესროლეს. მკლავში მომარტყეს. გული წამივიდა და დავეცი...

ქიქა შევუესე. უხმოდ დალია.

— არც დაუშვარხივართ, ისე მიგავტოვეს. დანარჩენები „ბანაოში“ შერეკეს და გაზი მიუშვეს...

— მერე?!..

— მერე გაიქცნენ. შულამისას მოხდა ეს ამბავი. დილით ამერიკელები შემოვიდნენ. გადაგვარჩიეს. მკვდრები დამარხეს, ცოცხლები მოგვასულიერეს... მერე ჰორს მოგვარი ყური, ტყვედ ჩავარდნილებს ასახლებნენ, და საფრანგეთში წავედი... და შევჩრი...

— მამაც იყო ამ ომში. ორმოცდაოთხამდე გვეწერდა. მერე არც ავი ვიცით მისი, არც კარგი. იქნებ, შესწავით გადაიხვეწა?...

კიდევ დაფლიეთ.

— ასე იქნება!... უთუოდ ცოცხალი იქნება!

— იქნება, აბა, რა! სულ არ მჭირდება ნუგეში ისედაც ვიცი!...

— რა თქმა უნდა. რა თქმა უნდა. — სწრაფად დამეთანხმა.

თავი შევიკავე. თორემ ვაწყენინებდი და მერე ამის სინანული გამათენებინებდა ღამეს. ამის შეგრძნებამ თავშეკავება მასწავლა. ყოველთვის ასეთი ვიყავი...

— უაზრობაა ომი! — გავიმეორე. აღრე ნათქვამისა და განცდილს დავი-

წყება მინდოდა. გულის მოახება. — სისულელეა ომი! — ვიმეორებდი დაუსრულებლად. ახლა იმის გაგება მინდოდა, ეწყინა თუ არა ჩემი სიტყვა. — მხოლოდ უსაქმურებსა და იდიოტებს უნდათ ომი!...

ახლა იმასაც ვერ ბედავდა, დამთანხმებოდა. საზიზღარი მერვენა თავი. ვაწყენინე. დავუჩოქებდი, ოღონდ ხალისი დაბრუნებოდა.

— რად გვჭირდება — მეტი. რად — მინდოდა საუბარში ჩამთვრია. მინდოდა მისი ხმა გამეგონა. იმიტომ, რომ ვნანობდი. როცა მთვრალი ვარ, ყოველთვის კეთილი ვარ. და მინდა, რაც შეიძლება, იშვიათად ვიყო მთვრალი. — რად გვჭირდება ან ომი, ან ეს ათასგვარი დიპლომატია, ან ეს გაუთავებელი ლაყბობა! რად გვინდა ზარბაზნები. ან დანები რად გვინდა? რისთვის გვჭირდება ამდენი უფროსი. ამდენი ჭკუის მასწავლებელი?...

— ისე გვჭირდება, როგორც თავს ჭკა და მუცელს სამართებელი!

და როგორც კი ხმა ამოიღო, ვივარქენი, ისევე მას დავაბრალე ყველაფერი. ვივარქენი, მაგრამ თავი შევიკავე. ვიცოდი, ისევე ვინანებდი. მე კი ყველაზე უფრო ამას ვავუბრბოდი.

— ყველაფერი მეორდება. დმერთო ჩემო, რა მომბაბეზრებლად მეორდება ყველაფერი. სიყვარულიც. სიძულვილიც. ისტორიაც... უზარმაზარი სცენა და ყოველ ღამით ერთიდაიგივე წარმოდგენა, ხან კომედიად თქმული, ხან ტრაგედიად და მხოლოდ მოქმედი პირობები უღევად სხვადასხვა. და ცვლიან როლებს ბრძენი და სულელი, წმინდანი და ბოროტი, მამაცი და ლაჩარი... მხოლოდ უკიდურესი დაძაბვა ქმნის კეთილშობილებას... მერე ისევე ჭაობი. ისევე შიშვლდება ვნება და აღამიანი სიცივის მწვერვალს აღწევს, რომ ინანოს ის სიგიჟე და... და მაინც მისკენ ისწრაფოს...

— ჰო, ჰო, ასეა, ასე! — თავს მიქნევდა ყველაფერზე და ვიცოდი, ნატ-

რობდა, ვინმე შემოსულიყო, თავი რომ მიენებებია ჩემთვის. *ვარქენული*

მირჩევნოდა, ხმა არ მმოვლო. ვიცოდი, ჩემს საამებლად ლაპარაკობდა და ეს უფრო მაბრაზებდა.

ძლივს დავძლიე სურვილი, საწყენი მეთქვა მისთვის და მხოლოდღა ხუმრობით შევძახე:

— რად ჩამობრუნდი, შე სულელო, შენა!...

მხრები აიჩეჩა და გაოცინა.

— მიწას თუ აკოცე? თუ აკოცე-მეთქი!

— მიწას სად ვიპოვნიდი. ასფალტით დავგიფარავთ სულ! ქვები ეყარა მხოლოდ. ავიღე და ქვას ვაკოცე.

მომეწონა და გამიხარდა. არ მეგონა, ხუმრობა თუ შეეძლო. წყენინების სურვილმა გადამიარა. ძმაკაცად ჩავთვალე. მანაც იგრძნო და გაუხარდა.

თვით დასძინა:

— სიმაართლის ძებნის თავიც არა აქვს კაცს!

— ან რად უნდა ეძიოს სიმაართლე, ან სად უნდა ეძიოს! სიმაართლე თვით ჩვენშია... სხვაგან სად უნდა ვეძიოთ სიმაართლე!...

— არა, ისე ვთქვი— მივხვდი, ეს აღარ იყო მისთვის ჩვეული დათანხმება და ესეც გამიხარდა.

— ნიჭიერი ბიჭი ჩანხარ და ამდენს რატომ სვამ? — მკითხა ანაზღად.

— რაზე მეტყობა ნიჭიერება?!

— თვალეზზე.

— ამოვიხიხი თვალებს! — გავიციე უაზროდ და მანაც გაიციინა.

თითო თლაშოც დავცალეთ და მხარზე დავბრტყი ხელი:

— რად დაბრუნდი, შე სულელო, შენა!...

გაიციინა. მე კი აღარ მეციინებოდა.

— რად დაბრუნდი-მეთქი? რად! ერთი ის ჭკა მაპოვნიან, შენ რომ აკოცე!... რად დაბრუნდი, რად!...

— ვანა იქ რა იყო კარგი!

— მე კი მეგონა...

— მეც შეგონა... იქ შეგონა კარგი, სადაც არ ვიყავი!...

თითო ჭიქაც დაეყოლებო.

— თოთხმეტი წლისა აფრიანი გემით შორეულ მოგზაურობაზე ვოცნებობდი. უკაცრიელი კუნძულის აღმოჩენა მინდოდა და იქ დასახლება. მეკობრეებთან ბრძოლები მელანდებოდა. საიდუმლო გამოქვაბულები და განძი, რომელსაც ღარიბებს დაეურიგებდი... მერე ვიფიქრე, მაინც არ დამიფასებენ-მეთქი და თავი მივანებე... — გავიცინე ისევ.

მერე რატომღაც ვთქვი:

— ხვალ ზღვაში გავდივარ!... ხვალ დილით! ექვს საათზე!... წინ 20 საათია კიდევ... ღმერთო ჩემო, რითი შეევასო ეს 20 საათი!...

ნადირობაზე ჩამოავდო სიტყვა. ძალიან ჰყვარებია.

— თავისუფალ დღეს ქალაქგარეთ მივდივარ. ოცი-ოცდახუთი მწყერი ჩამომაქვს ყოველთვის. — მეუბნება.

— კარგია ნადირობა. განსაკუთრებით, იხეებზე ნადირობა. ბევრი დამიხოცავს, მაგრამ იხვის ხორცი არ მიყვარს.

— რატომ?!

— არ ვიცი!... ბავშვობიდანვე შევიძულე. საერთოდ, ფრინველის ხორცი არ მიყვარს...

— მაშ, რატომღა ხოცავ?!

— ისე! არც ისე ბევრი დამიხოცავს. მართალი თუ გინდა, საერთოდ, არ დამიხოცავს. თოფის სროლაც კი არ ვიცი! სხვებს მივყვებოდი ხოლმე.

— ააა!...

— მაგრამ შუა გზიდან ვბრუნდებოდი... მძულს ნადირობა. სისულელეა, ყველაფერი სისულელეა!...

— მეტს ნულარ დაღევთ!

ბოთლში ჩარჩენილ სითხეს ჩაახედე. მას ახლა წყლის გემო ჰქონდა, ოღონდ ცოტათი მიჩვედა გულს ყოველ დაღევაზე.

— რომ ჩატოვებული ხელახლა გაყიდო, არა?

მეწყინა. არ უნდა მეთქვა. იმის ნაც-

2. „მთაბი“, № 8.

ვლად რომ, თუ პირდაპირ არა, შეგობრული საუბრით მაინც მომეჭრა და გულში. წამოვდექი, რაც ჰქონდა ფულია მქონდა მაგიდაზე დავყარე და წამოვედი.

უფრო ჩემს თავს ვავუბრბოდი, იმ „მეს“, რომელსაც მის თვალეში ვხედავდი. ჩემს მეორე „მეს“. სად და როგორ, კი არ ვიცოდი.

სისულელე იყო, რა თქმა უნდა. ბოლიშის მოხდა მინდოდა და არც კი დავმშვიდობებდივარ. რატომღაც შეგონა, დაამცირებდა ჩემი ბოლიში.

— ამდენი არ არის საჭირო! — დამაწია ხმა.

ვერ გავუგე: ფული თუ სმა. არც შეეჩერებულვარ, არც მიმიხედავს. ფეხი მეშლებოდა, გონება კი საოცრად ნათელი მქონდა.

გამელელები გზას მითმობდნენ. ვამახსენდა, როგორ გაუბრბოდნენ გამელელები ერთ ლოთს გზაზე. ის კი, კედელ-კედელ მოარული, ტირილით იხვეწებოდა: „ნუ გეშინიათ ჩემი! ნუ გეშინიათ, ძვირფასებო!“... ვამეცინა.

მე კი მივდიოდი და ვერაფერს ვამჩნევდი ალბათ, იმიტომ, საოცრად ნათელი მქონდა გონება. მხოლოდ წითელი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი ლაქები მხედებოდნენ და მაშინვე მითმობდნენ გზას...

ფერები... ფერები...

მერე ერთმანეთს ეფინებოდნენ ეს ფერები და ერთ ფერად იქცეოდნენ...

მე კი მივდიოდი, მივდიოდი, მივდიოდი...

* * *

მივდიოდი, მივდიოდი, მივდიოდი.

ეს იყო წინათ, ძალიან დიდი ხნის წინათ...

თოვლი. თოვლი. გაუკვალავი. მხოლოდ ჩენი კვალია თოვლზე. ორი პატარა ფეხის კვალი. ორიც ჩემი. უხეში. მძიმე.

ჩემო პატარა გოგონა...



რომ იცოდე, როგორ მინდა მივეფე-
რო შენს დიდ, შავ თვალებს. შენს
ყინვისგან აწითლებულ ლოყებს. შენს
თმებს; თოვლის მარგალიტი რომ
ბრწყინავს ზედ.

მინდა და მეშინია.

მეშინია, შიში დავინახო შენს გუ-
ლებრყვილო თვალებში...

ირგვლივ კი დათოვლილი ნაძვებია.
ფიჭვები...

ვიგონებ ლექსებს, რაც სიყვარულზე
დაწერილა, და ვნანობ, ჩემი დაწერილი
რომ არაა. მეც დაწერდი, ალბათ, მათ
ახლა, ამ ტყეში, როცა შენ ჩემს გვერ-
დით ხარ...

ცაზე ვარსკვლავები ციმციმებენ და
ვიგონებ თბილი მაისის სამხრეთულ
ღამეს...

მე ახლაც მინდა ვიყო იქ, ჩრდილო-
ეთში, მიგვალავდე თოვლს და ვიგო-
ნებდე თბილი მაისის სამხრეთულ ღა-
მეს...

მიჩვენებ ვარსკვლავებს: ეს დიდი
დათვის ვარსკვლავებია, ეს — პატარა
დათვის... ის კი — ირმის ნახტომია,
მეუბნები...

არ ვიცი, ჩანდა თუ არა მაშინ ეს ას-
ტრონომიული სისტემები. მხოლოდ ვი-
ცი, რომ ცაზე ბევრი ვარსკვლავი იყო,
ძალიან ბევრი ვარსკვლავი. შენი თვა-
ლებივით მოციმციმე და იღუმალი...

ან იქნებ, შენც ვარსკვლავი ხარ.

ის, ბედის ვარსკვლავს რომ უწოდებ-
დნენ წინათ...

— მომიყევი ზღაპარი! — მთხოვ.

— ზღაპარი?! გიყვარს ზღაპრები?

— აღრე მიყვარდა... მერე... მერე
დრო აღარ მქონდა მათ მოსასმენად...
მომიყევი, გთხოვ!

და მე ვყვები ზღაპარს...

თოვლია. თოვლი. დათოვლილი ნაძ-
ვები და ფიჭვები. ცაზე — ვარსკვლა-
ვები და ფანტელები. სიჩუმეა და მთვა-
რე დაყურებს თოვლს. ამ თოვლივით
თეთრი მთვარე. ჩვენ მარტონი ვართ...

და მე მეშინია, შიში დავინახო შენს
თვალებში...

რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ!
რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ!
როგორ მიყვარხარ!...

ეს ხეები იმეორებენ ასე ხშირად ამ
სიტყვებს. ასე დაყინებით, ასე ჩუმად.

რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ!...

ეს მუნჯ ფიჭვებსა და ნაძვებს ამო-
უდგამთ ენა.

და სუნთქავენ ჩვენი ფილტვებით.

ნიძლავს ვდებთ სალალობოდ. აღარ
მახსოვს, რა ნიძლავი იყო. არც მაშინ
ვიცოდით, ალბათ. წაგებულმა სამი
სურვილი უნდა შეუსრულოს მოგე-
ბულს. მე ვაგებ, რასაკვირველია...

მაშ, შენზეა სიტყვა. შენი პირველი
სურვილი?

— მიხაკები!...

სად ვიპოვო წითელი მიხაკი ამ თეთრ
უდაბნოში. ამ ზამთარში. სად მოვძებ-
ნო მიხაკი ამ თოვლში... იგი ჩვენს
სულს გავს ზედ გაღებულ კვალითა
და წითელი მიხაკების ნატვრით.

— რაც ძნელია დავალება, მით უფ-
რო კარგია!...

და მახსენდება ჩემი რაინდული ვა-
ლი...

ეს იყო წინათ. ძალიან დიდი ხნის წი-
ნათ. სტუდენტობისას, სადაც, ჩრდი-
ლოეთში. და მერე სამხრეთში შემხვ-
დი ისევ. მეგონა, რომ შემხვდი. მეგო-
ნა, რომ ისევ ის იყავი და მოვედი შენ-
თან, როგორც იმ ღამეს...

მაგრამ ახლა მე შენს თვალებში
ცეცხლი შევნიშნე პირველად. მე გა-
ვალვიძე შენში ველური სურვილი და
იგი ითხოვდა მსხვერპლს, და მაშინ მე
შენში ის ელვარე თვალები შემიყვარ-
და... და მერე შემძულდა... ახლა ისევ
მიყვარს. რადგან ისე აგწითლებია ღაწ-
ვები. თითქოს ყინვა გელამუნება სახე-
ზე და სიბნელეში თვალები ანათებენ
მხოლოდ შენი...

დიდი, შავი, მავედრებელი თვალე-
ბი...

* * *

მეყსეულად ქვაფენილის კიდესთან ამოწვერილი ბალახი შევნიშნე. საოცარია, რატომ აქამდე არ დამინახავს? ან იქნებ დაეინახე, მაგრამ ჩემს სულში არ შემოსულა მისი სინორჩე?

იგი ახლა ამ ვარსკვლავიან სივრცეზე მეტს ნიშნავდა ჩემთვის.

მე იგი ჩემი სოფლის ეზოს მაგონებს, მის ლბილ მოლს. მერე წნული ღობეა. იმის იქით უზარმაზარი, ტრიალი მინდორი. მინდვრის ბოლოს ორი მუხა, არწივივით მხარჩამოგდებული. მერე ხუჭუჭა ტყეებით შემოსილი ცისფერი მთები და ბოლოს უსაზღვრო სივრცე ზეცისა. საოცრად ლურჯი. და როცა მას ვუცქეროდი, ასე მეგონა, ჩემში შემოდოდა ეს ლურჯი სივრცე. თავისკენ მიტაცებდა. და მე მისი ნაწილი ვხდებოდი.

ჩემში შემოდოდა თავისი უამრავი თვალებით...

ჩვენ თითონ ვქმნით სამყაროს.

ჩვენს სულში ვქმნით სამყაროს.

და მერე მის ფარდს ვეძებთ ქვეყნად. და თუ ვერ ვიპოვით, გავრბივართ ამ ქვეყნიდან.

ჩვენ ჩვენს ზორცს გავურბივართ, რომელიც მხოლოდ აწმყარში არსებობს და წინაპრის ტკივილი ვგრძეობთ და მომავლის წუხილით ვწუხვართ...

* * *

წინა ღამით ბეჯანმა მალევიძარა დაიღვა სასთუმალთან, მაგრამ გონებაში ჩარჩენილმა სურვილმა ძილშიც არ მოასვენა და საათს დაასწრო. ალიონის პირველ სხივს აყვა, უზმოზე ორი სიგარეტი მოსწია და შიმშილმა გაუარა.

პორტისკენ გაუყვა გზას. თან გუშინდელზე ფიჭობდა.

უკაცურ ქუჩებში ფოთლები ეყარა. ჯერ აღრე იყო ფოთოლთცვენა. მაგრამ წამოძალეულ ქარს თავისი ეჭნა. ისევე ერეებოდა ზღვის მხრიდან ღრუბლებს.

ბის ნაგლეჯებს და ისევე მიზონინებდა ღრუბლების წარდელი ქუჩებზე; ხანაჰაჰა როზე, სახლებზე...

იმედი ქონდა ბეჯანს: დილის ქარია, ჩადგება და დღეს აუცილებლად გავალთ ზღვაში.

პორტს მიაღწია. შორიდან იცნო სეინერი. უკვე მოესწროთ მისი გასუფთავება და ზღვაში გასასვლელად გამზადდება.

სეინერზე ავიდა და მიესალმა იქ მყოფთ. არც კი შემოუხედავთ, ისე დაუბრუნეს სალაში და საქმე განაგრძეს.

არ ეამა ასეთი ცივი შეხვედრა. შეიმჩნია, მაგრამ ყურადღება მაინც არავინ მიაქცია. განზე გადავა. ღუზის სამაგრ კოჭზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა.

შეყურებდა დაბერილ კუნთებს, მოსვირინგებულ გარუჯულ ხელებს და გრძნობდა, სრულიად გულგრილი იყო ყოველივე ამისადმი.

ბანზე ჭალარაულვაშიანი კაცი გამოვიდა. მეზღვაურის გაზინთული მაისურა ეცვა. ზღვის ქარსიციხისგან დაკმულ სახეზე ჭორფლი ეყარა, როგორც მწითურებს ჩვევიათ საერთოდ. ბეჯანი შენიშნა და უყვირა:

— შენ, ეი, დასაჯდომი ველარ მონახე?

ბეჯანი აიღეწა. ყველამ მას მიაქცია ყურადღება და ამან უფრო გააბრაზა. არ განძრეულა. მედიდურა ექსტით სიგარეტი ისროლა და უტიფრად გაუსწორა თვალი მწითურს:

— თქვენ კი არ იცით, როგორ უნდა ილაპარაკოთ?

მწითურმა გაკვირვებით შეხედა. ეტყობოდა, წინააღმდეგობას არ იყო ჩვეული. მერე მისდაუნებურად დაუწია ხმას:

— მე გეუბნებით. რომ იქ არ შეიძლება ჯდომა!

ბეჯანი წამოდგა და მწითურს მიეახლა. თან საბუთები ამოიღო ჯიბიდან, გაუწოდა:

— ეურნალისტი ვარ; თქვენ...

მწითურმა არც კი დახედა საბუთებს:

— ვინც უნდა იყოს!... — თქვა ჩუმი და ტრაპზე დაეშვა. ბეჟანმა მხრები აიჩეჩა, მობრუნდა და ისევ მეთევზეებს გადახედა.

უახლოესმა წამით შეაჩერა მუშაობა და ღიმილით ამოხედა:

— დაგიცაცხანა? ნუ გეწყინება! ასეთია...

— ისე, გული კარგი აქვს, არა? — დაციინით ჩამოართვა სიტყვა ბეჟანმა.

მეზღვაურმა გაიცინა:

— არა, ბოროტია! მაგრამ თავის კაცს დაიცავს!

ბეჟანმა გულგრილად აიჩეჩა მხრები და ყურეში შემოსულ ტანკერებს დაუწყო თვალღერება. უცხოურ წარწერებს კითხულობდა. მერე ესეც მობეზრდა და გასართობად ისიც იფიქრა, ხომ არ ჯობდა, საერთოდ, არ წაყოლოდა ამ კატარას. წინასწარ ზოგიერთის გვარი ეკითხა მხოლოდ და მერე თავისი ფანტაზიით დაეწერა სტატია. ურთულ კიდევ გააყეთა ასე და ვერც კი გაუგეს. იმათაც კი დაიჭერეს, ვინც ის წერილი დაწერა...

ღრუბლებმა აღმოსავლეთით მთის მწვერვალები დაბურეს. ჩამოიხუთა. სულისთქმა ჭირდა. ახლა უფრო მძაფრად იგრძნობოდა ზღვისა და თევზის სუნი კატარაზე. მეზღვაურებს ოფლის მარცვლები დაეკიდათ წარბებზე.

კატარლის მოწესრიგებას მორჩნენ. დასვრილი ხელები შარვლებზე შეიწმინდეს, გემბანზე გაზეთი გაშალეს და ძეხვი, შებოლილი თევზი, ხახვი და არაყი დაალაგეს ზედ. მწითურიც ამოვიდა, თავისი წილი ამოილაგა ჯიბეებიდან, პირველმა მოირთხა ფეხი სუფრასთან. ბეჟანიც მოიპატივეს. არ უნდოდა ბეჟანს, მაგრამ იფიქრა მეტიჩრობაში ჩამომართმევენო და სუფრასთან ჩაიმუხლა. თან მოიბოდიშა, არაფერი წამომიღია, არ ვიცოდით.

— თავი უხერხულად რომ არ იგრძნო, თუ ფული გაქვს, არაყი დაგვიმატე! — უთხრა ყველაზე მოხუცმა იმათ შორის, და ბეჟანი მიხვდა, წუწკობი-

სათვის არ ამბობდა ამას ძველი მეთევზე. მართლაც, ასე ჯობდა...

— კარგი, მოვიტანე ტრაპზე გადააბიჯა და გაახსენდა: — ჯერ ხომ შეიღი საათიც არაა, სად ვიყიდო?!

— აქვე, ხელმარჯვნივ ფარდულია! სტოპა იკითხე. უთხარი, ჯანგირმა გამომგზავნა-თქო... იქვე ცხოვრობს! — დაადევნა მოხუცმა.

ბეჟანმა სწრაფად ჩაირბინა ტრაპინაპირიდან გემბანამდე აყუდებული ორი ფიცარი, თამასებით ვარდიგარდმო დაქედლი, და კინალამ მაშინ მოიტეხა კისერი, როცა თავი ფონსგასული ეგონა.

შეიკურთხა და სირბილით განაგრძობდა.

თმააბურძგვილმა, ძლიბლით თვალამოვსებულმა კაცმა გაულო კარი:

— რა გინდა?! — რუსული აქცენტით ლაპარაკობდა ქართულს.

— არაყი!

კაცმა გაკვირვებით ახედ-დახედა:

— სად მაქვს არაყი?!

— ჯანგირმა გამომგზავნა!

— ჰოო! — კაცმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა, — რისი უნდა? ჭაჭისა თუ ხილისა?

— სულერთია! ორი ბოთლი მომეცი!

— არა, ასე არ შეიძლება! უნდა ვიცოდე, რომელი უნდა!

— ჭაჭისა იყოს!

— ვერ მოგცემ!

— რატომ?!

— არა მაქვს!

— მაშინ ხილისა.

— არც ეგა მაქვს!

— თქვენ რა? მამასხრებთ!...— გავეშდა ბეჟანი და გაიწია.

კაცი შეკრთა, მაგრამ ისტიბარი არ გაიტეხა:

— პურის არაყი მაქვს მხოლოდ!

— მომეცი!

კაცი შებრუნდა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოვიდა ხელცარიელი, ღამ ღიმილს ვერ ფარავდა, მაგრამ აჩქარე-

ბულ ბეჯანს არ შეუმჩნევია, ფული გაუწოდა და სახტად დარჩა:

— არაყი?... არაყი სადღაა?!

— ჭურჭელი მომეცით!

— სადა მაქვს ჭურჭელი?!

— აბა, რა ვქნა? კასრით ხომ ვერ გაგატანთ!

ერთი კი დააპირა ბეჯანმა ბოთლის მოსატანად გამობრუნება, მაგრამ უცებ რაღაც იაზრა, კარს ეცა და ავად დააბრიალა თვალები:

— მამასხრებთ?!

კაცმა შიშით დაიწია და აღარ დაუფარავს თავისი შეკრთომა. ბეჯანი შეყვა, დახლზე დალაგებულ ბოთლებს დაწვდა, ფული იქვე დაუყარა და კარებში მობრუნდა:

— მეორედ აღარ მიქართო! უნდა იცოდეთ, ვისთან იხუმროთ!

კაცმა ბეჯანის ზურგს გააყოლა თვალი, ხელი ჩაიქნია და კეფა მოიფხანა:

— ღიმილმა გამცა!... თანაც კულტურულად, „თქვენობით“, და ლამის იყო დედა შემომავინა. მაგის...

და ისევ გაიღიმა.

სეინერზე ძალიან გაუკვირდათ, არყით რომ დაბრუნდა ბეჯანი. ბეჯანმა თვალი შეასწრო: საუზმისთვის ხელი არ ეხლოთ და ეამა.

— გამოგატანა?! — ვასცა თავი ჯანგირმა.

— ჰო. თქვენი ხატრით უფასოდ მატანდა, მაგრამ არ ვქენი! — ბეჯანმა ბოთლები სუფრაზე ჩამოდგა და მწითურის გვერდით მოირთხა ფეხი.

— არაფერი უთქვამს?! სულ არაფერი?!

— რა უნდა ეთქვა?! — მიუმხედარივით გაიკვირვა ბეჯანმა.

— არა, ისე... არც გაგხუმრებია?!

— სახუმაროდ სად მეცალა!

— ან დაბერდა ჩვენი სტოპა, ან კარგად ვერ გამოუძინია წუხელ. — დაასკვნა ჯანგირმა და ბეჯანის მოტანილი არაყი დაუნოსა. უცებ ხარხარი მოაწვა ყელში, მაგრამ ერთი ნერვიც არ შეტოკებია და წყნარად თქვა:

— ყველამ თავ-თავისი დალიოს საქმელი საერთოა!

— აერე იყოს! — კვერობდა ჯანგირმა სხეებმა. ბეჯანის გარდა ყველამ იგრძნო რაღაც ჯანგირის სიტყვებში.

ბეჯანს უცებ მადა გაეხსნა და შებოლილ თევზს დააცხრა.

პირველი ჭიქა შეავსეს და ასწიეს:

— დავლიოთ! კარგად ვიყოთ!

ბეჯანმა, როგორც მათ შორის ყველაზე განათლებულმა, მოკლე, მაგრამ მაინც სადღეგრძელო თქვა და გადაკრა. წამით ეღვამ დაურბინა სხეულში, მაგრამ თავი შეიკავა.

„ჯიბგირი!“ — გაიფიქრა.

— ოჰ! ცეცხლია, ცეცხლი! — დაიღრია და პურს უსუნა. მერე ძეხვის ნაჭერი აიღო და მაღიანად დალუკმა.

ჯანგირი გაოცდა. ღიმილი ვერ შეიკავა და გაიფიქრა: „ეშმაკია, ეშმაკმა დალახვროს! არ იმჩნევს! კარგი ბიჭია. კარგი მეთევზე დადგებოდა მისგან, ცუდი ჟურნალისტი რომ არ იყოს?!“

ქარმა საედროდ წამოუბერა და თითქოს თავის გაცემის შეშინდაო, ისევ მიუყრდა ნაპირებთან.

ჯანგირმა ცას ახედა: აედრის ნაშანი, — დაასკვნა.

— იქნებ, არ გავსულიყავით დღეს? — ჩააკერა ვიღაცამ და მაშინვე მიჩუმდა, მწითურის მზერას რომ შეასწრო თავილი.

— ჰაიტ, თქვე ჯამილოკიებო! — იყვირა მწითურმა, — დაიწყეთ წუწუნის! თქვენ რა, მე მამრობენ ტყავს გეგმის გულისთვის!

იგრძნეს, არ ღირდა კამათი. დალევა არჩიეს ისევ. ჭიქები შეავსეს.

— ჩვენ მშვიდობით დაბრუნებას გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს!

ბეჯანმა უხმოდ დალია და ისევ დაიღრია არაყის სიმწარისაგან.

„მომეჩვენა თუ რა იყო?! — ფიქრობდა გაცეხებული ჯანგირი, — თუ წყალსაც აე სვამს ეგ ოხერი?!“

კატარლათა ქარაენის წინამავალიდან

ნიშანი მიიღეს. დარჩენილი ლუკმა და უღუქვავად გადაყოლაგეს და თითო ჭიქა არაყიც უხმოდ დააყოლეს. მერე თავთავისი ადგილი დაიკავეს და ძრავაც აღრიალდა. მილიდან ბოლქვებად ამოვარდა კვამლი. კატარღის კუდთან წყალი აღუღდა.

მეხუთე კატარღას ამოუდგინენ კვალში და ნელა გასწიეს ჰორიზონტისაკენ. თოლიები დაკიოდნენ თავზე, ზოგი ანძახზე მოკალათდა. მერე შურდულივით დაეშვებოდნენ წყლისაკენ და მკერდით ეხახუნებოდნენ მოლივლივე ზღვას.

ბეჟანი ბანზე იღგა და ამოქნარებდა გამოუძინებელი. ისევე მოისმა ბრძანება, და კატარღები სათითაოდ აკლდებოდნენ ჭარავანს. მეექვსე კატარღის ჭერიც დადგა. მესაქემ ისე სწრაფად მოაბრუნა საჭე, რომ კატარღა წამით მარცხენა გვერდზე გადაწვა, და თვით მეზღვაურებმაც ვერ შეიკავეს თავი. ბეჟანს ფეხი აუსხლტა და ბაგირს მოებლაუქა. მიეშველნენ და წამოაყენეს. თვით იგრძნო, რომ სასაცილოდ გამოიყურებოდა და თავი ვერ შეიმაგრა, ახარხარდა და სხეებიც აიყოლია.

— გამოთვრა და ჭკუა დახნევია! — შეუჯურთხა ვილაცამ მესაქეს. ამ დროს მესაქემაც გამოყო თავი, დამცინავი ღიმილით გადახედა ბეჟანს, მაგრამ მწითურს მოკრა თვალი და ისევე შეიშალა. მწითური მესაქეს მივარდა, რალაცას უყვიროდა, მაგრამ ძრავის გუგუნში არაფერი ისმოდა. ბეჟანმა შედარებით მყუდრო ადგილი მოძებნა. აქ ნაკლებად ისმოდა ძრავის ღრიალი და თავის შემაგრებაც უკეთ შეიძლებოდა. სიგარეტს მოუკიდა.

„ნახვად დაიწყო ეს დღე! ჭერ იყო და იმ თვალძლიბლიანმა სტოპამ წყალი მომიყიდა არყის ნაცვლად! არ შევარჩენი... ახლა: მწიფე ხაპივით დამაწყებინეს გორაობა!.. თფუი, მავათი!...“

მერე წამოდგა, სტოპასგან წამოღებულ ბოთლებს ზღვაში გადაუძახა: „სხვამ მაინც არ გაიგოს ჩემი სირცხვილი!“...

ჩამოჭდა და გულგრილად უცქეროდა დილის ბურუსში მიმდღვლ ნაპირს. ზურმუხტისფერ ზოლად მოჩანდა ნაპირი ვერც სახლებს გაარჩევდი, ვერც მთებს. უფრო ხვდებოდა, ვიდრე ხედავდა, რომ ის ზურმუხტისფერი ზოლი ნაპირი იყო. ზღვას არც დასაწყისი უჩანდა, არც დასასრული.

როცა ის ზოლიც მიიშალა, ბადე-სათრომელის ჩაშვება დაიწყეს. წყალი ტყლაშუნობდა ბადის დაცემის დროს და შხეფებს ისროდა. ბადე ძმლებოდა, და წყლის ზედაპირზე თეთრ ზოლად მოჩანდა თოკი, თვით ბადე კი წყლის წიაღში იკარგებოდა. მცირე ტალღები ათამაშებდა და კლანკიდა ცისფერ სივრცეზე გაწოლილ თოკს.

ბეჟანი ბავშვივით ხარობდა ამ სანახაობით. იგი რალაც სულ სხვა აზრს პოულობდა ამაში.

„ადამიანი საგნის მიღმა უნდა იხედებოდეს...“ — აეკვიტა სადღაც გაგონილი, თუ წაკითხული.

ჯანგირი ბეჟანს მიუბრუნდა:

— ჩვენდენი დავიღვეია და სულ არ გეტყობა!

ელვასავით დაურბინა სხეულში ამ სიტყვებში. მიხვდა, იცის!

— არაყი ძნელად მერევა! — იბტიბარი არ გაიტება და ჯანგირის დამცინავ მზერას თვალი აპრიდა. ძლივს დაძლია სურვილი, ყელში წვდომოდა ამ წვერ-მოშვებულ ბერიკაცს.

— ანალგაზრდა ხარ და გასაკვირი არაა! მაგრამ ძან მაგარი არაყი კი შეგხვდა! იმის დამლევი ვიყავი, ნახევარი ჭიქა დამათრობდა!...

ბეჟანს არც შეუხედავს, ისე გასცა პასუხი:

— კაცი რომ ბერდება... გონიც ეცვიოთ... ასეა!

ჯანგირი მოიღუშა. ისევე ბადეს მიხედა და კბილებში გამოსცრა:

— ცოტა შენც დაგეტყო არყის ძაღა. განსაკუთრებით მაშინ, კვერცხივით რომ გორავდი! — ეტყობა, მოეწონა თავი.

ვისი სიტყვა და ოდნავ შესამჩნევმა დამცინავემა ლიმილმა გადაურბინა სახეზე.

უფრო და უფრო იჭუჭრებოდა ცა. მზის სინათლით ავსებული ღრუბლები შავლევდა ღრუბლებმა შეცვალეს. შემოფოთებამ იმატა.

— აქი გამოდარებას ვარაუდობდნენ პორტში?! —

ქარმა იმძლავრა. ტალღები წამოქოჩრა. ზღვა დაწყნარებას აღარ ფიქრობდა. მწითურმაც იგრძნო ავის სიახლოვე და რადიოგრამა გადაგზავნა მთავარ კატარაზე. პასუხმა დააკვირანა და, როცა მოვიდა, მეთევზეები ააბუზღუნა.

მწითურს აფრთხილებდნენ, პანიკას აღვილი არ ექნესო. ხალხი დაამშვიდევდა და საქმე განაგრძეთო. ამინდი არ შეიცვლებო.

სადილობის ქამმა მოაწია. საერთო კაიუტაში შეიკრიბნენ. სამი კაცი დატოვეს მეთვალყურედ და კატარლის სამართავად. საუზმის მონარჩენი ამოალაგეს. კატარლამ რწევას უმატა და ყველას ხელში ეჭირა თავ-თავისი ბოთლი. ჯანგირმა შემარბივებლურად მოუთათუნა ბეჟანს მხარზე ხელი და თავისი არაყი გაუყო. ჯერ პირქუშად იუარა ბეჟანმა. მერე გადაიფიქრა. ბოთლი გამოართვა და გაუღიმა. ჯანგირმა ისევ მოუთათუნა ხელი ზურგზე.

— ნუ გეწყინება, ჩვენებური ხუმრობა იყო! ხომ უნდა მიგელო მეზღვაურული ნათლობა! ან იქნებ, მეზღვაურებადაც არა გვთვლი? აქაო და მეთევზეებიო! შენც ერთი! ამთ ხომ ხედავ: ზოგი კრეისერზეც კია ნამსახური!... ნუ გეწყინება!...

— არც მწყენია!

— გეწყინა! არცაა გასაკვირი. მეც მეწყინა ერთ ღროს. ახლა მეც ასე „ვნათლავ“ სხვებს! საწყენი არაა, მაგრამ მაინც გეწყინება! თუმცა საოცარია, მაინც...

უცებ ისე აყირავდა კატარლა, ტანსაცმელზე გადაისხეს არაყი. შეიგინეს და ბანზე აცივდნენ. ქარი უზარმაზარ

ტალღებს მოაგორებდა. ცრიდა. ქუფრი ღრუბლები ტალღებამდე დაწვებულიყვნენ. ისევ დაეტაკა ტალღა კატარლას და წამით დაბნეული ხალხი მოცელა. უადრეს ჯანგირი მოეგო გონს, ბეჟანს ეცა და კაიუტაში შეაგდო. გაოგნებული ბეჟანი დაცემისგან მიყენებულ ტივილს ვერ გრძნობდა. ეგდო და განძრევისა ეშინოდა. ზემოდან გინება და ყვირილი ისმოდა.

მერე ლებინება დააწყებინა. სხვებმა შემოუსწრეს.

— ესლა გვაკლდა! — იყვირა მწითურმა.

— მოეშვი! — წინ აეფარა ჯანგირი, — გულ-ღვიძლი რომ გქონდეს, შენც გაღებინებდა!

— შენ რაღა ჩემი ფეხები გინდა! — აუხირდა მწითური და ხელი აუკრა. ჯანგირმა არ მოუთმინა. ისეთი თხლიშა, მწითური შექანდა. ახალმა ტალღამ იხსნა სირცხვილისაგან. კატარლა ისევ აყირავდა და ყველანი დამბალ იატაკზე დააგორა.

მერე ცოტა ხნით მიწყნარდა სტიქიონი. მწითური წამოდგა, ტუჩიდან სისხლი მოიწმინდა და უხმოდ ავიდა ბანზე. მერე ისევ შემოყო თავი და რადისტი დაიბარა.

— უნდა ვქამოთ! — განაცხადა ჯანგირმა. არაჟინ შეკამათებია.

არაყი მალე მოერია შემოფოთებულ ხალხს. გინება დაიწყეს.

— გეგმას შეგვაკლეს ოჯახქორებმა! მივართმევ, როგორ არა! ჩემი ხელით დავწყვეტ ბადეებს! — შავულვაშინამ ფუთიანი მუშტი აღმართა და ისე დაახეთქა მაგიდას, კინალამ ჩატენა.

ბეჟანს რწევამ თავბრუ დაახვია და ისევ აღებინა. მაინც ეძალეზოდა საჭმელს. გაკონილი ჰქონდა, ზღვის ავადმყოფობას შეეღისო. მანამდე არ მოეშვა. სანამ თევზის ფხა არ გაეჩხირა ღრძილში. რის ვაი-ვაგლანით ამოიღო, წამოდგა და კატარლაც შექანდა. კედელს მიართყა თავი. სიმწრის ცრემლები გადმოსცივდა:

— ვის რა დაგუშავე, ღმერთო!
თითქოს მართლაც სამაგიეროს გა-
დახდა იყო. ან იქნებ იყო?

არ მობრუნებულა, სხვებს, რომ არ
შეემჩნიათ მისი სისუსტე. სახელოთი
ამოიშრალა თვალები და იქვე, კედელ-
თან, ჩაცუცქდა შეშინებული ბავშვი-
ვით. ისევ ვერ მოიგონა, ვის რა დაუ-
შავა. მხოლოდ ამაზე ფიქრობდა ახ-
ლა. იხსენებდა.

რადისტი დაბრუნდა. იმედით მიაჩერ-
დნენ მას. ის კი ხმას არ იღებდა. მერე
ძეხვის ნაქერს დაწვდა და უგულოდ
დაუწყო ლექვა.

— თქვი რამე, შე ოჯახქორო! — ვე-
ლარ მოითმინა შავულვაშიანმა.

რადისტმა ჭერ იყუჩა, მერე ამოღერ-
ლა:

— წინამავალი დახმარებას გვპირდე-
ბა!

შავულვაშიანს ნერვებმა უღალატა.
წამოვარდა:

— ნაპირისკენ მოაბრუნეთ კატარლა,
თქვენნი!...

გარეთ ლამობდა გასვლას, მაგრამ და-
აკავეს. რადისტმა ზიზლით შეხედა და
იატაკზე გადმოაღუთა. სხვები ისევ მას
მიჩერებოდნენ. შეკითხვას კი ვერ ბე-
დავდნან.

— მოვაბრუნეთ. — როგორც იქნა, —
თქვა რადისტმა.

— მერე? — დაასწრო სხვებს ბე-
ჯანმა.

— არაფერი გამოდის! დინებამ გაგ-
ვიტაცა... —

ბეჯანი ისტერიამ დაჯაბნა. აღარ ახ-
სოვს. რა მოიშოქმედა. ისლა ახსოვს,
სხვები აწყნარებდნენ და რაღაცას ეუბ-
ნებოდნენ. თან აგინებდნენ; ბეჯანიც
იგინებოდა, ყველაფერს და ყველას ლან-
ძღავდა, მკვლელებს ეძახდა. ტრაპის
თავზე მწითური გამოჩნდა, ბეჯანმა მი-
სი ზიზლით სავსე გამოხედვა დაიჭირა
და შეაგინა.

ისევ შექანდა კატარლა. და ბაქანს და-
მამშვიდებლები შემოუფანტა. მწითუ-
რის პირისპირ აღმოჩნდა. მწითური

ტრაპის სახელოვან ჩასკიდებოდა, ამან
გადაარჩინა წაქცევას. მერე ენტელერ-
პირში მიანათა მუშტი ბეჭკანს მუშკანო
კედელს მიასკდა და გონება დაკარგა.

— ზღვაში გადაგდეთ ეგ ღორი! —
იყვირა მწითურმა. — ნაბიჭვრებით ამი-
ვსეს კატარლა!... მაგათი...

ჯანგირმა გაიწია, მაგრამ გააკავეს.
— რატომ გაარტყი, რატომ გაარ-
ტყი? — ყვიროდა შებოჭილი.

მწითურმა ზიზლით შეაფურთხა და
ბრძანება გასცა:

— ყველა თავ-თავის ადგილზე! ბაღე
უნდა ამოვიღოთ და ნაპირისკენ წავი-
დეთ! მოგვეშველებიანი ჩქარა-მეთქი,
თქვე ნაბიჭვრებო!

ტალღები გემბანს ლოკავდა. შეუძ-
ლებელი იყო მასზე გაჩერება. თოკი
შემოიბღეს წელზე და ბაღეს ეცინენ. გა-
ცოფებული წყალი ხელიდან სტაკებ-
და ბაგირს. მერე ბაღე გაწყვიტა და
ტალღებს ჩაახვიდა.

— ბაღე, თქვე ნაბიჭვრებო, ბაღე! —
ისტერიაშეყრილივით იყვირა მწითურ-
მა, მაგრამ თავის ხალხს რომ შეავლო
თვალი, ენა გადაყლაბა და სიმწრის
ბოღმა ყელში ჩატოვა ამოუნთხევი.

შავულვაშიანმა ნაჯახი იგდო ხელთ
და ბაღის ჭერგაუწყვეტელი ბაგირიც
გადაქრა. კატარლა ახალმა ტალღამ აი-
ტაცა და ისე ისროლა. გემბანამღე ჩაიძი-
რა წყალში.

კაიუტაში შებრუნდნენ ისევ.
მწითური რაციას ეცა და პანიკური
მოწოდება გაგზავნა ეთერში:

— ვილუბებით!... ვილუბებით!... SOS!...
SOS!...

ნაპირიდან ვილაყის ჩახლეჩილი ხმა
ისმოდა, მაგრამ რამის გარკვევა შეუძ-
ლებელი იყო.

ისევ დაეტკა უზარმაზარი ტილდა კა-
ტარლას და ისე გადახარა, ყველას ეგო-
ნა, ესაა ამოტრიალდა ჩვენი ვარცლი
და ცას ფსკერი მიუშვირაო. ნათურები
და ქურჭელი დაიმსხვრა. რაც რკინისა
იყო, უთაებლოდ გორავდა იატაკზე
და არავინ აპირებდა მის მოკრეფას. ჯა-

მები და ბადიები გულისგამაწვრილებლად ხრიგინებდნენ, მაგრამ აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ ეს ხმაური უფრო ანერგულუბდათ, ვიდრე ზღვის შფოთვა.

მწითური უცებ დაწყნარდა. ეს იმ კაცის სიმშვიდეს გავდა, რომელმაც მოწინააღმდეგის ძალა აღიარა, მაგრამ თანდაყოლილი სიჯიუტის გამო გადაწყვიტა, ადვილად არ დანებებოდა. გაეწამებინა, დაექანცა და მხოლოდ მაშინ დანებებოდა, თვალის გახელასაც რომ ვეღარ შეძლებდა. თავისი თავი დაარწმუნა, რომ არაფერი ჰქონდა დასაკარგი, რადგან ისედაც ყველაფერი დაკარგა და მხოლოდ იმასდა ნატრობდა, ზოლომდე ასეთი ნათელი გონება შერჩენოდა.

მწითურმა მშვიდად დაამსხვრია რაცია და სტიქიონს მიუგდო. უცებ ამხანაგები მოენატრა, მათთან ჩავიდა. ჯანგირს თხოვა, ძელ-სკამზე ცოტათი ჩაწეულიყო. ჩამოჯდა და სიგარეტი გააბოლა.

— ეურნალისტი როგორ არის? — იკითხა ყველას გასაკვირად.

ხმა არავის ამოუღია.
მწითურს არ გაკვირვებია. იცოდა, ასე მოხდებოდა.

— ზედმეტი მომივიდა! — თქვა ბოლოს, — ვნანობ! მოულოდნელობამ დამაბნია!

არავის შეცოდებია, მაგრამ ჯანგირმა მაინც დაარღვია დუმილი:

— გონწასულია! შენს კაიუტაშია!
— იყოს!.. — ჩუმად თქვა მწითურმა, თითქოს ვინმე აპირებდა ბეჟანის იქიდან გამოყვანას. მერე დუმილი დაარღვია ისევ და შავულვაშიანს მიუბრუნდა:

— კარგი ქენ, ქარიულაპია, ბაგირი რომ გადაჭერი. აღრე უნდა გადაგვეჭრა, მაგათი ბადის და მაგათი დედის!... გეგმაა მთავარი! ჩვენ ფეხებზე ვკიდივართ! — მერე ისევ იყუჩა. ბოლოს თქვა: თუ ღმერთმა ინება და მშვიდო-

ბით გავალწიეთ, ჩემი ხელთ დავწავამ ვარცლს!...

არც ახლა შეცოდებია მისთვის, მაგრამ მაინც თანაგრძნობით უთხრეს:

— კატარღას რას ერჩი?
მწითურმა ზედი-ზედ დაარტყა ნაფიზი და სწორედ მაშინ უპასუხა, როცა ყველას ეგონა, კითხვა არც კი გაუგონიაო.

— როცა ჩვენი ნაწილი, ბერლინში შევიდა, ჩვენი ბიჭები ბარონებისგან მიტოვებულ სახლებში შეცვედნენ და მოოქროვილ კედლებს ავტომატის ჯერი დაუშინეს... სულ დალეწეს იქაურობა. კედლებიდან სურათები ჩამოყარეს და ფეხებით გათელეს... მერე აგვიკრძალეს. უნდა დავიცვათო. მაგრამ არავინ დაუსჯიათ. სულ არავინ. კედლებს რას ერჩოდნენ?!..

— მაშინ ომი იყო!...
— ახლაც ომია... უფრო საშინელი! მაშინ იცოდი, რისთვის იბრძოდი. ახლა? ყოველ დილით ძეხვი და გაბოლილი თევზი რომ გვეკონდეს?! მაშინ ვიცოდით! კაცის კვლა მოგვწყინდა და კედლებს დავუშინეთ ტყვიები, არც გავუმტყუნებდით ვინმეს... ახლა ჩვენ მოგვდებენ შარს. კატარღის მართვის უცოდინარობას დაგვაბრალებენ!..

იყუჩა და გაიფიქრა:
„რატომ ვთქვი ასე?! ან, საერთოდ, განა ამის თქმა მინდოდა ახლა? ან ვინ რას დაგვაბრალებს? ეს ხომ უაზრობაა! ან ის რად ვთქვი, კატარღას დავწვავ-მეთქი? მართლაც მინდა ამ ვარცლის დაფერფლვა, მაგრამ რატომ მინდა?!“

— მე კი დავწვი ჩემი ავტომატი! — ჩუმად თქვა ჯანგირმა, — მრავალჯერ სიკვდილს გადამარჩინა და მაინც დავწვი... ორდენი მიმაღებინა და მაინც დავწვი!

— ახლა ყველაფერს ჩვენ დაგვაბრალებენ! ბადის დაკარგვისთვისაც ჯამბირიდან დაგვიქვითავენ! — ლაპარა-

კობდა მწითური და თვით უკვირდა, რატომ ამბობდა ასე. იცოდა, ტყუოდა. უნდოდა ხმა გაეკმინდა, მაგრამ არ შეეძლო. ხანდახან ისიც ეგონა, პირი მოკუმული მაქვსო, მაგრამ თავისივე ხმა ჩაესმოდა ნათლად. და მიხვდა: დაუსრულებლივ ლაპარაკობდა. იმედი ჰქონდა, რომ გაჭირვებაში არ მიატოვებდნენ, რომ ნაპირიდან, იქნებ, უკვე წამოსულიყა მაშველი. უნდოდა ხმამალა ეთქვა ეს, მაგრამ სულ სხვას ამბობდა:

— ბაღე, ალბათ, უკვე იპოვეს და უკან გაბრუნდნენ! ჩვენ ფეხებზე ვკიდივართ! ჩვენი რომ გადავჩრეთ, იმასაც დაგვაბრალებენ, თევის ჰერის ნაცვლად თავის გადარჩენაზე ფიქრობდითო. საქმეს არ შეწირეთო თავი და იქნებ დაგვაპატიმრონ კიდევ!... იქნებ გეგმის ჩაგდებაც ჩვენ დაგვაბრალონ და ხალხის მტრად გამოგვააცხადონ!...

„გავგიჟდი! — დაასვენა ბოლოს. — ნერვებმა მიმტყუნა! თითქოს ნორმალურად ვაზროვნებ, მაგრამ მოქმედება მთლად მომეშალა! იქნებ ჩემდაუნებურად ვამბობ ამას მეთევზეების საამებლად?... იქნებ, მართლაც ასეა!... ეს ხომ ასეა!... არა, გიჟი არა ვარ, მაგრამ ასე თანაგრძნობით რად მიცქერაინ?...“

მერე თავის მშობლიურ აულში განაგონი ამბავიც გაახსენდა: ზევში გადაჩეხილ და კლდის ქიმს შერჩენილ მეგობარს ცოლის ღალატით რომ ახელებდა სამშვიდობოს დარჩენილი: ჯობს, ახლავე უშვა ხელი კლდეს და გადაიჩეხოო. შენი ცოლი მაინც მე მყვარობსო. მევან და მევან ალაგას ვხვდებოდით ერთმანეთსო... ის კი მთელი ღამე ებღაუჭებოდა კლდის ქიმს, თავს ძალას ატანდა. და ახლა მხოლოდ იმიტომ სურდა სიცოცხლე, შური ეძია ორგულ მეგობარზე... ახლა შენ მალე მოკვდები და სამალავიც აღარაფერი მექნებაო. მსახურად გავიხიდი შენს შვილსო, — ისევე ახელებდა ზემოდან მეგობარი. ეგ იმიტომ, სიბრაზე ძალას მატებს ადამიან-

სო, ამბობდნენ ზღაპრის მთქმელები...

უმატებდნენ: ადამიანი დასდებდა არა იმით, რას აკეთებს. არამედ იმით, რატომ აკეთებს...

„ჯანგირი მეუბნება რაღაცას... უუუ... აააიშო... არ მესმის! მხოლოდ ბაგეების მოძრაობაზე ვხვდები ხანდახან, რა ბგერებსაც წარმოთქვამს... მე მხოლოდ ჩემი ხმა მესმის... ბოზი, ჩახლენილი. დიახ, დიახ, ეს ჩემი ხმაა!... მაგრამ რად ისმის ასე შორიდან?!“

გაახსენდა: ერთხელ ფული შეაგროვეს და ახლადმოსულ ქაბუქს, მათ შორის ყველაზე უმცროსს, გაატანეს ნაპირზე არყისა და საუზმის საყიდლად. მაშინ რატომღაც გაიფიქრა: „ახლა ჯანგირი იტყვის, რომ სისულელე გავაკეთეთ, რადგან ეს გალექტილი ბიჭი ფულს ჩიჯიბავს და გაიქცევაო. მე კი ვიტყვი, რომ ჯანგირი სულელი ბებერია, რომ მას ყველა ადამიანი ქურდი გონია! და ისე დავცინებ, სამ დღეს ეყოთ სასაცილოდ ბიჭებს!“ მაგრამ ჯანგირს ხმა არ ამოუღია. მწითურმა ვერ მოითმინა, თვითონ თქვა ის, რაც, მისი აზრით, ჯანგირს უნდა ეთქვა. თვითონაც არ იცის, რამ აიძულა. ძალიან უნდოდა თავის შეკავება, მაგრამ მაინც თქვა. და ახლა ჯანგირმა უწოდა მას ბებერი სულელი და ისე დასცინა, მართლაც სამ დღეს იცინოდნენ ამის გახსენებაზე...

„რატომ მიწვევს ყოველთვის სხვისი სათქმელი სიტყვის თქმა. რატომ ვაკეთებ იმას, რაც სხვამ უნდა გააკეთოს. რა მიძულებს? ან ახლა რატომ ვამბობ იმას, რისი თქმაც არ მინდა?!...“

ყურები უწიოდა და ისეთი გრძობა ჰქონდა, თითქოს ტვინსა და თავის ქალას შორის ცივი ნისლი რიალებდა, ეხვეოდა, სწორედ ისე, მთის წვერთან რომ იცის, და სულ უფრო კუმშავდა ტვინს. მერე თითქოს თავის ქალა გადაეხსნა, და იმასლა დარდობდა, როგორ დავიკო სურვილი და ამ გადახსნილი თავიდან ტვინი არ ამოვიდოო...

ისევ ასრიალდა კატარღა ტალღაზე და უცებ უფსკრულისკენ დაეშვა. ისეთი ვრძნობა იყო, თითქოს ჰაერში ეშვებოდა ადამიანი დაუსრულებლივ და ყოველ წამს ელოდა: აი, ახლა გადავიჩეხები, აი, ახლაო. მაგრამ კატარღა ფსკერით წყალს დაასცდა, წამით ჩაიყურყურმაღავა და ბანზე გადავლილმა წყალმა ქვემოთაც ჩამოასხა. კატარღა შეინჯღრა და ანძები ატრიალდა.

„მათი უფროსი რომ არ გყოფილიყავი, მეც მათსავით უღარდელად ვიქნებოდი! ნაბიჭვრები! რალაც სამუშაო უნდა მივცე, რომ ხალხი გავართო!“

კატარღა ისევ გვერდზე გადაიხარა, აღარ გასწორებულა.

— სწრაფად!... წყალმა ფსკერი გახვრიტა!.. — თქვა, თუმცა იცოდა, ახსნა არ იყო საჭირო. — ჩქარა-ამეთქი, თქვე...

ახლა მხოლოდ ის უკვირდა, რატომ აქამდე არ ვიცოდი. ასეთი უცნაური ხმა თუ მქონდაო...

* * *

...მერე გავიდა დრო და ეს ნაწილები ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ აღარც კი იციან იმ ერთის ნაწილი თუ არიან!... აღარ იციან... ეს ერთის დაყოფა ახლაც ხდება, მაგრამ მთავარი დაყოფა მაშინ მოხდა... ახლა უნდა გამოჩნდეს კაცი, რომელიც შეაერთებს ამ ნაწილებს, ისევ ერთარსად აქცევს... ეს, საერთოდ, ჩვენც უნდა შეგვეერთოს. ჩვენც, ამ კატარღაზე მყოფნი. და სხვებიც. მთელი სამყარო. რადგან ეს მთებიც, ეს ზღვაც, ეს გემებიც, ეს ცაც იმ ერთის ნაწილებია. ჩვენც. ადამიანებიც. ოღონდ ჩვენ გონიერები ვართ. ჩვენ უნდა გავიგოთ, რატომ დანაწილდა, ან რატომ უნდა შეერთდეს... და უნდა დავრწმუნდეთ: ეს შეერთება აუცილებლად უნდა მოხდეს!... თუ ჩვენს გარე სამყაროში არა, ჩვენს შიგნით მაინც, ჩვენს გონებაში! აუცილებლად უნდა მოხდეს“...

ბეჟანი საწოლიდან ვადმოვარდა და თვალები გაახილა. ძლივს აბობლდა სა-

წოლზე. სახსრების ყუვილი იგრძნო. სხეული დაბუქებოდა, პირზე თრენესავით გახურებოდა. მერე მოტკბო: ||სიტხბბთ აევსო ღრძილები. მოწუწუნა და ვადმოაფურთხა. ნერწყვის სისხლი ვადმოყვა. ისევ დაეწყო გულისრევა...

თავი წამოსწია, მაგრამ ჩამოვარდა. მარცხენა გვერდზე ვადაბრუნდა, და აღებინა. მერე სიგარეტს მოუკიდა. პირველი ნაფაზის შემდეგ უმატა თავბრუსხვევამ. სიგარეტი ვადააგდო და ჭერს მიამტერდა. ოთახი მღვრივ ტალღებით ივსებოდა და ისევ იცლებოდა. და ასე დაუსრულებლივ. მას კი მხოლოდ ის უკვირდა, წყალი რად არ მადრჩობსო. ან, იქნებ, მადრჩობს და ვერ ვგრძნობო. ან იქნებ, უკვე დამადრჩო და ჭერაც ცოცხალი მგონია თავი, და დიდ ხანს კიდევ ასე მეგონებო...

თვალები დახუჭა და ყველაფერი დატრიალდა. თუმცა თვალდახუჭული იწვა, ნათლად ხედავდა, როგორ ტრიალებდა ირგვლივ კედლები, სკამები, საწოლი და ჭერზე გამოკიდებული დამსხვრეული ნათურა.

ისევ გაახილა თვალები. თავბრუს ხვევამ უკლო. არაყს დააბრაღა ყველაფერი. არ უნდა დამელიაო. მაგრამ ჭანგირს ეწყინებოდაო, იმართლებდა თავს...

ზემოთ ღიადდარჩენილი კარი ბრახუნობდა. კაიუტის კედლები ჭრიალებდა. ქვემოდან კი ვილაცის ყვირილი და გინება ისმოდა.

„ბედმა მიწია, — ვაიფიქრა ბეჟანი. — იმ ვოგონას სამაგიეროს მიხდის. ზღვამ რომ დაადრჩო, იმ ვოგონას. მე იქ ვიყავი და ვერ მივეშველი! რა ღღეში იქნებოდა მაშინ! როგორი იმედი ექნებოდა ჩემი! როგორ მევედრებოდა, ალბათ... ხმა არ მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მევედრებოდა! ოღონდ ვამიყვანე, ოღონდ... მევედრებოდა. მე კი ძალა არ მეყო. შემეშინდა. საკუთარ ტყავს ვაეუფრთხილდი. ვონება მაქვს, მაგრამ ძალა არ მყოფინს... როგორ მევედრებოდნენ მისი თვალები! შორს იყო, მაგრამ მაინც ვხედავდი. თუმცა

არა ისე ნათლად, როგორც ახლა ვხედავ!... არა, მაშინ, საერთოდ, არ დამინახავს. მაშინ შეშინებული ვიქეპე, გარინდებული. რომ ამოიყვანეს, თვალები ჰქონდა დახუჭული, და იმ აზრმა დამტანჯა, რომ მის თვალებს ველარასოდეს ვნახავდი... მაგრამ ვნახე. ღამით, როცა ნანახი განვიცადე, უცებ დავინახე ის მავედრებელი თვალები!... და ახლა ვეღარ ვიშორებ!...

უმწეოდ ატრიალებდა თავს სასთუმალზე. ყოველი განძრევა აუტანელ ტკივილს აყენებდა.

მისთვის ახლა სულერთი იყო ყველაფერი, ოღონდ ამ ცისფერ მავედრებელ თვალებს დამალოდა სადმე.

ცისფერს?! რატომ ცისფერს?!

ის კი სულ უფრო ახლოვდებოდა. სადაცაა, მის სულში შემოვიდოდა, რომ საბოლოოდ დაეწეწა იგი...

მერე იქ, ჩრდილოეთში ნანახი გოგონას მოგონება სცადა. მაგრამ მასაც ასეთი მავედრებელი ცისფერი თვალები ჰქონდა. უკვირდა: აბა, აქამდე რად მეჩვენებოდა იმ გოგონას თვალები გიშრისფრად?!...

მერე სხვებიც მოიგონა და ისინიც ევედრებოდნენ რაღაცას. მაგრამ ბეჯანი ვერაფერს შევლოდა მათ, ისევე, როგორც იმ ზღვაში ჩათრეულ გოგონას ვერ უშველა...

თვალები... თვალები...

ყველას, ყველას!...

მწითურსაც, ქარიყლაპიასაც, ჯანვირსაც...

და ყველანი იმ ორ მავედრებელ ცისფერ თვალებში ერთდებოდნენ.

მერე ბეჯანმა ტაძრის კედელზეც ნახა ის თვალები, მაშინ ღვთისშობლის თვალები ერქვა მათ.

და ისინი სულაც არ ითხოვდნენ ახლა, ამ წუთას ვადარჩენას, ამ სტიქიონიდან თავის დაღწევას. მათ სულ სხვა რაღაც აწუხებდათ. და ბეჯანმა არ იცოდა, რა იყო სხვა...
„ღმერთო ჩემო, ასე რამ დაამსგავსა ეს თვალები ერთმანეთს! ან რად ვერ

ვამჩნევდი ამ მსგავსებას მაშინ, როცა ცალ-ცალკე ვხედავდი მათგან ერთ-ერთს? რა მარტივად, რა უბრალოდ! ვადარაწყდა ყველაფერი! რა იოლად დაუკავშირდა ყველა მისწრაფება, ყველა მიზანი, იმედი და მოლოდინი, ბრძოლა და ძიება ამ ერთადერთ სურვილს, ერთადერთ მისწრაფებას: რამდენიმე წამს კიდევ ეცლიათ მისთვის სიცოცხლე...
რა უცებ იგრძნო, რომ არაბრძობას გამოდევნებია და ახრი ჰეშმარიტი ფეხქვეშ გაუთელავს...
ნატრობდა, ერთი ადამიანი მაინც ყოფილიყო ნაპირზე, მისი სიკვდილი რომ დანანებოდა, რომ შეიბრალებოდა...
თვით არ იცოდა, რად უნდოდა ეს. იქნებ, იმიტომ, ახლა საოცრად ებრალებოდა თავი.

„ან იქნებ, ყველა ადამიანმა უნდა განიცადოს ეს წამი?...“

მხოლოდ იმიტომ, რომ მას დრო ექნება გაიზაროს და ისე წავიდეს ამ უაზრო ფუსფუსით დატვირთული ქვეყნიდან...

ნეტარძი მას!... მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის ყოველი წამი ძვირფასია და ყოველი წამი, ადრე უაზროდ მიმოფანტული, დატვირთულია რაღაც სამყაროული განცდით, რაღაც მისწრაფებით. დაე, თუნდაც ზორციელით, რომელშიც რაღაც ნაწილით მაინც გამოვლინდება, თვით სამყაროს დამტანჯველი სწრაფვა მარადიულობისაკენ, სილამაზისაკენ... და ამ ერთარსში შეერთებული ცვლა სამყაროთა...

განაჩენი აღსრულდა!...

იქნებ ყველა ჩვენგანის საფლავის ქვას უნდა ეწეროს ეს. და თუ პატიოსან კაცად ვიწოდებოდით, მხოლოდ იმიტომ, იარაღი ვერ გვიანხებს ხელში...

ნეტარძი მას!... რადგან უკანასკნელ წამს იგრძნობს, რა უაზრო იყო მისი თავმოწმონეობა, მისი ბრძოლა, მისი მისწრაფება, მისი მწარე სიტყვა სხვის მიმართ თქმული, და იმასაც მიხვდება, რომ არც მისმა კეთილმა სიტყვამ მოაშორა ვინმეს გულს ლოდი...

ნეტარძი მას!... მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის ყოველი წამი ძვირფასია და ყოველი წამი, ადრე უაზროდ მიმოფანტული, დატვირთულია რაღაც სამყაროული განცდით, რაღაც მისწრაფებით. დაე, თუნდაც ზორციელით, რომელშიც რაღაც ნაწილით მაინც გამოვლინდება, თვით სამყაროს დამტანჯველი სწრაფვა მარადიულობისაკენ, სილამაზისაკენ... და ამ ერთარსში შეერთებული ცვლა სამყაროთა...

განაჩენი აღსრულდა!...

იქნებ ყველა ჩვენგანის საფლავის ქვას უნდა ეწეროს ეს. და თუ პატიოსან კაცად ვიწოდებოდით, მხოლოდ იმიტომ, იარაღი ვერ გვიანხებს ხელში...

ნეტარძი მას!... რადგან უკანასკნელ წამს იგრძნობს, რა უაზრო იყო მისი თავმოწმონეობა, მისი ბრძოლა, მისი მისწრაფება, მისი მწარე სიტყვა სხვის მიმართ თქმული, და იმასაც მიხვდება, რომ არც მისმა კეთილმა სიტყვამ მოაშორა ვინმეს გულს ლოდი...

ნეტარძი მას!... რადგან უკანასკნელ წამს იგრძნობს, რა უაზრო იყო მისი თავმოწმონეობა, მისი ბრძოლა, მისი მისწრაფება, მისი მწარე სიტყვა სხვის მიმართ თქმული, და იმასაც მიხვდება, რომ არც მისმა კეთილმა სიტყვამ მოაშორა ვინმეს გულს ლოდი...

ნეტარძი მას!... რადგან უკანასკნელ წამს იგრძნობს, რა უაზრო იყო მისი თავმოწმონეობა, მისი ბრძოლა, მისი მისწრაფება, მისი მწარე სიტყვა სხვის მიმართ თქმული, და იმასაც მიხვდება, რომ არც მისმა კეთილმა სიტყვამ მოაშორა ვინმეს გულს ლოდი...

ნეტარძი მას!... რადგან უკანასკნელ წამს იგრძნობს, რა უაზრო იყო მისი თავმოწმონეობა, მისი ბრძოლა, მისი მისწრაფება, მისი მწარე სიტყვა სხვის მიმართ თქმული, და იმასაც მიხვდება, რომ არც მისმა კეთილმა სიტყვამ მოაშორა ვინმეს გულს ლოდი...

რა უაზრო იყო ყოველივე ეს იმ ქვე-
მარტი სწრაფვასთან შედარებით, რო-
მელსაც უარყოფდა, ან ვერ ხედავდა.

და ის, რაც იღუმალებით მოცული
აზრი ეგონა ცხოვრებისა, საოცრად ნა-
თელი და მარტივი იყო ამ წუთას. ხო-
ლო ის, რაც საოცრად გასაგები იყო
თითქოს, ამოუხსნელ საიდუმლოებად
ეჩვენებოდა ახლა...

რაც ადამიანმა ენა ამოიღვა, მას
მერე ქვეყნის ამოებაზე ჩივის. მას მე-
რე გარბის იგი აწმყოდან სივრცით და
დროით და იქ გონია კარგი, სადაც არ
არის თვითონ. ის დრო, რომელიც არას-
დროს განუცდია...

მარადი წუხილი. წუხილი, რომელიც
აკეთილშობილებს ადამიანს. სწრაფვა,
რომელსაც არა აქვს საბოლოოდ მიზა-
ნი. სინანული იმისა, რაც გააკეთა. სი-
ნანული იმისა, რაც არ გაუკეთებია...

ჩვენ ჩვენს სულში არსებული ადა-
მიანი გვიყვარს და გვებრალება. ჩვენ
ჩვენს სულში არსებული სამყაროს
ფარდს ვეძებთ ცხოვრებაში და თუ ვერ
ვიპოვით, ძიებით დალილები პირველ
შემხვედრს მივაწერთ ყველა ჩვენს
იდეალს და უღირსი შეიქმნება ღირსეუ-
ლის ზორცშესხმული სახე...

ბევრში ჩვენ ისევ იმ იდეალის სხვა-
დასხვა მხარე გვიყვარს...

სევდა. თითქოს სასოწარკვეთაც. არა
წამიერი, ყველას მიერ ხშირად განც-
დილი. სევდა თანდაყოლილი: აკნიდან
კუბოს კარამდე. სევდა და წუხილი. ვე-
ძებთ და არ ვიცით რას. ვეძებთ ინს-
ტიტურად. ვეძებთ და ვერ ვპოუ-
ლობთ. სევდა, ზოგჯერ მიყუჩებული,
ზოგჯერ აღორძინებული. სევდა, რომე-
ლიც არააობად აქცევს ზოგჯერ მთელ
სამყაროს ჩვენს სულში, იქნებ, იშვია-
თად ვგრძნობთ მას. მაგრამ მაშინ, რო-
ცა ვიგრძნობთ, უცებ მივხვდებით, რომ
იგი მხოლოდ ამ წამის ნაყოფი არ არის
და სადღაც ჩვენს შიგნით მუდამ არსე-
ბობდა...

და მასთან ჩემი სევდაც. პატარა, უმ-
ნიშვნელო, მაგრამ თვით ჩემგან სამყა-

რის მარადიულ წუხილთან შედარებუ-
ლი...

წუხილი, რომელიც მე...
ცევადა...

კარმა გაიჭრიალა და ბეჯანმა ჯანგირს
მოკრა თვალი.

— კარგადაა საქმე! — ანუგემა ჯან-
გირმა. თუმცა, ეტყობოდა, თვით არ
სჯეროდა თავისი სიტყვების. ბეჯანმა
მაშინვე იგრძნო ეს, და უკანასკნელი
იმედიც წაერთვა. ახლა მხოლოდ იმას
ნანობდა, თავაზიანი რომ იყო ცხოვრე-
ბაში და უკანასკნელი სიამეც არ გამოგ-
ლიჯა მას.

კერს მიაშტერდა და გატეხილი ნა-
თურის ქანობით ირთობდა თავს.

ღმერთი არ სწამდა, მაგრამ განსაც-
დელის ეამს, როცა ადამიანის ძალაში
ინსტიტურად შეეპარებოდა ევევი, რა-
ღაც უფრო მარადიულს, რაღაც უფრო
ძლიერს თხოვდა შეწყნარებას და არც
აინტერესებდა, არსებობდა იგი თუ არა.
ამ „რაღაც ძლიერის“ რწმენა თვით მას-
ში იწვევდა აღორძინებას და ყოველი-
ვე ამას იმ შეუცნობელის ძალას მია-
წერდა.

„ახლა რომ დავიღუპო, გმირად მომ-
ნათლავენ!“

ქვეშარტად, რომ არაეინ იცის, რა
სახელით ჩავა კაცი საფლავეში, ან რად
იქცევა სიკვდილის შემდეგ პირველი
შთამომავლობის თვალში...

„მართლაც საოცარია, — ფიქრობდა
ჯანგირი, თითქოს ბეჯანის ფიქრს განაგ-
რძობდა, — კაცი, რომელიც მთელი სი-
ცოცხლის მანძილზე ბიწიერების მო-
რევეში ტრიალებს და მხოლოდ სიკვდი-
ლის წინა წუთებში სინანულით მოიხ-
სენებს თავის ცხოვრებას, ამაღლებუ-
ლად ითვლება. თვით რელიგიაში ითვ-
ლება შეწყნარებულად და ამაღლებუ-
ლად, ხოლო წმინდანი, რომელიც წა-
მით ინანებს თავის სიწმინდეს, სულდა-
ცემულად მოინათლება. თვით ის ღმერ-
თი არ შეუნდობს, რომელსაც ერთგუ-
ლად ემსახურება მთელი სიცოცხლე...
მართლაც, საოცარია...“

— ხომ არაფერი გტყვი? — სიტყვის მასალად იკითხა ჯანგირმა.

ბეჟანმა უარყოფის ნიშნად თავი გააქცა.

— ცოტა მოტეხილი იქნები, მაგრამ არა უშავს... ნაპირზე გადავალთ თუ არა, ჩიტვით აფრთხილდები!... — ჯანგირმა იცოდა, ბეჟანს სიჩუმე ურჩევნოდა ახლა, მაგრამ სხვისი დამშვიდებისას თვით მშვიდდებოდა უფრო. ამიტომაც ყბედობდა გაუთავებელივ.

— ზღვაც წყნარდება... სადღაცა გამოიდარებს! — თქვა და მიხვდა, ზედმეტი მოუვიდა. გარეთ კოკისპირულად ასხამდა და ტალღების სიმადლეც მატულობდა.

იცოდა, ისეთი ტყუილი თქვა ახლა, ის დაჯერებული ნახევარტყუილიც გააქარწყლა. თვით დაუკარგა მისმა სიტყვებმა იმედი, და იყუჩა.

მერე თამბაქო გაახვია და კედელს მიამტერდა.

„იქნებ ასე არ გამჭირვებოდა, ვინმეს რომ ვუყვარდე! მაშინ მხოლოდ მასზე ვიფიქრებდი, და აღარ იქნებოდა ეს მტანჯველი მოლოდინი... რაღაც საოცარის, რაღაც შეუცნობელის, გონებით მიუწვდომელის მოლოდინი, თუმც ადრე შეგონა, საკმაოდ კარგად ვიცნობდი მას... ვინმეს, რომ ვუყვარდე; ვინმეს! მეგონოს, რომ ვუყვარვარ!... მე მიყვარს, მაგრამ არ შემიძლია მასზე ფიქრი! მე მინდა ვიფიქრო იმაზე, ვისაც ვუყვარვარ და არ შემიძლია, არ მინდა ვიფიქრო იმაზე, ვინც მიყვარს! საოცარია!..“

„მართლაც, საოცარია!“ — ფიქრობს ჯანგირი ისევ.

მერე ნამძინარევი სტოპა მოიგონა ბეჟანმა. ახლა, მართლაც, სასაცილოდ ეჩვენებოდა ის ხუმრობა, არ ბრაზობდა, თითქოს სიამოვნებდა კიდევ, როგორც სიცოცხლეში განცდილი უნეტარესი წამი.

„რომ გადავჩნებოდე, ფულსაც შევარჩენ და მოტყუებასაც!“

ხატის წინ თქმულ აღთქმასავით ამ-

ბობდა გუნებაში. ამ აზრს ჩაებლატკა, თითქოს ეს იყო უკანასკნელი იმედი...

კატარღა ეამიდან ეამზე ყირაედებოდა. ბოლოს უხშირა რწევას. უზარმაზარი ტალღები ისე ათამაშებდა, როგორც დევები ტიკინას, ცხვირით წყალში ერჭობოდა, მერე ტალღა ზემოთ ააგდებდა და ახლა გაუწვრთნელი, სტიქიონისაგან დაშინებული კვიცივით დგებოდა ყალკზე.

დროდადრო კაიუტის ჩალეწილ ფანჯარაში თქეშად ასხამდა მლამე წყალი.

ბანზე უეცრად გადავილიმა წყალმა კარი შემოანგრია, იატაკზე გაიტყალაშენა და ისევ გარეთ გაფარდა, კატარღის კიდეს დაეკიდა ჩანჩქერავით. ქარს სუსხი და წვიმის წვეთები შემოქონდა კაიუტაში. სიგრილე ცოტათი შველოდა სუნთქვაშეხუთულ ბეჟანს.

ჯანგირმა თამბაქოს ნამწვავი სარკმელში ისროლა, მაგრამ ქარმა უკან შემოაგდო და კედელს მიანარცხა.

საოცარი იყო: ამ გრგვინვაღრიალში თითქმის ჩურჩულით ეტყოდნენ ერთმანეთს ორიოდ სიტყვას და მაინც იგებდნენ. არც გამეორება დაჭირვებიათ. იქნებ, წინასწარ გრძნობდნენ, რასაც იტყოდნენ. ან ის იცოდნენ, სხვა სათქმელი არ ექნებოდათ.

ბეჟანმა მადლიერი თვალებით შეხედა ჯანგირს და ჯანგირმაც იგრძნო მისი სათქმელი:

— გიკვირს, ალბათ!... დილით რა გიტენი, ახლა კი...

— არა, რატომ...

— ჩემი ბიჭიც შენხელა იქნებოდა ახლა... აღარ დამბრუნებია ომიდან. გემის ძრავაში ჩააგდეს. ნაწილ-ნაწილ აკუწეს ღვუშებმა. ადრე აგრონომი ვიყავი, ომის შემდეგ შევიცვალე პროფესია... საათობით ვუკებრ ღვუშებს და... თითქოს მამშვიდებს მათი ღრიალი... თვითონ არ ვიცი, რა შემართება... უცნაურია, არა?

ბეჟანმა არ უპასუხა. მისდაუნებურად

სიცილი მოუნდა ახლა. თავშეუქავებელი, ისტერიული სიცილი. და ძლივს დაძლია სურვილი: ჯანგირი სულ სხვაგვარად გამიგებსო. მას კი უნდოდა სიცილისგან წამოსვლოდა ცრემლები. ყოველ შემთხვევაში, ასე იმართლებდა თავს...

ჩამობნელდა. ანძაზე საგანგაშო ლიფლიფა ჩამოკიდეს. კაიუტაში კი წყვედი-აღმა დაისადგურა: ყველა ნათურა და ლიფლიფა დაემსხვრია სტიქიონს. ის, ერთადერთიც, საცოდავად ბეუტავდა. რიგრიგობით დარაჯობდნენ, რომ არ ჩამქრალიყო...

— ბევრვობიდანვე სუსტი იყო. გალახვას ვერიდებოდი. მაშინვე დაუღუპრდებოდა კანი. უცნაური იყო. თამაში არ უყვარდა. იჭდა თავისთვის და ფიქრობდა. ნეტავ მაცოდინა. რაზე ფიქრობდა... მერე ფრონტზე წაიყვანეს. უენო იყო. არც წასვლისას უთქვამს რამე, მხოლოდ ისე შემომხედა, ახლაც მეწვეის გულ-ღვიძლი... რატომ არ მიხსენიო... რად არ მიხსენი ასეთი უმწეო, ასეთი... — თითქოს მეუბნებოდა. სხვები ხომ დაუძვრნენ კომისრებს... მართლაც, დაუძვრნენ კამეჩივით ბიჭები! ის კი წაიყვანეს... ნეტა არ შემოეხედა, ისე წასულიყო. რას მიშველიდა, მაგრამ მაინც... სუსტი იყო, ძალიან სუსტი. მაგრამ სიმართლის არ ეშინოდა. ავად რომ განდებოდა, სურდოც რომ შეყროდა, ღამეებს ვუთევედი, გვეშინოდა ხელიდან არ გამოგვეცლოდა... მშიშარაც იყო. რომ დაბნელდებოდა, ცხვირს ვერ გამოყოფდა გარეთ. მატარებლის კივილიც აშინებდა. მაგრამ სიმართლის არ ეშინოდა. რაც უნდ ეშმაკა, გამოტყდებოდა, ტყუილს არ იტყოდა. ოცდაორი წლისა იყო, რომ წავიდა... წავიდა! რატომ არ შემიძლია ვთქვა, რომ მიდის. აი, ახლა მიდის!... წინა ღამით შფოთავდა. ის მაინც მეკითხა, რა ესიზმრებოდა, რაზე ფიქრობდა... ღმერთო ჩემო, რატომ იყო ასე ჩემი! თერთად გავათენეთ ღამე მე და დედამისმა. თავზე ვადექით, ვეფერებოდით მძინარეს...

ცრემლებს ვემაღავდი ერთმანთს. ბოლმა გვადრჩობდა... ოცდაჯერო წლისა იყო და ორი წლის ბავშვივით წიფდებოდა რძის სუნი ასდიოდა... ან იქნებ, ახლა მგონია, რომ ასე იყო ყველაფერი...

ჯანგირმა სიკვდილმისჯილის ღმილით გაიღიმა და ახლალა გაახსენდა, მარტო რომ არ იყო კაიუტაში. ბეჟანს მიუბრუნდა:

— პატარაობისას...

კატარღა შეინჯღრა და ჯანგირს სიტყვა გააწყვეტინა. გარეთ ვაიუშველებელი ვაისმა. ჯანგირი ბანზე ვავარდა. ყვირილმა იმატა. ვილაცას აქეზებდნენ და ანუეგშებდნენ.

მეყსეულად ვილაცის წამონაროში მოიგონა ბეჟანმა:

„მხოლოდ ომს ძალუქს კეთილშობილების ბეჭედი დაასვას ხალხს... კაცობრიობამ მხოლოდ ომში მოიპოვა თავისი სიდიადე... მუდმივი მშვიდობიანობის პირობებში კაცობრიობა დაიღუპებოდა...“

— სისულელეა ომი! ღმერთო ჩემო, ორიოდ იდიოტის გულისთვის... — გაახსენდა ბეჟანს.

მაგრამ მაგასაც ჰქონია საფუძველი. თვით ჩვენში ჰქონია. ჩვენს უაზრო სიძულვილში...

სასაცილოდ მოეჩვენა ის სიტყვები.

„მხოლოდ ომს...“

გულიანად გაიცინა, თუმცა პირველად ნაძალადევად ახარხარდა. და უცებ მიუხრდა, კარებში გახიღულ ჯანგირს რომ შეასწრო თვალი. მერე ცრემლები მოაწვა თვალებზე და თავი ველარ შეიკავა.

— იცის, შეილო! — დაამშვიდა ჯანგირმა, — ასეთ დროს შენზე გამოცდილი კაციც ვერ შეიკავებს თავს.

ბეჟანმა ისევ ჰერს გაუშტერა თვალი.

— რა მოხდა?

— ქარიულაპია გადაავდო ზღვაში მოქნეულმა ტალღამ... ამხელა კაცია და სიფრთხილე ვერ უსწავლია. ჰგონია, თავისი ფუთიანი მუშტით ზღვასაც გაუმკლავდება!... ბედად თოკი აქვს წელ-

ზე შებმული ყველას, თორემ ვინ იყო მშველელი...
 „ბარემ ასრულდეს და გვეშველოს!“

— გაიფიქრა ბეჟანმა.

„არა, უნდა მწამდეს! უნდა მწამდეს! უნდა!“ — იმეორებდა, თითქოს თავის დარწმუნება უნდოდა.

კახეშიც ამას ამბობდა ერთი მზიარული გოგონა. სახარებაშიც ასე წერია. ქალმა ქრისტეს ტანსაცმელს შეახო ხელი და განიკურნა, რადგან წამდა; რადგან თავი დააჯერა, თუ მის ტანსაცმელს შეეხებოდა, განიკურნებოდა.

„უნდა მწამდეს!“

ყველა კაცმა რომ დაიჯეროს, წვიმასაც შეაჩერებენ, ზღვასაც დაადუმებენ. ოღონდ ყველამ უნდა დაიჯეროს... ყველამ!

„უნდა! უნდა მწამდეს! უნდა! მთავარია ჩემი თავი დავაჯერო! და აუცილებლად ისე მოხდება, როგორც მინდა აუცილებლად დავინახავ იმას, რაც მინდა. ცრუმორწმუნენი ხომ ხედავენ. მეც დავინახავ. ნამდვილს დავინახავ. ოღონდ უნდა მჯეროდეს. მთელი არსით უნდა მჯეროდეს. მაგრამ ეგ ყოფილა ყველაზე ძნელი: ისე დააჯერო თავი შენი, რომ ეკვისთვის ერთი კუნჭულიც არ დარჩეს... იქნებ, ამისთვის მოიგონეს აღამიანებმა რელიგია?... ვინ იცის!“

„უნდა მწამდეს! უნდა მჯეროდეს! უნდა!“

— აღარავის აქვს. ალბათ, იმედი!

— იმედი კუბოში ჩადებულ კაცს არა აქვს, შეილო! ჩვენ რა გავგვიჩივებია ასეთი!

და გაახსენდა ბეჟანს, რომ სწორედ ამ სიტყვებით ანუგეშა ვიღაც ორიოდ დღის წინ.

ბეჟანმა წელანდელი უნუგეშობა ველარ შეატყო ხმაში ჯანგიის. თუმც თვით ჯანგიის კილო არ შეუცვლია. მაგრამ ბეჟანი მაინც გამხნევედა. მოხასიათდა. გაიღიმა კიდევ, თამბაქო თხოვა ჯანგიის.

შუალამისას წვიმამ გადაიღო და ლელვამაც იკლო. განუწყვეტელი ჯახება

გულისამრევმა რწევამ შეცვალა. ბეჟანმა წამოდგომა სცადა, მაგრამ უღონოდ დაეშვა ბალიშზე. ტალღებისგან მორყეული კატარღის გვერდები მონოტონურად ჭრატუნობდნენ, თითქოს საღაცა დაიშლებოდა.

ჯანგიური მეთევზეებს ეხმარებოდა წყლის ამოხავეაში. კატარღის სარკმლიდან ცის ნაჭერი მოჩანდა. ღრუბელთა მორევი იცრიცებოდა და დროდადრო ვარსკვლავები გამოჩნდებდნენ. მერე მთვარესაც ჩამოცილდა სულარა, და მხოლოდ ახლა, ქვეშეცნეულად, მაგრამ ნათლად იგრძნო ბეჟანმა, რომ დაღუპვა არ ეწერა...

იგონებდა ყველა რანგისა და ჯურის პოლიტიკურ, თუ სამხედრო მოღვაწეებს, მეფეებს, პრემიერებს და სარდლებს. ყველა მათი მისწრაფება საოცრად მცირედ ეჩვენებოდა იმ დრამასთან შედარებით, რასაც თვითონ განიცდიდა ახლა. უაზრობად მიაჩნდა სწრაფვა დიდებისა და უკვდავებისაკენ, უაზრობად მიაჩნდა მათი სისასტიკე, თუ ქველმოქმედება...

უაზრობა იყო თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყნად ჯერ კიდევ არსებობდა ის ცხოველური წიში, რომელიც ყველაფერ ამას ავიწყებდა აღამიანს განსაცდელის ეამს.

ნუთუ, ერთხელაც არ უნანია თავისი სარდლობა ნაპოლეონს, თუნდაც ვატერლოოს შემდეგ, ან თავისი ენა არ დაუწყევლია ციცირონს იმ ეამს, როცა ნაწილ-ნაწილ კეპავდნენ მას...

ნუთუ, ასე ძლიერი და განმხოლოებული იყო მათი სული?

სული, თუ რწმენა?

მაგრამ იყო კი?...

ბეჟანს წასთვლიმა. ზმანებასა და მოლანდებებს ვერ გაართვა თავი. ყიყინამ გამოაფხიზლა. დილის მღვრიე სინათლე შემოდინოდა კაიუტაში. გაუხარდა, ორიოდ წუთის წინ ნანახი, ზმანება რომ აღმოჩნდა. მერე ყიყინამ მიუგდო ყური. სიხარულის ხმას გავდა. თავს ძა-

ლა დაატანა და წამოდგა. კარებთან მიფორთხდა.

ახმაურებული მეთევზეების თითებს გააყოლა თვალი და პორიზონტზე კვამლი შენიშნა. მერე მღვრიე სინათლეში ხომალდის თეთრი კონტური გამოიკვეთა, და ბეჟანს სიხარულის ცრემლებმა დაუნისლა თვალები ქარს დააბრალა თავისი აცრემლება, თუმცადა არავის დაუნახავს, არც სცალოდათ მისთვის. თავის თავთან იმართლა თავი...

დღე-ღამის ჰიდილი ისევ გრძელდებოდა. ცას ისევ მოედო ღრუბელი, და ეგ ღამეს შეელოდა, კიდევ ცოტა ხანს დაეჯახნა წამოძალებული სინათლე.

ბეჟანი ხელებით ბაგირს ჩაფრენოდა, გაუთავებელ რწევას რომ არ გადაეგდო კატარლიდან.

გემი თანდათან ახლოვდებოდა. ახლანათლად გამოჩნდა მისი სართულები და საკვამურები. მთავარ ანძაზე თეთრფირუზი დროშა ეკიდა. უცებ გემმა მიმართულება შეიცვალა. ეტუბა, ვერ შენიშნა კატარლა. და მწითურმა პირველად ინანა, რაცია რომ დაამსხვრია.

მეთევზეებმა ღრიალს უმატეს. მწითური ყველაზე მეტს ყვიროდა და მიმჭრალ ლიფლიფას იქნევდა.

მერე მესაჭეს მივარდა და შეანჯღრია გაოგნებული:

— საჭე!... საჭე!... ჩქარა მოაბრუნე!.. შენი ვაქცაობის იმედი მაქვს, ზვიგენო!...

მესაჭემ აცახცახებული ხელები ჩასჭიდა საჭეს და ჩაილულულა:

— იმედი ნუ მოგიშალოს ღმერთმა, ბატონო!...

ის იყო დინების ძალა დაძლია კატარლამ, ახალმა ტალღამ ნაფოტივით შეათამაშა და უფრო მძლავრად გაიტაცა.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო! — მოისმა ვილაცის განწირული ხმა, და მან მაინც მოთოკა სასოწარკვეთილი ხალხი.

მღვრიე ნანათში სულ უფრო და უფრო პატარავდებოდა გემის თეთრი სილუეტი. ცოტაც და სივრცე ჩაყლაპავდა.

მაშინ ქარიყლაპიამ ბენზინში ჩაყო ერთავე ხელი და ასანთს გაჭკრეულმა იფეთქა და შეძრწუნებულ მეთევზეებს განსაცდელი დაავიწყა. მწითური ქარიყლაპიას მივარდა და ცეცხლის ჩაქრობა სცადა მაგრამ ქარიყლაპია დაუსხლტა და კატარლის კუდისკენ გაიქცა.

— გაგიყდი? — იღრიალა მწითურმა და დაედევნა, მაგრამ ფეხი აუსხლტა და წაიქცა.

ბეჟანს სისხლი გაეყინა. მგრძნობელობა დაკარგა. თვალებადქცეული ქარიყლაპიას მიჩერებოდა.

ქარიყლაპია აღმოდებულ ხელებს იქნევდა, გემს უყიოდა და ზღვის ენით რალაცას ეუბნებოდა.

წამები წლებად იქცნენ, წუთები — საუკუნეებად. მუხლმოკვეთილი მეთევზეები მოქანავე კატარლაზე გაშეშებულიყვნენ.

— აქეთ!... აქეთ!.. — კიოდა ქარიყლაპია და ცეცხლმოდებული, ზღვაში გადაჭრას ლამობდა. ბენზინი დაიწვა და ცეცხლი ახლა ხელებს მოედო. ცოცხლად დამწვარი ხორცის გულისამრევი სუნი დატრიალდა. ქარიყლაპია ტკივილს ვერ გრძნობდა. ხმა ჩაეხლიჩა და ახლა უფსკრულში გადაჩეხილი ხარვით ბლაოდა.

— აქეთ!... აქეთ, აქეთ! — არ წყნარდებოდა. ცეცხლმა ძვალს მიაღწია და ხელები ჩამოუვარდა.

ძალაგამოღებული ძლივს იქნევდა ჩამოყრილ ხელებს.

და მეყსეულად მოვარდნილმა სისხლმა შეატოკა გული. გემი მთელი სიჩქარით უახლოვდებოდა კატარლას. არავის შეუნიშნავს ეს, სანამ ნათლად არ გაარჩიეს გემის ცადაზიდული თეთრი კედელი, გემბანს მომწყდარი ხალხი და, სანამ კვამლის ბურუსში არ გაახვია ისინი ქარმა.

ქარიყლაპიამ უკანასკნელი ძალა მოიკრიფა, კიდევ ერთხელ სიხარულით შეყვილა გემს, გააქნია ცეცხლმოდებულ ხელები და გონწასული ჩაიკეცა. მეთევზეები ქარიყლაპიას მიცივიდნენ.

გემმა სელას უკლო და მოშორებით გაჩერდა. ღუზამ ხმაურით გააპო წყალი და წყველიაღში ჩაიმალა. მალე ღუზის ჯაჭვის ჩხარუნიც მიწყდა და გემიდან ნავი გადმოუშვეს.

ბეჟანს მუხლებმა უმტყუნა. ვერაფრით დაეკერებია, რომ დამთავრდა ეს საშინელი ზმანება და ახლა, მართლაც, ავი სიზმარი ეგონა ყველაფერი. ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა მომხდარიყო ყოველივე ეს ცხადში. გონება გამოეთიშა. უცქეროდა კატარლას მოახლოებულ ნავს და გრძნობდა: რაღაც უნდა გახარებოდა, მაგრამ თვით არ იცოდა რა...

როდესაც რეპორტიორები ფოტოაპარატის ჩხაკუნს მორჩნენ და წიგნაკიანებმა მესაედ ჩაიწერეს გადარჩენილთა ლულულდი, მეთევზეები ნოხებით მორთულ რესტორანში შეიყვანეს და სუფრას მიუსვეს. ისევ აჩხაკუნდა ფოტოაპარატები, მაგრამ გემის კაპიტანმა ყველანი გარეთ გაყარა, და ახლა მხოლოდ ენაგადაყლაპული ლაქიები დატრიალებდნენ თავს. ჭამდნენ უხმოდ და უხალისოდ. ყოველი ლუქმის გადაყლაპვაზე ბეჟანი გულისრევას გრძნობდა.

— საცოდავი ქარიყლაპია! — თქვა მწითურმა.

— ოქროს გული აქვს საწყალს. — ჯანგირმა ჩანგალი დაადგო, სავარძლის ზურგს მიეყრდნო და თამბაქოს მოუკიდა. — ალბათ, ხელებს მოკვეთენ! — თქვა კარგა ხნის დუმილის მერე. თუმცა ენის წვერზე უტრიალებდა ეს სიტყვები ამ ხნის მანძილზე.

— ღმერთმა ნუ ქნას! — ჩაერია საუბარში მესაქე, — რალას იზამს მერე? ამას სიკვდილი სჯობს!

„სიკვდილის“ ხსენებაზე ჯანგირი შეკრთა. მიხვდა, თითონაც ამაზე ფიქრობდა ახლა. და თქვა:

— მერე ჩვენი ხელობის კაცისათვის...

ბეჟანმა მიატოვა საქმელი და სასამელს მიეძალა:

— მოკვეთენ! — თქვა მწითურმა ცხელი ძვლებამდე იყო დასული!

— ჩვენ გვიხსნა, თვითონ კი...

— რისი მაქნისები არიან ეს ექიმები! — შეიგინა უცებ მწითურმა, — სურდოს ბეზიაჩემიც არჩენდა!...

— ექიმები! — ბეჟანს გაახსენდა, ერთ დროს ექიმობა რომ სურდა. მაშინ, გულში დაჭრილი მეზობელი რომ გადაურჩინა დასტაქარმა. მერე თვით გახდა ვასაკურნავი და საავადმყოფოში მოხვედრილმა ხელი აიღო თავის განზრახვაზე.

— რას იკლავდა თავს! — წამოიძახა მესაქემ, — ისედაც დაგვინახავდნენ! — იცოდა, სისულელეს ლაპარაკობდა, მაგრამ სხვა საშველს რომ ვერ ხედავდა, უნდოდა ყველაფერი ქარიყლაპისათვის გადაებრალებია, ყელში ბოლმად გაჩხერილი შეცოდების გრძნობა რომ შეეწელებოდა და ქალურ ქვითინს გადარჩენოდა.

ზიზლით გადახედეს დანარჩენებმა. ამან გაახსელა:

— შტერია და ვირი!... გიყის მეტი არავინ წაიციდებს ცეცხლს!

მწითური წამოდგა და ცხვირ-პირში თხლიშა მუშტი. არავის შეუჩერებია. არც მერე განძრეულა ვინმე. მესაქე ყირამალა გადაეარდა და ესტრადის ძგოდეს ატაკა თავი. მერე იქვე ჩაცუქდა და ატირდა. ყველანი მძულვარებით უცქეროდნენ, რადგან ეგონათ, ტკივილი ატირებდა. ჯანგირმა მეორე სიგარეტი გაახვია.

— პირველად რომ მოეთრეე ჩვენთან, მწითურმა გალახვა მოინდომა შენი... მხოლოდ ქარიყლაპიამ გაბედა შენი დაცვა და იხსნა შენი დასამხსერვეი ძვლები...

სწორედ აქედან დაიწყო მათი მეგობრობა. სწორედ ეს კლავდა ახლა მესაქეს. განსაცდელის ფაშს ხელი რომ ვერ შეაშველა ქარიყლაპის, სწორედ ეს ატირებდა ახლა.

„მაგას რომ არ ეთქვა, მე ვიტყვოდი!— გაუელვა მწითურს, — აუცილებლად ვიტყვოდი. ვილაცას აუცილებლად უნდა ეთქვა. არ ვიცი რატომ, მაგრამ უნდა ეთქვა...“

ზოლოს ბეჟანი წამოდგა, მესაქესთან მივიდა:

— მოეშით! რა გინდათ მისგან. ნერვები აქვს მოშლილი. თვითონ არ იცის, რას ლაპარაკობს! — გულში მესაქეს ემხრობოდა, რადგან ეგონა, გულწრფელი იყო მისი სიტყვები. იცოდა, ქარიულაში ამ უმაგალითო გმირობა ჩაიდინა და შურდა მისი. და თუ პირველად არ მიეშველა მესაქეს, მხოლოდ იმიტომ, არაფერი შემატყონო.

— აღეჩი, გარეთ გავიდეთ! — უთხრა და ხელი ჩაავლო მკლავში. მესაქე თითქოს მიუხედა ნამდვილ ზრახვას. ზიზლით ახედა და შეაგინა, ბეჟანმა ცივად უშვა ხელი, თავის ადვილს დაუბრუნდა და სულმოუთქმელად დაცალა კიჟა. მწითური ისევ მიეახლა მესაქეს, წიხლი კრა მკერდში და როიალს მიაგდო. როიალის სიმეხმა ყრუდ დაიგუგუნა. მესაქემ წელი დაკრა როიალის ძვიდეს და უხმოდ ჩაიკეცა. სიამოვნებდა ტკივილი. თითქოს ამითი თავის მეგობარს შეელოდა. თანახმა იყო, გონის დაკარგვამდე ეცემა მწითურს.

ბეჟანი უსამართლოდ დაჩაგრულივით მიუყრებულებოდა.

ფიქრობდა. „აი, შენ თითქოს თანაგრძნობა გამოიჩინე. აღაშინებდა. სინამდვილეში კი შენისთანა ვიგინდარა ქვეყნად არ მოიძებნება. შენ ზომ ყველაფერს იმიტომ აკეთებ, სხვას მოაწონო თავი, სხვას შეაბრალო თავი, სხვას შეაყვარო თავი. სხვას მოაჩვენო. შენ ზომ ბილწი ღორი ხარ. უსინდისო, ვიგინდარა! შენ ზომ მეტიჩარა დედაკაცი ხარ! შენ ზომ არამზადა ხარ! შენ ზომ ასე გაორებულნი ხარ მთელი სიცოცხლის მანძილზე“.

ბეჟანი გემბანზე გავიდა და მოაჯირს მიეყრდნო. ახლა სულ არ ეშინოდა ზღვის. მერე მოაჯირს გაუყვა გემის

კუდისკენ. კატარღა ვრძელი ბაგირით გამოებათ გემზე. ახლა რამდენიმე მეზღვაური იყო იქ. ბადიებზე „ხელში მის“ მორბოდნენ. რაღაცას უყვიროდნენ ერთმანეთს. იცინოდნენ.

„ისინი კი, ალბათ, ფიქრობენ, მესაქის „უსამართლო“ სიტყვებმა შეურაცხმყვეს და იმიტომ გამოვედო...“

— კაპიტანი ვიბარებთ! მოახსენა მეზღვაურმა და სამხედრო სალამი მისცა. ბეჟანმა თავი დაუქნია და უკან გაყვა.

— როგორც შეგატყვეთ, სრულიად შემთხვევით უნდა იყოთ მოხვედრილი ამ კატარღაზე,—კაპიტანმა სკამი შესთავაზა ბეჟანს, — ასე, რომ მათი მეთაური ვერ იქნებოდა... მაგრამ დაგიბარეთ იმიტომ, რომ მათგან მხოლოდ თქვენ გესმით ჩვენი ენა...

ბეჟანი უხმოდ დაეთანხმა.

— ჩვენს გემს არა აქვს უფლება გადალახოს თქვენი საზღვარი, რომ სამშობლოში დაგაბრუნოთ. ჩვენთან წამოსვლას კი, რომც შეიძლებოდეს, თვით არ ინდომებთ... ჩვენ დავუკავშირდით თქვენს მმართველობას... თქვენი მაშველი კატარღა აქედან ხუთი საათის სავალზე შეგვხვდება...

— ვმადლობთ!... არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ...

— არ არის საჭირო. ეს ჩვენი კანონია!...

— დიახ, ვამიგია...

— მოვალეობა. თუნდაც მას სიყვარული ედოს საფუძვლად, მაინც ამძიმებს აღაშინებს...

— გეთანხმებით...

— ოფიციალურად თქვენ საზღვრის დამრღვევებად ითვლებით...

— დიახ, მესმის...

— ეს იყო მიზეზი იმისა, რომ გემზე ამოსვლაც ვერ მოასწარით, უკვე თქვენს საბუთებში იწყეს ქექვა და ახლაც ჩაპკირკიტებენ...

და მერე კაპიტანმა თქვა, რომ არ ღირს, ამაზე ლაპარაკი, რადგან მას ეს

სისულელედ მიაჩნია, რომ პირადად მისთვის არ არსებობს საზღვარი, რადგან არც ადამიანის ტკივილს აქვს საზღვარი... რომ ეს შეზღუდულობაა. რომ საზღვარი სრულიად უჩვეულო რამაა სამყაროსათვის და რომ იგი მხოლოდ ადამიანებში მოიგონეს, რადგან სამყარო ერთ მთლიანობაში ვერ აითვისეს და ნაწილ-ნაწილ ცდილობენ მის შეცნობას...

კაპიტანმა სასმისი შესთავაზა.

— იძულებული გავხდი უადრეს ჩვენს მმართველობას დაგკავშირებოდი. დავარწმუნე, რომ კატასტროფა გათამაშებული არაა და რომ თქვენ, არავითარი, ასე ვთქვათ, სხვა მიზანი არა გაქვთ...

და მერე თქვა კაპიტანმა, რომ მას, საერთოდ, უყვრის, რატომ არსებობენ ადამიანები, რომელთაც აქვთ ეს რაღაც „სხვა“ მიზანი. და რომ იგი მარტო პოლიტიკას არ გულისხმობს... მას უყვრდა, რატომ ვერ ხვდებიან ადამიანები, რომ სისულელეა ყოველგვარი გადახვევა სამყაროს მთავარი არსის მიმართ... რომ ეს უფრო აძნელებს იმ მთავარისაკენ სვლას, სწრაფვას...

— რა თქმა უნდა... — ექოსავით გამოგხმაურა ბეჟანი.

ისიც თქვა კაპიტანმა, რომ თვით ადამიანი მხოლოდ იმას ცდილობს, ისტორიას შემოარჩინოს თავისი სახელი. და ეს ჰგონია უკვდავება. და დასძინა, რომ ეს უაზრობაა, რადგან ისტორია თვით არის უაზრო და დაუნდობელი. და ისიც თქვა, რომ უკვდავება მხოლოდ ის არის, როცა ადამიანი თავისი გონებით სამყაროს ნაწილი გახდება. და ამით ცნობიერს გახდის სამყაროს რაღაც ნაწილს. რომ მხოლოდ ეს უკვდავებაა ჭეშმარიტი, რომ მაშინ ადამიანი ტაძრის ჩუქურთმაში გამოკვეთილ ყვავილივით უკვდავი იქნება. მაგრამ ისიც გაიკვირვა, თუ რად შურს ამ ქვის უკვდავ ყვავილს უბრალო, მოკვდავი ყვავილისა, რომლის მოწყვეტა ბალსაც შეუძლია

და რომელსაც უბრალო სიოც კი თავის ნებაზე ათამაშებს...

და მაშინ ჰკითხა ბეჟანი: — თქვენ ფილოსოფოსი ბრძანდებით?

— მე მხოლოდ ფიქრი მიყვარს სხვა სამხედროებისაგან განსხვავებით!... დიახ... რას ვამბობდი?

— რომ თქვენ ყველაფერი აუხსენით თქვენს მმართველობას...

— დიახ... თქვენს მეგობარზეც მოვახსენე და ამით ყოველგვარი ეჭვი დავფანტე... სულ ოციოდე წუთის წინ გემის დასტაქარმა მას ორთავე ხელი მოკვეთა... უმადლოდეთ მას! ეს უმაგალითო გმირობაა! დიახ, დიახ, ეს განუმეორებელია! ის რომ არა, ვერ შეგნიშნავდით!...

„საწყალი ქარიყლაპია!“ — გაიფიქრა ბეჟანმა და თავი შეიძულა.

— გადაეცით თქვენს მეგობრებს, რომ სალამოს შინ იქნებიან!

„ახლა უნდა გამიხარდეს!“

ნაძალადევად გაიღიმა.

„კუღია, როცა გრძნობ, რომ ვიგინდარა ხარ!“

— უღრმესი მადლობა, ბატონო!...

პირდაპირ გემის საავადმყოფოსაკენ გაეშურა, მაგრამ თავაზიანი უარით გამოაბრუნეს: ეს-ეს არის ჩაეძინა და მისთვის უბრალო ხმაურიც კი სახიფათოა.

გემბანზე გამოვიდა და სელის საავადმყოფოში ჩაეშვა.

მის გვერდით სათვალისანი მამაკაცი იჯდა. მყვირალა ფერებით მოხატულ ეურნალს კითხულობდა. ბეჟანმა შენიშნა: სათვალისანი კითხვას თავი ანება და მასთან გამოლაპარაკება დააპირა.

ბეჟანმა არ შეიმჩნია.

— მაპატიეთ! — მოესმა უცებ სათვალისანის ხმა. ბეჟანმა უხალისოდ მიაბრუნა თავი და უცნობის თავაზიანი და დარცხვენილი სახე რომ დაინახა, თავს ძალა დაატანა, თავდაც თავაზიანი ყოფილიყო.

— ვიცი, რომ ახლა დუმილი გირჩევნიათ. მაგრამ ეს... ეს საოცრებაა!

— რა, რა? — ჩაეკითხა ბეჟანი.

— ოჰ, მამატიეთ! — გაიცინა უცნობმა, — უფრო ნელა ვილაპარაკებ!... ეს... აი, ის, რაც თქვენმა ეკიბაქმა ჩაიდინა, უმაგალითო ვმირობაა-მეთქი... მართლაც, საოცარია! საოცარია!...

„რა არის საოცარი?!“ — გაუკვირდა ბეჟანს. მას სულ სხვა რაღაც მოაგონდა ახლა.

— დიახ... თუმცა სხვა გზა არც გეკონდა.

— რას ამბობთ!... განსაცდელის ეამს ლომიცა და კურდღელიც, ორივე, თავს იცავს, მაგრამ საქმე ისაა, როგორ!...

სხვა რომ ველარაფერი მოიფიქრა, ეს ჰკითხა ბეჟანმა:

— აქეთ სამოგზაუროდ იქნებით, ალბათ, წამოსული?

— მამატიეთ, ვერ გავიგე! — გაიცინა.

ჯერ შეყოყმანდა ბეჟანი, აღარ მოეწონა რატომღაც თავისი შეკითხვა, სხვა რამის თქმა დააპირა კიდევ, მაგრამ ბოლოს მაინც გაუშეორა.

— კიდევ ჰო და კიდევ არა! — გაიცინა ისევ სათვლიანმა. — მე იურისტი ვახლავართ. და აი, ახლა პროცესზე მიმიწვიეს. ორ ჯარისკაცს ქალი შემოკვდომიათ. გაუპატიურების დროს შემოკვდომიათ. — დაახუსტა. — და აი, მე და ჩემი კოლეგა დამკველებად მიგვიწვიეს... თანაც ვტურისტობთ...

ბეჟანმა დუმილი ირჩია. ერთმანეთში გადასულ აირსა და წყალს გაუშტერა თვალი და წამით არ დაიჭერა, რომ ახლა გემზე იმყოფება იმ საზარელ სტიქიონს გადარჩენილი, და სათვლიანი იურისტს ესაუბრება...

ოცნება ეგონა. იგი ხომ მართლაც ფიქრობდა, რომ სადღაც გამოჩნდება დიდი თეთრი ხომალდი და უშველის განწირულთ... გემი, რომლისთვისაც არ არსებობს საზღვარი და დრო...

გულისრევის გრძნობა აწუხებდა ისევ. სათვლიანის ხმამ გამოათხიზლა.

თავის გამოსაცდელად ყურებზე აიფარა ხელები, და მაინც ნათლად უჩვენებდა ის ხმა. ხმის კილოც კმ. მერე უფრო ხმაურით მოესმა. და ისევ ის ხმა...

— საოცარი სევდა დაძრწის ქვეყნად... სევდა და შიში. აღამიანებს ეში-ნიათ ხვალინდელი დღის. ან, საერთოდ, არ ფიქრობენ მასზე... ის მხოლოდ ამ დღით, ამ წამით ცოცხლობს, მხოლოდ ეს წამი აინტერესებს... ცხოვრებაში კი ყველაფერი იდუმალეებითაა მოცული, ჩემო მეგობარო! იქნებ, რამდენიმე წამის შემდეგ, თქვენთვის გაცილებით უფრო ძვირფასი გახდეს აღამიანი, რომელსაც არ იცნობთ, რომლის არსებობის შესახებაც კი არ იცოდით რამე და რომელიც ათეული ათასი კილომეტრითაა თქვენგან დაშორებული, ვიდრე ის, რომელსაც ყოველდღე ხვდებით... ახლო ურთიერთობის დროს აღამიანები ემსგავსებიან ერთმანეთს, მაგრამ იგი ამავე დროს აშორებს კიდევ მათ ერთმანეთს...

ცას ღრუბელი წამოეძალა ისევ.

ისევ დაშორდა ერთმანეთს ცა და დედამიწა.

„ნუთუ, ახლა ამაზე არ ლაპარაკობს ეს სათვლიანი იურისტი?!“

— განსაცდელი აშორებს ერთმანეთს აღამიანებს და ამიტომაც შინაგანად ისინი საოცრად ემსგავსებიან ერთმანეთს... მჯერა, რომ სადღაც შორს, სამყაროში არსებობს აღამიანი, რომელსაც ზუსტად ჩემი ხასიათი აქვს, ჩემი ფიქრით ფიქრობს და ჩემი ტყვილი ტყივა... ასეთი აღამიანი აუცილებლად არსებობს... მაგრამ შორს, ძალიან შორს... და საკმარისია ერთმანეთს შევხვდეთ, რომ ჩვენ, ვარეგნულად ერთმანეთს დამსგავსებულნი, საოცრად დაგშორდებით ერთმანეთს შინაგანად...

— ბოდში, მაგრამ ახლა მე ვერ ვგებულობ თქვენს ნათქვამს... ისე სწრაფად ლაპარაკობთ, რომ...

— კარგი, ნელა ვილაპარაკებ! — გაიცინა სათვლიანმა.

— რა დიღია და რა საშინელი... — წამოცდა ბეჟანს.

— როგორ, ვერ გავიგე? — ყური ცქვიტა სათვლიანმა უცხო მეტყველებამ რომ მოესმა.

— არაფერი, არაფერი! — სწრაფად მოიშორა იგი ბეჟანსა და თვალი მოწყვიტა უკიდევანო სივრცეს.

— დიახ, საოცარი სევდა, საოცარი...

„უზარმაზარი, დაუძლეველი, მოუპოვებელი!... სისულელეა თერმო-ატომური ომიცა და ყოველგვარი ყბედობაც... ომიცა და მშვიდობაც სულერთია ამ უზარმაზარისათვის, ამ თვალუწვდენელისათვის... მას ვერაფერს დააკლებენ... უზარმაზარი, როგორც სამყარო, უხილავი, როგორც სამყაროს სული... უზარმაზარი და საშინელი. საშინელი და მომხიბლავი, დაუძლეველი!... მისთვის სულერთია ომი და მშვიდობა... ამ ზღვის წვეთისთვისაც სულერთია... რადგანაც თვით არის სამყარო... მასაც იგივე გონი აქვს, რაიც მთელ ამ უზარმაზარ სამყაროს, მხოლოდ ძალა არ მოსდევს მისი... და საქმარისია...“

— რა ბრძანეთ? — ჩაეკითხა სათვლიანნი.

— არაფერი. — მხრები აიჩეჩა ბეჟანმა, — არაფერი მიტყვამს.

— მაპატიეთ, ალბათ, მომესმა!

„ღმერთო ჩემო, თავისი ბოღიშებით უფრო მომაბეზრა თავი“.

— იმედი გაქვთ კი, რომ გაამართლებენ იმ ჭარისკაცებს? — ჰკითხა უხერხული დუმოლის დასარღვევად.

— ყოველ შემთხვევაში, მე ჩემს საქმეს გავაკეთებ!... ჩემი საქმე კი ის არის, რომ მოვაშორო ერს ამ ჭარისკაცთაგან მოცხებული ჩირქი, თუნდაც ეს მათ სიცოცხლედ დაუჭდეთ...

— მაშინინი უკვე განწირულნი ყოფილან?!..

— ჯერ არა!... ვინ იცის, როგორ შეტრიალდება საქმე... ვეცდები, მათდამი სიბრალული გამოიწვიო: სევდა, დაუძლეველი სევდა. სევდისგან: ნერვიული მოშლილობა, სმა, სიგიჟე, თვით-

მკვლელობა, თვითგახრწნა, გამოლაყებულებული ტვინი და ადამიანის უკვე აღარ იცის, რას აკეთებს, და უსულფროს სევდისგან არის, ვიდრე გამოლაყებულებული ტვინისაგან. სევდა დაუძლეველი, რომელსაც სამშობლოს გარეთ სამშობლოს სევდას, ანუ მიწის სურვილს უწოდებენ, ხოლო სამშობლოში — ერთფეროვნების სევდას. ადამიანი თვით უზღის სამაგიეროს თავს საყუთარი ცოდვებისათვის. იგი ვერ გრძობს ამას. ხანდახან ისიც კი ჰგონია, რომ სხვას ვნებს... შეამჩნევდით, რა საოცრად ნერვიული გახდა ხალხი... ადამიანები ერთმანეთს აბრალებენ ამის მიზეზს...

— ჰოო... შესაძლებელია... — ორკოფულად ეთანხმება ბეჟანი.

— თქვენც! მაპატიეთ, მაგრამ თქვენც ალბათ, იმიტომ მოხვდით ამ კატარღაზე, რომ ქვეცნობიერად ძველი ცოდვებისათვის უხდით თავს სამაგიეროს... მაგრამ ბედისწერამ, ალბათ, ნაკლებ დამნაშავედ გცნათ თქვენ. ადამიანები ხშირად, მისდაუნებურად ჩადიან ცოდვებს. რადგან ხშირად ისეთი ადამიანი გაჩვენებთ თავს კეთილშობილად, რომ მის საწინააღმდეგოდ მზად ხართ უსასტიკესი ბოროტებაც კი ჩაიდინოთ, ოღონდ კი მის გვერდით არ მოგიხსენიონ...

— და მაინც არა მგონია, ამ დროს სიბრალულის გამოწვევა შეგეძლოთ!... თქვენი ნათქვამი მხოლოდ გონიერადამიანებზე ვრცელდება.

— არა?!... აი, თქვენ დაფიქრებულხართ ოდესმე, რატომ ხდება, როდესაც ადამიანი სიყვარულს ვერ მოიპოვებს, იგი ცდილობს სიბრალული მაინც გამოიწვიოს...

— დიახ, საოცარია, მაგრამ მაინც ხდება!... ეს მეტად დამამცირებელი თვისებაა... — ბეჟანი მიხვდა, რომ ახლა მას უნდა ეთქვა რამე.

თეთრში გამოწყობილი ლაქია საპატიო მანძილზე შეჩერდა და მდაბლად დაუკრა თავი ბეჟანს:

— კაპიტანი გთხოვთ, ეახლოთ!...

ბეჟანს ეამა კიდევ, რომ თანამოსაუბრეს დაუძვრა ხელიდან, შენდობა ითხოვა საუბრის შეწყვეტისათვის და ტრაპი აირბინა. ლაქია ძლივს ეწეოდა. ბეჟანმა ტრაპზე ჩამავალ ქალიშვილს გააყოლა თვალი და კარზე დააკაუნა...

— ნახევარი საათის შემდეგ, თქვენ კატარლას შევხვდებით. ვთხოვთ გადასცეთ თქვენს მეგობრებს, რომ იმ დროისათვის მზად იყვნენ!... გისურვებთ წარმატებებს! მშვიდობით...

* * *

მოლოდინი უფრო მტანჯველი იყო, ვიდრე მთელი დღე-ღამე აღელვებულ ზღვაში ყოფნა. მეთევზეები გემის კიდეს მიაწყდნენ და ამაოდ ცდილობდნენ, ზღვაზე ჩამოწოლილ ბურუსში რამე გაერჩიათ. ქარიყლაპია საკაცით გამოიყვანეს და რომელიღაც მახლობელ კაიეტას შეაფარეს დროებით. თვალბზე თეთრი დოღბანდი ჰქონდა გადაფარებული, სინათლეს რომ არ შეეწუხებინა.

ბეჟანი მოაჯირს მიეყრდნო, გაპობილ წყალს გაუშტერა თვალი და გამოსცრა: — ბოროტია ზღვა!...

ეგონა, არავის გაუგია მისი სიტყვები. კარგა ხნის დუმილის შემდეგ უპასუხა ჯანგირმა:

— არა, არ არის ბოროტი!

— საღისტივით გვათამაშებდა!

— ეგ ლომის თამაში იყო. ძალა ვერ მოზომა. მისი ტოლი ვეგონეთ, ვერ გავუგეთ და ლომის იყო დავმარცხდით. დავმარცხდებოდით კიდევ, ქარიყლაპია რომ არ ყოფილიყო!... ნაპირზე კი ყველას გმირებად გამოგვაცხადებენ!... შენც!.. — ზიზღით უთხრა ბეჟანს. ბეჟანი მიუხვდა და არ წყენია. — გვეთამაშებოდა და ვერ გავუგეთ... ამან გააცოფა. ზვარაკი ითხოვა და ქარიყლაპიამ შეწირა... თავისი ხორცი შეწირა!... რა უფრო ძნელია: სხვამ შეგწიროს ღმერთების რისხვას, თუ თვით შენ...

ჯანგირს არ დაუმთავრებია. კიდევ

ერთი სიტყვაც რომ ეთქვა, თავს ვერ ღარ შეიკავებდა. ამიტომაც გაშორდა ბეჟანს. აუტანლად ძულდა ახლა რგ...

— ცუდი ფეხი გქონია! — მწითურმაც ასე უთხრა, — ნეტამც ფეხი მოგტეხოდა და ჩვენთან არ მოსულიყავი!... და ბეჟანს ახლა მხოლოდ თავისი თავი ეცოდებოდა. უფრო მტანჯველი კი ის იყო, რომ ვერაფერში აღანაშაულებდა მეთევზეებს.

გემმა სვლას უკლო, და მალე ხრილით ჩაეშვა ღუზა ფსკერისკენ. წამით მტანჯველი მოლოდინით სავსე დუმილი ჩამოწვა. მერე შორიდან სუსტი ხმაური მოისმა. ზღვის ხმაურს არ გავდა. და მერე ნათლად გაარჩიეს ძრავის გუგუნო...

— მოდიან!... — ევლარ მოითმინა მწითურმა. ბეჟანმა კი ის გაიფიქრა რატომღაც, ყოველივე ამის აღწერა რომ დაქირებოდა, როგორ ჩაექსოვა მწითურის ამ ერთ სიტყვაში ყველაფერი ის, რასაც ახლა ეს სიტყვა იტევდა...

თითქოს ყველას ეკუთვნოდა მწითურის ეს ერთი სიტყვა, ყველას, თუმცა მარტო მან თქვა...

ბურუსში მოძრავე შავი ლაქა გამოჩნდა. მერე თანდათან გამოიკვეთა კონტურები და კატარლის კინოზე მდგარი კაციც შენიშნეს. კატარლისგან გარღვეული წყლის კვალიც...

გემი აზრიანდა. ისევ შემოეხვეინენ მეთევზეებს.

ისევ: ფოტოაპარატების ჩხაკუნი, ისევ ავტოგრაფები და დაუნაწევრებელი ლუღლუღი, რომელსაც, ვინ იცის, რა სიტყვებად აქცევდნენ ზედმეტად მონდომებული ჟურნალისტები...

* * *

მეორე დღით თავის ტყვილი აყვა ბეჟანს. საჭმელს პირი ვერ დააკარა და ქუჩა-ქუჩა ხეტიალი არჩია. ჯიხურში გახეთი იყიდა. გამალა და ნაცნობი კატარლის სურათს მოკრა თვალი. სტატია ჩაიკითხა და გაიცინა. მხოლოდ ქარიყ-

ლაპიას გმირობა იწამა. ბოლოს — სპეციალური ბრძანება: სიმამაცისთვის ქარიყლაპია მაჯის ოქროს საათით და ავიღდოვეს...

ეს ორი დღეა გუნება არ გამომკეთებია. ფეხბურელი დავდივარ, თითქოს ის წყეული კატარა მარწევდეს ისევ. ვერა და ვერ მოვიშორე თავბრუსხვევა და გულსრევის გრძნობა.

გუშინ ქარიყლაპია ვინახულე. არ მეგონა, ასე თუ ავლელდებოდი. სანამ პალატაში შევედი, ლოდინმა გამათავა. შევედი და თითქოს არაფერი. სრულიად დავმშვიდდი. მესაქვე დამხვდა იქ, ჭერ ჩემს ყოფნაში სამჯერ გამაფრთხილა ექიმმა, ამდენ ხანს საავადმყოფოში ყოფნა არ შეიძლებაო. ის კი პირდებოდა: ორი სიტყვაც და წავალო. მაგრამ პირობაც ავიწყებოდა და წასვლაც.

ყველაზე მეტს ქარიყლაპია ლაპარაკობდა. თქვე სულელებოო, რას ჩამოვიშვიათ ცხვირები, ჩემისთანა მაჯის საათი ბარე ორ კაცს არ ექნებაო. ყოველ წამს აელვებდა თავის მსხვილ მეჩხერ კბილებს... ჩვენც აგვიყოლია. როგორც გმირი, ცალკე პალატაში მომათავსესო. ნეტა ასეთი ოთახი საცხოვრებლად მჭონდესო. ჩვენ კი ვიჭეჭით, ვუსმენდით და ვიცინოდით. თითონაც იცინოდა. მერე ექიმმა ორი სანიტარი შემოიყვანა და მესაქვეს შეპირდა, თუ ფეხები არ გემორჩილება, ამათ წამოგაშველებო. მეც აჩქარდი, მაგრამ ექიმმა მანუგეშა, ცოტა ხანს კიდევ შეგიძლიათ ყოფნაო. რას ვიზამდი, დავჩი. მე კი წასვლა მინდოდა. ძალიან მინდოდა, სიცოლისგან წამოდენილი ცრემლები რომ მომეწმინდა მალულად. ქარიყლაპიას ნამდვილი რომ არ გონებოდა.

კარგი ბიჭი ყოფილხარო. ყველას მაშინვე შეუყვარდი. მწითურმაც კი შეგაქოო...

ბოლოს მეც შემახსენეს, საით ჰჭონდა საავადმყოფოს კაზინოს ნახვადად ერთი-ორი წუთი ვითბრუნდამო ხანსაც ქარიყლაპია ლაპარაკობდა სულ. ისევ იცინოდა და მეც მაინებდა. მერე წამოვდექი და ანგარიშმიუცემლად ხელი გავუწოდე. იხტიბარი არ გავიტეხე და მათხოვრის ღიმილით მის მკლავს ჩამოვართვი ხელი.

არასდროს დამავიწყდება, როგორ შემომხედა ამ დროს. ნეტა სიბრაზის ნატამალი მინც შემენიშნა მის თვალებში. ან საყვედურის...

და მხოლოდ ეს მკითხა:

— გოგოს როგორღა უნდა მივეფეროო?...

არაფერი მითქვამს, მოგბრუნდი და წამოვედი...

და რატომღაც მომაგონდა სადღაც ნანახი ერთი გოგონა.

ვილაცას ახლდა. გამომწვევად იქცეოდა. თამამი და მოუდრეკელი ჩანდა. თანამგზავრი რაღაცას ეუბნებოდა. გოგონა იცინოდა. მაგრამ მისი თვალები საოცრად სევდიანი მეჩვენა. სიცოლის დროსაც კი...

წარმოვიდგინე: ოთახი. ქეიფი და სიცოლი. ჩვენ ორნი ვართ. იგი მზადაა დაუთმოს ჩემს სურვილს. მაგრამ მე უცებ ვაპბობ:

— წავალ... არ ღირს... რატომღაც წავალ!...

— უკვე მოგწყინდა?! — იცინის. მე კი ვეუბნები:

— შენ ისეთი სევდიანი თვალები გაქვს...

ის მინც იცინის. მე კი ამ თვალების მიღმა ვხედავ რაღაც მიუწვდომელს, და ასე მგონია, ყველანი სწორედ ამ თვალების მიღმა დანახულ მიუწვდომელს ვესწრაფვით...

აღმსარება ქართული

გაზაფხულის მოგზაურობა

1

თუ ქეშმარიტად დღეს ვართ ქართველი,
გულში გვინთია ერის სანთელი,
თუ დედა ენით მუდამ წინა ვართ,—
უნდა ვუმაღლოთ უკვდავ წინაპართ.

ზოგ წინაპართა მე ვარ მნახველი,
ზოგის მომესმის მხოლოდ სახელი,
დედა ენაზე მის გამო ვმღერძი,
რომ ღვიძლად მთვლიდეს მშობელი
ერი.

მაჯადოებდეს მარად ქებული,
დაუვიწყარი მამულ-დედული.

2

დედულში რბოდა ბავშვობა ჩემი,
ვით საირმეზე შელის ნუკრის რემა
და ავდიოდით სარკოიანზე
სოკოს საკრეფად მე და იამზე.

მახსოვს კრახუნა ყურძნის მტევანი,
საწინახლის ჩქეფი და შადრევანი,
ტალავრის ჩრდილში — ვეება ქვევრი.
ბევრი აკიდო და ტკბილის კვერი,

პაპა, დიდედა — საამო ქალი,
წელგამართული ოჯახის თვალი,
მხნე, გონიერი, გამრჩე, ჯანმრთელი,
მრავალი შვილის დედა ქართველი.

დედას, დიდედას ვიგონებ მარად:
ისინი მყვანდნენ სიკეთის ფარად,
ხოლო მამისა და პაპის ჰქუამ
ცოდნის წყურვილით შორს გამიტყუა.

3

დედა ენაზე მის გამო ვმღერძი,
ყურს რომ მიგდებდეს მშობელი ერი,

მაჯადოებდეს თვისი თილისმით
მკვდრეთით აღმდგარი დედა-თბილისი,

მთაწმინდა, მტკვარი, მეტეხი ძველი,
ნარიყალა და კრწანისის ველი,
სანაპირონი, ქარხნები, მეტრო,
და ხობტას რომ არ გადავამეტო. —

მომყვენენ რუსთაგის მეფოლადენი,
ენახოთ არმაზი, მცხეთა, ატენი.
გელათის ვალიც გადავიზადოთ,
ვაქოთ ბაგრატი, გრემი, იყალთო.

მესხთა რუსთაგი, თმოგვი, ვარძია,
შოთას აკვანი რომ დაარწია,
ჯაეახეთი და შავი ზღვის მხარე,
რათა ვაღებდეთ ედემის კარებს.

ის გახდეს ქართლის კარიბჭის მცველი,
გუჯადოებდეს ნარინჯის ველი,
ვიყოთ აშშ-დან წინგახედული,
გვიყვარდეს ნამყო, მამულ-დედული.

რუსთაგელის ცოდნით ნახსივოსნები
ისევე ჰგალობენ მანდილოსნები.

4

თუ ქეშმარიტად დღეს ვართ
ქართველი,
გულში გვინთია ერის სანთელი,
თუ დედა ენით მუდამ წინა ვართ.
ვეთაყვანებით უკვდავ წინაპართ, —

მაშინ ჩვენს გულში მუდამ დარია,
რაც გაზაფხულის საწინდარია,
და აღრე მოვა ჯერ არნახული
შეება, სიამე და გაზაფხული.

ჯანსაღ ჩაკვიანი

ჩემი კალენდარი

ლირიკული პოემა

შისამალი

ცას ერთად მოსწყუდა ასი ვარსკვლავი
და მე ვინატრე დიდი ხანძარი,
მხარზე მაქვს ღმერთის ხელი
დამსკდარი
და თითქოს მხრებზე მადგას ტაძარი.
ახლა ამქვეყნად რაც გამაჩნია,
ახლა ამქვეყნად ვინც დამჩენია,
რაც და ვინც მხოლოდ სულში მაჩნია,
წმინდაო მიწავ, ვფიცავ შენია.
ყველას თავისი ღმერთი ეძახის,
ყველას თავისი დარდი აწუხებს.
მზისკენ წასულა ჩემი ვენახი,
შენი მზის სუნი ასდის საწნახელს.
უნდა მოვიდე,
უნდა გვახლო...
მოვალ და, ვიცი, ხელებს გადამხვევ,
ვარ ერთი ლერწი შენი ვენახის,

I

დღეს ცხრაშეტია,
კვირა, ივნისი,
დღე თხუთშემეტ საათს ივლის მიწაზე.
კალენდარს მოაქვს, იქნებ, თბილისში
ბევრი სიტყვა და ბევრი სიმწარე.
შენ მეუბნები — რატომ, ვინ იცის,
დღეს, იქნებ, მართლა ისე ვიწვეალოთ,
რომ გუშინდელი იყოს სიზმარი,
იქნებ, ცხოვრებაც გამოიცვალოს.
იქნებ, დატედონ ბედატურები,
იქნება, შავი ნაბლით დატედონ...
იქნებ, წავალთ და ვერ

და თუ ავტირდე ნურსად გამამხელ.
შენი პერანგი გაცრეცილია,
და გულისპირი ოფლიანია,
შენი თვალეზი მთლად შეცვლილია
და შენი სახე ჭორფლიანია,
და შენს მკლავებში მძინარე ღამე
დიდი რიყრაყის გალობას ისმენს,
ეს არის შენი სიმღერა ხეაღის,
მოპოვებული ოფლით და სისხლით.
და ეჯახება ამ საუკუნეს
მზე, შენი გული და ნათესავი,
და ახალ დღეთა მხრების გუგუნე
შენს დიდ თვალეზში ბრწყინავს
მზესავით.

შენ მზესთან შენი საქმე გავედრებს
და იმიტომაც გქვია მზიური...
და სამაისო ღამაც კალენდრებს —
აქეთ საზრდო-საარჩო ყოველდღიური.

დაგბრუნდებით,
ჩვენ გავჩერდეთ და თვით დროც
გაჩერდეს.
იქნებ, ის შავი წლები მობრუნდეს,
იქნება, მტკვარის მოხდეს დაშრობა,
იქნება, გაქრეს წინამორბედი,
და აღარ ჰყავდეს შეილი სამშობლოს...
მე უფრო დიდი ფიჭვი მაწუხებს,
მე უფრო დიდი ფიჭვი მალეუვებს,
მაღალო მზეო, მომეც პასუხი...
ან ამაცრემლე, ან ამამღერე.
ეს დღე რითია საინტერესო,

ო, მზეო, ისევ შენ ხარ მისანი...
 ღმერთო, რას იტყვის ნეტა მერმისი,
 რა მოხდა ამ დღეს შესანიშნავი?
 ამ ოცდაათი წლის წინათ, ამ დღეს
 მისცეს ფრთები და

მისცეს საშველი,
 „აბესალომ და ეთარი“ დადგეს
 და მზემ იშვილა ფალიაშვილი.
 სამოცდასამში ივნისის ცხრამეტს,
 მზის ქალიშვილი დაეშვა მზიდან,
 და ტერეშკოვას ზეცისფერ თვალებს
 შეხვდა ის მიწა, რომელიც ზრდიდა.
 ამ ათი წლის წინ, ივნისის ცხრამეტს,
 ვილაცის სული წავიდა მზისკენ...
 თქვენთვის ვილაცის,

მე ცრემლი ვღვარე
 და ვერ შევხედე თვალეებში ცისკარს.
 ჩემს კალენდარში ჩავწერე მერე,
 რადგან ვილაცა არ იყო ჩემთვის.
 დღეს მის საფლავზე სოცოცხლე

მღერის
 და მისი სულის სინათლეს ერთვის.
 ეს სული მღერის ფალიაშვილის
 და სიყვარულის მზის ჩასვლას
 დარდობს,
 ზეცას გადაჰკრავს ფერა ნახშირის,
 და ზღვაზე წვიმის ეშვება ფარდა.
 მათი კაცობა მეძახის ძებნად,
 ძებნად მეძახის სიმაღლე მათი..

არა, წუთითაც არ მიზინავს, ძმებო,
 დღის სინათლეზეც დაგეძებთ
 სანთლით.

ახლაც დაღუპულ გემებში ვდგამვარ,
 ციცილოკიდებულ თვალეებით ვეძებ
 იმ ჩამქრალსა და დაესებულ კერას,
 რომელმაც შენი წაყვანა შეძლო.

ამ დღეს შევწირავ შენს სიდიადეს,
 ამ დღეს შევწირავ ჩემს გადარჩენას,
 დღეს ზღვაში გდია ჩემი კვირა დღე
 და იგი მარად ზღვაში დარჩება.

ვერ გიპოვე და გული მშვიდდება,
 ვერ გიპოვე და მზემ დამაცხუნა,
 ალბათ, რაღაცას კიდევ მპირდება,
 იტნება, შენი სული აცხოვნა.

შენ აღარა ხარ,
 რა გენადლეება,

მე ცოცხალი ვარ და მზე მჭირდება...
 ქარები ყეფენ, როგორც ძაღლები,
 მე უკან მივსდევ და ვეპიდებ...

2.

ლამაზად წვანან წყალში ქედები,
 ასე ისვენებს კაცი დაღლილი...
 მთელი დღე, როცა კლდე-ღრეს
 ეღებო,
 ზღვაა გავს შენი ოფლი დაღვრილი.

3.

რა სინანულით,
 რა მოკრძალებით,
 რა ბრწყინვალეებით
 და რა წვალეებით,
 ხან დაყვავებით,
 და ხან ბრძანებით,
 და ბოლოს მაინც დავიმორჩილე;
 ახლა დიდი მზე უბეში მიზის,
 ცეცხლისფერია მისი ქოჩორი
 და ცისფერ ალში აქვს ჩემი ზიზლი.
 ასე ბრძანებით და ბრწყინვალეებით
 დიდ „ენგურჰესზე“ აგაბრიალებ.
 მე ამ მიწაზე გავჩნდი წვალეებით
 და აწი ველარ დავაგვიანებ.
 მე მინდა, რომ სთქვან მზის გული
 უცემს
 ამ ჩვენი დროის ღმერთებს,
 ტიტანებს
 რომ დააწერონ კალენდრის
 ფურცელს —
 „ცხრამეტში მზე ძირს ჩამოიტანეს“.

4

ახლა ღამეა და არის სევდა,
 სევდა წასული დღეების გამო...
 სევდა, რომელიც ყოველთვის
 მდევდა
 დღეც, რა თქმა უნდა, და უფრო
 ღამით;
 შავი ღრუბლების დაღლილი თვალი
 პატრონობს ქვეყნად ყველა სიჩუმეს,
 მგლის და აფთარის ირიბი კვალი
 გზა და კვალს უბნებს დალის
 მიჯნურებს.

5

თეთრი დროშებით კოცნიან ზეცას.
 რა შეუძლიათ მეტი გრიგალებს,
 ზღვას გარმონივით წელავს და
 კეცავს,
 საკუთარ თავზე კი არ იბრალეზს.
 ეს შენ დაუბედი იმ ღამეს გემებს..
 და მძებნიან ბიჭები ფსკერზე,
 შენ ოკეანეც ტანჯე და გვემე,
 ჩემი კვირადლის დაკარგვაც შესძელ.
 რა სინანულით,
 რა მოკრძალებით,
 რა ბრწყინვალეობით
 და რა წვალეობით,
 ხან დაყვავებით
 და ხან ბრძანებით,
 და ბოლოს მაინც დავიმორჩილე.
 ახლა გრიგალი უბეში მიზის,
 ღრუბლისფერია მისი ქოჩორი —
 ნაცრისფერ გულში აქვს ჩემი ზიზღი.
 მე ახლა შენით ქალაღებებს ვაშრობ,
 ჩაის ვაშრობ და თამბაქოს ვაშრობ,
 შენა ხარ ჩემი პატარა ბავშვი
 და თვინიერი მიზიხარ სახლში.

6

მზეო, რა გვიჭირს შენი შემყურე,
 ჩვენ მივჭრით სისზღისფერი
 ცხენებით,
 თვალებდათხრილი ბღავის ენგურით
 და იმედი აქვს ჩემი ხელების.
 გქონდეს იმედი,
 გქონდეს, ენგურო,
 რის კალენდარი,
 რა კალენდარი,
 იყავი ჩემი ხელის შემყურე,
 თუ მე ვარ შენი სულის მხედარი.
 თვალში სინათლე მე უნდა მოგცე,
 ქვეყანა უნდა მე დაგანახო,
 რომ გაუნათო მიწაზე ცოცხლებს
 და საფლავებიც ცად აამაღლო.
 მოგიტან დიდ მზეს,
 სულში ჩავიძვრენ
 რომ დაცემულთა სული განახლდეს...
 ჩაგებვევი და გამოგაღვიძებ,
 გამოგაღვიძებ, ცას დაგანახებ.

7

მარკინაძე

მე მეჩქარება შენთან შეხვედრას,
 მე მეჩქარება შენი დანახვა,
 ასე მგონია, ვგდვივარ ფეხებთან
 და იმ ფეხებთან მინდა დამარხვა.
 გამომყოლია ნატვრა ძალღვივით,
 არ მეკარება და არც მეშვება,
 ვარ ყველა ძალზე უფრო დაღლილი
 და გაყრილი მძაქვს ტანში ეშვები.

8

წავალ დავთვრები,
 გავტიალდები.
 გამივლის დარდი და შემეშვება.
 მოფრინდებიან განთიადები
 თეთრი ფრთებით და ოქროს
 ექვნებით.
 მოფრინდებიან და დახატავენ
 ლამაზი ფრთებით ცისფერ
 ცხოვრებას...
 მე ერთი წუთით დროს ვგაატარებ
 და არაფერი მემახსოვრება.
 ეს ერთი წუთი დღე არის ერთი,
 გაფრენილი და დაუწერელი,
 ერთი დღე ქვეყნად არ ვარგა
 ღმერთიც,
 დაუთრობელი და უმღერელი.

9

უცებ ყნოსვით ვგრძნობ,
 სადღაც ტყე არის,
 ტყე არ შრიალებს,
 ტყე გარინდული...
 ცაში ობობას ქსელის სრიალი
 არის ზღაპრული,
 არის მდიდარული.
 და ვარსკვლავები გაბმულან ქსელში,
 შეყუყუულან და თბილად არიან...
 უცებ დამურთა პატარა ფრთებს შლის,
 წყვეტს ობობას ქსელს და უხარია...

10

ხვალ უფრო ლამაზს მოქსოვს ობობა,
 ხვალ მოქსოვს უფრო მსახილი
 ძაფებით,



მძიმედ მოზობლავს,
 დინჯად მოზობლავს,
 ხვალ მოქსოვს სიმწრით და
 გამძაფრებით.

ნუ ჩაიწერენ,
 ნუ ჩაიწერენ,
 მე ვიცი მოქსოვს,
 მძიმედ და დინჯად,
 მერე ახალი ქუჩა იწყება,
 ქუჩას, რომელსაც არა აქვს მიჯნა.
 ქუჩას, რომელსაც ზამთარი ჰქვია,
 ქუჩა, რომელსაც ჰქვია მეწყერი,
 საცა დღემუდამ ქარები ქრიან,
 წინ წასულ კაცს რომ ვერ დაეწვევი...
 ქვადორდი ყრია,
 ეკალი ყრია,
 გაივლი ზედ და დაილეწები,
 ქუჩა კი არა ნამდვილი ტყეა,
 ამღვრებულ ავი მხეცებით.
 მითხარი და ზედ სიმღერით გავალ...
 ტევრს გავკაფავ და მეწყერს
 გავკვალავ.

თუ ვსურს იმ ტყიდან მოგიტან
 წამალს,
 ვით უკვდავების წყაროს ანკარას.
 თუ გინდა იმ ტყეს ქალაქად ვაქცევ,
 გავიყვან ქუჩებს და გავახარებ,
 შიგ ჩავაშაბლებ შენს ძლიერ კაცებს,
 შენს ულაშაზეს მზეთუნახავებს.
 კი, მე გამიშვი, თუ გაშვებაა,
 შენი გულისთვის მიწაში ჩავალ...
 შენთვის სიკვდილიც დიდი შვებაა,
 ამაზე ძლიერს ვერ მომცემ წამალს.

კი, მე გამიშვი,
 დღესვე გამიშვი,
 ასახდომია, რაც კი დღეს ახდეს,
 მძევლად გიტოვებ შეილს და
 ქალიშვილს.
 თუ შეგარცხვინო ობლებს ეძახდე.
 ეს არის ფიცი,
 ეს არის ფიცი,
 რომელსაც ვერვინ ვერ დაგაძალებს,
 მაგრამ რომ იცი?!

ნამდვილად იცი,
 რომ მამულია შენი ტაძარი.
 ფიცის მომგონივ შენა ხარ დღეს და
 ღმერთის მომგონივ თვითონ შენა
 ხარ

და, ალბათ, მისთვის წახვედი მზესთან,
 მიწის სიშორე რომ დაგენახებოდა
 ვინაა იმისთვის

11.

ცაში გაბნეულ ნაცრისფერ ვერძებს
 რქებზე ჰკიდიათ ოქროს ევენები...
 მე შენს სიყვარულს მთვარეში ვეძებ
 და მთვარის შუქით უკან ვეშვები.
 ეს იყო ცდა და სხვა არაფერი,
 ჩემს სიყვარულში დარწმუნდე
 ოდეს, —
 იმედი გქონდეს ჩემი გაფრენის
 და დაბრუნების იმედიც გქონდეს.
 ო, ნუ გგონია, ის დღე შორს არის...
 მე მოვალ შენთან კდუშით და ღელვით
 და ვარსკვლავების კრიალოსანით
 დამშვენებული მექნება ხელი.
 ეს დღე იქნება სულ მალე, მალე,
 მთვარისფერ დილით,
 მტრედისფერ დილით,
 ლამაზ გულისპირს გავუხსნით მთვარეს
 და გავახარებთ მოსკოვს და
 თბილისს.

მერე გვირობა საქვეყნოდ ივლის
 და დააწერენ ჩვენს თანამგზავრებს —
 მტრედისფერ დილით,
 მთვარისფერ დილით,
 მიწის გვირგვინი დავადგით
 მთვარეს.

12

ღამით და მთვარით,
 დღისით და მზისით, —
 მიწიდან შორი ვუგუნი მესმის,
 მეძახის გვირი პოეტის სისხლი,
 მეძახის მისი მოკლული ლექსი.
 ვინც აღამაღლა სინდისი კაცის
 და ვინც პოეტის სისხლი დაღვარა,
 მეძახის მათი ცხოვრება მკაცრი,
 მათი დილა და მათი საღამო.
 მათი კაცობა მეძახის ძებნად,
 ძებნად მეძახის სიმაღლე მათი...
 არა, წუთითაც არ მძინავს, ძმებო,
 დღის სინათლეზეც დაგეძებთ
 სანთლით.



ანტიფაშისტ ბერძნულთა ლექსები და წერილები ნაპოვნნი სიკვდილის ბანაკებში.*

* * *

„ჩვენ ახლანანს გავიგეთ, რომ დიდ ბანაკში კვლავ მოიუფანეს და-სახეულად ოთხასი წითელგვარდიელი. ყველანი შეძრწუნებული ვართ მკვლელობებით, რომელთა რიცხვმა ათასს გადააჭარბა.

ჭერჭერობით ჩვენ ვერაფრით ვეხმარებით ამხანაგებს, ბანაკში ძალზედ გაურკვეველი მდგომარეობაა, ჭერ კიდევ არ არის ერთსუ-ლოვნება. მაგრამ ჩვენ, კომუნისტები, ყველაფერს ვაკეთებთ იმისათ-ვის, რომ დავსძლიოთ სიძნელეები. პარტიის წევრთა განწყობილება მტკიცე და იმედიაა.

ზაქსენშაუზენი 1941 წლის 19 სექტემბერი.

უცნობი კომეტი

მავთულზე ვდგავარ, როგორც ჯამბაზი
და მეშინია ძირს ჩამოვარდნის,
მიცვალებულის მაქვს სილამაზე
და მეშინია ძირს ჩამოვარდნის.

და გრძელ მავთულზე ისე ვირწევი,
როგორც ლერწამი, ისე ვირწევი,
მაგრამ იმედი მაქვს ზედმიწევნით,
რომ ამ ბუხარში არ დავიწევი.
მარტოს სიცოცხლე ჩალად არა ღირს,
მთავარი არის დაჯრით კაცებად,
მთავარი არის სული განახლდეს
უბედურობით და სიმკაცრეთი.

ჩვენ ვიტანჯებით და ვეწამებით,
მასხრად გვიგდებენ და დაგვიციონან,
მაგრამ სიკვდილიც არ გვეშფაობება,
როცა სიცოცხლე ასე ძვირია,
ყველამ იცოდეს,
ყველამ იცოდეს.

რწმენამ თვალები აგვიბრიალა,
ამ სიბნელეში მზად ვართ

ვიცოცხოთ

მზად ვართ ვიცოცხოთ,
მოვეკვდეთ კი არა.

ჩვენ დავივიწყებთ სევდას და
ნადევლს.

ჩვენ თუ მოვეკვდებით, აღვსდგებით
უცებ —

და დააწერენ ჩვენ ტანჯულ სახელს
დიდი მომავლის კალენდრის
ფურცლებს.

თუმცა სიკვდილის არის განგაში,
გრიჯალებს შიშველი ღრუბლები
და სასიკვდილო ციხის საკანში,
შემოდის შუქი თავისუფლების.

ზაქსენშაუზენი.

უცნობი კომეტი

თხრილებს მისდევენ
მავთულბლართები,
ვუცდით სიკვდილის ცელის
მოქნევას...

რას შერები, ძმაო,
რა გემართება,

რა დროს შიშია და დაჩოქება.
როცა საკუთარ საფლავთან დგახარ.
სიკვდილს სახეში უნდა აფურთხო.
დრო მოვა, ამ ურც ციხიდან გახვალ,
და ხალხი ერისკაცად გაეკურთხება.

დაბაუ.

* ამ თავისათვის გამოუყენებელია 1965 წ. № 5 „ინოსტრანაია ლიტერატურაში“ გამო-შვენიებული მასალები.

ბერან ალბანი



და აღარ არის ჩვენი სხელება
 ამ პირველ მაისს,
 ამ ლამაზ მაისს,
 თქვენ, ვინც წაგვართვით ჩვენ
 მოსვენება,
 გთხოვთ მოგვასვენოთ მიწაში მაინც.
 ო, ამ ჩაკეტილ თოვლში ვინ

გაძლებს, —
 წაგვერთვა სული და გაგვეყინა, —
 თქვენ, ვინც წაგვართვით ბინა

მიწაზე,
 მიწაში მაინც მოგვეცით ბინა.
 მიცვალებულთა თვალები უმზერს
 ზეცას ყორნისფერს, და მიყოლებით
 ცით მოფრინავენ გვამების სუნზე
 გუნდი და გუნდი შავი ყორნების.
 ღრუბლებზე მეთი და მეთი

მკვდარებზე
 გუნდი და გუნდი გარეთ და შიგნით...
 ერთი „ბებერი“ დამადგა მკერდზე,
 და მე მკვდარი ვგრძნობ,

თუ როგორ მიძინის. ^{მარტოველი}
 და რწმენა მოკვდა სიშართლის

კართან,
 მოკვდა, როდესაც საკანში შეგვეყვა,
 სადა ხარ, მტრედო, იქნება, მართლა
 მართო ყორანი არსებობს ქვეყნად?
 წყველა არიულ ყავისფერ მუნდირს,
 ზიზღი ცვედნობას და უკაცობას,
 ყორანი ყორნით, გუნდი და გუნდი...
 ეყოფათ განა გვამი საძლომად?
 მიცვალებულთა თვალები უმზერს
 ზეცას ყორნისფერს და მიყოლებით
 ცით მოფრინავენ გვამების სუნზე —
 გუნდი და გუნდი შავი ყორნების.
 ღრუბლებზე მეთი და მეთი

მკვდარებზე,
 გუნდი და გუნდი. გარეთ და შიგნით,
 ერთი „ბებერი“ დამადგა მკერდზე
 და მე მკვდარი ვგრძნობ
 თუ როგორ მიძინის.

ბერან ბელზენი

ფიჩინ ბონაფიცი

მკრთალმა რიყრაყმა სულში ჩამხედა
 და ცხელი ხელი გამომიწოდა.
 ჩემი საყანი უფრო გამხნედა
 მოვარდა დილა და შემციოდა.

ცას გაჰკრავს ღრუბლის ცისფერი
 ფთილა,
 აღმოსავლეთის ეარდისფერ კართან,
 იქნებ, ეს დილა,
 ლამაზი დილა.

ჩემი სიკვდილის დილაა მართლა.
 მერე ჭალათი უკან ბრუნდება,
 ასი სიკვდილი ჰკიდია გულზე
 ო, მე ვცვივები და მე ვჩუმდები
 და ჩემს წილ სიკვდილს თვალებში
 ვუმზერ.

დღეს ჩემი ჭერი კი არ ყოფილა,
 ყოფილა ჩემი მეგობრის ჭერი...
 წასული სული ისევ მოფრინდა
 და დამიბრუნა სიცოცხლის ფერი.
 შიში და ცრემლი არ დამანახოთ!
 გამაგრდი, მალე წრე შეიკრება.

ჩვენი მიწა და ჩვენი სამარხი
 მამულიშვილთა ძეგლი იქნება.
 ის წაიყვანეს გრძელი დერეფნით,
 რომ ეს ლამაზი დილა ჩაუქრონ...
 მე ავბრიალდი, გრიგალს შევები,
 გავხდი დიდი და უფრო ჩაუქი.
 მიყვირის სულში მისი სიკვდილი
 (და თითქოს მართლა ჩემი ღვიძლია)
 თუ ვაქცავი ხარ, კი არ მიტირო,
 შური იძიე, თუ შეგიძლია.
 ყველამ იცოდეს, ყველამ იცოდეს.
 ვარ საიდუმლოს დიდის გამხმელი...
 ახლა ჩემია მისი სიცოცხლე,
 მე შექვია ახლა მისი სახელი!

ფლოსენბურგი

14.

ახლა წავიდეთ და დავისვენოთ
 და ზღვის ყრუ გუგუნს ყურად
 დაუგდოთ,

შენი ჭირიმე მთები ვკისმენენ
და ცხოვრებაზე არ სთქვა აუგი.
ის ლამაზია და კეთილია,
იგი ტკბილია,
იგი მწარეა.

რაც მთავარია, გაცვეთილია,
მომავალია და სიმწვანეა.

ჩვენ აქ მთელი დღე ვერავინ

გვნახავს

და ჩვენ ვიქნებით დღესავით ერთი,
შენ ჩემთანა ხარ,

აღარ ხარ გაღმა,

ერთმანეთს ვგავართ, ვით ორი წვეთი,
სულ ერთადა ვართ, ასე მგონია,
ასე მგონია, ლურჯი დილა ხარ,
ამაზე ტკბილი დღე არ მქონია
და შენზე კარგი ჯერ არ მინახავს.

15.



ეროვნული

უკანასკნელად შეხედე მზესკანს მთქანს
უკანასკნელად დახედა მიწას.

დახედა თვალი, სიკვდილი ეცა
და ცივ მიწაზე დაღლილი მიწვა.
პატარა სოფლებს და ლამაზ

სოფლებს

შეხედეთ, ჩვენსკენ ხელებს

იწვდიან,

სულ ერთი ბეწო ყუმიბარა ყოფნით,
რომ აღიგავონ უცებ მიწიდან.

მაგრამ თუ ერთხელ, ერთად სთქვა
ხალხმა

და მთელი ძალით დაიგუგუხა,
შემობრუნდება ცხოვრების ჩარხი,
და მოიხვენებს ეს საუკუნეც.

16.

ოქმი დაღუპული ჯარისკაცის სიზმარი

მაზუთით სავსე ლამაზ ჭაობებს,
ბაობაბების ცრემლები ერთოთ;
სისხლის ცხენებით ცისკენ

ჩქარობენ —

შავი ჭირი და ყვითელი კეთრი,
ვიღაცამ უცებ მოზიდა ისარს,
და აუვარდა ტირილი ურჩხულს.

თურმე ურჩხული ზედავდა სიზმარს
და დაეშართა სიზმარში კრუნჩხვა.

ველარასოდეს ვერ გაიღვიძებს
და სულ კრუნჩხვაში იქნება ასე,
გული ლურჯი ცის ძებნად მიმიწვეს
და ნახვის ნატვრით გული მაქვს
საესე.

17.

ჩვენ დედამიწის ბურთში გავძვრებით,
ჩვენ მზის სისტემას გავეპარებით,
ჩვენი ფიქრით და ჩვენი ტაძრებით
და ჩამოხსნილი რკინის კარებით.
და მზეზე შორს, შორს, წავიღებთ
იქაც —
„ვეფხისტყაოსანს“, ვით საზარებას,
გავხდებით ერთი.

წყურვილს მოვიკლავთ,
მოვიკლავთ სველას და მწუხარებას.
ახლა კი, ჩემად, ნუ გვაღვიძებთ! —
ის ფურცლებში სძინავთ ფერიებს,

ცისფერ ვარსკვლავებს ტანთ

გაუძვრიათ

და დიდი მთხის ლექსებს მღერიან.
და ორი გემის შორეულ შტაქზე,
შენ ჩანხარ ისე, როგორც ნიჟარა,
მოვარდა ქარი,

გემთზეა შუბლზე

და ოქროს თმები ჩამოვთშალა.

შენა ხარ ცა და შენ ხარ ცისფერი,
შენა ხარ ჩემი ლამაზი მსხვერპლი...
მე რასაც გეტყვი, ნუ შეიფერებ,
ნუ შეიფერებ და კიდევ გეტყვი...

ცაში გაბნეულ ნაცრისფერ ვერძებს
 რქებზე ჰკიდიათ ოქროს ვეფენები,
 მე შენს სიყვარულს მთვარეში ვეძებ
 და მთვარის შუქით უკან ვეშვები.
 ეს იყოს ცდა და სხვა არაფერი.
 ჩემს სიყვარულში დარწმუნდე ოდეს,
 იმედი გქონდეს ჩემი გაფრენის
 და დაბრუნების იმედიც გქონდეს.

18.

როდის დაიწყეს და ოცდაორში...
 როდის დამთავრდა? ცხრა მაისს,
 შვილო.
 ხალხს არ ყოფნიდა პური და გროში
 და ძვირი ღირდა საშარვლე ტილო.
 ოცდაორიდან ცხრა მაისამდე
 არის დღემილი და მღვრიე განცდა,
 ბევრი ვიწვალეთ,
 ბევრი ვიცადეთ,
 და გვეყო სული,

მაინც არ გაცვდა.

მერე? —

რა მერე,

წადი და ხატე,

დახატე ლურჯი თბილისის ზეცა,
 ის არის ჩვენი ჯვარი და ხატი,
 წმინდაკვირიც და ოქროს ვერძი.
 მიწა დახატე ძველი საზღვრიდან
 და საქართველოს დროშა დახატე,
 წადი, დახატე დიდი მთაწმინდა,
 ჩვენი საძვალე,

ჩვენი სახატე.

გემი დახატე, რომელსაც მიაქვს
 გაჭირვებული კაცისთვის პური,
 რომ იყოს ყველგან კარები ღია,
 რომ დაჰყვეს კაცი მის ნებასურვილს.
 ეს დღე კალენდარს მოემატება,
 ეს დღე იქნება შვილივით ჩემი...
 და, როცა ყველას მოვენატრები, —
 ყვირილს დაიწყებს ნახატი გემი.



საგმი ჟიურის

მკატერინე ჰავაპაძე

ქრონიკა

წიგნი მეოთხე

მამულს, სახვარელს

ინჟამად პეტერბურგში 30-მდე ქართველი სტუდენტი სწავლობდა. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთის მოწინავე ადამიანებმა ყიყინა დასცეს ბატონყმობას და მთელი პროგრესული რუსეთი ფეხზე დააყენეს. ამ მოძრაობის ქარიშხალმა უნივერსიტეტშიც შეაღწია და მთელი ახალგაზრდობა ააფორიაქა. ქართველი სტუდენტობა ერთბაშად აჰყვამ ტალღას. მათ სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა.

ილიასთან ყოველდღე იკრიბებოდნენ ქართველი სტუდენტები. იყო გაუთავებელი კამათი და სჯა-ბაასი: ხან—„სოცრემენიკში“ დაბეჭდილ სტატიებზე, ხან კიდევ — ქართულ ჟურნალ „ცისკარზე“, მის მიმართულებაზე...

— „ცისკარი“ რაც არის, ჩემზე ნაკლებად თქვენც არ მოგვხსენებთ, მაგრამ ამ ჟურნალის არსებობაც დიდი ფაქტია და ჩვენი ვალდებულებაა, იგი ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ. თუმცა ჟურნალთან მწვავე პოლემიკა ვვაჭვს, ჩვენ იგი ჩვენი წრის შეხედულებათა პროპაგანდის ტრიბუნად უნდა ვაქციოთ. ეს ჟურნალი შიგნიდან უნდა ავადფეთქოთ და იქ ჯანსაღი საზოგადოებრივი ატმოსფერო უნდა შევქმნათ, — ამბობდა ილია.

— მართალია, მართალია, — დაუმოწმეს წრის წევრებმა.

ილია ორმხრივ მოქმედებდა.

ერთი მხრივ ჩერნიშევსკის წრესთან თავმოყრილ ახალგაზრდობაში ტრიბუნაობდა.

ერთ დღეს ილია ნიკოლოზ ჩერნიშევსკის ესტუმრა. იქ ნიკოლოზ დობროლუბოვი და ნიკოლოზ ნეკრასოვი დახვდნენ. რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ამ გამოჩენილმა მოღვაწეებმა ქართველი სტუმარი სიყვარულით მიიღეს, გვერდით მოისვენეს და ჰკითხეს: „რას იტყვით თქვენ, ქართველო, გამოგყვებათ თქვენი გლეხობათვის უფლებებისათვის ბრძოლაში?“ ილიამ დაუდასტურა: დიახ, უთუოდ გამოგყვებათ. დიდხანს საუბრობდნენ. რასაკითხებზე და პრობლემებზე აღარ ილაპარაკეს და ყველა ამ კამათსა და დაევაში ილია აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

ილია შინ მოხიბლული დაბრუნდა. ჩერნიშევსკისა და მისი თანამოაზრეების გაბედული, რევოლუციური შეხედულებები, დამჯარი ჭკუა და მეცნიერული ანალიზი მოეწონა, გულით შეიყვარა ეს ადამიანები. მას შემდეგ აღარ მოსცილებია მათ. განსაკუთრებით ჩერნიშევსკისთან მეგობრობდა. ასე გახდა ეს ქართველი სტუდენტი ამ რევოლუციური წრის აქტიური წევრი, ამ წრეში მიღებული კაცი...

მეორე მხრივ, ილია ქართველი ახალგაზრდობის წრის საქმიანობას წარმართავდა. მას ამ დროისათვის უკვე დიდი ნაცნობობა ჰქონდა პეტერბურგში გაღმოსახლებული ბატონიშვილების ოჯახებთან. მართო ეკატერინე ჭავჭავაძისას კი არა, ერეკლეს და სოლომონ მეფის შვილებთანაც ხშირად დადიოდა. ეს ნაცნობობა ილიამ პეტერბურგის



უნივერსიტეტის პროფესორის დავით ჩუბინაშვილის მეოხებით დაამყარა.

უნივერსიტეტში ქართული ენის სემინარს პროფესორი ჩუბინაშვილი ხელმძღვანელობდა. იგი ქართველი სტუდენტების მრჩეველი და ჰუკუს მასწავლებელი იყო. მისი რჩევით, ქართველმა სტუდენტებმა საგანგებო ბიბლიოთეკა შექმნეს. ამ ბიბლიოთეკას, რუსულ და ევროპულ წიგნებთან ერთად, ძველი ქართული ხელნაწერები და დაბეჭდილი წიგნებიც ამშვენებდა.

პროფესორმა ჩუბინაშვილმა ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკას იმ დღეებში გარდაცვლილი სალომე ბატონიშვილის ბიბლიოთეკა გადასცა და მათ ასეთი ოფიციალური ხელწერილი ჩამოართვა: „ქართველი სტუდენტები გაძლევთ თქვენ, პროფესორ ჩუბინაშვილს ამ პირობის წერილს, მასზედ, რომ მივიღეთ თქვენგან ნაჩუქარი განსვენებული მეფის ასულის სალომესაგან შეზღვეობი ქართული წიგნები: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცოცხლისა“, რუსულ-ქართული ლექსიკონი, „ქართლის ცხოვრება“, „ყარამანაიანი“ და სხვ... და ეს დასახელებული წიგნები სასარგებლოდ ჩვენდა ჩვენს ბიბლიოთეკაში დარჩება დაუკარგავად, რაზედაც ხელს ვაწერთ“.

ხელს აწერდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა ქართველი სტუდენტები. ისინი მთელი კვირა ამ წიგნებსა და ხელნაწერებს არჩევდნენ და კამათობდნენ. ილია თვითონაც კითხულობდა ამ წიგნებს და წრის წევრებსაც ავალებდა წაეკითხათ. ამავე წრეში არჩევდნენ და კითხულობდნენ შექსპირის, ვოეთეს, ბირონის, პუშკინის, ლერმონტოვის, ვალტერ სკოტის, შილერის, ჰაინეს და სხვათა ნაწარმოებებს.

ერთ დღეს ილია ჭავჭავაძემ სტუდენტთა წრეში თავისი ახალი ლექსები წაიკითხა.

პოეტის სიტყვებს:

...ავიყოლია სურმიდანვე ჩვენ ქართლის ზედა,
და დე ვგვრახონ, ჩვენ მის ძებნილ დავლით
დღეს... იორთაჲსა

მქუხარე ტაში მოჰყვა. ხოლო პასუხად ერთობლივი შექაბილი ბანივით გაისმა: „ჩვენ მის ძებნილ დავლით დღენი“.

ქართველ სტუდენტთა წრეში დიდი რომანტიკა, დიდი აღფრთოვანება, დიდი ოცნება სუფევდა, კამათი და დავა არ წყდებოდა. ილია გახარებული იყო ყოველივე ამით. როგორც ნამდვილი მეთაური, ისე გრძნობდა თავს და აქ ისახებოდა ის კვირტი ერის მამობისა, რომელიც შემდგომ გაიშალა და გაიფურჩქნა საქართველოში.

იმ კვირას ქართველ სტუდენტთა წრეში, ისევე დიდი აღელვება და აღტაცება მეფობდა. ამის მიზეზი კი ბარათაშვილის ლექსთა კრებული იყო. ილია თავის თანამემამულეებს, აღელვებით უამბობდა ბარათაშვილის ლექსების გამო.

— მუდამ უნდა გვახსოვდეს ბარათაშვილის სიტყვები: „რა ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული“ დიახ, ჩვენ დამწყვედეული ერი ვართ, კოლონია ვართ! კოლონიური ერის პირველი საზრუნავი კი ეროვნული განთავისუფლება უნდა იყოს! ყველაზე უბედური დამონებული ერია. მხოლოდ კოლონიალიზმის უღლიდან თავდაღწეულ ერს შეუძლია მოიშუშოს ეროვნული და სოციალური ტყვილები. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სანამ ბატონ-ყმობა არსებობს, მანამდის ძნელი იქნება ეროვნული თვითგამორკვევის გრძნობები გავუღვიძოთ მიწაზე გართხმულ გლეხკაცობას. ამიტომაც ეროვნულ ჩავვრასა და ბატონყმობას ერთდროულად უნდა დავარტყათ. ეს ორი დიდი ჰერი უნდა მოვაშოროთ ერს, თუ ნამდვილად შეგვტყევა გული მამულისათვის. და აქ ჩვენ ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ, ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ. ეს ადვილი საქმე როდია, დიდი მსხვერ-

პლის ვალება დაგვეკირდება, მაგრამ უმსხვერპლოდ როდი ვაკეთებულა რამე დიდი საქმე. ჩვენს ერს ახლა ერი-სათვის, მამულისთვის თავშეწირული აღმამიანები სჭირდება, უნდა ვუმკურნალოთ, უნდა ვუპატრონოთ, უნდა მოვუ-აროთ ჩვენს გაუბედურებულ ერსა. — ესა თქვა ილიამ და შეჩერდა. მერე რატომღაც იფიქრა, ნათქვამი ცხადად არ გამოეხატეო და ისევ გააგრძელა:

— რუსეთს ერთი ჭირი აქვს მოსა-შორებელი — ბატონყმობის ჭირი. გა-მოღვიძებული რუსეთი ამ ჭირს ადვი-ლად მოიშორებს თავიდან. ამ ბრძოლა-ში ჩვენც მათთან ვიქნებით, რადგან ამით ჩვენი საქმეც კეთდება. მაგრამ ვაი, რომ ჩვენ ორი ჭირი გვაქვს მოსა-ცილებელი! ჩვენ მანამ ვიქნებით უბე-დურები, სანამ თავისუფალი ერი არ გავხდებით, დამოუკიდებელი სახელ-მწიფო არ გვექნება. ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტყვილი აქვს, სულ სხვა ფა-თერაკი სდევს. ჩვენი მთავარი საზრუ-ნავი ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგე-ნაა. ამაზე უსაჭიროესი არა აქვს რა ახ-ლანდელ საქართველოს შვილს. ერი, რომელსაც თავისი საკუთარი ეროვნუ-ლი მთავრობა და თავისი ჯარი არა ჰყავს, ამა, რა ერი!... ჩვენი მთავრო-ბა და ჩვენი ჯარი — აი, რა გვინ-და ჩვენ! და მერე რამდენი ბრძოლა დაგვეკირდება ჩვენ იმისათვის, რომ ამ მიზანს მივალწიოთ...

— ბრძოლაში, ბრძოლაში ვეძიოთ ჩვენ ჩვენი ქვეყნის მომავალი, — ისევ ერთხმად მისცეს ბანი ილიას ქართვე-ლმა სტუდენტებმა.

ახლა უფრო თამამად გააგრძელა ილიამ:

— მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ ახლა ბაგრატიონთა დინასტიის აღ-დგენისათვის ვიბრძოლებთ და რომე-ლიმე ბატონიშვილს ისევ მეფედ წამო-ვასკუბებთ, ბატონყმობას განვამტყი-ცებთ. არა, ჩვენ მშრომელი ხალხის ჭი-რი და ვარამი უნდა გვამოძრავებდეს. ჩვენ ისეთი მთავრობა გვინდა, რომე-

ლიც ხალხისა იქნება. არ დაიფიქროთ, რომ ხალხის სიყვარულიც კი სახელმწი-ფოს ძალა და დონე. მართლაც სიყვარუ-ლით აღფრთოვანებული ხალხია საიმე-ლო ყოველ განსაცდელში. ხალხის სიყ-ვარული არის დულაბი, რომელმაც უნ-და განამტყიცოს სახელმწიფოს ეროვნული შენობა. საცა ეს სიყვარული არ არის. იქ სახელმწიფო ფუყეა, ერთი ლახათიანი ქარის შემობერვა და იმის დამსხვრევა ერთია. მომავალი საქართველოს ფუძე ხალხია, ხალხია ერის შემ-ნახველი. მისი ენის, მისი კულტურის შემმარჩუნებელი და დამფასებელი. სწორედ ამ ხალხისთვის უნდა ვიბ-რძოლოთ, ხალხთან უნდა ვიყვნეთ, მას-თან უნდა ვიტრიალოთ, მასთან უნდა დავამყაროთ სულიერი კავშირი, თუ გვინდა ვუმკურნალოთ ჩვენს დაცემულ საქართველოს.

— სწორია, მართალია — გუგუნებ-და სტუდენტთა გუნდი. ილია არ შე-ჩერებულა:

— დიას, იმას მოგახსენებდით, ჩვენს თავადაზნაურობას მე კარგად ვიცნობ, ჩვენს ბატონიშვილებსაც. აი, ახლა, როცა ამ ჩვენს ბატონიშვილებს, ტახ-ტის დაბრუნებაზე მათს ოცნებას ვაკ-ვირდები, როცა მათს გულამოსკენილ სიტყვებს ვისმენ, ვხედავ, რომ ყველა-ფერი ეს ფუჭი ოცნებაა. ეს ერთი მუჭა გადაგვარებული ბატონიშვილები ჩვენ-თვის გამოუსადეგარნი არიან. მათ არც სული აქვთ ხალხისა და არც ხორცი. ქართული ენა, ეს ჩვენი სალოცავი ენა, დაუფიწებიათ და ტახტს კი ეპოტინე-ბიან. არა, მათგან არაფერს უნდა ვე-ლოდეთ სახეიროს, ჩვენი გზები გაიყა-რა. ჩვენ ახლა ხალხის შემყურენი უნდა ვიყვნეთ. ბატონყმობის გადავარდნა ერის დამოუკიდებლობის აღდგენას უნ-და დაუკავშიროთ. ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნოდეს. მე მჯერა, ამ ეროვნული მისიის შესრულებაში მო-წინავე რუსეთი, ჩერნიშევსკის რუსეთი. ჩვენს მხარეზე იქნება. მე კარგად ვიცი-ნობ მათ შეხედულებებს საქართველო-

ზე, მარცხს მათი დიდი ცოდნა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და დიდი სიყვარულიცა. ეს სიყვარული და პატივისცემა ჩვენ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ უნდა გამოვიყენოთ.

პარაზიტები და მუქთახორები კი არა, მშრომელები და პატრიოტები შექმნიან ახალ საქართველოს. შრომისა ახსნა — ჩვენი თაობის, ამ საუკუნის ტვირთია და ეს ტვირთი მსრბვით უნდა ავიხილოთ ჩვენს ხალხთან ერთად. დავთქვათ, რომ ამ საქმეში ერთგული ძმები ვიქნებით, რომ არ ვუღალატებთ ამ წმინდა საქმეს.

— დავთქვათ რომ, დავიცვათ ეს წმინდა საქმე! — ერთხმად შესძახეს სტუდენტებმა.

— მაგრამ მთავარი მანც ის არის, — განაგრძო ილიამ, — რომ დავიხსნათ ჩვენი ხალხი ეროვნული მონობისაგან. ისე საზიზღარი არაფერია, როგორც მონობა, სხვა ერის, უცხო ძალის წინაშე მორჩილება. ჩვენს სამშობლოს ბევრი მტერი და მუხანათი ჰყავს შინაც და გარეთაც. უნდა ვიხსნათ ჩვენი ხალხი ეროვნული გადაგვარებისაგან. ქართული ენა უნდა ვიხსნათ მოსპობისაგან. ბედი ქართლისა უნდა გადაიწყდეს და, შემომფიცეთ, რომ არ უღალატებთ ჩვენი თაობის ამ ეროვნულ მოწოდებას! სიკვდილი ან გამარჯვება!

— სიკვდილი, ან გამარჯვება! — გაიმეორა მთელმა გუნდმა.

ილიამ ახლა კმაყოფილებით გადახედდა მეგობრებს. მზად იყო სათითაოდ ყველას გადახვეოდა.

— მაშ ასე! — მხოლოდ ესლა თქვა და ამ დინჯმა ჰაბუკმა თავი შეიკავა სხვა ეესტებისა და მოძრაობისაგან. — მაშ ასე, ეს ჩვენი პირობა უბრალო ლიტონი სიტყვები არ უნდა იყოს. დე, ყოველმა ჩვენთაგანმა საქმით გამოაჩინოს სამშობლოს ერთგულება.

კმაყოფილი, აღფრთოვანებული და აღტაცებული სტუდენტები გვიან დაიშლნენ, ასე ეგონათ, ამ საქმეს არაფერი დაუდგებოდა წინ.

მეორე დღეს სტუდენტთა მთელვარება ისევ განმეორდა. იმ დღეს მთელი უნივერსიტეტი გაიფიცა სტუდენტებს ზოგიერთი მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე პროფესორიც შეუერთდა.

სუცხელი გამოძიება და ჩხრეკა დაიწყო. რამდენიმე კაცი შეიპყრეს, ორასამდე სტუდენტი კი დაითხოვეს. დათხოვნილებში ილიაც იყო.

ქართველ სტუდენტთა წრის მუშაობა შეჩერდა, რეაქციის შავი ღრუბლები ჩამოაწვა რომანტიკულად აღფრთოვანებულ სტუდენტთა ოცნებას და ყველაფერი გამოურკვეველ ბურუსში გაეხვია...

ილიას აზრით, საქართველოს ყველაზე დიდი მტერი ის იყო, ვინც ბატონყმობას დაეინებით იცავდა და არ ფიქრობდა ხალხის მომავალზე. ეკატერინე დადიანსაც ბატონიშვილების ბანაკში სთვლიდა.

იმ დღეს ილიასა და ეკატერინეს შორის მეტად ცხარე კამათი გაიმართა. ეკატერინე ისე გამომწვევად აკვირდებოდა ჰაბუკ სტუდენტს, თითქმის პირველად ხედავსო, მოეწონა ეს ტანმორჩილი, მაგრამ ჯმუხა და ფოლადივით ჩახსმული ჰაბუკი, მისი გაშლილი, სპეტაკი, გონიერი შუბლი, წყლიანი, მეტყველი თვალები, სწორი ცხვირი, მსხვილი ტუჩები... გაბადრული სახის თაფლისფერი, თაფლისა კი არა, სპილენძისფერი კანი სიფაქიზეს და მიმზიდველობას ანიჭებდა ახალგაზრდა კაცს. ილია გარკვევით, გამომეტყველებით ლაპარაკობდა. იგი ოდნავ გულჩათხრობილად მოუჩვენა ეკატერინეს, იფიქრა, მთლად გულახდილი არ უნდა იყოს ჩემს წინაშეო, მაგრამ არაფერი უთქვამს, ისე განაგრძო:

— არა, ჩემო ილია, ეს გლვებები სიკეთეს არ მოუტანენ ჩვენს საქმეს, ჩვენს თავადაზნაურობას...

ილიამ არ დააცალა აზრის დასრულება:

— თქვენი საქმისა, არ ვიცი, რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენი ერის ძალა და

ძარღვი რომ გლეხია, ეს უდაოა. მე ბავშვობიდან გლეხებში ვტრიალებ და ვიცი: გლეხკაცობა კეთილია, გულით მართალი და პატიოსანი. თუ გლეხს გულს გაუხსნი და მიენდობი, არ გიღალატებს, არ გაგწირავს. ჩვენებური თავადიშვილი უფრო მოღალატეა, ვიდრე გლეხი.

ეკატერინეს არ მოეწონა ილიას სიტყვები და ქვემოდან ახედა, მერე ერთბაშად მიახალა:

— კარგი, ჩემო ილია, თავი დაგანებოთ ასეთ სისულელეს. ღმერთს რაც დაუმტკიცებია, იმას ვერ გადაუვალთ. მამაჩემსაც, როგორც პოეტს, უყვარდა და მოსწონდა გლეხკაცობა. შენც უნდა შეიყვარო ისინი, მაგრამ არა მგონია, შენი აზრი მართალი იყოს. ჩვენი ქვეყნის ფუძე და მეთაური თავდაზნაურობაა, და თუ ეს ფუძე მოიშალა, საქართველო მეორე დღესვე დაიღუპება. ქალამნიანებისა და მაწანწალების საქართველო არავის უნდა, არავინ მოსურვებდა ასეთ ქვეყანაში ცხოვრებას. საჭირო რომ არ ყოფილიყო, თვით ღმერთი არ გააჩენდა ბატონსა და ყმას. ღმერთი იყოს მფარველი ჩვენი და ნურც მოგვიშალოს უფალმა მისგან დაწესებული ეს კანონი!

ახლა კი გაცხარდა ილია ჭავჭავაძე:

— ვერა, ვერ დაგეთანხმებით, ჩემო დედოფალო. უკან კი არა, წინ უნდა ვიხედებოდეთ! ჩვენს დროშას უნდა წარვუშვლავართოთ სიტყვები: ძმობა, ერთობა, თავისუფლება! ახლა ამისათვის მთელი განათლებული კაცობრიობა იბრძვის. ყველა თავადი და აზნაური, ვისაც კი გონიერება შერჩა, ამ პროგრესის მომხრე იქნება. ვინც ამ გზას არ გაჰყვება, დაიღუპება. ამიტომ ჩვენ წარსულზე მოთქმა და ტირილი კი არ გვმართებს, არამედ ადამიანის დამამცირებელი და შეურაცხყოფელი ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა. ტირილი და მოთქმა დედაბრების საქმეა. თუ გესურს გადავურჩეთ ჩვენი დროის ქარიშხალს, მონობის ბორკილები უნ-

და დავამსხვრიოთ. თუ ამას ნებით არ გავაკეთებთ, ძალით გავგაყვავებინებენ, დედოფალო, ძალით... *შეზღვირეთქა*

ასეთი თამამი აზრი სრულებით არ მოეწონა ეკატერინეს. ისე გაბრაზდა, რომ არც კი მოისურვა მისი მოსმენა.

— არა, ნამდვილად არ ესმით მათ ხალხისა, ჩანს; გადაგვარებულან; ჩანს, საქართველოს მომავლისათვის ბრძოლაში თავადიშვილობა ცუდ როლს თამაშობს. ჩვენი იმედი ისევ გლეხკაცობა უნდა იყოს, — თქვა ილიამ და ხელი ჩაიქნია, თითქოს აბეზარ ფიქრებს თავიდან იცილებსო.

ილია შინ უკმაყოფილო დაბრუნდა.

პეტერბურგში ყოველდღე უამრავი მეგობარი და ნაცნობი ნახულობდა ეკატერინე ჭავჭავაძეს: ქართველი ბატონიშვილები, თუ რუსი გენერლები და ოფიცრები, ქართველი სტუდენტები, თუ რუსი მწერლები და მხატვრები, რომელთაც კავკასიაში უმსახურიათ და ჭავჭავაძეებისა და დადიანების ოჯახებთან მიმოსვლა ჰქონიათ. ეკატერინეს რეზიდენცია ერთბაშად სალონად იქცა. განსაკუთრებით ბევრი მიმოსვლელი იყო შაბათსა და კვირას.

იმ დღესაც ახლო მეგობრები ესტუმრნენ დედოფალს. მათ შორის იყო ეკატერინეს ძველი ნაცნობი და ჭავჭავაძეების ოჯახთან დაახლოებული რუსი პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი. იაკობ პოლონსკი. პოლონსკი საქართველოში დიდხანს ცხოვრობდა, ჯერ მასწავლებლად იყო თბილისში, მერე თბილისის რუსული გაზეთების რედაქციებში მუშაობდა. იქამად იგი დიდად დაინტერესდა ქართული მწერლობით, კულტურით და შემოქმედების მთავარ თემად საქართველო გაიხანდა.

და აი, ახლა, ეკატერინეს ყოველ შაბათს ეწვეოდა ხოლმე და, უკითხავდა და უკითხავდა საქართველოზე დაწერილ ლექსებს, ათასგვარ ახალ ამბებს

უყვებოდა და ართობდა დადარდიან-
ბულ დედოფალს. ამ დღეს კი ეკატერინ-
ნისთან პეტერბურგის მაღალ არისტოკ-
რატიაში დიდად მიღებული, სალონე-
ბისა და ბალების შეუცვლელი სტუმარი
პოეტი ვლადიმერ გიორგის ძე ბენედიქ-
ტოვი მოეყვანა.

საქართველოს უზომოდ მოტრფილედ
რუსი კაცის გულდიაობით და უშუა-
ლობით იგონებდა პოლონსკი თბი-
ლისში გატარებულ დღეებს. ახლა ისევ
თბილისზე დაწერილ ლექსებს კითხუ-
ლობდა და თვალბეჭდებში შესცქეროდა
ეკატერინეს. ლექსში „Прогулка по
Тифлису“ ოციანი წლების თბილი-
სის ყოფა, თბილისის ბაზარი, უცხო-
ელი და შინაური ვაჭრები, თბილისის
განთქმული აბანოები, თბილისის სიმ-
ველეები ისე იყო დახატული, რომ ეკა-
ტერინეს თვალწინ წარმოუდგა თბილი-
სი, საყვარელი დედაქალაქი. ეს ლექ-
სი ეკატერინეს ადრეც ჰქონდა წაკი-
თბული, მაგრამ ახლა ავტორი ისეთი
გზნებით და პათოსით კითხულობდა,
რომ ეკატერინეც, ბენედიქტოვიც და
სხვა რამდენიმე სტუმარიც, რომლებიც
დედოფალს იმ საღამოს ეწვივნენ, დიდი
ყურადღებით უსმენდნენ. ბოლოს პო-
ლონსკიმ ხმას დაუდაბლა და ასე და-
ამთავრა:

...В котором много блеску, жизни мало
Повсюду я спешу ловить
Рой самых свежих впечатлений;
Но признаюсь вам, — надо жить
В Тифлисе — наблюдать — любить
И ненавидеть, чтоб судить
Или дождаться вдохновенный...

ახლა ეკატერინემ ბენედიქტოვს
სთხოვა რაიმე ლექსი წაეკითხა. ბენე-
დიქტოვმაც დიდი რიხით წაიკითხა ლექ-
სი „ტბა“. სხვანაირად, უფრო ყალბი
პათოსით კითხულობდა, ვიდრე პოლონ-
სკი. იგი იპრანჭებოდა, თავი დიდ პო-
ეტად მოჰქონდა. სტუმართმოყვარე დე-
დოფალი კი მოთმინებით უსმენდა.

ეკატერინემ ახლად გაცნობილ პოეტს
ლექსი მოუწონა და თან ასე უთხრა:
კარგია... ამ თემაზე მამაჩემსაცა აქვს

ლექსი. მამაჩემის ლექსი უფრო სველია-
ნია. თუ გნებავთ, მე წაგიკითხავთ... და
გადაგითარგმნით.

ბენედიქტოვი ახლო მივიდა, ხელზე
ეამბორა და სთხოვა, წამიკითხეთო.
დედოფალმა არ დააყოვნა და მშვენიერ-
ი პათოსით წაიკითხა „გოგჩის ტბა“...

ახლა ისევ პოლონსკი ჰყვებოდა ამ-
ბავს.

— დედოფალო, თქვენ გიყურებთ
და თვალწინ ნინო მიდგას, თითქოს
რსეც ცოცხალი იყოს. ვერ ვიტყვი, რომ
ნინოს ძალზე ჰგავდეთ, მაგრამ როცა
თქვენ გესაუბრებით, ვხედავ, რომ ნაც-
ნობი, საერთო იერი და სულით ნათესა-
ობაა თქვენსა და ნინოს შორის. მე ნი-
ნოს დიდი მადლიერი ვარ, დიდად დავა-
ლებულიც მისგან. მან შთამაგონა
საქართველოს სიყვარული. მთაწმინდა-
ზე ნინოსთან ერთად გრიბოდოვის
საფლავთან რომ ვიდექი, მაშინ თავი
ვალბეჭდულად ვიგრძენი, რაც ძალა და
ნიჭი გამაჩნდა, საქართველოსთვის მი-
მეძღვნა. ერთი ჩემი საუკეთესო ლექს-
თაგანი ნინოს მივუძღვენი. მისი და-
ბეჭდვა თბილისში ვერ მოვასწარი. შემ-
დეგ რამდენჯერმე გადავაკეთე. ნინოს
გარდაცვალება რომ გავიგე, ისევ შეე-
ცვალე. დღემდეც არ დამიბეჭდავს და
ახლა ჰაშნიკად მინდა თქვენ გაგასინ-
ჯოთ. ჩემო დედოფალო, — თქვა პო-
ლონსკიმ და ამ ვრძელი ლექსის კითხ-
ვას შეუდგა:

Н. А. Грибоедова

Не жизнь, красавец молодой,
Внука иверских царей,
Был сокровенною мечтой
Ее цветущих дней.
Не вояды грузинских удалцов, —
Гроза соседних гор, —
Признаньем вынудил ее
Потушить ясный взор...

კითხულობდა და თვალბეჭდებში შესცქერ-
ოდა ეკატერინეს, მოსწონს თუ არაო,
და ისევ კითხულობდა. და, ბოლოს, და-
ამთავრა თუ არა ლექსი, ეკატერინემ
ხელი ჩამოართვა. პოლონსკიმ დიდად
გაიხარა, რაკი მისი ლექსი დედოფალს
მოეწონა.

მერე სიტყვა ოდოევსკის, პუშკინის ლექსებზე ჩამოვარდა.

ლერმონტოვიც მოიგონა დედოფალმა:

— ლერმონტოვი ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო-მეთქი, რომ ვთქვა, ცოტაა, მისი ბევრი ლექსი ჩვენს ოჯახშია დაბადებული. „Книжка“ ხომ იცით, ჩემი ნინოს ნახუქარმა ხანჯალმა დააწერინა. სამიოდე ლექსი მეც მომიძღვნა. მისი «Слышу голос твой», «Она поет», ჩემზეა დაწერილი. ეს ლექსიც მე მომიძღვნა — თქვა და ზეპირად წარმოთქვა ლერმონტოვის ლექსი:

Как небеса твой взор блистает
Эмалью голубой,
Как поцелуй звучит и таит
Твой голос молодой;
За звук один волшебной речи,
За твой единый взгляд,
Я рад отдать красавца сечи,
Грузинский мой булат;
И он порою сладко блещет,
И сладостней звучит,
При звуке том душа трепещет,
И в сердце кровь кипит.
Но жизнью бранной и мятежной
Не тешусь я с тех пор,
Как услышал твой голос нежный
И встретил милый взор.

ეკატერინე ისევ დაეინებით ამტკიცებდა, ლერმონტოვის ლექსებში დიდი წვლილი უდევს საქართველოს და, კერძოდ, ჩვენს ოჯახს, კერძოდ, მე და ნინოს, სწორედ ჩვენ ჩავაგონეთ მას სიყვარული და პატივისცემა ჩვენი ქვეყნისათვის. იმ საღამოს გვიან დაიშალნენ სტუმრები.

იმავე კვირას პეტერბურგში დიმიტრი ყიფიანი ჩამოვიდა, ხოლო მეორე შაბათს კვლავ მოიწვია, ეკატერინემ რუსი პოეტები: ბოლონსკი, ბენედიქტოვი, მაიკოვი...

სადილზე დაპატივებული სტუმრები ისევ ლექსებით ერთობოდნენ.

იმავე საღამოს ეკატერინე სტუმრებთან და დიმიტრი ყიფიანთან ერთად „მედეას“ სანახავად წავიდა. მედეას როლს იტალიელი მსახიობი ადელიადა

რისტორი ასრულებდა. მთელი დარბაზი სულგანაბული შესცქეროდა. მსახიობის მომხიბლავ თამაშს. რეცე მძინ დაბრუნდნენ, ეკატერინემ ვერ დამალა აღტაცება და დიმიტრი ყიფიანს უთხრა:

— ამის მსგავსი არაფერი მინახავს. რა დიდებულად წარმოადგინა კოლბი ქალის მედეას ტრაგიკული როლი! მაინც რა უცნაური იყო ბედი ამ ქალისა — სილამაზისთვის, მიჯნურობისთვის, სიყვარულისთვის საბერძნეთის მეფისწულს ააზონს გაეკიდა. მათ უყვარდათ ერთმანეთი და მერე მათს თავს ისეთი რა დატრიალდა, რომ მედეა იძულებული გახდა ისეთი საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა, რითაც დაღუბა თავისი შვილები? ახლაც ტანში მაყრყოლებს ყოველივე ამის მოგონება. ვასაოცარია. უბედური მედეა! — ეს უკანასკნელი სიტყვები თითქმის ტირილით წარმოთქვა დედოფალმა...

„მედეას“ ნახვით გაოგნებულ დედოფალს იმ ღამეს არ დაეძინა, რაღაც გამოუცნობმა შიშმა შეიპყრო და ვერ მოასვენა. შუალაშე გაღმასული იყო, დედოფალი ძილგატეხილი ადგა და ბავშვების საძინებელ ოთახში შევიდა, ძიძა ვაალვიდა და შფოთვარედ შეეკითხა, ბავშვები როგორ არიან, როგორ სძინავთო. მოულოდნელი იყო ეს კითხვა. შეშფოთებული ძიძა თვალებს იფშვნეტდა, გონს ვერ მოსულიყო და რაღაცას გაუგებრად ლუღლუღებდა. ნახევრად მძინარე დედაბერს დედოფალი ისევ ჩასძახოდა: — ბავშვები როგორ არიან?

ძიძა ერთბაშად გონს მოვიდა, ფეხზე წამოდგა, მაინც ძლივს ამოიღულულა:

— კარგად, კარგად, ჩემო დედოფალიო. რად შეწუხებულხართ, რა მოხდა ჩვენს თავს?

თვითონაც შეშინებულმა ძიძამ ბავშვებს დახედა. პატარა თამარს საბანი გადაეგდო და ისე ეძინა. დედოფალი თვითონ მივიდა, საბანი გაუსწორა, სასათუმალთან დაიხარა და აკოცა მძინარეს.

პატარა შეიშმუნა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

დედოფალი ფეხაკრფით გამოვიდა თავის საძინებელ ოთახში, პირვეარი გადაისახა და ისევ დაწვა, მაგრამ ძილი მაინც არ მიეკარა „მედესა“ შთაბეჭდილებით შეშფოთებულს.

ერთი თვე გავიდა და პატარა თამარი ცუდად გახდა. აწრიალდა დედოფალი, ექიმები დაასია. ბავშვი ისევ გამოკეთდა.

მეორე დღეს დიმიტრი ყიფიანი, მამუკა ორბელიანი, დედოფალი და მისი უფროსი შვილი ნიკო პავლოვსკის საგაზაფხულო საკონცერტო დარბაზში შტრაუსს უსმენდნენ. ავსტრიელი კომპოზიტორი იოჰანეს შტრაუსი — შვილი — იმ ზაფხულს ისევ ჩამოსულიყო თავისი ორკესტრით, და პავლოვსკის ბაღს და საკონცერტო დარბაზს აუარებელი ხალხი მოაწყდა. იმ დღეს კი გამოსათხოვარი მუსიკალური საღამო იყო დანიშნული, საღამოს შვიდ საათზე დაიწყო კონცერტი. შტრაუსი გასაოცარი არტისტულობით ღირიყორობდა ორკესტრს და ხალხიც სულგანაბული უსმენდა დიდებულ მუსიკას. ყოველი ნომრის დასასრულს „ვიშნას“ და ტაშს საზღვარი არა ჰქონდა. ყიფიანი დედოფალს გადაულაპარაკა:

— დიდებულია შტრაუსი. გასაოცარია ყოველივე ეს. როდის ეღირსებათ, ქართველებსაც ასეთი დიდებული მუსიკოსი ჰყავდეთ!

— რუსთაველის ქვეყანას, პოეზიით ვანებიერებულ საქართველოს, ხალხური მუსიკით მდიდარ ჩვენს ქვეყანას თავისი შტრაუსები უნდა ჰყავდეს!

მუსიკით მოხიბლულნი და აღვზნებულნი, საქართველოს ბედზე დაფიქრებულნი, ამ საუბრით გამოვიდნენ ისინი დარბაზიდან.

ორი დღის შემდეგ დედოფალი და დიმიტრი ყიფიანი იტალიურ ოპერას უსმენდნენ.

— რაც მე აქა ვარ, ჩემი თავი ისევ თბილისში მგონია. თქვენი უამრავი

მნახველი, მეგობრები, სტუმრები ისევ სამშობლოს მაგონებენ. ალბათ, ეს ფუ ვაძლებინებთ, აქ დედოფალი უთხრა შინ დაბრუნებულმა ყიფიანმა ეკატერინეს.

— არა, ჩემო დიმიტრი, თბილისი და საქართველო მაინც სხვა არის. მე აქ ისევე სტუმარი ვარ, როგორც ჩემი სტუმრები. და უნდა გამოვიტყდე, რომ მომზერდა ეს ყველაფერი. დღეებსა და თვეებს ვითვლი, როდისღა შეღირსება ისევ დავბრუნდე ჩემს სამშობლოში, ჩემს საყვარელ საქართველოში...

იმ წელს ახალი უბედურება დაატყდა თავს ეკატერინეს: მას შემდეგ, რაც პეტერბურგში ჩამოვიდნენ, უმცროსი ქალიშვილი თამარი სულ ავადმყოფობდა, ექიმები დედოფალს ურჩევდნენ, ბავშვი სადმე თბილ ქვეყანაში წაიყვანო. რაკი საქართველოში დაბრუნება შეუძლებელი იყო, ეკატერინემ გადაწყვიტა იმ ზაფხულს თამარი იტალიაში წაეყვანა. მაგრამ აღარ დასცალდა დედოფალს ამ ვანზრახვის შესრულება — ბავშვი ორ დღეში გათავდა.

უმცროსი შვილის სიკვდილმა მთლად გადარია ეკატერინე. ისედაც გამწარებული დედოფალი ახლა მწარედ მოსთქვამდა:

— რაღა მეღეა და რაღა მე! მე, მე მოგალი, შვილო, მე... არ უნდა წამომეყვანეთ თქვენ აქ! ჩვენს მამულში. ჩვენს საქართველოში უნდა დამებარტყებინეთ, ჩემო პატარებო. თუმცა ეს ჩემი ნება როდი იყო, მაგრამ უნდა მებრძოლა ამ საშინელი განაჩენის წინააღმდეგ. თავი იქ, ჩემს მამულში უნდა მომეკლა და აქ არ უნდა წამომეყვანეთ! ასე უნდა მოქცეულიყო თქვენი უბედური დედა, რაკი სხვა გზა არ იყო!

მე, მე დავლუპე, შვილო... არა. მე კი არა, ჩემმა მტრებმა დავღვლუპეს შენცა და მეც. ჩემი მტრები არიან შენი მკვლელები, ჩემო ანგელოზო. აქ რომ არ ვადმოვეგდეთ, შენც ცოცხალი მეყოლებოდი და მეც ბედნიერი ვიქნებოდი.

შვილებს მოუხმო, გულში ჩაიკრა და ისე განანგრძო მოთქმა:

— ყველა, ყველა დავიღუპებით აქ. უკვე გვიან არის, მაგრამ სანამდე მთლად დავიღუპებოდეთ, სანამდე მთლად ამოვწყდებოდეთ, რამე უნდა ვიღონოთ, ჩემო შვილებო, მაგრამ ვაი, დედაშენს, შენ რომ ვერაფერს გიშველი, ჩემო თამარიკო, ჩემო გაუხარელო პატარავ!

ვერ აკავებდნენ ეკატერინეს, ბლაოდა, მოსთქვამდა. მერე მეორე ოთახში გაიყვანეს და ძლივს მოასულიერეს გულშეღონებული.

ისევე მოსთქვამდა დედოფალი. მოსთქვამდა და სახეს იხოკდა:

— შვილო, თამარ, რად დღებრძავე თვალეები შენს დასაბრძავებელ დედასა! შენ, ჩემო ნაბოლარავ, მამაშენმა შენ საქართველოს დედოფლის, თამარის სახელი დაგარქვა და დედოფლად გამზადებდა. ახლა რა ვუთხრა, მე პირავემა, რა შევეუთვალა მამაშენს. ვერ მოგიარე, ვერ გიპატრონე! ღმერთმაც იცის და კაცმაც, რომ მე შენთვის არაფერი დამიკლია, მაგრამ ვერაფერი გიშველე. რით ვინუგეშო თავი მე, უბედურმა დედამ, ყველა დედათა შორის უბედურმა დედამ! იმის უფლებაც არა აქვს დედაშენს, რომ გულში ჩახუტებული წაგიღოს საშშობლოში და მის მიწას მიგაბაროს! უფლებააყრილს, ახლა მთლად გაუბედურებულს, შენ, ჩემო პატარავ, მარტო გგზავნი მამაშენთან! ალბათ, ის მკვდარი მამაშენი უფრო მოგივლის, ვიდრე ცოცხალი დედაშენი. — ამბობდა ამ სიტყვებს და ისევ იხოკდა ლოყებს დედოფალი.

ახლობლები და მეგობრები ვერაფრით ანუგეშებდნენ გაუბედურებულ დედას.

იმავე დღეს იმპერატორი ეწვია დედოფალს. გულგაქვავებული დედოფალი ცივად შეხვდა იმპერატორს. და როცა იმპერატორმა სამძიმარი დაამთავრა, ეკატერინემ გადაწყვიტა საშინელი სიტყვებით მიემართა და ეთქვა:

შენ, შენ მომიკალი ეს შვილი, შენა ხარ მკვლელი ამ პატარა ~~წინგულუფუნად...~~ მაგრამ ეს ვერ გაბედავდა ~~მეტი~~ უთხრა:

— თქვენ არ გინებებიათ თან წავეილო ჩემი შვილი და მამამისის გვერდით დავასაფლავო. მივივრის, მაგრამ იყოს ნება თქვენი! მაგრამ ერთი თხოვნა მაქვს და ამაზე მაინც ნუ მეტყვიოთ უარს. ჩვენ ყველას ჩემი თამარის ბედი მოგველის. და რაკი საქართველოში არ გვიშვებ, ხომ ხედავ, ჩემი ბავშვები ვერ იტანენ აქაურ ჰაერს, ის მოწყალეობა მაინც მოიღე, რომ ნება დაგვეერთოს იტალიაში ან საფრანგეთში მაინც გავემგზავროთ სამკურნალოდ. იქნებ, ჩემს შვილებს ასცდეთ ბედი ჩემი თამარისა, იქნებ სიკვდილს გადაურჩნენ... დედოფალი მწარედ აქეთიინდა.

იმპერატორი ფრიალ შეწუხდა და მაშინვე განკარგულება გასცა ყოველი ღონე ეხმარათ და დედოფალს დახმარებოდნენ, ნება დაერთოთ მისთვის და მისი შვილებისთვის, რომელ ქვეყანასაც აირჩევდნენ, იტალიას. გერმანიას თუ საფრანგეთს, გამგზავრებულიყვენ. თან ყველაფერი ისე მოეწყოთ, რომ დედოფალი კმაყოფილი ყოფილიყო.

ესა თქვა იმპერატორმა და დატოვა იქაურობა.

როცა გონს მოვიდა, ეკატერინემ მახლი კონსტანტინე და მღვდელი ხოშტარია მოიხმო.

— ხომ ხედავთ, დავიღუპე, ჩემზე უბედური დედა ახლა არავინ არის მთელს დედამიწაზე. მომკალით და ჩამქოლით მე უბედური...

კონსტანტინე დადიანმა სცადა დედოფლის დამშვიდება, მაგრამ ამოღ, ეკატერინე ისევე მოსთქვამდა:

— ვიცი, ვიცი, ჩემს თამარს აღარაფერი ეშველება. ახლა მარტო იმის მსურველია ვარ, რომ საქართველოში ჩავასვენოთ ჩემი ანგელოზი, მამამისის მივგვაროთ, დავითის გვერდით დავასაფლავოთ. მკვდარს მაინც მივგვრი მამამისის მარტილში. თქვენ უნდა მოაწყოთ ყოველივე ეს...

კონსტანტინე და თევდორე უსიტყვოდ გავიდნენ ოთახიდან და საქმეს შეუდგნენ.

იმავე დღეს მოახსენეს დედოფალს იმპერატორის ბრძანება:

„რაკი დედოფლის სურვილია, ნება ეძლევა შეილი თამარი საქართველოში წაასვენოს, ყველა ხარჯს ამასთან დაკავშირებით, სასახლე კისრულობს. სასახლის დეკანოზი და დედოფლის მღვდელი წაასვენებენ მიცვალებულს, თვით დედოფალს კი, ვითარც შეუძლოდ მყოფს და დამწუხრებულს, ნება ეძლევა საზღვარგარეთ, პარიზს წავიდეს თავისი შვილებით...“

დედოფალი მიხვდა, რომ ამით საქართველოში გამგზავრებაზე ერთხელ კიდევ უარი უთხრეს და ისევ მოუკლეს გული.

უფლებანართმეულმა დედამ პეტერბურგში დაიტირა შეილი და, ნეშტი კი, ნეშტი კი არა სული, საყუთარი სული დედისა, ნეშტთან ერთად გამოატანა თავისიანებს. გულდათუთქული, მთლად ვანწირული დედოფალი პეტერბურგს დარჩა. ლოკინად ჩავარდნილმა დედოფალმა მთელი თვე იავადმყოფა.

იმპერატორი ისევ ეწვია, ისევ მოეფერა და დაუყვავა მთელს ქვეყანაზე ამრეზილ დედოფალს:

— მე ისევ გირჩევთ, დედოფალო, საზღვარგარეთ წახვიდეთ, გული გადააყოლოთ, ასე არ ივარგებს, ღმერთის განაჩენს ჩვენ ვერ შევცვლით, ჩემო დედოფალო, მე გირჩევთ გაემგზავროთ პარიზს...

დედოფალი დამორჩილდა იმპერატორის ნებას. ახლა არც უფლება ჰქონდა, არც მდგომარეობა უწყობდა ხელს, ურჩობა რომ გაეწია.

მგლოვიარეს, საქართველოდან შორს გადახვეწილ ეკატერინეს ძლიერ შემოაწვა მამულის სევდა. ზუგდიდი, წინანდალი, თბილისი, მისი საყვარელი სამშობლო სანუკვარ ოცნებად გადაექცა. შორიდან ეალერსებოდა, ესოყვარულეობდა მამულს. ბავშვის სიკვდილის

შემდეგ ხომ მთლად გაუმძაფრდა სევდა! ახლა ქმარიც საქართველოში უნდა იყოს და შეილიც. მკვდარი შეილი ისე გაგზავნა საქართველოში, რომ არც კი იცის, როგორ დამარხეს იგი მამამისის გვერდით. ეჩქარებოდა საქართველოში წასვლა, შეილის საფლავის ნახვა. გამწარებული ქალი შინ ყოველდღე ქართველებს ებატიყებოდა და ასე ქმნიდა მამულში ყოფნის ილუზიას.

შვილზე მგლოვიარე ეკატერინეს იმ დღეს ილია, ნიკო აფხაზი და ილიკო ორბელიანი ეწვივნენ. თებერვალი იყო. გარეთ საშინლად ჰყინავდა. მთელ სალამოს ბუხრის პირას ისხდნენ და საქართველოს იგონებდნენ.

— უხი — ამოიხსრა ეკატერინემ, — ალბათ, ჩვენს საქართველოში უკვე დათბა და ყველაფერი ხარობს, აქ კი ისევ თოვს და ყინავს...

ილიას თავისდაუნებურად წამოცდა:

— აყვავებულა მდელი,
აყვავებულა მთები,
მამულო საყვარელო,
შენ როსლა აყვავდები?

დარბაზში დუმილი ჩამოვარდა. ეკატერინემ ხმადაბლა გაიმეორა: „მამულო. საყვარელო, შენ როსლა აყვავდები“. მერე მივიდა ილიასთან და შუბლზე ეამბორა.

შინ დაბრუნებული ილია მთელი დამე ბორგავდა მამულზე ფიქრში, აგრეთვე, იმაზე ფიქრში, ამ გამწარებულ ქალს იმის ნებაც რომ არ დართეს, შეილის დამარხვას დასწრებოდა.

• • •

1861 წელს ილია სამშობლოში გამოემგზავრა.

ოცნებით, იმედებით, სურვილებით აღსავსე, საქართველოზე, მის მომავალზე დაფიქრებული მოდიოდა ილია სამშობლოში. რას მისცემს იგი საქართველოს? რით გამოადგება თავის ქვეყანას? ოთხი წელი, რუსეთში გატარებული ოთხი წელი როგორ გამოადგება ხალხის სამსახურის უღელის გასაწე-

ვად? — აი, ის ფიქრები, თავში რომ უტრიალებდა.

ვლადიკავკასს რომ გამოსცილდა, ილიამ უბეზე მოისვა ხელი და გაახსენდა, რომ უბეში ეკატერინე ჭავჭავაძის რვეულიდან გადმოწერილი ბარათაშვილის ლექსები ედო. გაახსენდა და მთლად დაკარგა მოსვენება.

ეს რვეული კი არა, თოფის წამლით დატენილი ყუმბარა იყო, რომელიც ძველი ქვეყნის ასაფეთქებლად ხალხში უნდა გადაეგდო კეთილ თესლად. როგორმე უნდა მოაგროვოს ოჯახებში გაბნეული ბარათაშვილის ყველა ლექსი, უნდა დაბეჭდოს, რომ ხალხმა გაიგოს, რა დიდი პოეტი ჰყავს საქართველოს. მაგრამ სად დაბეჭდოს? „ცისკარში?“ „ცისკარი“ რომ ცისკრობდეს, ითაგებდა ამ საქმეს. ახლა იმაზე ფიქრმა გაიქცა, აუცილებლად შესდგომოდა ახალი გაზეთის, ან ჟურნალის დაარსებას.

ამ ფიქრებით გართული ილია დარიალის ხეობაში შევიდა, თერგის ხმაურმა გამოაფხიზლა. თერგის ღრიალსა და ბორბვას რომ დააკვირდა, ერთბაშად „მერანი“ მოაგონდა.

რალაც საერთო რომ იყო მერანის და უცხოებელ სულსა და თერგის მოუსვენარ ბორბვას შორის, ეს აშკარა იყო, ოღონდ, სახელდობრ, რა იყო ეს საერთო, ვერ წარმოედგინა და საგონებელს მიეცა. მერე თითქოს ერთბაშად მოაგონდა:

მოძრაობა, მოძრაობა და მოძრაობა არის ქვეყნის ძალა და ღონე. ეს არის ქვეყნის განახლების გზა!

ილია ისევ საგონებელს მიეცა, თერგის ღრიალმა ისევ გაუღვიძა ნაღველი და საქართველოს ბინდით მოცული მომავალი თვალწინ დაუდგა.

— ჩვენი ქვეყანა ძლიერი იმით იყო, რომ მუდამ ხმალს იქნევდა, მამულს იცავდა. აი ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ეს ბრძოლის ეინი გაქრა და საქართველომ ძილს მისცა თავი. ახლა ისეთი კაცია საქირო, რომელიც ნანას კი არ უმღერებს მიძინებულ მა-

მულს, არამედ განგაშს ასტენს, მოძრაობაში მოიყვანს ქვეყანას, და ვრუდუნულ ბრძოლის ეინით აღანთებს ხალხს, დიას, მოძრაობა და მოძრაობა — აი რა იხსნის საქართველოს. მე ბარათაშვილის სულს მოვუხმობ, მას წაიგმძღვარებ მამულისათვის ბრძოლის გზაზე...

— შევძლებ კი, რომ სამშობლოს ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულის ტყვიელი მოგუტრჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნეტუგმოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშავს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო: რომ არის მრავალი ქვეყანა, ჩვენზე უფრო უბედურად გაჩენილი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრები; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველს კაცში არა ელაგდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევავაროვო ჩემი ქვეყნის ვაციებულის გულის გასათბობლად... შევძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა?...

ანე ფიქრობდა თბილისისაკენ მომავალი ილია ჭავჭავაძე...

მას შემდეგ, რაც პეტერბურგიდან საქართველოში გამოემგზავრა, ილიას პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებთან კავშირი არ გაუწყვეტია. პეტერბურგში კი ილიას მიერ ასე ჩინებულად დაწყებულ საქმეს ახლა ნიკო ნიკოლაძე მეთაურობდა. ამ წრეში აკაკი და კირილე ლორთქიფანიძე ისევ მონღომეებით თანამშრომლობდნენ. მართალია, აკაკი ერთხანს ვაებუტა სტუდენტებს, მაგრამ შემდეგ ისევ დაუბრუნდა მათ და ერთი გულმოდგინე მონაწილე იყო იმ ეროვნული საქმეებისა, ახლა პეტერბურგელი ქართველი სტუდენტები რომ აკეთებდნენ.

იმ საღამოსაც სამნი იხსდნენ ერთად: ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე. ისინი „ცისკარში“ გამოქვეყნებულ ბარათაშვილის ახალ ლექსებზე ლაპარაკობდნენ. აკაკი და ნიკო ნიკოლაძე აღტაცებულნი იყვნენ. შემდეგ გადაწყდა, ახალი ქართვე-

ლი პოეტების ლექსთა კრებული მოემზადებინათ, პეტერბურგში გამოეცათ, შემდეგ გაეცემათ. ეს საქმე კირილე ლორთქიფანიძეს მიანდეს. ისიც დიდი მონდომებით შეუდგა ამის მოგვარებას და მიმოწერა გამართა თბილისში ილია ჭავჭავაძესთან.

ილია „საქართველოს მოამბეს“ ედგა სათავეში და მთელ ძალდონეს ბატონყმობისა და ცარიზმისაგან გათელილი საქართველოს ფეხზე დაყენებას ახმარდა. ახალ საქართველოს მეთაურს გვერდში ამოუდგნენ პეტერბურგელი ძმები: აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე... და დაიწყო დავა და შეურიგებელი ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. ახალი საქართველოსათვის ბრძოლაში ილიამ წინ ნიკოლოზ ბარათაშვილი წამოაძღვრა.

ილიამ ბარათაშვილის რამდენიმე ლექსი მოაგროვა და დაბეჭდა „საქართველოს მოამბეში“. ბარათაშვილის სურათის ძებნაც დაიწყო. გრიგოლ ორბელიანს პირადად ეახლა და გამოირკვა, რომ ქართლში ტატოს დასთან — ნინოსთან ინახებოდა ფოტოგრაფ დუბილირისათვის დასაბეჭდად გადაცემული ნეგატივი. მაშინვე აფრინა კაცი. ნეგატივი კი ჩაიგდო ხელში და თბილისში შეკვეთა მისცა დუბილორს გამოსამკლავებლად, მაგრამ ვერ მოასწრო სურათის მიღება, ეურნალი დაუხურეს და თვითონ კი ქუთაისში გადავიდა. იმ ხანებში დუბილორის ფოტოგრაფიის სახელოსნოს ცეცხლი მოეკიდა და ნეგატივიც დაიღუპა. ქუთაისში შეატყობინეს ილიას ეს ამბავი. დიდად შეწუხდა. სწორედ ამ დროს კირილე ლორთქიფანიძის ბარათი მიიღო პეტერბურგადან.

გადაწყდა გამოეცათ ბარათაშვილის ლექსების კრებული. ილიას დახმარებით ამ საქმეს პეტერბურგში ისევე კირილე ლორთქიფანიძე მეთაურობდა. ბარათაშვილის ლექსებს მთელ საქართველოში ეძებდნენ. მოიძიეს კიდეც და იმ ლექსებთან ერთად, ილიამ ეკატერინე

დედოფლისაგან რომ წამოიღო. შეიტანეს კრებულში.

კირილე ლორთქიფანიძემ პეტერბურგში გამოცემულ ქართულ ანთოლოგიას „ჩანგურს“, ილიას და აკაკის რჩევით, წინ ბარათაშვილის სიტყვები წარუშლდგარა: „ცუდად ზომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება“. ანთოლოგია ნეკრასოვის პოემით („პოეტი და მოქალაქე“) იწყებოდა. ეს პოემა თვით კირილე ლორთქიფანიძის მიერ იყო თარგმნილი. ქართველმა სამოციანელებმა ქართული პოეზიის ანთოლოგია ნეკრასოვის პოემით რომ დაიწყეს, ეს საგულისხმო ამბავი იყო. ნეკრასოვის სახელი მაშინ ყველა მოწინავე ადამიანს პირზე ეკერა.

ანთოლოგიაში შევიდა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა ლექსები. ქართველ სამოციანელებს ეგონათ, ეს კრებული ძველ ქაობში ყუმბარასავით გავარდებოდა, მაგრამ რატომღაც სწორედ ძველებმა დუმილი არჩიეს. ილიას „საქართველოს მოამბე“ უკვე დახურული იყო, ზოლო „ცისკარი“ შეგნებულად დუმდა. მაშინ აკაკიმ დაარღვია ეს დუმილი და იმავე „ცისკარში“ რეცენზია გამოაქვეყნა „ჩანგურის“ თაობაზე:

„ძლივს ერთი ხეირიანი წიგნი გვეღირსა: უფალმა ლორთქიფანიძემ გამოსცა ლექსების კრება „ჩანგური“, რომელმაც მოულოდნელად გაგვახარა და ასე გულწრფელობითიც არის ეს ჩვენი სიხარული, როგორც პირმშო შვილის ძეობაზე მისი მშობლებისა და ახალ მონათესავეებისა... სიტყვა „პირმშო“ აქ ჩვენ უმიზეზოდ არ გვიხმარია: ეს „ჩანგური“ არის პირველი წიგნი, რომელსაც ასხია ქართული ხორცი. უდგია ქართული სული. სტირის და ჰყენის ქართველების კენესით და მაშ რაღა საეჭვოა, რომ ყოველ რიგიან ქართველთ ნათესავისათვის სასიხარულო იქნება?... მიზეზიც ამისი არიან ორი პირველი მწერალთაგანი, როგორც ღირსებით, ისე

რიცხვითაც: თ. ნ. ბარათაშვილი და თ. ი. ჭავჭავაძე.

ვიცი, აქ მკითხველი ვერ შემომხედდავს წყალობის თვალით, რადგანაც აქ ჩემგან ხმარებული სიტყვა „პირველი“ ორივე შემთხვევაში აკვირვებს და ჰფიქრობს: „პირველი ღირსებით?“ როგორ თუ პირველი ღირსებითაო?! ვსთქვათ, თუ გინდა ბარათაშვილი დიდი მწერალია, მაგრამ იმასთან ი. ჭავჭავაძეს რა უნდა? ვინ აძლევს იმას ბარათაშვილის გვერდით ალავს? ჰმ, ეს ილია ჭავჭავაძე, ჰპან-წყვეტით ლექსების მწერალი... ნუთუ ერთს ტახტზედ უნდა გვერდით მოუჭდეს ბარათაშვილს?... ჯავრობს მკითხველი... დიახ, ჩემო ბატონო! ეგ თქვენი ნაქები და შემკული ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სწორეთ ერთს ტახტზედ სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქვთ ჩვენს ლიტერატურაში. ერთგვარად დაუეწყურები არიან. ერთის გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეთრეზედ; ერთის უმეორესოთ გაგება ძნელია! ერთის სიტყვით, ეგენი არიან მოსე და აარონი ჩვენი ლიტერატურისა...

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს ვანწირული
სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელლი, მერანო
ჩემო, მაინც დაჩიება,
და ჩემსა შემდეგ მომგესა ჩემსა სიძნელე
გზისა ვაუღვიღდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის
წინ გამოუქროლდეს!

აი, რა გადმოსძახა საქართველოს, მაგრამ ასრულება კი აღარ დასცალდა და რაში მდგომარეობდა მისი დაპირება და რა იყო მის კენესაში, ის ჰეშმარიტება დიდხანს დარჩა ჩვენთვის დაფარულად და გაუგებრათ.—დიდ ხანმა გაიარა ბარათაშვილის შემდეგ და მის კვალზედ წასული არავინ გვინახავს...

ამ სიკოტრის ეპოს გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე. პირველათ, რასაკვირველია, თარგმნა დაიწყო პუშკინით, ლერმონტოვით და სხვ. მაგრამ ბოლოს დაავდო ეს გზა და შეუდგა ბარათაშვილის კვალს

და რადგანაც დროც ხელს უმირთვედა, უფრო თამამათ, ტირულფურ დაუწყო ხალხს შეჩივლა: „აი რა უნდა სიტყვითქვენთვის ბარათაშვილსაო! აი რას მოასწავებდა და რას ნიშნავდა მისი კენესაო!“ ერთი სიტყვით, ჭავჭავაძე არის ბარათაშვილის მოკარნახე და მისი დიდი ღირსებაც ამაზე არის დაფუძნებული. ყოველს მის ლექსებში ვხედავთ ქართვლეების ტანჯვას და ვოდებხს, მაგრამ რა საგანიც უნდა აილოს ტანჯვის გამოსახატავად, მოქმედ პირათ მაინც თვითონ არის...

...მისთვის შევეხე აქ ჭავჭავაძესა და ბარათაშვილს, რომ ეგება ჩვენმა განათლებულმა სწავლულებმა, რომელთაც ჯიბეში ხელი ჩაუწყვითათ და დაციენების მეტს არას აკეთებენ, ეგება იმათ მოპკიდონ ხელი კალამს და კრიტიკულათ გააჩიონ ჩვენი მწერლები. თუმცა ბევრჯერ გამოიგონია იმათგან, რომ ჯერ უნდა იყოს რამე, რომ მერე კრიტიკოსი გამოსჩნდეს და დაჰსწეროს მისი განხილვაო, მაგრამ ეს სულ ტყუილი თვალის ახვევა არის; ის კაცი, რომელსაც წინ უღდეს რუსთაველი, ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სტყუის სიტყვებით, არაფერი გვაქვსო! — სწავლულებო, მოგვხედეთ! რა არის ეს გულის შემზარავი თქვენის მხრით გულ-გრილობა? გვიჩვენეთ გზა და კვალი და თუ ვერ გამოგყვით, მაშინ დაგვიცინეთ და მაშინ შეგვირისხეთ!... მაგრამ ეს კი უნდა იცოდეთ, რომ თუკი თქვენ თვითონ დაციენისა და უსაქმობის მეტს არაფერს გაგვიკეთებთ, მაშინ არა გვრწამს თქვენი წინასწარმეტყველობა თქვენც გვიჩვენეთ ისეთი შრომა, როგორც თ. ჭავჭავაძემ, ანდა როგორც იმათ, რომელთაც პანსიონები გახსნეს და ზრდიან ყმაწვილებს და ან მასწავლებლებად შევიდნენ სასწავლებლებში, ერთი სიტყვით, რითაც შეიძლოთ, კეთილის სიტყვით მაინც, და თუ ვერ დაგაფასებთ, მაშინ დაგვიძახეთ უმაღლო ქართველები.

„ჩანგურის“ გამოცემით ლორთქიფა-



ნიძემ დაიშახურა საზოგადო მადლობა და არა ვჰკარგავ იმედს, რომ ამ ჩემს აზრს დაამტკიცებს საზოგადოება... ესეც შევიტყვეთ, რომ ლორთქიფანიძეს თავისი შრომა ტყვილათ ე. ი. უინტერესოთ შეუწირავს ხალხისათვის და იმ ფასით ჰყიდის წიგნს, რამდენიც თვითონ დაჯდომია იმას გამოცემა. ღმერთმა ხე-

ლი მოუმართოს სხვა ამ გვარ საზოგადო საქმეზედაც“.

„ჩანგურის“ გამოცემის შემთხვევაში ბარათაშვილის ლექსები ასე უხვად პირველად გავიდა ხალხში. პეტერბურგში რომ „ჩანგური“ დაიბეჭდა, მაშინ ეკატერინე უკვე პარიზს იყო წასული. ეს ამბავი მაშინვე ამცნო დიმიტრი ყიფიანმა ლედოფალს.

მკაბტრინე ღადიანის წარილები დიმიტრი ყიფიანისადმი

ღედოფალს სამეგრელოდან მისი გაწვევის პირველსავე დღეს სამი მეურვე აურჩიეს: ეკატერინეს ძმა — დავით ჰაუჭავაძე, სიძე, უმცროსი დის სალომეს ქმარი, — ბარონ ნიკოლაი, ამიერკავკასიის მეფისნაცვლის მარჯვენა ხელი, სწავლა-განათლების საქმის გამგებელი ამიერკავკასიაში, და დიმიტრი ყიფიანი. მაგრამ მშისა და სიძისაგან იმეფათად მოსდიოდა პასუხი წერილებზე. მათ თავიანთი პირადი საქმეები ჰქონდათ და ვერ იცლიდნენ. ამიტომ ისევე დიმიტრი ყიფიანს უგზავნიდა თხოვნას. დაწვრილებით ეცნობებინა სამეგრელოს მდგომარეობა და დადიანების სასახლის ამბავი. დიმიტრიც დაუყოვნებლივ ასრულებდა ღედოფლის თხოვნას. ეკატერინე მერე ძმებსა და სიძეს გაუბრაზდა და ბარიატიანსკის სთხოვა, მარტო დიმიტრი ყიფიანი დამიმტკიცეთ მცირეწლოვანი შთავრის ნიკო დადიანის მეურვედო. მეფისნაცვალმა შეუსრულა ეს სათხოვარი, მით უმეტეს, მასაც ყიფიანი ერჩია, რადგან ეს უკანასკნელი მისი საბჭოს წევრი იყო, და ეგონა, როგორც მე მინდა, ისე გამოვიყენებო. მაგრამ დიმიტრი ყიფიანი დიდი პრინციპული კაცი იყო, და რაკი მოჰკვიდა ხელი დადიანის მეურვეობას, მოვალეობას ერთგულად ასრულებდა და ღედოფლის ინტერესებს იცავდა. ეკატერინეც ყოველ წერილმანზე ყიფიანს აწუხებდა. ახლა, სამი წლის შემდეგ, ეკატერინეს წერილებს ხელშეორედ ფურცლავდა და კითხულობდა დიმიტრი ყიფიანი.

რეს დღეს ერთს საღამოზედ ორს ეწვირწი ვიყავ და შემდეგ საშინლად ავად გავხდი გრობით, ასე, რომ ათ დღეს ჰვემავებში ვიწექ და მძიმე ავათ მყოფი ვიყავ.

...ჩემი შვილები, ღვისი მოწყალებით, კარგად არიან. ჩემს ავადმყოფობაში თითქმის ამათი წავრით უფრო ვუხუდი. ღმერთმა ისე შენიცლოშვილი გაახაროს და მოასვენოს, როგორც ჩემი გული თქვენის თანხმობით აბეკუნობისა მე მაასვენეთ. ახლა იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კანონიერათ და რაზედ დაიწყო. პირველი ჩემი წუგეში ეს არის, რომ სამს თვეს თქვენ თითონ წაბრძანდებით, წულოწადში თქვენის თვალთ ნახამთ ადგილს-მამულს და ყველაფერს ჩვენს საკუთრებას. პირველი ჩემი სურვილი ეს არის, რომ მამულს, მიწას, ტყეს და შთას სამძღვრები დაედოს და ტყეები ჩაუბაროს სანადეო კაცებს. ახლა ხომ იცით, რამდენი მოღვენი არიან; იმათ უნდა მოვთხოვოთ საბუთების ქაღალდები, რადგანაც შთავრები თავის დღეში არაფერს არ უწყალობებდნენ უწყალობის წიგნით. შენი ჰიზიმი, დიმიტრი ივანჩიო, თქვენ იცით, როგორც თქვენს კეთილშობილს გულს ვიცნობდე, ისე გულმომკინებთ მოყიდებით რაც რომ ჩემი პატარა ობლების საკუთრება არს და რაც არ გუთორება, ღმერთმა დამიფაროს, რომ ერთი ალაბი მიწა მინდოდეს რომ მათ შეეძინო. ვთხოვ, რომ ყველაფერი დაწვრილებით მომწეროთ. ვერ სრულებით არა ვიცი რა, ოღონდ უკანასკნელად მამიეიდა ჩემის აბეკუნებისაგან ჩამდენიმე საქმეები, რომელშიც შემაწუხა. რადგანაც ჩვენს საკუთარი ტყე რიყე პოლიციურის გამოძიებით ბატონიშვილებისათვის ჩაუბარებიათ და ჩვენთვის უბრძანება ვადარებულს ნიკოლაი კულობეკინს, რომ სუფილს ეძიენოიო. ახლა იმედი მაქვს, რომ თქვენს ღელში აბეგარები აღარ მოხდება და თქვენ ეცდებით, რომ ეს საქმეც სიმართლისამებრ გამობრუნდეს შთავრის სასარგებლოთ, შვიდობით, ჩემო უძვირფასეს დიმიტრი ივანჩიო, ასეთი სუსტათა ვარ, რომ ხელი მიკანკალებს. თითქმის ვერ წაიკითხამთ ასე

...თქვენის წიგნის პასუხი აქამდისი ვერ მოგწერეთ, ჩემო უძვირფასესო დიმიტრი ივანჩი, რადგანაც ათი დღე საშინელი ავად ვიყავ. გავცივდი გრაფინა რახუშოვსკის რატეში, ხველება დამაწუხებინა. ასე შეგონა, ჩვენებური სურდო დამეპართა და არ გავეფრთხილდი. მეო-

ცუდათა ეწერ, თვალემა სისუსტით მიგრედღე-
ბა. თქვენი საჯვარელი ნინო მათის შვილებით,
სიჯვარულით მომიციოხე.

სხვებრ დავშოებე მარად
თქვენი მაღალი აღმატებულების
უმორჩილესი მოსამსახურე
მთავრინა ეკატერინე.

ს. პეტერბურლით, 21 მარტს 1859 წელსა.

ახლა სხვა წერილი წაიკითხა:

„ჩემო უსაყვარლესო დიმიტრია ივანჩი!
ვახოვთ ვედრებით, რომ ჩვენთან ნამყოფს
მებაღეს Баварского подданного Егора
Малашера გაუგზავნით ჩვენს შემოსავლიდან
восемьсот шестьдесят восемь рублей
семьдесят пять копеек серебром. რომე-
ლიც ერგებოდა სამის წლის და ნახევარს სამ-
სახურისათვის. დიდის მოუთმენლობით მო-
ველი თქვენგანთ წიგნსა, როგორც დააწყობთ და
რაც საჭირო იყოს ხოლმე საქმეზედ ჩემგანით
თქვენთან მოწერა, ყოველთვის შავი თქვენ
ვაძამავხვანეთ. ჩემი მამაც ვამოვიდა აპექუნო-
ბიდან. ახლა მარტო თქვენ დარჩით. თქვენ
იციოთ, როგორც იზრუნათ ჩემის პატარა ობ-
ლებასათვის. ღმერთი მაგიერს თქვენს ცოლ-
შვილს შინაჩუებს სიხარულს, რომელთაც დი-
დის სიყვარულით მოგვიციოხამ.“

შემდეგ წერილში კი ეკატერინე ყი-
ფიანს კვლავ სთხოვდა სამეგრელოში
ჩასულიყო და თავისი თვალით ეხილა,
რა მდგომარეობაშია სამთავროს მამუ-
ლები:

„...იმედი მაქვს, ჩემო დიმიტრია ივანჩი, რომ
ამ თვის გასულს უთუოდ წახვალთ მეგრელია-
ში და საბრალო ჩემს ადგილს-მამულს პატრო-
ნი გაუჩნდებით. მე ძალიან გულწყაღულთ
ვარ კოლუბიანზედ, ჩვენს საქმეებს რომ ასე
ყურს არ უგდებს. ეს არ შეეფერება პატიო-
სანს კაცს, ვითომც მაგას რა უფლება აქვს, რომ
ჩვენი სანადირო ტყე, რომელიც იყო ყველას-
თვის აკრძალული, იმან იქ ნება მისცა, მისის
უფლებით, ტყე გააყოფინა და კაცები დასაბ-
ლა... ამისთანა უსამართლობა როგორ იქმნება
როგორც აქამდისინ მე და ჩემს შვილებს გვი-
შრებია. შენი ჭიარიმე, ჩემო დიმიტრია, შენ
იცი და შენმა წმინდა სენილისმა, როგორც
ჩემს შვილებს შტრის გულსათ არ ვახდი...“

...თუ რომ ყველანიშვილები და ბარათშვი-
ლები აიღებენ თავისი მიწის სახალახეს, ჩემს
შვილმა რატო არ უნდა აიღოს ჩარვაღრების ან
თვის სახალახე. ვერაფერი ვერ ვიშვივია, შენ წუ
მაიმიკვები. აქ თუ პასეციების შვილი იღებს
თავის ივანოვიკის ბაზრის შემოსავალს, მთა-
ვარს რათ უნდა წაართონ. რადგან მთავარი
არისო, მაშინკაცის პრავაზედ რათ აყენებენ? ეს
ჭერ სულ არ არის სურვილი ხელმწიფისა, და
თავის დროზედ თუ იქმნება, მაშინ კიდევ სამა-
გიერო დაწოდებება უნდა, ნეტავი იცოდე, ჩე-

მო დიმიტრია, რა შეწუხებული ვარ ამ ჩემის
შვილების საქმეზედ. ახლა შენაჭკარე ქემულმედი
და ნუგეში... „შენი ერთგულეც მყოფრენი მა-
ტერინა.

ცარსკოე სელო, 12 მაისი. 1859 წელი“.

ეკატერინე ზოგ რამეს სახლოთხუ-
ცისისაგან ფარულად იგებდა. სახლო-
თხუცესი კი ყოველთვის კოლუბიანისა
და ბოროზდინის უჩიოდა, ჩუმად ატყო-
ბინებდა დედოფალს: კოლუბიანებმა
შენი ტყე ურთის მთის ძირას ცაიშელ
გლეხს მისცაო, ხოლო ბოროზდინი
თვითნებურად გორდში თქვენს სასახ-
ლეში მოკალათდა ცოლშვილიანადო.
იქვე, იმავე წერილში ბოროზდინის სასა-
ტიკად კიცხავდა და აგინებდა. ყიფიანმა
ეს წერილიც თავიდან ბოლომდე წაი-
კითხა.

მთელი ქვეყანა გადაძვიდა ამ ეკატე-
რინემ თავისი მამულებისა გამო, — თქვა
ყიფიანმა და ზეზე ადგა. მას ის ინიციელ-
ტი მოაგონდა, ბოროზდინთან რომ მოუ-
ვიდა. ბოროზდინი გორდს ნამყოფი იყო.
კარგად იცოდა იქაური გემოც, მართ-
ლაც, სთხოვა, იმ ზაფხულს ეს სოფელი
მისი ცოლშვილისათვის დაეთმო სააგა-
რაკოდ. მაშინ ყიფიანს ყურადღება არ
მიუქცევია ამ თანხმობის ნიშნად; არც ის
გახსენებია, ეკატერინესა და ბოროზ-
დინს შორის ურთიერთობა გამწვავებუ-
ლი რომ იყო. მართალია, იცოდა ეკატე-
რინე რომ ვერ იტანდა ბოროზდინისა და
კოლუბიანის. მაგრამ რაკი ფულს აიღებ-
და ყველაფერს ამაში; არ ეგონა, თუ დე-
დოფალს ეწყინებოდა მისი თანხმობა.
მაშინ კი, როცა ეს წერილი მოუვიდა,
ყიფიანი იბულებული გახდა უარით გა-
ესტუმრებინა მახრის უფროსი. ბოროზ-
დინს ეწყინა. მას ასე ეგონა ყიფიანი
ეუბნებდა უარსო და შეუტბა. ახლა ყვე-
ლაფერი ეს მოაგონდა ყიფიანს და ოთან-
ში გაიარა:

ღრუბლიანი დღე იყო. კუპრით შავი
ღრუბლები ზედ ტაშისკარის მთებს მი-
კვროდა. ოთანში ბნელოდა. ამ დროს
ერთბამად ელვამ გაჭრა ცას და დაბაზ-
ში ყვეთულმა სინათლემ შემოაშუქა.
ელვას მთებში გრგვინვა მოჰყვა და ტა-
შისკარიდან გადმოვარდნილმა ქარმა ჩა-
ურაზავი ფანჯრები შემოანგრია, მაგიდა-
ზე დალაგებულ წერილებს დასტას და-
უიარა და ფორცელ-ფორცელ მიმოფანტა.
დიმიტრი ფანჯრებს მივარდა, დახურა,
მაგრად ჩარაზა და იატაკზე მიმოზნეული
ეკატერინე დადიანის წერილები თითო-
თითოდ აკრიფა, მაგიდაზე თანმიმდევ-



რობით დაალაგა და წესრიგში მოიყვანა. მერე აღგა და ფანჯარაში გაიხედა. გარეთ წვიმდა და ზენაქარი ქროდა. წვიმის წვეთები ფანჯარას ეცემოდა. ეს წვეთები ვერცხლისწყალივით გამკვირვალე თეთრ ბურთულბალ დაცოცავდნენ. მერე ისევ დაუბერავდა ქარი, ისევ მიაცივებდნენ წვიმის წვეთები ფანჯარის მინებს, ოღონდ ახლა ვერცხლისწყალივით შეკრული კი არა, ცრემლის კურცხლებივით მოცოცავდნენ ფანჯარის მინებზე, მერე იშლებოდნენ. წყლად იქცეოდნენ და მოწანწკარებდნენ ფანჯარებიდან.

ლიმბირი მისჩერებოდა ფანჯარას. უბნად პეტერბურგი მოაგონდა, ის დღე მოაგონდა, ეკატერინე რომ გამოუცხადდა სამეგრელოს მთავრის ტიტულზე უარი ეთქვათ დადიანებსო. მაშინაც წვიმდა. ეკატერინე კი იღგა შუა დარბაზში და ტიროდა. მის პირსახეზე ისე დაცოცავდნენ ცრემლის კურცხლები, როგორც ახლა ამ ფანჯარაზე ეს წვიმის წვეთები. დიდხანს, დიდხანს უმზერდა ყიფიანი ფანჯარებს და თვალთაგან არ სცილდებოდა ეკატერინეს ცრემლიანი სახე. მერე ისევ მიუჯდა მაგიდას.

ლიმბირი ყიფიანი კვლავ ათვალერებდა დედოფლის წერილებს. ბარათი ბარათს სცვლიდა.

...უძველ თქვენი წიგნი, ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო, შაივიდა. ჩემო ღიმიტრი იყავინი! გობოვო, როდესაც ნახოთ თავადი გობოვი ერისთავი, ჩემ მავიჯარო ურაცხვი მადლობა შესწირით მოწაწვლობისათვის; ღმერთი დაუბადლებს ობლებს უსამართლობისაგან დაფარვით. მე აქ მაინებს ვითომ ვორდს უფალი ბარათდინი თავის ცოდვილია იღვეს ჩვენს სასახლეში, აგრეთვე ვილა ანგლის კანსული. გობოვო, ჩემო ბატონო, მამწერით თქვენის ნებდა არიან ისინი ჩემს სახლებში, თუ თავის თავათ; მე სწორეთ უნდა მოვახსენოთ, რომ ჩემთვის ეს ძალიან საწყენი არის. ამისთვის, რომ მე ისევ მანდ ვიყავ, რომ უფალმა ბარათდინმა დაიწყო მოთვისება, რაც რომ ჩვენს საკუთრათ გვეკუთნის; ასე რომ ოყალუმები მარნის ვატეხით გამოატანინა და ისე ითვრებოდა. მაგათი ჯაგრი ამამაყრევინი და ჩემს სასახლეში ნურსად ნებას ნუ მისცემ ცხოვრებისას და ყველა, რაც პატარა სახლები არის, რომ გაიყიდოს, უმჯობესი არს. თორემ ისე დავეცხარებოთ, როგორც მდამბორი ანდაბა არის, — სიოელს ეწოდისასოა ეშმაყები დაემატრონებინათ...

მადლობის გამოთქმის სიტყვა და გამოთქმა ვერ შეეძალ... ღმერთმა დაგიმადლოს ჩემის მოსვენებისათვის. კუშმარტიათ, რაც თქვენ მოკიდეთ ხელი ჩვენს საქმეებს, ღამით მოსვენებით მიმანეს, ძილი აღარ მიჭრება.

5. „მნათობი“, № 8.

შენი ერთგული
მთავრინა ეკატერინა
21 აგვისტო 1859 წალი. გიზუნიოთქა

იი ის წერილიც, ისევ კოლუმბიკის რომ უჩიოდა დედოფალი. ესეც წაიკითხა თავიდან ბოლომდე:

...უფალს კოლუმბიკის რომ ჩემს უკითხავით, ჩვენი სანადირო ტყე და მიწა ვაუცია და დღესახლებში ჩვენი კაცები ბატონიშვილების სასამოვნოთ, ეს მე ძალიან მიყვირს და გობოვო, რომ ეს საქმე გაურჩველათ არ დაავდოთ. მენამესტინეს ვუთხარ, რა უფლება ქონდა კოლუმბიკის, რომ ჩემს შეტყუობინებლათ ჩემს ტყეში და ადგილში კაცები დაუსახლებია-მეთქი. იმანაც ვაიყვირვა და მიხხრა, რომ სრულდებით არა ვას, თქვენს მეტს, არაფერი არ შეუძლიანო იქ ვაუცმა და დამინევო. ვინც კი შეიტყუო, არ სჯერათ, აქ მაგისთანა უფლების დაჩემება. თქვენ მანდ ვასაჩქეთ კარგათ და აქური ჯაგრი ნუ ვაქვს, ყველანი ჩემის პატარა შვილებსათვის თავგამოდებული არიან. ბევრი რამ მაქვს ველში თქვენდა სასამოვნო მოსაწერი, მაგრამ არ შემძლიან აქედან მოწერა.

ამავე წერილში ეკატერინე დიდი ქებით იხსენიებდა ყიფიანს და თითქმის მთელ იმპერიაში სამაგალითო კაცად სახავდა. ამ ადგილის წაიკითხვამ ღიმილი მოჰგვარა ღიმიტრის.

მერე ღიმიტრამ წერილის ბოლოს მიმწერი წაიკითხა: „სშირად რომ ხელზე კოცნას მწერ, გეტყობა რომ არ გეშინიანთ. ისპანიის პატარა ხანჯლისა“. ეკატერინე ესპანელ ელჩს დ'ოსუნას გულისხმობდა. იმ ელჩს, რომლის უდიდლო სიყვარულის ამბავი მთელმა ქვეყანამ რომ გაიგო.

კითხვობდა ამ წერილს ღიმიტრი ყიფიანი და თვალწინ ამოად ჩავლილი შრომა და დეაწლი ედგა, მაგრამ მინც ვერ სცილდებოდა დედოფლის ბარათებს...

წერილში გრიგოლ ორბელიანის სახელს წააწყდა. ეს ადგილი ხამაძლა წაიკითხა: „გრიგოლ ორბელიანის ნახვა დიდად მიამა. ძალიან ხშირად არის აქ ჩემთან და ვატარებ დროს სიამოვნებით, მაგრამ მალე აპირებს წამოსვლას“.

ღიმიტრი ყიფიანს გრიგოლ ორბელიანთან ბევრი რამ აკავშირებდა: სიყრმის წლები და 1832 წლის ერთადე კატარებული „ყახარამობა“. მაგრამ დიდ მეგობრად ნახულებმა ამ კაცმა ერთხელ მინც გული ატკინა.

... ღიმიტრი ყიფიანს თბილისის თავდაზნაურთა წინამძღოლად ირჩევდ-

ნენ. ყაფლანიანთა დიდი შთამომავალი გრიგოლი განრისხდა, თავადაზნაურობის წინამძღოლად აზნაურის არჩევა შეურაცხყოფად მიიჩნია და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია, დაუნდობლად გააქიხა ყიფიანის ღვაწლი.

ახლა დიმიტრი ყიფიანს ეს ვაახსენდა და გული ეტკინა. ეს ეკატერინეც ასევე მიუკაობებელი და ამაყია, — ფიქრობდა დიმიტრი, — თურმე სანამდე ვპირდებით, მანამდე პატივსა გვცემენ ერთგული სამსახურისა გამო, ვითარცა ხელქვეითს, მათი ყინისა და სურვილების ერთგულ აღმასრულებელს. საქმარისაა გატოლება სცადო და მაშინვე განგაშს ასტებენ, ეს ვინ წამოაქუპებულა ჩვენს გვერდზეო, თავს არ ვაგვიადრებენ, ტოლად არ მიგინევენ, მუდამ ზევიდან დაგყუბობენ. ჩვენ, აზნაურებს, ასე რომ გვექცევიან, გლახების მიმართ როგორიღა იქნებიან!

აღმა, ისევ ფანჯარასთან მივიდა. ვარეთ გაიხედა, არც ქარი ქროდა და არც წვიმდა. ნამებარი და ნაწვიმარი ბუნება დამშვიდებული და ვახაბული იყო. გააღო ფანჯარა და ოთახი სუფთა, გოგორდნარევი ჰაერის სუნით აივსო. ამ დროს კარებზე ფრთხილად დააკაუნეს, ყიფიანმა კარები გააღო, ოთახში მოურავი შემოვიდა, ბოდიში მოიხადა, გადაუღვანელო საქმის გამო შეგაწუხეთო: — ბატონო დიმიტრი, გარეთ გლეხები მიცდიან და პასუხს ელოდებიან.

— რაო. რა იყო? — აღუღვებით იყუთხა ყიფიანმა. — რას მოითხოვენ ის გლეხები?

— იმას მოგახსენებენ, შენი ჭირიშე, იქ, ტაშისკარის გვერდით რომ ტყეებია, ზამთრისათვის შეშა უნდა დაგვრათო. მე უარი ვუთხარი. ისინი კი ბრახობენ ბატონმა ნება დაგვრათო.

— მერე რათ, რათ უთხარით უარი. შენ ხომ იცოლი. მე რომ მიმიცია ამის ხემა მათთვის!

— არა, ბატონო, ისინი უსასყიდლოდ მოითხოვენ. წლებულს მოსავალი არ მოგვივიდაო და არაფერი გავგაჩნიაო. და კიდევ რაღაცას ბუზღუნებენ.

— ჰო და, იმას მოგახსენებ, უსასყიდლოდ მეთქი, ასე გადაეცი უსასყიდლოთ თქო...

მოურავმა მხრები აიჩქა და ოთახიდან გავიდა. ყიფიანი ისევ მაგიდას მიუჯდა და წერილის კითხვას შეუდგა:

....მარხების შემოსავალი არ ვიცი ჩვენ რა შემოგვდის, ან ნაევბის, ან ჩალადრების, ესენი, მგონი, ყველა დაკარგულია ჩემი წვილებისათ-

ვის, ჩემო დიმიტრი ივანინ, თქვენი იცით, როგორ ყველა შემოსავალს აქრებდით, ჩემს შეილებს. აგრეთვე არ ვიცი, ვინაშენ ყველგან არს ზუთხების საჭირავად თუ არა. ესე იგი ვთხოვთ საჭიროებს, ანალოას, შეიძლება რომ დიდი შემოსავალი ამოვიგოთ ამ თვეზაობით, თორემ სხვა ვინმე დაიხუმებს და საბოლოოდ დამეკარგება...

შუბლნათელ დიმიტრის ისევ მოეღრუბლა შუბლი: როგორ დაჰკანკალებს ყოველ მტკაველ მიწას, ყოველ ტყესა და წყალს... ისე კი ბედის სწყალობს უთუოდ. მისი სილაპაზის წინაშე ყველა ქედს იხრის, სილაპაზით იმპერატორიც ვადარია და ამან გააძლებია ამდენხანს სამეგრელოს გამგებლად...

ახლა ის ადგილი წაიკითხა, დედოფალი ალექსანდრე მეორესთან შეხვედრას რომ ატყობინებდა:

— ხელწიფე ბრძანდებოდა ჩემთან ჩემს დედობაში და ბრძანა რომ 23-ს უთუოდ აქ იქნებოთ ნამესტენცი, მე მოხარული ვარ მიხი მოსვლისათვის, რადგანაც მაისნი ვამირებ ზაგრაინცაში წასვლას. დიდად მოსვენებელი ვიქნები, რომ მანამდე გადაწადეს ჩვენი შემოსავლის საქმე-გზოვით მომწეროთ საჩქაროდ, მე კარგად არ მახსოვს. საბატონოშვილოსავან, სათავადოსავან და სააზნაუროსავან რა და რა შემოსავალი ჰქონდა მთავარს. ყოველივე ეს აქ ჩემთვის საჭიროა იმპერატორთან მოლაპარაკებაში.

— ისევ შინაურულად არის რუსეთის იმპერატორთან. მაგრამ იმპერატორი მაინც იმპერატორია, — იფიქრა ყიფიანმა და ახლა ის წერილი წაიკითხა, დამწუხრებული დედოფალი უმცროსი ქალიშვილის თამარის გარდაცვალებას რომ ატყობინებდა:

„აქამდისინ შეტუბილი გექნებათ, ჩემო უპვირფასესო დიმიტრი ივანინ, ჩემი უბედურება, ჩემი პატარა თამარის სიკვდილი. იფიქრე, როგორ შეწუხებული და დატანჯული იქნება არამც თუ მშვენიერი დედა, ვინც კი იცნობდა სენ ანკელოზ, თამარს; ყველანი გულმტკიცწულად არიან. ვერ ავიწერ, რა მონანილეობა მიიღეს ყოველმა ჩემმა ნაცნობმა, მაგრამ ხომ იცი, დამწუხარ დაღის ვულს ვერავინ ანტეგშებს. ზოლოდრო მეტი წერილწვილად გვაუწყებს ჩვენს მწუხარებას. ჩემს მოძღვარს არხიმპატრის ბენსარიონს გამოვატანე ჩემი სიცოცხლის თამარის ვვაში, რომელიც მოასვენებს მარტილს და იქ, ჩვენ სასაფლაოზე დასაფლავებს. ვთხოვ, რომ სახლთუბუცესი უბრძანო, როდესაც მიუვა ცნობა არხიმპატრის, რომ ქუთაისს დაბეჭდოს ან მარანს და როგორც რიგი და მოვალეობა მოითხოვს, ისე ემსახუროს. ამ შეწუხებულ გულზე თქვენი საქმის ქალღღმე მიმოვიდა ჩემი მამულების თობაზე და იფიქრე, რა ვლდა მეცემოდა ისედაც სამუდამოდ დამწუხრებულს“.

დომიტრი ყიფიანს თვალწინ დაუდგა ის დღე, როცა მარტვილის მონასტერში პატარა თამარის ცხედარი მწუხარებით მიხარეს მიწას და უღელდამალ დომიტრის, რადგან მშობელ დედას — ეკატერინეს სამშობლოში დაბრუნების ნება არა ჰქონდა. ეს მოაგონდა და დიდად შეწუხდა. ისიც მოაგონდა, ეკატერინემ თავისი სამი შვილით საზღვარგარეთ წასვლა რომ გადაწყვიტა, პეტერბურგში ჩასვლა რომ სთხოვა, მაგრამ დომიტრიმ მაშინ ეს ვერ მოახერხა. მოაგონდა და ის წერილიც წაიკითხა:

„გუშინ თქვენი წიგნი მომივიდა, ჩემი უსაკუთრესო დომიტრი ივანო, რომელშიაც წავიკითხე რაოდენც ხართ მონაწილე ჩემს ამისთანა საწინებელს უბედურებაში.“

თქვენმა მოუსვლელობამ ემეტრეთ შემაწუხა. ამას როგორ ვიფიქრებდი, რომ ჩემს შეწუხებულს გულს თქვენის მალეს მოსვლით არ ახარებდით, რადგან ყოველი ჩვენი საქმეები დაუწყებელი არის თქვენის მოლოდინობისათვის. დღეს ელადიმერ პეტროვიჩი იყო ჩემთან და მთხოვა, რომ უთუოდ საჩქაროდ მოგწეროთ და ვთხოვოთ, რომ უთუოდ მალე დაშვრათ მოსვლა რადგანაც მინამ თქვენ არ მოხვალთ, ვის უნდა მოკითხონ პასუხი, თუ თქვენ აქ არ იქნებით. ვისი ხარჯი არასაკრებელია ჩემი იქნება, სახელმწიფოს რათ მოგვემენ. შენი კობაძე, ჩემო დომიტრი, თუ რომ ქრისტიანი ხართ, საჩქაროთ მომეშველეთ. ზამ იტი რა წამებელი ვარ ამ სოფელში სხვისა და სხვის მოულოდინეების მწუხარებით. თქვენ როდესაც მოხვალთ, იმედი მაქვს ყველაფერი კარგათ აწარმოებ. გძალათ არაფერსა მწერ. ნამუსტნაქმა რომ მისი პრედალაგენიე ვაგებავთა კავასიის კომიტეტს, ახლა მეორეს შხრით ჩვენ უნდა შევიტანოთ ჩვენი პასუხები, და უნებოთ არაფერი ვარმოება მე არ ვიცი და ამა როგორ იქმნება, თუ რომ თქვენ მალე არ მობრძანდით, რადგანაც მეც წასვლას ვაპირებ სხვა ქვეყანაშიღ.

ს. პეტერბურღით, 21-ს თებერვალს, 1860.“

ამიერკავკასიის მეფის ნაცვალს და დომიტრი ყიფიანს სამეგრელოს სამთავროს შემოსავალზე სხვადასხვა ცნობა ჰქონდათ მიცემული იმპერატორისათვის. ბარიატინსკი მცირე შემოსავალს აცნობებდა, ყიფიანი — ბევრად მეტს. ახლა ამ ორი ცნობიდან, რუსეთის იმპერატორი რომელსაც დაუმტკიცებდა, პენსია და სხვა შეღავათებიც იმის მიხედვით განესაზღვრებოდა დედოფალს. ამიტომ დედოფალს უნდოდა იმპერატორს ყიფიანის ვარიანტი დაემტკიცებინა. მერე სწორედ ამ საკითხის თაობა-

ზე მოუხდათ უთანხმოება ბარიატინსკისა და ყიფიანს. როცა საბოლოოდ ვერ მოირკვა, რომ პეტერბურგს ვერ შეეძლოა დომიტრი ყიფიანი, რომელსაც იქ პირადად შეეძლო მიეღო მონაწილეობა დედოფლის სასარგებლო საქმეში, ეკატერინე დალონდა. დედოფალი არ იყო მიჩვეული მისი სურვილის შეუსრულებლობას და კინაღამ გული შეუწუხდა. ყიფიანი პეტერბურგს რომ ვერ ჩავიდა. ეკატერინეს წერილმა დომიტრის ახლა ეს ამბავიც მოაგონა:

„ნეტავ იცოდე, ჩემო დომიტრი ივანო შენს წიგნის წაიხთვით, რომელშიც მწერ უარს მოსვლისას, რამდენი მუღღარე ცრემლი დავღვარე. შენი წიგნი მომივიდა სწორედ 19 მარტს ჩემი შობის დღეს. ბევრი სტუმრები მჯვანდა. ისე შეეწუხდი, რომ ვერაფრით ცრემლი ვერ დავივირე. ისე, როგორც წყაროები, ჩამომდინენ მოუწყვეტლად. მთელი საღილა ყველას ჩავაშხამე. მართლაც, დიდი სამწუხარო იყო ჩემთვის თქვენი მოუსვლელობა. ყოველი ჩემი დაწყობილება ჩამეშალა. გუშინ კიდევ, მეორე თქვენი წიგნი მივაღე, რომელშიაც მწერ წასული წლის ანგარიშს, ესე იგი 1859 წლის. ახლა ერთი მიბრძანე, რაც რომ ჩვენ აქეთ წამოგვიყვანეს იმისა ანგარიში ვის უნდა მოვთხოვოს. ესენი კარგად შემატაობინე.“

ბარათები არ იღეოდა. ეკატერინე დომიტრის სახლთუხუცეს დავით ჩიქოვანზე სწერდა:

Милостивый государь
Дмитрий Иванович.

На основании 7 пункта Высочайшего повеления, изложенного в пре-
провожденному мною к Вам сего числа
отношении ко мне Г. Статс-Секретаря
Вутнова за №283, назначая в состав
Совета Мингрельского Управления Чле-
ном Сахлытухуцеса подпоручика князя
Давида Чиковани, представляю Ваше-
му превосходительству донести о сем
Господиу Наместнику Кавказскому и
просить зависящего распоряжения о
допущении его к настоящей должно-
сти. Обязанности же сего члена в от-
ношении к Опек не оставьте опреде-
лить ему особой Вас инструкций. —
Что касается до содержания как лич-
но ему, так и на канцелярские по пе-
реписке с Опекоею способы, то я со-
гласна ассигновать на это из подведом-
ственных опек доходов до тысяч руб-
лей в год.

Сахлытухуцесом же на место Владе-



თელინო დომა ნა მესო **Князя Чиковани** **представляю** Вашему Превосходительству назначить поручика Князя Арчила Дадіанова, а прочих должностных по Опеке лиц, кои будут Вами назначены, буду ожидать Вашего уведомления.

Примите уверение в моем совершенном к Вам почтении и уважении.

Кн. Екатерина Дадіани

ყიფიანმა ეკატერინეს მოთხოვნა შეასრულა და სახლთუხუცესად არჩილ დადიანი აიყვანა. ეს დადიანი სოფელ ბომბოთში ცხოვრობდა, შედარებით ახლო იყო სალხინოსთან და გორდთან. მერე ახლო ნათესავადაც მოხვდებოდა ეკატერინეს, და ამიტომ მოისურვა დედოფალმა სახლთუხუცესის თანამდებობაზე მისი აყვანა.

სწორედ ამ წლებში სამეგრელოს სასამართლოთა საქმის გამგებლად გიგა ჭილაშვილი დანიშნეს. გიგა დიდი მუგობარი იყო დადიანის ოჯახისა. ამიტომაც დიმიტრი ყიფიანს ეგონა, ეს ამავე დედოფალს დიდად ესიამოვნებოდა და წერილით ამცნო. მაგრამ შთაღრთილი გამართლდა ყიფიანის ფიქრი. ამის თაობაზე ეკატერინემ მისწერა:

„გრიგოლს მოეწერა, რომ გიგა დანიშნეს მეგრელითა კრავლეითაო, მაშინვე მოვიდა ვლადიმერ პეტროვიჩი და მახარა — ეცი, რომ გიგამა ზილაშვილის დანიშნაო, მარა მე უთხარ პასუხად, ჩემთვისაც, მეგრელობისათვის და მმართველობისათვისაც უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ დიმიტრი ივანიჩი დანიშნულიყო-მეთქი, შეტადრე ახლანდელს თავისუფლების ვარემოებისათვის-მეთქი, ვლადიმერ პეტროვიჩმა მითხრა, რომ ცნობა არ იქმოდოა“.

ისევ დიმიტრი მოგრიდა დიმიტრის, — ეპ, ძნელი გამოსაცნობია ბუნება კაცისა! — თავისთვის ჩაილაპარაკა.

ახლა ლიბის მთებიდან დაუბერა დადასავლეთის ქარმა და ისევ მიაბურა ტაშისკარის მთებს კუბრივით შავი ღრუბლები. ისევ ჩამოხველდა ქვიშხეთში, ყიფიანების სასახლის დარბაზში. მერე საღადაც, მთებში, ისევ დაიგრგვინა, ისევ აირია ბუნება და იმ გაზაფხულის საღამოს კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა, ყიფიანი ფანჯარას მიადგა და გარეთ გაიხედა. ახლა წვიმა სწორად, თოკივით გაჭიმული შიდიოდა და სეტყვასავით ეცემოდა მიწას. ეზოში, ყიფიანების სასახლის წინ, ტბა დამდგა-

რიყო. წვეთები ამ ტბაში ეცემოდა, ზედაპირზე რგოლებს ჰქმნიდა და მერე ეს რგოლები საპნის ბუბუნიკის მსგავსად.

დიდხანს იდგა ფანჯარასთან ყიფიანი და გასცქეროდა დედამიწის წინააღმდეგ განრისხებული ცის ამ საოცარ შემოტევას. მეორე თთახიდან მისი ცოლი გამოვიდა და რუსულად გაუბა საუბარი: ფანჯარასთან გაოგნებულ მუხლს: დიმიტრი ყიფიანის მუხლზე, ქილაშვილის ასული, პეტერბურგში იყო აღზრდილი, და, ისევე, როგორც ბევრი გადაგვრებული თაგადი და ახნაური, ქართულად არ კადრულობდა ლაპარაკს. სწორედ საოცარი იყო: დიმიტრი ყიფიანი ხმალმოღერებელი ებრძოდა, ვინც სდევნიდა ქართულ ენას ჩვენს სკოლებსა და დაწესებულებებში, ყიფიანების ოჯახში კი ამავე ენას, ამ ქალის მეოხებით, პატივი ჰქონდა აყრილი. ისევ გააგრძელა ბარათების კითხვა:

„ა-ს იენისს მივდივარ ზაგრაიციასო, სხელ-მეფო პარახოლი მომცეს, მეშა ველიკი ცნობა ენსტეპტინემ ათათი მითაჟნა ეპირველი პარახოლი, რომელიც არის საგანგებოდ გაწყობილი ამერატრიცას სატარებლად, ქვან შტანდარტ. გეშან მისი საგულწოდებას დღე ეყო, ესე იგი ველიკი ცნობის, მეც ვიყავ მიატივებული საუღმეზედ, და თითონ მიბრძანა, რომ მე თითონ დაეწინაურე თქვენ და თქვენის შეიღებისათვისო სადგომი კაიტტები. ძალიან სიამენით და აღერით მელაპარაკა და უხარია, რომ ჩვენი საქმე ასე კარავთ ვაღაწყდა. რასო კვირველია, რომ მიწინაა ჩვენ საქმეებზედ ეოგულად და გულმოდგინეო იქმნება, მეც ველი მისგან წიგნს და მასუბნ მიეწერ.“

ამევე წერილში ეკატერინე ზოგ სხვა რამესაც სთხოვდა დიმიტრი ყიფიანს:

„ახლა ოჩი სათხოვარი მაქვს. პირველი ეს, რომ სენტემბრისათვის ათათი თემანი შეიტანით ქუთაისის ზაზინაში, რომ აქ მისცენ ცნობა ბუტყოეს, რადგანაც მე ახლა თან წასაღება 17,000 მანეთის მეტი არ დამჩნა და მოგვსენება, რომ ეს ფული არ მეყოფა, თუ რომ მიაღვან არ მომამედე, რადგანაც აქ ანერამდისს ყველა სადერჯანია და აჩენდა ერთი წლის სულ აღებული მაქვს. ხაში იცი, ჩემო დიმიტრი ივანიჩი! აქ ფულის ზარჯი როგორ ბევრია არს საჟირო. მეორე სათხოვარი ეს არს, რომ პეტრეა სალნიამე სენტემბრისათვის აქ გამოიგზავნათ, რომელსაც მიეცემა თვეში ერთი თემანი გამოვირი. ჩემი იავორა ავათ არის და მინდა, რომ ეგ რომ აქ მოვა, იავორა ამ ზამთარს წამოვა მეგრელიანს თორემ ზამთარში აქ გაძლება არ



შეუძლიან, ქარები აქვს ფეხებში. პეტრეას ნაბარბებს, რაც აქ ჩვენი ბარგი დარჩება. და თქვენც კარგათ დაარჩევთ პეტრეას, რომ ერთგულად გაისარჯოს და მოუაროს ჩვენს ბარგს. ჩემი შაზლი კონსტანტინე აქ არის, ხელმწიფემ დაითხოვა ჩემის თხოვნით ჩვენს გამოსათხოვებლათ. ვლადიმერ პეტროვიჩმა მითხრა, რომ ამ თქვენი საქმის ვადაწვეტილების შეტყობით თბილისში დღის მეხის დაცემა ქონათ იქაურ ჩინოვნიკებსა“.

„ჩემო უძვირფასესო დიმიტრი ივანი! ამ წიგნის მომტანი უფალი piece მოდის მანდ-მეგრელიაში ხეების სასყიდლად. მე მთხოვა, რომ მივეცთ ნება სამთავროს ხეების ყიდვას. ძალიან კარგი იქნება, რომ ზღვის პირზე, კურობაზე მივეცთ. მხოლოდ ჩემი დარიგება საქარო არ არის, კარგად გამოიყიბთ, რომ ფასზე არ შეცდეთ. და საქმე ისე დაიბარეთ, რომ ზომით აქლით, რომ რამდენიმე წელს ისევე ტყე იზრდებოდეს...“

— არა, ტაპაოცარი ქალია ეს ეკატერინე. სად პოულუმს ამდენ დროს და მოკალეობას იმ ფაცაფუტში, ევროპაში გამგზავრების წინ. ასე დაწვრილებით რომ მწერს ყველაფერს!

... პირველი ჩემი სათხოვარი ეს არის, რომ მთავრის საზღვრები დანიშნოს და სანადირო ტყეები დაიყვას. მუშტრები ძალიან ბევრ

ვაუნდება მაგ მიწას, ვინ არ მიიღობენი მუშაობას. ამას წინად წიგნი შეგწერეთ, სადაც ვთხოვთ, რომ ახლაც მიიღოთ ჩემი საქმის 1000 თუმნის მოგროვების, რადგანაც მაშინ საქარო იქნება ჩემთვის ფული. აქედან ოღონდ 17.000 მანეთი მომდევს და იფიქრეთ, რომ იანვრამდისინ როგორ გვეყოფა.“

1861 წლის 14 ივლისს ეკატერინე დანიანი უკვე დრეზდენში იყო და იქიდან სწერდა:

„მე აქ ეს ორი კვირა არის, რაც მოველი და აქ გვეწამობენ, ვსვამთ წყალს და ვიღებთ ვანას, იმედო გვაქვს ღვთისგან, რომ გვარგებს. პატიო საგანგებო არს მსგავსი გრილისა. თქვენს ახლა, არ ვიცი, სადა ხართ. ბარბატინსკი ვერ ვნახე დრეზდენში, შევედღებული არის თავას სადგომში და არავის არ უშვებენ მასთან. ამბობენ ისე ავად არ არისო, როგორც რომ ხმა არის დაყრილი“.

შემდეგი ბარათები პარიზიდან იყო მოწერილი. ერთ ბარათში დედოფალი იმას ჩიოდა, აქ ჩვენებური საყდარი არ არის და დიდად ვწუხვარ, რომ ლოცვა წირვას მოცდენილი ვარო, და თხოულობდა დადიანების კარის მღვდელი ხოშტარია საჩქაროდ გაესტუმრებინათ პარიზს.

დადიანები პარიზში

ეკატერინე ქაქავაძე თავისი ამალით პარიზის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში მოეწყო. რამდენიმე დღის შემდეგ თავისი ძველი მეგობარი, ალექსანდრე დიუმა მოიკითხა.

იგი ეკატერინემ 1858 წელს პეტერბურგში გაიყნო. ამ დროს დიუმა საქართველოში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ფრანგი მწერალი დიდად დანიტერესდა ეკატერინეს ნამშობობით და რამდენჯერმე შეხვდა პეტერბურგში. დაწვრილებით ჩაიწერა ყველა მისი ნათქვამი, ყველა ცნობა საქართველოს, კერძოდ, სამეგრელოს სამთავროს შესახებ, მისი სამდურავიცი და საყვედურიც მოისმინა. ეკატერინე შესჩიოდა, რომ მას, მეფისა და ღვთის განგებით დანიშნულ დედოფალს, უპატივცემულოდ მოეპყრენ...

და ფრანგულად. დიუმა მოიხიბლა მისი სილამაზითა და მშვენიერი ფრანგული მეტყველებით. ეკატერინემ თავისი შვილები წარუდგინა. დიუმა მოეფერა ბავშვებს. მოუალერესა. მწერალი გაოცდა, როდესაც ბავშვებმა ფრანგულად ისევე კარგად დაუწყეს საუბარი, როგორც ეკატერინე ლაპარაკობდა. მეტი ყურადღება მარცხ ნიკოს დაუთმო. მოეწონა ეს ზრდილი, ნაკითხი, ფრანგული ენის კარგად მცოდნე ყმაწვილი, რომელსაც დედოფალი ახლა მთავრად ამზადებდა, მაგრამ არ იყო დარწმუნებული, უწყალობებდა თუ არა იმპერატორი შეპირებულ ტიტულს. ნიკოც, როგორც ნამდვილი მთავარი, ისე იქცეოდა, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ ეს მოჩვენება და თავისმოტყუება იყო.

დედოფალი დიდებულად ლაპარაკობდა დიუმას განსაკუთრებით მოეწონა ნი-

კოს ქუდი — თეთრი, ნაბდის ქუდი, ქვემოთ წითელსირმაშემოვლებული, თავზე მრგვალად მორგებული.

— ალბათ, ეს თქვენი ეროვნული ქუდია, — ჰკითხა დიუმამ ეკატერინეს.

დედოფალმა ცნობისმოყვარე უცხოელს მიუგო:

— დიახ, ეს ჩვენი ეროვნული ქუდია. ჩოხა-ახალუხი, ზედ ქამარ-ხანჯალი, ეს ქუდი და ბაშლაყი ჩვეულებრივი სამკაულია თავადებისა და აზნაურებისა.

დედოფალი ახლა შვილს მიუბრუნდა და ფრანგულად უთხრა:

— შეილო ჩემო, გვირგვინი ჩამოართმეული გვაქვს, ხოლო ქუდი გვირგვინის მავაჯრობას ვერ გასწევს. რაჯი ამ პატიოსან კაცს მოეწონა, აჩუქე ეს ქუდი სტუმარს...

ნიკომ თავი დახარა, მიუხალოვდა უცხო კაცს, ქუდი მოიძრო და პატივისცემით მოაბსენა:

— ჩვენში ასეთი წესია, სტუმარს რაც მოეწონება, მასპინძელი ვალდებულია აჩუქოს. მე მზადა ვარ შევასრულო ჩვენი ეს ტრადიცია.

და ქუდი გაუწოდა. დიუმას ეუცხოვა ყოველივე ეს. თან უხერხულად იგრძნო თავი და არ იცოდა გამოერთოვა ეს ქუდი, თუ უარი ეთქვა საჩუქარზე. ბოლოს ეს-ლა უთხრა:

— რაჯი ასეთი წესი ყოფილა თქვენში, მე როგორ შემძლია ვეუბრაო ამ წესს. მხოლოდ ერთი პირობა: სამაგიერო უნდა მიიღო ჩემგან!

და ალექსანდრე დიუმამ თავისი რომანი, ფრანგულად დაბეჭდილი „სამი მუსკეტერი“ გაუწოდა უფლისწულს.

ასე შეხვდნენ ერთმანეთს ეკატერინეს ოჯახი და დიუმა.

და აი ახლა როდესაც ეკატერინე თავისი შვილებით პარიზში აღმოჩნდა, დიახაც ეწადა ალექსანდრე დიუმასთან შეხვედრა. მონახა სავიზიტო ქალაღი. ზედ ეწერა: „პარიზი. ამსტერდამის ქუჩა № 77, ალექსანდრე დიუმა“. ეკატერინემ თვითონ არ იწემა დიუმას მოკითხვა (დედოფალი მგლოვიარედ იყო, ჯერაც შვილის გარდაცვალების წლის-

თავი არ გადაუხადა, არც ძაძა გაცხადა) და მღვდელი თვედორე ჰელმანის (Helmant) დახმარებით ამ სავიზიტო ქალაღი მოეწადა. დღესვე ეახლა დიუმა დედოფალს, გულმხურვალედ მიესალმა, თავისი ახლად დამთავრებული წიგნის — „კავკასიის მოგზაურობის“ — ადგილები წაუკითხა და რა არ უამბო გახარებულს.

ამის შემდეგ დიუმასა და დედოფალს შორის, ვიდრე ეკატერინე პარიზს იყო, ურთიერთობა და მეგობრობა არ შეწყვეტილა.

ეკატერინემ პარიზში დიუმას მეშვეობით უამრავი მეგობარი და ნაცნობი გაიჩინა. შვილების აღზრდის საქმესაც თავი მოაბა და ახლა სრულიად კმაყოფილი, თავის მეგობარს გრიგოლ ორბელიანს ატყობინებდა პარიზიდან:

„წორედ რომ დავისვენე, ბავშვებმაც სული მოითქვეს. ღმერთმა დალოცოს ეს ქალაქი და ეს ადგილი. დღეს გვიან ავდექი, დიდებულად შეძინა. ცოცხი და გაუთავებელი ზამთრის შემდეგ უცხად სამოთხენი აღმოვჩნდი. ასე მეგონა, ჩემს ზუგდიდში, წინანდალსა ან თბილისში ვიყავი. როგორ ჰგავს ეს მხარე, ეს ადგილი, ეს მიღამო, ეს ცა, ეს ბუნება ჩემს მხარეს! ცა ღურჯია, როგორც ჩვენში, საქართველოში, არა, ნამდვილად დავისვენე, რომ ჩემი ბედი არ მაწუხებდეს. და ასე მეგონა, რაც უფრო დიდხანს დავრჩები აქ, მით უფრო დავცილდები ჩემი სანუკეარი ოცნების აღსრულებას — ჩემი ნიკოს მთავრად ერთობევისა. ეხლა ესლა მაწუხებს და მადარდებს. სხვა მხრივ კი ჩინებულად მიდის ჩემი საქმე.“

ნიკო ვაიხარდა, დავაქაცადო, სალომემაც ერთბაშად აიუჯრა ტანი, ქალიშვილობის ასაკში შევიდა, ვუშინ დამეზომა და ჩემი ტოლია. სიღამათი ექიბება აქაურ ლამაზანებს. უნდა გამოგიტყუდე და ვითხრა, რომ ნამდვილად მშვენიერია ჩემი სალომე. პარიზში დიდი მოწონება და პატივისცემა აქვს. და იმისა მეშინია, რომ არ მომტაცონ. უფრე ვატყობ, რომ სალომესაც ისეთივე დიდი მოწონება აქვს, როგორც ჩვენს ქალიშვილობისას ნინოს, მანანას... მაგრამ აბა, რით და როგორ ვავიშებებ უცხოეთში ჩემს ერთადერთ ასულს, ახლა იგი ჩემი ქალიშვილიც არის, მეგობარიც, დობილიც და მესაიდუმლოც, რომ იცოდე. მე ახლა არა მაქვს ისეთი საიდუმ-



ლო, ჩემს სალონს რომ არ ვანდობდე. ეპიდემიის ვიზიტი, რომ მშვიდობით დაგვრუნდებოდა, ასეთ მოსვენებულსა და დამშვიდებულს მაინც სახლისკენ მიმიწევს გული და მოუთმენლად ველოდები ამ დღეს, როცა ჩემს სამშობლოში გამოვწვევ. სამშობლო მაინც სხვა უფილა, მე ახლა პარიზში ვი არა, პეტერბურგშია მწვეველ ვიგარტნი სიყვარული სამშობლოსი. ბედნიერი ის არის, ვინც ბედნიერია თავის სამშობლოში..."

გავიდა წლები. ახლა აქ, პარიზს, ჩავეითხა პეტროვმა დედოფალს. ეკატერინეს გაუხარდა. დიდ მარტობას გრძნობდა და ამ ნაცნობის ნახვამ მარტობის უსიამოვნო ფიქრები გაუქარვა. დიდი პატივით მიიღო პეტროვი.

ეკატერინე უადრესად თავმოყვარე იყო, შეჩვეული იყო პატივისცემასა და თაყვანისცემას. პარიზში, ცოტა არ იყოს, მოაკლდა ყოველივე ეს და ამიტომ, როგორც დედოფალს, როგორც ქალს, დიასაც ესაიამოვნა პეტროვის გამოჩენა ამ უცხო ქალაქში — დაუყვავა, მოეფერა. პეტროვს ეგონა, ალბათ, გული მოიბრუნა ჩემზე, ალბათ, დარწმუნდა, რომ მარტოდ ყოფნა, რაც არ უნდა იყოს, ძნელია ახალგაზრდა ქვრივისათვის.

და როცა ეკატერინეს ევროპულად მორთულ სალონში მარტონი დარჩნენ, ესპანეთის ელჩი ისევ ძველ ჰანგზე ამდგურდა:

— ალბათ, აქ, შორეულ ქალაქში ყოფნამ დაგარწმუნათ, ჩემო დედოფალო, რომ ქალს თუ კანონიერი ქმარი და მეგობარი არა ჰყავს, გაუჭირდება ამ შორეულ ქალაქში ცხოვრება. ძნელია, აუტანელია მარტობა, მარტობა სულია. ეს პეტერბურგში მეც თქვენსავით განვიცადე, ჩემო დედოფალო, და ერთ-ერთ იმედად თქვენ დავსახეთ. მაგრამ ვაი, რომ ჩემს მარტობას ბოლო არ ეღება! ვერ გაუძლები ამ მძიმე გრძნობას და აი, თქვენთან გამოვწვიე, ჩემო კეთილო, ისევ თქვენ თუ იხსნით ჩემს ეულს სულსა...

— გამოგიტყდებით და გეტყვით, პეტროვო, დიას, ძნელი ყოფილა მარტობა ისეთ დიდ ქალაქში, როგორც პარიზი. ჩემი შვილები სასწავლებლად რომ წავლენ, მე სულ მარტო ვრჩები ოჯახში და ასე მგონია, არც არის ვინმე ამ ქვეყანაზე, რომ ხმა გამცეს და იმედი მისცეს ჩემს სულს. ჩემი საქმეების გაძლოლაც და მოვლაც გამიჭირდა. ხანდახან ვფიქრობ, მე ქალი ვარ და ასე უმოწყალოდ ამიტომ მჩაგრავენ-მეთქი. მე აქ მძაფრად განვიცადე გრძნობა მარტობისა. და როცა თქვენ გამოჩნდით, ჩემო პეტროვო, რაღაც იმედი მიეცა ჩემს სულს. მაგრამ მაინც იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც პეტერბურგში ვითხარით. როგორც ჩანს, მე დიდი ხანია ჩემს თავს მძიმე განაჩენი გამოვეტანე. რაკი გამოვეტანე, არც შევცვლი ამ განაჩენს.

სიყვარულში, მიწურობაში ვხედავდი დაუსრულებელ სინარულსა და ცხოვრების ძალას. მე სიყვარული სულის მოთხოვნილებად მექცა, მაგრამ რაკი მწარედ ვიგეგმე მისგან გაწილება, ახლა რომ ვუკვირდები, ასე ვფიქრობ: სიყვარულს, ცოლ-ქმრობის გადაწყვეტას, დიდი დაფიქრება უნდა. თურმე მე ზერელედ ვუყურებდი სიყვარულსა და შევცდი ჩემი გულის არჩევანში. გვიან მივხვდი ამას, გვიან, როცა უკვე გათხოვილი ვიყავი. და იცით, რა მძიმე ტრაგედია ყოფილა ქალისათვის, როცა ის გათხოვების შემდეგ, მიხვდება თავის შეცდომას! მე შევცდი მაგრამ უკან არ დავიხიე; ტანჯვით, წვალეებით ჩემს ქმარს ერთგულება დავუმტკიცე და ახლა იგივე ერთგულება ჩემს შვილებსაც უნდა დავუმტკიცო. თქვენ იცით თუ არა, პეტროვო, რომ ქალისათვის მთავარი მაინც შვილები ყოფილა. ქალი დედობას ეტრფის, ეტრფის ფარულად თუ აშკარად. და ვისაც ერთხელ მაინც უგრ-

ძენია ეს, ის დამიდასტურებს, რომ დედური გრძნობა ყველა გრძნობაზე მაღლა დგას... მე ახლა დედა ვარ, დედა სამი შვილისა.

აქ წაიბზორძიკა დედოფალმა, ოხვრა აღმოხდა.

— მე ვამბობ სამი შვილისა-შეთქი, ორი წლის წინათ კი ოთხი შვილის დედა ვიყავი. ჩემი თამარა დავეკარგე. იქ, პეტერბურგში, მტრებმა დამაკარგვინეს ჩემი იმედი, ყველაზე პატარა, ნაბოლარა შვილი...

ახლა ამით ისარგებლა ჰერცოგმა და, სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული დედოფალს, ისე მოახსენა:

— დიან, ბავშვების აღზრდას დიდი შრომა და გარჯა უნდა. ასეთ შემთხვევაში ქალს დახმარებას ქმარი გაუწევს. მე შემძლია ვიკისრო ეს სრული სიყვარულითა და პატივისცემით. თქვენი შვილები ჩემი შვილებიც იქნებიან...

— არა, ჩემო ჰერცოგო! შვილებს ერთი დედა და ერთი მამა ჰყავთ. ორი მამის ყოლა ისევე არ შეიძლება, როგორც ორი სამშობლოსი. შვილებს ერთი დედა და ერთი მამა უნდა ჰყავდეთ, პატიოსან კაცსაც ერთი სამშობლო უნდა ეგულეობდეს და იმისთვის უნდა სდებდეს თავს.

ეს ისე თქვა დედოფალმა, არც კი დაფიქრებულა, რომ ჰერცოგი იდგა მის წინაშე, ჰერცოგი, რომელსაც აღრევე ჰქონდა წათქვამი დედოფლისათვის. რომ ის იქ იქნება ბედნიერი, სადაც სიყვარულით გაიზარებს მისი გული, მისი სამშობლო მისი გულია... ახლა ეს მოავონდა ჰერცოგსაც და დაიბნა, ვიდრე პასუხს გასცემდა. მერე ისევ მოიკრიბა გონება და ასე უპასუხა დედოფალს:

— არა, არა ხართ თქვენ მართალი. შვილების სიყვარული სწორედ რომ არ მოითხოვს უაზრო მსხვერპლსა და დაეინებას. ქალს შეუძლია, შეუძლია კი არა, ვალდებულაც არის, თუ აღრე დაქვრივდა, მეორედ გათხოვდეს, თუ მას ნამდვილად უყვარს თავისი შვილები. თვით შვილების აღზრდისათვის არის ეს საჭირო სამშობლოზე კი უნდა მოგახსენოთ.

რომ სამშობლო სამშობლოა, მეგობარ არა მგონია, იგი პირადი ბედნიერებას უბედურებას მოითხოვს. მისი სიყვარული ხელში ისევე ბედნიერი ვიქნები საქართველოში, როგორც ჩემს ესპანეთში ვიქნებოდი. სამშობლო არ მოითხოვს, კაცმა თავისი გული და სიყვარული უკუაგდოს.

— არა, არა ხართ მართალი, ჰერცოგო, მე ახლა აი, აქ. უცხოეთში ვიგრძენი, რომ, თუ შენი სამშობლო არ გიყვარს, ისე არა ხარ ნამდვილი შვილი მისი. სამშობლოდან გადმოხვეწილი კაცი სწორედ რომ უბედურია. ბედნიერი მხოლოდ შენს სამშობლოში შეიძლება იყოს. სწორედ შენს სამშობლოში აქვს მაღლი და ლაზათი ნამდვილ სიყვარულს. შენს სიყვარულს შენს სამშობლოში უნდა ედგას მტკიცე ფესვი, მამულის ძეძუს უნდა სწოვდეს, სხვა სიყვარული რასიყვარულია!..

ამ საუბარში იყვნენ ჰერცოგი და ეკატერინე, რომ ოთახში სალომე შემოიჭრა და დედასთან მიიბრინა. უცხო კაცი რომ დაინახა, უკან დაიხია. ეკატერინე თვითონ მიეჭრა შვილს და გულში ჩაიკრა. ისეთნაირად ჩაიკრა, თითქოს ართმევენო. დედის ეს გრძნობა ჰერცოგმა შენიშნა და ჩუმად გავიდა ოთახიდან.

დ'ოსუნამ პარიზის ის ღამე წვალეებით გაათენა. მას მთელი გულითა და ენით უყვარდა სამეგრელოს დედოფალი, და სხვა ქალი, რომელიც შესცვლიდა ამ სიყვარულს, ქვეყნად არ ეგულებოდა. და ის იყო გათენდა თუ არა, სასწრაფოდ გამოეწყო და ისევე ეახლა დედოფალს.

დედოფალი ისევე უარზე იყო. დ'ოსუნა მაინც არ ეშვებოდა ეკატერინეს. ღამ კვლავ ეაჭებოდა:

— იმ წყევული საღამოს შემდეგ, როცა ვნახე პატარა თამარზე ასე უსოზოდ მგლოვიარე, გადავწყვიტე ძალღონე მომეკრიბა და არ შემეწუხებინეთ ჩემი უიღბლო სიყვარულით. მაგრამ რაც პარიზს წამოხვედით, მთლად დავეკარგე მოსვენება. სანამ ახლო მეგულეობდით, კიდევ მქონდა რაღაცის იმედი, მომშორდით და მთლად დავეკარგე რწმენა. რა ახვცადე, მეგობრებში გართობა, რესტორ-



ნებში ჭეიფი, თეატრებსა და საღამოებზე სიარული, მაგრამ ვერსად ვპოვე ნუგეში. სადაც ვიყავი, ყველგან თან მსდევდა განუქარებელი სევდა განზორებისა. თვით ჩემს მეგობრებსაც გადაედო ჩემი მელანქოლია. ისინიც დაღობდნენ, თან ათასი გზით შირჩევდნენ: გაერთე, იცეკვე, ითამაშე, დალიე, გამხიარულდი, ნუ ჩამოგტირის ცხვირპირი, სანამ ხარ დაეწაფე ამ ცხოვრებას, თორემ დუმილი და მორჩილება ბედისა იმ ქვეყანაზედაც გეყოფათ.

მე შევისმინე მათი მუდარა, მხარი ავუბი და ავყევი მათს მხიარულებას, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვიდა, ისევ სევდა და მწუხარება ღრღნიდა ჩემს გულსა, და არც ესმოდა ვისმე ჩემი. ქალბებში ვიყავი და თქვენი სახე შედგა თვალწინ, ლხინში ვიყავი და — თქვენს დარღს ღვინოში ვკვავდი! მერე მოსვენებადაკარგულმა ჩაკეტვა და შინ ყოფნა ვარჩიე, მაგრამ იქაც არ მშორდებოდა ხატება თქვენი. შინ და გარეთ სულ თქვენი ლანდი დამდევდა და მოსვენებას არ მაძლევდა. მეტი ვეღარ მოვითმინე და ისევ თქვენ მოგაშურეთ. აწი შენ იცი, მთლად თუ არ გამწირავ თქვენგან დაჩაგრულს! — ესა თქვა და ხელზე ეამბორა ეკატერინეს. დედოფალმა ხელი ძალით გამოგლიჯა.

თაყვანისმცემელი ბევრა ჰყოლია ეკატერინეს. მაგრამ არავის დაუმცირებია მის წინაშე ასე თავი. სწორედ რომ შეებრაღა ეს ესპანელი. მეორე მხრივ, რაც უფრო აკვირდებოდა მის საქციელს, მით უფრო შესმაგდა იგი. დედოფალს მოთმინების ფაღა აევსო:

— მე თქვენ უჯრო ვაქვაცი მეგონეთ. ნუთუ მართლა ასე დაგიმორჩილათ სევდამ. მე ვეღარ გცნობთ თქვენ. ჰერცოგო, ჩვენ ხომ 17-18 წლისანი არა ვართ! მე ვერ ამიხსნია თქვენი საქციელი, თუ მართლა არ მსახიობობთ, ბატონო დ'ოსუნა!

— არა, დედოფალო, მე რომ მსახიობობა შემიძლოს, ალბათ, უკეთ გადაგიშლიდით ჩემს გრძნობებს და უფრო სხვა-ნაირად მოგაჩვენებდით თავს, მაგრამ

ეტყობა, უნიჭო მსახიობი ვარ ჩემი გრძნობების გამოსამქლავებლად. ეკატერინემ პირდაპირად ამოვიღო ბით გააგო ჰერცოგის ნათქვამი და ასე უთხრა:

— არა, მე რა უფლება მაქვს თქვენი მსახიობური ნიჭის შეფასებისა.

დ'ოსუნას ყურადღება არ მოუქცევია დედოფლის ამ სიტყვებისთვის.

— გახსოვთ, იმ საღამოს, პეტერბურგში, სასახლის ბაღზე პირველად რომ შეგხვდით? ყველა მეგობარი, ვინც კი მეორე დღეს ვნახე, მიმტყიცებდა, რომ თქვენ ყველაზე ლამაზი და დიდებული იყავით იმ საღამოს, მაგრამ მე ისედაც ვიცოდი, რომ თქვენ არა მარტო ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანიც და ყველაზე ნაზიც იყავით. ისიც ვიცოდი, რომ ლეგენდა დადიოდა თურქეთთან ომში თქვენს მამაცობაზე. მე ეს ყველაფერი ვიცოდი და, რაც უფრო ხელს მკრავდით, მით უფრო მახლებდით, მით უფრო ვეჭვიანობდი. თუ ვინმე მამაკაცს დავიგულებდი თქვენთან, მე იმ მამაკაცს მტრად ვსახავდი, რადგან თქვენ მე ჩემად შეგულებოდით. ახლაც აღსარებასავით გეუბნებით, რომ სხვა ქალს არც შევირთავ არასოდეს!

ამის გამგონე ეკატერინეს გაელიმა: ყველა მამაკაცი უმტყიცებს თავის სატრფოს. „მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია“. მერე გადის დრო და ისინი ერთმანეთს ოჯახებით ისე ხვდებიან, როგორც კარგი ნაცნობები. ეპ. ჩემო დ'ოსუნა, მეც კარგად ვიცნობ მამაკაცებს!

— არა, დედოფალო. მე უთქვენოდ არ შემიძლია გაძლება, მერწმუნეთ. რომ არ შემიძლია. — ამ სიტყვებზე ესპანელმა დედოფლისაკენ გაიწია.

სწორედ ამ დროს ზარივით დარეკა ეკატერინეს ხმამ:

— მე შეიღების დედა ვარ. შეიღების დედა, ხომ გითხარით ერთხელ, ნომ გითხარით! ნუთუ ასე მალე დაგავიწყდათ ეს ყოველივე!

ისე ნერვიულად და მღელვარედ ამბობდა მას დედოფალი, რომ თვითონ

ველარა სცნობდა თავის ხმას, ასე ეგონა, მის მაგივრად ამ სიტყვებს სხვა ჩასძახოდა ახლა ესპანელს, მერე ერთბაშად შეჩერდა, თითქოს შეწყუბდა, რომ ასე სულმოუთქმელად მიახალა ეს სიტყვები ესპანელს, რაღაცის თქმა დააპირა. ესპანელი იატაკს ჩასცქეროდა დაღონებული, ცხვირსახოცი ამოეღო და ოფლიან სახეს იწმენდა. ეკატერინემ იფიქრა, თვალზე მომდგარ კრემლს თუ იწმენდსო, და დიდად შეწყუბდა. ეს არ გამოპარვია დ, ოსუნას.

— ასე დიდებული, კეთილი დედოფალი როგორ შეიძლება ასეთი სასტიკი და უგულო იყოთ! თქვენ როგორ გგონიათ, მე ადამიანი ვარ თუ უბრალო ფიტული, ბავშვების სათამაშო თოჯინა! — ელჩი მიანერდა დედოფალს.

— არა, პერცოვო, თქვენ ნუ გგონიათ, რომ მე უმადური და გაურჩეველი ვიყო, მე მესმის თქვენი, ოღონდ ბრაზი იმაზე მომდის, რომ არ გინდათ ჩემიცი გაიგოთ. მე ძლიერ მიყვარს ჩემი შვილები და ვერც ვერასოდეს ვუღალატებ მათ. თქვენს გრძნობებს, რომ ავყოლოდი, ეს ლაღატი იქნებოდა, დიახ, ლაღატი დედისა, რომელსაც უზომოდ უყვარს თავისი შვილები. არ მინდა მოღალატე დედის სახელი მერქვას! გესმით თუ არა ეს თქვენ? თქვენ ერთი იმ სასიამოვნო და მგრძნობიარე კაცთაგანი ბრძინდებით, როგორსაც კი შეგვხვდებიან ვარ ამ ქვეყანაზე, და უნდა გაიგოთ! მე ხომ მარტო ვარ ამ უცხო ქვეყანაში და ოქვენისთანა მამაკაცს ხელს როგორ ვკრავდი, ეს ჩემი სინდისისა და დედოფლობის საწინააღმდეგოდ რომ არ მერქვენებოდეს. ისა სჯობია, ჩვენ ნამდვილ მეგობრებად დავრჩეთ.

— მეგობრობა, ნამდვილი მეგობრობა სწორედ თქვენი მეუღლეობა იქნებოდა. მეუღლეებზე უფრო სასურველი მეგობრები არ მეგულება ამ ქვეყანაზე... მე მიყვარხართ, დედოფალი, უსაზღვროდ მიყვარხართ და სხვა ვერავის შევიყვარებ. სხვა ვერავითარი გრძნობა, ვერც ერთი სხვა ადამიანი ჩემს გულში ადვილს ვერ დაიჭერს.

მერწმუნეთ, დედოფალი, ჩემი გრძნობა უქნობი დარჩება მარადმდე!

რაც უფრო გახელეუბნებდას, ნებით უმტკიცებდა ესპანელი თავის უიღბლო სიყვარულს, მით უფრო დაეკვებით იმეორებდა თავის გულში დედოფალი:

„ნუთუ მართლა ასე გაგვიყვარებთ ვუყვარვარ ამ გადამთიელ ელჩს? ან, იქნებ, ყველაფერი ეს თამაშია, რომ თავისი განდიდებისათვის მიმისაკუთროს? პერცოვმა იცის, რომ მთავრინა გვერდს დაუშვებენ და დიდკაცობის მაძიებელს, მე კი, როგორც უცხოურ ძვირფას ნივთს, გამოვიყენებს და მერე სულერთია მისთვის... ალბათ, ჩემი უარი გახმაურდა, თავმოყვარეობა შეუღალა და, ალბათ, ამ შეღალული თავმოყვარეობის გამოსყიდვა უნდა, იმიტომ არის ასე გახელეუბნებული. არა, ეს არ მოხდება!“

ასე ფიქრობდა ეკატერინე. პირში კი სულ სხვა რამე უთხრა:

— მე ხომ ვითხარით ჩემი სათქმელი, ნუთუ ეს არ არის ვასაგები თქვენთვის? გთხოვთ, დაივიწყოთ თქვენი გრძნობა და ნაცნობად, მეგობრად, ან რაღაც გინდათ, იმად მიგულეთ, ოღონდ საცოლელე კი ნურასოდეს... ჩვენი საუბარი ამით ვავათავოთ.

ისე მტკიცედ თქვა ეს დედოფალმა, რომ პერცოვი იძულებული გახდა ნამალადევი ღიმილით გამოშვებოდა.

ესპანელი ელჩი იმავე საღამოს გაემგზავრა პარიზიდან.

* * *

უცხოეთში გადახვეწილი ეკატერინე მანანა ორბელიანი სწერდა: „ახლა საღამოა და ვხივარ ჩემს ოთახში. ჩემს ოთახში კი არა, ვიღაც გადამთიელის სასტუმროში. ფანჯრიდან გაჩირადდებულ პარიზი მოჩანს ჩემს თვალწინ და ჩემი სული მაინც ვერაფერს ეგუება ამ დიდებულ ქალაქში. დღეს ჩემს ქალიშვილთან ერთად ესეირნობდი პარიზის ქუჩებში, ერთი რა არის, ერთი ნაცნობიც არ შეგვხვდებოდა, არც არავის მო-

უქცევია ჩემთვის ყურადღება, და გული მომიკვდა. მე, ეკატერინეს, ჩენს ქვეყანაში, ჩემს ზუგდიდსა და თბილისში, თვით პეტერბურგშიც პატივისცემლებით ასე განებეზრებულს, ისე არ გამიგვლია, რომ უამრავი ნაცნობებისა და მეგობრების თვალთა მხერგას არ გავეცილებინე. მე ნამდვილი დედოფალი ვიყავი ჩემს ქვეყანაში. ახლა კი აქ, ჩემი ტოლი და სწორი არავინ შეგულება, ისე დავდივარ, როგორც მარტორქა. დავაბიჯებ ახლა პარიზის ქუჩებში და არც არავინ მიმხერს, არც არავის ვაინტერესებ. არა, უცნაური ქალაქია მაინც ეს პარიზი. ასე მგონია, ტიტველმა რომ გაიარო, მაინც არ შემოგხედავენ, არაფრად ჩაგთვლიან, რადგან ასეთი გიყვებიც ბევრნი უნახავს პარიზის ქუჩებს და არც არაფერი უკვირთ აქ“.

ახლა ის უნდოდა მიეწერა, რომ ესპანელი ელჩი პარიზსაც გამოევიდა და ისევე ხელსა სთხოვს, მაგრამ თავი შეიკავა და სულ სხვა დაწერა:

„ახლა ზუგდიდში და გორდში ყველაფერი ჰყვავის და ხარობს. ერთგან და მეორეგანაც ჩემი ბაღები მეძაბის მე, მათთვის დაბადებულს და მათთვის გახარებულს. მე კი აქ ოთხკედელშუა გამომწყვდეული ვოხრავ და ვკვნისი. მოვთქვამ და ვწყველი ყველას, ყველას, ვინც მე ასე დამჩაგრა და მძაძულა დამეტოვებინა ჩემი ბაღი და მამული. გული ჩემი კვნისის და ოხრავს და საშველი არსაიდან ჩანს! ნეტავ სწავლა მალე მაინც დაამთავრონ ჩემმა შვილებმა, ნიკო ახლა უნივერსიტეტს ამთავრებს, ანდრო მომდევნო კურსზეა, სალომე ვაისად ინსტიტუტს დაამთავრებს და, ალბათ, იმ წლის ბოლოს გამოვწყევ ჩემს ქვეყანაში. მე მჯერა, რომ ისევე გაიხარებს ჩემი გული მამულის ხალკით. ვითვლი, ვითვლი წუთებს ამ ბედნიერი დროის მოლოდინში.“

მე ახლა პარიზში ვივრძენი, რომ ყოველივე ცდა ადამიანისა იყოს პირველი ამ ქვეყანაზე, ამათ ყოფილა, დიან, შენ შეგიძლია იყო შენს ოჯახში პირველი, შენს სამთავროში, შენს სახელმწიფოში,

მაგრამ მოსცილდები თუ არა ამ დედოფლებს და სხვას შეეხებნებოდა, ანუ უნდა იყო ერთბაშად გაქრება, თუ არა შენს მიწას დიდება შენს მიწას ეფუძნება და სხვაგან ვერასოდეს ვერ ჰპოვებ მის საფასურს, თუნდაც მკაცრობელიც გახდეს სხვა ქვეყნებისა. შენს სახელს, შენდამი გულისტყვივალს, შენს პატივისცემას, გულწრფელს და ნამდვილს, მხოლოდ შენი მამული თუ შეინახავს. სხვა კი, სანამ ძალა გაქვს და ხმალი ხელთ გიჭირავს, გემორჩილება, ოლონდ, საკმარი სია დაკარგო ძლიერება და, ოქროში რომ გყავდეს ჩასმული და მისთვის თავი რომ გქონდეს შეწირული, შენზე ვინებით გულს იყვრებს და მტრად გამოგაცხადებს.

უცხოელი ვერასოდეს გაიხარებს სხვა ქვეყანაში. უცხო ქვეყანა მას გამოიყენებს, ბროწეულივით გამოსწურავს წვენს, კაცს, რომელმაც თავისი ჭკუა და გონიერება სხვა ქვეყანას დაუთმო, იმ ბროწეულის ბედი მოელის. აი, როგორი ფიქრები მიპყრობს მე, ჩემო მანანა, როდესაც ამ წერაღს გწერ.

ჩემს შვილს, ჩემს ნიკოს, როცა უნივერსიტეტს დაამთავრებს, საფრანგეთის იმპერატორმა დიდი ადგილი შესთავაზა. მილოცავენ ამ დიდ ბედნიერებას, მაგრამ მე უარზე ვარ. გული მეუბნება, რომ ნიკო ნამდვილი ბედნიერი მხოლოდ საქართველოში იქნება, ბედნიერი მაშინ იქნება, თუ ისევე დაიბრუნა თავისი სამთავრო, თუ თავისი ნიჭი და გონიერება თავისი სამშობლოს ძლიერებას და განმტკიცებას მოახმარა. ამიტომ მე ისევე იმ აზრისა ვარ, პეტერბურგში გეახლო იმპერატორს და გამოვთხოვო კვლავ დავიბრუნოს ჩვენი მამული. ჩვენი სამთავრო... ჩემო მანანა! ნუ დაიხარებ და მომწერე წირილი.“

ეკატერინეს პარიზში ბავშვების მასწავლებლად თან წაყვანა ის ფრანგი ქალი, რომელიც პეტერბურგში ჰყავდა. ადრე იგი პეტერბურგში პარიზიდან ვიღაც გენერალს ჩამოიყვანა ბავშვების აღსაზრდილად. გენერლის ბავშვები რომ დაიხარდნენ, ენა პარიზს აბიჯებდა

თერზე გაბრუნებას, სწორედ ამ დროს მოუყვანეს იგი დედოფალს. ახლა დადიანების ოჯახის გამგზავრება პარიზს ყველაზე უფრო ენას გაუხარდა.

ქანა, მაღალი, ჭოროღლიანი, მაგრამ ლამაზი და სანდომიანი ქალი, ვნებიანი და თავისი საქციელით გამოწვევი იყო. როდესაც თევდორე პეტერბურგიდან მოსკოვს გამოისტუმრა ეკატერინემ, მღვდელს ყველაზე უფრო გული იმის გამო დასწყდა, რომ ქანა, რომელიც ასე ვატყობთ მოსწონდა და რომელთანაც მთელ დღეებს ატარებდა, იქ პეტერბურგში უნდა დაეტოვებინა.

ქანა ფრანგულს ასწავლიდა დედოფლის ბავშვებს, თევდორე — ქართულს, და ხშირად მათ გაკვეთილების გადაცემა ერთად უხდებოდათ. მორცხვი თევდორე მღვდელი ჯერ თვალს ვერ უსწორებდა ამ ფრანგ ქალს, მერე კი იგი შეეჩვიო, რომ უფროსად ველარა სძლებდა. მაგრამ ისე წარმართა მთელი მათი ცხოვრება, რომ, სიტყვა რა არის, ერთი სასიყვარულო სიტყვაც ვერ გაუბედა თევდორემ. მერე თევდორე სამეგრელოში გამოისტუმრეს. ქანა თან წაიყვანა საფრანგეთს ეკატერინემ, მაგრამ აი, მღვდელს ისევე გაუღიმა ბედმა: ეკატერინემ იგი საფრანგეთში გაიწვია ბავშვებისათვის ქართლის მასწავლებლად.

თევდორე უკვე ცოლშვილს მოჰკიდებოდა და დაევიწყებული ჰქონდა ქანას არსებობა, მაგრამ პარიზში დაბრუნებისას წვერმოშვებულ მღვდელს ისე გადაეხვია ქანა, ისე გაუშინაურდა, რომ ძველი ჭრილობა კვლავ განუახლა ამ ანაფორიან კაცს. ახლა კი ორ ცეცხლს შუა იყო თევდორე: სამეგრელოში დატოვებული ცოლი და ოჯახი და პარიზში განახლებული საყვარული. ეს ორი ცეცხლი სწავდა მის გულს და აღარ იცოდა, რომელი ერჩია.

...თევდორე ხოშტარია ეკატერინეს პირადი მდივანი იყო, მარტვილის სასულიერო სასწავლებლის ჭურისის დამთავრების შემდეგ, იგი დადიანების სასახლეში მიიყვანა მამამისმა. თევდორეს მამა უკვე მღვდლად იყო ნაყრობი.

მღვდლობის, ბლადონინობის და დეკანოზობის სამსახურში ნამუშევრად მომტარია დადიანების კარზე წარუგდეს მხლებული.

თევდორე დადიანების ქართულ კანცელარიაში მუშაობდა გადაწყვიტად, შემდეგ ისე გაიწვია ამ საქმეში, რომ ეკატერინე მას აწერიებდა ოფიციალურად მიმოწერის ქაღალდებს. დაიხლოვა, გაიცნო ეს ახალგაზრდა კაცი და ისე მოეწონა, რომ შემდეგ ბავშვების მასწავლებლადაც აირჩია და თან წაიყვანა პეტერბურგში. იქ ორი წელი დაჰყო თევდორემ და ბევრი რამ ნახა, ბევრი რამ გაიცნო. იქვე გაიცნო საქართველოში გამოგზავნილი ახალი ეგზარხოსი ვესევი, და სთხოვა აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით უსამართლოდ გადაყენებული მამამისი კვლავ აღედგინათ დეკანოზად. ეგზარხოსმა შეუპოვებულა ეს თხოვნა. როცა დედოფლის უმცროსი ქალიშვილი თამარი, მარტვილში წამოასვენეს, თევდორე თან წამოჰყვა იმ მცირე ამაღას, რომელსაც დადიანების ასულის ცხედარი მოჰქონდა. მას შემდეგ თევდორე სამეგრელოში დარჩა, ეკატერინე თავისი შვილებით პარიზს წავიდა.

ჩასვლის დღესვე მღვდელს ხელი ჩაეღო ქანამ და მთელი პარიზი შემოატარა. რა არ უამბო, რა არ გააცნო მოღუშულ მღვდელს. ბოლოს, მღვდელიც თანდათან ქალის ნებას დაჰყვა და ვახლისდა. რაღაც უჩვეულო გრძობა დაეუფლა. ახლა კი სურდა მთელი დღე ქანასთან ყოფილიყო განუყრელად. ეინამ მოსვენება წაართვა ერთგულ ღვთისმსახურს. თევდორე მღვდელმა დაკარგა სიმშვიდე სულისა.

ქანა არ მოეშვა მღვდელს, ნათესავთნ მიიყვანა და თავის საქმროდ წარუდგინა. მღვდელი მთლად დაიბნა, რაღაც ღმუილივით ხმა გაიღო, თვითონაც არ იცოდა. რა ეთქვა, თანხმობა, თუ უარი. ქანა კი ისე ექცეოდა, როგორც ნამდვილ საქმროს...

ნათესავმა ქალმა ქანას წასჩურჩულა, შენი საქმრო კაი კაცი ჩანს, ახალგაზრდაც არის და ლამაზიც, ოღონდ ჩემს

მაგივრად ურჩივ წვერი მოიპარსოსო, აქაურ მღვდლებს არც ასეთი მოშვებულ წვერები აქვთ და არც ასეთი ანაფორები აცვიათო. იმ საღამოს ქანას ნათესავეებმა მთლად გადარიეს თევდორე. აქ კიდევ ვიღაც ორი ახალგაზრდა იყო: ქალი და ვაჟი. ცოტა რომ შეთვრნენ ჩვენებური ოჯალეშის მსგავსი ღვინით, გამხიარულებული სტუმრები რას არ სჩადიოდნენს ჭერ ყველაფერი ეს ეუცხოებოდა მღვდელს, მაგრამ მერე აპყვა საერთო ტალღას და ყველას გაადაქარბა საქციელით.

ქანა და მღვდელი შინ გვიან დაბრუნდნენ. გზად რომ მოდიოდნენ, ქანამ ვერ მოითმინა და ასე უთხრა, რა მშვენიერი იყავი პეტერბურგში წვერმოპარსულა, ასე რათ მოვიშვია ეს წვერიო.

— პეტერბურგში სხვა იყო, მე უბრალო მდივანი ვიყავი დედოფლისა, მერე კი მღვდლად ვეკურთხე და ჩვენებურად წვერიც მოვუშვით, — უმასუბა თევდორემ.

— მღვდლები ჩვენში ცოტანი როდი არიან, მაგრამ, აბა, ვისა აქვს ასეთი თმა, ვის აცვია ასეთი ანაფორა? ტყვიდან გამოვარდნილ ბანჯგელიან დათვს დამგვანებიხარ. გუშინ რომ გაკოცე, იმის შედეგ მთელი სახე შეწვის. თუ ჩემთან მეგობრობა გაურს, ხვალვე მოიპარსე ეს წვერი. აბა, შეხედე თვით ყურებში ჩავსვლია ეს ჯაგარი.

და ქანა ხელით წვერს წაეპოტინა. თევდორეს ეწყინა, შეუტრაცხოფად მიიღო და იმავე საღამოს გადაწყვიტა არასოდეს შეხვედროდა ამ პეტეჩარა ქალს.

მეორე დღეს მღვდელს, მართლაც, შინიდან ფეხი არ გამოუდგამს. საღამო ხანს კი თავათ მოაკითხა ფრანგმა ქალ-

მა. იგი ოთახში დაუკითხავად შევიდა. შილიფად ჩაცმული თევდორე, ყოველნე წამოწოლილიყო. შეცვლილყოფა წამოდგამა დააპირა, მაგრამ ქანამ არ დააცალა, მიეჭრა ლოგინზე წამოწოლილ თევდორეს და დაეკონა. ამან მთლად აღრია დავთარი მღვდელს. მერე ბინდი გადაეკრა თვალზე და თვითონაც ვერ გაიგო, რა მძლავრად მოჰხვია ღონიერი მკლავები ქანას...

ის დღე და ის დღე, თევდორე არ მოსცილებია ფრანგ ქალს.

მეორე დღესვე წვერი კოხტად დაიყენა, ანაფორა გაიხადა და კოსტუმში ჩაიცვა. გამოეწყო და გამოიპარანქა.

როცა თევდორე ეკატერინეს ასე გამოეცხადა, დედოფალს ჭერ გაუკვირდა, მერე კი ეამა:

— კარგად მოქცეულხარ, ჩემო თევდორე. აბა, აქ ვის აცვია ჩვენებური ანაფორა, ვისა აქვს წვერი.

მოფერებამ გაათამამა მღვდელი. ამით გახალისებული თევდორე ცას ეწვია. დღე და ღამე ქანასთან ერთად დაეხეტებოდა პარიზის ქუჩებში.

თევდორეს ბედნიერებას დიდი დღე არ ეწერა. ქანას მოსწყინდა მღვდელი და ერთ მშვენიერ დღეს უთხრა:

— ახლა კი კმარა. შენ შენი გზით და მე ჩემი გზით! დღეიდან ნუ მიგულებ შენს მეგობრად...

ამას არ მოელოდა თევდორე, დაიბნა, თან შერცხვა თავისი თავისა. თევდორე დაინტერესდა, ვისზე გაცვალა ქანამ. დაინტერესდა, მაგრამ ვერსად მიაკვლია გზას და კვალს. მერე ხელი ჩაიქნია. ყველაფერი, რაც აქამდე მოხდა, ეშმაკის საქმედ ჩათვალა და თავის პატარა ოთახში გამოიკეტა.

თევდორემ გადაწყვიტა დღიურების წერას შესდგომოდა.

თევდორე ხოხტარის დღიურები

8 მარტი. 2 თებერვალს 1863 წლისას დილით თავყანი ვეცი სუჭუნის წმინდა მთავარ მონასტერს და გიორგის ტაძარ-

ში მხურვალე ლოცვითა და ვედრებით შევთხოვე იესო ქრისტეს მშვიდობით მგზავრობა და დაბრუნება. დილის 5

საათზე პატარა მდინარე ცუდღარში ჩა-
ვყექი ჩემთვის გამზადებულ ნავში და
ორი მენავის თანხლებით ფოთში გამო-
ვემგზავრე. ფოთიდან გემით ბათუმში
ჩავდი. აქედან კი გემ „ალექსანდრიით“
მეთხოვეტე დღეს სტამბოლში ამო-
ყავი თავი. აქ, სტამბოლის ქუჩებში, შე-
მთხვევით შევხვდი ჩემს ნაცნობს, ჩვე-
ნებურ ქუთათურ კათოლიკეს — ლუკა
ფრანგს. ეს ლუკა წინათ სუჯუნასა და
სენაკში ვაჭრობდა და იქ გავიცანი.
ახლა აქ მმასავით მიმიღო. სტამბოლში
ერთი სომხის სახლში იდგა, მეც იქ და-
მავყენა, მთელი კვირა მაჭამა და მასვა.
მერე ბილეთიც ამიღო და სტამბოლი-
დან ავსტრიის გემით ვენაში გამოვემგ-
ზავრე. გზად ერთი ბანქელი ებრაელი
ამეკიდა. ამ ებრაელს დაუბაძავი თუ-
თუნი წამოეღო, გზაში გაჩხრიკეს, ეს
თუთუნიც წაართვეს და დაჭარიმეს კი-
დეც. ჯ. ვენაში ზუთი დღე დავყავი. აქ
თბილისელი სომეხი გაბრიელ ავეტო-
სოვი გავიცანი. დიდი პატივისცემით
მომეჭკა. ვენიდან პარიზამდე მატარებ-
ლით ვიმგზავრე. გზად ერთი რუსი ვა-
ციცანი, რომელსაც ცნობილი რუსი
მსახიობი ახლდა. მათი მეოხებით ადგი-
ლად მივაგენი პარიზში ეკატერინეს
სასტუმროს...

12 მარტი. უკვე ათი დღეა, რაც პა-
რიზში ვარ. აქ ყველანი კარგად დამხვ-
დნენ. ეკატერინემ დიდად გაიხარა ჩემი
ჩასვლით. როგორც ახლობელს, ისე
გადამეხვია და ვადამკიცნა. შვილები
ხომ მთლად გადაირივნენ ჩემი ნახვით.

ეკატერინე რომ ნახოთ, ისევე ის ეკა-
ტერინეა, მთვარესავით. სავსე და ღამა-
ზი, არა, ღამაზი ცოტაა — უღამაზესი.
პეტერბურგში მას, როგორც სალოცავ
ხატს, ისე შევეყურებდი. თუმცა მისგან
ერთი საალერსო სიტყვაც კი არ მახსოვს
და ახლა კი გამოიკვირდა, ასე რომ მომეჭ-
კა. უბრალოდ ხელი კი არ ჩამომართვა,
გადამეხვია, მერე ეკატერინეს კვლობა-
ზე, ის ფრანგი ქალიც ვადამეხვია. ო, რა
სურნელება ასდიოდა მათს სახესა და ბა-
გეს, ფრანგული ნელსაცხებლის სურნე-
ლება! არა, ქალი ვარო, ეკატერინემ უნ-

და თქვას, მაგრამ ეს წყევლი ფრანგის
ქალიც რომ ღამაზია! უფრო მეტი
გამომწვევი, რომ მის ზნეობას ცნობა-
ველარ გავუძელი. თუმცა მე ახლა მღე-
დელი ვარ და ცოდვად ჩამეთვლება ამ-
გვარი რამე, მაგრამ სულზე უტყებესია
ყოველივე ის, რაც ღამაზი ქალის სი-
ყვარულს მოსდევს... ამ ეშმაკმა ფრანგ-
მა ქალმა ისე მომწუსხა, ისე დამიმო-
ჩილა, რომ მეც ავეკიდე, მე, უბედურ
და სულელი. დავივიწყე ღმერთიც, ისიც
დავივიწყე. რომ მღვდელი ვარ და არ
შემშვენის ამგვარი აცუცურება. მაგ-
რამ ეშმაკის წინაშე რას ვახდებ ვინმე
და მეც ამიყოლია ამ წყევლმა ფრანგმა!
მერე ბროწეულივით გამომწურა და
ქუჩაში გადამისროლა. ახლა ახლოც
ალარ მიკარებს. ვზივარ ამ ოთახში და
ვწერ ამ სტრიქონებს. ალბათ, არასო-
დეს არ ავიღებდი კალამს, ამ ფრანგ
ქალს რომ არ შევეცდინე...

14 მარტი. ეკატერინემ პატარა ოთახი
დამითმო. ოთახში ერთი საწოლი ლო-
გინია და მაგიდა. ვზივარ ჩემთვის მარ-
ტო, ვზივარ დაღონებული და დაფიქ-
რებული, სატრფოსაგან მიტოვებულა,
ეკატერინესაგან უყურადღებოდ განაპი-
რებული და ვერ გამოვიცა, რატომ და
რისთვის ვარ ახლა პარიზში, ვის ვკირ-
დები და რა უნდა ვაკეთო აქ. ეკატერი-
ნე ასე ამბობს, მართლმადიდებლების
რუსულ ეკლესიაში სიარული მომბუზრ-
და, ქართულად ლოცვანი მომენატრაო.
და მე ახლა ვუკითხავ ამ ლოცვანს ეკა-
ტერინეს, როცა მოესურვება ხოლმე.
სხვა დროს კი ვწერ ამ სტრიქონებს და
თან ვატან ჩემი გულის სევდას, — ჩემი
სულის ზრახვებს. ალბათ, ჩემი სიკვდი-
ლის შემდეგ ვინმე ნახავს და მოოცი-
თხავს, რა ფიქრები და განცდები მჭუ-
ხებდა აქ, უცხოეთში გადმოხვეწილ
თევდორე ზოშტარიას...

ჩემს ოთახს პატარა სარკმელი აქვს.
იგი პეტრე პირველის ქუჩაზე ვადის.
არა, ეს ჩვენი პეტრე პირველი კი არ
არის, რუსეთის იმპერატორი, თურმე
სურბიელი პეტრე პირველიც ყოფილ.
ეს კი. ჭერჭერობით, ვერ გავიგე, რა

ხარისხისა და ღვაწლისა იყო ეს კაცი, რომ ასეთი მთავარი ქუჩისთვის მისი სახელი მიუკუთვნებიათ. ლარვიით სწორი, გრძელი და დიდი ეს ქუჩა უკვე სამჯერ შემოვიარე. არა, მაინც როგორ არის, რომ ყველა სახლი ერთი ზომისაა, ერთი სიგრძისა და სიგანისა, ერთი ფერისა და აგებულებისა! ყველა სახლი შევიდსართულიანია, რა გვევით, რა შრომით, რა წვალეებით აშენებულნი! მაგრამ ერთი რამ არ მომეწონა: ამ შესანიშნავ ქუჩაზე. სწორედ ჩემი სახლის წინ, ერთი სახლია. არ ვიცი, ჩვენებურად რა ჰქვია ამ სახლს. ამ სახლის წინ კაცი დგას და ყველას, გამვლელსა და გამომვლელს რაღაცას ანიშნებს. მეც გავჩერდი ამ სახლის წინ და იქითკენ მივიხედე, საითაც ეს კაცი გვანიშნებდა. რაღაც უცნაური რამ ვნახე, თვალს ვერ დავუჭერე და მიტომაც ვერ აღვწერ ამას, სანამ ერთხელ კიდევ არ დავრწმუნდები და არ შევამოწმებ ყველაფერს, რაც ჩემმა თვალეებმა ნახა.

გუშინ მთელი დღე ვხეტიალობდი ისევ ამ ქუჩაზე. თურმე დედოფალს მოვეკითხე. საღამოს დამიბარა და გამაჯავრდა, მთელი დღე ჩემ უკითხავად რატომ დადიხარო.

15 მარტი. გუშინ მთელი დღე შინ ვიყავი. ბავშვებიც შინ იყვნენ. ახლა ესენი უკვე დიდები არიან. აქ დადიანებს ნამდვილი სალონი აქვთ გამართული, და ვინ არ აკითხავს მათ: ბიჭები. ქალიშვილები... დიდი ნაცნობობა და მიმოსვლა აქვთ. მე ყველა მათგანს ვაკვირდები, მარცხს და მარჯვრებს მათი თავისუფალი საქციელი, მაგრამ ვერაფერი მოთქვამს. როგორც ჩანს, აქ ცხოვრების სხვა წესია, სხვა ზნე და ჩვეულება. ვნახოთ, ამასაც გავიგებთ.

16 მარტი. გუშინ ეკატერინესთან სახელგანთქმული ქალი მადამ კორსაკოვა მოვიდა. მადამ კორსაკოვა საზოგადოების მაღალ წრეს ეკუთვნის. პეტერბურგში ყველას თავბრუს ახვევდა. ახლა აქაც ეკატერინესთან ერთად ისევ არ გაივლის, რომ ორი და სამი თაყვანისმცემელი არ ახლდეს. რომ შევედი

და ამ ორ, უკვე ასაკში შესულ მადონას ვუყურებდი, ვერ დამეფიქრებოდა უკეთესი იყო, ქერა რუსული თმისა საკოვა, თუ ჩვენებური. სორბლისფერი ეკატერინე. ორივეს თავისებური სილამაზე აქვს და ვერ მოთქვამს, მათში რომელი სჯობს. გუშინ ისე ვაცქერდებოდი მათ, რომ კიდევ შემამჩნიეს ეს და ისე ეშმაკურად გაიციინეს, რომ ნამდვილად დამციინოდნენ. რა გქნა, ასე ყოფილა ბედი ჩემი. მე ხომ მათ თვალში მამაკაცი კი არა, მღვდელი ვარ, მღვდელი, რომელსაც უფლება წართმეული აქვს, უფლება ამ ქვეყნიურ ცხოვრების სიამტკბილობისა... მე მაინც ვერ ვძლიე თავსა და ისევ ქვემოდან ავხედე ჩემათ ორივეს. ისევ შეამჩნიეს ეს ფარული გამოხედვა და ახლა კი უკვე ხმამაღლა გადაიკისკისეს. კორსაკოვას ქალმა ეკატერინეს უთხრა. უყურე ამ მღვდელს, მგონი, არა ხუმრობსო. მე გავქვევდი, თავი დავხარე და ასე ვიდუქი, ვიდრე ეკატერინემ არ მიბრძანა და რაღაც წერილის დაწერა არ დამავალა. ძლივს გამოვალწიე იმ ოთახიდან. ახლაც მივირის ეს რა მემართება ამ პარიზში.

17 მარტი. დღეს დედოფალმა რუსეთის საელჩო ეკლესიაში წამოიყვანა. ეტლში სამწი ვისხედით: დედოფალი, მადამ კორსაკოვა და მე. გზად მიხსნიდა ეკატერინე: ეს ლუვრია, ეს ნაპოლეონის ძეგლი და მოედანი, ეს წმინდა მარიამ მაგდალინელის ეკლესია; ეს კიდევ. იქით, შორს რომ მოჩანს, ნოტრ-დამიაო. ჩემთვის ყველა ეს სიტყვები ნაცნობი იყო, მაგრამ ეს ადგილები — უცნობი. მართლმადიდებელთა ეკლესიაში ცოტა ხალხი იყო. განთქმული მწიგნობარი მღვდელმთავარი ვლასოვი სწირავდა. ჩვენებურ მართლმადიდებელურ ეკლესიაში ეს გავიანურებული ლოცვანი ძლივს მოვისმინე, რადგან უფუნებოდ ვიყავი და დაღონებული.

17 მარტი. გუშინ, დილით ადრე, ნიკომ წამოიყვანა სასეიჩროდ. ლუვრის ახლო ჰიშკართან დამაყენა, აქედან ახლა იმპერატორი ნაპოლეონ შესაძე

გამოვა, და ვუყუროთო. მართლაც, სრული 10 საათი იქნებოდა, როდესაც ლუვრის მარჯვენა კიშკრიდან იმპერატორი ნაპოლეონ მესამე თავისი შემკვიდრით გამოვიდა. კარეტაში ჩასდნენ. კარეტას, ორივე მხრიდან ასამდი ცხენოსანი ჯარისკაცი აედევნა. მიჭროდა კარეტა, და მისდევდნენ ათხებულ ჯარისკაცები. ნაპოლეონ მესამე მორჩილი ტანისა ყოფილა, მორჩილი და ბურთივით მრგვალი. შინ დაბრუნებულმა სურათს რომ დავხედე, ნამდვილად ისეთია, როგორც სურათშია გამოხატული...

პარიზის ქუჩებში უამრავი, ათასი ჯურის ხალხი ირეოდა. ყველას თავისი საქმე და საზრუნავი ჰქონდა. ყველა ჩქარი ნაბიჯით მიიბიჯებდა და ვერავის ამჩნევდა. თევდორე მღვდელი კი ყოველთვის ნელა დადიოდა, არც რამ საქმე ჰქონდა და არც სადმე მიეჩქარებოდა. ამიტომაც ყოველ გამვლელს გულმოდგინედ აკვირდებოდა, თითქოს ნაცნობს დაემბნო ამ მიღეთ ხალხში. ქუჩაში გავლისას ყოველთვის ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ათასჯერ გველოს და ენასოს ეს სახლები და ამ მოფუსფუსე ადამიანები. ეს ქუჩა და ეს ხალხი მისთვის ახლობელი იყო. უკვირდა, ასე შინაურად რომ გრძნობდა თავს ამ დიდსა და, მართლაც, გასაოცარ ქალაქში. იმ დღეს კი სულ სხვა-ნაირად დატრიალდა საქმე. ახლა პარიზში ნახულ სხვა საოცრებებს ეს ეშმაკის სახლიც მიემატა. ამ მოუსვენარ მღვდელს ყველაზე უფრო ამ სახლის საიდუმლოება აწვალებდა. ახლაც, ამ ფიქრებით გატაცებული, ვერავის ამჩნევდა ამ მიღეთ ხალხში, გაოგნებული მიდიოდა და უაზროდ აცეცებდა თვალებს.

* * *

თევდორე მთელი დღე შინ იჯდა. დედოფალი კვირაში ერთხელ თუ დააწერიებდა სადმე გასაგზავნ წერილს, თუმცა თვითელი ამ ბარათის დაწერას დიდი დრო უნდოდა: ერთი სამჯერ მაინც გადააწერიებდა, ხან რომელიმე

სიტყვას გაუსწორებდა, ხან მთელ წერილს დაუწუნებდა. თევდორე უსწონდა კიდევ, მაგრამ, აბა, ვინაა ვინაა შემთხვევებიც იყო, როცა ეკატერინეს წერილი არ მოეწონებოდა. თვითონ დასწერდა და თევდორეს ეტყოდა, აი როგორ უნდა დაიწეროს ბარათით.

თევდორე, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა დედოფლის გემოვნებას და უფრო და უფრო კარგად ახერხებდა წერილის დაწერას. ისეთი ლამაზი ხელი ჰქონდა, რომ ყოველი ასო დახატულს ჰგავდა.

ეს იყო და ეს. პარიზში თევდორეს სხვა საქმე არა ჰქონდა, და ამიტომ თავისუფალი დრო ბევრი რჩებოდა. მოცილობისას ხან კითხულობდა, ხან ბარათებსა და დღიურებს წერდა. მეტ დროს კი ქუჩაში ხეტიალს ანდომებდა. მაშინ კი, როცა შინ იყო, დაეყრდნობოდა ფანჯრის რაფას და იყურებოდა. სად? ვინ იცის, სად არა! ხან ცას შესცქეროდა, პარიზის ცას თბილისის ცას ადარებდა, ხან ქუჩაში მიმავალ ხალხს აკვირდებოდა. მეტ ხანს კი იმ „ეშმაკების სახლს“ აცქერდებოდა. ყველას იცნობდა, ვინც იმ სახლში შედიოდა.

თევდორეს სწყინდა, რომ „ეშმაკების სახლში“ ორჯერ ნიკოსაც მოჰკრა თვალი. კინაღამ იყვირა, ხელიც კი დაუქნია, არა ქნა, არა ქნაო. მაგრამ ნიკოს შეწუხებული მღვდელი არც შეუნიშნავს. მას შემდეგ უფრო იმეტირებდა იმ „ეშმაკების სახლს“, რომ თვალყური ედევნებია ნიკოსათვის. მაგრამ მისთვის არაფერი უკრთხავს, არც უგრძობობები. მღვდელმა ყველაფერი საიდუმლოდ შეინახა.

მეორე დღეს ამ „ეშმაკის სახლს“ თევდორე მღვდელმა სულ ახლოს გაუარა. ამ სახლს „ეშმაკების სახლი“ თევდორემ თვითონ დაარქვა. ერთ დღეს დააქებდა და, აი, რას ხედავს მისი თვალები: თხელი ფარდის იქით ნახევრად შიშველი ქალი დგას და ხელს უქნევს გამვლელსა და გამოძველელს. ტანზე გახსნილი კაბა აცვია. ეს ქანდაკებასავით გამოკვეთილი, ამოღებული ქალი წამოსასხამს წარამარა გა-

დასწევს და მთელი ტანი გამოუჩნდება ხოლმე. თევდორემ სწორედ მაშინ ვახედა ფანჯარას, როდესაც ამ ქალმა ბროწეულის ფერი წამოსასხამი გადაიხსნა და მთლად დედიშობილა გამოჩნდა. ვაოცდა მღვდელი. ცნობისმოყვარეობამ სძლია და უფრო დააშტერდა ფარდას, მერე შერცხვა და თვალი დახუჭა. მღვდელმა ვადააფურთხა, ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკსო, და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

— ეს რა ქალაქი ყოფილა! ასე დღისით, მზისით, აშკარად... არა, ეტყობა, მთლად ხელი აუღიათ ნამუსზე. როგორ ყველაფერი ფულით იყიდება ამ ქალაქში! არა, ამ დიდებულ ქალაქს, ნოტრდამის ქალაქს სწორედ რომ არ შეგენის ასეთი რამ. ეშმაკები მოსდებიან ამ ქალაქს!

ასე მიბუტბუტებდა გზად თევდორე მღვდელი და თითქოს თვითონაც სადღაც, გულის კუნჭულში შეპარულ ეშმაკს იგერიებდა. სწორედ ამ დროს ნიკო შემოხვდა. თვალზე ბინდგადაკრულმა მღვდელმა ვერ შენიშნა ქაბუკი, როცა ნიკომ ხმამაღლა დაუძახა, თევდორეო, მღვდელი დაფეთებულავით ზეზე აბტა და დასაკლავად მომზადებული ხარკით, რაღაც უცნაური ხმით დაიბლაღლა.

ნიკო ზედ მიეხალა მღვდელს, ჰკითხა, რა იყო, რა მოვივიდა, რად გაფითრებულხარ. ცუდი ხომ არაფერიიარო. მღვდელი დაიბნა. იფიქრა, ნიკომ თვალი თუ მოჰკრა, „ეშმაკების სახლს“ რომ ვაკვირდებოდიო. მერე ძლივს მოეგო გონს, ხელი ისევ „ეშმაკების სახლისკენ“ გაიშვირა და თქვა: იქ ვიღაც მათხოვარი შემხვდა, ამეკიდა და ფულს მთხოვდა... ნიკოს გაეღიმა. არაფერი უთქვამს, ისე გასცილდა დაბნეულ მღვდელს.

18 მარტი. დილით ადრე დამიბარა დედოფალმა. იწვა. ხელეები ამოღებულნი ჰქონდა, მკერდადგელი იყო. შესვლისას უკან დავიხიე, ბოდინში მოვიხადე. ახლო მიმიხმო. შევხედე და თავბრუს დამეხტა... თვალთ დამიბნელდა. ახ-

ლო მივედი და დედოფალმა მიბრძანა, ლოცვანი წამიკითხო. ექვეყნეფე... და მასსოვს, როგორ ვავშალე... გადაწერილი ლოცვანი. ვკითხულობდა და თვითონაც არ ვიცოდი, რას ვკითხულობდი. ეკატერინე გამიჭავრდა, მღვდელი, რას ბუტბუტებ, არაფერი მესმის შენი წაკითხულისაო. მერე ძლივს მოვედი გონს და დაზეპირებული სიტყვების წაკითხვას შევეუდექი... დაბნეული და გალახული გამოვედი...

არა, რა სულელი ვარ; ეს რა ვიფიქრე, ეს რა გრძნობა დამეუფლა! ოთახში რომ შემოვედი, ხატის წინ დავემხე და დიდხანს ვლოცულობდი.

დღეს შინიდან არ ვავსულვარ. ვზივარ და ვფიქრობ, ვფიქრობ და მე თვითონ არ ვიცი, რა მემართება.

20 მარტი. წუხელ მთელი ღამე გადაულეღლივ წვიმდა. კი არ მეძინა, პირაღმა ვიწეკი და ისევ დედოფალზე ვფიქრობდი. გვიან ჩამეძინა და მეზმანა, თათქოს დედოფალმა მიმიხმო, მომეფერა, თავზე ხელი გადამისვა, რათა ხარ ასეთი დაღვრემილი და დაფიქრებული. ახალგაზრდა კაცი ხარ, რა გაქვს საფიქრებელი და საღარდებელიო. ეს მითხრა და თვალეში ჩამხედა. თვალეში დაეხუტე. შემეშინდა, ჩემი გულისთქმა არ ამოიკითხოს-მეთქი. ის იყო გამომეღვიძა კიდეც. ახლა კი უთუოდ დავიღუპე. თუ დედოფალმა რაიმე შემატყო, გამავდებს აქედან. მე, მღვდელ თევდორე ხოშტარიას. ასე ეშმაკისავან შეცდენილს, ეს რა ფიქრები და გრძნობები მეუფლება. ვწუხვარ და მოვთქვამ, მაგრამ გამკითხავი არსადა სჩანს...

1 აპრილი. გუშინ დედოფალმა ნოტრდამში წამიყვანა. გზად შეგეკითხე, ისააკის ტაძრის ოღენა თუ არის ეს ფრანგების ტაძარი-მეთქი. რას ამბობო, — ვაკვირებით მიპასუხა დედოფალმა, — ხომ ნახე, შედარებაც მიძინელდებო. ვნახე და ვავოცდი-მეთქი! აღამიანის ხელით შექმნილი ასეთი გრანდიოზული და დიდებული არაფერი უნახავს ჩემს თვალებს. მდინარე

სენის მარცხენა ნაპირზე გაშენებული ეს ტაძარი ისე დგას, თითქოს ზეცაში გასაფრენად ემზადებოდეს. შენობას, რომელსაც, მართლაც დიდი ფრთები ამთავრებს, თვალს ვერ აუწყდენ და ვერც გადააწყდენ. დგას და, ასე გგონია, ღმერთს ავედრებს მთელს სამყაროს. რა არ შეუძლია თურმე რწმენასა და შრომას!

ტაძარი სავსე იყო მლოცველებით. აქ ისე კი არ არის, როგორც ჩვენში, მონასტერი თეატრს რომ ჰკავს თავისი მისტიკრიებითა და ცერემონიალით, დარბაზში სკოლის მერხებივით გრძელი სკამები რომ ალაგია, ზოგი მლოცველი რომ ზის და ისე კითხულობს ლოცვას და ზოგი რომ დგას.

ფრანგები კათოლიკეები არიან, ღრმა მორწმუნენი ყოფილან. კათოლიკეები მეწინათაჲ მინახავს სამეგრელოში, ოღონდ ისინი იტალიელები იყვნენ. ისინიც დიდი მორწმუნენი იყვნენ და კათოლიკობის პროპაგანდას იყვნენ გადაყოლილნი. აქ კი უარესი ყოფილა. ტაძარში ქალები მეტნი იყვნენ, ვიდრე მამაკაცები. გასოცარი, ღვთაებრივი სიჩუმე სუფევდა. შემდეგ სიჩუმეს გალობა და მუსიკა სცვლიდა. პარიზი სულ სხვა ქვეყანა ყოფილა, ხოლო ნოტრდამი — ისეთი ტაძარი, რომლის მსგავსი, ალბათ, არც არის დედამიწის ზურგზე.

ისააკისა და ნოტრდამის შემქმნელებს, ალბათ, ღმერთის შთაგონება, რწმენა და სიბრძნე თუ ჰქონდათ ბოძებული! ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არ იქნებოდნენ, რადგან ჩვეულებრივი არაფერია თვით ამ ტაძარში. ყოველივე ამის შემდეგ, მე მოაცხებენ ეს ვილაცა ათეისტები, რომლებიც ირწმუნებიან, არც ღმერთია ამ ქვეყანაზე და არც ბატიო. ეს ყველაფერი ადამიანებმა გამოიგონეს ადამიანების დასამონებლად. მე მათ ვეუბნები: აბა, ეს მორწმუნე ხალხი ურწმუნოებად აქციეთ და მაშინ ნახეთ, რა უბედურება დატრიალდეს ამ ქვეყანაზე! მე გგონია, ურწმუნო ადამიანზე უბედური არავინ არის ამ ქვეყანაზე. მე რომ არაფერი

მწამდეს, ალბათ, ჯერ გავიყუებოდი. მერე კი ტანჯვით მოვკვებოდი და ახლა კი სიხარულით ვკვებები. უფროსი ვეგებები სიკვდილს, რადგან მწამს: ამ ქვეყანაზე არის უფრო დიდებული და უკეთესი რამ, ვიდრე ეს ქვეყანა, და ეს მაძლევს სიმშენვეს სულისა, რომ სიხარულით შევხვდე სიკვდილს. ეს რწმენა რომ არ იყოს, ჩვენ უბრალო პირუტყვი ვიქნებოდით. ურწმუნო ადამიანი პირუტყვია.

ფუი. ფუი, რას ვამბობ ამას! ეს რა დაწერა ჩემმა ხელმა. არა, ღმერთმახი, ვინც ნოტრდამისა და ისააკის ტაძარს ააგო, იმას, ღმერთი რომ არ იყოს, ღმერთიც უნდა გამოეგონებინა, რადგან ღვთის სახელი უნდა დაერქმია იმ საოცრებისათვის, რაც ადამიანის ხელით არის შექმნილი. უღმერთობაა და ურწმუნობა ასეთი რამის შექმნა არ შეუძლიათ. თუმცა რწმენაც არის და რწმენაც! ზოგი სახარებას კითხულობს და ზოგი ყურანსა. ზოგი ალაჲს გაიძახის და ზოგი ღმერთს. აქ კი ყველგან ღმერთია შემქმნელი ყველაფრისა! დიახ, ადამიანს რწმენა უნდა ჰქონდეს ცხოვრებაში. მაგრამ ვაი თუ ამ ათეისტებსაც თავისი ღმერთი ჰყავთ! ნამდვილად ასეთი, ნამდვილად ეყოლებათ იმათაც თავიანთი ღმერთი. თუ მათ ნამდვილად სურთ რამე შექმნას ამ ქვეყანაზე, ისინი ამას მხოლოდ იმ გზით მიიღწევენ, თუ ჩვენი ღმერთის ნაცვლად თავიანთ ღმერთს დაასკუბებენ და იმაზე გვალოცებენ. დიახ, მხოლოდ ლოცვასა და რწმენას შეუძლია აშენოს ქვეყანა!

ურწმუნონო, განვედით ჩემგან, მორწმუნენო, იყავით დამშვიდებული და აკეთეთ საქმენი თქვენნი! რწმენას და მხოლოდ რწმენას შეუძლია მოკვაროს სიმშვიდე ადამიანს და შესძინოს სიმშვიდე ქვეყანას...

3 აპრილი. დღეს ნიკომ და ანდრომ ლუკრის სანახავად წამიყვანეს. ისევ დიდი საოცრების მოწმე ვავხდები. აბა, მე როგორ გავებდავდი იმის აღწერას. რაც იქ ვნახე, მაგრამ ნიკომ და ანდ-

რომ ისე მარტივად მიამბეს ამ სურათებისა და ქანდაკებების ამბავი, რომ ახლა ჩემთვის არ უნდა იყოს ძნელი ამის გამეორება. თუმცა, მაინც ვერ ვბედავ აქწერო ყოველივე, რაც იქ ვნახეთ.

იქვე ქადაგად გადაქცეული გიდი იდგა, რომელიც მიღეთის ხალხს ყველაფერს უხსნიდა. მეც მიწოდდა დამეგდო ყური, მაგრამ ვინ ღამაყადა.

ნიკომ და ანდრომ² ხელი ჩამავლეს და, ჩვენი მეზობელი დათაიას ჯორივით, მთელი დღე მარბენინეს ამ უცნაურ დარბაზებსა და ოთახებში. ღეთის წინაშე არ შევეკოდავ, თუ ვიტყვი, რომ მათი ახსნილიდან და განმარტებულიდან თავში ბევრი არაფერი დამარჩენია. ეს ეგვიპტური ქანდაკებებიო, ეს ბერძნული, ეს შუა საუკუნისაო, ეს იტალიელი მხატვრებისა, ეს ფრანგებისაო, და კიდევ ვინ მოსთვლის, ვინღა არ დაასახელეს!

რომელი ქვეყანა არ ახსენეს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სახელი კი არავის დასცდენია, და ძლიერ მეტყინა გული. მეტსაც ვიტყვი: როცა დედოფალი ვინმე უცხოელს თავის ვინაობას აცნობს, ვერაფრით ვერ აგებინებს, რა ქვეყანაა ეს საქართველო, ან ის სამთავრო, რომელსაც თვითონ განაგებს. თვით რუსთაველსაც მრავალჯერ ახსენებს დედოფალი, იმასაც ამბობს, რომ მე-12 საუკუნეში იგი მთელ მსოფლიოში პირველი პოეტი იყო, მაგრამ უცხოელები იმასაც კითხულობენ, რა ენაზეა თარგმნილი თქვენი რუსთაველიო. მაშინ კი, როცა დედოფალი უცხოელს პირში მიახლის ხოლმე, ჩვენ ბერძნების შემდეგ, პირველი ქრისტიანები ვართ; როდესაც თქვენი წინაპრები ტყეში დაეხეტებოდნენ ჩვენები მონასტრებში ისხდნენ და სახარებას თარგმნიდნენო, — უცხოელები ხმას ვერ იღებენ. თუმცა ბოლოს მაინც შეეკითხებიან ხოლმე დედოფალს, რა ენაზე ლაპარაკობენ საქართველოშიო. ქართულადო, ეტყვის დედოფალი. რომელ ქვეყანაში ლაპარაკობენ კიდევ ამ

ენაზეო, — კვლავ ეკითხებიან უცხოელები. ბასკები, ესპანელები, კომბდნენ ქართულად, ახლა მათაც დავიწყეს ეს ენაო, — უპასუხებს ხოლმე დედოფალი. მეერ უცხოელები კვლავ შეჰბედავენ ხოლმე, თუ ასეა, არც თქვენ ყოფილხართ დიდი ხალხი, რაკი თქვენი ენა ვერავისთვის მოგიხვევიათ თავზეო. დედოფალიც ისევ და ისევ რუსთაველს მომშველიებს და ჩვენს უძველეს ცივილიზაციაზე ჩამოაგდება ხოლმე სიტყვას, მაგრამ ცხარე კამათში მაინც ვერაფერს აჯერებს უცხოელებს... ჩვენმა დედოფალმა მათ ვერც ის გააგებინა თუ სად არის საქართველო, და ვერც ის აუხსნა, თუ რა დიდი კულტურისა და ცივილიზაციის შემქმნელი ერი ვართ ჩვენ. თუ ჩვენს დედოფალს ასე ემართება, აბა, მე რას ვავხდები ამ უცხოელებთან! ამიტომაც არც ვინმე მისმენს და არც ვინმე იღებს ჩემს განმარტებას. თვით ის ფრანგი ქალიც კი, რომელსაც მე ასე მოვწონდი პეტერბურგში, ახლა დამკინის და მეუბნება, ხომ ნახე ჩვენი ქვეყანა, და ამის შემდეგ კიდევ იტყვი, რომ შენი სამეგრელოსთანა კუთხე არსად არისო.

ახლა თვით ეს ფრანგი ქალი თუ მე, რუსთაველის ქვეყნის შვილს, არაფრად მაგდებს, ასე მგონია, ყველაფერი ეს ჩვენი უხეირობის ბრალია. თუ ჩვენმა ქვეყანამ რუსთაველი, იქამად მსოფლიოში ეს პირველი პოეტი, წარმოშვა. თუ ჩემს ქვეყანას დავით აღმაშენებელმა და თამარ მეფემ უდიდესი სულიერი კულტურა და ფიზიკური ძლიერება მიანიჭეს და დაიცვეს, ნუთუ ჩვენ არ უნდა შეგვეძლოს საქვეყნოდ გამოვაფინოთ, მოვუაროთ ამ კულტურას, ამ ქვეყანას, რომ აღარ გვეკითხებოდნენ უცხოელნი, სად არის საქართველო, რა ენაზე ლაპარაკობენ ამ ქვეყანაში, ვინ არიან ქართველებიო... ჩვენ რომ უხეირონი არ ვყოფილიყავით, თავათ შემოგვესეოდნენ უცხოელები, დასწერდნენ წიგნებს და გამოკვლე-

ვებს და მთელ ქვეყანას მოჰყენდნენ საქართველოს სახელს.

4 აპრილი. ენას გამო ახლა ყოველი ფრანგი ქალი ჭირის დღესავით მძულს და ახლო არ ვეკარები. მაგრამ ეგებ ენა აქ არაფერ შუაშია.

მე მგონია, ეკატერინე დედოფალმა უფრო ამიფორიაჟა სული. ეკატერინე ახლა ჩემი სალოცავი ხატია, დიან, სალოცავი ხატი! მე, მისმა მონამ, ახლა მხოლოდ მისთვის უნდა ვილოცო. მკერამ, რაც უფრო ვაკვირდები მას, როგორც სალოცავ ხატს, მით უფრო სხვა გრძნობები მიპყრობს. პეტერბურგში ასე არ ვიყავი, და ახლა რა შემართება, არ ვიცი.

ქუჩაში რომ მიდის, ეკატერინეს ჩუმიად უთვალთვალევენ. დედოფალი მაინც ბედს ემდურის. გუშინ მითხრა: აქ, ჩემო თევდორე, ის აღარ ვარ, რაც პეტერბურგში ვიყავი. იქ ჩემთვის ლოცულობდნენ, აქ კი ისე გავივლი ქუჩაში, თითქოს არაფერი მომხდარიყო. მე მივუხე: არა, ჩემო დედოფალო, აქაც ისეთივე დედოფალი ბრძანდებით, როგორც საქართველოში და პეტერბურგში იყავით-მეთქი... ეს ვუთხარი და... თვითონაც არ ვიცი, რატომ და რისთვის!

გუშინ ქუჩაში ვიღაც რუსი კაცი აგვეკიდა. ჩინებულად ეცვა, ეტყობოდა, ვიღაც დიდი თავადიშვილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცოტა გადაკრული იყო. წინ გადაეღობა და გამოეცნაურა დედოფალს. ეკატერინემ ზრდილობიანად დაუკრა თავი, ყურადღება არ მიაქცია და ისევ განაგრძო გზა. უცნობი არ მოგვეშვა და უკან მოგვედგა. მე ამით ვისარგებლე და ეკატერინეს ვუთხარი: „აი, ჩემო დედოფალო, ხომ ხედავთ!“ დედოფალმა გამიღიმა. ო, რა იყო ეს ღიმილი და ეს გამობეჭვა! იმ დამეს არ დამეძინა. ეს ოხერი გული მაინც სხვა ყოფილა, გული ისე მიმორჩილებს, თითქოს ეკატერინე ჩემთვის, ისეთივე ქალი იყოს, როგორც ყველა სხვა, აი, თუნდაც ის ფრანგი ქალი, ეპ, ჩემთვის მიუწვდომელი ოცნებაა ეს ყოველივე.

გულში უნდა ჩავიშარო გულშეწოდის სევდა, პარიზის ქუჩებზე ახლა ასე მძიმედ რომ დავათრეველნიყენა

15 აპრილი. სამუდამოდ, სამუდამოდ უნდა მოვიცილო ეს აკვიატებული ფიქრები, ეს ეშმაკის ფიქრები! მე, მონა, რა ნება მაქვს ასე ვიფიქრო ჩემი სალოცავი ხატის წინაშე! განვედით ჩემგან, ჩემო ბინძურო ფიქრებო, ღმერთო, დამიცავ მე ცდუნებისაგან და მაპატიე ცოდვანი ჩემნი...

18 აპრილი. დღეს ადრე ავდექი, ეკატერინემ დამიბარა. შევედი. იგი უკვე ამდგარიყო. მორთული, მოკაზმული დამხვდა. მომესალმა, გვერდით დამისვა და პეტერბურგში გასაგზავნი წერილი მიკარნახა. დედოფალი მშირად ჩერდებოდა, ფიქრობდა, მე ამით ესარგებლობდი და თვალეში შევეყურებდი, შევეყურებდი და ვტყებობდი მისი ცქერით. დედოფალი კი უსიამოვნო ფიქრებს წაეღო. ახლა იგი დიმიტრი ყიფიანს სწერდა წერილს თავისი მამულის თაობაზე. უკმაყოფილო და გაბრაზებულა, მკაცრი სიტყვებით მიმართავდა. უჩიოდა, შემოსავალი ცოტა მივიღეო, ნაწყენი ვარო. სამჯერ გადამაწერინა წერილი, მთელი სამი საათი დაგყავი დედოფალთან. ბედნიერი ვიყავი ქე დღეს, ბედნიერი და კმაყოფილი...

25 აპრილი. დღეს დედოფალმა ისევ დამიბარა. ისევ წერილი დამაწერინა, ისევ დიმიტრი ყიფიანს სწერდა ბარათს. ისევ დიდბანს ფიქრობდა, და მეც დიდბანს ვიყავი მასთან. ისევ ბედნიერი ღვებრუნდი შინ...

28 აპრილი. ეკატერინემ კვლავ დამიბარა. ამ დილით კარგ გუნებაზე იყო, მომეფერა, მომიღიერა. მე ამით გავთამამდი და ხობტა შევასხი. ეს ქება უხეირო გამომივიდა. შევატყე, რომ დედოფალს უფრო ეწყინა, ვიდრე ესიამოვნა, და ბრძანების კილოთი მითხრა, წადი, მღვდელი, შენს ოთახში და ილოცე, შენს ცოლ-შვილზე ილოცე, იმაზე ილოცე, რომ ცოცხალი ხარო... ეს ისეთი კილოთი მითხრა, რომ სიტყვის შეუბრუნებლად გავეცალე იქაურობას...

ორი დღის შემდეგ დედოფალმა კვლავ დამიბარა და თავისი ოჯახის საქმეები დამავალა და პეტერბურგში გამოისტუმრა. ორად ორი ბედნიერი თვე ვიყავი პარიზში და ეს დრო ჩემს სულში სამუდამოდ დარჩა. მხოლოდ ორი უკანასკნელი დღე უსიამოვნებასა, გვემასა და სინანულში გავატარე. ეკატერინეს ისე მოვექეცი, როგორც მისი ტოლი და სწორი, და ვაწყენინე კიდევ ამით. ვაწყენინე და აკი დამტუქსა კიდევ! ეს იყო და ეს, რაც მე დარდად თან წამომყვა პეტერბურგში დაბრუნებულს, იმ დიდებული ქალაქის სილამაზით, მშვენიერებით მოხიბლულსა და აღტაცებულს...

თევდორე ხოშტარიას პარიზის დღიურები აქ მთავრდება. მისი სულის საიდუმლოება, ან როგორც თვითონ თევდორე მღვდელი ამბობდა, ეშმაკისაგან შეცდენილი მღვდლის საიდუმლოება, ამ დღიურებს გაანდო და მათ გვამცნო თავისი სულის დარდი, უიღბლო მიჯნურის დარდი. ეს დარდიც და სევდაც მხოლოდ აქ ქალაქებში ჩარჩა. ეკატერინესათვის არასოდეს გაუბედავს, არასოდეს გაუშხელია ეს საიდუმლო სიყვარული, შემდეგ კი, პეტერბურგში დაბრუნებულმა უკლებლივ შეაჩუქა ეკატერინეს ყველა დავალება, როგორც მისმა ერთგულმა მოსამსახურემ. მაგრამ არასოდეს ჩამქარალა მიჯნურობის ის აღი. მღვდელს სულში ასე საიდუმლოდ რომ აუბრიალდა და სევდის გასაქარვებლად დღიურებს რომ გაატანა.



ნიკო დადიანი 18 წლის შესრულდა, დაკავდა, დასრულდა. მაღალი, ტანადი, მოყვანილი თავადიშვილი საუცხოო შესახედობისა იყო.

ნიკომ პარიზში უამრავი ნაცნობი და მეგობარი გაიჩინა, მაგრამ პეტერბურგელ მეგობრებს მაინც არ ივიწყებდა და მათთან მუდმივი მიმოწერა ჰქონდა. იმ დღესაც ვრცელი წერილი მისწერა ცარევიჩს — ნიკოლაი ალექსანდროვიჩს. თავისი და უფლისწულ

ნიკოლოზის საერთო ნაცნობი და მეგობარი მერი მოსწონდა ნიკო დადიანს. არა, მოსწონდა კი არა, უმეტესად მისი დეც. მერისთვის წერილის მიწერას ვერიდებოდა და დარდს იმით იქარვებდა, რომ გულის ხვამიადს ნიკოლაი ალექსანდროვიჩს უმკლავებდა, მას სწერდა წერილებს. ნიკოლოზი კი ამ წერილებს მერის უკითხავდა. იმ დღესაც წაუკითხა ერთი წერილი:

„ამას წინათ ერთ ფათერაკს გადაეყვარე. ალბათ, სალომე მოგწერდა ამის თაობაზე. ამ ზაფხულს ჰამბურგში ქერათმინი პარიზელი იზაბელა გავიცანი და მომეწონა. პატარა იყო, მაგრამ ძალზე ლამაზი. ერთ ვილაც ფრანგ ბიჭს უყვარდა, მაგრამ ეს არაფრად მივიჩნიე და, გავიცანი თუ არა ეს პატარა ლამაზმანი, აღარ მოვეშვი. ფრანგმა ჩემი საქციელი შეურაცხყოფად მიიღო და დულში გამიწვია. მეც არ დავიხიე უკან. აბა, რის უფლისწული ვარ, თუ ამისთანა რამეს შევუშინდითქი, ვიფიქრე და თანხმობა შევეთვალე.“

სეკუნდანტები გამოცხადდნენ, დამბაჩები დავტენეთ. მეორე დღით დანიშნულ ადგილას უნდა შევხვედრილიყავით ერთმანეთს...

ოჯახში დედაც ცხარედ ტიროდა, სალომეც, ჩვენი ოჯახის მეგობარი ავსტრიელი ბერტაც მთლად აქცევდა იქაურობას, მაგრამ სიტყვა სიტყვა იყო და მეც გამოვცხადდი დანიშნულ დილას ჩემი სეკუნდანტების თანხლებით. მაგრამ, შენც არ მომიკვდე, არ გამოჩნდა ჩემი მოქიშე! ვდგავართ და ვუცდით, ვუცდით, მაგრამ ამაოდ...

მეორე დღეს გავიგეთ: ჩემი მოქიშე, ის ფრანგი მილიონერის შვილი, იმ დამეს ჰამბურგიდან ჩუმად გაპარულა. ასე გადავტოვი ამ ფათერაკს, მაგრამ ვიცი, რომ მე, ქალების მიმდევარს, სადღაც ბუჩქში ჩუმად მიმალული სხვა ფათერაკი ისევ მელოდება. მაგრამ მე უკან არ დამიხევია და არც დავიხევა. ერთი კვირის შემდეგ, ისევ ახალა

წერილი მიიღო ცარევიჩმა .ეს წერილიც წაუკითხა მერის.

ნიკო დადიანი სწერდა:

„პარიზი მომბეზრდა-მეთქი, რომ ვთქვა, არ იქნება მართალი, პარიზი ისეთი ქალაქია, რომ არასოდეს მობეზრდება უცხოელს: ოღონდ კი ფული გქონდეს და, რასაც კი ახალგაზრდა კაცი ინატრებს, აქ ყველაფერია, უკანასკნელი მოდებიც, ახალი ოპერები და ცეკვებიც, საღამოებიც და სეირნობაც... ვისაც ფული აქვს, კაციც ის არის!

მართალია, პარიზში ახლა წოდებასა და გვარიშვილობას არაფერს აქცევს იმდენ ყურადღებას, რამდენსაც ფულსა და სიმდიდრეს. მართალია, ფულით აქ ყველაფერს იყიდი, სახელსაც, წოდებასაც და სილამაზესაც, ფული განაგებს ქვეყნისა და კაცის საქმეს, მაგრამ კიდევ არის შემონახული წოდებრივი ხარისხები და ტიტულები. განსაკუთრებით, უცხოელნი იმსახურებენ პატივისცემას. პარიზის ქუჩებში რა ჯურის, რა ეროვნების, რა წოდებისა და ხარისხის ვაყებს არ შეხვდები, ნაირნაირად ჩაცმულთ და მოკაზმულთ! ტრაპაზში ნუ ჩამომართმევ და, მეც მაქვს ცოტა წარმატება პარიზელ ქალებში. მაგრამ ჩემი მერი თვალიდან არ მშორდება. გაგიყვებით მიყვარს, სწორედ გაგიყვებით! შენ ხომ იცი, როგორი გატაცება ვიცი. ჩემი ყველაზე სუსტი მხარე, ალბათ, ქალებით გატაცებაა. თუ როდისმე რაიმე უბედურება მომეწევა ამ ქვეყანაზე, ეს, ალბათ, ქალების მიზეზით მოხდება. მაგრამ, რაც უფრო ვაკვირდები აქაურ ქალებს, მით უფრო ვრწმუნდები, რომ მერი სულ სხვაა.

მე მგონია, საერთოდ, რუს ქალზე უკეთესი ქალი არ არის დედამიწაზე. არა, ღმერთმანი, რუსი ქალი სულ სხვაა, მიმდობი, უეშმაკო, დამყოლა, უანგარო... აქაური ქალები კი მეტისმეტად გაეშმაკებულნი არიან. როგორც ფერუშარილითა და შეღებილი ტუჩებით სულ სხვა სახეს გვაჩვენებენ, ისევე ქცევიანაც გვატყუებენ და გულითაც

ორპირობენ. შენგან რაღაც გამორჩენას ეძებენ, ანგარიშით გიკაფებენ და ყველაფერ ამას ისე ამკობენ, რომ მზად ხარ იყვირო...

მიტაცებენ ეს ლამაზი პარიზელებო, მაგრამ მაშინებენ. მომწონან ისინი, მაგრამ არ მათბობს და არ მახარებს მათთან სიახლოვე. უცნაურია, ალბათ, არა? მაგრამ, ღმერთს გეფიცები, ასეა. თუ სამშობლოში მეღირსა დაბრუნება, ალბათ, ან რუს ქალს შევირთავ, ან ჩვენებურ ქართველ ქალს, პარიზელს კი— არასოდეს.“

ნიკო დადიანი საგანგებოდ აქებდა რუს ქალებს, რადგან იცოდა, რომ ამ წერილს ნიკოლოზი მერის წაუკითხავდა და ამით სატრფოს გულს მოინადირებდა.

ორი წლის შემდეგ კი პეტერბურგში დაბრუნებული ნიკო ერთ თავის თბულისელ მეგობარს სწერდა:

„ზოგი ქალი რა უცნაურია! შენ ხომ კარგად იცნობ პეტრე ანდრეევიჩის მეუღლეს ლიზას. რასაკვირველია, იცნობ. მშვენიერი ქალია, ლამაზი, ტახალი, ოღონდ მოუსვენარი და დაუდგრომელი. ჯერ იყო და ჩვენს ანდრიას გაუღიქვია, აეკვიტა, არ მოეშვა. ანდრომ ეს საქმე სინანულით გამოიხილა, არ ვიცი, რა ვქნაო. ქმარი ჩემი მეგობარია, ჩვენსა დადის, გვენდობა, ცოლიც უყვარს, პატივს სცემს, თვითონ ლიზაც ამტკიცებს, რომ ქმარი არა სძულს და არც ფიქრობს გაცილება, მაგრამ თან არც მე მეშვებაო. ღმერთო, რანაირად შეიძლება ერთსა და იმავე დროს ქმართანაც იყოს, ერთგულებას ეფიცებოდეს და საყვარელიც გაიჩინოს და მასაც ასევე ეფიცებოდეს, უშენოდ ამ ქვეყანაზე გაძლება არ შემიძლიაო.“

ასე იყო თუ ისე, ანდრო იძულებული გახდა დაპყროლოდა ამ ქალის ნებას. და ასე მიდიოდა დღეები. მერე ერთბაშად გადაამეკიდა ეს ქალი, მიმტკიცებდა, მუდამ შენ მომწონდი, მაგრამ ანდრიას დავეუბლოვდი, თუმცა, წარმოიდგინე, ანდრიასთან ყოფნამაც ვერ



დამიცხრო შენი სიყვარული. დიახ, ყოველგვ ემას, რასაც სჩადის, ეს ქალა სიყვარულს ეძახის! მე. ცოტა არ იყო, მოვერიდე ამ ამბავს. შენ თვითონ იცა, რომ ასეთ შემთხვევაში მე უკან დახევა არა მჩვევია, მაგრამ ანდროსი მრცხვენოდა, მან ზომ ყველაფერი გამანდო და ამის შემდეგ მისთვის საყვარელი რომ წამერთმია, დიახაც არა მსურდა. გეფრცები პატიოსნებას, არა მსურდა, მაგრამ ძალიან ჩამაცივდა ქალი და ვიფიქრე, ამ ქალს სუსტი მამაკაცი არ ვეგონო-მეთქი. ამ ჩვენებურმა ქართულმა ინტერესმა ჩამადენინა ყველაფერი. ლიზაზე უფრო ვიყი ქალი არ შემხვედრია. ვიყია, ნამდვილად ვიყი. მან ყველაფერი დამეფიწყა. მთელი თვე გაბრუებული ვიყავი, ისიც გაგიყვებული დამდეგდა, არ მცილდებოდა. რამდენიმე თვე გავიდა და შევატყე, რომ მასაც მოვებზრდი და მეც მომებზრდა. ახლა გავიგე, ის ქალი ვილაც ჩემს შეგობარს გადაჰკიდებია, და ისევ გრძელდება ეს წარმოდგენა. უცნაურია, უცნაურია..."

ნიკომ დაწერა ეს წერილი და თბილისში გაუგზავნა თავის შეგობარს. ეს ის დრო იყო, როცა ნიკო დადიანი თომა ჩიქოვანის ქალიშვილს თათიას ეკურკურებოდა, ამით თითქოს თავისი სინდისი დაიმშვიდა თათიას წინაშეც, თავისი ძმის ანდროს წინაშეც და იმ ქალის წინაშეც, რომელსაც ახლა კიდევ ამართლებდა.

ნიკო დადიანი ახლა ამგვარი წერალების წერით ერთობოდა.

აი, ერთი წერილიც:
 „მე წელს ოცი წლისა გავხდი. ცხოვრების გამოცდილება არც იმდენი მაქვს, რომ სხვას ჰკუთვასწავლო, მაგრამ ერთ რამეში შემოძლია სხვასაც გამოვადგე, თუ ყურს დამიკიდებს და ჩემ რჩევას მიიღებს ვინმე. ოღონდ ეს ისეთ საქმეს შეეხება, სადაც არავინ ითვალისწინებს სხვათა გამოცდილებას და საკუთარსაც უმალვე ივიწყებს. მე ქალისა და ვაჟის ურთიერთობაზე მოგახსენებ. ჰო, ამ თემაზე დაწერილი რამდენა

წყალწყალა რომანი წაგვიკითხავს ჩვენ და, გგონია, რომ ეს ყველა შემთხვევაში ადამიანთა ფანტაზიით შემქმნელი ცხოვრებაში კი სხვანაირად ხდება...

რა გენიალურად არის ყოველივე ეს მოწყობილი თვით ღმერთის მიერ! ჩემს ასაკში ადამიანს უფრო დიდი საკითხი არა აქვს, ვიდრე სქესის საკითხია, და აქ ყველანი ვცოდავთ, მამაკაციცა და ქალიცა. ზოგ მამაკაცს ჰგონია, რაც მეტს იყბედებს ქალთა სიყვარულზე. მით თავს მეტად მოაწონებს. ზოგ ქალსაც, მართლაც, უყვარს ასეთი მეტიწარა მოლაყბე, გონიერ ქალს კი ჰირივით სძულს ამგვარი რამე. ბევრი მამაკაცის თვალშიც, ქალი, რომელიც ადვილად დაჰყვება მის ნებას, თავის ფასს და ღირსებას; ჰკარგავს.

გეტყვი ჩემს საკუთარ ამბავს და შენ თვითონ მიხვდები, ასე გულდამწვარი რატომ გწერ ამას. მე ახლა ერთი ჰერცოგის ქალიშვილს დავდეგ. როცა გულს გადავუხსნი, ეს პატარა ქალიშვილი თვალგაბრწყინებული შემოშინებს ხოლმე. ამ ბოლო დროს კვლავ დავდეგ გვერდით ამ ქალიშვილს, მაგრამ უკვე სრულიად აღარ მინტერესებს ეს არსება და არც ვფიქრობ სერიოზულად მასზე. ო, რა რიგად დაჰკარგა მან ღირსება ჩემს წინაშე! ახლა მე სულ სხვა ქალით ვარ გატაცებული. ეს სხვა არც ჰერცოგის შვილია და არც მეფის ასული. იგი პარიზელი ბანკირის ქალიშვილია. ძალიან მკაცრია. მთელი წელიწადია ჩვენ გვერდით ცხოვრობს და სალაპარაკოდაც კი არ გამიკარა. რაც უფრო გამიბზის, მით უფრო მიტაცებს, მით უფრო მომწონს, მით უფრო ვაფასებ...

იგი ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარია. მამამისი დედაჩემთან ყოველ საღამოს ზის და პარიზის უცნაურ ამბებს უყვება. თავისი ქალიშვილიც თვითონ მოიყვანა და გაგვაცნო. ეს თხუთმეტი წლის ფრანგი მადონა ძალზე ლამაზია. დიახ, ის ნამდვილ მადონას ჰგავს, ლუვრში რომ მადონა ენახე, სწორედ იმას მაგონებს. სალომეს ტოლია და სალო-

მესთან სწავლობს. დედამ მეტად შეიყვარა და მეც შემაყვარა. როცა სიყვარული გამოვუცხადე, ახლო არ გამოიკარა, თქვენი ოჯახის მეგობარი ვარო. ასე მითხრა. ორი დღე გამებუტა. მერე ისევ მოვიდა, მაგრამ ვერა და ვერ მოვტეხე ეს მეტად ამაყი ქალიშვილი.

თუ მოვახერხებ, ავიწერ ბუნების ამ ულამაზეს ქმნილებას: ძალიან მაღალი, უშნოდ აწოწილი კი არა, სანთელივით ჩამოქნილია. მკვრივად შეკრული, ჩვენებური ქართველი ქალიშვილივით ორი ნაწნავი აქვს ჩამოშლილი. ხორბლისფერი პირისახე აქვს, ოდნავ ბუსუსებიანი. თვალები კი, თვალები ცისფერი აქვს... არა, ვერ აღწერე, უფრო ლამაზია. მაგრამ ამ სილამაზეს არაფერი ფასი ექნებოდა სულითაც რომ არ იყოს ლამაზი. სილამაზე ბუნების მიერ ქალისათვის ბოძებული ყველაზე დიდი განძია, მაგრამ თუ მერე ბუნებამ ამ დიდ მადლს გონიერებაც ზედ დაანათლა, ქალს მეტი რაღა სჭირდება ამ ქვეყანაზე, ოღონდ კი შესწევდეს ნიჭი და ძალა ამ სილამაზისა და გონიერების გაფრთხილებიან! ვისაც ეს დიდი განძი თავათ დაუფასებია და არავის აძლევს ნებას ბინძური ხელით შეეხოს, ჩემ თვალში ახლა მასზე მეტი პატივისცემის ღირსი არავინ არის. ალბათ, გიკვირს ჩემგან ასეთი ლაპარაკი, შედონ-ქუანად მიცნობ. ჩვენ ხომ ერთად დავდევდით ტურწმელებილ ქალიშვილებს, მაგრამ ახლა ჩემთვის ყველაფერი შეიცვალა. ახლა მე სულ სხვა თვალით ვუცქერ ამ ქვეყანას და მათ შორის იმ ლამაზ ქალიშვილს, ასე რომ დამწვა და დამფრფლა. ოი, რა რიგად ესმის მას ფასი თავისი სილამაზისა, ო, რა რიგად გონიერია, წინდახედული და ნიჭიერი, როგორ იცის ყადრი თავისი თავისა!"

ნიკომ ამ წერილში ის ლექსები ჩაუბრუნა, რომლებიც სატრფოს მისწერა, თან დასძინა, ამ ლექსებით გამოვთქვი ჩემი გულისთქმა, ოღონდ ფრანგული თარგმანიც თან დავატანეო. არ ვიცო,

როგორ მოგეწონება, მაგრამ მაინც მანდა, ქაშნიკად გაგასინჯო. მე შენ ყნაფარ თუ ვერა, ვერსად ვერ დავემალე, ნუთუ ეს ჩვენი შეხვედრა უნდა დამთავრდეს მალე? ჩემი სულისა გოდებით, შენი ნახვია ვედრებით.

მე არ მესმოდა შენი ფრანგული, შენ არ გესმოდა ჩემი ქართული, ალბათ, ამიტომ ასე დასრულდა ბედის დაცინვა და სიყვარული...

მერე. რა გამოვიდა ამით? არაფერი. ვერც ჩემმა ლექსმა, ვერც ჩემმა მდულარე სულმა ვერ გაუღვიძა მას ჩემი სიყვარული. შეწუხებულმა ისევ სევდას და ვეებას მივეცი თავი. მერე ისევ დავწერე ახალი ლექსები. კვლავ ვაახლე ჩემს სატრფოს, ისევ ვევედრებოდი, ისევ ვეხვეწებოდი, ისევ თავს ვაწონებდი სიტყვით, საქმით, ლექსებით, მაგრამ ვხედავდი, რომ არაფერი გამოდიოდა. ალბათ, ძალზე სუსტი და უნიათო იყო ჩემი ლექსები. ამის განსჯა შენთვის მომიწევია. აი, ეს ლექსებიც:

ო, მე არ ვიცი ჩვენი შეხვედრა რით დამთავრდება. მე მხოლოდ ვიცი, რომ შენა ხარ ჩემი ლოცვა და ჩემი ვედრება.

რა ადრე დადგა ეს შემოდგომა, რა ადრე გაქრა სიმწვანე ხეთა. ისევე დაქანა ჩემი ოცნება, როგორც სიმწვანე ტყეათა და ველოა.

არა, არ ვიცი, რა მემართება. ჩემ ცხოვრებაში პირველად ვარ ასე აღტაცებული და აღზნებული. წინათ მუდამ მე მეძებდნენ, ახლა კი მე დავეძებ, მე ვეხვეწები. მე ვემუდარები სხვას, მაგრამ ვაი, რომ არაფერი გამომდის. რომ მნახო, შეგეცოდები..."

ეკატერინეს ქალიშვილი სალომე სულ სხვა ბუნებისა და ნასიათის იყო. მას ერთ ფრანგ ქალიშვილთან ჰქონდა დიდი მეგობრობა. მთელი დღე ერთად იყვნენ. მერე საერთო მეგობრებიც გაიჩინეს, და ეს მოხდენილი და კვლავი, ლამაზი და ტანადი, შეგვეკრემანი, დადიანის პატარა

ქალბატონი პარიზის მალალი საზოგადოების წრეში ერთბაშად პოპულარული გახდა. მთხოვნელებიც ბლომად გამოუჩნდნენ. სალომე დიდი წუთია ვინმე იყო და ახლოს არავის იკარებდა. ზოგისა ვაეკაცობა არ მოსწონდა, ზოგისა კიდევ — გარეგნობა და საქციელი. ყოველი გაკვეთილის შემდეგ, სალომე და ეს ფრანგი ქალიშვილი სათითაოდ ახსიათებდნენ ხელის მთხოვნელებს.

იმ საღამოსაც სალომე ამ ქალიშვილმა გამოაცლია. სალომემ მეგობარი შინ მიიწვია და დიდხანს საუბრობდნენ.

— მე რომ მკითხოს კაცმა, — ამბობდა ეს ქალიშვილი, — ჭკვიანი მამაკაცი საქმროდ არ უნდა ეძიო. მამაკაცი, რაც უფრო სულელია, მით უფრო ერთგულია შენი. ყველაფრის მცოდნე და ჭკვიანი კაცი მიზეზიანია, ეჭვიანია და უმადური.

— არა, არა ხარ მართალი. ჩემო ლეიზა. სულელი ქმარი, ალბათ. უფრო ძნელი ასატანი იქნება. სულელი, ბრყვი და უცოდინარი საზოგადოებაშიც შეგარტხვენს და ოჯახშიაც. ძნელია მთელი შენი ცხოვრება ამისთანა კაცთან გაატარო. ჩვენებურად ქმარს მუდღეს უწოდებენ, და ეს იმიტომ. რომ ცოლ-ქმრობა დიდი მოვალეობაც არის და დიდი უღელიც. ეს უღელი მამაკაცმა შენთან ერთად რომ ზიდოს, ის შენი ღირსეული მეუღლე უნდა იყოს. უჭკუო ქალის მოთმენა კიდევ შეიძლება როგორმე იფიქროს კაცმა. უჭკუო მამაკაცი კი ყოვლად მოუთმენელია. მამაკაცი, რაც უფრო უცოდინარი და ბრყვია, მით უფრო აუტანელი, მომაბუზრებელი, უხასიათო და უქმურია.

— არა, მამაკაცი ოღონდ გარეგნულად იყოს შესახედავი, ქონება ჰქონდეს და გაცხოვროს, და მის ჭკუას რაში დაეძებ. ჭკვიანები უნივერსიტეტებსა და გიმნაზიებში უნდა იყვნენ მასწავლებლებად. გათხოვილი ქალისათვის ჭკუის მასწავლებელი აუტანელია, ვინც არ უნდა იყოს იგი. მე ვერ ავიტანდი ოჯახურ საქმეებში მასწავლებელსა და მბრძანებელს. ოჯახში ქალი თვითონ უნდა იყოს მბრძანებელიც და ქალბატონიც.

— არა, მე იმას კი არ მოგახსენებ, რომ მასწავლებლები ვეძიოთ საქმროდ. მე იმას ვამბობ. რომ გაუხატულნი არ უჭკუო კაცი აუტანელია, მისი ქმრობა დამამცირებელია ქალისათვის. ჩვენს საზოგადოებაში ხომ სასაცილონი არიან ეს უცოდინარი და ბრყვი მამაკაცები! ჩვენც ხომ დავცინით ჩვენს ბიჭებს, როცა რაიმე ნაკლს ვუბოვით! ჰოდა, სწორედ რომ არ მიინდა ჩემი ქმარი ვინმემ სასაცილოდ აიგდოს. უცოდინარი, უეციცი, გაუთლელი და ბრყვი სხვისიც შევაჯერება და. მე რომ შემხედეს, სწორედ ერთ დღეს არ გავჩერდებოდი მასთან. ქმარი ზრდილობით, განათლებით, ვაეკაცობით, ახოვნებით უნდა ამშვენებდეს ცოლს, მაშინ არის ქმარი შესაფერისი და ღირსეული. სადაც ეს ასე არ არის, სწორედ იქ იჩენს თავს ორპირობა, ღალატი და გაუტანლობა.

— აბა, მე სულ სხვა აზრისა ვარ, ჩემო სალომე. ქმარი ქალისათვის ფარდაა. რომლის იქითაც სრული უფლება უნდა გქონდეს ისე მოიქცე, როგორც შენი გული გიკარნახებს. ასე მგონია. რომ, თუ არვინ მეყვარება, თუ დრო არ გავატარებ, არ გავეარშიყე ვინმეს, ისე ერთ დღეს ვერ გავძლებ. ქმარი ქმარია, მაგრამ თავისუფლება სულ სხვაა ქალისათვის. და თუ ქმარმა ეს თავისუფლება წაართვა, ჩემს ყოველ მოქმედებას და საქციელს თავისი საკუთრების თვლით დაუწყო ზომვა, ასეთ ქმართან ვერ ვიცხოვრებ. ჩემი თავი მუდამ მე უნდა მეკუთვნოდეს, და ბატონად ვერავის გავინდი. ჭკვიანი ქმარი კი ბრძანებებს დაგიწყებს და სიცოცხლეს გაგიმწიარებს.

ქალიშვილებს გაცხარებული კამათი ჰქონდათ. სწორედ ამ დროს ოთახში გაფითრებული ეკატერინე შემოვიდა, ქალიშვილების საუბარიც ერთბაშად შეწყდა.

პარიზს დამკვიდრებული ეკატერინე და მისი შვილები ბევრს მოგზაურობდნენ, მთელი ევროპა შემოიარეს. იმ წელს ეკატერინე ლონდონს აპირებდა წასვლას. სწორედ ამ დროს მეტად სძმწუხარო ამბავი შეატყობინეს:

1862 წლის 18 მარტს ეკატერინეს უმცროსი და სოფიო, ბარონ ნიკოლაის მეუღლე, კიევში გარდაიცვალა. ეს ამბავი დედოფალს მწუხარებით ამცნეს. დიდად შეწუხდა ეკატერინე, მთელი თვე ავად იყო. მომჯობინდა თუ არა, წერილი მისწერა დიმიტრი ყიფიანს:

„Париж 29/17 Апр. 1862.

ჩემო ძვირფასო დიმიტრი ივანინ!

ჩვენ თერთმეტ მაისს აქედრი სტილით ვაპირებთ ლონდონში წასვლას და, რადგანაც მანამდინ ფულმა დაიგვიანა, მეტი ილაჯი არა მქონდა, აქ ესესხელობ და ასე მივალ.

საშინელი თავის ბრუსხვევა მაქვს, რომ წაიქცევი ხოლმე, ფეხზე თუ დიღხანს დავდევ.

ახლა ჩემი ერთი სათხოვარი ეს არის, რომ ჩემის განსვენებულის დის სოფიოსათვის უბრძანოთ დათას წლის წირვა დაუწყოს. ერთი მარტვილის შაონასტერში დავით ღვინაძეს აწირვინოს, მეორე გორდს ნიკოლოზ ჩიყლაძეს, მესამე ზუგდიდს დავით ღვინაძეს, მეოთხე ცაიშის მონასტერში. ყოველს ადვილს ამ ექვს საყდარს და მონასტრებში წლის წირვა იხადონ და რაც დიხარჯოს, უბრძანეთ, რომ ჩემის სადედოფლო შემოსავლიდან გაისტუმრონ...“

თევდორე ხოშტარია, ეკატერინეს პეტერბურგში საგანგებო მინდობილობითა და დავალებით გამოგზავნა. ამ ოჯახის საქმეთა მოწესრიგებასა და განწყობას მთელი წელი მოუწია თევდორე. ამასობაში ეკატერინე და მისი უფროსი ვაჟი ნიკო პეტერბურგს დაბრუნდნენ. ისევ გაიხარა თევდორე მღვდელმა თავისი პატრონის ხილვით, ისევ გამოცოცხლდა.

ნიკო ავად გაუხდა დედოფალს და იძულებული გახდა ისევ მალე გაცლოდნენ პეტერბურგს.

მთელი იმ ორი წლის განმავლობაში პეტერბურგში ეკატერინეს ოჯახურ საქმეებს თევდორე განაგებდა. ახლა თევდორე თვითონ იყო თავისთავის ბატონ-პატრონი და დიდი დროც რჩებოდა საკუთარი გრძნობებისათვის. თევდორე ისევ შეუდგა დღიურების წერას.

გაგრძელება იქნება

ნიკოლოზ ჩიქავა

განა მისთვის ვწერ...

მითხარ, მამულო, განა როდისმე,
მომითხოვია შენგან დიდება?
მე შირჩევნია ვდღემდე ლოდისებრ,
ისე არასდროს არ დავკნინდები.
შენ შეგაწუხო, შენ დაგაყვედრო.

განა მისთვის ვწერ და მისთვის ვიღწვი,
რომ ყურადღება მივიპყრო ქვეყნის?

მე სუნი მზიბლავს კეთილი მიწის,
ხმა გაზაფხულის მქუხარე მეხის.

მე შენით ვცოცხლობ და შენ დიდებას
და დღეგრძელობას დღე-ღამ ვუნდები.
თუ ეს დიდება არ დაგჭირდება,
გადაგეგები და დავდუმდები.

პირვანდელი საგალობელი

შენ ვერ მიცანი,
ვერ გაიგე,
რა რიგად მსურდა,
შენ რომ მყოლოდი
მეგობარი
და ახლობელი.

გავიდა დრო და
ისევ ისე,
ახლავე თუნდაც,
გიმღერო მინდა,
პირვანდელი
საგალობელი.

გიმღერო, რადგან
მე სიმღერა
არ დამვიწყნია,
შენ ვახსენებას
თან მოყვება
წკრიალი ხმების.

თუმცა დიდ გზებზე
ჩვენ ბევრი რამ
ერთად ვიწვინეთ,
მაინც ვერ გავხდი
შენი ფიქრის
თანაზიარი.

ნორჩი აღარ ვარ,
სხეულს უკვე
აჩნია წლები,
მაგრამ სიმღერას
რას დააკლებს
დრო და მანძილი.

როცა ვიმღერი,
ცოცხლდებიან
დაღლილი ძვლებიც.
და მავიწყდება
გარდახდილი,
უკვე განცდილიც.

შენ კი ვერ მიზვიდ,
ვერ გაიგე,
რა რიგად მსურდა,
შენ რომ მყოლოდი
მეგობარი
და ახლობელი.

გავიდა დრო და
ისევ ისე,
ახლავე თუნდაც,
მინდა გიმღერო,
პირვანდელი
საგალობელი.

მომღერლის ყელი



არ მღერის მისი ძვირფასი ყელი,
იგი ამოსჭრეს, ჩადეს ქილაში,
თითქოს მფარველობს ჯადოჭრის ხელი,
ჩუმად ჩამჭდარი სადღაც ხილვაში.

ყელი თავისთვის ძეგს ხსნარში, მაგრამ
ალარა მღერის, ხმა დაუკარგავს.
...რადიო ჩართეს, და მომღერლის ხმამ
გაავსო სივრცე, ოთახს მოედვა,
ვერ აიტანა დიდხანს შენახვა,
გადმოაბიჯა ფართო მოედანს.

და ყელიც თითქოს სიმღერას აქყვა—
და ყელი წამით ვაცოცხლდა თითქოს,
თავის სხეულის მოუნდა ნახვა
და სიმღერასთან შეწყობას ითხოვს.

კედლებს უყურებს, ნივთებს
დასცქერის,
ნაცნობ სახეებს უჩუმრად უხმობს,
სურს დაიბრუნოს ხმების ნამჭერი,
მაგრამ რა ძალუძს მუნჯსა და უხმოს.

...რადიო ჩაწყდა, დუმილმა სივრცის
დაახშო ყელიც, დაახშო ვნებაც.
სიმღერა ისევ განაგრძობს ციმციმს,
სიმღერა ცოცხლობს და აღარ კვდება



უახლესი მოგონებები
საქართველოს
დედოფლის წყარო!

რა მოგივიდა, ჩადექი ქარო,
რა მოაკლდება ავილო პეშვით,
თორემ ამ ლამაზ დედოფლის წყაროს,
როგორც ბელურას, ავისევამ მკერდში.

მერცხალო, ასე მზერით რომ ტყბები,
ასე რომ თრთოლით ნაპირს ეხები,
სთქვი, რა იქნება, მაგ შენი ფრთებით
მეც დამაფრქვეო წყაროს შხეფები.

მთვარე, ასე რომ მუდამ გახელტებს,
ვის სტყორცნე ნეტავ სხივთა ანკესი?
რა დაშავდება, მეც ჩამახედე
დედოფლის წყაროს წმინდა სარკეში.

მორიხთან

ფრიდონ ხალვაშს

რა დათვლის, ძმაო, როგორ იქნება,
ამდენ ვარსკვლავებს ამოღოთ თვლი.
მითხარ, იმ ერთი ლაზის სიმღერა,
დღესაც რომ მღერის კოროხის
ზვირთი.

დე, ჰანგმა ისევ ფრთა გაგვეკრას
გულთან,
შეკრთეს საფლავში მტერი არჯალი,
რადას დაგვაკლებს, წამოდგეს თუნდაც
და დაგვაბჯინოს მკერდზე ხანჯალი.

ია და ვარდად გადაგვეყაროს
იმ ერთი ლაზის კვლავ თვალთა
ბრწყინება.

1 წყაროს ჰქვიან აკარაში.



არ გავთათრდები

მაილარ აბაშიძეს

„ამ ზღბზე ედოთ თავსავეთი. ეინც არ თათრდებოდა, ჯერ ენის წვერსა, ხოლო მერე თავს სჭრიდნენ. სიკვდილის წინ იმა- ზღნენ, არ გავთათრდებიო“.

აქარელი გლეხის ნაამბობიდან.

დანდალოს! ახლოს, თამარის ზიდთან,
სადაც სისხლისფრად ჰყვავის ვარდები,
თითქოს მდინარე იძლევა კითხვას
და ტყე პასუხობს: არ გავთათრდები!

თითქოს ჩერდება ფეხმარდი ქარი,
გულში შორეულ ფიქრთა დამნთები,
აჰარის წყლიდან ამოაქვს ქნარი,
და ქნარი ამბობს: არ გავთათრდები!
ეს ეისი ხმაა საბედისწერო,
გზებზე რა ძალას გადააქვს გზნებით,
მკერდში იხუტებს პალმების ჩერო
და გაიძახის: არ გავთათრდები!

მე აღარ ვიცი, რომელ ერთს დავსწვდე,
როგორ ავკინძო ეს ხმები ერთად.
სულამდის აღწევს, გულამდის აღწევს
და თვითულში სიცოცხლე ფეთქავს.

რომ ჩამოგძახოთ, სად ხართ, სად
გძებნოთ,
გითხრათ ნუგეში, დღეის თავდები.
ო, წინაპართა დამშვიდდით, ძვლებო.
თქვენ არასოდეს არ გათათრდებით.

ცისფერ ბილიკებს მიჰყვება წერო,
ზეცა ირხვეა იმისი ფრთებით,
სტოვებს, ნიავეც პალმების ჩეროს
და შორს გადააქვს: „არ გავთათრდები!“



ალიზბარ მინსკაძე

დაპარბული ოცნება

რომანი

წიგნი მცირე

არც ისეთი შეძლებული გამოდგა ნელის ოჯახი, როგორც ვახტანგს ეგონა. სანებლიძეების სახლში ვახტანგი ზედსიძედ შევიდა და ამიერიდან მისი ბატონ-პატრონი გახდა.

ნელის მამის გარდაცვალების შემდეგ, ამ ოჯახში ფულის შემომტანი ალარავინ იყო. თათიას არასოდეს ემსახურა და ვერც წარმოედგინა, რა იყო სამსახური. ერთხანს ქმრის მონაგარ ფულს იხოვავდა. მერე, როცა ეს ფული გამოეღო, წვრილმანი ნივთების გაყიდვას მიჰყო ხელი და დედა-მეილი ამით ირჩენდა თავს.

გაჭირვებაზე ნელს წარმოადგენა არა ჰქონდა. ბავშვობიდანვე ფუფუნებაში იყო აღზრდილი და არც ახლა იკლებდა არაფერს, ჭამა იქნებოდა ეს, ჩაცმა-დახურვა, თუ გართობა-სიამოვნება.

თავის ამხანაგებიდან პირველად მას უნდა შეეცერა კაბა, პალტო, ან ფეხსაცმელი. ამხანაგის დაბადების დღეზე ისე არ წაედოდა, რომ კარგი საჩუქარი არ წაეღო და ყველაზე მეტად არ გამოეჩინა თავი.

ამაყი იყო ნელი, ამპარტავანიც. უყვარდა ყველგან თავის დაფასება. თათია თვალეში შესცივინებდა და ყველაფერს ისე უსრულებდა, როგორც მას ესიამოვნებოდა.

ზღვა კოვზით დაილევავო, ნათქვამია. თანდათანობით ასე დაილია ქონება სანებლიძეების ოჯახშიც. ნელის გათხოვებამდე მათ ორი ძვირფასი ხალიჩა და აბრეშუმის ორი წყვილი საწოლის

გადასაფარებელია მოჰყვათ. ისიც, ალბათ, იმიტომ, რომ ოჯახისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

თათიას ფული არ გააჩნდა, რომ შვილისათვის ქორწილი გადაეხადა. ვეღარც ავეჯი გაიმეტა გასასყიდად, იმ იმედით, რომ ამიერიდან სიძე ამოუდგებოდა მხარში და ოჯახის ზრუნვას ის იკისრებდა.

ლომბარდში დაავიროვა თავისი ოქროს საყურეები, ოქროსივე საათი და სამაჭური, ბეჭდები, ვერცხლეული მაგრამ იქიდან აღებული ფული ქორწილისათვის ძალზე უმნიშვნელო აღმოჩნდა. თათიას უნდოდა ერთი ხალიჩა გაეყიდა, მაგრამ ნელიმ დაუშალა. ბოლოს, ერთობლივი შეთანხმებით, დარეჯანისა და პალიკო ბეთანელებისაგან ისესხეს ფული და, მათ ოჯახს როგორც ეკადრებოდა, ისეთი ქორწილი გადაიხადეს.

ვახტანგს ვალები დახედა ნელის ოჯახში.

— ნეტა რა საჭირო იყო ქორწილი. ეს რომ მცოდნოდა, სულაც არ გადავიხდიდიო, — ფიქრობდა ის.

მაგრამ ახლა გვიანლა იყო ამაზე წუწუნი. ლომბარდიდან ნივთების გამოხსნას ფული სჭირდებოდა, ფულს კი შოვნა. ამიტომ სამსახური უნდა დაეწყო მომავალ შემოდგომამდე. სანამ ასპირანტურაში მოეწყობოდა. ვალები უნდა გაესტუმრებინა.

სამსახურის შოვნა კი არც ისედიოლი აღმოჩნდა, როგორც ეგონა.

დატრიალდა სკოლები და თითქმის ყველა რაიონის განათლების განყოფილებები შესძრა, მაგრამ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ადგილი ვერსად იშოვა.

ვერაფერს გახდა.

ერთხანს გადაწყვიტა განათლების სამინისტროში პირდაპირ მინისტრთან შესულიყო და როგორც ახალ დემობილიზებულს, მრავალ ბრძოლაში გამოვლილს, თანაც ოჯახის პატრონს, ეთხოვა დახმარება.

მაგრამ ეს აზრი იმ წუთსვე უარყო. მინისტრი ხომ ლეტუ ზვიადძის მამა იყო? ზვიადძეების გვარის გახსენება კი მას ნერვებს უშლიდა და ცუდ გუნებაზე აყენებდა.

— მშვირი მოვკვდები და სათხოვნელად მასთან არ მივალო, — ამბობდა ვახტანგი.

გული მანც არ გაუტეხია. დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო ცდა, ბრძოლა, რათა თავის მიზნისათვის მიეღწია.

ვახტანგიც „იბრძოდა“. რაც შეეძლო. დადიოდა სკოლიდან სკოლაში. განათლების განყოფილებიდან განათლების განყოფილებაში. ერთ-ერთ საღამოს სკოლაში კიდევაც აღმოაჩინა ადგილი, მაგრამ ნახევარი განაკვეთი იყო. ნახევარ განაკვეთზე მუშაობა კი მას ხელს არ აძლევდა. ხუთასი მანეთით, რომელიც იქ უნდა აეღო, ვერც ოჯახს შეინახავდა, ვერც ვალებს გაისტუმრებდა. ასეთ სამსახურში ყოფნა ტყუილა დროს დაკარგვა იქნებოდა და მეტი არაფერი.

— ხუთასი მანეთი... რა არის ხუთასი მანეთი? — ფიქრობდა ის, — პაპი-როსის ფული, არც მეტი, არც ნაკლები! ხუთასი მანეთით უნდა შევიწახო ოჯახი? — ვახტანგი უკან გამობრუნდა და იმ დღიდან ამ სკოლისკენ აღარც მიუხედავს.

ლენინის რაიონის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში შეპირდნენ: იანვრიდან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ადგილი თავისუფლდება,

შენც დატრიალდი, და ჩვენც მხარს დაგიჭერთო.

მარტოველი

იმ წუთას ლენინის რაიონის განათლების განყოფილებაში დაერქო. ელაპარაკა განყოფილების უფროსს. აუხსენა მდგომარეობა, რომ ომიდან ახალი დაბრუნებულია, მრავალგზის დაქრილი და ნატანჯი; რომ აქვს ოჯახი; რომ მისი სარჩენია ცოლი, სიდედრი, დედა, პატარა ძმები და, ბოლოს ტყუილიც კი იკადრა — შვილებიო სთხოვა, მხედველობაში მიეღოთ მისი მდგომარეობა და გაეგზავნათ სკოლაში მასწავლებლად.

განყოფილების გამგემ ყურადღებით მოუსმინა ვახტანგს. შეპირდა, თუ კი მართლა განთავისუფლდებოდა ადგილი, უსათუოდ გაეგზავნიო.

ვახტანგი სიხარულით წამოვიდა სახლში. გულისფანქვალთ ელოდა იმ დღეს, როცა სამსახურს დაიწყებდა.

და აი, მოვიდა იანვარიც. მაგრამ მას მანც არაფერი ეშველა. სკოლაში ადგილი კი განთავისუფლდა, მაგრამ განათლების განყოფილებამ იმ ადგილზე სხვა დანიშნა.

გაოცებული დარჩა. გულუბრყვილო ვაჟკაცი ყველასაგან ყველაფერს ადვილად იჭერებდა. ვერ წარმოიდგენდა, თუ ასე უსინდისოდ მოატყუებდნენ.

იმ ამბავმა უფრო აუფორიაქა გუნება, როცა გაიგო, რომ მის ადგილზე გაგზავნილი კაცი „გუშინდელი უნივერსიტეტდამთავრებული“ იყო და ცხოვრებაში გამოუცდელი. თანაც ვილაც დიდი კაცის შვილი, რომელსაც სამსახური სახელისათვის უფრო სჭირდებოდა, ვიდრე ხელფასისათვის.

უნებურად გაახსენდა ომის დაწყების დღე, როცა ის და გივი სამხედრო კომისარს ეჩხუბნენ და ძალით გაეგზავნინეს თავი ფრონტზე.

გაახსენდა ლეტუ ზვიადძეების ოჯახიც; განათლების მინისტრმა თუ როგორ ამოაფარა სამი ვაჟკაცი დედის კალთას, თვითონ კი სხვას მოუწოდებდა სამშობლოს დასაცავად.

— ეს ახალი გამოჩეკილი მასწავლებელიც, ალბათ, იმისთანა დიდი კაცის შვილია — ფიქრობდა ის.

ვახტანგმა ხელი ჩაიქნია, მაგრამ სასოწარკვეთილებას მაინც არ მიეცა. გადაწყვიტა, ერთხელ კიდევ ეცადა ბედი: წასულიყო განათლების სამინისტროში, იქნებ, იქ უფრო დახმარებოდნენ.

ასეც მოიქცა.

მეორე დღეს განათლების მინისტრის მოადგილის კაბინეტის კარი მორიდებით შეაღო და თავისი გასაქირი მოახსენა.

— ჩვენ არა გვაქვს საშუალება თბილისში მოგაწყობოთ, — ხელები გაასავსავა მინისტრის მოადგილემ, — რაიონში თუ წაბრძანდებით, ადგილს გამოვინახავთ!

— რაიონში რომ მდომოდა მუშაობა, ადგილს მე თვითონვე გამოვნახავდი, — მოკლედ უპასუხა მინისტრის მოადგილეს. მიხვდა, რომ მისგან არაფერი გამოვიდოდა, ბოდიში მოუხადა და უკან გამობრუნდა.

— აბა, თავისიანი იყოს, თუ იმავე წუთს არ უშოვოს. — გაიფიქრა და გულამღერეულმა დასტოვა განათლების სამინისტრო.

ახლა ორი არჩევანიღა ჰქონდა ვახტანგს. ან ერთისთვის უნდა მოეკიდა ხელი, ან მეორისთვის. ან, მართლაც, რაიონში უნდა წასულიყო, თუ კი პროფესიის მიხედვით უნდოდა სამსახური, ან თბილისში დარჩენილიყო და სხვა საქმისათვის მოეკიდა ხელი.

სხვა სამუშაო კი მას არ აინტერესებდა.

— ამდენი მიწვალთა, მისწავლთა და სხვაგან როგორ ვიმუშაოო, — ფიქრობდა, — ანდა, ესეთ სამსახურს ვინ მომიცემს, რომ იქ მუშაობისა არ შემრცხვეს, ჩემი შესაფერისი იყოს და ხელფასიც კარგი მქონდესო.

ბევრი იფიქრა და ისევ რაიონში წასვლა არჩია.

— შეიძლება კიდევაც სჯობდეს იქ, — გუნებაში ეუბნებოდა თავის თავს, —

რაც არ უნდა იყოს, ოთხ-ხუთ თვეს მომიწევს ყოფნა, მეტი ხომ არაა? თუ იქ არადადეგები დაიწყებ, მაშინ არადადეგების ფულსაც ავიღებ... სექტემბერში ასპირანტურაში მოვეწყობი და კვლავ ისე წავა ჩვენი ცხოვრება, როგორც მინდაო.

სახლში მისვლისას ჯერ მინისტრის მოადგილესთან შეხვედრაზე ელაპარაკა ნელის, მეორე თავისი გადაწყვეტილებაც შეაპარა.

— რას ამბობ, ძვირფასო? — სახე გაებადრა ნელის, რადგან ქმრის სიტყვებში ხუმრობით ნათქვამი ეგონა, — მოგენატრა სოფელი?

— დამიჯერე, ნელი, — სერიოზული ტონით უთხრა ვახტანგმა. — ასე სჯობია. რალა დაგვრჩა გაზაფხულამდე, ოთხი-ხუთი თვე, მეტი ხომ არა? გაზაფხულში აქ ხომ მაინც არ ვიქნებით, სოფელში უნდა წავიღეთ. ცუდად ყოფნას, რა თქმა უნდა, იქ მუშაობა სჯობია. ხელფასით ლომბარდში დაგირავებულ ნივთებს გამოვიხსნით. არდადეგების ფულს ავიღებ და, თუ პალიკოს ვალს ვერ გავისტუმრებთ, ჩვენ თვითონ მოვიხმართ. სექტემბრიდან კი, ჩვეულებისამებრ, დავბრუნდებით თბილისში და ასპირანტურაში შევალ. ოთხი-ხუთი თვე როგორ ვერ უნდა გავძლოთ იქ?

— ვახტანგ, — გაკვირვება ველარ დაფარა ნელიმ, — მართლა მელაპარაკები? დედას თავი დავანებო და სოფელში წამოგყვე საცხოვრებლად? ხომ არ გავიყდი? თავი როგორღა უნდა გამოვიყო ხალხში? ხომ მასხარად ამიგდეს ამხანაგებმა: ნელი სოფელში გათხოვდოო, ხა... ხა... ხა... — აქ ისეთი ვადაიხარხარა სანებლიძიანთ ასულმა, რომ ვახტანგს უნებურად ხმა ჩაუწყდა.

— როგორ, ვინც სოფელში ცხოვრობს, დასაძრახისია? — ძლივს ამოიღვა ენა ვახტანგმა.

— იმათთვის თუ არა, ჩვენთვის იქნება დასაძრახისი!

— ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ სოფელში ცხოვრება ჩვენი საქმე არ არის. სოფელი ზაფხულობით არის კარგი, დასასვენებლად რომ წახვალ!

— მხოლოდ ზაფხულობით? — წარბები შეიკრა ვახტანგმა, — თუ ასე ფიქრობ, ძალიან მცდარი წარმოდგენა გქონია სოფელზე.

— არავითარი მცდარი წარმოდგენა... სოფლიდან აქ ჩამოდის საცხოვრებლად ხალხი. მე თბილისში დაბადებულმა, თბილისში გაზრდილმა, აქაურობას თავი დავანებო და იქ წავიდე საცხოვრებლად? როგორ მელაპარაკები, ვახტანგ! ეს აზრი საიდან დაგებადა?

— მაშ, როგორ მოვიქცე, სექტემბერამდე უმუშევარი ხომ არ ვიქნები! შემოსავალიც არსაიდან გვაქვს, გვიკირს!

— როგორ უნდა მოიქცე და აქ, თბილისში უნდა გამოიხანო სამსახური!

— რომ არაფერი გამოდის? ხომ ხედავ რამდენს ვწვალობ და ვერაფერს ვაგზდი. რაიონის განათლების განყოფილებამ ერთი თვე ტყუილა მილოდინა.

— ასე არც არასოდეს გამოვა, ვახტანგ!

— აბა, როგორ?!

— როგორ და, ნაცნობი უნდა გვაედეს, ან ნათესავი. ომამდელი დრო კი არ გეგონოს ახლა. გული თუ არავის დაეწვა შენზე, ისე არავინ არაფერს ვაგვიეთებს. ანდა, ფული უნდა გქონდეს. ფულია ამ ცხოვრების ღმერთიც და სამართალიც.

— კარგად იცი, ფული მე არა მაქვს და გინდაც მქონდეს, მაინც არ მივცემ. ეგენი რომ აქ ისხდნენ თბილად მოყუჩებული, მე ომში სისხლს ვღვრიდი.

ნელიმ ვახტანგს ჩახედა თვალებში.

— ისევ მე დაგეხმარები, ჩემო ვახტანგ, ისევ მე...

— შენ რა შეგიძლია? გყავს ვინმე ნაცნობი?

ნელიმ თავი დაუქნია ღიმილით.

— ვინ? ლუტუს მამა? — ზენე წამოიჭრა ვახტანგს.

— ჯერ ერთი, მე ლუტუს მამა გელაპარაკები. და გინდაც ასე იყოს, მერე რა მოხდა? — წარბები შეიკრა ნელიმ. — იგი პატივს მცემს და თუკი მივმართავთ, აუცილებლად დაგვეხმარება.

— ღმერთმა ისიც შეარცხვინა და მისი დახმარებაც. იმას ურჩევნია, თავის შვილს მიხედოს. შიმშილით რომ მოკვდე, იმასთან მაინც არ მივალ.

ნელიმ გაახსენდა, გასული წლის შემოდგომაზე რომ უთხრა: გინდა დაეტრიალდე მინისტრთან და დაგეხმარო. მაშინაც ასე იყვირა ვახტანგმა. ახლა კი წყნარად მიმართა ქმარს:

— პალიკოს ვთხოვ და კიდევაც მოგაწყობს კარგ სამსახურში, მას უამრავი ნაცნობი ჰყავს.

— სხვა დარგით ვიმუშავო? — თვალები გაუფართოვდა ვახტანგს.

— დიახ, რატომ ვაგვიკვირდა? რას ჩააცვიდი ამ სკოლას, — ხმას აუწია ნელიმ. — ხომ ხედავ, არაფერი გამოდის! სიმართლე ვითხრა, სულაც არ მინდა მასწავლებლად იმუშაო. რა უნდა აიღო იქ, ათასი მანეთი? მერე და, ეს ათასი მანეთი გვეყოფა? ათასი მანეთი შეგვიხახავს თვიდან თვემდე? უამა ხომ გვინდა? ჩაკმა-დახურვა ხომ გვინდა?

— შენ მართალე ხარ, ნელი, მაგრამ სხვაგან როგორ ვიმუშავო?!

— ძალიან კარგად! — მტკიცე ხმით წარმოთქვა ნელიმ, — რამდენი უმაღლესლამთავრებული ვიცი, რომ თავიანთი პროფესიის მიხედვით არ მუშაობენ. სხვაგან ეწყობიან სამსახურში იმიტომ, რომ გამორჩენა ჰქონდეთ, შემოსავალი ჰქონდეთ, საარსებო წყარო ჰქონდეთ.

— არ მაინტერესებს, ვინ სად მუშაობს და რას აკეთებს. ამდენი მიწვალა, მისწავლია, უნივერსიტეტი დამამთავრებია. სირცხვილი არ არის, გამორჩე-

ნის მიზნით სადმე შეუფერებელ ადგილას შევძვრე?

— სირცხვილია!... — გამოაჯავრა ნელი, — რა არის სირცხვილი, — კარგ ფულიან ადგილას მუშაობა? სირცხვილი ის არის, ჯიბე ვახვრეტელი რომ გეჭენება და ოჯახს ვერ შეინახავ. რას გადაეკიდე ამ სირცხვილს? შენზე ბევრად უფროსმა და ნამსახურმა ხალხმა მოიშორა ეს „სირცხვილი“ თავიდან. ჩემმა ყოფილმა ქიმიის მასწავლებელმა, რომელიც ჩვენი კლასის დამრიგებელი იყო, სკოლას თავი დაანება და ახლა დენერტირების ბაზარში მუშაობს ლაბორანტად, ხორცის გამსინჯველად. ასევე, ჩვენი ერთი მეზობელი, პროფესორი ინიერტი, მალაზიაში მოეწყო გამყიდველად. რატომ? იმიტომ რომ იქ უფრო მეტი შემოსავალი აქვთ, მეტი გამორჩენა აქვთ.

— მე სხვას არ ვუყურებ, ნელი. და ვერც გავაკეთებ იმას, რასაც ისინი სჩადიან.

— რატომ? გვარიშვილობას ჩამოგართმევნ? თუ ღმერთი გწამს, დაივიწყე ეს გადაჭარბებული თავმოყვარეობა, თორემ შიმშილით მოკვდებით. როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო, არ გაგიგონია? ხოდა, შენც ასე უნდა მოიქცე!

— ვერ მოვიქცევი და რა ვქნა? — ხმას აუწია ვახტანგმა, — შენ ოღონდაც ფული მოგიტანო და სად ვიმსახურებ, სულერთია...

ნელის ხმა აღარ ამოუღია.

ვახტანგმა ფარხმალი მაინც არ დაყარა. ცდა ბედის მონახვერეთა, ამბობდა გუნებაში და სამსახურის საძებრად დილით რომ გავიდოდა, საღამოზე ძლივს ბრუნდებოდა შინ.

ნელიმ კიდევ რამდენჯერმე ჩამოუგდო ლაპარაკი, პალიკო კარგ ადგილას მოგაწყობსო, მაგრამ ვერ დაითანხმებოლოს, როგორც იყო, გაუღიმა ბედმა, დიდი წვალუბის შემდეგ, ვახტანგმა ბავშვთა კოლონიის საშუალო სკოლაში გამოიწვია ადგილი და, თუმცა ეძნელებოდა

ასე შორს სიარული, მაინც დაიწყო მუშაობა აღმზრდელ მასწავლებლად.

კოლონიაში თითქმის ყველა მუშაობის ბავშვი იყო თავმოყრილი თექვსმეტი წლის ასაკამდე. უმრავლესობას მშობლები არა ჰყავდა. ზოგს ომში დაკარგვოდა, ზოგს დახოცოდა, ზოგის მშობლებს აწეწილი ცხოვრების შედეგად საჭირო აღმზრდელობითი უნარი ვერ გამოეჩინა და მათი შვილები ქუჩის ქუჩუკიანი ცხოვრების ორომტრიალში მოხვედრილყვნენ.

კოლონიაში ყველა პირობა იყო შექმნილი, რომ ბავშვები წესიერად აღზრდილიყვნენ. იქ იყო სახელოსნო სასწავლებელი, სადაც შეეძლოთ სხვადასხვა ხელობას დაუფლებოდნენ. იყო საშუალო სკოლაც. მაგრამ ქუჩაში „თავისუფლად გაზრდილი“ ბავშვის ბუნება ვერ ეგუებოდა კოლონიაში გაბატონებულ მკაცრ დისციპლინას. ცდილობდნენ თავი დაეღწიათ კოლონიის გარშემო აღმართულ მაღალი კედლისათვის, გაქცეულიყვნენ და კვლავ მოხეტიალე, მაგრამ „თავისუფალი“ ცხოვრების დინებას მიჰყოლოდნენ.

პედაგოგებისათვის ძალზე ძნელი და რთული იყო ამ ბავშვებთან მუშაობა. ვახტანგი მთელ დღეს მათთან ტრიალებდა. ეცოდებოდა, ენერგიას არ იშურებდა, რათა ისინი ადამიანურ გზაზე დაეყენებინა.

ძლიერ იღლებოდა, მაგრამ ეს კეთილშობილი მოვალეობა კიდევაც ახალისებდა.

— ამაზე დიდი საქმე კაცმა სხვა რა უნდა გააკეთოს ცხოვრებაშიო. — ამბობდა და, როგორც თავის პატარა ძმებს, ისე უყურებდა აღსაზრდელებს. ვახტანგს უფრო ის აწუხებდა, რომ სამსახურში სიარული ყოველდღიურად შორი მანძილიდან უხდებოდა.

დილაადრიანად სურამის მატარებელს მიჰყვებოდა, საღამოთი კი გორის მატარებლით ბრუნდებოდა უკან.

სურამის მატარებელი დილის შვიდ

საათზე გადიოდა თბილისის სადგურიდან. ამ მატარებლისთვის რომ მიესწრო, ექვს საათზე მაინც უნდა ამდგარიყო ლოგინიდან. სამსახურის დაწყებამდე, მატარებელი საათნახევრით ადრე ჩადიოდა. ეს დრო ან რკინიგზის სადგურზე უნდა მოეკლა, ან კოლონიაში, სანამ გაკვეთილები დაეწყებოდა. საღამოთი კი, ორი საათით ადრე ამთავრებდა მუშაობას, გორის მატარებლის ჩამოსვლამდე. ამ ორ საათსაც ბავშვების აღზრდას ანდომებდა.

II

თებერვლის დამდეგი იყო. თოვლით გადათეთრებულიყო შემოგარენი. ყინვა ძვალსა და რბილში ატანდა. მცხეთასა და ზაქესს შუა, გორიდან მიმავალ სახალხო მატარებლისთვის ქარს თუნუქის სახურავი აეგლიჯა. სახურავი დენის მავთულს შეერთებოდა, ვაგონს ცეცხლი გასჩენოდა, მატარებელი გაჩერებულიყო და მთელი მოძრაობა გაეჩერებინა.

რკინიგზის სადგურში კარგა ბლომად შეყუყულებიყვნენ თბილისისაკენ მიმავალი მგზავრები. მათ შორის იყო ვახტანგიც. მას პირველი ხელფასი აეღო და ახლა ნელისაკენ მიეჩქარებოდა. უნდოდა დროზე ჩასულიყო თბილისში, რომ ამ საღამოს სადმე გაესეირნათ.

მას შემდეგ, რაც სამსახური დაიწყო, ერთად აღარსად გაუვლიათ. გუშინ შეპირდა ნელის, რომ დღეს უსათუოდ წაიყვანდა კინოში, ან თეატრში.

მაგრამ მატარებელი აგვიანებდა. ვახტანგი დარბაზში ვერ ისვენებდა, ნერვულად წინ და უკან დადიოდა და სადგურის მორიგეს წარამარა ეკითხებოდა, მატარებელი მალე მოვა თუ არაო.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, მატარებელმაც მოაყვია. დარბაზში შეყუყულები ხალხი აფუსფუს-

სდა. ვახტანგმა პირველმა გააღო კარი და ბაქანზე გავიდა.

საშინელი ქარი ქროდა სადგურის წინ ჩარიგებულ ხეებს კენწერობს მიწამდე აბრევიებდა. თოვლის ბუქს ჰაერში ატრიალებდა და ბაქანზე გაშლილ, ნათბილარ მგზავრებს, გაბრაზებით სახეზე აყრიდა.

ვახტანგი მატარებელში ჩაქდა.

— დასწყევლოს ეშმაკმა, რა მაგარი ქარი სცოდნია აქ — თქვა გუნებაში და ფანჯარას მიეყუდა.

უკან რჩებოდა თეთრად შესუდრული მთები, თოვლით გადალესილი ბორცვები, რკინიგზის გაყოლებით ბუქში გახვეული შენობები.

თბილისის სადგურზე დინჯად გადმოვიდა ვაგონიდან. აღარ ეჩქარებოდა. ათი საათი ხდებოდა და უკანასკნელ სენსზეც ველარ მოასწრებდნენ კინოში წასვლას.

ქვეითად გაუდგა ვზას. მოედანი გადაჭრა და სადგურის ქუჩით პლესანოვის პროსპექტზე დაეშვა.

ქარი კვლავ ონავრობდა, მაგრამ ის ძალა აღარ ჰქონდა, რაც წინათ. ასფალტზე დამჭდარი თოვლი ველარ აპქონდა ჰაერში, გაბრაზებული შენობებს ღმუილით აწყდებოდა და ზედ იმსხვრეოდა.

ვახტანგი უნებურად შეჩერდა.

— დღეს პირველი ხელფასი ავიღე, ხელცარიელი როგორ მივიღე შინ, რომ ნელის არაფერი ვუყიდო, — გაიფიქრა და პარფიუმერიის მაღაზიაში შევიდა.

ამ წუთში ათასი თუმანიც რომ ჰქონოდა ვახტანგს, თვალს არ დაახამხამებდა, ისე დახარჯავდა ნელის გულისათვის. მაგრამ ერთი ფლაკონი სუნამოს, პულრისა და პომადის მეტი, ვერაფერი უყიდა. უნდოდა თავისი ხელფასი უკლებლავ მიეტანა სახლში, ზოგიც სხვაგან ეშოვნათ და როგორმე გამოეხსნათ ლომბარდში დაგირავებული ნივთები.

მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ დღეს სახლში სადილი არა ჰქონდათ. დილას თათიამ თხუთმეტი მანეთი ძლივს ამო-

ქექა ჯიბიდან და იმითაც პური და ნავთი უნდა ეყიდა.

გახსენებზე გასტრონომში ერთი კილო შაქარი აიღო. იქვე ხორცს აძლევდნენ და კილონახევარი ააწონინა.

დაავიწყდა ლომბარდიც და ოჯახის გაჭირვებაც. გამყიდველს მექანიკურად აძლევდა ფულს და ვერც კი გრძნობდა, როგორ აღნებოდა ხელში. ერთ წუთს არ დაფიქრებულა, დღეს რომ ამდენი დახარჯა, ხვალ როგორ გაეტანათ თავი.

ნელი ცხვირჩამოშვებული დახვდა სახლში.

— სადა ხარ, ვახტანგ? აქი დღეს კინოში უნდა წავსულიყავით?! — შესვლისთანავე საყვედურით მიმართა მან.

— ნელი, მაპატიე გენაცვალე, ჩემი ბრალი არ არის. მატარებელს სახურავი ახადა ქარმა, ცეცხლი გაუჩნდა და... ამან დამაგვიანა. ახლა ჩამოვედი, პირდაპირ სადგურიდან მოვედივარ! — უთხრა და ხელში ჩაბღუჯული ნავაჭრი მაგიდაზე დააწყო.

ნელის სახე გაებადრა.

— ეს რა ვიყიდა? — ძალაუნებურად დაუტკბა ქმარს.

— ეხ, ბარემ ბევრი რამ მინდოდა შეყიდა შენთვის, მაგრამ ფულიც რომ გვჭირდება!

— რამდენი აილე ხელფასი?

— ხუთას ორმოცდაათი მანეთი მერგო ხელზე. აი, რა მოგიტანე! — ვახტანგმა შეხვეული გახსნა და ცოლს ღიმილით გაუწოდა სუნამო, პუდრი, პომადა.

ნელიმ კმაყოფილებით ჩამოართვა ქმარს საჩუქარი.

— ეს კიდევ, — განაგრძობდა ვახტანგი, — შენ რომ ნამცხვარი გიყვარს, სწორედ ის ვიყიდე! ეს ხორცია, კილონახევარი. ხვალ სადილს გაგაყიებთ. ეს კი, ვაშლი, შენი საყვარელი კამფეტო. ესეც ფული!

ვახტანგმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და იქიდან დაკმუტუნული ხუთმანეთიანების წყება ამოიღო. რომ დათვალა, გაუკ-

ვირდა. ასორმოცდაათი მანეთილა დარჩენოდა.

— არა მგონია ამდენი ფული დამეხარჯა, — გაიფიქრა მან და ჯიბეებს ქექვა დაუწყო.

ჯიბეები გადმოაბრუნა, მაგრამ კაპიკიანიც ვერსად ნახა.

— დავკარგე?! — გაოცებით გაივლო გულში და გაკვირვებისაგან წარბები მაღლა გაექცა, — სად უნდა დამეკარგა? ნუთუ ამომაცალეს?

ხელახლა გადმოაბრუნა ჯიბეები და რადგან ამჯერადაც ვერაფერი ნახა, ნელის მიმართა:

— აბა, ერთი ვიანგარიშოთ, რამდენი დავხარჯე!

ნელი გაოცებული მისჩერებოდა ქმარს და ვერ გაეგო, რაში იყო საქმიანგარიშეს.

სწორად გამოვიდა. დანახარჯი ოთხასი მანეთი იყო.

ფულის დაკარგვას დაიჭერებდა ვახტანგი და იმას კი არა, რომ დღევანდელი ნავაჭრი ოთხასი მანეთი დაუჭდებოდა.

ნელის გაეცინა.

— როგორ გეტყობა, რომ ფულთან არასოდეს გქონია საქმე! — ნიშნისმოგებით უთხრა ქმარს და თვალბუჩქით ჩახედა, — აი, ხომ დარწმუნდი, რომ ხელფასით ცხოვრება არ შეიძლება? სანამ სახლში მოხვდივოდი, შენი აღებული ფული, გზაშივე შემოგადნა. ასეა, ძვირფასო, როცა არ გიმსახურია, არც იცი, რა არის ხელფასი. ახლა ხომ მიხვდი? მითხარი, შეიძლება ხელფასით ცხოვრება? თუნდაც ყველაფერს თავი დავანებოთ, ამის შემდეგ, რა ეჭამოთ მეორე ხელფასამდე? ეს ასორმოცდაათი მანეთი სადამდე გაგყვება?

ვახტანგი სდუმდა, ხმას არ იღებდა. ნელი კი განაგრძობდა:

— დღეს დედა იყო ლომბარდში და ცუდი ამბავი მოიტანა. ერთი კვირის წინ განცხადება გამოუქრავთ: რემონტის გამო ლომბარდი სამი თვით იკეტება და ოცამდე, ვინც თავიანთ ნიე-

თებს არ გაიტანს, დაეკარგებაო. დღეს კი ჩვიდმეტია. ორ დღეში რომ არ გამოვიხსნათ, ნამდვილად დაგვეკარგება!

— გვეც ჩვენს ბედზე! — ნალვლიანად თქვა ვახტანგმა.

— სწორედ მაგას გეუბნებოდი ადრე, რომ ხელფასით ცხოვრება შეუძლებელია-მეთქი. შენ რომ ჭკუა გამოგეჩინა და სხვაგან, კარგ ადგილას დაგეწყო მუშაობა, ასე არ გავგიჟირდებოდა. პალიკო ჭვეყანას იცნობს, ისეთ სამსახურს გამოგინახავდა, უკეთესი რომ არ იყოს.

ამ სიტყვებზე ვახტანგმა თავი გვერდზე მიაბრუნა და მეუღლეს ნახევრად ზურგი შეაქცია.

— შენ კი არაფერი არ გესმის, — განაგრძო ნელიმ, — ჩასციებიხარ და აღარ ეშვები ამ მასწავლებლობას, თითქოს დიდი რამე იყოს! რად გინდა ისეთი თანამდებობა, ისეთი პროფესია, რა საპატიოც არ უნდა იყოს ის, თუ კი შშივრები მოვედებით? რას გვარგებს ჩვენ, ან ოჯახს მარტო სახელი, თუ სახარავიც არ იქნება? მაშაჩემი თუ მალაზიაში მუშაობდა და პროფესორი არ იყო, იმიტომ ვერა ვცხოვრობდით! იმიტომ ოჯახი არ გვექონდა მოწყობილი და მთელ ჩემს ამხანაგებში ყველაზე უკეთესად ჩაცმული მე არ დავიარებოდი? რამდენი ნასწავლი კაცი ვიცი, მთელი ომის განმავლობაში შიმშილით კუპი ეწვოდა და ახლაც ეწვის. მობრუნდის აქეთ, რატომ შემაქციე ზურგი. არ მოგწონს ჩემი ლაპარაკი?

ვახტანგი უხერხულად შეიშმუნა.

— შენ სწორად არა მსჯელობ, ნელი!

— ძალიანაც სწორად ვმსჯელობ! — ხმას აუწვია ქალმა.

— არა მსჯელობ იმიტომ, რომ...

— ვიცი, რაც უნდა მითხრა, — სიტყვა შეაწყვეტინა ნელიმ, — იმიტომ, რომ ნელის მხოლოდ და მხოლოდ ფული და კარგი ცხოვრება აინტერესებს, მეტი არაფერი! ეს უნდა გეთქვა, ხომ?

ვახტანგს ძალაუნებურად გაელიძა.

— რა თქმა უნდა, შენ ასე ფიქრობ ჩემზე და არც შემეცდარხარ, მეუფელი და სიმდიდრე მირჩენენ, უფროსს ვაძლევ და სიღარიბე. მეორის გარეშე ყოველთვის შეიძლება ცხოვრება, მაგრამ პირველის გარეშე საცოდაობა იქნებოდა. პალიკომაც დაამთავრა უნივერსიტეტი, მაგრამ იმის სახლში რომ შეხვიდე, გამოსვლა აღარ მოგინდება. კაცს ცხოვრების შნო უნდა ჰქონდეს.

— მერე საიდან? — ხმას აუწვია აქამდე გაჩუმებულმა ვახტანგმა, — რამდენი აქვს ხელფასი?

— ხელფასს რას უყურებ!

— მე არ მინდა პალიკოს გზას დავადგე და დემრთმა მაშოროს მისი საქმიანობა.

— არ გინდა და იყავი ასე, გაფხეკილი! ვნახოთ, როგორ ვიცხოვრებთ შენი ხელფასით.

— მუდამ ასე ხომ არ ვიქნებით. ცხოვრება გამოსწორდება, კალაპოტში ჩაღვება. ნუთუ არ გახსოვს, ათასი მანეთი რა ფული იყო ომამდე. თუ არა და, რატომ არ ფიქრობ იმას, რომ შემოდგომაზე ასპირანტურაში უნდა შევიდე? რომ სამ წელიწადში ზარისხს დავიცავ და კაცი გავხდები?

— მანამდე შიმშილით გავწყდეთ?

— შიმშილით არავინ გამწყდარა, მაგრამ თუ კი ვინმეს რაიმე შეუქმნია, განა გაჭირვების გარეშე შეუქმნია? გაჭირვება ჩვენი ცხოვრების თანამგზავრია და, სიმართლე გითხრა, მის გარეშე ცხოვრებას ინტერესი არა აქვს.

ვახტანგი გაჩუმდა. აღარც ნელის ამოუღია ხმა. გრძნობდა, სადღაც მართალი იყო ქმარი.

— მაშ ახლა რა გქნათ, ხალიჩა გავყიდოთ? — ისევ ნელიმ დაარღვია სიჩუმე.

— ახლა ხალიჩაზე მიდგა საქმე?

— აბა, რა გავაკეთოთ, შენზე ძალიან მე მენანება, მაგრამ ნივთები არ გამოვიხსნათ?

— უნდა გამოვიხსნათ!

— მერე რითი?

— ფულით!

— სად არის ეს ფული?!

— უნდა ვიშოვნო!

— მეც ვიცი, რომ უნდა ვიშოვნოთ, მაგრამ სად ვიშოვნოთ? მე ვეღარ მივალ პალიკოსთან სასესხებლად. რაც გეპარტებს, ნეტავ ის გადაუხადო!

— მე ვიშოვნი!

— სად იშოვნი?

— თედოსთან წავალ, ზვალ... — მძიმედ ამოიხენეშა ვახტანგმა.

— თედო იმავე წუთში ჩავიხრიალებს. იმ გაჭირვებულ კაცს ვინ მისცა ფული, ნეტავ თავისი ცოლშვილი და აძლოს შავი პურით.

— იმედი რომ არა მქონდეს, არ წავიდოდო.

— ღმერთმა ქნას, მაგრამ უარი რომ ვითხრას, რა გვეშველება? როგორ არ მინდა იმ ხალიჩის გაყიდვა. სადღა ვიშოვნით იმისთანას...

— რა გვეშველება და, ღმერთი მოგცემს!

— ხო... შენ ღმერთის იმედით იყავი, მე კი, აღარავის იმედი აღარა მაქვს, ისე გამოიტყდა გული...

— აღარც ჩემი, ხომ? — ვახტანგმა ცოლს გამომცდელად ჩახედა თვალბში.

— აღარც შენი! — ნელიმ თავი დაუქნია, შეტრიალდა და მეორე ოთახში გავიდა.

ვახტანგი სავარძელზე გადაწვა, თვალები მილულა. უცბად ეთერი გაახსენდა. გაახსენდა და მისი სიტყვებიც მკაფიოდ ჩაესმა ყურში. „მე ყველაფერს მოვიკლებ შენი გულისათვის, ჩაცმასაც და ჭამასაც, ვავლასაც და გამოვლასაც. ჩვენ მხარი უნდა ავუბათ ერთმანეთს. კაპიკი კაპიკს უნდა მიეუმატოთ და მანეთი მანეთს, ასე უნდა შეეჭმნათ ცხოვრება. თუ ვინმეს კარგი ოჯახი შეუქმნია, განა გაჭირვებითა და წვალებით არ შეუქმნია?“

ეთერზე ფიქრი თავიდან მოიშორა ვახტანგმა და სინანულით შეეკითხა თავის თავს:

— კი მაგრამ, რა საჭირო იყო, ერთ

დღეში ოთხასი მანეთი რომ დაეხარჯე? ხომ შეიძლებოდა ეს ამანხანა წელს ნელა გამოგვეზოგა? ფულს დავეჭრა უნდა, ჩემო ძმაო. ნახევარი თვის ხელფასი თუ ერთ დღეს დახარჯე, კი დაგეპარტება.

უნებურად გაახსენდა ბიძაშვილის ოჯახში გამომუშავებული მტკიცე კანონი; თედოს და ჩიტოს გამოზომილი და გამოანგარიშებული ჰქონდათ ზოლზე ფული ხელფასიდან ხელფასამდე; დღეში რამდენი უნდა დაეხარჯათ და, რომელ დღეს რა საჭმელი უნდა გაეკეთებინათ; იმაზე მეტის დახარჯვა, რაც ერთი დღისთვის იყო გათვალისწინებული, არ შეიძლებოდა.

მაგრამ ისიც კარგად იცოდა ვახტანგმა, რომ ეს „თედოსებური ცხოვრების კანონი“ მათ ოჯახს არ გამოადგებოდა. უფრო სწორად, მათ ოჯახში ფეხს ვერ მოიკიდებდა. ნელი ჩიტო არ იყო, რომ ზმელ პურზე, პამიდორის შეჭამაზე ან, როგორც თვითონ ეძახიან, უხორცო, ტყუილ სუპზე გადაეცლოთ; რომ ნელი ჩიტოს მდგომარეობას ვერასოდეს აიტანდა და არც ჩიტოს გამოადგებოდა ნელის ხელგაშლილი ცხოვრება.

— ეპ... არ ყოფილა ჩემი საშველი და ეგ არის! — გაიფიქრა და იმ ამბავმა უფრო დააღონა, რომ ზვალ ლოტიკინის გორაზე უნდა ასულიყო თედოსთან, ფულის სასესხებლად. დიახ, თედოსთან, თავის ბიძაშვილთან, რომელსაც ამდენი სიკეთე მიუძღოდა მასზე. ვახტანგმა კი ქორწილშიაც არ დაპატიჟა. მეორე დღეს დაუძახებთო. არც მეორე დღეს დაუძახეს და, რაც ცოლი შეირთო, ერთხელაც არ გახსენებია ისინი.

ახლა, როცა გაუჭირდა, როცა მათი თავი დასჭირდა, მაშინ გაახსენდა ბიძაშვილი, მაშინ გაახსენდა ჩიტო.

მერე და, როგორ ეშაადებოდნენ ისინი ქორწილში წასასვლელად. თედომ საგანგებოდ უყიდა ჩიტოს ახალი ჩითის კაბა, თხელი წინდები, ფეხსაცმელები. ლამაზად გამოაწყო, რომ უცხო ხალხში არ შერცხვენილიყვნენ.

საჩუქართან ერთად კობტად გამო-
ჩარბული ბიჭის შიბაქი იყიდა თედომ
ნეფე-დედოფლისათვის მისართმევად.
ვახტანგს წინდაწინ აჩვენა და უთხრა:

— შენს ქორწილში ისე უნდა ვიქეი-
ფო, რომ სახლს ჰქერი ავხადო და კედ-
ლები განზე გავწიო; ჩემი სიმღერა
პლუხანოვიდან ლოტკინის გორაზე ამო-
ვიდესო; თანაც ისე უნდა ვიქეკვო,
რომ მთელი შენი ქორწილის ხალხი გა-
ვახუნო, ყველა მე მიყურებდესო, ქა-
ლებს ჩემზე რჩებოდეთ თვალიო.

მწარედ აგონდებოდა ვახტანგს ეს
სიტყვები. სინდისი ქეჩნიადა.

— კი მაგრამ, რა ნამუსით უნდა მი-
ვიდე მათთან და ვუთხრა, ფული მა-
სესხეო. რას იტყვის თედო, ან ჩიტო?
თუნდაც პირში არაფერი მითხრან,
გულში ხომ იფიქრებენ? არა, მე ვერ
წავალ თედოსთან ფულის სასესხებლად.

ვახტანგს ახლა უფრო მეტად დაუ-
წყო გულმა ტყვილი, მაგრამ სხვა რა
გზა ჰქონდა? სოფელში დედას რომ
მისდგომოდა, სად ჰქონდა ღილილი
ფული? მას ისეც უჭირდა და, ალბათ,
თვალი თბილისისაკენ ჰქონდა, მოვა
შვილი და დაგვეხმარებო.

არა, ვახტანგი ვერ წავა დედას-
თან ფულის სათხოვნელად; როგორც
არ უნდა უჭირდეს, ღილილი ვერ გა-
უწვდის ხელს. ის მხოლოდ მშინ წა-
ვა სოფელში, თუ თავის პატარა ძმებს,
თავის საყვარელ სოსოს და გოგიას, ათას
გაპირვებაში გამოვლილ, ცხოვრებაში
ნატანჯ დედას რაიმეთი დაეხმარება. ღი-
ლილომ რითიც შეეძლო, ქორწილის
დროს დაეხმარა მას. ღილილომ თავისი
ნიშნობის ხუთმისხლიანი ბეჭედი მიარ-
თვა რძალს. ცოტაოდენი ღვინო და სურ-
სათიც ჩამოუტანა.

ახლა რა ჰქონდა და რითი დაეხმარე-
ბოდა?

არა, ვახტანგი ვერ წავა სოფელში.
ისეც თედოს უნდა მიადგეს სახლში. თე-
დოს უნდა სთხოვოს ფული, სხვა გზა
არა აქვს.

ლოტკინის გორაზე ჰქონდა ქაჩას ტელე-
ტრონის ბოძებზე მავთულები დაეგლი-
ჯა, ზოგიერთი სახლისათვის სახურავი
აეხადა და ბალებში ახალტანაყრილი
ნარგავები შუაზე გადაემტვრია.

ესეუდ ამინდი იდგა. რომ იტყვიან,
ძალი არ გაიგდებო, სწორედ ისეთი.
ქუჩებში ადამიანის ჰკანება არ იყო.
ყველა სახლებში შებუდულიყო და
კარში გამოსვლას ვერავინ ბედავდა.

ქარი კი კვლავ ონავრობდა, ღმუოდა,
ზუზუნებდა, გაჰქონდა და გამოჰქონდა.
ღილიმ მინდვრებიდან თავაწყვეტილი
ტყვიასავით ასკდებოდა ლოტკინის ლა-
რიბულ ქოხმანებს და თოვლის კორი-
ანტელში ხვევდა.

ამ საზარელ ამინდს ლოტკინის გო-
რაზე თითქმის ყველა მცხოვრები შეე-
წყულებინა, შეეფიქრანებინა, სადარდე-
ლი გაეჩინა.

მაგრამ ბუნების ეს საოცარი მრისხა-
ნება თედოს და მის ოჯახს აინუნშიაც
არ მოსდიოდა.

თედოს რცხილის მაგარი შემით თუ-
ნექის ღუმელი გაეხურებინა, სახლი
აბანოსავით გაეთბო, თვითონ ბავშვ-
ების შუა ჩამკდარიყო და „ჩწყილისა და
ქიანქველას“ ზღაპარს უყვებოდა.

ბავშვები გასუსული უსმენდნენ ამ
ორი ძმობილის თავგადასავალს. ცა-
ლი თვალით თან ღუმელზე შემომდ-
ვარ თანგირა ქვაბისაკენ ყელყელობ-
დნენ. ქვაბში ღორის მსუქანი ხორცი
იხარშებოდა და ოთახში მადის აღმძვ-
რელი სურნელება დაეყენებინა.

თედომ დაამთავრა ზღაპარი. მიხვდა,
ბავშვებს პური მოშივნოდათ. ზეზე წა-
მოდგა, ცეცხლს შეუჩინჩხარა და მერე
ჩიტოს მიმართა!

— ჩიტო, გაშალე სუფრა, პური ვკა-
მოთ!

— ამ წუთში! — უთხრა ჩიტომ. თე-
ფშები მაგიდაზე დააწყო, კილობნიდან
შავი პური გამოიღო და დანას წამოავ-
ლო ხელი.

— რამდენჯერ უნდა ვითხრა, დანიო

ნუ იცი-მეთქი პურის დაჭრა, — შეუტია თედომ ცოლს, — დანით დაჭრილ პურს, არც გემო აქვს, არც ბარაქა. აი, ასე უნდა დაამტვრიო, აი!

თედომ ხელიდან გამოსტაცა პური. ჯერ შუაზე გახლიჩა, მერე ვეება ნაჭრებად დაამტვრია და პირდაპირ სუფრაზე დაახვევა.

ჩიტოს ღიმილი მოერია.

— სოფელში ხომ არ ხარ, ადამიანო, თბილისში ცხოვრობ!

— სულერთია! — კიდევ რაღაც უნდა ეთქვა თედოს, მაგრამ სათქმელი შუათანა ბიჭმა, ყარამანმა შეაწყვეტირა.

— მამიკო, მამიკო! — წამოიძახა მაღალი ხმით და თედოს კალთაზე მიეკრა.

— რა იყო, შვილო?

— ის რწყილი და ქიანჭველა ახლა ერთად ცხოვრობენ?

— ერთად ცხოვრობენ, შვილო, მაშ! — თავზე ხელი გადაუსვა ყარამანს, — ისევ ერთად შრომობენ, ისევ მეგობრები არიან. აი, თქვენც რომ დიდები გაიზრდებით, უნდა გიყვარდეთ მეგობრობა, შრომა. უშრომლად ცხოვრებას ვერ მოეწევით, შვილო.

ბავშვები მაგიდას შემოუსხდნენ. თედო შუაში ჩაუჭდა. ჩიტომ ქვაბიდან თეთრი ლურთი ამოიღო, მსხვილ ნაჭრებად დასჭრა და ბავშვებს ჩამოურვიდა.

ბავშვებმა ვაშლივით დაუწყეს კბეჩა მსუქან ხორცს.

გარეთ კი ისევ ბობოქრობდა ქარბუქი. წიოდა, თოვლის კორიანტელს პირდაპირ კარ-ფანჯრებს აყრიდა, მაგრამ თედოს ქვატალახა სახლს ვერაფერს აკლებდა. ფრთებდამტვრეული ქარაშოტი ახლა სხვა სახლებსავე გაინავარდებდა და თავაწყვეტილი ნახევრად თოვლში ჩამარხულ ქობინებს აწყდებოდა.

თედო საუზმეს მორჩა. ლუმელს შუა შეუკეთა და ტახტზე წამოგორდა.

ბავშვებმაც დაამთავრეს პურის ქაში. მამას მიესივნენ. ზოგმა მკერდზე დაუ-

წყო ცოცვა, ზოგიც აქეთ-იქიდან წამოუწვა და კოტრიალი დაიწმინკენულნი

— მამიკო, კიდევ გვიტხარო! სულმხარი, მამიკო! — არ ეშვებოდა ყარამანი, მკერდზე აცოცდებოდა და თან უღვაშებს უწიწნიდა.

თედოს მოსწყინდა ბავშვებთან თამაში.

— დამეკარგენით აქედან, თქვე მამაძალღებო, თქვენა! — დაუტატანა ხმამაღლა და თითი საწოლისაკენ გაიშვირა, — წადით და იქ იკოტრიალეთ!

ბავშვები მიხვდნენ, რომ მამა ზღაპრის გუნებაზე აღარ იყო, თავი დაანებეს და საწოლზე დაიწყეს ბლაბუნა.

— მამი, მე რომ დიდი გავიზრდები, ძია ვახტანგევით კარგად უნდა ვისწავლო! — გადმოსძახა ნიკომ.

— ხო, შვილო, ხო! — უპასუხა თედომ და ვახტანგის ხსენებაზე უნებურად ფიქრს მიეცა.

სამი თვე იყო, რაც იგი მათთან აღარ ცხოვრობდა, და ამ ამბავს ჯერ კიდევ ვერ შეგუებოდა.

— დაგვივიწყა, ნამდვილად დაგვივიწყა, ჩიტო, იმ ბიჭმა. რას იტყვი შენა? — გულსიტკივილით ამოთქვა თედომ თავისი წუხილი.

— ვინ ბიჭმა, რას ამბობ, ადამიანო?! — იკითხა ქურჭლის რეცხვით გართულმა ჩიტომ ისეთი ხმით, თითქოს მართლა არ იცოდა, ვისზე ეკითხებოდა ქმარი.

— ვახტანგმა! წარმოგიდგენია? არც ქორწილში დაგვპატიყდა და, რაც ჩვენგან წავიდა, ერთხელ აღარ გამოუვლია, გავგო, როგორ ვცხოვრობთ.

— ეე... რა ვიცი, ჩემო თედო, — გულსიტკივილითვე უპასუხა ჩიტომ. — ასე ყოფილა, კაცს მაშინ უნდისხარ, როცა სჭირდება.

— ვითომ?

— აბა, რა! ის ახლა ღმერთივით ცხოვრობს, შენ რატომღა მოაგონდები, რა!...

არ მოეწონა თედოს ეს სიტყვები.

— არა, ჩიტო, მაგის თქმა როგორ

გამდნარი ჭირბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა და თედრს უპასუხა:

— დავიწყე მუშაობა! გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, არ გავიგონია?

— მერე შენ რა გავიჭირდა, მშვენიერ ოჯახში შეხვედი.

— ეჰ, ჩემო თედო, არც ეგრება საქმე, როგორც გგონია!

— რატომ, ბიჭო?

— მართალია, სახლი მოწყობილი გვაქვს, მაგრამ ცხოვრება ხომ გვინდა? ჩაცმა-დახურვა ხომ გვინდა?! თუ არ იმუშავე, ისე ოჯახს როგორ შეინახავ? ჩემს სიდედრს... — უნდა ეთქვა, ლომბარდში ნივთები დააგირავა და ქორწილი ისე გადაგვიხადაო, მაგრამ ენას კბილები დააჭირა, თავი არ გავცეო.

— მერე და აქ ვერსად გამონახე კარგი ადგილი?

— რომ გამომენახა, იქ ხომ არ წავიდოდი. დილის ექვს საათზე შინიდან რომ გავდევარ, საღამოს ცხრა საათზე ძლივს ვბრუნდები შინ, მაგრამ რა ვქნა..

— რაზე მუშაობ, იქ?

— ბავშვთა კოლონიაში. აღმზრდელ-მასწავლებლად!

— ბავშვთა კოლონიაშიო? — გაკვირვებით შეხედა თედომ. — კოლონიაში რა გინდა, ბიჭო?!

— შენ ისე ლაპარაკობ, ჩემო თედო, თითქოს ამ ქვეყანაზე ახლა გაახილე თვალები. შეე კაი კაცო, მავას ვინ ჩივის, იქაც ძლივს გამოვნახე ადგილი.

— კი მაგრამ, ასე ძნელია? — კითხვას კითხვაზე აყრიდა თედო, — მამ ამდენი ხალხი რომ სწავლობს, ტყუილა სწავლობს?

— რაიონებში ავხანეიან. ვისაც რაიონში წასვლა არ უნდა, ისინიც ჩემს მდგომარეობაში არიან. როგორ წავსულიყავი იქ, როცა ოჯახს აქ მოვეკიდე... თედო ჩაფიქრდა.

— სცადე და არაფერი გამოგივიდა?

— ვცადე რომელია... მთელი თბილისის სკოლები ავაწრიალე და ყველგან უარი მითხრეს, მინისტრის მითხრეს თანაც კი ვიყავი.

— მერე რა ვითხრა?

ვახტანგმა ხელი ჩაიქნია:

— რას მეტყოდა... უარით გამომისტუმრა.

თედომ ისევ შეუჩინჩინა ლუმელს და საყვედურზე გადავიდა...

— მერე და, შე ლემრთძალლო, ასე უნდა დაგვივიწყო? რაც ჩვენგან წახვედი, ერთხელ აღარ გვინახულე.

— რას იზამ, ზოგჯერ ხდება ხოლმე!

— არ უნდა მოხდეს. ნუთუ არ დაგაინტერესა გაგეგო, როგორ ვცხოვრობთ?

თედომ საყვედურის თქმით გული რომ იჭერა, საუბარი ახლა სხვაზე გადაიტანა.

— ღორი რომ დავკალი, რამდენს გნატრობდი, ბიჭო, ნეტა ახლა მაინც ამოვიდეს-მეთქი. — ეუბნებოდა ის, — ლუკმა პირში არ ჩამდიოდა, ყაბურმა უშენოდ შევქამე. იცი, რა გახდა ჩვენი ღორი, ვახტანგ? აი, — თედომ მკლავები გაშალა განზე, — მართო მუცლის ქონი ერთ ფუთამდე გადავადნეთ. აბა, შეხედე, რამხელა ნაჭრები ამოვიდა!

ვახტანგმა მალა აიხედა, შეათვალიერა ხორცის ნაჭრები, რომლებიც წვრილი თოკით იყო ჩამოკიდებული ჭერში. ლუმელის სითბოზე და კვამლზე ხორცი ზომიერად შებოლილიყო და წითლად დაბრაწული, გულის გასახარად გამოიყურებოდა.

— ჩიტო, — მიუბრუნდა თედო ცოლს, — არ დამავიწყო, წასვლისას ვახტანგს ღორი გავატანოთ!

— რა საქირთა, — უხერხულად შეიშმუშნა ვახტანგი, — თქვენ ისეც ბევრი ხართ.

— მერე რა მოხდა. ხომ გავიგონია,

ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო. ხოდა, ჩემი ღორის ხორცის გემო შენ არ უნდა ნახო?

— აუცილებელია?

— რატომაც არა! დილით სამსახურში რომ წახვალ, თითო ნაჭერს მოითლი და ისე გემრიელად დაგანაყრებს, რომ...

ვახტანგმა ხმა არ ამოიღო. თავი ჩაღუნა და გონებაში ათასი უსიამოვნო ფიქრი აერია.

— ადამიანო, — ღიმილით მიმართა ჩიტომ ქმარს, — შენ რომ არ მითხრა, მე არ ვიცი? ისა ჰკითხე, როგორ მოეწყო ახალ ოჯახში, როგორ შეეგუა იქაურობას, როგორი ხასიათისაა წელი.

— მართალი ხარ, ჩიტო, მართალი. მაგრამ პირში ხომ არ მივახლი! მოიცა, დაისვენოს, სული მოითქვას, გათბეს!

— ისევე რა ვითხრა, შენა, — ქოქოლა მიყარა ჩიტომ ქმარს, — ე ღორზე ლაპარაკით კი თავი მოაბეზრე და...

მერე ვახტანგს მიუბრუნდა.

— კი მაგრამ წელი როდის უნდა მოიყვანო ჩვენთან?

— ვინახულებთ, ჩიტო. აუცილებლად ვინახულებთ!

— როდისღა? ბოლოს და ბოლოს, სირცხვილია. მაზლიციოლები ვართ და ერთმანეთს არ ვიცნობთ!

— დათბება და აუცილებლად მოვალთ. ერთხელ ხომ ნახე?

— ერთხელ კი ვნახე, მაგრამ ჯერ ხომ ჩვენს ოჯახში არ ყოფილა. ვერ წარმოიდგენ, როგორ მინდა ნახვა. აბა, შენ იცი, თუ იმედს არ გამიწიბილებ. მართალია, ღარიბები ვართ, მაგრამ თუკი გვიკადრებს, სულსა და გულს არ დავიშურებთ.

— გმადლობთ, ჩიტო, გმადლობთ. აუცილებლად ამოვიყვან ამ მოკლე ხანში. წელი ისეთი არაა, რომ არ გვიკადროთ. ძალიან უბრალოა! ახლოს რომ ვაიციან, დარწმუნდები.

— მერე და, შენ ღმერთმადლო, ქორწილში რატომ არ დაგვპატიყე? — ახლა კი ვეღარ მოითმინა თედომ. ღიმი-

ლით შეაპარა თავისი სათქმელნი, რომელიც გულში ხინჯად დაეკონდა. ნაკოლილი.

ვახტანგი უხერხულად შეიშმუნა.

— ეჰ, თედო, არა მჭონია ქორწილი. თორემ თქვენ როგორ გამოგტოვებდით!

— გეხუმრები, ვახტანგ, გეხუმრები, — თავისი სიტყვები თვითონვე ინანა თედომ. რად ვუთხარიო — მჯერა, არ გამოგტოვებდი.

— თქვენც რომ გამოიაროთ ჩვენსკენ, კი არ გაწყენთ. მართლა, სოფელში ხომ არ გაგივლია?

— აღარ გამივლია!

— რამდენი ხანია, წასვლას ვაპირებ და ვერა და ვერ მოვახერხე. მას აქეთ დედაჩემი აღარ მინახავს. ვინ იცის, თვალები გზისკენ დააწყდა. ოხ, ღმერთო ჩემო, — მძიმედ ამოიხრა ვახტანგმა, — გაძალდა ეს ცხოვრება. რამდენი რამ ვინდა და ვერაფერს გამძღარხარ...

ჩიტო თავისებურად დატრიალდა. ღუმელზე სახელდახელოდ ერბოკვერცი მოწვა, მერე ბასტურმად ჩადებული მკლე ხორცი შამფურზე ასახა და ნაკვერჩხალზე შეწვა. შემწვარი მწვადი საინზე დაახვავა და ქართული, ოშორული ხახვი რომ არა ჰქონდა, თათრული ხახვი დააჭრა. საინს ზემოდან თეთვში დააფარა, რომ ხახვი ცხელი მწვადის ორთქლში ჩათუთქულიყო და სიმწარე დაეკარგა. ამას რომ მორჩა, ვახტანგისეულ ოთახში გავიდა, იქიდან პაჭიდორის ბაქმაში. მწვანილი, ტყემალი და გადამალული ერთი ბოთლი პიტნის ნაყენი გამოიტანა.

თედომ პიტნის ნაყენი რომ დაინახა, თვალები სიხარულით გაუბრწყინდა და ვახტანგს უთხრა: — სინდისს გეფიცები, თუ ეს ნაყენი ღვინოს არ მერჩივნოს.

— ყოველ პურის ქამაზე მოიტა-მოიტას რომ ვაიძახი, რომ არ გადამემალა, ახლა რას იზამდი?

— ხომ ვითხარი, ყოჩალი ხარ-მეთ-

ქი. იმიტომაც ვაფასებ, შენ გენაცვალოს თედო, შენა!

ჩიტომ ქოქოლა მიყარა ქმარს. სუფრა ვააწყო. თედომ მკლავში ხელი მოკიდა ბიძაშვილს.

— აბა, მოდი, ნახე, რა გემოსია, — უთხრა და მავიდაზე მიიწვია.

ვახტანგმა კარგად იცოდა ბიძაშვილის ხასიათი. იცოდა, რომ თავისას გაიტანდა. აღარ ახვეწინა. ძალაუნებურად დაემორჩილა და უგუნებოდ მიუჭდა სუფრას, მაგრამ ქამაზე უარი თქვა.

თედო აძალებდა, აიღე, ნახე, რა გემორიელი შწვადიაო. მაგრამ იგი არაფერს იღებდა. არც ნაყენი დალია. ჩაფიქრებული იჯდა და მისი ლაპარაკი ნახევარიც არ ესმოდა.

— რა დაგემართა, ვახტანგ, ხომ არაფერი გაწუხებს? — შეცბუნებული ეკითხებოდა თედო.

ვახტანგი სდუმდა.

— მითხარი, გიჭირს რამე?

— არაფერი!... რა უნდა მიჭირდეს! — უგუნებოდ უპასუხა ვახტანგმა.

თედო ბიძაშვილს დააცქერდა. ახლა შენიშნა, გამხდარი იყო: ყოველდღე სიარული რა ხეირს დააყრისო, — გაიფიქრა.

— ვიცი, რომ ასეთ გადარეულ ამინდში უმიზეზოდ, ჩვენს სანახავად არ ამოხვიდოდი, — დაეკვივებით უთხრა მან, — მითხარი, რა გიჭირს და, თუ კი რაიმე შემიძლია, ჩემი თავი შენ გენაცვალოს!

ვახტანგი კვლავ სდუმდა. ძალზე ეძინებოდა იმის თქმა, რისთვისაც იყო მოსული. სირცხვილით სახე ეწვოდა და ბიძაშვილისათვის თვალი ვერ გაესწორებინა.

ბოლოს, როგორც იყო, დასძლია სინდისის ქენჯნით გამოწვეული მოკრძალება, თავი მალა ასწია, მასპინძელს პირდაპირ შეხედა და უთხრა:

— მართალი ხარ, ჩემო თედო. უმიზეზოდ არ მოვსულვარ შენთან. ისე ვის გაახსენდება. დამჭირდა შენი თავი და, აკი კიდევაც გამახსენდი. აბა, რა მექნა,

სხვაგან წავსულიყავი? — ეს სიტყვები ისეთი ხმით წარმოსთქვა, ეფედოსე შეეცოდა.

— სხვაგან რატომ უნდა წასულიყავი, გამაგებინე რაშია საქმე და, ხომ გითხარი, თუ კი რაიმე შემიძლია, ჩემი თავი შენ გენაცვალოს!...

— ფული მინდა, ჩემო თედო, ფული!... — ძლივს ამოღერდა ვახტანგმა სათქმელი.

— რად გინდა, ბიჭო, ფული?!

— ნივთები უნდა გამოვიხსნათ ლომბარდიდან.

— რას ამბობ, სალომბარდედ დავიგდათ საქმე?!

ვახტანგმა მოკლედ უამბო თავისი ვასაკირი.

— კაცო, მე შენი იმედი მქონდა, რომ ნასწავლი, ფულიანი ბიძაშვილი მეყოლება-მეთქი. შენ კი... მერე და, მაგან დაგაღონა? რას ნიშნავს ცხოვრებაში გამოცდილი რომ არა ხარ! რამდენი გინდა?

— ორასი თუმანი, თუ კი გაქვს ამის საშუალება!

— სწორედ ორასი თუმანი მაქვს გადანახული. ამ ვაზაფხულზე ლენინგორში ვაპირებ წასვლას ვოჭების საყიდლად. თუ მანამდე მომცემ, ხომ კარგი, თუ არა და... წაიღე ძმაო, როგორ დაგიჭერ!

— ისევ მალე დაგიბრუნებ, თედო!

— როცა მომცემ, მეც მაშინ ვიყიდი. აბა, რა ვქნა. შენ თუ არა, სხვას ვის უნდა გავუმართო ხელი?

ვახტანგი ხასიათზე მოვიდა. გუნება დაეწმინდა.

— ახლა კი სიამოვნებით დავლევ, თედო, შენს არაყს, — მხიარულად წამოიძახა და ჭიქა ასწია, — გაგიმარჯოთ, კარგად იყავით! აი, ეს ბიჭები ისეთი ვაეკაცები დაზრდილიყვნენ, არა მარტო თქვენ, მთელი საქართველო გაეხარებინათ.

— გამაღობთ, ჩემო ვახტანგ, გამაღობთ, — სახე გაებადრა თედოს, — შენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა.

ბიძაშვილები ლაზათიანად შეზარ-
ხოშდნენ. ლაპარაკით გული რომ იჯე-
რეს, ვახტანგი ზეზე წამოდგა და წა-
სასველელად მოემზადა.

თედომ ღორის ერთი ბარკალი ჩამო-
ხსნა ჭერიდან და გაზეთში შეახვია. მე-
რე საქორწინოდ ნაყიდი ბიჭის შიბაქი
და ქალის ერთი წყვილი საზღვარგარე-
თული თხელი წინდა ამოიღო სკივრი-
დან, ისიც გაზეთში შეახვია და ხორც-
თან ერთად ვახტანგს გაუწოდა.

— ქორწილში ვერ მოგართვით და
ახლა გაძღვე, — უთხრა ღიმილით, —
წაიღე და, მცირეზე ნუ დამძრახავ, თუ
შმა ხარ!

— რას ამბობ, თედო. რატომ სწუხ-
დებოდი. ახლა შენ საჩუქრისათვის
გკალიან?

— ბარემ ასე არ მინდოდა, მაგ-
რამ... — აღარ დაასრულა თედომ.

ვახტანგი გამოემშვიდობა თედოს,
ჩიტოს, ბავშვებს. „ხელის გამართვი-
სათვის“ ერთხელ კიდევ გადაუხადა
მადლობა. მერე პალტოს საყელოთი
ყურები დაიფარა, ქული შუბლზე ჩა-
მოიფხატა, კისერი მხრებში ჩარგო და
კარში გავარდა.

გარეთ ისევ ონავრობდა ქარ-ბუქი.
ღმუღოდა, წიოდა, ზუზუნებდა და ნამ-
ქერს სახეზე აყრიდა. ისეთი ძალით
უჯახებოდა, ნაბიჯის გადადგმა უჭირდა.

ფრთხილად ჩაიარა ლოტკინის დაღ-
მართი და ტრამვაის გაჩერებასთან მი-
ვიდა. მხოლოდ ახლა აიწია ქული, თვა-
ლებზე რომ ჰქონდა ჩამოფხატული. მი-
იხედ-მოიხედა. ტრამვაი არ მოძრაობ-
და. ქუჩაში აღამიანის ქაქანება არ იყო.

გაავებულ ქარს ელექტრონის მავთული
დაეგლიჯა და მისი ერთი წვერი მიწის-
პირად ქანაობდა. ეტყობა, მეფორნეს
ვერ შეენიშნა თოვლის კორიანტელში
დაზიანებული ხაზი და ფორანი ზედ
მიეყენებინა. დენს ცხენი მოეკლა. პატ-
რონს ისევე მიეტოვებინა ფორანი და
წასულიყო. ფორანში შებმული, გათო-
შილი ცხენი, გაშხლართული ეგდო
რელსებზე.

მოკლულმა პირუტყვმა ვახტანგს ერ-
თი წამით ფრონტი გაეჭყნა და სველ
ნაბიჯზე რომ ხედებოდა, ხელში მუყაყუმ-
ბარებისაგან დაფლეთილი ცხენების
გახრწნილი მძორები.

აღარ დაელოდა ტრამვაის. ქვეი-
თად გაუყვა გზას. მალე რკინიგზის ბი-
დი გადაიარა და სადგურის ქუჩით პლე-
ხანოვის პროსპექტზე გავიდა.

— კი მაგრამ. ეს ფული, როდის უნ-
და ჩავასესხო თედოს? — მხოლოდ ახ-
ლა შეეკითხა თავის თავს.

უნებურად წამოჭრილ კითხვას პასუ-
ხი ვერ მისცა. აბეზარი ფიქრები უკუ-
ავდო და, იმ ამბით გახარებულმა, რომ
სახლში ხელკარიელი არ ბრუნდებო-
და, თანაც დღეს ნელისთან ერთად კი-
ნოში წავიდოდა, ღიღინით აუჩქარა ნა-
ბიჯს.

IV

გაპირებული ზამთარი სულს ღა-
ფავდა. ოშორის ველ-მინდვრებზე
თოვლი დამდნარიყო. მარტო თრიალე-
თის მთებს ეხვიათ თავზე ზამთრის
თეთრი მანდილი. ამ მანდილს როცა
მოიხდიდა მთები, მაშინ ნამდვილი გა-
ზაფხული იწყებოდა ქართლში, ლამაზი
გაზაფხული.

ხალხი ადრეიანად გამოსულიყო ბალ-
ვენახებში საბარავად, საგაზაფხულო სა-
მუშაოების ჩასატარებლად.

ვინ ვაზს სხლავდა, ვინ სარისათვის
ნერგებს კაფავდა და ჩეკდა, ვინ ღობეს
ასწორებდა.

ზოგიერთებს ადრეული ხანვისა და
ნიორის დათესვაც კი მოესწრო, მაგრამ
თრიალეთის სუსხი ჯერ კიდევ მწარედ
იკბინებოდა და მიწაში ჩაგდებულ
თესლს გაღვივების საშუალებას არ
აძლევდა.

სოსოს ვენახში ხმელი კაკლის ხე
მოეჭრა, კოლმეურნეობის ხარკამეჩე-
ბით კარებზე ამოეთრია და სჭრიდა.

ვოგია სოსოს მიერ დაჭრილ შემას
ეზიდებოდა, აივანზე აჰქონდა და ერთ
კუთხეში ალაგებდა.

ლილილოს კი ღუმელი ლაზათიანად გაეხურებინა, ზედ თიხის ქვაბ-ქოთანა შეედგა და ლობიოს ხარშავდა.

სოსომ დაამთავრა კაკლის ასხევა და დაჭრა. თვითონაც მიეხმარა ძმას. შეშა აივანზე დათაქრეს, ტანსაცმელი დაიბერტყეს და სახლში შევიდნენ.

ღუმელი საამურად ღულუნებდა, ოთახში სასიამოვნო სითბო ტრიალებდა, ქვაბქოთანა თუხთუხებდა და ლობიო იხარშებოდა.

ლილილომ ხახვი მოწვა ზეთში, ლობიოს უყო. მერე გამხმარი ქინძისა და ქონდრის სუნელით შეაზავა და ამოზილა.

სანამ იგი ამ საქმეს მორჩებოდა, სოსომ თევზები გამოიღო კარადიდან, ცხელი ქულიკანა ხელით დაამტვრია და ძმასთან ერთად თვითონაც მაგიდას მიუჯდა.

შიოდათ. მადიანად დაუწყეს ლობიოს ჭამა. სული რომ შოითქვეს, დაღლილ-დაქანცული ძმები ღუმელის გვერდით ტახტზე წამოგორდნენ და ძლივს თავისუფლად ამოისუნთქეს.

— დღეს მართლაც რომ კარგი საქმე გავაქეთეთ, არა, დედი? — წარმოსთქვა მუშაობით კმაყოფილმა სოსომ და გოგიას სიყვარულით ხელი გადახვია. — ამანაც რომ ივარგა, არ უყუარებ? ერთხელ არ წამოსცდენია, დაეილაღეო.

ლილილოს გაეცინა.

— ყოჩალი ბიჭია, ჩემი გოგია, ყოჩალი! — აღერსიანი ხმით თქვა ლილილომ და ნაბოლარას გადახედა, რომელსაც ზაფხულში მზისაგან აქერცლილი სახე ახლა ისე დასწმენდოდა, კამკამი გაჰქონდა.

დედის შექებაზე გოგია ძუძუს გოჭივით გაიტრუნა, სახე მუთაქაში ჩაყო. წიღან, სიცვიის გამო, ცხვირიდან ცინგლი რომ სდიოდა, ახლა, სითბოზე, ლოყები ნაზუქის კვერივით დაბრაწოდა და სოსოს ტლინკებს სცემდა.

სოსო მოფერებით კისერში უღიტინებდა ძმას. გოგია კი ლობიოს ქოთანი-

ვით ხითხითებდა, ხითხითებდა და თან ტლინკებს ისროდა.

დაილაღნენ ცელქობით, სოსომ ჩუქრავდა შეაქცია გოგიას და დედას მიმართა:

— დაჯექი, დაისვენე. არ გეყო ამდენი ფუსფუსი?

— ქურჭელს შევალაგებ და მერე დავისვენებ.

ლილილომ შეალაგა ქურჭელი, ღუმელს ხელახლა შეუქეთა გამხმარი კაკლის ტოტები და შვილების გვერდით სამფეხა სკამზე ჩამოჯდა.

— ეს კაკალი რომ არ გვედგომოდა, ალბათ, სიცვიით გავწყდებოდით!...

— შენ ეგა სთქვი, და! — დაუდასტურა სოსომ.

— ღმერთიც უშველის გივის, ხარკამეჩები რომ გვათხოვა. როგორ ამოვათრევედით ამხელა ხეს.

— ვუთხარი თუ არა, წარბი არ შეუხრია. დედა როგორ არისო, მკითხა. ხომ არაფერი გიჭირთო...

— ძან ივარგა გივიმ. ასეთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯერ არ გეყოლიაო, ყველა ამას გაიძახის. — ლილილო ერთ წუთს ჩაფიქრდა და განაგრძო: — ვახტანგსაც რომ აქ დაეწყოს სამსახური, განა ცული იქნებოდა? მაგრამ როდი დამიჯერა, შვილო.

სოსომ არაფერი უპასუხა. ლილილო ფიქრებს მიეცა. ოთახში სიწყნარე ჩამოწვა. ეს სიწყნარე ჯერ ძალღების გაბმულმა ყმუილმა დაარღვია, მერე კიბუხე ადამიანის ფეხის ხმაც გაისმა.

ლილილოს გული შეუქანდა. სმენა უფრო მეტად დაეძაბა. ის იყო სკამიდან წამოიწია, რომ კარები ფართოდ გაიღო და ოთახში ვახტანგი შემოვიდა.

— ვახტანგ! — თითქმის სამივემ ერთად წამოიძახა. ზეზე წამოკვიდნენ. ვახტანგი ჯერ დედას გადაეხვია, მერე ძმებს.

— სადა ხარ, შვილო, ერთხელ აღარ მოგვაკითხე, დედა გენაცვალოს! — უთხრა და შვილს სკამი დაუდგა.

ვახტანგი ჩამოყდა. გოგია მუხლზე დაისვა.

— ნუ მკითხავ, დედი... ჩემი ამბავი რომ იცოდე, არ მისაყვედურებ!

— რა ამბავი, შვილო, ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა?

— სამსახური დავიწყე და პირდაპირ გაწამებული ვარ!

— იმიტომაც გამხდარხარ, შვილო! — ღიღილომ თავზე ხელი გადაუსვა სიყრმის შვილს, — როგორ არის ნელი?

— კარგად!

— გოგიას ისე უნდა ნახვა, ლამის თბილისში გამოიქცეს. ამტენია, გინდა თუ არა, წამიყვანეო.

ვახტანგმა სიყვარულით ჩაიკრა გულში უმცროსი ძმა და ერთხელ კიდევ დაკოცნა.

— დედა მართალს ამბობს, ბიჭო გოგი, ნელის ნახვა გინდა?

— მინდა, მაშ? რატომ არ მოიყვანე?

— აბა, როგორ მომიყვანა, პირდაპირ წამოვედი. ახლა მალე დათბება და ხშირად მოვალთ ხოლმე. გინდა წაგიყვანო თბილისში, წამოხვალ?

— წამოვალ, — მტკიცედ წარმოსთქვა გოგიამ.

— წაიყვან, დედი! — მიუბრუნდა ვახტანგი ღიღილოს.

— ტანთ არ აცვია, შვილო. სირცხვილია!

ვახტანგმა მწარედ ამოიოხრა.

— ბარემ გული მტკიოდა, ხელცარიელი რომ წამოვედი, მაგრამ რა ვქნა!

— რა უნდა ქნა, შვილო, როცა საშუალება არა გაქვს.

— უნდა დავანებო სამუშაოს თავი. რათ მინდა ასეთი სამსახური.

— ბარემ კარგი იყო, ჩვენთან, სკოლაში რომ მოწყობილიყავი, მაგრამ...

ვახტანგი გაწუმდა.

— სხვა, რა ამბავია სოფელში ახალი? — ჰკითხა ბოლოს და სკამიანად დედის გვერდით მიიჩინა.

— ალბათ, გაიგებდი, ის გოგო, ავად რომ არის! — ხმადაბლა წარმოთქვა ღიღილომ.

— ვინ გოგო?

— ეთერი. არაფერი გაგეტყვავს!

— არა! რა დაემართა? მისი რისხია ავად? — აღარ მოერიდა ვახტანგი დედას.

— ძლივს გამოსტაცეს სიკვდილს, საწყალი!

ვახტანგი სახტად დარჩა.

— ახლა როგორ არის?

— უკეთესად, მაგრამ, არ მგონია, მთლად გამოკეთდეს.

— როდის გახდა ასე, დიდი ხანია?!

უნდა ეთქვა ღიღილოს: იმ დღიდან, როცა შენ ნელისთან ხელი მოაწერეო, მაგრამ მოერიდა.

— ოთხი თვეა. უფრო სწორად — ნოემბრიდან! მამის საფლავზე ეპოვნათ წვიმაში დამბალი, ფილტვების ანთება დაემართა და...

— რას მეუბნები!...

— ძაან დაეხმარნენ მასწავლებლები, — განაგრძო ღიღილომ, — ყოველ წუთს თავს დასტრიალებდნენ და უყურადღებოდ არ სტოვებდნენ. ექიმი თუ იყო საჭირო, მაშინვე კაცს აფრენდნენ რაიონში, ან თვითონ მოიყვანდნენ. წამლებიც თვითონ მოქონდათ. განსაკუთრებით, გივი სწუხდა ეთერის ბედზე. ისედაც სოფლის საქმეებით დატვირთული, დღე არ გავიდოდა, აფციაურების ოჯახში არ მისულიყო. საკუთარ შვილივით უდგა მზეჭალას გვერდით და ამხნეებდა, არიგებდა: ნუ გეშინია, გული ვაიმავარე, ეთერი კარგად იქნებაო. მართლაც, როგორც იყო, გამოსტაცეს საწყალი გოგო სიკვდილს. სიცხე დაუვარდა, მობიხდა, გონს მოვიდა.

ვახტანგი მწარედ ჩააფიქრა ამ ამბავმა. კიდევ ბევრი რამ უნდოდა შეეტყო დედისაგან ეთერის შესახებ, მაგრამ მოერიდა. რაც ილაპარაკეს, უსცე ვაუკვირდა.

ღიღილოც მიხვდა, რომ შვილს ეთერზე ლაპარაკი, ეუხერხულებოდა. იმიტომაც აღარ გააგრძელა. ბოლოს ესლა დასძინა:

— მთელი სოფელი ლოცავს გივისა

და რუსუდანს. რუსუდანს ყველა აქებს და მე კი არ ვიცი. მართლა ასეთია, შვილო?

— ნამდვილად კარგი ქალია! — კვერი დაუკრა ვახტანგმა.

კიდევ კარგახანს ილაპარაკეს. დედას ყველაფერი უამბო ვახტანგმა თავიანთი გაპირვებულ ოჯახზე, ლომბარდში დაგირავებულ ნივთებზე. არც ის დაუმალა, თედოს ორასი თუმანი რომ გამოართვა.

— მამ რა იქნებოდა უკაცო ოჯახი. ახლა რითი გამოიხსნით ამ ნივთებს?

— მე თვითონ არ ვიცი!

— მეც არაფერი მაქვს, რომ დაგეხმარო, შვილო!

— შენ რითი დამეხმარები, დედი. დასახმარებლები თვითონ ხართ. თუ ვიშოვნე უკეთესი სამსახური, იმ ვალებს მაინც გავისტუმრებ, ლომბარდიდან ნივთებს გამოვიხსნით.

— თქვენ კარგად იყავით, შვილო, და თქვენი დახმარება არ მინდა.

ვახტანგი ერთ დღეს დარჩა სოფელში. თვითონ რა ებადა, მაგრამ წასვლისას ღიღილომ ხელცარიელი მაინც არ გაუშვა შვილი.

V

გაზაფხული დადგა. ამწვანდა მთები და მინდვრები. თბილისი და მისი შემოგარენი მწვანედ შეიმოსა.

ხვალ პირველი მაისის დღესასწაულს ზეიმობდა ხალხი. ყველა სიხარულით ხვდებოდა ამ დღეს. მაღაზიებში ბლო: მად გამოეტანათ საქონელი და ხალხი ფუტკარივით ეხვეოდა.

ქუჩებშიაც იგრძნობოდა ხალხმრავლობა. ყველას რაღაც ეყიდა სახვალთოდ.

ნელი მოწყენილი იჯდა სახლში. მთელი დღის განმავლობაში წარბი არ გაუხსნია. არც მაღაზიებში გაუვლია, წინათ ასე ძლიერ რომ უყვარდა ხოლმე სიარული, და არც ბაზარში წასულა. არ იცოდნენ, რა იყო მათი ხვალისდელი

სადილი. სახლში კაბიკი ფული არ ჰქონდათ. ვახტანგს დღეს უნდა ეყიდათ ფასი. შეპირდნენ, სადღესასწაულად მოგვემთო. დილას მარტო პური და ნახევარი კილო შაქარი იყიდეს ჩაისათვის. ეს იყო და ეს.

წინა ხელფასი, რომელიც ვახტანგმა უკლებლივ მიუტანა ნელის და გააფრთხილა: მეორე ხელფასამდე როგორმე გამოვიზოგოთო, ერთ კვირაში შემოაღწა ხელში. ჯემპრის ფული — თხუთმეტი თუმანი — სუკულიანტ შუშვიას მისცა, როგორც შეპირებული იყო თვედათვე ნაწილ-ნაწილ მიცემას. ათ თუმანად პიანინოზე დასადგმელი ვაზები იყიდა, ხუთ თუმანად — მოდების ყურნალი. ერთი წყვილი საზღვარგარეთული თხელი წინდა შეიძინა. დანარჩენი საქმელზე დაეხარჯა. უკანასკნელი კვირის მანძილზე თათია მეზობლებისაგან სესხელობდა პურის ფულს.

წინათ რა გულამჯერებული ელოდებოდა ხოლმე ნელი პირველ მაისს. როგორ უხაროდა ეს დღესასწაული! არ ყოფილა შემთხვევა, ამ ზეიმს ახალთახალ ტანსაცმელში გამოწყობილი არ შეხვედროდა და სახლში დიდი ქეიფი არ გადაეხადა.

ნელი ყოველთვის პატივობდა ხოლმე თავის ამხანაგებს. მშობლებიც ხელს უწყობდნენ და შვილის სურვილს არასოდეს წინ არ აღუდგებოდნენ.

არა მარტო უქმე დღეებში, კვირა ისე არ გავიდოდა, სანებლიძეების ოჯახში ქეიფი და მხიარულება არ ყოფილიყო. ყველას ნელისკენ ჰქონდა მიპყრობილი თვალი. მშობლებისაგან განებვიწყებული ქალიშვილი კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე და არც ცეკვაში თუ სიმღერაში დაუთმობდა ვინმეს პირველობას.

„ნელი“ — ამ სახელს ყველა სიყვარულით წარმოსთქვამდა და მას „განსაკუთრებულ ვარსკვლავზე დაბადებულ აღამიანად“ სთვლიდნენ.

ახლა კი...

გულჩათხრობილი იყო ნელი. სავარ-

ძელზე გადასვენებულს თვალები უაზროდ გაშტერებოდა და დღევანდელ მდგომარეობას მწარედ ჩაეფიქრებინა.

აგონდებოდა ის დრო, როცა მამა ცოცხალი იყო. სამსახურის შემდეგ როგორ დაზურგული ბრუნდებოდა ხოლმე შინ. არ ახსოვს, როდისმე ისე მოსულიყო სახლში, რომ დედისთვის და მისთვის საჩუქრები არ მოეტანოს.

უქმე დღეების წინ, ხომ წელარ იკითხავდით! ბაზარში რომ წავეილოდა, დატვირთული ბრუნდებოდა. სამი თუ არა, ორი გოჭი მაინც უნდა ეყიდნა. თევზეული, ქათმები და ინდაურები რაღა სათქმელია. თვითონ არაფერს დაიჭერდა ხელში. აპკიდებდა მუშას და წამოაღებინებდა.

მერე ისევ ვაბრუნდებოდა მამა ბაზარში. ერთ მოზრდილ კალათს ნაირნაირი ხილით ვაავსებდა და მოიტანდა.

ნამცხვარი და ტკბილეული ხომ ვამოუღვევლი ჰქონდათ. მათ დაბლა საშაქარლამო ფუნთუშეულის საცობი იყო და ყოველ დილით იქიდან ამოჰქონდათ ახალ-ახალი ნამცხვარი.

— აი, კაცი, ოჯახის კაცი, — ამბობდა გუნებაში წელი, — ცხოვრების შნო ჰქონდა. ოჰ, რა ბედნიერი ვიქნებოდი, მამა რომ ცოცხალი მყოლოდა.

ახლა უცნაური ფერებით ეჩვენებოდა ვანელი ცხოვრება. რატომღაც ეგონა, რომ გათხოვების შემდეგ კვლავ ეზიარებოდა იმ ბედნიერებას, რომელიც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, მაგრამ მოტყუედა...

სასოწარკვეთილი იყო წელი. ფუფუნებაში ვაზრდილ ქალს ვერ აეტანა ის ხელმოკლეობა, რომელიც ომმა მილიონებს მოუტანა. იგი თითქოს ვერ ამჩნევდა ამდენ გაჭირვებულ ხალხს. მხოლოდ იმათ ხედავდა, ვინც ამჟამად არაკეთილსინდისიერი გზებით შეძლებულად ცხოვრობდა. გამონაკლისად მარტო თავისი თავი მიაჩნდა.

წელი უყურებდა პალიკო ბეთანელი-სა და სხვათა მისთანათა ოჯახებს. უნდოდა თვითონაც ასე ეცხოვრა. არ მოკ-

ლებოდა გავლა-გამოვლას, მხიარულებას, დაბადების დღეებზე დასვენებას ჩაეცვა მოდაზე ისე, რატომღაც წინა დარეჯანი, ქეთინო და სხვა მისი ამხანაგები; დრო ეტარებინა ძველებურად, როგორც ქალიშვილობისას ატარებდა; ენახა თავის საყვარელ ქმართან ერთად ყოველი ახალი კინოსურათი და დასწრებოდა სპექტაკლებს, საესტრადო საღამოებს.

მაგრამ მცირე ხელფასის პატრონის მეუღლეს ასე არ გამოსდიოდა. ვერ შეგუებოდა იმ ამბავს, რომ მან ამიერიდან ახალი ცხოვრების უღელში შეყოკისერი და საბანი ისე უნდა დაეხურა, როგორც ვასწვდებოდა.

სამსახურიდან დაბრუნებულ და მოქანცულ ვახტანგს წელი უგულოდ დახვდა სახლში. წარბი არ ვაუხსნიდა. არც ვაკვირვებია ეს ამბავი, რადგან უკანასკნელ ხანებში მას ყოველთვის მოწყენილსა და გულჩათხრობილს ხედავდა.

ალარც თვითონ ვახტანგი ეკითხებოდა ამ მოწყენილობის მიზეზს. კარგად იცოდა, საყვარელ მეუღლეს რაც აწუხებდა. ერიდებოდა თავიანთ ოჯახურ ხელმოკლეობაზე საუბარს, რადგან ეს საუბარი ხშირად უსიამოვნო შელაპარაკებით მთავრდებოდა, რაც ორივეს ნერვებს უშლიდა.

ახლა ვახტანგის ფიქრი მხოლოდ ის იყო, მეუღლე როგორმე ჩაეხედებინა თავის სულში; რომ წელის გავგო და გეზიარებინა ქმრის ტკივილები, მისი ლტოლვა და სწრაფვა მეცნიერების მწვერვალების დასაპყრობად; რომ ეს საქმე, რომელიც ქვაკუთხედი იყო მათი მომავალი ბედნიერებისა, ადვილი საქმე არ იყო, და მსხვერპლად მოითხოვდა მათგან დროებით გაჭირვებას; რომ ამ გაჭირვების გარეშე არ შეიძლებოდა ბედნიერი ცხოვრების მოპოება და ეს გაჭირვება მათ უნდა აეტანათ ვაჟაკურად, მოთმინებით.

ვახტანგს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს ასე მოხდებოდა. ბოლოს და ბო-

ლოს, ნელი გაუგებდა და ყველაფერი კარგად წავიდოდა, მაგრამ...

მორიდებით მიუახლოვდა მას, წინ ჩამოუჯდა. ჭერ გამომცდელად დააქვერდა, თვალი თვალში გაუყარა, მერე დაიხარა, შუბლზე აკოცა და უთხრა:

— ადექი, პური ვჭამოთ, არა გშია?

ნელი უსიამოვნოდ შეიშმუშნა.

— ხორცი მოვიტანე, შეწვი! დილაზე კი ბაზარში წავალ და სადღესასწაულოდ რამეს ვიყიდი.

ნელიმ ფართოდ გაახილა თვალები, ქმარს დააქვერდა. ვახტანგს მოქანცული სახე ჰქონდა. ეტყობოდა, დილას აქეთ არაფერი ეჭამა.

— რატომ ხმას არ ამოიღებ? — ძალაუნებურად დაუტკბა იგი — რა გაწყენინე ისეთი, რომ დალაპარაკების ღირსად არა მთელი?

— მე უკვე დავილაღე, ვახტანგ, აღარ შემიძლია მეტის ატანა...

— როგორ არა გრცხვენინა, ნელი, მუდამ ამ საკითხზე ხომ არ უნდა ვილაპარაკოთ? ადექი, ხორცი შეწვი, შენც გეშიება.

ნელიმ თავი გააქნია.

— მე არაფერი მინდა, ვახტანგ!

— ჭამე რამე?

— ფული დამიტოვე, რომ მეყიდა და მეჭამა? — ველარ მოითმინა ქალმა.

ვახტანგს ტყვიასავით მოხვდა ეს სიტყვები, მაგრამ ვამწვავებას მოერიდა და ტბილად მიმართა.

— ნელი, გენაცვალე, გვეყოფა ასეთი ლაპარაკი, ნუთუ არ მოგწყინდა?

— ოხ, ვახტანგ, ნეტავ ჩამოგახედა ჩემს გულში!..

— მესმის... ვიცი, რაც გაწუხებს, შენც ხომ უნდა ჩამოიხედო ჩემს გულში? ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს ხომ უნდა გავუგოთ, ერთმანეთს ანგარიში გავუწიოთ. ისე რა მაღლი ექნება ჩვენს ცხოვრებას?

— ჩემს ადგილას რომ იყო, როგორ მოიქცეოდი?

— ძალიანაც კარგად. ისე მოვიქცეოდი, როგორც ამას ჩვენი მდგომარეობა

ბა გვიკარნახებს. შენი გულისათვის ყველაფერს ავიტანდი, ჩემო ნელი, ყველაფერს: შიმშილსაც, გაჭირვებულსაც, ყველაფერს მოვითმენდი, თუ კი ეს საჭირო იქნებოდა იმ დიდი საქმისათვის, რომელზედაც მე ვარ შემდგარი.

ვახტანგს უცბად ეთერი გაახსენდა. ეს ხომ ის სიტყვები იყო, ერთ დროს ეთერი რომ ეუბნებოდა: ჩვენ მარტო ცოლქმარი კი არა, სულიერი მეგობრები უნდა ვიყოთ. მთავარია, ერთმანეთს გავუგოთ, ერთმანეთის სულში ჩავიხედოთ. ცხოვრება ხომ თავისთავად ბრძოლაა. თუ ვინმეს რამე შეუქმნია, განა ბრძოლით არ შეუქმნია? ცხოვრება თვითონ ჩვენ უნდა შევქმნათ, გესმის? ბრძოლით უნდა შევქმნათ. ჩვენ ერთად უნდა გავწიოთ უღელი. მხარი მხარს შევუბათ... მე ყველაფერს ავიტან შენი გულისათვის, ყველაფერს მოვიკლებ, სმე-ჭამისაც, ჩაცმისაც, ყველანიარად შევიწყობ ხელს, რომ ასპირანტურა დაამთავრო. შენ როგორ გგონია, განა ქალებს არ შეგვიძლია მეგობრობა?...

ვახტანგი ღრმად ჩაფიქრდა. თვალწინ წარმოუდგა აშურიანის ტრიალი ველი, ეთერი. მისი ლაპარაკი ახლაც ყურში ჩაესმოდა.

ფიქრებიდან ისევ ნელის ხმამ გამოარკვია.

— რად მინდა მე ისეთი დიდება, თუ კი ამ დიდებისათვის ბრძოლას თან გადავყვები?

— რატომ გადაყვები?

— მაშ, ეს სიცოცხლეა? ყველაფრის ნატრული გავხდი. აი, ხვალ პირველი მაისია და ვინმე სტუმარი რომ მოგვადგეს, შევრცხვებით. შენი ხელფასი ერთ სადილზე არ გვეყოფა!

— რა თქმა უნდა, არ გვეყოფა, თუ შენებურად ხელგაშლილი იქნები. მაშ ხალხი როგორ ცხოვრობს?

— მე სხვა არ მეკითხება, როგორ ცხოვრობს. მე ჩემი ამბავი მაწუხებს, გესმის? — ნერგულად აწრიალდა ნელი.

— ნელი, გენაცვალე, — ძალაუნებურად დაუტკბა ვახტანგი, — ეგრე ლა-

პარაკი არ შეიძლება. უნდა დაუფიქრდე, ცხოვრებას შეხედო.

— გამანებე თავი, მე ყველაფერი შემძულდა! — გაბრაზებით წამოიძახა მან და შეტრიალდა. მკირე ხნის შემდეგ ისევ მისკენ შემობრუნდა და უთხრა:

— იქნებ ფიქრობ, რომ ვალებს გადახდა არ უნდა?

— რომელ ვალებს? — ვერ გაიგო ვახტანგმა, რადგან უცებ ფიქრმა წაართვა თავი.

— როგორ მეკითხები, ვახტანგ, არ იცი, რა ვალებიცა გვაქვს? დავაფიქრდა? ორასი თუმანი ხომ თედოს გამოართვი, ლომბარდიდან ნივთები რომ გამოვიხსენით. პალიკოს ათასი თუმანი?

— რატომ ათასი თუმანი? — სიტყვა შეაწყვეტინა ვახტანგმა, — ხუთასი არ იყო?

— მაშინ დავიშალე. ათასის მაგივრად, ხუთასი გითხარი... შენ როგორ ფიქრობ, ხუთას თუმნად ქორწილს გადავიხდიდით?... ახლა შუშვიკასი!...

— რამდენია შუშვიკასი?

— ოთხას თუმნამდე!

ვახტანგმა თავი გადააქნია.

— კი მაგრამ, შუშვიკასი ოთხას თუმნამდე როდის იყო?

— იყო, ხომ არ მოგატყუებ?. ამას წინათ უნგრული ქოშები რომ გამოვართვი ნისიად?

— კიდევ რა გამოართვი?

— ლამის პერანგი!

— კიდევ?

— მეტი არაფერი...

ვახტანგს რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა.

— ახლა ეს მითხარი, როდის გავისტუმრებთ ამ ვალს? — ნელი თვალუბში ჩააცქერდა ქმარს.

— გავისტუმრებთ, როგორმე გადავიხდით! — თავი დააღუნა ვახტანგმა.

— კი გავისტუმრებთ, მაგრამ როდის, როდის?

— როცა იქნება!

— როცა იქნება!... — გამოაჯავრა ნე-

ლიმ, — შენ ეს ამბავი არ გაქუთხებს და ახლა მე მკითხე.

— როგორ არ მაქუთხებს, მაგრამ წუხილით რა გავაკეთო?

— საქმეც ისაა, რომ წუხილით ვერაფერს გავაკეთებ. ტვინს განძრევა უნდა.

— ოხ, ნელი!... ეს სიტყვებიც მწარედ მოხვდა ვახტანგს გულზე, მაგრამ ხმის ამოღებას ისევ დუმული არჩია.

— მე უკვე აღარ შემიძლიან მეტის მოთმენა, — ზეზე წამოდგა ნელი, — ახლა პალიკოსთან უნდა გადავიდე და ვუთხრა, რომ კარგი სამსახური მოგიძებნოს. ამას წინათ საუბარი მქონდა მასთან და შემპირდა: ისეთ ადგილზე მოვაწყობ, დღეში ასთუმნიანი იყოსო.

— ვახტანგმა ირიბად შეხედა ცოლს.

— რატომ მიუყრებ ეგრე, არ მოგწონს? ოხ, ვახტანგ... სულ არ უწევს ანგარიშს იმას, რომ მალე შვილი გვეყოლება და, შვილს კი, სხვანაირი შენახვა უნდა.

ვახტანგმა პასუხი არ გასცა.

— შენც წამოდი და ერთად მოველაპარაკოთ პალიკოს. ასე არ აჯობებს?

ვახტანგი კვლავ სდუმდა. ნელის ყოველი სიტყვა ისარავით ესობოდა გულზე და სულს უწამლავდა, მაგრამ თავს იკავებდა. არ უნდოდა მდგომარეობა გაემწვავეებინა.

— რას გაჩუმებულხარ, ადექი! იქნებ იმისთანა სამსახური გამოვიხსნოს, სათაკილო არ იყოს იქ მუშაობა.

— მე ვერსად წამოვალ, ძვირფასო, — თითქოს ვედრების ხმით წარმოსთქვა ვახტანგმა, — ბოლოს და ბოლოს, მე შეგონა გამიგებდი, მიმიხვდებოდი, ჩემს სულში ჩაიხედავდი, დამიჯერებდი, ხელს შემიწყობდი, ასპირანტურას დავამთავრებდი, შენ კი...

— ქირსაც წაულია ეგ შენი ასპირანტურა, — თითქმის ხმამაღლა იყვირა მოთმინებამაგამოსულმა ნელიმ. — მაშას თუ ასპირანტურა არ ჰქონდა დამთავრებული, შენ აჯობებდი ცხოვრებაში.

— ქარაფშუტა! — აქ უკვე ვეღარ მოითმინა ვახტანგმა და გაცეცხლებუ-

ლი წამოვარდა, — შენ მარტო ფული დაგანახა და მალაზიებში გატარა. თუ ეგრე გიყვარდა ფული, მე რაღას მომყვებოდი ცოლად, — ხმას აუწია მან, — არ იცოდი, რა შეძლების პატრონიც ვიყავი? გეშოვნა ისეთი ქმარი, რომელიც დღეში ას თუმანს კი არა, ათას თუმანს მოგიტანდა... რად გინდოდა ამ ვაზებს კერძო ფასებში რომ ყიდულობდი? ან მაგ მოდების ჟურნალში ორმოცდაათ მაინეთს როგორ აძლევდი, როცა პურის ფულად ძლივს გვეყოფნის ხელფასი? რა აუცილებელი იყო იმ ჯემპრის ყიდვა სპეკულიანტისაგან, ახალი ჯემპრი ხომ გქონდა? წინდები ხომ ამას წინათ მე თვითონ გიყიდე, ჯერ არც კი ჩაგიცვამს...

— რა იყო, გეწინა? — ხმას დაუწია ნელიმ და ქმრის მკვახე სიტყვებზე ტირილი მოერია, — ჯერ ხომ ჩემთვის არაფერი გიყიდა, დაგენანა?

— კი არ დამენანა, ფულის ყადრი უნდა იცოდე, ჩემი ხელფასის პატრონს ასე ხარჯვა არ გამოადგება. იმის შიგვირად, რომ პურის ფულად გამოიზოგო, იმას ყიდულობ, რაც აუცილებელი არაა. ასე რომ ფანტო, ჩემო კარგო, ათასი თუმანიც არ გეყოფა!

— დიას, დაგენანა! მე რომ დიდი რაღაც მეყიდა, მაშინ სულ დამახრჩობდი. დღესვე დაუბრუნებ შუშუიკას, რაც გამოვართვი.

ნელიმ ტირილი დაიწყო.

— როგორ არა გრცხვენია, ნელი, — ხმას დაუწია ვახტანგმა. — განა იმიტომ ვითხარი, რომ დამენანა და უკან დაუბრუნო. უნდა გესმოდეს, რომ მე შენთვის არაფერი მშურს, არაფერი, თვით სიცოცხლეც კი...

ნელის ცრემლები სცვიოდა. ვახტანგი გაბრუებული მისჩერებოდა საყვარელ მეუღლეს და ნანობდა, რატომ ვუთხარიო.

გული სტიკოდა, რომ ვერაფერი უყიდა. ის კი ასე ნატრული იყო ყველაფრისა.

დღევანდელი შელაპარაკებით ერ-

თხელ კიდევ დარწმუნდა, რომ მეუღლე ასე ადვილად ვერ გაუგებდა მას ვერა ჩაახედებდა თავის სულში; რომ, ხარისხის დაცვამდე ძალზე გაუძნელებოდათ ცხოვრება და მთელი წლები გაუთავებელ ჩხუბსა და ბუზღუნში უნდა გაეტარებინათ, რაც ორივეს მთელს არსებას უწამლავდა.

გარდა ამისა, ვახტანგს მოსვენებას არ აძლევდა ვალები, რომელიც ნელის გამოუცდელიობის შედეგად მძიმე ტვირთად აწვა ოჯახს.

ვის უნდა გადაეხადა ეს ვალები, თუ არა მას? მცირე ხელფასის პატრონს საიდან უნდა გადაეხადა, რა საშუალებით?

აი, თედოს ერთი თვით გამოართვა ორასი თუმანი, მას შემდეგ კი ოთხმა თვემ განვლო.

თედო არასოდეს მოსთხოვს იმ ვალს, მაგრამ ნამუსიცი ხომ კარგი საქონელია? მას ხომ ამ გაზაფხულზე გოჭები უნდა ეყიდა იმ ფულით, რომ ზამთრისათვის საკმეელი ჰქონოდათ?

— ოხ, ღმერთო ჩემო... — აღმოხდა და ნელის გადახედა, რომელიც ცრემლებს იწმენდა თვალებიდან.

— კარგი, ძვირფასო, კარგი, ნუ ტირი, — დატკბა ბოლოს ვახტანგი, — თანახმა ვარ, წადი და მოელაპარაკე პალიკოს...

ნელის პირველად ხუმრობა ეგონა, მაგრამ ქმარს რომ შეხედა, დარწმუნდა, არ ხუმრობდა. სახე გაუნათდა.

— შენც წამოდი, ვახტანგ, ერთად მოველაპარაკოთ! — ავიკვიკადა იგი.

— მე რაღად გინდივარ, წადი შენ!

— კარგი... წავალ!

ნელი კარებისაკენ გაემართა. ვახტანგმა თვალი გააყოლა.

— ოი, შე ქარაფშუტა, შენა! — წამოიძახა დაბალი ხმით, როცა მეუღლემ კარი გაიხურა. მერე სავარძელთან მივიდა, გულაღმა გადაესვენა, შუბლზე ხელები შემოიწყო, თვალები მილულა და კვლავ ფიქრებს მიეცა.

— ჩვენ მარტო ცოლქმარი კი არა,

სულიერი მეგობრები უნდა ვიყოთ...—
კვლავ ჩაესმოდა ყურში ეთერის სიტყ-
ვები,— მთავარია, ერთმანეთს გავუგოთ,
ერთმანეთის სულში ჩავიხედოთ...
ცხოვრება ხომ თავისთავად ბრძოლაა.
თუ ვინმეს რაშე შეუქმნია, განა ბრძო-
ლით არ შეუქმნია? ცხოვრება თვითონ
ჩვენ უნდა შევქმნათ, გესმის? ბრძო-
ლით უნდა შევქმნათ. ჩვენ ერთად უნდა
გავწიოთ ულული. მხარი მხარს უნდა
ავუბათ... მე ყველაფერს ავიტან შენი
გულისათვის, ყველაფერს მოვიკლებ...
ქამასაც, ჩაცმასაც. ყველანირად შეგი-
წყობ ხელს, რომ ასპირანტურა დაამ-
თავრო. შენ როგორ გგონია, განა ჩვენ
ქალებს არ შეგვიძლია მეგობრობა?

ვახტანგმა თვალი გაახილა, დარბაზში
შებრა მოატარა და უცბად ის წუთები
გაახსენდა, პირველად ამ ოჯახში რომ
შემოდგა ფეხი.

როგორ ოცნების თვალით შესცქე-
როდა მაშინ ამ სახლის ჭერსა და კედ-
ლებს, ავეჯს.

როგორ ახარებდა ის ამბავი, რომ თა-
ვის საყვარელ ლამაზ მეუღლესთან
ერთად მან შეიძინა ისეთი ძვირფასად
მოწყობილი ოჯახი, რომლის მსგავსს,
ვინ იცის, ოდესმე ეღირსებოდა თუ არა.

ახლა კი, რატომღაც ცივი და მიუკა-
რებელი ეჩვენებოდა ვახტანგს ამ სახ-
ლის ჭერიც და კედლებიც.

მას აღარ ახარებდა ეს მდიდრულად
მორთული ოჯახი.

ახლა მას თავისი ღარიბულად მო-
წყობილი ქვიტვირის სახლი ერჩია.

იქ მეტ სითბოს და სიყვარულს გრძ-
ნობდა, რასაც აქ მოკლებული იყო.

ვახტანგმა თვალები მილულა და უნე-
ბურად ფიქრებს მიეცა. ეთერი წარმო-
უდგა თვალწინ, თავისი პირველი სიყ-
ვარული. რა უდიერად ჰქრა ხელი, რა
უცბად გაიშტა. რამდენი ცრემლი აღფ-
რევინა იმ საწყალ გოგოს.

ახლაც თვალწინ უდგას ომის დაწყე-
ბის დღე, თბილისის სადგური. საშინე-
ლი ქარი ჰქრის. მატარებლის ღია ფან-
ჯრიდან დაჰყურებს გასაცილებლად მი-

სულ ეთერს, შავი, ცრემლიანი თვა-
ლებით რომ შესცქერის დახლოდნენ.

აი, მატარებელიც დახლოდნენ
გამცილებლები აქოთქოთდნენ. ზოგი
რას უბარებს ომში მიმავალს, ზოგი
რას. ონავარი ქარი ხალხს ბაგეებიდან-
ვე სტაცებს ბგერებს. სიტყვები გაუ-
გებრად ირევა ერთმანეთში.

ეთერი უხმოდ მიჰყვება ახალად-
რულ მატარებელს. ქარი უწეწავს შუბ-
ლზე გადმოშლილ ხეუჭუჭ თმებს. ახალ-
გაზრდული სიმორცხვით ვერაფერს
ეუბნება. მარტო ხელს უქნევს, და
ნაღვლიანი თვალებიდან ცრემლები ჩა-
მოსდის.

აი, კიდევ მეორე ამბავი: ერთ მშვე-
ნიერ დღეს ვახტანგი მეზობელ სოფელ-
ში წავიდა ამხანაგთან. საღამოთი ისევ
უკან უნდა დაბრუნებულიყო. ეთერი-
სათვის პირობა ჰქონდა მიცემული, რომ
ამ საღამოს ერთად გაისეირნებდნენ ია-
სამნების უბნის სანაპიროზე, საიდანაც
საუცხოოდ მოსჩანს ქართლის დიდე-
ბული ბუნება.

როგორც მაშინ, ისე ახლაც, ეს ადგი-
ლი, ახალგაზრდების საყვარელ ადგი-
ლად ითვლება ოშორაში. ყოველ საღა-
მოს თითქმის სულ აქ იყრიან ხოლმე
თავს ოშორელი ახალგაზრდები.

ოშორაში ძველთაგანვე ასეთი აზრი
იყო გავრცელებული, ვინც ზაფხულში
იასამნების უბანში მთვარის ამოსვლას
დაესწრებოდა და ყოველ საღამოს თა-
ვის ფიქრებს მთვარეს გაუზიარებდა,
მას აუცილებლად გაუმართლდებოდა
სიყვარული. ახლაც, ზაფხულში, საღა-
მოობით, ყოველთვის ნახავთ მოსეირნე
ახალგაზრდობას.

ამხანაგთან ვახტანგს კარგა ხანს მო-
უგვიანდა. ვახშობის დრო იქნებოდა,
ოშორისაკენ რომ გამოსწია. ოდნავ შე-
ქვიფიანებული იყო. კუნთლისა და მაყ-
ვლის ბუჩქებით გარშემორტყმულ შა-
რაზე მიაქროლებდა ველოსიპედს. სუ-
ლითა და გულით მიისწრაფოდა ეთერი-
საკენ, რომ ცოტა ხანს მაინც მოესწრო
მასთან გავლა და ლაპარაკი.

მშვენიერი წყნარი ღამე იყო, ისეთი ღამე და მიმზიდველი ღამე, როგორც იცის ხოლმე ჩვენს დალოცვილ ქართლში, კაცი უკეთესს რომ არ იხატრებს. მოწმენდილ ციდან ვეებერთელა მთვარე დაეაშკაშებდა გარემოს. ვერცხლისფერ სინათლეში ჩაძირულ არემარეს ძილისპირულს უმღეროდა გიჟმაყი ნოღელა.

ვახტანგი ველოსიპედის წკრიალს აყოლებდა სიმღერას. გულიდან ამოფრენილი სიყვარულის გრძნობას ეთერთან ატანდა ხეობიდან მონაბერ ნიაგს.

სოფელს რომ მიუახლოვდა, სიმღერა შეწყვიტა. ველოსიპედიდან გადმოხტა და ყური მიუგდო. არსაიდან ჩამიჩუმში არ ისმოდა. ისეთი სიწყნარე სუფევდა, თითქოს სოფელს ძილქუში დასწოლიაო.

ვახტანგი დაღონდა. გული დასწყდა, რადგან დღეს ველარ ნახავდა თავის სიცოცხლეს, ველარ გაისეირნებდა ისამინების უბნის სანაპიროზე, ველარ დასტებებოდა მასთან სიახლოვით.

მაგრამ მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა მიწყნარებულ ღამეში მოულოდნელად გაისმა დოლისა და სალამურის ხმაშეწყობილი მელოდია, მას მოჰყვა ახალგაზრდების ტანის ხმა და გოგო-ბიჭების წამოძახილები.

ვახტანგი სიხარულით ცას ეწია. ისე მოეჩვენა, თითქოს ხელახლა დაიბადაო. ხეზე მიყუდებული ველოსიპედის საკეს ხელი სტაცა, სწრაფად მოახტა და სულ რამდენიმე წუთში ლხინში გაჩნდა.

— სად არის ეთერი? — ჰკითხა გოგონებს, როცა მათ შორის საყვარელი არსება ვერ დაინახა.

— შენ რომ აქ არ იყავი, დასაძინებლად წავიდა! — ჩურჩულით, თანაც ეშმაკური ღიმილით უპასუხეს ეთერის ამხანაგებმა.

ვახტანგს ხმა არ ამოუღია. ხელახლა მოახტა ველოსიპედს, ეთერის სახლის წინ ზარის წკრიალით სწრაფად ჩაიქროლა, მერე ისევ უკან ამოიქროლა.

მეორე წუთს გულამგერებულ ეთერი ვახტანგთან მიიჭრა ლხინში — აქი გეძინა? — ღიმილით ჰკითხა მან.

— კი არ მეძინა, ვიწეკი და შენზე ვფიქრობდი. ველოსიპედის წკრიალი რომ გავიგონე, წამოვხტი და გამოვიქეცი. — ჩურჩულით მიუგო ეთერმა.

— კი, მაგრამ საიდან მიხვდი, რომ მე ვიყავი? შენი სახლის წინ რამდენი ბიჭი აიჭროლებს და ჩაიჭროლებს ველოსიპედით.

— უკაცრავად, — კისკისით უთხრა ეთერმა, — შენი ველოსიპედის ზარის წკრიალს, მე ათას სხვა ველოსიპედის ზარის წკრიალისაგან გამოვარჩევ. ნუთუ არ იცი ეს?

ვახტანგს სიხარულით გაელიმა და არაფერი უთხრა.

მესამე კი... თვითონ ეთერმა უამბო მას.

ერთ საღამოს ეთერი შინ იყო და მამის შარვალ-ხალათს აუთოებდა. დედამ უთხრა:

— შეილო, მე გავიგე, თურმე შენ ვახტანგი გიყვარს, მართალია?

ეთერი შეკრთა. გაწითლდა. სულ არ მოელოდა დედისაგან ასეთ კითხვას.

— ვინც რა გითხრას, შენ ყველაფერი დაიჯერე. საიდან უნდა მიყვარდეს ვახტანგი, როცა მას ხეირიანად არც კი ვიცნობ! — საყვედურით უთხრა დედას.

— რა ვიცი, შეილო, ასე ამბობენ...

— ეს ჰორიანი ხალხის მოგონილია. რა, დროს ჩემი სიყვარულია, დედი, ჯერ...

სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ უცბად ველოსიპედის ზარის მოულოდნელი წკრიალი გაისმა და ეთერს უთო ხელიდან გაუვარდა. ვერც კი გაიგო, თავისდა უნებურად, როგორ გაიჭრა აივანზე ვახტანგის დასანახად, მაგრამ უმალ გონს მოვიდა. ოთახში შებრუნდა და დედის წინ დარცხვენილი გაჩერდა.

ყოველივე ამის გახსენებამ ვახტანგი

ღრმად ჩააფიქრა. ახლა უფრო მეტად იგრძნო თავისი დანაშაული ეთერის მიმართ.

— ჩვენ მარტო ცოლქმარი კი არა, სულიერი მეგობრებიც უნდა ვიყოთ, — თითქოს ახლაც ჩავსმოდა ყურში მისი სიტყვები.

ვახტანგმა კვლავ თვალები მილულა და ფიქრებს მიეცა. ვერც კი გაიგო, როგორ შემოცუნებულა დარბაზში შუშვიკა ვეება ჩანთით. ეშმაკური თვალეები აქეთ-იქით მოატარა და, ოთახში მის მეტი რომ ვერაფერ დაინახა, მორიდებით ჰკითხა:

— ნელი სად არის, ხაზინჩან?

ვახტანგმა თვალეები ვახილა და შუშვიკას დააქერდა. არ ესიამოვნა, ეს ვაჭრუკანა ქალი კიდევ რამეს მოიტანდაო, გაიფიქრა და ზეზე წამოღდა.

— რად გინდა ნელი? — ცივად იკითხა მან.

— იცი, ხაზინჩან, რა კარგი საზღვარგარეთული საცვლები და პირსაწმენდები მოვიტანე? — სახე გაებადრა შუშვიკას, — აბა ნახე!

შუშვიკამ ჩანთა გახსნა. იქიდან აბრეშუშის თხელი საცვლები და ვარდისფრად მოქარგული, მართლაც და ლამაზი პირსაწმენდები ოდნავ ამოსწია და ვახტანგს ჩანთიანად გაუწოდა.

— ჩემმა მზემ, უკეთესს ვერ იშრვით. იქვე შემქმლო გამეყიდა, მაგრამ არ გავყიდე, ნელის როგორ ვაწყენინომეთქი. მაშ, ხაზინჩან, აბა. ნახე!

ვახტანგმა ჯერ ზიზლით შეათვალიერა შუშვიკა, მერე ისე მძლავრად ამოუკრა ჩანთას წიხლი, რომ ჩანთა ხელიდან გაუსხლტა, ბურთივით მალლა ავარდა და შემდეგ იატაკზე მოილო ბრაზვანი.

— ვე, გიჟია ოხერი?! — გაკვირვებით წამოიძახა შუშვიკამ და იატაკზე დავარდნილ, გაფაშულ ჩანთას ხელი სტაცა.

— დაიკარგე აქედან, შე სპეკულიანტო მამაძაღლო, შენა! — უყვირა გამ-

წარებით, — შენ გადაშირიე ცოლო. აქ აღარ დაგინახოს ჩემმა კეთილშეშობა, თორემ ვაი შენს დღეს, ამ უსწორმომილიციამი წაგიყვან!

გაშაგებულ სახეზე შუშვიკას აღმურმა გადაკრა. მოულოდნელობისაგან პირველად შეკრთა, მაგრამ მალე გონს მოვიდა და წარბი მიინც არ შეიხარა.

— ვის წაიყვან მილიციამი, — ალაშა პირი მოხსნა შუშვიკამ — აბა თუ ბიჭი ხარ, წამიყვანე!

— კიდევაც რომ არ ეშინიან ამ გათახსირებულს, — ხმას აუწია ვახტანგმა, — ვისა და შენ წაგიყვან, ამ წუთში წაგიყვან, კისრისტეხით წაგიყვან!

— ვა, წამიყვანო რა, მილიციელი ხარ? მერე ეგ რა ვაეკაცობაა?

— რაც არის, იქ გაჩვენებ. მოუსვი აქედან ჩქარა, სანამ ჩემი ხელით წაგათრევედე!

შუშვიკა შეფიქრიანდა. უკან გამობრუნდა. კარებთან რომ მივიდა, შედგა. ვახტანგს დამცინავად შეხედა:

— მაშ შენ უჩიტელი ხარ? ვაი, რა ვუთხრა შენს უჩიტლობას, უჩენიკებს რა უნდა ასწავლო!

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, თორემ განვენებ, რა უჩიტელიც ვარ!

— რა უნდა მაჩვენო?! რა უნდა მაჩვენო?! — გაკაპასდა შუშვიკა, — ისეთი რა უნდა მაჩვენო, არ მენახოს, ვაი, შე საცოდავო, ცოლისთვის საცვალი ვერ გიყიდი!

— ოხ, შე მამაძაღლო, შე გათახსირებულო, შენა! კიდევაც რომ დამცინის! — ვახტანგმა კბილები გააკრაჭუნა და ვაბრაზებული, შუშვიკასაკენ გაექანა, მაგრამ შუშვიკამ ენა გამოუყო და კარები გაიჭახუნა.

კბიებებზე თავქუდმოგლეჯილი მირბოდა შუშვიკა და თან გაკვირვებით გაიძახოდა:

— ვე, გიჟია ოხერი? უჩიტელია თუ მილიციელი? ვაი, მაგის უჩიტლობას რა ვუთხრა, ცოლისთვის საცვლები ვერ უყიდი.

ყარის ყალიბი

პური და წიგნი

მზე მიწას ათბობს, ცას აფერადებს,
ბალი ფანჯრიდან შემოდის შიგნით,
ჩემს მაგიდაზე ერთად ელავენ,
ერთად აწყვია პური და წიგნი.

პური და წიგნი. მათშია სისხლი
და წვენი მიწის, რომელზეც
ვსახლობთ,
სწეაუდათ ყოველი ხანძარი რისხვით,
ყველა მბრძანებლის მახვილი ახსოვთ.

მაგიდაზე დევს პური და წიგნი —
საუყუნეთა ვრცელი პოემა,
ადამიანის უსაზღვრო სიბრძნის,
მიწის სიუხვის უსაზღვროება.

მარიკა ჩიქოვანს

1

მთის ფერდზე მდგარი სტიროლი
ჩარიგ
და შენთან ერთად სტიროლა წვიმა;
მთას მიეზღინა ღრუბლისთვის მხარი
და დაეჭიმა ბილიკი სიმაღ.

იცრემლებოდნენ ტყეპლები თეთრად,
თმებს იწეწავდნენ ძეწნები სველი;
შენ ამ საღამოს მთაწმინდის
მფეთქავ
გულს მიაბარე ტრფიალი შენი.

ქარს ჩამოეხსნა ცისარტყელები,
მოქქონდა სუსხი ღია სამარის.
მას გულზე ეწყო თხელი ხელები —
წყვილი რტო თეთრი იასამანის.

ალარც სცხელოდა, აღარც სციოდა,
ჩამჭარალ თვალებზე დამე ეხურა,
წამწამზე წვიმის წვეთი წიოდა,
როგორც დათოვლილ ტოტზე
ბელურა.

გულს იგი ველარ შეუშვებს ცხელ
 მზეს
 თვალს იგი ლექსის შუქს ვერ
 მიაფენს,
 თოვლს ველარ ნახავს ყაზბეგის
 მხარეებზე,
 ნუშის სითეთრეს, მვინდის ჭიაფერს.

მთის ფერებზე მდგარი სტიროლი
 ჩარიგ!
 იმას კი უკვე აღარ ახსოვდა—
 ჭადრებში როგორ მღეროდა ქარი,
 მთის მწვეანე ნაბაღს მზე ვით
 აქსოვდა.

მთის ფერებზე მდგარი სტიროლი
 ჩარიგ!
 მაგრამ ნუგეშად დე, დაგრჩეს მარად:
 მან ჩაიძინა მშვიდად და წყნარად
 და უკვდავების შეაღო კარი.

მთაწმინდას მწუხრი მწუხარედ ეკრა,
 მაგრამ ნუგეშად დე, დაგრჩეს მარად:
 ის სამულამოდ მთად იქცა თავად
 და თვით მთა ექცა საფლავის ძეგლად.

ხელი შეახებ მის ჩამქრალ თვალებს
 და შენი ხელიც სტიროდა მწარედ,
 გამოთხოვების მწუხარე ზარი
 რეკდა და თრთოდა სტრიქონი
 მწარედ.

მთის ფერებზე მდგარი სტიროლი
 ჩარიგ!
 ვით გაგიმკრთალდა მზე სხივმფინარე,
 რა უცებ დაშრა შენი მდინარე...
 მთის ფერებზე მდგარი სტიროლი
 ჩარიგ!

2

თბილისში როგორ სწუხდნენ
 ჭადრები,
 ეთხოვებოდნენ დიდებულ პოეტს,
 მოესხათ წვიმის მძიმე ჩადრები
 და ხელებივით აქნევდნენ რტოებს.
 ო, მწუხარებავ, შე ცივო ქვაო.

ხეებს ყოველთვის ღიმილით
 მარსტვინტუნა,
 წვიმის შრიალი უყვარდა იმსქქქქქ
 ის ხელისგულზე გულს დაიდებდა
 და გადასცემდა ხეებს და წვიმას.
 ო, მწუხარებავ, შე ცხელო რკინავ.

მძიმედ დახარეს თავი ჭადრებმა,
 დაილბეს ფესვი აპრილის თქემით,
 მისი ჩურჩული მოენატრებათ
 ვარდობისთვეშიც, ღვინობისთვეშიც.
 ო, მწუხარებავ, შე შავო მთაო.

წვიმა უყვარდა, მოვიდა წვიმაც,
 როდესაც იგი გამოასვენეს;
 სივრცეს გაება უთვალავს სიმაღ,
 რეკს, უგანგაშოდ რა მოასვენებს.
 ო, მწუხარებავ, უკაცო სახლო,

ის ძლიერ ხშირად უბნობდა
 მტკვართან,
 მტკვარო, გახსოვდეს ტყვილი მისი...
 მას მთის ზამთარი უყვარდა.
 ზამთარს

ველარ შეხვდება, წავიდა ისე.
 ო, მწუხარებავ, დამძრალო წყაროვ.

გულით შესტრფოდა თბილისს და
 მცხეთას,
 მუდამ მღეროდა მათ გულთან ახლოს,
 ვერ გზედავთ, მიდის... მშვიდობით,
 ხეთა
 სიმწვანევე, ქურავ, სარკველო, სახლო..
 ო, მწუხარებავ, მოკრილო ხეო.

გიძღვნიდა გულის სიმღერებს
 დღემდე,
 დღეს კი გაბარებს გულსაც.
 მთაწმინდავ,
 თვალდახუჭული მოვიდა შენთან
 და ნუ გაუშვებ ნურსად, მთაწმინდავ!
 ო, მწუხარებავ, წვავ და დღემილო.

3

ვით მშობელ მიწას, სიკეთით სავსეს.
 თავს დაბლა გიხრი მადლობით,
 კრძალვით,

პოეტის მთელი სიცოცხლის გზაზე
 იდექ და ენთე ვით შუქი მძლავრი.
 უფრთხილდებოდი სიყვარულს მისას,
 დაჰკანკალებდი აედარშიც, დარშიც,
 ინაწილებდი სიზარულს მისას
 და ტკივილშიაც ერთგული დარჩი.


ის შენით, როგორც საკუთარ
 თვალით,
 სკვრეტდა ბუნების ფერებს
 უხილავს,
 უნაზეს გულის საოცარ ძალით
 იქეც სინათლედ, თრთოლვად,
 ქუხილად.

მაგ ძალას ვუმღერ, მაგ გულის
 ხანძარს,

მისი სინათლის გამოზრწყინებას,
 შენს ტრფობას, უკვდავს ^{ქვიშა ბუჩქს}
 შენს გულს, შენს ხელებს, შენს
 მოთმინებას.

კვლავ მთის ფერდზე მდგარს გხედავ
 და ვღელავ
 და შენს წინაშე ბალღევით
 ვკრთები;
 შენი გმირობა იცოდეს ყველამ
 შენს დიდ სიყვარულს უმღერდნენ
 მთებიც.

თარგმანა თეიმურაზ ჯანაშვილისა



წიგნიანი პარტია ლოკა

მთვარის რომანსი

შრომანის ქათქათა კაბით
სამჭედლოს ეწვია მთვარე,
და ბიჭი უყურებს ჩუმად
და ველარ აშორებს თვალებს.
თეთრ მკლავებს იშიშვლებს ურცხვად
და ოდნავ ნისლიან ცაში
ავხორცი და წმინდა მთვარე
თითბერის ძუძუებს აჩენს.

— ო, მთვარე, გაიქეც, თორემ
საცაა ბოშები მოვლენ
და გამოადნობენ შენგან
ბეჭდებს და საყურის რგოლებს.

— პატარავ, მომეშვი, ახლა
მე მინდა ცეკვა და ლხინი,
ბოშები როდესაც მოვლენ,
შენ გრდემლზე გნახვენ მძინარს.

— ო, ჩქარა, გაიქეც, მთვარევ,
არ გესმის ფლოქების ეხო?

— იუჟიე, პატარავ, — კარგი,
კაბაზე ნუ მადგამ ფეხებს...

ველების შმაგ დოღზე უკრავს
ნალების ფიცხელი რკინა,
სამჭედლოს ვეება გრდემლზე
პატარას ნებვირად სძინავს.

მოჭურტულ თვალების ელვით
განათდა უეცრად შარა,
ბოშები გამოჩნდნენ გზაზე —
ბრინჯაოს ზმანებას გვანან.

ო, როგორ აკვილდა ჭოტი
დაბურულ ჭალების მიღმა.

ცაში კი ბიჭუნა მთვარეს
ხელჩაკიდებული მიჰყავს.
სამჭედლოს ეხოში ისმის

ბოშების მაღალი ხარი,
და ოდნავ ნისლიან ცაში
მიდიან ბიჭი და მთვარე.

შავი ნალექის რომანსი

განთიადს ეძებენ მამლები,
ნისკარტებს არკობენ სოლებად,
როდესაც ბინდიან მთებიდან
ეშვება მზისფერი სოლედად.

სხეული — სპილენძის შორევი,
ფაშატის სუნთქვა და გესლია,
ძუძუნი — გრდემლია ორივე,
მრგვალ საგალობლებად კვნესიან.

— სოლედად, მითხარი რა გინდა,
რას ეძებ, რატომ ვერ ისვენებ.

— მე მინდა იგი, რაც მე მინდა,
მომეშვი და ნულარ მიხსენებ,
მე მინდა შვება და ხალისი
და ჩემს გულს დავეძებ ისევე.

— სოლედად, შენ ჩემი დარდი ხარ...

შმაგი და ავხორცი ფაშატი
მირბის და ბნელ ზღვაში ვარდება,
რომ იქვე მოკედეს ან დაშავდეს.

— ო, ზღვაზე ნუ მეტყვი ნურაფერს.
შავლევა წუხილის ბალახი
კვლავ ხარობს მიწაზე, როდესაც
ნიავე აეჩყოლებს ჭალაკებს.

— სოლედად, დარდი შენ თვითონ ხარ,
ნაღველი მწარე და საშური,
შენ სტირი ლოდინის სიმწრისგან
მოგვრილი ლიმონის ნაყურით.

— დარდიო? სიშმავე მაწვალებს,
მე ვბორგავ სიცივის სახადით
და მიწით მივითრევ ნაწინავებს
სამზადის კარიდან სახლამდი.
დარდიო? მივალ და მცვივდება



სურვილთა მღვივანი ფურცელი,
 ო, ჩემი პერანგის შრიალი
 და ჩემი ყაყაჩოს მუცელი.
 — მტრედების ნაბანი ისხურე,
 სიმშვიდით დაიწყე ზმორება,
 წანა და წანინა მზისფერო,
 თვალეზი დახუჭე, სოლედად.
 იქ, დაბლა მდინარე ხმაურობს,

ცისა და ჩიტების ქარია,
 და გოგრის ყვითელი ყვავილედი
 თავს იმკობს ნამგალა კალაპოტს
 ო, ბოშა ქალების ნალველი,
 ყოველამ ცეცხლად რომ ანთია —
 დაკარგულ კალაპოტს მისტირის
 და გზათა შორეულ განთიადს.

სხვისი ცოლი

მე ის მდინარისკენ წავიყვანე,
 ქალიშვილი მეგონა, ის კი
 სხვისი ცოლი ყოფილა თურმე.

ეს სანტიავოს საღამოს მოხდა.
 თითქოს უეცრად და უნებურად
 ფარნები ჩაჭრა და კრიჭინებმა
 აანთეს ღამე წინანდებურად.
 ბნელ შესახვევში მისი გულმკერდი
 მე გავაღვიძე ხელის შევლებით
 და ძუძუები აყვავდნენ უცებ,
 ვით იასამნის თეთრი მტევნები.
 მისმა ხაბარდამ გახამებულმა
 შიშველი ტანი ველარ შეფუთნა
 და ამრიალდა აბრეშუმივით,
 თითქოს დასერა ასმა ბებუთმა.
 დაუფერავნი ვერცხლის სევადით
 ხეები გახდნენ უფრო მალღები,
 და ცის შორეულ პორიზონტივით
 მდინარის გაღმა ყვფდნენ ძაღლები.

არა აქვთ კანი ისე ნატიფი
 და მთვარიანში ისე არ ბრწყინავს
 განათებული ყვითლად სათიბი.
 გაელვებული სველი სინათლით
 და ასხლეტილი ცივი შეხებით,
 ბადეში გამბულ კალმახებივით,
 არ მიკარებდნენ მისი ფეხები.
 იმ დღეს სადაფის თეთრი ფაშატით,
 უბადლო გზებზე — შეუსვენებლივ.
 უუზანგებოდ და უაღვიროდ
 მე ვიჭირითე შმაგი ქენებით.
 ნდომაკეთილი ჩვენი გაცნობა
 მამამს უსიტყვოდ და უქამანდოდ,
 და როგორც მამრს და ვაჟაკს
 შეჰაფერის
 არ ვიტყვი იმას, რაც მან გამანდო.
 როცა კოცნით და სილით მოსვრილი
 წყლის ნაპირიდან წამოვიყვანე,
 გზად ძეძვიანის მჭრელი დაშნები
 ბასრი შეხებით ჩხვლეტდნენ
 სიღამეს.

როცა გამოვცდილ მყუდრო
 მაყვლიანს
 და ყრუ ძეძვიარებს, მე სველ სილაზე
 გავშალე მისი დამძიმებული
 და მოელვარე თმების სინაზე.
 მან შემოიხსნა წელზე სარტყელი
 და გაიხადა ქრელი ფარავი,
 მე მოვისროლე ამოქარგული
 ჩემი ჭუბახა და იარაღი.
 არც ვარდის ფურცლებს და არც
 ნიქარებს

ვით ნამდვილ ბოშას შეეფერება —
 მე უშურველი ვიყავ მისადმი:
 მრეში ატლასის დიდი ზარდახმა
 ვაჩუქე ერთი, — ხელსაქმისათვის.
 მაგრამ მე იგი არ შევავყარე,
 რადგან პასუხად სიტყვამისაგებს
 არ მითბრა სხვისი ცოლი რომ იყო,
 როცა მიმყავდა მდინარისაკენ.

თარგმანი თამაზ ჩხიქავაძე.



ბოროტი ჯიბადა

რუსთაველის პოეტიკა

რუსთაველის გენიალური ქმნილების სიღრმეზე, მიმზიდველობა და შთაბეჭდილებას ძალა იმდენად აშკარაა, თითქოს საჭიროც არ არის დამამტკიცებელი ფაქტები მოვიტანოთ. მაგრამ უნდა ვიცოდეთ რა უწყობს ხელს პოემის ყველა ამ ღირსების მიღწევას, რა განაპირობებს, სხვა საშუალებებთან ერთად, „ვეფხისტყაოსნის“ მიუწვდომელ პოეტურ ოსტატობას.

როგორც ვერსიფიკატორი და ზელოვნების თეორიის მცოდნე — რუსთაველი უოველთვის ანცეფრებდა თავის პათივისმცემლებს. საუკუნეების მანძილზე „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორი ითვლებოდა ქართული ლექსის სანიმუშო მეტრად და პოეზიის განუყოფელ ნაწილადად.

რუსთაველის ქმნილებაში ისე აურაცხელი სიღრმეა, იმდენი თვალისმომკრები ბრწყინვალებაა, რომ თითქოს შეუძლებელია ვირწმუნოთ ერთ ნაწარმოებში სიკეთეთა ესოდენ წრეშეუწყრელი სიღრმე. ძნელია აღმოაჩინოთ ზელოვნების კანონი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ეტორმა არ იცოდეს ან გამოყენებული არ ჰქონდეს. მიუხედავად რვა საუკუნისა, რაც თანამედროვეობასა და თამარის ეპოქას შორის ჩადგა, მიუხედავად ზელოვნების საზღვრების შეუდარებლად გაფართოებისა ამ რვაასი წლის მანძილზე, რუსთაველი დროის ხანდაზმულობას არასოდეს არ გრანობდა და უოველთვის რჩებოდა თაობებისათვის უახლოეს თანამედროვედ, როგორც პოეტოსი და შექსპირი, დანტე და აღმოსავლეთის დიდი პოეტები. განსაკუთრებელია რუსთაველის პოეტური საჭიროც, რომლის საზღვრებს ისევე ძნელია მივწვდეთ, როგორც უსაზღვრობას. რუსთაველის პოეტიკა თვალწაღვირველია და ჩვენ შევიძლება მისი შეცნობა მხოლოდ ამ მასშტაბით, რასაც ვაყენებთ ჩვენეუ აზროვნების პარობებში.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა

წიგნიდან: „რუსთაველის ესთეტიკური საწყირო“. თავი II.

დროისა და რანგის ქართული პოეტები, სულერთია, განაღიდებდნენ, თუ აკრიტიკებდნენ რუსთაველს, მისი ძლიერი გავლენის ქვეშ ეცეოდნენ. მე-12 საუკუნიდან დღემდე რუსთაველის ტრიუმფატორობა სრულიად რეალური ფაქტია, რაც დაადასტურეს უკეთესთა შორის უკეთესმა ქართველმა პოეტებმა. ჩვენი მიზანია „ვეფხისტყაოსანში“ წაიკითხოთ ის სტროფები, რომლებიც ისე ეხმარებიან თანამედროვე პოეზიას, თითქოს დღეს იყვნენ დაწერილი მავალითად, ამ თავში, რომელსაც ეწოდება „სამთავანე ქვაბსა მისელა და მუნთ არაბეთს წასვლა“, გვხვდება კვლევტი, რომლის ალტერაციული ელერადობა XX საუკუნის პოეზიას ვაგრცულებულ მოდერნიზტულ ლექსს მოგვაგონებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რუსთაველმა რვა საუკუნის წინათ განსაზღვრა პოეზიის ბედი, გაითვალისწინა მისი მომავალ ხასიათი და შთამომავლებს ნიმუში მისცა — ამაზე მეტს ნუ იზამთ, თუ გსურთ ანსტრდში არ გადავარდეთო.

რუსთაველმა კლასიკური მავალითები მოგვცა ლექსის მუსიკალობისა, ალტერაციისა, თუნდაც ხმურიანი ლექსისა, მაგრამ დააკვირდით მის სტროფებს — ყველგან გრანობასთან ერთად აზრი გინათებთ და არსად არავითარ ზედმეტობას არ გრანობთ, პირიქით, ვიტყობთ უფროსმენას, ვაღაღებთ და სულეირად გამაღაღებთ. დააკვირდით რუსთაველის ალტერაციას, მის ხმურთან ლექსს პოემის იმ თავიდან, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ:

„ეტყვის: „მზეო, ვითა გაქო, ნათლო და დარიანო!
შენთვის ზელნი გონებანი არა ცუდად არიანო,
მზიანო და მთავარიანო, ეტლად რაო დარიანო,
თქვენ საყრეტად აღარ მიწლით, არ გარდნო და არ იანო“.

კითხულობთ ამ ჟაღოსნორ ლექსს, მშვენიერს, ღამაზასა და უადრესად მუსიკალურს; კითხულობთ ვატაციებით, რაღაც შინაგან სიხარულს, შინაგან სიამოვნებას ვანიცდით, გაციებით მისი უჩვეულოდ ბუნებრივი მდინარეება, თითქოს უველაფერი ერთმანეთს თავისთავად მიჰყვება მას შემდეგ, რაც ამ სიტყვებს ეილაც გრძნებულა ხელი ჰკრა და მათაც ერთმანეთის მიყოლებით ჟაღოსნორი როინნი დაიწყეს. ნამდვილად დიდი პოეზია ოსტატობის მხრივ სიტყვების ამ გრძნეულ ხელის კერაშია, როცა ისინი შემდეგ თითქოს თავისთავად დაიწყებენ მოაზრობას და მოქმედებას. რუსთაველის ეს სტროფი, რა თქმა უნდა, უნებლიედ მოგვაგონებს 30-იან წლებში დაწერილ ლექსებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ პირველი ალტერაციის, მუსიკალობის, აზრის და ტემპირიტა ხელოვნების მეტრია, ხოლო მეორე — მიზანვისა და ძალდატანების ნიშნებია.

რუსთაველი ალტერაციული და მუსიკალური ლექსის ნამდვილად უდავლო ოსტატია. ეს საკითხი ყარად ვაშუქვა ცნობილმა პოეტმა კონსტანტინე კვიციანიმ თავის მონოგრაფიაში — „ალტერაცია ქართულ შირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა“.¹ ჩვენ აქ გვიანტერესებს რუსთაველის პოემაში ლექსის მუსიკალობისა და თეთი ალტერაციის ბუნების საკითხი, რომლის ანალიზს რამდენიმე ტიპური მავალითის საფუძველზე მოვახდენთ. მაგრამ, როგორც აქ, ისე პოეტის სხვა ხერხების დახასიათების დროს, მხოლოდ ზოგიერთ მავალითს მოვიტანთ. ამიტომ მკითხველმა არ იფიქროს, თითქოს „ვეფხისტყაოსანში“ მარტოდენ ის მავალითები მოიპოვებოდეს, რომლებსაც დავასახელებთ. რუსთაველის პოემა ილუსტრაციების მხრივად ზღვას წარმოადგენს და მისი ამოწურვა შეუძლებელია. სწორედ ეს ვეაძლევა საფუძველს ამა თუ იმ პოეტური ხერხისათვის შევარჩიოთ მხოლოდ ზოგიერთი, ვიმეორებთ, მხოლოდ ზოგიერთი საილუსტრაციო მასალა და არა უველაფერი, რაც პოემაში მველევარმა შეიძლება იპოვოს.

დაიწყეთ რუსთაველის პოეტის დახასიათება ალტერაციითა და რითით, რასაც „ვეფხისტყაოსანში“ გაბატონებული მდგომარეობა აქვს დათმობილი.

ალტერაცია რუსთაველთან შეიძლება ყველგან ვნახოთ, როგორც მისი პოეტური მეტყველების წმინდა მუსიკალური სამკაული. მაგრამ ისრად ალტერაცია გამოყენებული არ არის ალტერაციისათვის, არსად ამ მხრივ თვითმიზნობრიობა არ იგრძნობა, პირიქით, რუსთაველის ალტერაცია ყველთვის მხატვრული მეტყვე-

ლების, პოეტური ფრაზის შინაგანი ინტერენეტია, რომელსაც ვარგუნული ადრევეტური სახე მის ვერბალურ ელერადობაში სწორედ უჩვეულოდ ნიყო მარი აღნიშნავდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი საოცრად ძლიერია, როგორც სახეებისა და მკაფიო ფრაზების ოსტატი. ნ. მარის თქმით, „ამ ერთადერთ მწერალს ქართულ ლიტერატურაში“, რომელიც თავისი შემოქმედებით საუკუნეების მანძილზე ანციფრებდა მკითხველთა თაობებს, აქვს საიდუმლოებანი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პოეტური ფერმენტები. მათ შორის უნდა მოთავსდეს ალტერაცია, როგორც სტილისტური ხერხი.

პოეტმა და რუსთაველოლოგმა კონსტანტინე კვიციანიმ, რომელმაც ბევრი ვაყვითა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-ესთეტიკური (იგრეთვე პოეტური) შესწავლისთვის, ისე ამომწურავად გააკრია ალტერაციის პრობლემა ჩვენი გენიოსის მხატვრულ შემოქმედებაში, რომ ახლანდელია, სპიროც არ არის მეტი იოქვას. ჩვენ მხოლოდ ილუსტრაციებით დავემყოფილდებით, ისიც მხოლოდ იმეტომ, რათა საკითხის მთლიანობა არ დაეარღვიოთ. კონსტანტინე კვიციანიმ სრულიად უეჭველი ვაბადა, თუ რა ადგილი უყავია ალტერაციას „ვეფხისტყაოსანში“, რომლის ავტორი „ბეგრების ჟაღოსნია“, ხსენებული პოეტური ხერხის უდადესი ოსტატია და მას „არა თუ ქართულ ლიტერატურაში, მსოფლიო პოეზიაშიც“ ტოლი არა ჰყავს. „ილტერაციის ძარღვი შეუწყვეტლად მიჰყვება ამ უხარმაზარ პოემას პირველი სტაქონიდან უკანასკნელამდე. მთელ პოემაში არ არის ისეთი სტრიქონი, რომ მარტივი ალტერაცია მაინც არ იყოფს შიგ, არ არის შიგ ისეთი გვერდი, სადაც რამდენიმე სტრიქონი მაინც არ მოიპოვებოდეს ურბულესი ალტერაციით ვამართული. „ვეფხისტყაოსნის“ ყოველ თავში ნახავთ ერთ რომელიმე ბეგრავზე ავებულ ცალკე ტაეებს, რომლის მავალითი ორა-სამი თუ მოიძებნება მთელს დანარჩენ ქართულ ლიტერატურაში... მთელ პოემაში არა ერთჯან და ორჯან შეხვდებით ორ მეზობელ ტაეას, სადაც ვამეხებულა ერთი მთავარი ბეგრა. ამის მავალითს არც ერთი სხვა ქართული ლექსი არ იძლევა ალტერაცია და საერთოდ ბეგრების მუსიკალური შეხამება — აი ის მთავარი ნიშანდობლივი თვისება რუსთაველის ლექსისა, რომლის საშუალებით საბოლოოდ უნდა ვადაიჭრას კარდინალური საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ ვარშემო.“¹

ყველაფერი, რაც აქ არის ნათქვამი, სრული

¹ კონსტანტინე კვიციანი, „ალტერაცია ქართულ შირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა“, 1925 წ. გვ. 12.

¹ გამოვიდა 1925 წ.

სიმართლეა, რასაც ავტორი მდიდარი ფაქტიური მასლით ამტკიცებს.

მაგრამ მართოდენ ალიტერაცია როდი წარმოადგენს რუსთაველის ლექსის თანდაყოლილ სტიქიას.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია თექვსმეტმარცვლოვანი შაირით და მხოლოდ ერთგან პოეტმა გამოიყენა ფისტიკაური — „შეკრა წითელი ასი ათისი...“, რომელიც ზაზრუბაშვილისა და ძაგნაკორელის მარცვლოთა რაოდენობას — ოცს შეიცავს. ამიტომ, ბუნებრივია, რუსთაველი არ შეიძლება ჩათვალოს პოლიმეტრიის წარმომადგენლად, მაგრამ დააკვირდით „ვეფხისტყაოსნის“ ლექსაღერ ელერადობას: თქვენ არსად არა გრძნობთ შაირის ერთფეროვნებას, პირიქით, გგონიათ, რომ პოეტმა მრავალფეროვნებას თითქმის ჰქმნიდეს პოლიმეტრიით.

რა არის რუსთაველის, საერთოდ, ქართული ლექსის დამახასიათებელი?

ეს საკითხები ძალიან კარგად არის გარკვეული პროფესორ აკაკი გაწერელის მშვენიერ მონოგრაფიაში — „ქართული ლექსი“¹ და ჩვენ არაფრის დამატება არ გვსურს, გარდა მსჯელობისა სილაბურის, ტონურისა და მეტრულის შესახებ.

საერთოდ, თანამედროვე პოეზია, თვით ჩვენიც ბუნებრივად განვითარება, ყველაზე მეტად ადასტურებს, რომ ქართული ლექსი მართოდენ სილაბური კი არ არის, არამედ, თავისი შინაგანი ბუნებით სამივე წყობას განასახიერებს: სილაბურს, ტონურსა და მეტრულს, თუმცა გარკვეული სახით, უფრო აშკარად, პირველი მკვლავნდება.

ახლა ქართული რითმისა და რუსთაველის რითმების შესახებ.

ქართული ლექსი, საყოველთაო აღიარებით, უხვად შეიცავს რითმებს,² მაგრამ რუსთაველის რითმა კიდევ უფრო საოცარი გვეჩვენება. მართო სიტხვე როდი გამოარჩევს „ვეფხისტყაოსნის“ რითმათა სამკაულს. ბუნებრივობა, სილამაზე, კეთილზმონიანება, ორაგინალურობა, მოულოდნელი შემობრუნება, გაბედული შემართება, თითქმის ყველა სიტყვის შერიობება — ასე ვეზიბლავს რუსთაველის პოემაში, როგორც სა-

ერთოდ მისი ეფფონიური ხასიათი. „ვეფხისტყაოსანი“ ნამდვილად პოეტური, სიმფონიკია. ამ ეფფონიაში რუსთაველის გრძნეული რითმა ნამდვილად მარგალიტს წარმოადგენს და მისი სილამაზე, არაჩვეულებრივი მუსიკალობით დამშვენებული, სრულიად უპრეცედენტოა. „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე მუსიკალურია, თითქმის პოეტი მხატვრული ნაწარმოების პარალელურად სიმფონიას წერდეს. რუსთაველი მუსიკალური გრძნობის ვადოქარია და ეს მუსიკა მას ვადანაილი აქვს პოემის რითმულ სამკაულშიც. ჩვენ არ ვგვგულობთ მეორე ქართველი პოეტი, რომელიც რითმით უფრო მდიდარი იყოს, ვიდრე რუსთაველია. და რა არ გვხვდება მისი რითმების უცნაურ სამკაულში: იმეორებს ერთსა და იმავე რითმას, თუ მოულოდნელად ჰქმნის სრულიად ახალს, პოეტი ყველგან ისეთ სიმალღეზე აღის, სადაც მხოლოდ გენიოსებს შეუძლიათ ფრთების გაშლა.

რუსთაველთან სხვადასხვა ადგილას გვხვდება ერთიდაიგივე რითმის განმეორება, მაგრამ დიდი ესთეტიკური ფუნომენით. მაგალითად:

„თინათინ ადგა, მივიდა, მიიყვანა მამისა
ნ ე ბ ა ს ა...
მიამამან ვეერდსა დაისევა, აკოცა
ნ ე ბ ა - ე ბ ა ს ა“.

ეს რითმა განმეორებულია აგრეთვე იმ თავში, სადაც აღწერილია ავთანდილის წისვლა ტარიელის სამებრად:

„ეთთა მე მიგხვდელ წადილსა, ჩემის გულისა
ნ ე ბ ა ს ა...
უჩვენა მისი სადგომი: „მიდიითო
ნ ე ბ ა - ე ბ ა ს ა“.

რითმების ამგვარი განმეორება „ვეფხისტყაოსანში“ ძალიან ხშირად გვხვდება, მაგრამ არსად თვალში არ გვეცემა და თავის თავს არასოდეს ზედმეტად არ გვაგვარძობინებს. პირიქით, იქაც კი, სადაც რუსთაველი ოთხი ეპილეტის შემდეგ ოთხსტრიქონიან რითმას თითქმის უცვლელად იმეორებს, ჩვენ ვერ ვამჩნევთ, თუ სპეციალურად არ დავაკვირდებით. მხედველობაში გვაქვს პოემის ერთი თავი — „წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებთ შემოქცევა“, რომლის 22-ე ეპილეტის რითმა —

„მე შენა მუოფი მივეცი შევებასა მეტის
მეტასა.
რა შემობხედნის, შევებენდი, ცეცხლმან დამიწყის
შტეტასა;
აკეთა კრძალვისა ვაწვევი გულსა შვავსა და
რეტასა.
რა უამეა პირის-პირ საყვარელისა
შვრეტასა“,
განმეორებულია 27-ე ეპილეტში სულ ოდნავი ცვლილებებით:

¹ პირველად გამოვიდა 1953 წელს, სახელწოდებით — „ქართული კლასიკური ლექსი“, მეორედ — 1955 წელს, ტექსტში მოხსენებული სიათურით.

² ქართული რითმის საკითხები მშვენიერად არის გარკვეული პროფ. აკაკი გაწერელის „ქართულ ლექსში“. ავტორი ეხება რითმის ცნებას, კლასიფიკაციას, მეტრს, რითმის ადგილს ტაქსა და სტროფში, რითმის ეფფონიას, რითმას და სიტყვის, ქართული რითმის ისტორიას.

„ავიყარინით მიგვეკირდა სმა დოსტაქნისა
 მეტისა.
 საწოლს შემოვე, შემექმნა ცნობა მართ ვითა
 რეტისა.
 ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე ამა ცეცხლთა
 შრეტისა
 შეგონებოდის, მალბენდის გონება მისგან
 ჭერეტისა.“

როგორც ვხედავთ, რითმები ერთგვარია: მეტასა-შერტასა, შერტასა-შრეტისა. რეტასა-რეტისა, ჭერეტისა — ჭერეტისა, მაგრამ ახალი ისაა. რომ ერთგან მომხდარია გადაჯვრელება (შერტასას ადგილზე 27-ე კვებულში რეტასაა ჩასმული), გარდა ამისა, შეცვლილია ბრუნვა. მაგრამ თქვენ ისე გატაცებული ხართ, როცა პოემას კითხულობთ, რომ შეუძლებელია იგრძნოთ ხსენებულ რითმების ტავტოლოგიური ხასიათი. ეს უკვე რუსთაველის გენიის ძალაა, რომელიც ტავტოლოგიას ყოველთვის შეგნებულსა და უადრესად ბუნებრივ სახეს აძლევს ხოლმე. საუკეთესო მაგალითად გამოდგებოდა „ტარიელის ტირილი და დაბნედა“, სადაც ზემოთმოყვანილი რითმა კვლავ განმეორებულია:

„ზე წამოჭდა ფერ-მიხილი, აყოლებდა
 თვალთა რეტად.
 ვარდი სარულად შექმნილიყო ზაფრანად და
 ვითა სპეტად.
 დიდხან მათად არა სცაღდა, საუბრად და
 არცა ჭერეტად,
 დარწმობა და არ-სიყვდილი მას უმზიმდა მეტის-
 მეტად.“

რითმისმიერი სიტყვები: რეტი, შერტი, ჭერეტი, როგორც ვხედავთ, აქ ისე გვხვდება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ შემოტანილია ახალი სიტყვა — სპეტი (უმარბილი — სახას განმარტებით) და ბრუნვა კვლავ შეცვლილია. ამგვარი რითმა — მეტად, ჭერეტად, რეტად ორი თავის შემდეგ რუსთაველს გამოყენებული აქვს, როცა ტარიელისა და ნესტანის თათბირზე ლაპარაკობს. მაგრამ იქაც ერთი ახალი სიტყვა — ზერეტად შემოაქვს და რითმათა თანმიმდევრობას ცვლის, თითქოს პოეტურ ეფონიში მათემატიკური პერმუტაციონის წესს იყენებდეს:

„თქვა: „რა მესმა ესე მისგან, შეიმედა შერტის
 მეტად,
 კვლა მიეცა თვალთა ძილი მის ნათლისა ეგრე
 ჭერეტად.
 აწ დაჯვარგა, რად არ ვიკვირს, რად ცოცხალ
 ვარ, რად ვარ რეტად?
 ვა, სოფელი უხანოა, რად ჰზი სისხლთა ზემთა
 ხერეტად!“

განა კიდევ საჭიროა ფაქტებისა და მაგალითების მოტანა რუსთაველური რითმების დასახსნათებლად? განა ცხადი არ არის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი გენიოსია როგორც ალიტერაციის, ისე რითმების ოსტატურ გამართვაში?

მაგრამ გადავშალოთ რუსთაველის მხატვრული სამყაროს დიდი წიგნის მომდევნო ფურცლები და ვაეცნოთ იმ პოეტურ ხერხებს, რომლებსაც გენიოსი პოეტი უმშვენიერესი ალიტერაციებისა და ოსტატური რითმების პარალელურად თავის უკვედა პოემაში იყენებს.

ერთი ასეთი ხერხია მაქამა, რომელიც რუსთაველის შემდეგაც დიდი მოწონებით სარგებლობდა ქართულ პოეზიაში.

როგორც მითითებული გვაქვს, რუსთაველის პოემაში წმინდა პოეტური მრავალფეროვნება ისევე გვხვდება, როგორც ფილოსოფიური აზრების სიღრმე. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანი“ შედარებით უკეთ არის შესწავლილი, ყოველ შემთხვევაში, მისი ლექსის ზომები და ფორმები ჩვენთვის ცნობილია. დადგინდია, რომ პოეტი ალიტერაციას უდიდესი ოსტატობითა და ასევე უდიდესი ზომიერებით იყენებდა, რაც კონსტრუქციულ პიუნქტის გამოკვლევის შემდეგ სრულიად უდავოა. მისი მაქამებიც გვიბილავენ ორიგინალობით, სინატივით, ძალდაუტანებელი ბუნებრივობით. ჩვენ ვვინდა ამ თვალსაზრისით გამოვარჩიოთ სამი სახის მაქამა: სრული, საშუალო, არასრული. პირველს განეკუთვნება მაქამი, რომელსაც ტაქმის ოთხივე სტრიქონის ბოლო რითმები ოპონირები აქვს მეორეს — სამი სტრიქონისა და მესამეს — ორი სტრიქონის ბოლო რითმები. ვიდრე სათანადო მაგალითებს მოვიტანდეთ, საჭიროა გარკვევით ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ის ერთერთი უნიჭიანესი გამონაკლისია მსოფლიო პოეტთა შორის, რომელთა მხატვრული შემოქმედება არასოდეს არ გვაგპრანბინებს ავტორის შრომას, თითქოს მადი თხულება თავისთავად იყოს შექმნილი, თუმცა ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა კოლოსალური, პირდაპირ ტიტანური ჰამან-წყევტის შედეგია თვითელი. მათგანის პოეტური კმნილება. ეს მათბეჭდილება იქმნება მათი გენიალური ნაწარმოებების გასაოცარი ბუნებრივობით, უდიდესი უშალობითა და კლასიკური სისიდავით. რუსთაველის პოემაც ყველა ამ ღირსების ამკარად მლადებელია. ეს ღირსებანი „ვეფხისტყაოსანში“ ყველგან ჩანს და ყველაფერს ეტყობა. მის ეგზონობთ აგრეთვე მაქამებში, სადაც თვითელი სიტყვა ავტორის ძირითად იდეას ემსახურება, აზრის მკაფიოდ გამოთქმას და არა თვითმიზნურ რითმის ან ანემებულ სიტყვათქმნადობის, რაც სხვა პოეტთა მაქამებში საერთოდ შეინიშნება.

მაგალითისათვის გავხსენათ რუსთაველის ცნობილი მაქამი:



„კაცმან ვით პოეოს, ღმერთისაგან რაც არა
და ანაბადია!
მით გული ჩემი სახმელმან აწ ასრე დანაბა
დია,
კვლა გზასა მიერავს, მიჭირავს, მითქს ბადე
დანაბადია;
აწ ლხინთა ნაცელად სოფლისა ჩალა მაქვს და
ნაბადია.“

მართლაც, მშვენიერი მაყამაა, სრული, კლასი-
კური ფორმისა.

ახლა საილუსტრაციოდ მივმართოთ პოემის
იმ თავს, რომელსაც ეწოდება: „თინათონისაგან
აეთანდილის გავზავნა მის ყმის საქებრად“. ამ
თავში მოთხრობილია, თუ როგორ დაიბარა
თინათონმა აეთანდილი, სიყვარული ვაჟმეღაუ-
ნა, თან დაავალა — უცხო ყმა ეთიე, სამ წელი-
წაღს ვადას მოგეცე, თუ ველარ ნახე, დამიბ-
რუნდი და ერთგულად დაგხედებო. შევვარე-
ბუნდი ერთად სხედან, ერთმანეთის ცქერით
ტებებიან, მაგრამ აღწერილ სურათს მეტი შთა-
ბეჭდავი ძალა რომ მისცეს, რუსთაველი სრულ
მაყამას მიმართავს:

„ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასად
აგეს,
ბროლ-ბადახში შეხვეული და ვიშერა
ასად აგეს.
ყმა ეტყვის, თუ „შენთა მჭერეტთა თავი ხელი
ა, სად აგეს!
ცეცხლთა, მანდით მოდებულთა, გული ჩემი
ასად აგეს.“

მოტანილი მაგალითი კლასიკური მაყამაა და
პოემაში ხშირად გვხვდება ასეთი სრული მა-
ყამები:

„ღმერთმან თუ მცა ენა ჩემი ქებად შენდა
უშენოსა,
შენთვის მკვდარი, აღარ ვიტყვი, მაშა მომკლავ
უშენოსა;
მზემან ლომსა ვარდ-ვიშერი ბალი ბაღრად
უშენოსა!
შენმან მზემან, თავი ჩემი არვის ჰპართებს
უშენოსა!“
„თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად
არ იდენო,
ამას იქით ნულარა სტიარ, ჰირსა თავი
არ იდენო;
შენნი მჭერეტნი ჩემთა მჭერეტთა ავიწუნენ,
არ იდენო,
რომე წელან მოგვხეივნეს, იგი ჩემთვის
არ იდენო.“

ორივე ეს სრული მაყამა ამოღებულია ნეს-
ტანის წერილიდან ტარიელისადმი და კლასი-

კური მაყამების როგს მიეკუთვნება. კლასიკე-
რია აგრეთვე შემდეგი მაყამებიც შედის:
„გი ველი ვაირბინა, ლაშქართაგან გაეკიდა,
ვინმცა ნახა სულეღრმან, ანუ ვინმცა

გაეკიდა?
ვის მახვილი ვერას ავინებს, მისი მკლავი
გაეკიდა,
მისგან ტვირთი კეუნისა ტვირთოდ ვარგად
გაეკიდა.“

საშუალო მაყამის მშვენიერი მაგალითია პირ-
ველივე ტაეპა პოემის იმ ადგილიდან, სადაც
მოთხრობილია ამბავი ნესტან-დარეჯანის ქაჯთა-
გან შეპყრობისა და ფატმანის მიერ აეთანდილი-
სათვის ფარსადან მეფის ასულის შესახებ საინ-
ტერესო ცნობების მიწოდებისა. ეს მაყამა ასე
იკითხება:

„ეა, საწუთროო, სიცრუეთ თავი სატანას
აღარე!
შენი ვერავინ ვერა ცნას, შენი სიმუხთლე
სად არე;
პირი მზისაებრ საინო სად უჩინო ჰყავ,
სად არე?
მით ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოხრად ზანს
ყოვლი, სად არე!“

საშუალო მაყამის მეორე მაგალითად შეი-
ღებება მოიყვანოთ შემდეგი ცნობილი ადგილი
პოემის იმ თავიდან, რომელსაც ეწოდება „ამ-
ბავი აეთანდილისა არაბეთს შექცევისა“:
„ვინ უწინ ედემს ნაზარდი ალვა მრგო,
მომრწყო, მახია,
ღღეს საწუთრომან ლახეარსა მიმცა, დანასა
მახია,
ღღეს გული ცეცხლსა უშრეტსა დაბმით დამბა,
მახია.“

აქვე ეცან „საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩიხიხა“
აღწერა

„ესე მოსთქვამს აეთანდილი ტარიელის დასახ-
მარებლად მეორედ გამზავრების წინ, თინა-
თინთან „გამოთხოვების შემდეგ.
არასრული მაყამაა პოემის შემდეგი ადგილი:
„მისმან შექმან განანათლა საშყარო და ხმელთა
ქიდე-
რა უმძიმდა, არ ვიციდი, ან ტიროდა ვისთვის
ქიდე-
ახლმან ფიჭქმან დათოვა, ვარდი დაორთვილა,
დანასა;
მოუნდის გულსა დაეცმა, ზოგჯერ მიმპართის
დანასა.“
„სხვად უღონოა უშენოდ ჩემგან აღპყრობა
ხელისა;
რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი
ხელისა.“



„დაეგდე მზღვარი ინდოთა, მეულო პაშტაი
ხ ა ნ ი ა ;
რამაზის კაცი მემთხვია, ვინ ხატავთის
ხ ა ნ ი ა .“

2

„სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ უდუნ მარტუნი
სოფლისა მნათო მნათობი, მზისაცა დასთა
და ს უ ლ ი ;
მან მისთა მკურეტთა წუღლის გული, გონება
და ს უ ლ ი ,
ბრძენი ხაშს მისად შაქებრად და ენა ბევრად
ა ს უ ლ ი .“

„რა ეცნა, წამოსრულიყვენს, ღამე-წამორთეთთ
ე ა რ ა ;
ვერ დიბტევეა მინდორი და არე მათთა
ე ა რ ა .“

არასრული მავამა პოემაში ძალიან ხშირად გვხვდება, როგორც, მაგალითად, იქ, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ დაეთხოვა ავთანდილი ჩოსტევეანს და რა საუბარი ჰქონდა მეფის ვეზირ სოვრატთან — „ასი ათასი წითელი“ ქრთამად რომ შეაძლია პატრონის წინაშე შეამდგომლობისათვის. ამ თავში ბევრია არასრული მავამები, ჩვენ კი მხოლოდ ორ მათგანს მოვიტანთ:

1

„ყმა გარდასვა მასბინძელმან არ ღაფაღმან,
აემან, უ ქ მ ა ნ ;
ფერხთა ქვეშე ხატაურსა უფუნენ და მიწად
უ ქ მ ა ნ .
ყმამან სახლი განანათლა, ვით სამყარო მზისა
შუქმან ;
ოქვენ, „სურნელი სული ვარდთა დღეს
მოგებერა ქვენა ბუქმან“.

2

„ყმამან უთხრა: „აღარ-წასლვა არ ეგების ჩემგან
ა რ ო ს .
იადონი მამინ მოყვედეს, ოდეს ვარდმან
იღამქნაროს.
ხაშს, უძებნოს ცვარი წყლისა, მისთვის თავი
ყოვლგან ა რ ო ს ,
ვერ უპოვოს, რა ქმნას, ანუ გული რითა
დაიწყენაროს!“

ამგვარი ოპონიშური რითმები იმდენად დამახასიათებელია რუსთაველისათვის, რომ ამ მხრივ მას ტოლი არ გააჩნია არც ქართულ, არც მსოფლიო ლიტერატურაში. არასრული მავამები კი ისე ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, რომ ყველა მათგანის დასახელება სრულიად ზედმეტი იქნებოდა. ზოგაერთი მათგანი კი ასეთია:

1

„გასრულდა ჩემი ანდერძი, ჩემგან ნაწერი
ხ ე ლ ი თ ა ;
აჰა, გამზრდელო, მოგშორდი, წავე გულითა
ხ ე ლ ი თ ა !“

პირველი მაგალითის პირველ სტრიქონში „ხელი“ პირდაპირი მნიშვნელობით ხელს ნიშნავს, მეორე სტრიქონში კი დაუდგრომელს, მგზნებარეს, გაიყვებულს. რაც შეეხება მეორე მაგალითს, იქ „ასული“ ჯერ ქალიშვილის აზრითაა ნახშიარი, შემდეგ კი სულ სხვა მნიშვნელობით, როგორც „დასული“ და „და სული“.

ჩვენს მიერ მოტანილი მაგალითებითაც სავსებით ნათელი ხდება, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი მავამებშიც უდიდესი ოსტატია და პოეტური შეტყველების ეს ფორმა თეიმურაზ პირველმა სპარსულ პოეზიისაგან კი არა, თვით რუსთაველის უკედავი ქმნილებიდან შეისწავლა.

• • •

„ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულია ისეთი პოეტური ხერხიც, როგორცაა ანაფორა. გვხვდება მისი საშივე სახე — ფონეტური, ლექსიკური, სინტაქსური. ანაფორის დანიშნულება, მუსიკალური კეთილშოვნების გარდა, აზრისა თუ გრძნობის აქცენტირებაში მდგომარეობს. რუსთაველმა ყოველივე ეს შესანიშნავად იცის და საჭიროების დროს ანაფორის საშივე ხერხს იყენებს.

ნესტან-დარეჯანი სასტიკად ტუქსავს თავის მიწურეს, — რატომ მიეცი ჩემს დედ-მამას თანხმობა ზეარანშვას შვილზე ჩემი გათხოვებისათ. ამაზე, როგორც ვიცით, ტარიელს იგი გულისწყრომით ვუბნება:

„ე ბ რ ე ე შე მაქვს პატრონობა, უგზოდ
ვლიდენ, თუნდა გზეთსა!
ე გ ე ა გ რ ე არ იქმნების, წა, მომცთარხარ
მოსაცეთსა...“

ეს არის ფონეტური ანაფორა, ვინაიდან სიტყვები სტრიქონთა დასაწყისში — „ეგრეც“ და „ევე აგრე“ ქმნიან მსგავსი ბგერების ისეთ განმეორებას, როცა იქმნება ფონეტური მსგავსება განსხვავებული სიტყვების მეოხებით. რუსთაველს, ცხადია, ამგვარი ხერხი ესაქმნებოდა ნესტანის რისხეაში ხაზგასასმელად და იმ თავში, სადაც მიწურების თათბირია აღწერილი, ვეხვდება მეორე სახის ანაფორაც:



„შენ არ იცი ზეარაზმისი საქმროდ ჩემად მოუყენება?!
 შენ ჯდომილხარ საეზიროდ, შენი ჰრთულა ამას ნება,
 შენ ვასტეხე ფიცი ჩემი, სიმტყიც და იგი მცნება...“

ამ ანაფორას, რომელსაც მიმართებით ხასიათი აქვს, ლექსიერი ეწოდება, რაიც ერთადიგივე სიტყვები — „შენ“, „შენ“, „შენ“ იმავე ფუნქციას ასრულებენ, რაც საერთოდ ხსენებულ პოეტიკურ ხერხს ეკისრება. აქაც ნესტანის მრასხანებას ლექსიერი ანაფორა კარგად გამოხატავს და რუსთაველმაც სწორედ ამ მიზნით გამოიყენა მისთვის კარგად ცხოზილი მხატვრული საშუალება. სხვა შემთხვევაშიც პოეტი ანაფორას მიმართავს, როგორც მწუხარების აქცენტირებას: ტარიელი ასე უამბობს თავის ოდისეას ახლადგაცნობილ ავთანდილს:

„მას დაკარგულსა ვიგონებ მე, სიციცხლისა მთმენები;
 მას აქათ ვახლავ ნადირთა, თავსა მათებრე მხსენება...“

ამგვარი ანაფორები დაუსრულებლად შეიძლება მოვიტანოთ „ვეფხისტყაოსნიდან“, როგორც ფონეტიკური, ისე ლექსიური. მაგალითად, ავთანდილი ეუბნება ტარიელს:

„მან სხვა უხმოს მყურნალი და მაჯამისა შემტყუვებარი,
 მან უამბოს, რაცა სჳირდეს სენი, ცუცხლთა მომღვებარი.“

მაგრამ რად გვიჩნდებოდეს, პოემის დასაწყისშივე რუსთაველი ლექსიერი ანაფორას მიმართავს:

„მიჩნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
 მიჩნურობა სხვა რამეა, არ სიმძვისა დასადარი.“

პოემაში იშვიათად როდი გვხვდება სინტაქსური ანაფორები, რასაც ქვემოთ მოტანილი მაგალითები დაგვიდასტურებენ.

გადამოლით თუ არა პოემის იმ თავს, რომელსაც „წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა“ ეწოდება, თქვენ წაიკითხავთ შემდეგ სტრიქონებს: ავთანდილი ტარიელის საქებრად პირველი გამგზავრების წინ ეთხოვება თავის ერთგულ ყმებს, თხოვს მისი წერილი წაიკითხონ, უურად იღონ, ვიდრე დაბრუნდებოდეს „სამეფო მტერთაგან დაულეწელი“ დაახვედრონ, თავის მონაცულებ შერმადინს ტოვებს — მშისა და შვილის მსგავსად გაზრდილ კაცს, ვისაც იმგვარად უნდა დამოირჩილონ,

„არს ვითამცა ავთანდილი“. სწორედ აქ გამოიყენა რუსთაველმა ის ანაფორა, რომელსაც სინტაქსური ეწოდება, და რომელიც ასევე სახე აქვს შილებული:

„საქმე რამე შიცი თავისა ზე სადმე გარდასახვეწელი,
 დავუო მარტოდ და ღარიზად ესე წლივლი მე წელი,
 გემუდარები ამისთვის, ვარ თქვენი შემოახვეწელი,
 მე დამახვედროთ სამეფო მტერთაგან დაულეწელი.
 მე შერმადინ დამიგდოი, ჩემად კერძად პატრონობდეს,
 სიკვდილსა და სიციცხლსა, სადამდისცა ჩემსა სცნობდეს,
 ყოვლთა მზუებრ მოგუფინოს, ვარდეს არ ზრვიდეს, არ აქნობდეს,
 შემეცოდესა ყველაყასა ვითა ცვილსა დაადნობდეს.“

პოემის იმ ადგილას, სადაც ავთანდილი ტარიელის ქებაში შევიდა, ისმათი ნახა, გაეცნო, თავისი ამბავი მოუთხრო და შინსავან თავზარდაცემულ ქალს „ღობა“ თხოვა, — რუსთაველი კვლავ სინტაქსურ ანაფორას მიმართავს. ისმათი ასე ეუბნება ავთანდილს:

„ხარ უცილოდ კარგი ვინმე, მოყმე, ბრძენთა საქებარი;
 ხარ ვინათგან აქანამდის მავა ჳირთა დამთმობარი...“

კლასიკურ ფორმაში სინტაქსურ ანაფორას წარმოადგენს, აგრეთვე, ხატულებთან ტარიელის გმირული შემართების ის სცენა, რომელსაც თვით ვეფხისტყაოსანი ასე გადმოგვცემს:

„კაცი კაცსა შემოვსტუო რცი, ცხენ-კაცისა დადღვი გორი;
 კაცი ჩემგან ვანატყო რცი, ზრუნავს ვითა ტანჯორი.“

გარდა იმისა, რომ აქ კლასიკური სინტაქსური ანაფორა გვექვს, იგი გაძლიერებულია ალიტერაციებით და ისე გვესმის, როგორც სამხედრო მარშის გუგუნია.

სინტაქსური ანაფორებია აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი სტრიქონები:

„მუნ მივალ, სადა ვყოფილვარ, მპირდა სადამდის ხელთა;
 მუნ გვიმასპინძლოს ასმათმან, მას უცხოტყისა ხმელობა.“
 „ერთმანეთისა გაფრილნი ქალნი ორნივე, დობილი,
 ერთმანეთისა დად-ფიცნი, სიტყვისა გამოდობილნი.“

ჩვენს მიერ დასახელებულ სინტაქსურ ანაფორებს, როგორც შეიძლება ზედვს, უველ-
გან ღრმა აზრი აქვთ, და არსად ისინი არ გვა-
გრძნობინებენ ავტორისეულ წინასწარგანზრ-
ხელობას. ბუნებრივობა, აღწერილობითი სიტუაცი-
ისთან ორგანულობა რუსთაველის ანაფორათა
ერთი უპირველესი ღირსებათაგანია. ამასვე გვი-
დასტურებენ „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი ფო-
ნეტიკური და ლექსიკური ანაფორებიც:

„შენთა შექთა შემოშადგამ, ბნელსა
გულსა ზედა შვეჩისა,
შენი ვიყო, სადაჲმისცა დამიყოფდეს მიწა
პირსა“.

„არიან მებრად მუხთაღნი, — ჩვენ ერთელ
კვლავა ვნახენით, —
არამცა მოგვლეს ლალატად, არამცა
ვუვაგლახენით“.

„დღეს საწუთრომან ლახვარსა მიმცა.
დანასა შახთა,
დღეს გული ცეცხლა უშრეტსა დაბნით
დაშობა, შახთა“.

„გული კრულია კაცისა, ხარბი და
გაუძლიშელი,
გული — თამ-გამად ყოველთა ჳირთა შიმში,
ღმინთა მნდომელი,
გული — ბრმა, ურბი ხედვისა, თეთი კერას
ვერ გამოზომელი“..

„ეინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოველთა
მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი
ღმერთი ღმერთად“.

„არა უარეა შამაიცსა სულ-ღიდსა,
წასლვა-გვიანსა?
რა უარეა შამაიცსა ომშავსა პირის
მხმეჭულსა“.

„შენ ზარ მიცემვი მიყნერთა მიყნურობისა
სენისა,
შენ გაქვს წამალი მისისა მოთმინებისა
თმენისა“.

„ცნობიერთა დასტაქარმან, უცნობოთა
ოსრევა-ახმან;
ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობოსა
რასმე შხრახმან“.

„თქვენს შუა მჭმნელი საქმისა, შენგან
ნახშობი დობისა,
თქვენი შემყრელი მსახური, შენგან
ღირს-ქმინი ხმობისა“.

„არ უთქმელობა არ ვარგა, არ პირუტყვი
ვარ მჩმუნავი,
არ ვიცი, ღმერთი ჩას მიხამს, ანუ ცა
მიწყევ მბრუნავი“.

„რად სიკვებ გულსა ნიადაგ მწვევს გმირთა
სამს აღებისა?
რად გული კლდისა ტინისა შემჭმნია სამ
სალეხისა?“

„შენმან მზემან, უშენოსა არვის მოხვდეს
მთვარე შენი,

შენმან მზემან, ვერვის მოხვდეს,
მო-ცა-ვიდენ სამნი მზენი“
მოტივილი ილუსტრაციები ანაფორებისა,
რომლებიც ბრწყინავენ აღტრანატიკებით, კი-
დევე უფრო მეტ ძალას იძენენ მოლოან კონ-
ტექსტში, წაიკითხეთ თვითველი მათგანი თავის
ადგილზე, კონკრეტულ სიტუაციაში, რასაც
ისინი, გამოხატავენ, და თქვენ მიიღებთ ვაცი-
ლებით უფრო ძლიერ ესთეტიკურ სიამოვნებას,
ვიდრე ასე ფრაგმენტებად ვაცნობისას. სრუ-
ლიად უეჭველია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავ-
ტორი ანაფორების ისეთივე დიდოსტატია, რო-
გორც ალიტერაციის, მარამის და მონორიმებისა.

• • •

რუსთაველი ძალიან ხშირად იყენებს ლითო-
ტას, როგორც გამოთქმის მრავალფეროვნებათა
მიღწევის საშუალებას. მისი ლითოტები უო-
ველთვის ბუნებრივია, თითქმის პოეტი ჩვეუ-
ლებრივად გვესაუბრებოდეს ან ასევე ჩვეულებ-
რივად გვიხსიათუბედეს მოქმედ გმირს, მის ში-
ნაგან ზახათოს, სავანსა თუ მოვლენას. პოემაში
იმდენი ლითოტია, რომ ყველას მოხსენიება სი-
ჭირთ არ არის. ზოგიერთი მათგანის მოტანაც
საკმარისი იქნება ჩვენი დებულების საილუსტ-
რაციოდ.

როცა თინათინმა აეთანიღლი იხმო, რათა
უცხო ყმის საძებრად გაეგზავნა, სპასპეტმა თი-
ვისი სატრფო იხილა უმშვენიერესი სახისა; ვლ-
ვასავით ლაშაში იყო, მისი უქმისაგან მთვარე-
საც კი უყენი ვფინებოდა; ძვირფასი ტანსაცმე-
ლი ეცვა, შავი წამწამალი კაცს გულს გაუგმი-
რადღენ, მაგრამ ეს არი ის ყველაფერი:
პოეტმა მზატრულ ეპითეტებს მიაშველა კიდევ
ერთი ხერხი — ლითოტი, რათა ბოლომდე დაფ-
მთავრებინა ქუშად და დაღრუჯით მჭდომი თი-
ნათინის აღწერა: „მის თეთრსა ყულსა ეხვიენეს
გრძლად თმანი არ-უხშირონი“. ეს ბოლო სიტყ-
ვა — „არ-უხშირონი“ სწორედ ლითოტია, რაც
ამ შემთხვევაში „ხშირს“ ნიშნავს, მაგრამ
პოეტმა იგი არ იხმარა, რაკი სურდა ორიგინი-
ლური ყოფილიყო და ჩვეულებრივი გამოთქმი-
სათვის ამაღლებული სახე მიეცა.

დილოგშიც იგივე მეორდება. როცა თინა-
თინი აეთანიღლის მოაგონებს უცხო ყმის ამბავს
და დავალებას აძლევს, რუსთაველი აქ ისევ
ლითოტას მიმართავს: „ქალმან უთხრა საუბარი
კვალუ-სიტყვად, არ დუხშირად“. პოეტს შე-
ეძლო ესმარა ის სიტყვა, რომელიც წინამორ-
ბედის ბუნებრივი (ჩვეულებრივი) გაგრძელება
იქნებოდა, მაგრამ მან განზრახ მიმართა ლი-
თოტა — „არ დუხშირად“, როგორც პასაჟის
გამაძლიერებელსა და ტრივიალურის საპირის-
პიროს.

ამგვარი გამოყენება ლითოტისა პოემის შემ-
დეგ თავშიც ხშირად გვხვდება, კერძოდ, იმ
დროს, როცა უცხო ყმის საშუალონ ძებნის ვადა

მიიწერა და ავთანდილი პირველად შეხვდა ტარიელს მიერ ნაცემ სამ ქმას. მათ უჩვენეს შორს მიმავალი ტარიელის „შავი ტაიტი“, რომელსაც ავთანდილმა პირველად შეასწრო თელი და გახარებულმა ნაცემ სამ ქმას უთხრა:

„...თუ: „ამანო, ვარ ენიმე ღარიბი
 უადგილოსა,
 მე იმა ყმისა საძებრად მოვწმორდი
 საგაზრდილოსა,
 აწ თქვენგან მივხვდი საქმესა ყოლა
 არ-სა ა დ ვ ი ლ ო ს ა,
 ღმერთიმცა ნურას ნელარ იქმს თქვენსა
 დასაღრეცილოსა!“

„არ-საადგილო“ ლითორბა და იმავე განზრახვითაა ნახშირი, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში. აქაც აზრის გაძლიერება, აბაღება, აბაღ ხარისხში აყვანა ლითორბის ეშვალო ფუნქციად არის ქცეული.

ყველგან იმავე ფუნქციის ასრულებენ შემდეგი ლითორბები: „ვევლაკი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ-დააჭრილი“; „სულთქმა სულთქმისა ბევრისა, მამა თუ არ ე რ თ ე ლ ი ს ა“; „გახსოვსკა, ოდეს დახოცე მონები არ-სა ა ზ რ ე ბ ი ა?“, „ეოქვა, თუ: „ეამად ვეახნა ჩვენ თქვენი არ-ო რ გ ე ლ ო ბ ა“; „მერამე წასლეა არა მწაღდა, ამად მივალ არ-ფ ი ც ხ ე ლ ი“; „სასიძოდა მოგვივიდა, იყენეს ხანსა არ-დ ა მ ზ მ ე ლ ე ლ ი“; „მან ზემთის დაწვა თავისა დაღვა, არ-დ ა ს ა წ ვ ა ე ი ს ა“; „პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მ ო თ მ ე ნ ა, მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ-მ ო წ ყ ე ნ ა“; „რა გაიგონა, შესთავალა პასუბი არ-ნ ა გ რ ძ ე ლ ე ე ო“; „ესსა შევა დარბახს ვაზირი დღორეწით, არ-მ ხ ი ა რ უ ლ ა დ“; „მერასმე მყვეს საუბარსა, სიტყვა მკადრა არ-მ ა ლ ე ლ ი“; „მისის კთხვით წამოსრულეა, არ მთერლურად, არ მ ა მ მ უ რ ა დ“; „სამოცი ლიტრა წითელი აწონით, არ ნ ა კ ლ ე ლ ი თ ა“; „ერთვან სხლანი, უზნობლიანი საუბარსა არ ა-მ ქ ი ს -ს ა“; „ჩამოვბურე მრავალ-კეცი სტავრა მამივე, არ ს უ ბ უ ქ ი“; „წამ-ვრთი მიხდა ფაქმანისსა, დღე იარა არ-მ რ ა ვ ა ლ ი“; „შვიან ერთი ცილობანი დაბეჭდლი, არ-გ ა ხ ს ნ ი ლ ი“; „მზემან შეწნი შემომადგნა, ვარდი მით ვარ არ-დ ა მ ზ რ ა ლ ი“; „მოიღეს ძღვენი უსახო ვრილინის არ-ა ლ ე ა ტ ი ს ა“; „იგი სახლი განანათალეს, არ ნ ა თ ე ლ ი შ ე ა ლ მ ე ს“; „ინდოთ მეფე თავიანსა სცემს ლალი, ბრძენი, არ მ ა მ მ ე ლ ი“; „ავითა მპართებდა, პერობდეს, ღვინოსა სმიდეს, არ ღ ო ს ა“; „იციხოლით და მიღვრდი, ნ უ ც რ ე მ ლ ი ა წ ა ნ წ კ ა რ ი თ ო“; „მოიყვანეს კარგი მოყმე, გონიერი, არ ხ ე ლ ი ა“;

მოტანილი მაგალითები ნათლად ადასტურებენ იმ უცულო კეშმარტებას, რომ ლითორბი, როგორც პოეტური ხერხი, რუსთაველს გამოყენებული აქვს მხატვრულ პრინციპად და ამი-

ტომ მას ყველგან აკისრებს გარკვეულ ფუნქციას, ათავისუფლებს რა თვითმნიშვნელობის ხელოვნური ბორკილებისაგან.



„ვეფხისტყაოსნის“ დინამიურ განვითარებას და ექსპრესიულობას დიდად უწყობენ ხელს კლიმაქსები, რომლებიც პოემის თითქმის ყოველ გვერდზე ატობიბენ ჩვენს ყურთა სმენას. შემთხვევითი არ არის, რომ პოემის შესავალში, რომელიც რუსთაველს „Ars poetica“-ს წარმოადგენს, კლიმაქსი ასე სწორად გვხვდება. აქედან შეიძლებაოდა არა მარტო ის დასკვნა გამოგვეტანა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი თავიდანვე კლიმაქსებს მიმართავს, არამედ, ხაზი გაგვესვა აგრეთვე შემდეგი დებულებისათვის: კლიმაქსი რუსთაველის პოეტური მტყულებლის ერთერთი დამახასიათებელი პოეტური ხერხია, რომელსაც პოემაში შეგნებულად მიკუთვნებული აქვს ვაბატონებული მდგომარეობა. ამიტომ ის ყველგან გვხვდება, მთელი პოემის მანძილზე, პროლოგშიც და ეპილოგშიც. პროლოგის კლიმაქსებია, მაგალითად: „ანუ მომეცს განურჩენება, ანუ მიწა მე სამიარი“; „კლა მიჩნურსა მიჩნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს“; „არცა ვისვან დაიწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს“; „საღმრთო, საღმრთო დ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“; „არ შემოთაკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა მცირათა“; „ერთი უჩნდეს სამიწნურო, ერთსა ვისმე ამიკობდეს“; „ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს“; „იგი მსხვავა, სიხვა სხვავა, შუა უბის დიდი მსლერი“; „შორით ბნელა, შორით კვდომა, შორით დავა, შორით ალა“; „არსით უჩნდეს მიწნურობა, არასადა იფერებდეს“; „მისთვის კირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“; „ვიცა უყვარს, რად ავიწმუნს მისთვის მკედარსა, მისთვის წყლელსა?“, „თუ არ უყვარს, რად არა სძულს? რად ავიცენებს, რაცა სძულსა?“, „თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირის, ტირილსა ემართლებს“... ხოლო ეპილოგში რუსთაველს შემდეგი კლიმაქსები აქვს გამოყენებული: „გაზრდებდეს, ვაგლეს სოფელი, — ნახეთ სიმუხთლე ეამისა“; „ესე ამავენი უცხონი, უცხოთა ხელწიფეთანი“; „რასა ვინ ვებთ, რას აქმნეთ? ბედია მყოვნებელი“; „ტარიელ — მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეღმრომელსა“...

მოტანილი მაგალითები მოწმობენ, რომ ყველა შემთხვევაში ზვენ ვხედავთ სიტყვების განმეორებით არამარტო ინტონაციის, არამედ, რეფლექსიის აღმატებული ხარისხის მიღწევას. ეს საყვებით ბუნებრივია. როგორც ცნობილია, კლიმაქსი აღიერებს პოეტის აზრს, მუსიკალუ-

რადაც ძაბავს სტროფის ელერადობას, აჩქარებს მის ზღუსაყიას.

რუსთაველიან კლიმაქსის კლასიკური ფორმები გვაქვს, მაგრამ ცალკე უნდა გამოვყოთ როსტევეანის რისხვიდან ის ადგილი, როცა თითქმის წონასწორობადაქარგული მეფე თავის უარყოფით დამოკიდებულებას ავთანდილის მეორედ წასვლისადმი სრულიად კატეგორიულ ფორმაში გამოთქვამს. აქ ჩვენ გვაქვს ორ სტროფაში ორი კლიმაქსი, რომლებიც სხვადასხვაა, მაგრამ ერთმანეთს ბუნებრივად აესებენ:

„ვლა უბრაანა: „თუმცა მისვან აწ არ იყავ
მოგზავნილი,
თავმან ჩემმან, თავსა მოკვეთ, არად უნდა
ამას ცილი!
წა, უკუღებ! ავი, შმაგი, უმეცარი,
შლეგი, უბილი!
შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი,
შაბაშ საქმე, მისვან ქმნილი!“

ორი უკანასკნელი სტრიქონი მართლაც კლასიკური კლიმაქსებია და როსტევეანის აფორიკლებულ სულს არაჩვეულებრივ დინამიკობით გამოხატავენ. უკეთესი ფორმის მოძებნა შეუძლებელი იყო.

ახლა ვნახოთ კლიმაქსების ტყე, რომელსაც ასე დაუმშვენებია მთელი პოემის ულამაზესი პეიზაჟი.

როცა არაბთა მეფე ავთანდილის ვაზარეში თითქმის დარწმუნდა, მაგრამ ვაზირი მაინც იხშო, იქნებ ყველაფერი არ დამთავრებულაო, ეს უკანასკნელი როსტევეანის მისთვის სამწუხარო ამბავს კლიმაქსში გაშლილი მეტაფორით მოახსენებს:

„მზე აღარ მზეობს ჩვენთანა,
ღარი არ ღარობს დარულად!“

კლიმაქსის ფუნქცია აქ შესანიშნავად აღწევს თავის მიზანს, როგორც ავთანდილზე როსტევეანის სასოწარკვეთილ გოდებაში:

„რა ვაწყინეთ, რა შევსცოდეთ,
რად დავგყარნა, რად ვაგვწირნა.“
ან კიდევ ვაზირის სიტყვები: „რა სიბავე,
რა სირვეგენე, რა შლევაობა, რა
შმაგობა.“

შეგვიღოთ აიღოთ „ვეფხისტყაოსანი“, ნებისმიერად ეყოფოთ ისე, რომ მიჰყუეთ სტრიქონ-სტრიქონ და თქვენ ყველგან შეხვდებით კლიმაქსს, როგორც აზრისა თუ გრძნობის ახალ ინსტანციაში გადაყვანის საშუალებას.

გავხსენოთ ნესტანის ყოფა ვულანშაროში, როცა ტყვე-ქალმა შეიტყო, რომ შელიქ-სურხავი აპირებს რძლად მის მოყვანას. ნესტანი ბედს უჩივის, რომ ასე სასტიკად ექცევა, სადაური სად მოსულა, ვისი მებღელე უნდა გახდეს, და ამ ყოფაში მწარედ მოთქვამს: „სადაური სად

მოსრულეარ, ვის მივხვდები ვისთვის ხელი, რა გვმნა, რა ეყო, რა მერგების, სიტყოსლე მუიარს მეტად მნელი“. გრძნობისა და აზრის ამგვარ გაძლიერება კლიმაქსია, რასაც „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი ხშირად მთელ სურათში იყენებს და არა მარტო პასაჟში.

ამგვარივე კლიმაქსები გვხვდება ქაჩეთის ციხიდან ტარიელისათვის გამოგზავნილ ნესტანის ცნობილ წერილში. მოვიტანოთ მარტო ორი მაგალითი:

1

„მე გული შენი ჭალად გულსავე
ჩემსა ვაწები, —
გული, შავ-გული, დაბულხარ, ნუ
აეხსნები, აწ ები.“

2

„სხვად, ჩემო, ჩემი ამავე ჩემგან არ
მოგეწერების:
ენა დაშერების, მოსმენით არვისგან
დაიჭერების.“

იქ კი, სადაც ტარიელი და ფრიდონი ნესტანზე საუბრობენ („ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის შობა“) შემდეგი კლიმაქსი გვხვდება: ფრიდონი თავის მშსნელს ტარიელს ევედრება „შეშინოსა ნუშმა ვნახათ ნუ პატრონსა, ნუ უფლოსა!“

კლიმაქსის შესახებ ზოგადად ჩვენს მიერ ნათქვამის დამადასტურებელია, აგრეთვე, პოემის მთელი თავი — „წასლვა ავთანდილისაგან ტარიელს შეურად შიორედ“, სადაც უხვად გვხვდება კლიმაქსი, როგორც გრძნობათა ჩვენებაში მხატვრული გაძლიერების პოეტური ხერხი. ავთანდილი მიღის ტარიელის შესახვედრად, მაგრამ მიჯნურს მოშორებული

„მივა და მიტირს გულ-მდღერად, ვერ
ვიტყვი ცრულთა შერობასა,
წამ-წამ მობრუნდის, იაქდის მისთვის
შობისავე შობასა,
უქვერტდის, თელი ვერ მოქხსნის,
თუ მოქხსნის, მიხბის ცნობასა,
რა მიეახლის დაბნელად, ვერ ხელ-პყვის
დაძრვად ენისად,
მაგრა სდის ცრემლი თელათაგან მსგავსად
ღიჯლისა დენისად,
ზოგჯერ დაბრუნდის, იქვერტდის ღონედ
პატიეთა თმენისად,
რა გემართის, არ იცის, მის თუ არბეჯდის
ცენი სად.“

აღმთავის წუხილი, გულ-მდღერად ტირილი, ცნობის დაკარგვა, ერთი სიტყვით, სრულიად გაოგნებული ყოფა აქ ძლიერადაა გაღმობიებული. მაგრამ რუსთაველა კიდევ უფრო ტრავმულ სიმაღლემდე აიყვანს თავისი გმირის ტანჯუვაებას მომღვერო სტროფებში, თითქოს ცნობაზე მოიყვანს ავთანდილს და მთელ ტირადებს

ათქმეილებს, რომ მის შინაგან სულიერ ქარიშხალს მკითხველიც აზიაროს. უგრძობელი ქვა უნდა გვედოს ველის მავებრ, რომ არ შეიბრალო ქმბუჯი, რომელიც ასე მოთქვამს თავის მიწურთან განშორებით ატირებულთ:

„თქვა: ჩემო, შენი შორს-მყოფი კრულია,
ვინცა დადუმდეს,
რათვან შენ დაგრჩა ვონება, გული შენკენვე
დაბრუნდეს,
თვალთა მტირალთა შეხედვა შენივე
სწადდეს და უნდეს,
სჯობს, სახვარელსა მოყვარე რაზომც არ
დაუბაბუნდეს!“
„შე რა ვქმნა შენად შეყრამდის, ანუ რას
მეკვდე ღზუნას?
თავსა მოვიკლავ, შე თუცა შენგან არ ვეკვდე
წყენასა,
მავრა შენ ვაწყვენ ჩემისა არ-სიცოცხლასა
სმენასა,
მოდო და მივსენე ცოცხალმან თვალნი
ცრემლისა დენასა!“
ტირს, იტყვის: „დადეგ კეშანი ლახერამან
ჩემთვის ათმანო;
ინდოთა რაზმი ჩემად კვლავ თქვა, ესე
ტვერი ვთხზა თმანო.
თვალთა ვიშვარი აშვენებს, სათმან რად
მომკლა, სათმანო!
ბავე-კბილო და თვალ-წარბო, მომცემდი
პატყეთა თმანო!“

განა კიდევ რაიმე იყო საჭირო ან შეიძლებოდა რაიმეს მიმატება ასე ღრმად ნაჩვენები აღამაანური ტყვილის ვასაძლიერებლად? მგონი არა, მაგრამ ამ „არას“ რუსთაველი არა სცნობს, ის მეტად და მეტად იჭრება თავისი გმირის სულიერ სამყაროში, შთაღი არსებით გადმოშლის ავთანდილის ტანჯვა-გვიებას: რომ ის მოთქვამს, იწყის, სანთელით დნება, და უოუნების ეშინია და მიიჩქარის; როცა შეღამდა, ვარსკვლავთა ამოსვლა ესიაშოვნა, რაკი თინათინს მიამსგავსა, გამხიარულდა, უტყირა, საუბარიც ვაუშარათა:

„მთვარესა ეტყვის: „იფიცე სახელი
ღმრთისა შენისა!
შენ ხარ მიმცემი მიწურთა მიწურთაობისა
სენისა,
შენ ვაქვს წამალი მისისა მოთმინებისა
თმენისა,
მეაფე შეყრა პირისა, შენ გამო შენებრ
მშვენისა!“

ყოველივე ამის შემდეგ ფსიქოლოგიურად საესებით დამაწერებელი ხდება, რომ ავთანდილს „ღამე აღზუნდის“, რაკი ციური მნათობების საბოთ იგი თავის მიწურებს უტყერის, ხოლო „ღლე სქიდის“, ვინაიდან პირველად ღამემ აგრძნობინა სიხარული — მნათობთა ცილმა თინათინის სახე ნათლად წარმოუდგინა.

მაგრამ, რატომ მოხდა, რომ დღით მზის ნათობამ, მზისა, რომელსაც ყოველთვის აღაქვებდა თინათინს, არ მოავონა ავთანდილს რაიმე მიწურთი? რაიმე შეუსაბამობა-ხრმ არ არის აქ მნ შეცდომა ხომ არ მოსვლია ჩვენს გენისს?

არა, მან წინასწარ გვიჩვენა, რომ მთელი დღე ავთანდილმა გაოგნებულ მდგომარეობაში, ოხერასა და ცრემლთა ღერამი ვაატარა, ვედრებაში მზისა და მთვარისადმი, განსჯაში — რა ქნას, რა მოიმოქმედოს, თავი მოიკლას, თუ ტანჯვას ვაუქლოს? და პირველად ასტრალური სამყაროს ურაცხვი მნათობების ცილმა მოავონა თინათინის სახე, თითქოს უთვალავმა სიღამაზემ ერთში მოიყარა თავი და ეს ერთი — თინათინი იყო ამის შემდეგ საესებით ბუნებრივი, რომ გულგასენილ მიწურებს „ღამე აღზუნდის“, ხოლო „ღლე სქიდის“. ასე ზუსტად, დავიჯვებულო, ფსიქოლოგიურად ყოველთვის დამაწერებელი და მართალია რუსთაველის პოეტური ფანტაზია.

და შემდეგ ავთანდილი კვლავ „მართო მოთქმოდის, ტიროდის“; ამდენი სულიერი ტანჯვა გადაატანინა პოეტმა თავის გმირს, მაგრამ, ნათქვამით თითქოს კმაყოფილი არ არისო, ვრადიეთას გვთავაზობს, როგორც პასაეს, და მიმართავს იმ პოეტურ ხერხს, რომელსაც კლიმაქსი ეწოდება:

„აწ ვერ ვიტყვი მაშინდელსა მე მის ყმისა
ნათუბარსა,
რას უბნობდის, რას მოთქმოდის,
რას ტურფასა, რაზომ გეარსა!“

მეტი რაღა უნდა ეთქვას? ჩვენ ასე ვეგჩვენება, მაგრამ სულ სხვაა გენისის თვალთ: იგი იმად წიღება, სადაც ჩვეულებრივ აღამაანს აღარაფერი ეგშულება.

რაც შეეხება ჩვენს მიერ მოტანილ ბოლო სტროფს, ამ კლასიკური კლიმაქსით, რომლის პოეტური სიმაღლე და მესიკალური ელერადობა ადვილად საგრძნობია, რუსთაველმა ისიც გვიოტარა, რომ გენისს შემოქმედლისათვის აღამაანური ვანდა უსაზღვროა, ხოლო მისა მხატვრული გადმოცემისათვის ასევე უსაზღვრო შესაძლებლობანი გააჩნია.

შესაძლოა ეს უსაზღვრო შესაძლებლობანი მხატვრული მეტყველებისა, რითაც აღბეჭდილია „ვეფხისტყაოსანი“, მიზეზია აზრთა იმ სხვადასხვაობისა, რომელსაც ეხვდებით რუსთაველის პოეტის დახასიათებისას. ერთნი მიიჩნევენ, რომ პოემაში ადგილი აქვს „სიუჟეტურ განშეორებებს“, მაგრამ ეს „მეტად მცირეა“ სამაგიეროდ, „უფრო ხშირია განშეორებათა ის კატეგორია, რომელსაც ჩვენ ებიერ განშეორებათა ეწოდებთ. უკანასკნელ შემთხვევაში პოემის უკვე მაინცოა რომელიმე უბრალო სიუჟეტურ-შინაარსობრივი ამბავი კი არ მეორდება, არამედ მხატვრული განშეორების, თუ აზრის გაქლიერების მიზნით ხაზი ესმება რაიმე ან რომელიმე

ახალ შინაარსობრივ სიტუაციას, შინაარსობრივ მოტივს¹. თავისი დებულების დასამტკიცებლად, აქადემიკოს ალ. ბარამიძეს მოჰყავს თითქმის ყველა განმეორება, რაც პოემაში შეიძლება მიყვნილულ იქნას, როგორც სიტუეტის, ისე ცალკეული ფრაზების, სტროფებისა და მხატვრული თქმების სახით. ამ მხრივ მისი არგუმენტაცია სრულად დამაყრებელი და ეგვიპოტანელია. ბარამიძე იმასაც დასძენს, რომ „ნ. შარამ აღრევე შენიშნა, განმეორებები რუსთაველის საყვარელი ხერხიაო. ამის დამადასტურებლად საიდუსტრაციო ლექსიკური მაგალითებიც დაასახელა, მათ შორის პირველ რიგში — პროლოგის განთქმული ტემპი: შორით ბნედა, შორით კვლიობა, შორით დაგვა, შორით იღვა“². „სპეციფიკურ განმეორებათა საერთო, — დასძენს ბარამიძე, — პირველად გამოიყვლია კ. ჭიჭინაძემ“. რუსთაველის „მხატვრული ენის ამ მართლაც განმაცვიფრებელ მხარეს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პ. ინგოროყვია“³, რომელიც მას უწოდებს „ვერბალურ ალიტერაციას, ანუ სახეების ალიტერაციას“. ეს საკითხი აგრეთვე „უყურადღებოდ არ დაჩიენია ა. ვაწერეთლის“⁴ ეგრეთწოდებული ინგოროყვისეული „ვერბალური ალიტერაციის“ აღრეული ნიმუშები, როგორც ბარამიძე ადასტურებს, ძველ ქართულ პიშნოგრამაშიც გვხვდება. კერძოდ, „იოიანე ბოლნელის საგალობელში“, სადაც ნახშირია განმეორებანი: „ზრახვასა ზრახვიდეს“ და „ზრუნვას ზრუნვიდეს“⁵. მაგრამ, როგორც, ვნახეთ, ყველა ეს ეპიკური განმეორებანი: „ვერბალური ალიტერაცია“, „სპეციფიკური განმეორებანი“, „სიტუეტის სამეგრ განმეორება“, „ერთი სიტუეტის“ „ქარცვცხელით დატრიალება“, როგორც კ. ჭიჭინაძე ამბობს, სხვა არაფერია, თუ არა კლიმაქსი, რომელიც ძველითაგანვე უაღრესად ცნობილი პოეტური ხერხია, და რუსთაველს, ვიმეორებთ, ვაბატონებული აქვს თავის პოემაში. ვერ ვნახეთ „ვეფხისტყაისის“ ვერც ერთ გვერდს, სადაც კლიმაქსი არ გვხვდებოდეს, მით უფრო ვერ ნახეთ ვერც ერთ თავს, სადაც ეს განთქმული პოეტური ხერხი თავისი შთაბეჭდილი ძლიერებით არ გველინებოდეს. რუსთაველი მას ყველგან იყენებს, ყოველ თავსა და ყოველ სიტუეტიაში, იქნება ეს ეპისტოლარული მიმართება, „Ars poetica“, ლირიული პასაჟები, ბატალური სცენა, თუ ავტორისეული ტექსტი. ამით აიხსნება „სპეციფიკურ განმეორებათა“ ესოდენი სიუხვე „ვეფხისტყაისანში“ და მკვლევართა ესოდენ დაუსრულებელი არგუმენ-

ტაცია. რუსთაველს მთელი სიგრძე-სიგანით ეს მისი კლიმაქსის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექსპრესიული მისაღწევად. ¹ „რუსთაველი“² ამ პოეტური ხერხით აბრის გააღრმავებულ შეიძლება და გრძნობის ამაღლებაც, სიტუეტის დაბანაკე და მკითხველზე წარუშლელი შთაბეჭდილების მოხდენაც. ამიტომაც, რომ მთელი პოემის მანძილზე რუსთაველურ კლიმაქსს ეს ფუნქციები აქვს დაკისრებული და გენიოსის ხელში ყველგან უდაღეს შედეგებს იძლევა, რაც მკითხველზე მართლაც განმაცვიფრებლად მოქმედებს.

• • •

„ვეფხისტყაისანი“ საესეა ერთბაშად ვართმეობით ანუ მონორიმებით და რუსთაველი გვევლინება ამ პოეტურის ფორმის უდაღეს ოსტატად. შეიძლება ითქვას, რომ მთელი პოემა მონორიმული რითმითა დაწერილი, მაგრამ არსად ძალდატანება არ იგრძნობა, პირაქით, ყველაფერი სიოცარ მუსიკალობას, ბუნებრივ მდინარეობას, უჩვეულო სისადავეს ემორჩილება. პოემა მონორიმული რითმებით იწყება დ მთითვე თავდება. დასაწყისში გვხვდება განთქმული მონორიმი:

„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე
ყოელისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა შეც დათრუნელ
შე სატანისა,
მომეც მიწურთა სურვილი, სიკვლამდე
გასატანისა,
ყოლეთა შესებუქება, მენ თანა
წასატანისა.“

და ბოლოს, დასასრული პოემისა, მილიანად მონორიმულია:

„ამირან დარეჟანის ძე მოსეს უქია
ხო ნელსა,
აბდულ-მესია — შავთელსა, ლექსი მას უქეს
რომელსა,
დალარგეთ — სარგის თმოგველსა, მას
ენა-დაღმრომელსა,
ტარიელ — მისა რუსთველსა, მისთვის
ცრემლ-შეცრემელსა.“

ეს ორი მაგალითიც ნათელ წარმოადგენს გვაძლევს, თუ რა ძლიერი ოსტატია რუსთაველი მონორიმებისა, მაგრამ ნუ დავგავიწყდება, რომ მონორიმული რითმა მას გამოყენებული აქვს მთელი პოემის მანძილზე და შერჩევა არცაა საკირო — მათ ყველგან ნებისმიერად იპოვიო. ხომ შესაძლებელი იყო ამ გზას პოეტი ერთფეროვნებაშიც მიეყვანა და მისაწყვეტი რითმებით დატვირთა თავისი ნაწარმოები? დიახ, სრულად უეჭველია, შეიძლებოდა მიგველო გელისა და ყურის გამაწყვრილებელი მონორიმურობა, მაგრამ გენიოსმა პოეტმა მონორიმების ოკეანეში შეგვაცურა და პოეტური მერტყვე-

¹ ალ. ბარამიძე, „შოთა რუსთაველი“, 1958 წ., გვ. 252.
² იქვე, გვ. 256.
³ იქვე, გვ. 258.
⁴ იქვე, გვ. 259.
⁵ იქვე, გვ. 259.

ბის მრავალფეროვანი გვირგვინი დაგვადგა. სა-
კმარისია ილუსტრაციასათვის მოეტიანათ კლა-
სიკური მონორიმი:

„შე გტყვის: „მომხვდა ყოველი ჩემი
წადილი გულისა,
პირველ, შენ მოხველ მშვიდობით, მხოვენილი
დაკარგულისა,
მერმე, ზრდა სიყვარულისა გავეს, ჩემგან
დანერ-გულისა,
გმოვე წამალი გულისა, აქამდის
დადა გულისა“.

ან კიდევ:
„ყმამან უთხრა: „მომისმინე, მართლად
გითხრობ, არა კრელად:
რა მივწერი ველთა რბოდეს, მართოდ უნდა
გასაქრელად.
მარგალიტი არვის მიხვდეს უსასვიდოდ,
უვაქრელად,
კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლხერიითა
დასაქრელად“.

შეიძლებადა აგრეთვე მოგვეყვანა შემდეგი
ადგალი:

„დაწერა, თუ: „ჩემნო ყმანო, გამზრდელნო
და ზოგნო ზრდილნო,
ერთგულნო და მისანდონო, ამას ზედა
გამოცდილნო,
თქვენ ჩემისა საწადლისა მიდგომილნო,
ყოთა ჩრდილნო,
წიგნი ჩემი მოისმინეთ, ყოველნი ერთგან
შემოყრილნი“

ეს არის, მართლაც, კლასიკური მონორიმული
რითმები, მაგრამ პოემაში არ გხვდება არც-
ერთი მონორიმი, რომელიც კლასიკურს არ წარ-
მოადგენდეს. მართოდენ გენიოსს შეეძლო
ვრცელი პოემის მთელ მანძილზე ყველგან და
ყველადღერში თავისი მიწვევადომელი სიმალღე
შეგანარჩუნებინა. სწორედ ეს სიმალღე გამოკლა-
ნდა რუსთაველის მხატვრული ოსტატობის
შეუღარებელ ძალაში, როცა მისი მონორიმი მთა-
წამებს მოგვაგონებენ და მაჭამები მონორიმებს
უნათესავენ. იცრება რითმების ჯადოსნური
რკალი და როგორც სიმფონიური მუსიკის საა-
მო ხმები, ასე რუსთაველის პოეტური კადენცი-
ები გვატკბობენ თავიანთი უსასრულო მრავალ-
ფეროვნებითი და ელვრადობით.

ახლა გავცნოთ ალუზიებს.

• • •

პოეტიკაში ალუზიას ჩვეულებრივად უწოდებ-
ენ ვადაკრულ, ჩაკრულ სიტყვას, გვირცელე-
ბულ საზოგადო სახელს, რომელიც თითქმის
ყოველდღიურად გვხვდება როგორც ზეპირ,
ისე ლიტერატურულ შეტყვევებაში. ალუზიას
გარკვეული ფუნქცია ეკისრება ყველგან, სადაც
იყენებენ, მაგრამ პოეზიაში მისი მნიშვნელობა
კიდევ უფრო დიდია. როცა გვიანდა ჩვენს აზრს
ყველასათვის ვასაგები ფორმა მივცეთ ან გავა-

ძლიეროთ მისი ზემოქმედება, ხშირად შეგნარ-
თავთ ალუზიას, რათა შეთხვევლა თუ მსმე-
ნელს მოგავნოთ მათთვის უცნობილი
სახე, საგანი, მოვლენა. რაც უფრო დანახორცუ-
ლია პოეტიკის ცოცხალ შეტყვევებასთან, რაც
უფრო ვრცელია მისი ლიტერატურული და ცხო-
ვრებისეული ფაქტების ცოდნა, იგი მით უფრო
ფართოდ იყენებს თავის ზემოქმედებაში ალუ-
ზიას, როგორც პოეტურ ხერხს.

თითქოს არც გვაკვირვებს, რომ პოემა სწო-
რედ ალუზიით იწყება და მისი ობიექტი შუა-
საუკუნეების ქრისტიანი პოეტისათვის უზენაე-
სი ლეოთებაა. თუ ადრინდელი წარმართი პოე-
ტები თავიანთ მხატვრულ შედეგებს ღვთაებ-
რივი მუზებისადმი ევდებოთ იწყებდნენ, რო-
გორც, მაგალითად, ჰომეროსი, რუსთაველიც
ამგვარად იწყებდა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ
საგანს პირდაპირ კი არ ასახელებს, მხოლოდ
მიკვითითებს მასზე, ხოლო ეს გადაკრული სო-
ტყვა — ალუზიაა, რომელიც კარგად გამოხ-
ტავს „ეფესისტეაონის“ ავტორის მოწიწებით
დამოკიდებულებას უზენაესი შემოქმედისადმი:

„რომელმან შექმნა სამყარო
ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ვუნა
ზეციით მონაბეცითა,
ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა,
გვაქვეს უთვალავი ფერიითა.
მისგან არს ყოველი ზღმწიფე,
სახითა მის მიერითა.“

ეს „რომელმან“ ქრისტიანული ლეოთებაა, და
რუსთაველი მომდევნო სტროფში კიდევაც ამ-
ელაგნებს, რომ მიმართავს ღმერთს — ერთს,
რომელიც ყოველივეს შემოქმედა, მან შექმნა
„სახე ყოვლისა ტანისა“ და მთელი განგვბე-
ძის ხელთაა. ამ მხრივ რუსთაველი თითქოს არ
არღვევს წინამორბედი წარმართი პოეტების
ტრადიციას — ლეოთებისადმი მიმართვას, მა-
გრამ თუ იქ უმთავრესად მუზებისადმი თხოვ-
ნაა — შეგვიძლებინე ვიმღეროთო (გამოვსოქვა-
თო), რუსთაველს ეს უკვე აღარ ესაპირებია,
იგი საერთოდ ქრისტიანული დოქტრინის თანახ-
მად, განათლებებს უზენაესს, როგორც სამყაროს
ერთადერთ განიერულ საწყისს. ამდენად, ჩვენს
მიერ ხსენებული ალუზიით პოემის დაწყება
სრულებით არ არის შემთხვევითი და მას ორ-
განოზომილებიანი ღრმა აზრი აქვს: ბედოვიერ-
ფილოსოფიური და მხატვრულ-ესთეტიკური.

ახლა გავიხსენოთ როსტკვანის მოწიწებითა
უცხო ყმასთან შეხვედრის შემდეგ. არაბეთს გა-
მეფებულმა თინათინმა, რომელსაც უკვე ვე-
რება სახელმწიფო მართოს, საყვარელ მამას
შეატუო „დაღრეცილობა“ და სცადა მიზეზი გავ-
გრა. როცა პკითხა, — რატომ ხარ მოწყენილი,
განა უმჯობესი არ არის „კაცმან საქმე მოიგე-
როს“, ვიდრე ჭმუნვას ეძლეოდესო, როსტკვანმა

არ დაეშალა: შენი ცქერა ჩემთვის სიხარული და ბედნიერებაა, მაგრამ, როცა მიზნს გაიგებ, გაამართლებ „ჩემს სულთქმას“ და ოხერა-აეგებასო. უცხო ყმას შეეხვდი, ტიროდა, არ ელოდა უბედურება აწუხებდა, ჩვენი ნახვა არ ისურვა, გაგზავნილი „სპანი სრულად დამიხოვნა“, ეშმაკივით გაჰქრა, დღესაც არ ვიცი, ცხადი იყო, თუ მოჩვენებაა:

„აწ ესე მიევირს რა იყო, ანუ რა ენახე და რელი მან დამიხოვა ლაშქარი, სისხლი ადინა ღვარული. კაცად ზორცისად ვით ითქმის ისრე თვალთავან ფარული?! უცილოდ ღმერთმა მოვსძულდი აქამდის მე მზიარული. ტყილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს. დამეიწყედა, რაცა დღენი მზიარულსა წამიარნეს. ყოელმან პირმან ვაგლახ მიყოს, ველარავენ. მინეტარნეს, სადამდიცა დღენი მეხსნენ, ველარამან გამაბარნეს!“

მამის ამ სასოწარკვეთილ თხრობას თინათინი არამარტო ყურადღებით ისმენს, ცდილობს დეტპირისპირთა გამამართლებელი საბუთი, და როგორც მორწმუნე ქრისტიანი, ამ ახსნას მიმართავს, რასაც ბიბლია მისცემდა. და სწორედ აქ არის გამოყენებული ალუზია, რომელიც ბიბლიის ამ ადგილს ემყარება, სადაც ნათქვამია, რომ ანგელოსებთან ერთად ღმერთმა ეშმაკიც გააჩინა. რუსთაველმა თინათინის პასუხში ორგან გამოიყენა ალუზია და მისი სიტყვა მამისადმი შემდეგი სახით წარმოგვიდგინა:

„ქალმან ჰკადრა: „მოვახსენებ მე სიტყვასა დანახებელსა: პე მეფეო! რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა? რად დანწამებ სიმწარესა ყოველათვის ტყილად მხედსა? ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა? „მე ამს ვარჩევ: მეფე ხარ, მეფეთა ზედა მფლობელი, შორს არის თქვენი საზღვარი, ბრძანება-მოთხრობელი. ვაგზაფე კაცი ყოველგან მისთა ამბავთა მცნობელი, ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი, თუ უშობელი“.

ხაზგასმული სტრიქონები ალუზიებია — პირველი ბიბლიას ნიშნავს, ხოლო მეორე — ადამიანს და ეშმაკს (ეშმაკი უშობელია). რაკი ლუთებამ ეშმაკიც გააჩინა, მასაც ზომ უნდა ჰქონდეს თავისი საქმე, და რაკი ის უცხო ყმა

ისე გაჰქრა რომ გერაფერი შეიტყუო, შესაძლოა, ეშმაკი იყო (უშობელი), ანუ ეშმაკი ხარო არაფერი გაქვსო. ასე სწავლიდა როგორც ქრისტიანულ დოგმატებზე აღზრდილ ქალს, და როსტვეანიც, ამგვარადვე აღზრდილი, ეთანხმებდა თავის ქალიშვილს. უთუოდ ეს მომენტები ჰქონდა მხედველობაში ნიკო მარს, როცა წერდა კეთილი და ბოროტი საწყისის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“. რაც შეეხება თინათინსა და როსტვეანს, მათ ოთხივე მიმართულებით დაგზავნეს კაცები, რომლებიც შინ ზელსარიელი დაბრუნდნენ, უცხო ყმის გერც ასავალი გაიგეს, ვერც დასავალი. ამის შემდეგ

„მეფე ბრძანებს: „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო, ენახე რამე ეშმაკისა სიცრტვე და სიბილწეო, ზემად მტერად წამოსრული, გარღმობრილი ზეციით ზეო, გამიშვია შექირებება არა მგამა ყოლა მეო“.

როგორც კი როსტვეანი დარწმუნდა, რომ უცხო ყმის სახით ეშმაკი მომგვლინა და არა ზორციელი კაციო, მეფე ისევე მიეცა მზიარულებას, ნაღმისა და დროსტარებას. ასე დაიკავა ალუზიამ ერთი მთავარი ადგილი გარკვეულ სიტუაციაში, რათა ზელი შეეწყო მისი სარულყოფილი დახატვისათვის.

მომდევნო თავში, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ იხმო თინათინმა ავთანდილი, სიყვარული პირველმა გაუმღაღენა და უცხო ყმის საძებრად წასვლა დაავალა, რუსთაველი თავიდანვე ალუზიებს მიმართავს. ზვეს ვხედავთ ავთანდილს, რომელიც საწოლში მარტო ზის, მარტოდენ პერანგი აცვია, წინ ჩინვე უდგას, ვასარბებელი მღერის, და ამ დროს „თინათინის მონა ზანგი“ მოახსენებს: „გობრძანებსო ტანი ალუა, პირი შანგი“. ეს გადაკრული სიტყვა — „ტანი ალუა პირი მანგი“ ალუზიაა და თინათინს ნიშნავს. ასეთი ალუზიები — გულტ გრძნობას და სიყვარულს რომ აღნიშნავს, მზე — ტარიელს, წესტანს, ავთანდილს, თინათინს, ფრიდონსა და როსტვეანს, ვარდი — თინათინს, საერთოდ მფინურს — რუსთაველის პოემაში ძალიან ხშირად გვხვდება, როგორც პოეტური ხერხი, როცა სერს გვიჩვენოს ავთანდილის „მონა ზანგის“ ცნობით გამოწვეულ სიხარულს, პოეტისთვის გმარს საწოლიდან წამოაყენებს, ჩააცვამს უძვირფასეს ტანსაცმელს და გვეუბნება: „უზარის შეყრა ვარდისა, არ ერთგან შეუყრელი-საო“. ეს ვარდი თინათინია, რომლის ზოგად სახელადაც (ალუზიად) იგი ქცეულა.

ძალიან საინტერესოა ერთი ალუზია: უცხო ყმის სამწლიანი უშედეგო ძებნის შემდეგ რუსთაველს სურს მოკლედ გვითხრას, თუ რა აუტანელი ტანჯვა-ვაება გადაიტანა ამ ზნის მანილზე ავთანდილმა. პოეტი მიმართავს ეფექტურ ნაცნობ ხერხს — ალუზიას და გვეუბნება:

„იგი ჭირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა“.

„ვისრამაინის“ გვირგვინზე ამ მითითება-მედარგებით რუსთაველმა საუკეთესოდ გამოხატა ავთანდილის სამწლიანი ოდისეა, რომელიც უშედეგოდ მთავრდებოდა, ბედნიერი შემთხვევა რომ არ გამოენილიყო.

ანალოგიური მაგალითები „ვეფხისტყაოსანში“ იმდენია, რომ შეუძლებელია ყველა ამოვიწეროთ. არის სხვაგვარი ალუზიებიც. რუსთაველის ბევრი ცნობილი აფორიზმიც ალუზიას წარმოადგენს. ასეთია, მაგალითად, საყოველთაოდ გავრცელებული აფორიზმები: „ოდეს ტურქთა გაიაყუდნენ, არღარა ღირს არცა ჩიარად“; „არ იცი, ვარდნი უკვლოდ არავის მოუყრებიან“; „ჭირთა შიგან გამაგრება ასრუ უნდა, ვით ქვითირისა“ და მრავალი სხვა. ყველა შემთხვევაში რუსთაველი ალუზიები ბრწყინვალედ ასრულებენ პოეტის მიერ დაკისრებულ იდეურასა და მხატვრულ ფუნქციას. მათი უპირველესი ღირსება სწორედ ეს არის და ამ საზომითვე ხდება თვითველი მათგანის შეფასება.

ასეთივე ფუნქციას ასრულებენ რუსთაველი კონტრასტები.



რუსთაველი უდიდესი ოსტატობით იყენებს კონტრასტის მხატვრულ მეთოდს საგნისა თუ მოვლენის სრული სახით წარმოდგენისათვის. დაპირისპირება ურთიერთგამომრიცხველი ცნებებისა მის პოეტურ სამყაროში ისეთი ეფექტის მომხდენია, როგორც მხოლოდ გენოსს შეუძლია. ეს არ არის ჩვეულებრივი საწინააღმდეგო გამოთქმების ერთში თავმოყრა, რომლის მიზანია საგანი მკაფიოდ გვიჩვენოს. სურათის განათება შეიძლება სხვა გზითაც მიღწეულიყო, მაგრამ რუსთაველს არამარტო გამოკეთილობა, არამედ მოვლენის თუ საგნის სიღრმე და შინაგანი არსების მთელი ძალით გადმოშლა აინტერესებს. ამიტომ პოეტი მიმართავს ძლიერ კონტრასტს, მძაფრ განიხილვებს, რასაც ჩვენ მარტოდენ ისეთ დანიშნულებთან ვხვდებით, როგორც შექსპირი და მისი მსგავსი დიდი მწერლებია.

მთელს პოემაში, როგორც აღვნიშნეთ, კონტრასტი ყველგან გამოყენებულია როგორც მხატვრული მეთოდი, მაგრამ იმავე დროს, როგორც სინამდვილის ნიშან-თვისებაც. ბუნება რუსთაველისათვის პარამონიულიც არის და კონტრასტულიც. ამიტომ პოემის მოქმედ გმირთა შორის კონტრასტი ასრულებს არამარტო მათ განმასხვავებელ ფუნქციას, არამედ დამახასიათებელი ატრიბუტის როლსაც. დააკვირდით ტარიელსა და ავთანდილს: ორივე გმირია, ორივე ლამაზი, ორივე ახლავანი, ორივე ამირბარ-სპასპეტრი, ორივე უსაზღვროდ მაყნური, ორივე ასე მსგავსი ერთმანეთისა და ორივე ასევე განსხვავებული ერთმანეთისაგან. თუ ეს განსხვავება მათ შორის ემყა-

რება შინაგანად სხვადასხვა ხასიათს, პოეტმა გარეგნული ნიშნებით არ დაიფიქრა, რომ კონტრასტის მოშველიებით თვითველი მათგანისათვის მკვეთრად ჩამოყალიბებული ინდივიდუალობა შეენარჩუნებინა. ეს გარეგნული ნიშნები ზნობად მოკრძალებული, მკითხველმა შეიძლება ვერც შეამჩნიოს, გვერდი აუაროს, მაგრამ ასევე ზნობად თვალსაჩინოა, პირდაპირ ვეჯერძობინებს თავის თავს. მიემართოთ მაგალითებს.

როგორც ვიცით, ავთანდილი, როცა როსტე-ვანთან ერთად სანადიროდ გაემგზავრა, დილით ადრე მეფეს ეახლა, და პოეტმა ეს სცენა შემდეგნაირად გადმოგვცა:

„დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი,
ძოწვეულითა მოსილი, პირად
ბროლ-ზადახშოსანი,
პირ-ოქრო რიდე ეხვია, მშვენირდა ქარქაშოსანი,
მეფესა გასვლად აწვეუდა, მოდგა
თეთრ-ტაიქოსანი“.

მეშასადამე, ავთანდილი თეთრ ცხენზე ზის, და ზვეს ცნობიერებაში არაბეთის სპასპეტი მუდამ თეთრტაიქოსანია. რაც შეეხება ტარიელს, როცა იგი როსტევის ამაღამ პირველად ნახა, ასეთი სახით წარმოსდგა მკითხველის წინაშე:

„ნახეს უცხო მოყმე ენმე, ჭდა მტრიალი
წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლოშსა და
ვითა გმირსა,
ზნობად ესხა მარგალიტი
ლაგამ-აბჯარ-უნავარსა.
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა,
გულსა მდულრად ანატრისა.
მას ტანსა ვაბა ეშოსა, ვარე-თმა
ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქნდივე იყო
სარქველი თავისა,
ხელთა ნაქედი მთრახვი ჰქონდა
უსხოსი მკლავისა:
ნახეს და ნახვა მოუნდათ
უცხოსა სანახავისა“.

თუ ავთანდილის ცხენი თეთრია, ტარიელი ყოველთვის შავ-ტაიქოსანია, და ეს განმასხვავებელი ნიშანი მკითხველის ცნობიერებაში ბოლომდე რჩება.

მაგრამ ამით როდი ამოიწურება ავთანდილ-ტარიელის გარეგნულად განმასხვავებელი ნიშან-თვისებანი. დააკვირდით მთელ პასაჟს: ავთანდილი ლალი და ბედნიერია; მისი მორთულობაც საზეიმოდ გამოიყურება. მაგრამ შეხედეთ ტარიელს: ინდოეთის ამირბარი ტუშტი და უზედურ-შია მისი მორთულობაც ტრაგიკულ შტრიხებშია წარმოდგენილი (მეადარეთ: ავთანდილის თეთრი ტაიქი, „ნაზარდი სოსანი“, „ძოწვეულით მოსილი“, „პირად ბროლ-ზადახშოსანი“, „პირ-ოქრო რიდე“, მშვენირდა ქარქაშოსანი“, და ტარიელის შავი ცხენი, „ჭდა მტრიალი“, „ვეფხის

ტყავის კაბა და ქუდი, მკლავზე უმსხოსი „ნაჭე-
დი მართახი“ და ა. შ.). როგორც ვხედავთ, პო-
ემის პირველსავე სურათებში განმასხვავებელი
ნიშნები სრულიად კონტრასტულია და ჩვენს
ცნობიერებას ეს კონტრასტები მართლაც ბო-
ლომდე რჩება.

კონტრასტი გამოარჩევს თინათინსა და ნეს-
ტანსაც. როგორც ტარიელი და ავთანდილი,
ისინიც ბევრ რამეში ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ
ერთმანეთისაგანაც განსხვავდებიან.

ეს განსხვავება ჩანს პერიპეტეებშიც.

• • •

როცა „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობთ, თქვენ
ვრტაცებთ არამარტო რუსთაველის ბრწყინვალე
შაირი, რომელიც მთიდან მოსხლეტილი ჩანქვე-
რის რიტმული ხმაურით ღამაზად მოედინება,
არამარტო გაშფაზებული თხრობა, დიალოგი თუ
მონოლოგი, არამარტო მოქმედ გმირთა თავგა-
დასავალები, გსოდენ აღსავსენი სულიერი დრა-
მატიზმით, არამედ სიტუაციების სრულიად მო-
ქლოდნელი ცვლაც საწინააღმდეგო მიმართუ-
ლებით.

ანტიკური ტრავედია, როგორც წესი, პერი-
პეტეებზე იყო აგებული, და მისმა პირველმა
ლოცა ანალიტიკოსმა არისტოტელემ პირველად
მარჯვია ამ მხატვრულ ხერხის თეორიული და-
სახელება. დიდი სტაგირელი არამარტო განმარ-
ტავს პერიპეტის, როგორც მდგომარეობის
ცვლას სრულიად ანტიპოდური სიტუაციით. მის
კონკრეტულ მაგალითებსაც ისახლებს ანტიკუ-
რი ტრავედიაში მხედვით. ამ მხრივ კლასიკუ-
რია სოფოკლეს ტრავედიაში „ოიდიპოს მეფე“
ცნობილი პერიპეტია, რომელიც არისტოტელეს
თავის სახელგანთქმულ „პოეტიკაში“¹ მოჰყავს.
მოამბეს სურს გააზაროს ოიდიპოსი, რომ იგი არ
არის თებეს უბედურების მიზეზი, მაგრამ ის,
რაც მან თქვა, გადაიქცა შეფის არა სიხარულის,
არამედ უდიდესი ტანჯვის გასაღებად. მოამბის
ნათქვამმა უმკველი გახადა, რომ სწორედ ოი-
დიპოსია თებეს საშინელ უბედურებათა მიზეზი:
თურმე მან მოჰკლა თებეს სახელოვანი შეფე ლა-
იონი, რომელიც მისი ნამღვლი მამა იყო, ცო-
ლად შეირთო იოკასტე — საკუთარი დედა, რომ-
ლისგანაც შეიღებო ჰყავს, და ეს უკანასკნელები
მისი დამამებელი არიან. ეს არის პერიპეტია, და
როგორც მივეთითეთ, იგი ნიშნავს მდგომარეო-
ბის ცვლას სრულიად საწინააღმდეგო მიმართუ-
ლებით.

რუსთაველის პოემაში პერიპეტია ისე ხშირად
გვხვდება, რომ თამაზად შეიძლება მისი აღიარება
„ვეფხისტყაოსანის“ ერთერთ ძირითად მხატვ-
რულ საშუალებად. ნაწარმოების პირველსავე
თავში, სადაც თინათინის გამეფება აღწერილი.

როსტვეანი გამოაცხადებს თავის ნებისმიერ ამ-
დიკაციას, მოჰყავს თავისი ერთადერთი ბრწყინ-
ვალე ასული, საკუთარი ხელით აღდგამს წამფე-
გვირგვინს, გადასცემს სკიპტრას, შემოსავს შე-
ფის სამოსელთ, მაგრამ, ზემის საცელად „ქა-
ლი ტრის და ცრემლსა აფრქვევს“, მიზეზი კი
ის არის, რომ „მამისა ტახტსა საყდომად თავი
არ ელირსებოდა“. ამ პირველ პერიპეტულ
მდგომარეობას მეორეც თან მისდევს: მართალია,
როსტვეანი გახარებულია, რაკი მიზანს უკვე მი-
აღწია, შეიღეს დარიგება მისცა, თუ როგორც მ-
ართოს სახელმწიფო, შემდეგ გამოაცხადა საყო-
ველთაო ზემის დაწყება, თვითონაც ღბინსა და
დროსტარებას შეუდგა — „მეფე სმასა და მღე-
რასა იქმს, მეტად მოიღბინებდა“, მაგრამ პო-
ეტმა უმაღ პერიპეტული სიტუაცია შექმნა:

„დღე ერთ გარდახდა; პურობა,
სმაჰამა აყო, ხილობა,
ნადიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ
დიდი შემოყრილობა;
მეფემან თავი დაჰკიდა
და ჰქონდა დაღრეჯილობა.
„ნეტარ რა უმძიმს, რა სკირსო?“,
შექმნეს ამისი ცილობა“.

როსტვეანის სიხარული მოვლოდნელად შეი-
ცვალა მოწყენილობით, და ყველას მოეჩვენა,
რომ მიზეზი ტახტის დათობა იყო. ეს არც და-
უნმალავს პირველ ვეზირს „ბერ სოვრატს“, რო-
მელიც როსტვეანს ავთანდილთან ერთად ეახლა
მიზეზის გასაგებად. სოვრატმა შეფეს შემპარავი
ხუმრობით მოახსენა:

„ღაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიციენს პირიო.
მართალ ხარ: წახდა საჭურჭლე თქვენი
მძიმე და ძვირიო,
ყველასა გასცემს ასული თქვენი
საბოძვარ-ხშირიო;
ყოლამა მეფედ ნუ დასვი თავსა
რად უნად ჰირიო?“

მაგრამ როსტვეანი, რომელსაც ვეზირის პირ-
დაპირ ნათქვამი სიტყვა არ ეწყინა, უარყოფს,
თითქოს იმიტომ იყოს მოწყენილი, რომ ტახტი
შვილს გადასცა. არა, საფუძველი სულ სხვაა,
როსტვეანი ასე განმარტავს თავისი მოწყენი-
ლობის ერთადერთ მიზეზს:

„ეგე არ მიმძიმს, ეახირო, ესეი,
რომე მწყენია:
სიბერე მახლავს, დავლიენ
სიყმწყვილისა დღენია,
კაცი არ არის, სითგანცა
საბრძანებელი ჩვენია,
რომე მას ჩემგან ესწავლენს
სამამაციონი ზნენია“.

როსტვეანი წუხს, რომ მარტო ერთი ასული
ჰყავს, ღმერთმა ვაჟი არ მისცა, რომელიც მას

¹ არისტოტელე, „პოეტიკა“, 1927 წ., გვ. 53.
(რუს. გამ.). ნ. ა. ნოვოსადსკის თარგმანი.

დემგვანებოდა მშვილდოსნობასა თუ ბურთაობაში; აეთანდლი მხოლოდ ცოტათი წაგავს, და ყველაფერი ეს არის მისი უცუარი მოწყენილობის ერთადერთი მიზეზი. ამ სიტყვებზე აეთანდლის გაეცინება და მეფეს მოახსენებს: პირობა მომეცია, რასაც გჳადრებთ, არ გეწყინებთ, არ განრისხდებით, არ გასწყურებით, კაღნიერებად არ ჩამითვლით, და ვეტყვი—მშვილდოსნობას ნუ დაიკვებეთ:

„მიწაცა თქვენი აეთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია; ნაძლევი დაგდეთ, მოვასხნეთ მოწინა თქვენივე ყმანია; მოსაპირებელ ვინ შგავსო? —
 ცუდნიდა უკუთქმანია.
 გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანაა“.

აეთანდილოს ეს გამოწვევა როსტევიანმა კმყოფილებით მიიღო, პირობაც შეპყრეს: ვინც უარესი აღმოჩნდება, სამ დღეს „თავ-შისველა ვლიდესო“. როსტევიანმა

„ეკლა ბრძანა: მონა თორმეტი შგვსხათ ჩვენთანა მარებლად, თორმეტი ზვენად ისრისა მომრთმულად, მოსახმარებლად, — ერთთი შენი შერმადინ არს მათად დასაღარებლად, — ნასროლ-ნაყრავსა სთვალვიდენ ურუხურად, მიუმიდარებლად“

მეორე დღეს დიდი ნადირობა გაიმართა, ორივემ დახოცა ორი ათასი ნადირი, მაგრამ აეთანდილს ოციან მებტი ჰუავდა მოკლული. როსტევიანს დიდად გაეხარდა თავისი გაზრდილის ესოდენი ვაჟკაცობა:

„მეფესა ესე ამბავი უჩნს, ვითა მღერა ნარდისა, უხარის ვგრე სიკეთე მისისა განახარდისა, აქვს მიწნებობა ამისი, ვითა ბელბელსა ვარდისა, სიცილით ლაღობს, მთეცა გულით ამოსლვა ღარდისა“.

როგორც ვხედავთ, ამბების განვითარება სულ პერიპეტეულია, მაგრამ კულმინაციურ წერტილს იგი აღწევს უცხამ ყმასთან შეხვედრის დროს. როცა „ნახეს უცხო მზყემ... ჯდა მტირალი წყლესა პირისა“, კეთილი ნებით მონა ვაფგზავნეს — იქნებ რაიმე დახმარება ესაპიროებო, მაგრამ, აქაც პერიპეტეული სიტუაცია შეიქმნა: უცხო ყმამ არც კი მოისმინა მეფის ბრძანება, ყურად არ იღო მონის ვედრება, ხოლო, ახლად წარგზავნილი თორმეტი მონა „პერა ერთ-

მანეთსა, დახოცნა თავსა ზელ-აღუპერობელად, ზოგსა ვადაპკრის მათრახი მკერდადღეს ვასაპობელად“. ამის შემდეგ განრისხებულ უკუთ მეფე და აეთანდილი გაემშრნნენ უცხო ყმის შესასაყრობად, მაგრამ თითქოს ქვესკნელში მთანთქაო, ვეფხისტყაოსანი

„მასვე წამსა დაიქარგა, — არ უნახავს თვალსა ჩვენსა, — ჰგვანდა ქვესკნელს ჩადრომოსა, ანუ ზეცად ანაფრენსა“.

ამის შემდეგ როსტევიანმა ისევ მოიწყინა, ნადირობიდან კაელავ — დარღვეული წამოვიდა“, ისევ პერიპეტეული სიტუაცია შეიქმნა.

თუ დაევირდებით, პოემაში სიუჟეტი სულ პერიპეტეულად ვითარდება. ნესტანს ჰგონია, რომ ტარიელმა უღალატა, ნამდვილად თანხმობა მისცა ზვარაზმშას შეიღზე გაეთხოვებინათ, მაგრამ აღმოჩნდა სულ საწინააღმდეგო რამ: ტარიელს მხოლოდ მოჩვეუებითი თანხმობა მიუცია და ნესტანის მრისხანება შეიცვალა ლობიერებით. ნესტანი და ტარიელი მოელიან, რომ ზვარაზმშას შეიღის მოკვლით მიზანს მიაღწევენ, მაგრამ შედეგი სრულიად ანტიპოდურია: ამ მკვლელობით განრისხებული დავითს ფარსადანის ერთადერთ ასულს, თავის ძმისშვილს მონაზანგებს ზღვაში გადაეპრავინებს და ნესტან-ტარიელის უნაპირო ტანჯვას დასაწყისი მიეცემა. ჭაბუკიარს ჰგონია, რაკი ფატმანმა სხვა აცემი გამეცალა, ზეად შერს ვიძიებ, უსენს საიდუმლოს გაეუმხელ და ოჯახს დაეუნგრეთო. მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო ხდება: თვით ჭაბუკიარი იღუპება და თავისივე განზრახული შერისძიების მსხვერპლი ხდება. ტარიელი გარბის აეთანდილისაგან, მაგრამ ასმათის წყალობით მისი ვაცნობის შემდეგ ნამდვილ ძმასა და მეგობარს იჩენს, ურომლისოდ ნესტანს ვერ დაიბრუნებდა, შესაძლოა, თვითონაც დაიღუპებოდა. ზატაეთის მეფეს რამაზს ჰგონია, რომ ინდოეთის ჯარს, ვიწროებში, სადაც თავისი ამალით ჩასაფრებულთა, ამოწყვეტს, რაკი ტარიელი მოატყუა — მშვიდობით მოდი და დაგემორჩილებო, მაგრამ სარადანის ძემ ეს ვერაგობა შეიტყო და თვით ზატაელები გაანადგურა, ტყვედ შეპყრობილი და შემობრკილი რამაზს, რომელსაც ტარიელმა ინდოეთის მეფეს მიჰგვარა, სიკვდილით დასჯას მოელის, მაგრამ ფარსადანი აპატიებს, ტბილად მოგპყრობა და ვაათავისუფლებს. ფარსადანის სიკვდილის შემდეგ რამაზი შეესევა ინდოეთს, მარტო დარჩენილი დედოფალი — ნესტანის დედა უმკლავდება; სწორედ ამ დროს ტარიელი, რომელიც ნესტანზე უკვე ჯვარდაშერილია, რამაზს დაამარცხებს მეორედ, მაგრამ თვითონვე სთხოვს სიღდრს — შეუნდეთ და ზატაელთა მეფე სიკვდილს მეორედ გადარჩება. ფულანშაროს მეფეს მელიქ-სურხავს ჰგონია, რომ ნესტანს პატარმად ვაიხდის,

მაგრამ ფარსადანის ასული ახერხებს მცველებს გაექცეს და ფატმანის დახმარებით გადაიარაგოს. ნესტანმა თითქოს შიალწია თავის შიხანს — ტყვეობას თავი დააღწია, მაგრამ უარეს სატანჯველს გადაეკიდა: ქაჯთა მეფის მონამ — „თავად-მა შონისა ბევრ-ათასისა“ რომაქმა შეიპყრო, დულარდუხტს მიჰგვარა, ხოლო ამ უკანასკნელმა გადასწყვიტა ნესტანი თავის ძმისშვილს — როსანს ცოლად შერთოს. ქაჯეთის მმართველი ქვრივი დულარდუხტი მოეღოს, რომ ნესტანი მაღლე გახდებოდა როსანის მეუღლე, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო ხდება: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ქაჯეთს აიღებენ, ნესტანს ვაათავეისუფლებენ და გამარჯვებას იხეიმებენ.

ახლა გაეხსენოთ ქაჯეთის ციხიდან ნესტანის წერილი ტარიელისადმი. გულანშაროდან წამოსულ ავთანდილს ეს წერილი მოაქვს მმადნაფიცისათვის, შამშის პირას იპოვა კიდევ ტარიელი და გადასცა — ეგონა გაეახარებო, მაგრამ კინდამ იმსხვერპლა. ავთანდილმა ისე სწრაფად, ისე მოულოდნელად აყოველთაა შეშინალების გარეშე გადასცა ნესტანის „წიგნი და კლე რიდისა“ ტარიელს, რომ ეს უკანასკნელი, იცნო თუ არა მიყნობის წერილი, მიწაზე დაეცა, მას ცნო-

ბიერება წაერთვა, სიცოცხლის წირი დაეკარგა. სიხარულისა და ბედნიერების მაჟურე ენებდურება დატრიალდა. ავთანდილმა უწყალოდ ვერ იპოვა, რომ მმადნაფიცი მოებრუნებინა, თავბედი დაიწყებლა — ეს რა სისულელე ჩავიდი-ნე, აწყალი სწრაფით რად დავასხა ცეცხლსა, ძნელად დასაშრეტა“, განა ირ ვიცოდი, რომ „ჩქარად ეცეს, ვერ გაუძღბს გული ღმრისა მეტის-მეტსაო“. და ავთანდილი მოსთქვამს: „შე მოკვალი ჩემი მოყვარე“, რაღა ვქნა, ყველაფერი ჩემს თავს უნდა დავაბრალოო. რაკი წყალი ვერ იპოვა, ტარიელის მიერ მოკლული ღმრის სისხლი შეკრდზე დაასხა ინდოეთის ამირბარს და მოასულეირა. ეს არის პერიპეტია, რომელიც სიხარულით დაიწყო, მაგრამ უბედურებით დამთავრდა, ავთანდილს ეგონა — ტარიელს გაეახარებო, გაახარა კიდევ, მაგრამ ყველაფერი ეს თითქმის სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ბუნებრივი თხრობის, მონოლოგებისა და დიალოგების ოსტატი რუსთაველი, ერთდროულად, პერსპექტიული სიტუაციების ნამდვილად დიდი მხატვარია, რითაც თავის ხელთუქმნელ ძეგლს განმაცვიფრებელ მიმზიდველობას აძლევს, როგორც ჰემსპირიტად განუყოფებელი შემოქმედი.

(გაგრძელება იქნება)

ზახანო აბაშაძე

„მართალი სამართლის“ ცნება ვეფხისტყაოსანში

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ წარმოდგენს გვაძლევს XII საუკუნის ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების მრავალ დარგზე, რომელთა შესახებაც სრული ცნობები ჟამთა სივრცის გამო ისტორიას წვენამდე არ შემოუნახავს. ამ გავებით, „ვეფხისტყაოსანი“ არამარტო მხატვრული ნაწარმოებია, არამედ უძვირფასესი ისტორიული წყაროცაა, რომელშიც დაცული სამართლებრივი ცნებები, პოლიტიკური დებულებები და იურიდიული განსაზღვრებები სხვა ისტორიულ წყაროებთან შებირისპირებითი ანალიზის საფუძველზე, საშუალებას გვაძლევს საკმარისი სისრულით აღვადგინოთ საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანში“ საყურადღებოა XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ე. წ. „მართალი სამართლის“ დოქტრინა, რომელსაც, როგორც ამ პერიოდის სხვა წყაროებიდანაც ჩანს, დაბეჭითებით ნურგავდა სამეფო ხელისუფლება, ფეოდალური დაქვემდებარების დროს არსებული სამართლებრივი პარტიკულარიზმისაგან განსხვავებით, მის მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმების ავტორიტეტის ასამაღლებლად. „მართალი სამართლის“ მოძღვრების შესახებ „ვეფხისტყაოსანში“ შეიცავს მითითებას ქვემოთ მოყვანილ ორ სტროფში:

„მიბრძანა თუ ჰამს დიაცი
 დიაცურად, საქმე-დედლად,
 დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნე,
 ვერ ვიქნები შუა კედლად:
 რა მოვიდეს სიძე, მოკალ,
 მისთა სპათა იფწყველად, —
 ქმნა მართლისა სამართლისა
 ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

(542)

„რაცა ვიხილე ბედისა
 ჩემისა, კმა სანიუარად,
 ცან სამართალი მართალი
 გულისა გულსა მივა რად,
 შენთვის მოყვედები, გავხლები

ყორანთა დასაყვიარად,
 ვირე ცოცხალ ვარ, გეყოფი
 სატირლად და სატყვიარად“

(1308)

რადგან გავრთიანებული საქართველოს სამეფო ხელისუფლება X-XII საუკუნეებში თავის სამართლებრივ პოლიტიკას „მართალი სამართლის“ მოძღვრებაზე აგებდა, „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, ე. წ. „მართალი სამართალზე“ მითითებას შეიცავს აგრეთვე სხვა ისტორიული ძეგლებიც. იოვანე შავთელის „აბდულმესიანის“ მე-21 სტროფის დასაწყისში ნათქვამია:

„ესა მართალი: ე სამართალი
 ხეს შეიქმს ქმელსა წყალმომდინარედ“.

უკანასკნელ პერიოდში ამ სტროფის გავრცელებული წყითხვა „ეს არის მართალი(სწორი): სამართალი გამხმარ ხეს გაანედლებს (-წყალმომდინარედ აქცევს)“! არ შეიძლება მიზნული იქნას მართებულად. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ შავთელი, რომელიც სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის წარმომადგენელია, თავის პოემაში ყველა სამართლებრივ საკითხს წყვეტს XII საუკუნის საქართველოში ფართოდ გავრცელებული „მართალი სამართლის“ მოძღვრების მიხედვით, და სწორედ ამიტომ „აბდულმესიანის“ ზემოთ მოყვანილი სტროფი შეიცავს მსჯელობას არა სამართალზე საერთოდ, არამედ „მართალი სამართალზე“, რადგანაც XII საუკუნეში გავრცელებული იმ პოპულარული მოძღვრების მიხედვით მხოლოდ მართალი სამართალი ხდის ხმელ ხეს ნედლად. „აბდულმესიანის“ ოცდამეერთე სტროფის პირველ ნაწილში რომ მხოლოდ „მართალი სამართალზე“ ლაპარაკი, ეს ვერ კიდევ აკად. ნ. მარმა შენიშნა, რომელშიც დაადგინა „აბდულმესიანის“ ზემოთ აღნიშნული სტროფის იდენტურობა შინაარსის მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“ სამართლებრივ აფორიზმთან“

1 ძველი ქართული მეხოტბე, 11, იოანე შავთელი, „აბდულმესიანი“, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვეთვა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბილისი, 1964, გვ. 180.

ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ზეღ-სა ნედლაჲ.¹

ამის გარდა, საყურადღებოა, რომ შვითელის „აბდელმესიანის“ ადრინდელი პერიოდის მკვლევარს ბ. იოსელიანს, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ პოემის ტექსტი უმთავრესად ემყარება სიტყვების ვერსიფიკატორთა თამაშს და მისი შინაარსის შეცნობა ომონიმურ-მაჟამური სიტყვების სწორად გაგებაზეა დამოკიდებული, „აბდელმესიანის“ მე-21 სტროფი თანამედროვე პუბლიცისტიკური კონსტრუქციისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული სახით ჰქონდა წარმოდგენილი და მისი ასრით იგი მხოლოდ „მართალ სამართალს“ უნდა გულისხმობდეს.²

უნდა ვიფიქროთ, რომ „მართალი სამართლის“ შესახებ მოსაზრებანი, რომლებიც შემოგვიანბა ისეთმა მხატვრულმა ნაწარმოებებმა, როგორც „ეფესისტაქოსანი“ და „აბდელმესიანის“, არ წარმოადგენენ XI-XII ს. ს. ფეოდალური საქართველოს მართოდენ პოეტურ-მხატვრული აზროვნების შედეგს, არამედ „მართალი სამართლის“ შესახებ მოძღვრება რომ ამ ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი სამართლებრივი ინსტიტუტი იყო, ამას სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ოფიციალური ისტორიული წყაროებიც ადასტურებენ. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს 1263 წლის საეკლესიო კრების დადგენილება, რომელშიც მიმტაცებელი მიერ შევიწროებული ეკლესიები და მონასტრება სიხოვერ მეფეს დაიკვან მათი საკურთხევა მიწაზე „მართალი სამართლის“ მიხედვით.³

ამრიგად, „მართალი სამართლის“ მოძღვრება იმდენად გაბატონებულია ფეოდალურ საქართველოში, რომ ამ ეპოქის ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში თითქმის ყველგან გვხვდება მასზე მითითება. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში „მართალი სამართლის“ ცნება დაუდგენელია. სწორედ ამის გამო, ჯერ კიდევ გაურკვეველია, რით ხელმძღვანელობდა სამეფო ხელისუფლება, როცა სამართლის ცნებას, რომელსაც საქართველოში, სახელმწიფოს გაჩენიდანვე იცნობდნენ, დაუმტკიცა განსაზღვრება „მართალი“ და ამით შექმნა წინათ არსებული სამართლის ცნებისაგან განსხვავებული, შინაარსის მქონე „მართალი სამართლის“ მოძღვრება.

ერთ-ერთი უძველესი წყარო, რომელიც „მართალი სამართლის“ ცნების დიდგენის საშუალებას გვაძლევს, ქართულ ოთხთავიან ციკლში შეიცავს არა მარტო მითითებას „მართალი სამართლის“ შესახებ, არამედ მასში მოცემულია „მართალი სამართლის“ ცნების პირდაპირი განსაზღვრება. ქართული ოთხთავიდან ყურადღებას იპყრობს შემდეგი სწავლება: „არა კელმეწიფების მე თავით ჩემით არაბა, არამედ ვითარცა მესმის, ესეი, და სასჯელი ჩემი მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელსა ჩემისასა“.⁴

ქართული ოთხთავის მიხედვით „მართალი სამართლის“ ცნების დასადგენად წინასწარ მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოებანი: პირველყოლისა, ქართულ ოთხთავში, როგორც პოეტი. ივ. იმნაიშვილმა დაადგინა, „სასჯელი სამეფო“ გვხვდება სამართლის მნიშვნელობით;⁵ ამას გარდა, ქართული ოთხთავის მიხედვით, ის, ვინც საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას ხელმძღვანელობს „მართალი სამართლით“, მართლმსაჯულად იწოდება;⁶ პროფ. ს. ყუბანიშვილის აზრით, არამარტო ფეოდალური დაქვემდებარების პერიოდში, არამედ XI-XII სს. ისტორიულ ძეგლებშიც მართლმსაჯულება უვლანა „მართალ სამართალიან“ არის დაკავშირებული.⁷

„მართალი სამართლის“ ცნების სრული შინაარსის დადგენის საშუალებას გვაძლევს ქართული ოთხთავიდან ჩვენს მიერ ციტირებული ტექსტის უნაასკენი ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ „სასჯელი ჩემი“ მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელსა ჩემისასა“. როგორც ჩანს, აქ ერთმანეთისაგან განსხვავებულია ორი სახის სამართალი, კერძოდ, სამართალი, რომლის შინაარსი განსაზღვრულია ადამიანთა ნება-სურვილით, და სამართალი, რომლის ნორმები გამოხატავენ „ნებასა მომავლინებელისა ჩემისასა“, ე. ი. ღმრთის ნებას.

ქართული ოთხთავის მიხედვით, ეჭვს არ იწვევს ის, რომ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში „მართალი სამართლის“ ცნება გულისხმობს არა ცალკეულ პირთა ნება-სურვილის გამოხატვას, არამედ

¹ Н. Я. Марр. Тексты и розыскания по армяно-грузинской филологии, IV, с.-Петербург, 1902 г., стр. 14.

² თამარ მეფისა და მეუღლისა მისისა დაეთ მეფისა შესხმა, თქმული ლექსად აბდელმესია შავოელისაგან, წიგლთა ქრისტესით 1192-სა აღბუჭილი პლატონ ეგნატისძის იოსელიანისა მიერ, ტფილისი, 1838, გვ. 16.

³ ივ. ყუბანიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი V, თბილისი, 1953, გვ. 157.

⁴ „მნათობი“, № 8.

⁵ ივ. 5,30 ს: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945 წ.

⁶ ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია—ლექსიკონი, თბილისი, 1948-1949 წწ., გვ. 65.

⁷ ივ. იმნაიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, თბილისი, 1966 წ., გვ. 77.

⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959 წ., გვ. 573.

მხოლოდ ღმრთის ნების გამოხატველ ნორმებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სამართლის ნორმის შემფარდებელმა საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას. „მართალი სამართლის“ მოძღვრება ემყარება ფეოდალური ხასიათის არგუმენტებს, და სწორედ იმის გამო, რომ შუა საუკუნეებში რელიგია გაბატონებულ იდეოლოგიას წარმოადგენდა, ფეოდალური საქართველოს სამართლებრივი იდეოლოგია უვლანზე მართლ და ქუშიარბიტ სამართლად არა აღმიაწია ნების მიხედვით დადგენილ სამართლებრივ ნორმებს მიიხსენებს, არამედ მართალი სამართლის ნორმები არ არის დამოკიდებული არავის ნებაზე და იგი მხოლოდ ღმრთის უცვლელი და მუდმივი ხასიათის ნებით განისაზღვრება.

საგანგებო შესწავლას მოითხოვს საკითხი ამის შესახებ, თუ რა კავშირშია „მართალი სამართლის“ ცნება ბუნებითი სამართლის მოძღვრებასთან. ჩვენი აზრით, „მართალი სამართლის“ ცნება, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ XI-XII სს. იყო გავრცელებული, ბუნებითი სამართლის ადრინდელი მოძღვრების სახესხვაობად უნდა იქნას მიჩნეული, რამდენადაც „მართალი სამართალი“ ღმრთის უცვლელი და მუდმივი ნების გამოხატულებას წარმოადგენს ისტორიული წყაროების მიხედვით. ამ მოსაზრებას აძლიერებს ისიც, რომ XI-XII სს. ფეოდალური საქართველოს ინიციატივით შექმნილ საერთო-კავსახურ სახელმწიფოში ბუნებითი სამართლის მოძღვრება საერთოდ ცნობილი იყო.

„მართალი სამართლის“ მოძღვრების საბოლოოდ ჩამოყალიბება ფეოდალური დაქვემდებარების დაძლევისა და ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობის შექმნასთან არის დაკავშირებული. „მართალი სამართლის“ მოძღვრება სამეფო ხელისუფლებამ გადაამუშავა ფეოდალური დაქვემდებარების პერიოდში ცალკეულ სამთავროებში არსებული სამართლებრივი პარტიკულარიზმის დასაძლევად. მას შემდეგ, რაც ფეოდალური დაქვემდებარება დაძლეული იქნება, სამეფო ხელისუფლება, რომელიც სამთავროებზე მალდა დადგა, მთელს ქვეყანაში ერთგვარიან საზოგადოებრივ ურთიერთობებს უკვე ერთნაირად აწესრიგებს. ამავე დროს სამეფო ხელისუფლება, რომელიც ცდილობს აამალოს მის მიერ დადგენილ სამართლებრივი ნორმების ეტორიტეტი, ფეოდალური დაქვემდებარების დროს არსებული სამართლებრივი რეჟიმი-

საგან განსხვავებით, როდესაც ერთი და იგივე საზოგადოებრივი ურთიერთობანი სხვადასხვა სამთავროებში სხვადასხვანაირად უწესდებოდა, მის მიერ დადგენილ სამართალს „მართალი სამართალს“ უწოდებს.

ფეოდალური დაქვემდებარების ეპოქაში საეკლესიო ხელისუფლების მიერ რელიგიური შინაარსის თხზულებებში შემუშავებული „მართალი სამართლის“ მოძღვრება, ღმრთის ნების გამოხატველ ღვთაებრივ სამართლის ნიშნავს, რომელსაც საეკლესიო ხელისუფლება უნდა აზორციელებდეს. შიგარამ ფეოდალური დაქვემდებარების ლიკვიდაციისა და ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ჩამოყალიბების შემდეგ, სამეფო ხელისუფლება, რომელიც თავის ძალაუფლებას არამართლ სამთავროებზე, არამედ უკუნიკაზე ავრცელებს, ახდენს „მართალი სამართლის“ მოძღვრების გადაამუშავებას. ოფიციალური სახელმწიფოებრივი იდეოლოგია სამეფო ხელისუფლების წარმოშობას ღვთაებრივი საფუძვლებით ხსნის და ხელს უწყობს ქვეშევრდომთა შორის იმ აზრის განმტკიცებას, რომ ღმრთის ნების განმზარციებულად სამეფო ხელისუფლება მოწოდებულია ქვეყანაში მხოლოდ „მართალი სამართლის“ მიხედვით მოაწესრიგოს საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ამის საჭიროება კი იგრძნობოდა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნისა და ფეოდალური დაქვემდებარების ლიკვიდაციის შემდეგაც, რადგან „მეტად დიდი და მძიმე იყო ძალადობა უსამართლობა ფეოდალურ საქართველოში... დიდი აზნაური თავისი სახლისკაცებით, დიდ მოხელე-ურთისთავი თავისი ავენტებით, მეგობრები, იჭარადარ-ხარკის ამკრეფნი, მეზოვე-მემაყენი და სხვა თათი ასეთი „მალაგობდა“ და „აქირვებდა“, ვისაც კი მოახელებდა.

დამატებელ-მამლაერებელნი ხმაშალა ნი-ოღნენ და „მართალ სამართალს“ ეჭებდნენ-! მეფესთან. თავის მზრივ სამეფო ხელისუფლება კი, ფეოდალური დაქვემდებარების პერიოდში არსებული სამართლისაგან განსხვავებით, მის მიერ დადგენილ სამართლებრივი ნორმების ავტორიტეტის ასამაღლებლად, ამ ნორმებს ღმრთის ნების გამოხატველ „მართალი სამართალს“ უწოდებდა.

1. საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე), თბილისი, 1958, გვ. 164.

ილია მაისურაძე

ვეფხისტყაოსანი და მესხური პოეზია

ქართული ფოლკლორული შემოქმედების განვითარება-ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესში საქართველოს ყოველი კუთხის მოსახლეობას თავისებურად განსხვავებული, თავისთავადი მაგრამ საერთო-ეროვნული ხასიათით აღბეჭდილი წვლილი შექმნდა.

იდევრ-თემატიკური სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით საყოველთაოდ ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის კილოებზე შექმნილი ხალხურ-სიტყვიერებითი ნიმუშები, რომელთა რიგს მესხური და მისი მომიჯნავე ქაჯახური ფოლკლორული ძეგლებიც მიეკუთვნება, მათი ერთობლიობა, რომელსაც სიმოკლისთავის შეიძლება მხოლოდ მესხური ეუწოდოთ, საერთო ქართული ხალხური ზეპირ-სიტყვიერი შემოქმედების საინტერესო ორგანოდ ნაყადად გვესახება. მის ძირითად სპეციფიკას, აქირის სიტყვიერებასთან ერთად, ისტორიულ მოტივთა სიჭარბე, ცხოვლად გამოსახული პატრიოტული გრძნობა და ფორმითა არქაულობა შეადგენს. აღნიშნული თავისებურებანი იმ სავანგებო ისტორიულ-პოლიტიკური ერთარებით არის შეპირობებული, რაც გამოწვეული იყო მე-16 საუკუნიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს) თურქთაგან დაპყრობით.

ფოლკლორის საქართველოს მოწინავე მხარეებში ტაო-კარაქეთში, სამცხე-ქაჯახეთსა და აჭარა-ქობულეთში თითქმის მთელი 300 წლის განმავლობაში დამპყრობელთაგან განურყელად იდევნებოდა ქართული ენა და ეროვნული ტრადიციები, მაგრამ აქაური მოსახლეობას ძირითადად ნაწილში უდიდესი შეუპოვრობითა და წინააღმდეგობის ძალით შეძლო შეენარჩუნებინა თავისი გულის სწრაფიანი, ეროვნული სახე, გვარ-ტომობა და სულთერი კულტურა-საგულისხმოა, რომ ძველი ფოლკლორული ძეგლებიც გადაურჩა განადგურებას. ხალხის მუსიკურებამ აქ ცოცხლად შემოინახა ამირანისა და როსტომის მითები, აპესალომ და ვთერი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, თავფარავნული ქობეკი, ქაღაჯიანი, სატრფილია და საყოფაცხოვრებო ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშები (სუფრულეები, საფარხულეები, ოროველენი, საჩიტულო სასიმღერო ტექსტები). მაგრამ მესხური ფოლკლორის წიაღში ყურადღებას

დაპყრობის თურქთა ბატონობის პერიოდში შექმნილ ნაწარმოებთა ახალი ფენაც, მასში ასახულია მკვიდრ მესხთა ტანჯული ცხოვრება, მტრის სიძულვილი და სახალხო საბრძოლო სულისკვეთება.

დადვირდება გვიჩვენებს, რომ მესხეთის რაიონთა ძველ სოფლებში (უღღ, არალი, ვალე, მესხი, კობარეთი, ღრელი, ხაზაბაგრა, სარო, კოთელია და სხვ.) მოსახლეობა სავანგებო ინტერესს იწინს ხალხური შემოქმედებისადმი. აქ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით მამა-პაპურ ამბავთა ხალხიან მობრობლებს, თავისი კუთხის მკოდნე დაინტერესებულ ადამიანებს, დარბაისელ მთქმელებს, მელეკეებს და განსაკუთრებით კი შ. რუსთაველის მოტრფილად და მისი უცვლადი სტროფების ზეპირად მკოდნე გლეხებს, რომელთა არსებაში მტკიცედ არის გამოქრდარი ხალხური პოეზიისა და სიმბრძნის პრაქტიკული გამოყენების ჩვევა. ეს დიდი ინტერესი მშობლიური მხატვრული სიტყვისადმი და სულიერი მზნობა იმ ტრადიციის ბუნებრივი გაგრძელებაა, რომელიც სავანგებოდ განმტკიცდა ეროვნული თავდაცვისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

საუკუნეების განმავლობაში დედა-სამშობლოსაგან მოწყვეტილი მესხი მოსახლეობის ერთად-ერთი ნუგეში და სულიერი საზრდო მშობლიური სიტყვა და სიტყვიერი შემოქმედება იყო. იგი შოთა რუსთაველს სათაყენის სახელთან ერთად იმ სამბრძოლო ფარ-ხმალს წარმოადგენდა, რითაც მშრომელი კაცი პირადი ცხოვრების სიღუბეჭირსაც სძლედა და მომხდურთა თავგასულობასაც.

შოთა რუსთაველის სახელის აღზევებას მესხურ ფოლკლორში, ცხადია, იმთავითვე იმან შეეწყო ხელი, რომ უცვლადი პოეზიის ავტორი თავის თავს მესხს უწოდებს და მესხეთშივე შექმნილი თქმულება-გადმოცემებიც ამ ფაქტს უჭერს მხარს, რის გამო ქართველმა ხალხმა დიდი მგონის აადგილის დედად ჩვენი სამშობლოს ეს შესანიშნავი კუთხე აღიარა. ამითვე უნდა აიხსნას, რომ შოთას ცხოველყოფილი სახე და მისი შემოქმედების იდეური მოტივები პატრიოსანი თვალისათვის ანათებს მესხური ფოლკლორული ტექსტებიდან და განსაკუთრებით კი იმ ლირიკული ტექსტებიდან, რომელ-



ბიუ ენა- სტილის თვალზრისითაც ერთგვარ სიხლოვესა და მსგავსებას ამგვარებენ „ვეფხისტყაოსანთან“. ეს თავს იჩენს როგორც თქმის მანერაში, ისე პოეტურ საბუდეებსა და ლექსიკა- ფრაზეოლოგიაშიც. სწორედ ამ საკითხზე გვსურს ჩვენი დავიერიებები წარმოვუდგინოთ მკითხველს.

როგორც ცნობილია, ტანადობისა და ახოვნების აღსანიშნავად შ. რუსთაველი ხშირად ხმარობს **აღვას, ალვისხეს**, მავალითად: ვაცსო აღვას, ედემის ხეს; ეინ ჩანს აღვსად ტანი-სად; მსგავსი აღვისა ტანისა; ტანი აღვა, პირი მანგი და სხვ.

ამის მსგავსადვე ხალხურ ლექსებში ვითხულობთ:

წარბები გადაგხატვია,
 გიმშვენებს ორსად მხარესა,
 ტანი ალვისხეს მივიგავს,
 პირი — გაბადრულ მთვარესა.

ალვისხის პარალელურად იმავე მხატვრული ფუნქციით პოემაში გვხვდება **სარო** და **ხოსანი**: ტანად სარო და პირად მზე; ნაკეთად სარო, ფერად ლალი; ნახა სარო, შორი ტანი;

სარო შესხეთში სოფელია (ამანძის რ.), სახოვადოდ კი იგი აქ ბალახს აღნიშნავს (საქართველოს სხვა კუთხეებში მის ლაშქარას უწოდებენ) ს. ს. ორბელიანს სარო ორგვარად აქვს განმარტებული, როგორც კვპაროსი და როგორც ბალახი. ეფიქრობთ, ეს სიტყვა შ. რუსთაველს მეგრ ტანენარის ბალახის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი: „სარო მალალი მცენარეა, ხაოიანი ფოთლები აქვს, სხვა მალახებზე მალალი იზრდება და ერთი თვალის გადავლევით შესამჩნევია მინდორში“, — ასე აგვიწერა ამ მცენარის ვარგვნობა სოფ. საროს მცხოვრებმა შიო ვიორკაძემ.

ხალხურ შემოქმედებაში სარო ასეთ კონტექსტში გვაქვს:

ერთი ვოგო ენახე წახნის წყაროსა,
 პირი მზეს უგაუდა, ტანი საროსა.

რაც შეეხება სოსანს, იგი ბევრ ლექსშია დადასტურებული. აქ წარმოვადგენთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

მინდორში მოკერიფე ვარდი, სოსანი,
 ტყეშიაც გამოვებრ, სწორი უზანი...

ვეფხისტყაოსნის სიტყვათა და გამოთქმათა მეტყველებით ხალხურ შესატყვისობას გულდასმით ეძიებდა პუბლიცისტი და პედაგოგი ბაგრატ ბეთანელი, თავის ხელნაწერ შრომაში იგი იმოწმებს დედამისასავან გავრილ ხალხური ეთერის ენთ-ერთთ ვარიანტს, სადაც ვკითხულობთ:

მისისა მინდვრის პირსა,
 ვარდივით ვიყავ სოსანა,

გამომიყვანა, ყმას მიმეცა,
 თავ-ოქროსვერვიგვიწინა,

მკვლევარი იქვე დასმენსა **„ვეფხისტყაოსანი აღნიშნავს ტანსტულს, ტანწყობილს“**. „ვეფხისტყაოსანშიც“ ამნიირი მნიშვნელობით არის ნახმარი სანადიროდ გამზადებულ ავთანდილს მიმართ: „აღლასა ადრე მოვიდა, იგი ნახარდი სოსანი“. ახალციხეში ერთ ჩვენს ნათესავს, სტუფანე ჩაქოლაშვილს, ზედმეტ სახელად სოსანს ვხვდებით.

მზე პოემაში 4/0-ზე მეტჯერ არის ნახსენები და უმეტეს შუახვევაში პოეტური დანიშნულებით. ერთჯან ფუძის ვიორკეცებით მიღებული **„მზეთამზე“** გვხვდება:

ზა ავთანდილ თაყვანი სცა,
 ლომთა ლომმან, მზეთამზემან

(საყურადღებოა, რომ ეს სიტყვა პარალელს სოფლობის ტომანიშიყვამიც. შშვენინერ სოფელსა და ავარაკს ბორჯომის რაიონში მზეთამზე უწოდებდა).

საერთოდ, ქართული ხალხური პოეზიისა და, კერძოდ, მესხური სატრფიალო ლექსებისათვის მზე, მთავარ პოეტური სახოვნობას პოეტურად სავარდენებია. მათი წარმოშობის სათავეები მხატვრულ-წერილობითი შემოქმედების მიღმა საძიებელი (საეულტო და მაგიურ წარმოსახვათა უშორეს საფეხურებზე) და ამდენად რუსთაველის მეტყველებაში მათი სიკარბის ახსნა, ანდა ფოლკლორში მათი მოსვლის გზათა ძიება უფრო ფართო კვლევას საგანია. მათ შორის პარალელური ფაქტების არსებობა კი უდავოა და ჩვენც მხოლოდ ამის აღნიშვნა გვსურს.

ქველ მესხურ ლექსებში ყურადღებას იქცევს ერთსტროფიანი სიმღერა, რომელშიც მოიხსენიება რუსთაველური მეტაფორა **„მელნის ტბა“**:

ჩანგნი სმენ მელნისა ტბასა,
 შოგ ორაგული ცურავსო,
 რაც გინდა ბევრა მიწყინო,
 ეს გული შენკენ ბრუნავსო

„მელნის ტბა“, ვეფხისტყაოსნის მიხედვით თვალის მეტაფორაა, აი, ამის მაგალითები პოემიდან- მელნად ვიხმარე ვიშრის ტბა.....; მან შემომხედდის ლამაზად მის მელნის ტბისა თვალთა; მელნისა ტბათა მოჭარბით ბურავს ვიშრისა ჭერითა...

საგანგებო შესწავლის შედეგად საჭიროა გაირკვეს ხალხური ლექსის „მელნის ტბას“ კონკრეტული დანიშნულება და მისი მიმართება რუსთაველის პოეტიკასთან.

მნიშვნელოვანია აგრეთვე და სათანადოდ შესასწავლეს ხალხური ლექსის ერთი პოეტური სახე — **„მანდიხფერი სოფელი“**, რასაც რუსთაველის პოემაშიც ვხვდებით:



ბინდისფერია სოფელი,
ეს თურე ამაღ ბინდუბის,
კოყასა შიგან რაცა დვას,
იგივე წარმოვინდების
ხალხურში:

ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდუბა,
რა არის ზვენი სიციხლე,
ჩიტყვით გავეიფრინდება!

უთუოდ საყურადღებოა სიტყვა „დადაგუ-
ლის“ ეპითეტად გამოყენება გულთან, როგორც
მესხურ სამიჯნურო ლექსებში, ისე რუსთავე-
ლის პოემაში. „ეინმე მესხი“ ი. გვარამაძის
მიერ ჩაწერილ პოეტურულ ხალხურ ლექს-
ში ვკითხულობთ:

ხელმანდილსა გაღმოვიგებ,
აბრეშუმით მოქარგულსა,
შიგ გაიგზვეე ჩემსა გულსა,

შენგნით დამწვარ დადაგულსა²
ვეფხისტყაოსნის სათანადო აღვილებია:

ქმარი არ მინდა უშენოდ,
მომხედეს რისაცა რგულსა,
მომცა წამალი გულსა,
აქამდის დადაგულსა...
გულსა, ერთობ წაღუღისა
და ასრე დადაგულსა...
ებოვე წამალი გულსა,
აქამდე დადაგულსა...

მოყვანილ მავალითებში მოხსენებული წამა-
ლიც (წამალი გულსა) წმინდა ხალხური წარ-
მოშობის მეტაფორა უნდა იყოს, იგი სხვათა
შორის, მოხსენებულია ერთ მშვენიერ მესხურ
ლექსში:

აეჯა ვარ, მოღი მნახე,
თან წამალი მომიტანე,
შენი ხელით წყალი მასვი,
შიგ შაქარი ჩამიყარე,
სამარემღი თან წამყევი,
მუჰით მიწა მომპყარე,
შენი ქოჩრის მონაღლევი
დამწვარ გულზე დამაყარე³)

წმინდა ხალხური მარტოვი გამოთქმით იწყება
1225-ე რუსთაველური სტროფი:

მინდორ-მინდორ მიედიოდით,
ჩვენ ღამესა დია ბნელსა,

ამის სრულ პარალელურ სტრიქონებს ვხვდებ-
ით მესხურ „ორთველსა“:

მინდორ-მინდორ მიედიოდი,
ილაგ-ილაგ ჰოჭი იყო...

ვეფხისტყაოსნის ერთი აფორისტული გამო-
თქმის საგულისხმო პარალელიზმი (ვეფხისტყაოსნის
მხატვარ ვ. ხმაღამისაგან 1942 წ. აღწერილებულ
ლი საქორწინო სიმღერის ტექსტი, რომელიც
რითმანაკლებლი სტროფის სახით არის წარმო-
დგენილი:

ღმერთო ნუ მომლი ამ სახლსა,
ღმინსა და ღმინს სუფრასა,
მასმინძელსა მხიარულსა,
მხამს სტუმარი სასურველი!

ვეფხისტყაოსნის 729-ე სტროფი კი ამგვარა-
დგე ბოლოვდება:

მიეგება, თაყვანისცა,
ჰეაღრა ქება სრულსა სრული,
მხამს სტუმარი სასურველი,
მასმინძელი მხიარული.

ცნობილია, რომ ხალხურ ლექსებში პოეტურ
ფერადებად გამოყენებულია რუსთაველისთვის
საუღმარებლოდ აღიქმული ისეთი სიტყვები და
გამოთქმები, როგორცაა: ვარჯი, ია-ვარჯი,
მარჯალიტი, ბროლი, (ბროლის პირი, ბროლის
თინი), ვიშერი, უორანი, (როგორც შავი თმის
ეპითეტები), მინა, (შეად. მესხური სუფრული;
„წინ სუფრა ვარდით სავსე გვაქვს, ზედ მინა ჩა-
რიგებული“), საწუთრო („საწუთროს მონახვევრე
ხარ, წამოსასხამო ჩობაო“), ხახმილი, კვრეტა და
სხვ. მისთანები.

გარდა პოეტურ-სტილისტიკური საშუალე-
ბებისა, მესხური პოეზია რუსთაველის ენა-
თან ცალკეული ლექსიკური ერთეულების
მხრივაც ამკლავებს მსგავსებას. ხალხურ
ლექსებსა და პოეტის შეტყულებასში ვხვდებით
საერთო სპეციფიკურ სიტყვებს, როგორც
არის, ვთქვით, აუთი, კამანი, სირა, ნობათი,
აჯვერი, არვარგი, პაშტა, ხასი, სადარნო
და სხვ. მსგავსება დასტურდება აგრეთვე
სიტყვათა სემანტიკური ელფერის თვალსაზრისი-
თაც, რის ნიმუშებადაც გამოვყავადგებოდა, მავა-
ლითად, ხარო, ვაღლენა, (ზმინდან „გავიღლე-
ნიან“), დავედრება, საქუღაბე, შამათი და მისთ.
მათი მნიშვნილვა ზვენ ცალკე გვაქვს გამოქვეყ-
ნებული.

მესხურ ლექსებში ვხვდებით რუსთაველური
რიტმებით გამართულ სტრიქონებსაც, ასეთე-
ბია საართომო დაბოლოებანი: — ოჯან-ი —
ოსან-ი. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება და-
ვსახულოთ ლექსები: „მეუფესა სამი ვთხოვე“,
„რა კესიაც იყიო არ შესწვი“, „შენ ვაეო,
ხომ არგად გვიო“ და სხვ.

უდავოდ საყურადღებოა ერთი მნიშვნელო-
ვანი დამოხვევა: მხედველობაში გვაქვს შ.
რუსთაველის ის სტროფი, რომელიც გამარ-
თულია — ოსა რიბაზე:

¹ ვ. კობეტიშვილი ხალხური პოეზია, თბი-
ლის.
² ძველი საქართველო, 111, გვ. 258.
³ იქვე, გვ. 267.

მინდორსა შინა სადილად
გარდახდეს უდილადოსა,
ვითა შარბებდა პერობდეს,
ღვინოსა სვემდეს, არ ღოსა.

ამას ეხმარება შემდეგი მესტური ლექსი:
ფაშა ჩამობდა ხანდოსა,
ხან მაწონს ჭამდა, ხან ღოსა.

აქ იმას უნდა მივუცქეს ყურადღება, რომ
ხანა ასევემდესა წმინდა მესტური ფორმით
არის ნახმარი: (სვემდეს და არა სეამდეს).

როდესაც შ. რუსთაველის დიდებული პოე-
მისა და მესტური პოეზიის საერთო ენობრე
თუ მხატვრულ თავისებურებებზე ვსაყულობთ,
მხედველობაში უნდა ვიჭონოთ ის გარემოება,
რომ ყოველთვის როდი ხერხდება ამა თუ იმ
მოვლენის სათანადო კვალიფიკაცია, კერძოდ,
დადგენა იმისა, თუ საიდან მომდინარეობს შემ-
წვეული მსგავსებანი: ხალხური შემოქმედების
მძლავრ ქერაშია გამოწოთობალი, თუ რუსთა-
ველის დიად პოეტურ სამყაროში დაბადებული.
ამის გარკვევას საგანგებო ძიება ჭირდება, თუ-
მცა პოეტური ძალის ვაღვანა ხალხურ შემო-
ქმედებასა და მეთყველობაზე ბევრ შემთხვევა-
ში უშუალო დაკვირვებათაც შეიძინევა. ამის
დასტურად გვინდა დავიმოწმოთ ჟაგახი მოკე-
ლაქის, ამჟამად პენსიონერი მღმის სოფრომ
ყარგელიშვილის მოგონება.

მახსოვს, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში
პატიუკეშელმა — სოფრომმა, — დარბიასელი
გლეხების ლაპარაკ ჟაგახეთში ყოველთვის
ვეფხისტყაოსნის გამოთქმებითა და ბრძნული
დარიგებებით იყო შემკული. ბავშვობა მშობ-
ლურ სოფელ კოთელიაში გავატარე (ახალქა-
ლაქის რაიონი). ბევრჯერ შეესწრებოდა, მაგა-
ლიათად ასეთ სერაჟს: ერთი გლეხი ვტყუდა
მეორეს.

— ეპ, ჩემო თედო, დავებრდი, ისეთი ჭირი
მჭირს, რომ ურჩენელია, დღეს არა, ხვალე მოე-
კვდება სოფელი ამისა მწენელიაო.

მეორეც ასე ანუგეშებდა:

— კაცო, რას ჩივიხარ, უნდა გამაგრდე, გა-
მარდე რაგორც ჭეითყირიო.

შართლაც, რუსთაველი მტყველების
სიბრძნე და სადინჯე კარგად იგრძნობა სიტ-
ყვა-პასუხით გამოჩეულ მესტოთა და ჟაგახთა
მტყველებაში. ამგვარ კარგ მოლაპარაკებებს
ადგილობრივ „ენაპიროსან“ აღამიანებს უწო-
დებენ და ჩვენ, სამეცნიერო ექსპედიციებთან
და მივლინებების დროს, არა ერთჯერ შევხვე-
დრივართ ნამდვილ „ენაპიროსან“ მოხუცებს,
ზოგის შესახებ კი ვაღმოკეობთ ვიცით,
ვაღმოკეობს თანახმად, მესხეთ-ჟაგახეთში
ბოლო დრომდე ჩვეულება ჰქონიათ გაბაასება
რუსთაველის აფორიზმებით: „ძველად, როცა

ჟაგახეთში გლეხები გასართობად შეიკრიბებო-
კენ, — იგონებს ს. ბერძენი, — წაჯღ ჰქონ-
ულით რუსთაველის აფორიზმებზე, გვერდით
დგენ ერთმანეთს. ერთი დასწრებითგან რაიმე-
ლიმე ბრძნულ აზრს ან ანუაზას გამოთქვამდა,
სხვები მოვალენი იყენენ ამ თქმისათვის რუსთა-
ველის აფორიზმი მიეწყოთ“.

შ. რუსთაველის უკვდავი ნაწარმოების პო-
პულარობის ერთ-ერთ უტყუარ მანიწვევლად
მიჩნეულია ხალხურ სასაუბრო მტყველებაში
აფორიზმების შეკრა და ანუაზებად გადაქცევა.
ეს ფაქტი უფლაზე კარგად მესხეთის მოსახ-
ლეობის მტყველებაში შეიძინევა. ამიტ-
მე იყო, რომ ხალხური სიტყვიერების შემარბე-
ვლებს შთ მიერ ჩაწერილ ანუაზებში შ. რუს-
თაველის ბევრი აფორიზმი შეტანილია, ამის
სადასტურად შეიძლება დავასახელოთ
ე. თაყაიშვილის რედაქტორობით 1914 წ. გა-
მოცემულ კრებულ „ძველი საქართველოს“
111 ტომში გამოქვეყნებული ვინმე მესხის
მიერ „სამეცხეთოში ჩაწერილი ანუაზები“. ამ
მასალების ჩამჭირმა, ცნობილია მოვალეწე-
ო. გვარამაძემ კარგად იცოდა, რომ ისეთი
აფორიზმები როგორცაა: ვარდი უფალოდ არ
იქნებაო, შინი ხიკვილისაგან კაცს ვერ იხსნა-
ხო, ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგ-
ჯერ თქმითაც დაშავდებაო და სხვა ამგვარი
ნიმუშები რუსთაველის სიბრძნითან მომღნი-
არეობდა, მაგრამ ისინი თავიე მასალებში შთო-
ლოდ იმიტომ მოაკეთა, რომ ხალხში გაიგონა
და გენიალური ქართული მგონის გამონათ-
ქვამები გახალხურებულ თქმებად მიიჩნია.

მესხ და ჟაგახ მთქმელებში, აშუღ-ამომღერ-
ლებსა ისე დიდგოდურ შემარბელებში
ვხვდებით ინთებსაც, რომლებიც თავიანთ შე-
მოქმედებაში ჭარბად იყენებენ ვეფხისტყაოს-
ნის მხატვრულ და ენობრივ აქსესუარს, ამის
ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ახალციხელი
სახალხო მომღერალი ალექსანდრე ხითარნიშვი-
ლი (იკანდალად წოდებული). იგი თვითონვე
ხუბირად თხზავდა სასიმღერო ლექსებს. ერთ-
ერთ გამოქვეყნებულ სამიწერო სიმღერაში
იკანდალას ნახმარი აქვს რუსთაველისეული სიტ-
ყვები: მღრბელნი, მამრიალნი, ბაროლ-ბადა-
ნში, პატიენი, ტან-ლერწამა და სხვ.

რუსთაველის სიბრძნით შთავონებულ სხვა
მოკესე-მომღერალთა და ნიწორ მთქმელთა-
გან აქვე შეიძლება დავასახელოთ ლუკა ბერი-
ძე (აშუღი შივლა) ვლადიმერ ბერეაშვილი,
სანდრო ყარგელიშვილი, სტეფანე გოზალაშვი-
ლი, ირაიდიონ ანანიაშვილი, მოსე ბონიაშვი-
ლი, ისაკ ნახსურაძე, შინა და არჩილ ჭვარიძე-
ნი, ეკვთიმე დავალაშვილი. მათი რებრტუარი
აღსახევა მარტვი, უშუღო, მაგრამ მიმზიდ-
ველი და შინარსით მაღალ-აღამიანური იდე-
ებით.

გაბაე გვარამია

სამი ავტორი, სამი რომანი

თითქმის ერთდროულად, გასული წლის მიწურულსა და ამ წლის დასაწყისში. „მნათობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა სამი რომანი: არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზი“, „ნოდარ დუმბაძის“ „მზიანი ღამე“, თამაზ კილაძის „აპა, მიწურა ზამთარი“...

ასეთმა მოვლენებმა სიუბიექტურად აღგზნებული არ გავგახაროს. ისიც აღსანიშნავია, რომ სამივე ავტორი იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც ამ ათი-თოცმეტი წლის მანძილზე მოვიდა ქართულ მწერლობაში და რომელსაც ახლა უკვე ახალგაზრდულ ენერჯიასთან და შემართებასთან ერთად, შემოქმედებითი მოწიფულობის ასაკში შესვლის გამო, მეტი ცოდნა და გამოცდილებაც დაუგროვდა. ამიტომაც, ამ თაობისაგან ბევრს მოველით და სასიამოვნოა, რომ სულ მოკლე დროში მისმა სამმა საუკეთესო წარმომადგენელმა სამი რომანი მიაწოდა მკითხველს.

ამ თაობის პროზაიკოსები მეტწილად მცირე მოთხრობების ავტორებად რჩებოდნენ წლების მანძილზე და. მოგეხსენებათ, თანამედროვე მკითხველისთვისაც და მწერლობისთვისაც პროზა ურომანოდ თავის მნიშვნელოვნებას კარგავს.

ამ თაობის ქართველ პროზაიკოსთან აქამდე, თუ არ ვცდები, საყურადღებო რომანების ავტორები მხოლოდ ნოდარ

დუმბაძე („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „ძე ვხედავ მზეს“), და ოტია იოსელიანი („ვარსკვლავთცვენა“) იყვნენ. ახლა კი, თითქოს გადაილახა რაღაც ზღუდე, და ნოდარ დუმბაძესთან ერთად თავისი პირველი რომანები გამოაქვეყნეს არჩილ სულაკაურმა და თამაზ კილაძემ, რომლებსაც აქამდე ნიკიერად დაწერილი, საინტერესო მოთხრობებით ვიცნობდით მხოლოდ.

ერთდროულად ერთი თაობის მწერლების შიგნით სამი საინტერესო რომანის გამოქვეყნება, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ ეს მინც ერთი ნაწილია იმ მნიშვნელოვანი ნაწარმოებებისა, რომლებიც ამ თაობამ და, კერძოდ, ამ მწერლებმა უნდა შემატონ ქართულ ლიტერატურას. თუმცა ასე გვახარებს და დიდ იმედებს აღგვიძრავს ამ სამი რომანის გამოქვეყნება, მინც უნდა თავიდანვე ითქვას, რომ მიუხედავად მათი მეტ-ნაკლები, მაგრამ უდავო მხატვრული ღირსებებისა, ისინი სულაც არ არიან უზადონი და ზოგ შემთხვევაში აზრობრივადაც და მხატვრულადაც საკმაოდ მოიკოჭლებენ. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ეს რომანები არა მარტო ავტორების თვალთახედვისა თუ მსოფლშეგრძნების, თანამედროვე ცხოვრებასთან თუ აღამიანებთან დამოკიდებულების მიხედვით განირჩევიან ერთმანეთისაგან, არამედ სრულად განსხვავებული მანერით არიან დაწერილნი და, ერთი შეხებ-

დვით, თითქოს ცოტა რამ უნდა ჰქონდეთ საერთო.

ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამე“ ამჟამად გავს მისსავე წინა რომანებს სტილის მართო იმ ზოგადი ან, პირიქით, კონკრეტული ნიშნების მიხედვით კი არა, რომელიც საერთოდ ყოველ მწერალს, ახასიათებს და გამოარჩევს სხვებში, არამედ უბრალოდ მხატვრული ხერხებითაც. ნოდარ დუმბაძეს სრული უფლება აქვს იყოს ერთგული მისთვის ორგანული იმ ხერხისა, რომელსაც აგერ უკვე მესამე რომანში იყენებს. ნოდარ დუმბაძე „მზიან ღამეშიც“ მიმართავს დრამატიზმისა და იუმორის მონაცვლეობისა თუ ურთიერთშეხვედბის იმ ხერხს, რომელმაც მის წინა რომანებს ასეთი დიდი წარმატება მოუტანა. დუმბაძის ყოველი რომანის შემდეგ, ასე გგონია, თითქოს მწერალმა ამოწურა ეს საშუალება და მისი მომდევნო ნაწარმოებია უკვე სხვა პრინციპზე იქნება დაფუძნებული, მაგრამ „მზიან ღამეში“ კიდევ ერთხელ დავგარწმუნა, რომ, როგორც ჩანს, ნოდარ დუმბაძეს დაუშრეტელი მარაგი აქვს ხალასი იუმორისა, რომლითაც განზრახ გვიადვილებს თავის ნაწარმოებებში ვადმოცემული დიდი დრამატიზმით სავსე განცდების „ატანას“.

ნოდარ დუმბაძისაგან განსხვავებით, არჩილ სულაკაური უფრო „დაუნდობელი“ რეალისტი მწერალია და თავის ახალ რომანში „ოქროს თევზში“, მიუხედავად საკმაოდ ჭარბი სიმბოლიკისა, მაინც აშკარად გვაიძულებს პირდაპირ ვუყუროთ თვალში ცხოვრების სიძნელეებს თუ ბოროტებასაც კი, ღრმად ჩაიხედოთ ადამიანების გულებში, სადაც, სამწუხაროდ, მხოლოდ სათნოება და სიკეთე არ არის დასადგურებული და, მწერლის აზრით, რაც უფრო მძიმე იქნება მკითხველისათვის ყოველივე ამის განცდა, მით უფრო მეტად არგებს ეს მის სულს.

თამაზ ჭილაძის „აპა, მიიწურა ზამთარიც“ ასევე ჰგავს დამატებით ავტორის მოთხოვნებს და მათი პროზაულ-მატიკას.

ერთი სიტყვით, ეს ახალი სამივე რომანი მათი ავტორების აღრინდელი ნაწარმოებების უშუალო გაგრძელებაა, და ვინც ამ მწერლებს იცნობს, უკეთ მიხვდება, რამდენად განსხვავებული მსოფლშეგარჩნებისა და ინდივიდუალური მანერის მქონენი არიან ისინი.

მიუხედავად ამისა, ამ მწერლებსაც და მათ ახალ ნაწარმოებებსაც ბევრი რამ აქვთ საერთო და მეც აქედან მინდა დავიწყო.

ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამეც“, არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზიც“ და თამაზ ჭილაძის „აპა, მიიწურა ზამთარიც“ შეიძლება ითქვას, ახალი სახის რომანების რიგს მიეკუთვნება ქართულ ლიტერატურაში. ისინი ერთი მხრივ განირჩევიან თავისი მოცულობითაც და მასშტაბებითაც დიდ ეპიურ ტილოებისაგან, აქ დროცა და გარემოც შედარებით ლოკალიზებულია. მეორე მხრივ კი, ეს არ უშლის მათ ხელს საკმაოდ ფართოდ და მძაფრად დააყენონ მკითხველის წინაშე თანამედროვე ცხოვრების პრობლემები. უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში აღარ არის სავალდებულოდ მიჩნეული, როგორც ეს ადრე იყო, საზოგადოებრივი ცხოვრების რაიმე ერთი გარკვეული სფეროთი დაინტერესება, როდესაც მწერლის ყურადღება გამახვილებული იყო, მაგალითად, ერთი საწარმოს, ან ერთი კოლექტივის ან ერთი საბრძოლო ქვეგანაყოფის ადამიანებზე, და მათი ზასიათი ძირითადად ამ სამსახურებრივი თუ უწყებრივი ურთიერთობის ფონზე იკვეთებოდა. უფრო მეტიც: მათი დიდი ადამიანური სიყვარულიცა და რომანული ინტრიგებიც, როგორც წესი, ამავე კოლექტივში ისახებოდა. საბედნიეროდ, ახლა თანამედროვე რომანების დაჯგუფება საწარმოო

თუ საკოლმეურნეო რომანებად აღარ ზერხდება.

ნოდარ დუმბაძის, არჩილ სულაკაურისა და თამაზ ჭილაძის რომანები არც ერთ ასეთ კლასიფიკაციას არ ემორჩილებიან, თუმცა ჩვენ სხვათა შორის კი არა, კარგად ვიცით თუ მათი გმირები რას საქმიანობენ, რა შინაგანი დამოკიდებულება აქვთ თავიანთ სპეციალობასთან და სამუშაოსთან, ამ მხრივ რა მიზნები აქვთ, რაზე ოცნებობენ. მაგრამ ამას ვარდა, მათი ხასიათის ძლიერი და სუსტი მხარეები მათ ფართო საზოგადოებრივ საქმიანობაში და ურთიერთობებში ვლინდება. გმირების ინტერესები მრავალმხრივია და ამიტომ მათი გონიერება ან უგუნურება, ხასიათის სიმტკიცე ან სისუსტე, კაცთმოყვარეობა ან ეგოიზმი, თუ სხვა რომელიმე თვისება ან მხარე ერთ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით კი არ მცლავნდება, არამედ უფრო სრულად, გამოკვეთილად, დამაჯერებლად წარმოდგება მკითხველს.

ეს რომანები, რაგინდ განსხვავებულებიც არ უნდა იყვნენ, შეიძლება ითქვას, ერთი დიდი პრობლემის, თანამედროვე ახალგაზრდობის მორალური სახის გარკვევას ისახავენ მიზნად და ამ მხრივაც ეხმარებიან ერთმანეთს. საშივე ავტორის ყურადღების ცენტრში ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდები არიან და მათი საზოგადოებრივი ყოფის, შინაგანი განცდების, ეჭვების, იმედუბის, ცხოვრებასთან დამოკიდებულების, კმაყოფილებისა თუ უკმაყოფილების გრძნობის და ამ გრძნობების ახსნის შესახებ გვესაუბრებიან ნოდარ დუმბაძეც, არჩილ სულაკაურიც და თამაზ ჭილაძეც. მათ არ აშინებთ ცხოვრების მძაფრი ხილვა, ისინი გულწრფელად და უშუალოდ გვეუბნებიან თავიანთ დავიარებებს, რომლებიც ხან სიხარულითა და სიხალისით ავსებს მათ, ხან კი მძიმე განცდებს იწვევს მათში.

სამივე რომანში ჩანს ავტორების უკომპრომისო დამოკიდებულება ცხოვრებასთან და ის მაღალი პოზიცია, სადანაც აკვირდებიან და აფასებენ ისინი

ჩვენს თანამედროვე ცხოვრებასაც და იმ ახალგაზრდობასაც, რომელიც გულგადობრივ ასპარეზზე უმოდებდა მკვიდრდება.

როგორც უკვე ვთქვით, ნოდარ დუმბაძის, არჩილ სულაკაურისა და თამაზ ჭილაძის ამ ახალ რომანებს ბევრი რამ აქვთ საერთო, რაც პირველ რიგში იმით აიხსნება, რომ ნაწარმოებთა გმირები ერთი თაობის, შეიძლება ითქვას, ერთი წრის ხალხია და, ბუნებრივია, მათი ხასიათებიცა და ინტერესებიც, მათი სიხარულიცა და ტკივილებიც, მთლიანად მათი ცხოვრება და საზოგადოებრივი ურთიერთობა ბევრწილად საერთო და მსგავსი უნდა იყოს. მაგრამ ამასთანავე ეს რომანები უფრო მეტად განსხვავდებიან კიდევ ერთმანეთისაგან. განსხვავდებიან ახალგაზრდობის ზოგადი მორალურ-ეთიკური საფუძვლების ორიგინალური გახსნით, გმირების თავისებური დამოკიდებულებით ცხოვრებასთან, მათი ხასიათების განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესით. რაც მთავარია, ეს განსხვავება იმით გამოიხატება, რომ სამივე რომანის გმირები არა ჰგვანან ერთმანეთს არც ბიოგრაფიითა და არც ხასიათებით და მათ სულ სხვადასხვა შინაგანი ძალა აქვთ ცხოვრებაში თავისი ადგილის დასამკვიდრებლად და თვით ცხოვრებაზე, თავის ვარემოსა და წრეზე ზემოქმედებისთვისაც. რა თქმა უნდა, ეს რომანები განსხვავდებიან იმ უბრალო მიზეზის გამოც, რომ მათი ავტორები ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სტილის მწერლები არიან. და, ბოლოს, ეს რომანები განსხვავდებიან თავისი მხატვრული ღირსებებითაც. ეს რომ უფრო თვალსაჩინო იყოს, ახლა უფრო კონკრეტულად განვიხილავთ თვითულ მათგანს.

ნოდარ დუმბაძის „შვიანი ღამე“, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, მწერალს კომპოზიციურად მისთვის ორგანული და გამოცდილი ხერხითა აქვს აგებული. ამ რომანშიც, ისევე როგორც „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ და „მე ვხედავ მზეში“ ავტორი ცხემლიანი სა-

ცილით მოგვიტბრობს თავისი ახალგაზრდა გვირის თეიმურაზ ბარამიძის ღრმა დრამატული განცდებით სავეცხოვრებაზე და ეს ლალი და თბილი იუმორი მკითხველის მძიმე ემოციების შესამსუბუქებლად არის გამოიხსნული. გარდა ამისა, იუმორის ეს გრძნობა რომანის გვირებს დიდი სულიერი მხნეობის ადამიანებად წარმოგვიდგენს ჩვენ. ზურაბიკელაძე („მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან“), სოსოიაძე („მე ვხედავ მზედან“) და თეიმურაზი („მზიანი დამიდან“) სრულიად უბრალო, ჩვეულებრივი ახალგაზრდები არიან, რომელთაც ცხოვრებაში ერთი ადამიანისათვის სრულიად სამყოფზე მეტი განსაცდელი გადახდენიათ თავს და თუ ყველაფრისათვის გაუძლიათ, ეს იმიტომ, რომ მათ სწამთ ამ ქვეყანაზე სიკეთისა და სინათლის — მათი სიშბოლოს მზის უძლეველობა.

ბავშვობის მეგობარი გურამი გამოუტყდება თეიმურაზს.

— არ ვიცი, კლასში რომ რაიმე დაუკარგებოდა, მეშინოდა, შენი წაღებული არ ყოფილიყო. გაკვეთილს რომ ვააცდენდი, მეშინოდა, სკოლაში აღარ დაბრუნდებამეთქი. თავერა რომ ქურდობაზე დაიჭირეს, მეშინოდა, შენც დაგიჭერდნენ მეგონა მასთან ერთად. ათწლედი რომ დავამთავრეთ, მეშინოდა, უმაღლესში არ შემოვავამეთქი... მერე ჩემი შიში რომ არ მართლდებოდა, მრცხვენოდა, თან მიზაროდა“.

ეს შიში მეგობრისა სავსებით საფუძვლიანი იყო. თეიმურაზი უღედშამოდ, მარტოდ-მარტო იზრდებოდა რვა წლიდან და მხოლოდ სიკეთისა და სიყვარულისაკენ სწრაფვამ ააციდინა ყველა იმ განსაცდელს, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ელოდა. ამ სულიერი სიმტკიცის, საკუთარი რწმენის გამო იყო, რომ თეიმურაზ ბარამიძეს თავისი ცხოვრების მძიმე გზაზე არასოდეს დაუქარგავს იუმორის გრძნობა.

თუმცა თეიმურაზი ღერსუნზე ბევრად ახალგაზრდაა, მაგრამ მასზე მეტი განსაცდელი აქვს გადატანილი. მან, ბავ-

შვმა და მოზარდმა გაუძლო ამ განსაცდელს; ღერსუნმა კი, ზღვისპირა დილა და დავაჯაცებულმა რად ძლიერმა კაცმა ერთსაც ვერ გაუძლო, დაუძღურდა, დაჩაჩანაყდა, თავის სიცოცხლეს ზღვისპირა კაფეში ატარებს და ფინჯანის ფსკერზე დაღუქილ ყავაში რაღაცას ეძებს, რაღაცას მარჩიელობს. ეს იმიტომ, რომ მას არა სწამს არაფერი, არც მეგობრობა, არც სიყვარული. არც სიკეთე, არც სიმართლე, ეს იმიტომ, რომ იგი მარტოა და ადამიანის რწმენა დაკარგა. ამიტომაც, რომ მასზე ბევრად უმცროსს და ბევრად უფრო მხნე თეიმურაზს უფლება აქვს ასე ელაპარაკოს ცხოვრებაზე ბელჩაქნეულ ღერსუნს:

„— გლახაკი ხარ შენ, მათხოვარი, მშიშარი!

— ღმერთი რომ იყოს, მე არ ვამჩინდა. არ არის ღმერთი!

— არის!

— რას ეძახი შენ ღმერთს? — მკითხა ძია ღერსუნმა.

— სიყვარულს, სიკეთეს, სიმართლეს, მეგობარს, დედას...“

ღერსუნს აქვს საბაზი ასე იფიქროს ცხოვრებასა და ადამიანებზე, უარყოფს ღმერთი სიყვარულსა და მეგობრობაში გამოხატული, რადგან მას ახლობელმა ადამიანებმა უმუხბოლეს. მაგრამ მაინც ადამიანი ადამიანითაა ძლიერი, ეს არ იცის ღერსუნმა, სამაგიეროდ ეს იცის, უფრო სწორად, ამას გრძნობს თეიმურაზი და ამით იტანს ყოველგვარ განსაცდელს, ეს აძლევს ძალას იმისას, რომ არასოდეს დაკარგოს სულიერი მხნეობა და იუმორის გრძნობა.

ღერსუნისა და თეიმურაზის საუბარს, რომელიც ამ უბედურთა კაცის ტრაგედიას გვაგებინებს, და სადაც მისი სკეპსისისა და უიმედობის წყაროს ვაცვლევთ, როდესაც თეიმურაზთან ერთად ჩვენც შეძრწუნებული ვართ ამ ცხოვრებისაგან გათელილი კაცის ბედით. მოსდევს თეიმურაზისა და გურამის დიალოგი ზღვის პირას, სადაც მეგობრები თითქოს აგდებულად, იუმორით სატუნ-

რობენ ადამიანისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე. მაგრამ იგრძნობა, რომ ეს ზერეულ ფორმა საუბრისა მხოლოდ ნიღაბია ვაჟკაცური გრძნობების დასაფარავად. გურამს არ სურს სერიოზულად ილაპარაკოს იმაზე, რაც მის ცხოვრებაში ყველაზე სერიოზული და მნიშვნელოვანი რამ არის. ამასთან, სწორედ ასეთი ლაღი საუბარი ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, მეგობრობასა და სიყვარულზე, გვარწმუნებს ჩვენ, რომ არც თეიმურაზისათვის და არც გურამისათვის არ არსებობს, არ შეიძლება არსებობდეს ის განსაცდელი, ის სიმარტოვე, ის უშეო დამე, რომელიც დურსუნისათვის დამდგარა.

და ასეა სულ ამ რომანში. ყოველ მსუბუქ, იუმორით სავსე ეპიზოდს, როდესაც მკითხველს ყველა დარდი ავიწყდება და ამ მზიარული გმირების შემყურე თვითონაც გულთ იცინის, ერთბაშად მოსდევს უღარესად მძაფრი დრამატისმით დამძიმებული, ზოგჯერ ტრაგიკულამდე ასული სცენა. ავტორი როგორც კი დაატყობს, რომ მკითხველს სიცოცხლისგან აცრემლებული თვალები ახლა მწარე ცემლით ევსება, მაშინვე შესცვლის სცენას და ახლა კვლავ იუმორით აზავებს მოზღვავებულ განცდებებს. მერე კვლავ დატრიალდება მზიარულა, მახვილგონიერული ეპიზოდებისა თუ დიალოგების ფეიერვერკი, და გამოცდილი მკითხველი მაშინვე მიხვდება, რომ მწერალი კვლავ რაღაც მძიმე განცდილობისათვის გვაშაადებს.

რომანი უნივერსიტეტის ზამთრის სესიებით იწყება, და ვისაც სტუდენტობა გამოუცდია, შეუძლებელია ამ ცოცხლად დაწერილმა ეპიზოდმა ცოტა ხნით არ დააფიქროს ყველაფერი და კვლავ არ დააბრუნოს იმ გარემოში, იმ აუდიტორიუმში, სადაც ამდენი ღელვა, სიხარული, სიმწარე თუ მზიარულება განუცდია. ნოდარ დუმბაძის იუმორის გადმოცემა უბრალოდ შეუძლებელია, ეს რომ გაიგოთ და იგრძნოთ, ამით რომ დასტკბეთ, თვით მწერალს უნდა უსმანოთ. და აი, მკითხველი, რომელსაც ჯერ

კიდევ უბრწყინავს თვალზე გულამოჭდარი სიცოცხლის ცრემლი და იქვე მყვება თეიმურაზ ბარამიძეს გაქვითვით სანაღში, უცერად მოულოდნელ სცენას გადაეყრება. თეიმურაზს გადასახლებიდან დაბრუნებული, თორმეტი წლისა უნახავი დედა დახვდება სანაღში. ახლა, გეგონებათ, თითქოს სულ სხვა. მხოლოდ ასეთი დრამატული სცენების ოსტატის ხელით დაწერილ რომანს კითხულობთ, იმდენად ძლიერია ერთმანეთს გადაჩვეული დედა-შვილის შეხვედრის სცენა. ვერც კი იფიქრებთ, რომ ეს ორივე ეპიზოდი ერთი და იგივე მწერლის კალამს ეკუთვნის. შემდეგ, ამას ართავაშასა და თეიმურის ერთად გატარებული დამე მოსდევს, რომელიც ადამიანური სევდიობა და იუმორით თითქოს განზრახ არის შეზავებული. მერე გულიკოს სახლი ლოტკინის გორაზე, კვლავ ლაღი სიცოცხლის ჩანჩქერი, ამას კვლავ დედასთან მძიმე საუბრის სცენა მოსდევს და ბოლომდე ასე ენაცვლება ერთმანეთს ლოდივით მძიმე განცდები და მსუბუქი, უღარდელი. ახალგაზრდული სიხალისე და იუმორი.

ეს ზერბი რომანის აგებისა, ცხოვრების გამოხატვისა, მკითხველის გონებასა და გულის დაპყრობისა ნოდარ დუმბაძისეულია, და ამას ავტორი კარგადა ფლობს. თუმცა, თუ ბოლომდე გულახდილი ვიქნებით, ვფიქრობ, უნდა გამოვუტყდეთ ავტორს, რომ მას ზოგჯერ ლალატობს ზომიერების გრძნობა. ჩემი აზრით, ეს ლალატი ზოგიერთ ცალკეულ, ზომიერებას მოკლებულ, თითქოს ანეგდოტურ ფრაზებში კი არ გამოსტკევის მხოლოდ, არამედ მთელი თავებიც კი სტოვებენ ერთგვარად ზედმეტობის შთაბეჭდილებას. ასე, მაგალითად, „გალაკტიონი“, რომელიც თავისთავად შეიძლება საინტერესო ესკიზი იყოს, ამ რომანში სრულად ზედმეტი თავია, და ასე გეგონებათ, ავტორს მისი გადაჯდება დაენანა და „მზიან დამეს“ მიაკერაო. ასევე ზედმეტი და ამ რომანის მთლიანი ორგანიზმიდან ამოვარდნილია „კაროვის ბაღის“ პირველი ნაწილი, სადაც

ახალგაზრდები ფეხბურთზე ანეგდოტური ლაზღანდარობითა და ვიღაც დებილი ბიჭის გამასხრებით ირთობენ თავს. ზოგჯერ ისეთი უსიამოვნო გრძობა გრჩება, თითქოს ავტორმა სატირული ჟურნალისათვის გამიზნული ხუმრობა შემთხვევით ჩაღო ამ რომანში და მერე კიდევ ჩარჩაო. ნოდარ ღუმბაძის რომანის ტექსტი იმდენად წმინდაა, თუ შეიძლება ითქვას, სათუთია, რომ მსგავსი უხეში, ანეგდოტური, მე ვიტყვოდი, იაფფასიანი ადგილები მაშინვე თვალში ეცემა მკითხველს. მაგრამ ეს, საბედნიეროდ, მხოლოდ რამდენიმე ფრაზას და ერთი-ორ ნაწყვეტს შეეხება. მთავარი მაინც მთელი ორგანიზმია და არა მასზე მიზრდილი, უფრო სწორად, შეცდომით მიყრებულები ხორცმეტი. ზემოთ ნათქვამიდან, ვფიქრობ, ნათელი უნდა იყოს ჩემი დამოკიდებულება ამ მთლიანი ორგანიზმის მიმართ, რომელიც სიჭანაღითა და სიციცხლით არის სავსე.

მარტო ზემოთნათქვამით არ ეხმაურება ეს რომანი ნოდარ ღუმბაძის წინა ნაწარმოებებს. თვით ის ფაქტი, რომ რომანის სათაურში მზე მოიხსენება, არ არის შემთხვევითი. მზე ნოდარ ღუმბაძისათვის ის სიმბოლოა სინათლის, სიკეთის, სიყვარულის, საერთოდ, ყოველივე სიწმინდისა და ამაღლებულისა, რომელიც მის შემოქმედებაში ნაწარმოებიდან ნაწარმოებში გადადის. და რაკილა მწერალს მზე ასეთი დიდი გრძობების სიმბოლოდ გაუზღია, ამიტომაც, რომ იგი მისთვის ღამითაც კი ანათებს. საინტერესოა, რომ გულახდილი საუბარი დედასა და თემურს შორის ისევ მზესთან დაკავშირებით იწყება.

— ზომ არის ზღვა და მზე ორი სასწაული? მზე ისეთი სასწაულია, რომლის ცქერა არასდროს მოგწყინდება... ზომ, დედა?

— არა, შვილო! — თქვა დედამ, თვალები დახუჭა და თავი გაიქნია. იგი დიდხანს დუმდა. ალბათ, რაღაცას იგონებდა.

— დედა, — გაეახსენე მე თავი.

— მზე სასწაულია, — დაიწყო მან

ღუმბაძის შემდეგ. — მზე სასწაულია, მაგრამ შენ არ გინახავს წამდევლ... მზე... მზით დამწვარი უსაზღვრო ტრამპინ... მზით დამწვარი ქვა, მიწა, ხე, ქვიშა, გამხმარი ხაზა, გამხმარი ტენი. არასწუთები ცხოვრებაში, როდესაც მზე გეზიზღება და უცქერ მზის ჩასვლას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩადის, და გიზარია მისი ჩასვლა. რათა ხელმეორედ აღარ ამოვიდეს. ისეთი უღმობელი, როგორც გუშინ. გაიგე, შვილო?

— დედა, შენ ხომ ხედავ, რომ მე პატარა აღარა ვარ. შენ ისევე რვა წლის გგონივარ, მაგრამ მე უკვე ოცი წლისა ვარ. შენ ჩემი ყველაფერი გიცივრს, ის, რაც მე კარგი მგონია, შენ არ მოგწონა. რაც მახარებს, შენ იმის გეშინია, სულ ეშვის თვალთ უყურებ. ან დაივიწყე, დედა, ყველაფერი. ან მოთხარი, რა ვქნა? — ეთხოვე მე და კალთაზე ეაკოცე.

— მაგის დავიწყება არ შეიძლება! — თქვა დედამ.

თუმცა ეს ადგილი იმისათვის მოვიყვანე, რომ მეჩვენებინა, თუ მზე რამდენად მნიშვნელოვანი სიმბოლოა ამ რომანის გმირებისათვის. მაგრამ აქ არანაკლებ საყურადღებოა სხვა გარემოებაც. კერძოდ, დედა-შვილის განსხვავებული დამოკიდებულება ვარდასულისა და განცილისადმი. ამ საკითხზე ქვემოთ საგანგებოდ შეგჩერდები. ახლა კი მთავარი ისაა, რომ შვილმა დედასაც კი ფერ აპატია მზის აუგად ხსენება და ამაში საკუთარი გრძობების შეურაცხყოფა დინება, ეს ასეცაა, რადგან თუ მეგობრებისათვის, თემოსა და ვურამისათვის სიყვარული, სიკეთე, სიმატლე, მეგობარი, დედა — ყველა და ყველაფერი ეს ღმერთია, მზე ამ ღმერთის გამოხატულებაა და ამიტომაც ვერავის მოახსენიებენ მას აუგად. ამიტომ შეზარატიან მას. რაკილა მზისადმი მეგობრების ეს დიდი სიყვარული ჩვენთვის ნათელი და გასაგებია, ამიტომ აღარ გვეჩვენება ხელოვნურ პოზად და მათი გრძობის უშუალო გამოხატულებად ვიღებთ ამ

სცენას, როდესაც ზღვაში ჩამავალი მზის მოციმციმე ბილიკზე ვერამი პორტენიას დადებს.

„— მხეს ყვავილი მივართვი! — მიტხრა მან და ბედნიერი ღიმილით გამოიღობა. მე არაფერი ვუბასუხე, მხოლოდ თავი დაუქუჩნიე და ვავუღიმე. თან შემშურდა, დიდი შურით, ნამდვილი შურით, რომ ეს მე ვერ მოვიფიქრე“.

რომანის გმირებს უბრალოდ კი არა სწამთ ამ სიმბოლოსი და ამ ღმერთის, არამედ ისინი კიდევ ცხოვრობენ ღმერთად მიჩნეული გრძნობებით. „მზიანი ღამე“ ამ რწმენის მხოლოდ სიმბოლური მინიშნება არ არის, არამედ კონკრეტული გამობატულებაცაა. ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ამ რომანში ის სიუჟეტური ხაზებია, რომლებშიც დედასთან, გურამთან, თავერასთან, გულიკოსა და ლიასთან თემურის ურთიერთობა ჩანს, თვითვე ამ სიუჟეტურ ხაზში გმირის მიერ ღმერთად აღიარებული გრძნობათა კომპლექსის ერთი რომელიმე მხარე იხსნება სრულად. რა თქმა უნდა, ავტორს ასე მექანიკურად არ აქვს დანაწილებული თავისი გმირის ხასიათის თვისებები ცალ-ცალკე ეპიზოდებში საილუსტრაციოდ; თეიმურაზ ბარამიძე ყველგან და ყოველთვის ერთი მთლიანი პიროვნებაა, მაგრამ მაინც თვითვე ამ სიუჟეტურ ხაზში, თვითვე ამ ურთიერთობაში სხვებზე უფრო მეტად მისი ხასიათის ერთი რომელიმე ძლიერი და საინტერესო მხარე ხდება მკითხველისათვის ნათელი.

ყველაზე ნათელი და თბილი, ამასთან, დრამატულად დამაბული და ამაღლემბული ამ რომანში ის სიუჟეტური ხაზია, რომელშიც თემოს ურთიერთობა იხსნება დედასთან. თვით ის ფაქტი რომ თემო, რომელიც ბავშვი დააცილეს მშობლებს, თორმეტი წლის უნახვად დედას ხვდება მოულოდნელად, თავისთავად ამაღლემბელია და მკითხველში ძლიერ ემოციებს იწვევს. ამ საინტერესო ფაქტს თავისი გმირის ბიოგრაფიიდან მწერალი შესანიშნავად იყენებს და დედამშვილური ურთიერთობის, სიყვარულის

განუსაზღვრელ გრძნობას ორიგინალურად და შთაბეჭედავად გვეჩვენებს მწერალმა ბლებს გადაჩვეულ თემოს (შემოს) კაოს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს სახლში დახვდება, უთხრას: გამარჯობა, დედა, — რასაც ასე ელის დედამისი, და ასე მიმართავს: გამარჯობათ, ქალბატონო! „ახლა ჩვენ ვიწყებთ ოთახის სხვადასხვა კუთხეში ერთნაირად უბედურები, რადგან ეს ბედნიერი დღე დადგა“ — ამბობს თემო და, მართლაც, როგორც მწერალი გვიხსნის, მათთვის ეს დღე ბედნიერიცაა ამ შეხვედრის გამო და უბედურიც, რაკილა დედა-შვილი ერთმანეთისათვის უცხონი გამხდარან. შეიძლება ცოტა უცნაური ჩანდეს თემოს წასვლა სახლიდან, როდესაც ამ დამაბულობის გამო ვერ ჩერდება სახლში და ღამეს ვიღაც დარაჯ ართავახასთან ათევს, მაგრამ ჯერ ერთი ჩვენ არ შეგვიძლია არ დაუვუჯეროთ ავტორს, რომლისთვისაც ეს რომანი ბევრწილად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, მეორეც, ისე დამაჯერებლად აქვს ავტორს გახსნილი უნახვად მშობელთან შეხვედრის განცდა, რომ ეს განცდის სიმართლეა ყველაზე მნიშვნელოვანი. ამ სიმართლის და სიწრფელის გამოა, რომ ასე გვჯერა თემოს სიყვარულისა დედასადმი. რომ ღმერთს იგი პირველად დედაში დაინახავს, რომ მიხვდება:

„ღმერთი მაშინ უნდა იწამო, ღმერთის სახე რომ არ აქვს, რომ არ გავს ღმერთს. რომ არ გეუბნება ღმერთი ვარო, პურს რომ გიწოფს, სადილს რომ გიკეთებს, ტანზე რომ გაცმევს, თავზე რომ გახურავს, გიღიმი და გეფერება, გკოცნის და ტირის შენი გულისათვის, კვდება შენი გულისათვის, ცივა, წყურია, შია შენთან ერთად, სულს აძლევს ეშმაკს შენი გულისათვის, მაშინ უნდა იწამო“.

ამ განცდის სიმართლის გამო გვჯერა ჩვენ მთელი ურთიერთობა თემოს დედამისთან, რაც თითქოს სრულიად ჩვეულებრივიცაა, მაგრამ ამავე დროს უაღრესად ამაღლემბულია, წმინდაა, წმინდათაწმინდაა. და თუმცა თემოსა და დედამისს ერთად დიდხანს ცხოვრება არ მოუ-

წიათ, ჩვენ ბოლომდე გვჯერა თემოსი, რომელიც თავის საცოლეს ღიას დედის საფლავეზე მიიყვანს და ცოცხალივით ესაუბრება მშობელს:

„ეს მე ვარ, შენი შვილი, რომელმაც იმ დიდი სიყვარულის საფასურად, ჩემი ხელით გაითხოვარე სამარე, ჩემი ხელით ჩაგასვენე შიგ და ჩემი ხელით დაგადე ეს დიდი ლოდი გულზე. ეს მე ვარ, შენი შვილი, რომელმაც ძლივს გიპოვე და ისე გიპოვე, რომ აღარასოდეს დაგკარგავ, რადგან ეს სასაფლაო არის ჩემი. ეს არის ღია, ნაწილი იმ დიდი სიცოცხლისა, რომელიც შენ დამიტოვე ქვეყანაზე. შენ კი იმდენი სიცოცხლე დამიტოვე, რომ მე მარტოს არ შემაძლია ამდენი სიცოცხლე. ამიტომ, არ გეწყინოს, რომ მე მივეცი მას ჩემი და შენი სიცოცხლის ნაწილი“.

მწერალმა რომანის მთელ მანძილზე არა მარტო დაგვანახა ეს დიდი დედა-შვილური სიყვარული, არა მარტო განგვადიდებინა ეს სიყვარული, არამედ ღმერთადაც კი აქცია იგი და ჩვეულებრივ, ყოფით საუბარში ართავაზასთან და გურამთან თუ ზემოთმოტანილის მსგავსს ლირიულ აღსარებებში თითქოს თავისი ახალი რელიგიის ახალი საგალობლებიც კი შექმნა.

ყოველი ეპიზოდი დედა-შვილის ურთიერთობისა, თითქოს, ამ ახალი რელიგიური რწმენით არის გასხივოსნებული და საუკეთესოა ამ შესანიშნავ რომანში, მაგრამ სიკვდილის სცენა მაინც ყველაზე უბრალო და ყველაზე ამაღლებულია. ამასთან ორიგინალურად და ღრმად გააზრებულიც.

დედამისი და სტალინი ერთ ღამეს გარდაიცვლებიან. და თუ უნივერსიტეტში, ზარჩამდგარ ტაძარში უამრავ მლოცველს მოეყრა თავი და თვალცრემლიანი, მუდარითა და ვედრებით შესცქეროდა სცენაზე დასვენებულ რეპროდუქტორს, ამ დროს თემურის გრძნობა და გონება მხოლოდ საკუთარ ღმერთს მისჩერებოდა, რომელიც ხელიდან ეცლებოდა, და ვინ იცის, ვინ უფრო მართალ ღმერთსა გლოვობდა? ეს კია, დედის

სარეცელთან მარტოდ მარტო დარჩენილი თემო ვერც კი გაიგებს *ფაქტობრივად* მშობელი მეგობრის ჩურჩულს: *მარტოა* სტალინი გარდაიცვალა.

ასევე სულთა, მართალი, კეთილი, პატიოსანი, და ძლიერია თემური სხვებთან ურთიერთობაში: გურამთან, თავის მეგობართან, გულიკოსთან, თუმცა დაშორდება მას, რაკილა იგრძნობს, რომ სხვა უყვარს, ღიასთან, თავის საცოლესთან, თავერასთან, სკოლის მეგობართან, რომლისათვისაც თავს გამოიდებს და სხვებსაც დააჯერებს, რომ მას ახლა პატიოსანი და ღირსეული ცხოვრება სურს, ართავაზასთან, ამ შემთხვევით გაცნობილ კაცთან, რომელსაც თავის დროზე იმხელა კაცური გული აღმოაჩნდა, რომ თემურმა სამი წლის შემდეგ საცოლევც კი მიუყვანა და გააცნო, ღიასთანაც კი, რომელთანაც სულ ერთი ღამე გაათია.

თემურის გული საგნა სიყვარულით და იმედებით. მართალია, მას ბევრი რამ გადახდა თავს, არც სადარდებელი აკლდა და არც განსაცდელი; მართალია, მან კეთილთან ერთად ბოროტიც ნახა ცხოვრებაში, მაგრამ მისი გული მაინც მხოლოდ სიყვარულითა და სიკეთითაა საგნე. ამიტომაც ეპატიეება რომანის ფინალში თავისი დაბადების დღეს ყველას და ყველაფერს, თბილისის მთელი მისი ქუჩებით, მეგობრებს, უცნობსა და ნაცნობს. ეპატიეება, რომ მოვიდნენ და სულ ორიოდ სიტყვით დალოცონ აი ასე:

„— ვაგიმარჯოს თემური, ბედნიერად და ჯანმრთელად იყავი! შენს მეგობრებს გაუმარჯოს, მამაკაცის იმედი და ნდობა ნუ მოგიშალოს, შენს მარჯვენას გაუმარჯოს, შენი ცხოვრების გზას გაუმარჯოს. შენს ფიქრს გაუმარჯოს, შენს ოცნებას! მამული გიცოცხლოს ღმერთმა, და ოჯახი... ვაგიმარჯოს, თემური.“

მეტი მე არაფერი არ მინდა“. თემურს ახლაც უნდა ვენდოთ, ამის მეტი მას, მართლაც, არაფერი უნდა ოლონდ კი გული სიკეთითა და სიყვარულით ჰქონდეს საგნე. მაგრამ საკმარისია კი ეს? სიძულვილი?

თუ აქამდე თემო მხოლოდ საკუთარ რელიგიას მისდევდა და საკუთარი ღმერთი თუ ღმერთებიც ჰყავდა დედის, მეგობრების, საყვარელი ქალის, სიკეთისა თუ პატიოსნების, სიმართლისა თუ სხვათა სახით, ამ საკითხში იგი ქრისტიანულ მოძღვრებას ესესხება: „არა კაც ჰკლა“. ასეც ჰქვია ერთ უღარესად საინტერესო. პრინციპულ, თუმცა ჩემთვის მიუღებელ თავს ამ რომანში.

მაგრამ ეს სიუჟეტური ხაზი აბიბოსთან თემურის ურთიერთობისა უფრო ადრე იწყება. აბიბო თოდრია—თემურის მეზობელი—შინსახკომის ძველი თანამშრომელია. მას დიდი „ღვაწლი მიუძღვის“ კეთილი ადამიანების, თემურის მშობლების უდანაშაულოდ გადასახლებაში. ამას ჩვენ ცხადად ვგრძნობთ, როდესაც აბიბო თემურს ოცი წლის მანძილზე პირველად შეიპატიევს სახლში და ეკითხება, დაბრუნებულ დედაშენს ჩემზე ხომ არაფერი უთქვამსო. მკითხველი იოლად ხედება, რაშიცაა საქმე, მხოლოდ ზემური ვერ ხედება, ან იქნებ, ხედება კიდევ (თითქოს ამის მინიშნებაც არის), მაგრამ თავს ძალად იტყუებს? აქ არ შეიძლება არ გავაახსენდეს დედა-შვილის საუბარი, რომელიც ზემოთ მოვიგონე:

— ან დაივიწყე, დედა, ყველაფერი, ან მითხარი რა ვქნა“...

— მაგის დაივიწყება არ შეიძლება“. აი, ორი კონცეფცია, ორი დამოკიდებულება ბოროტისადმი ცხოვრებაში. რომელია მათში მართალი?

ჩემი ღრმა რწმენით, დედაა მართალი. რადგან კაცს სიკეთეც უნდა ახსოვდეს და ბოროტებაც. მით უმეტეს იმის დაივიწყება, რაც თემურისა და მის ოჯახს გადახდა, მართლაც. არ შეიძლება. მაგრამ თემური მაინც ივიწყებს და მკაცრადაც ისჯება. ის დიდ საიდუმლოს გაანდობს აბიბოს, კაცურად მივა და მას თავისი პატიმრობიდან გამოქცეული მეგობრის ადამიანურ გულს გადაუშლის. აბიბო იმ წამს გაყიდის მასაც და მის მეგობარსაც, ქურდულად, ლაჩრულად, მერე უნივერსიტეტშიც დააბეზლებს. აბიბოს გული მხოლოდ შხამითა და ბოროტები-

თაა სავსე; იქ სიკეთის და სიყვარულის ნატამალიც არ ბუღობს.

მართალი იყო დედა: მაგის დაივიწყება არ შეიძლება. მაინც დაივიწყა. მწარედ დაისაჯა. და ბოლოს მაინც დაივიწყა. თემურმა უპატრონა გულის შეტევისაგან კიბეზე წაქცეულ აბიბოს. და მთავარი ისაა, რომ, როდესაც ღამეს უთევდა მას, ვერ სიძულვილისაგან დაიცილა, მერე შეეცოდა, ბოლოს შეეშინდა, ტირილიც კი მოუწინა და აივსო ყელამდე სიბრაღულით ამ კაცის მიმართ, იმხელა სიბრაღულით, რომ ცქერა აღარ შეეძლო.

ძალით დაივიწყა ის ერთ-ერთი ბრძნული, ადამიანური, ჰუმანური, დედა-შვილური რჩევა, რომელიც დედამისმა უანდერძა: „მაგის დაივიწყება არ შეიძლება, შვილო“.

ეს ნოდარ დუმბაძისა (ჩანს ეს რომანიდან) და მისი გმირის პოზიციასა, რომელიც ჩემთვის პირადად გაუგებარია და მგონია, რომ ღმერთს მესსიერება იმიტომ მოუცია ადამიანისათვის, რომ მას ყველაფერი ახსოვდეს, კეთილიცა და ბოროტიც. მაშინ მეტი სიკეთე იქნება ქვეყანაზე.

ნოდარ დუმბაძის რომანის მთავარი სათქმელი „მზიან ღამეში“ ის უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანი ადამიანითაა ძლიერი. მაგრამ განა მართლა ასე უბრალო ჭეშმარიტებაა ეს? განა, მართლა ყველას ესმის იგი? ან განა მართლა ყველა მისდევს პატიოსნად, გულწრფელად ამ ჭეშმარიტებასა და სიბრძნეს? რა თქმა უნდა, ყველას არ ესმის ეს და არც ყველა ხელმძღვანელობს თავის ცხოვრებაში ამ ძველი და დიდი სიბრძნით. ეს ჩვენ თვით ცხოვრებიდანაც ვიცით, ხოლო ახლა კი მხატვრულად ძლიერად ჩავგვაფიქრა ამ საკითხზე არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზმა“. არჩილ სულაკაურის რომანის პათოსიც სწორედ ამ უბრალო და მნიშვნელოვანი სათქმელით განისაზღვრება ძირითადად, თუმცა ამისათვის იგი, ნოდარ დუმბაძისაგან განსხვავებით, სულ სხვა გზასა და საშუალებებს ირჩევს.

ნოდარ ღუმბაძესთან ეს აზრი პოზიტიურადაა გადმოცემული, ხორცშესხმული, არჩილ სულაკაური ამ აზრს სპირისპირის უარყოფის გზით ამტკიცებს. ნოდარ ღუმბაძის თითქმის ყველა გმირი, მთავარი თუ ეპიზოდური, ამ სიკეთის არა მარტო მატარებელი, აშკარა მქადაგებელიცაა. გავიხსენოთ დედა, თემური, გურამი, გულიკო, რომელსაც მართალია, სცილდება თემური, მაგრამ ამიტომ კი არა, რომ ან ერთს, ან მეორეს სიკეთე ან სიყვარული აკლია, უბრალოდ იმიტომ, რომ თურმე ის სიყვარული, რომელიც ერთადერთია და განუმეორებელი, სულ სხვა ყოფილა, და თემურის ეს გრძნობა ღიას ეკუთვნის. ასეთივე ადამიანურია ღიაც, ართავაზაც, თვით ლიდაც კი, რომელთანაც თუმცა სულ ერთ დამეს გაათევს თემური, მაგრამ იგი ჩვენზე საეჭვო რეპუტაციის ქალის შთაბეჭდილებას კი არა სტოვებს, პირიქით, თავისი დიდი გულით, ჩემი სიკეთით, შინაგანი სიწმინდითა და კეთილშობილებით თემურსაც და მკითხველსაც სითბოთი და სიმბათიით ავსებს.

არჩილ სულაკაურის რომანში სულ სხვა გარემო, სულ სხვა გმირებია. დათო ნათიშვილსაც ჰყავს მეგობრები, ამხანაგები, შშობლები. და-ძმა, მეშობლები და ნაცნობები, მაგრამ ისინი შინაგანად უცხონი არიან ერთმანეთისათვის, არ არიან მართლნი ერთმანეთისადმი, გულწრფელად არ აღარდებთ და არ ახარებთ ერთმანეთის დარდი და სიხარული. ამ რომანში აშკარა ბოროტებასა და ანგარებასაც ხედავს მკითხველი, მაგრამ ყველაზე საშიში მაინც სულ სხვა რამაა, და ეს კარგად ჩანს მეგობრების დათოსა და ველას საუბარში:

— შენ გგონია, მარცხი მომივიდა? არავითარი!... მე ეგეთი მარცხის არ მეშინია... დღეს დავკარგე სამუშაო, ხვალ ვიშოვი... ბოლოს და ბოლოს თბილისიდან წავალ, ქვეყანა დიდია. სამუშაოს ყველგან ვიშოვი... ბოლოს და ბოლოს ჩემ სიმართლეს გავიტან, დავამტკიცებ... მე სხვა რამ მაშინებს. მე მეშინია შენი... — ჩემი?

— დამაცადე! მე მეშინია შენი, მე მეშინია მირიანის, თერჯანის... პლატონის, ნოდარის, ჯიმშერის... ყველა მახლობელი ადამიანის მეშინია... ყური დამიგდე! შენ არ იფიქრო, ღვინო მაღაპალარაყვებდეს.. ყველანი ერთმანეთს ვატყუებთ, საკუთარ თავსაც და ერთმანეთსაც... დღეს რა გავიხარდა? ის, რომ მირიანს საშველი დაადგა? ის, რომ კაცმა თავი დააღწია მარტოობას, აპატიას, კარჩაქეტილობას?

— რასაკვირაველია!

— თუ ის, რომ წერილის გამოქვეყნებამდე სწორედ შენ მიაგენი მირიანს და უფროსების ქება დაიმსახურე?

— რა თქმა უნდა, ეგეც იყო.

— ჯერ ეს იყო და მერმე ის! ხომ მართალია, გელა?

— შავაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— წავედი. შენც უნდა გეშინოდეს ჩემი, მეც ეგეთი ვარ“.

ამ დიალოგიდან ბევრი რამ ირკვევია. დათო ნათიშვილს ამ ახალგაზრდა კაცს, რომელმაც სულ ახლა დაიწყო დამოუკიდებელი, კაცური ცხოვრება, პირველსავე ნაბიჯებზე მოუხდა დიდ წინააღმდეგობებთან შეჯახება. ცხოვრება არც ისე მარტივი ყოფილა, როგორც ადრე ეგონა. მაგრამ დათო შედარებით იოლად აღწევს თავს ამ ბორბეტებს, რადგან მან იცის, რომ მხოლოდ პატიოსნად შეუძლია ცხოვრება, იგი ვერ აჰყვება ნიკო კორინთელს, რომელიც ბნელი, მეტისმეტად საშიში კაცია. მარტო ეს სიუჟეტური ხაზიც იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ საინტერესო რომანი მიგვეღო. ნიკო კორინთელის ნებას ბევრნი დაჰყოლიან, დამორჩილებიან, დათო ნათიშვილი კი, ეს ახალგაზრდა და დამოუკიდელი კაცი, ბრძოლას უცხადებს მას. მარცხდება. მაინც არ ნებდება. ნიკო კორინთელი ვერ დაიმორჩილებს მას, დათო ამაყი და მართალი კაცია. დიახ, ამ ბრძოლის შემდეგ იგი უკვე კაცია და არა ახალგაზრდა. მთელი ეს ისტორია, რომელიც საკმაოდ მწვეველ და ამაღლებლად ვითარდება, თავისთავადაც საინტერესოა და მრავლის მთქმელი, ყო-

ველ შემთხვევაში საზოგადოების წინაშე დათოს მოვალეობის გრძნობა ჩვენთვის ნათელია. ეს კი. ვიმეორებ, ერთ კარგ რომანს ეყოფოდა. მაგრამ არჩილ სულაკაურს ეს მხოლოდ ფონად მიაჩნია იმისათვის, რომ თავისი მძიმე, მაგრამ მართალი და გულახდილი საუბარი დაიწყოს მკითხველთან ადამიანის მოვალეობაზე არა მარტო საზოგადოების, არამედ, რაც მთავარია, თავისი თავის წინაშეც, რადგან ამ დროს უფრო მეტი რამ ირყევია. დათო კარგი მშენებელია. უკომპრომისო, საქმის ერთგული და. ბოლოს და ბოლოს, იმარჯვებს კიდევ მორალურადაც და, როგორც ჩანს, რეალურადაც იმ უთანასწორო ბრძოლაში, რომელსაც ნიკო კორინთელს უქსადებს. ამით საზოგადოებრივი ვალი მოხდილი აქვს. მაგრამ განა მართლა მოხდილი აქვს? როგორც კი მწერალმა მას თავისი თავის წინაშე მოვალეობა გაახსენა, ამაზე ჩააფიქრა, დათო მიხვდა და გელასაც გამოუტყდა „შენც უნდა გეშინოდეს ჩემი მეც ეგეთი ვარ“. ჰო, მასშიც ყოფილა მიმალული ეგოიზმის გრძნობა, მის მეგობრებშიც. დათოს ყველაზე მეტად ის აშინებს, რომ სხვისი ზედისადმი გულგრილობა იგრძნო თავის თავშიც და იმ ადამიანებშიც, რომლებიც მისი ცხოვრების თანამგზავრნი არიან. დათო მიხვდა. თუ რაიგ სტყუოდა იგი თავისი ძმის, მირიანის წინაშე, რომლის სულიერი სიმარტოვით არ დაინტერესდა. რომელსაც ბოლომდე არ ჩაეჭია და არ აგრძნობინა, რომ ნამდვილი ძმა, ნამდვილი მეგობარია. სულის ნაწილი იყო მისი. დათო გამოუტყდა თავის თავს, რომ მას მირიანის ეს განმარტოება, დემილი არ აწუხებდა, პირიქით, ის აწუხებდა, როდესაც მირიანი ამ დემილს დაარღვევდა, თავისი მძიმე, მაგრამ ჩვეულებრივი ყოფიდან თუნდაც დროებით გამოვიდოდა. მას აშინებდა ათასში ერთხელ მირიანის უნებური გაცილება, რადგან ეს უჩვეულო რამ იყო მისთვის, მაგრამ არ აშინებდა მირიანის უმოქმედობა. აპატია, რადგან ამას მიჩვეული იყო. და მიხვდა დათო, რა მტყუანიც იყო ძმის წინაშე.

და რაკილა მიხვდა ამას, იგრძნო, რომ ეს იყო ყველაზე დიდი დანაშაული რომელიც უნდა გამოესყინა. ეს იყო მისი ყველაზე დიდი სადარდებელი და არა ის, რომ ვიღაც ბოროტმა კაცმა უსიამოვნება მიაყენა სამსახურში, ან კიდევ საყვარელი ქალი ქარაფშუტა გამოდგა და გამელოტებულ მეცნიერებათა კანდიდატს გაჰყვა ცოლად.

დათომ დაინახა, რომ მთელი მისი ოჯახი, მეზობლები მხოლოდ მოჩვენებითი კეთილშობილებისათვის და პატიოსნებისათვის ზრუნავენ. სინამდვილეში კი მისი ოჯახი გარეგნული სიმშვიდითა და წესიერებით მენიღებული აშშორებული ვუბეა. სადაც ჭანსად კაცს სული შეეხუთება. ესაა ოჯახი, რომელმაც არ იცის რა არის პატიოსნება, სინდისი, ადამიანური სიამაყის გრძნობა, სიკეთე, სიყვარული. მაგრამ მაინც დათოს ამტყუნებს ყველაფერში, რადგან იგი არ ინიღბება ამ ოჯახის სხვა წევრებით, რადგან იგი თამამად მიდის თავის მეზობელ ქალთან და რჩება იქ ღამე, თუმცა მამამისიცა და ის მეზობლებიც, რომლებიც გამკილავად შეჰყურებენ მას, ქურდულად ეწევიან გაბრწილ ცხოვრებას. უმადურებას სწამებენ მას, რადგან დათოს არა სურს უღალატოს თავისი სინდისის ხმას. როდესაც ოჯახის წევრები მისგან აშკარად უპატიოსნო საქციელს მოითხოვენ,

რაკილა ყველაფერი ეს ნათელი გახდა დათოსათვის. მან დაკარგა ოჯახი, მშობლები, დეკარგა ის დიდი განძი, რომელიც ეგონა ჰქონდა მას ოჯახის სიწმინდისა და პატიოსნების სახით. ასევე იხანავდა მოსე ამ რომანში ნამდვილ მარგალიტს, რომელიც უსინდისოდ მოპარეს და ამ თითქოს ბიბლიური ეპიზოდთან დაკავშირებული ჭეითინი: — „ესთერ! ესთერ, შენ გენაცვალე! რა იქნა მარგალიტი?! თქვი, ხომ იყო, ჰა? ხომ იყო?! ესთერ!.. ესთერ!.. მქონდა თუ არ მქონდა?! მოთხარი, რა იქნა ჩემი მარგალიტი?!“ — მუდამ თან სდევს დათოს. ისიც დადის თავისი განძის, ოჯახის სიწმინდისა თუ მახლობელი ადამიანების ღირსე-

ბების დაკარგვით შეძრწუნებული, დაეკვებულო, და ეს ძახილიც თანა სდევს მას. — „ესთერ!.. ესთერ! მითხარო, რა იქნა ჩემი მარგალიტი?!“

დათო მარტოა, იგი მხოლოდ ბუბა ეშმაში გრძნობს სულის ტკივილის მოზიარეს, მხოლოდ გრძნობს, რადგან არც ეიცნობს მას კარგად, ეს იცის მხოლოდ, რომ ბუბა ეშმაშიც არ დაიხია უკან, არად ჩააგდო ირგვლივ მყოფთა შეჩვენება, გაუძლო ყველაფერს და მაინც უარი თქვა თავის ოჯახზე, თუმცა ეს ოჯახი სხვების თვალში წესიერი და სანამუშო იყო. დათო გრძნობს, რომ ბუბა ეშმაშიც რაღაც შინაგან, უხილავ, მარტო მისთვის ცნობილ ბოროტებას აღუდგა წინ და საკუთარ თავთან სიმართლე არჩია სხვების აზრსა და დამოკიდებულებას.

მარტოა დათო, მარტოა ბუბაც, მირიანიც. ისინი მარტონი არიან, ისევე, როგორც მარტოა ოქროს თევზი მრგვალ ქილაში. ეს სიმართლაც აწუხებთ მათ. ეს სიმართლაც ყველაზე უფრო მტკივნეულია მათთვის. ამიტომაც ესწრაფვიან მთელი არსებით თავისუფლებასა და კონტაქტებს ნამდვილ, მათსავით წმინდა, კეთილშობილ ადამიანებთან.

არჩილ სულაკაურის რომანი „ოქროს თევზი“ საინტერესო და ორიგინალური აგებულების ნაწარმოებია. ეს არ არის ჩვეულებრივი თხრობა ამბისა, რომელსაც თან ახლავს გმირების სულიერი მდგომარეობის ფსიქოლოგიური ანალიზი. მწერალი ძალზე ხშირად მიმართავს პირობითობას, სიმბოლიკას, მოულოდნელ ჩვენებებს თუ გახსენებებს. შინაგან დიალოგებს, რეფრენებს, რაც ოდნავ ართულებს რომანის სტრუქტურას, მაგრამ ყველაფერი ეს ავტორს ერთი მიზნისათვის აქვს დაქვემდებარებული — უფრო ძლიერ გვაგრძნობინოს და განგვაცდევინოს თავისი გმირების შინაგანი ეჭვები და წუხილი, უფრო თვალსაჩინოდ გვიჩვენოს რამ და რატომ დაუკარგა ამ გმირებს სულიერი წონასწორობა. ოქროს თევზიც, რომელიც მთელი ამ რომანის მანძილზე არ ეკარ-

გება მკითხველს მხედველობის არედან, სწორედ ამ მარტოობის მტკივნეული გრძნობის სიმბოლიკურ მნიშვნელობა და როგორც ოქროს თევზს სურს ჰყავდეს ხმისგამცემი. ასევე ეძებენ სულიერ მეგობარს ჯერ მირიანი და მერე დათო. ხსნა გაქცევაშია, ამ კედლების დამსხვრევაშია, რომელსაც ასე თავგამეტებით ასკდება ოქროს თევზი. ჯერ მირიანი მირბის ოჯახიდან, მერე დათო და, თუმცა ოქროს თევზი სულსა ჰღაფავს ცივ ასფალტზე, მაინც ბედნიერია, რომ ეს მინის კედლები დაემსხვრა, რომ მისი ამაფი და მშფოთვარე სული თითქოს გადაეცათ ადამიანებს, მირიანსა და დათოს, რომლებსაც ასე დიდხანს და დაბეჯითებით უნერგავდა მარტოობის უნაყოფობას.

იქნებ, ვინმეს ასეთი კითხვაც დაებადოს: ვინა ყოფილა მართალი, ნოდარ დუმბაძე, რომელიც ადამიანებში უბირატესად კეთილ საწყისებს ხედავს და თავისი გმირების სახით ურთიერთ სიყვარულის, სათნოების, მეგობრობის, თანაგრძნობის მაგალითს გვაძლევს, თუ არჩილ სულაკაური, რომლის გმირებიც მარტოობის გრძნობით იტანჯებიან და რომლის რომანშიც ყველა თითქოს მხოლოდ თავისი პატიოსანი თუ უპატიოსნო ცხოვრებით ცხოვრობს? იქნებ, ამ ავტორთაგან ერთ-ერთი სტყუის ცხოვრებისა და ადამიანების წინაშე? ვფიქრობ, ასეთი ეჭვი მართებული არ იქნება, რადგან ადამიანებისათვის კეთილშობილებაც და ეგოიზმიც, ბოროტებაც და სიკეთეც, მეგობრობაც და მტრობაც, სიყვარულიცა და სიძულვილიც საესებით დამახასიათებელი რამ არის, და მწერლის თვალთახედვის, მისი ინდივიდუალური მსოფლ-შეგრძნების, მხატვრული ჩანაფიქრის თავისებურების გამო ერთ-ზეც შეუძლია გაამახვილოს ყურადღება და მეორეზეც. მთავარი ისაა, რომ ნოდარ დუმბაძეცა და არჩილ სულაკაურიც საბჭოთა ადამიანის ჰუმანიზმის პოზიციებიდან გვიხსნიან იმ გარემოსა და ადამიანებს, რომლებიც მათ რომანებშია წარმოსახული. და რაკილა გარემო-

ცა და ტიპაჲც განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამიტომ, შესაბამისად ამისა, ავტორებს სხვადასხვა განსხვავებული გზით, დამკვიდრებისა და უარყოფის საშუალებით, მივყავართ ერთ მნიშვნელოვან და მართალ დასკვნამდე.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ არჩილ სულაკაურის ეს რომანი, ზემოთქმულის მიუხედავად, სულაც არა სტოვეებს მძიმე და გამოუვალ შთაბეჭდილებას. რომანის ფინალში გმირები თავს აღწევენ ამ გარემოს და თავის მომავალ ცხოვრებას იმედით შეჰყურებენ, მასში სიმბოლურადაა გამოხატული ამ მეშინური გარემოს ვიწრო კედლების დამსხვრევა, და დათოცა და მირიანიც ნამდვილ ადამიანებთან კონტაქტებს ესწრაფვიან, ყოველივე ამის გამო რომანი უთუოდ იმედიანი და ნათელი პერსპექტივის მქონეა.

თუ არჩილ სულაკაურმა მთელი რომანის მანძილზე თავისი გმირების ამდენი სულიერი ტკივილები, წუხილი, შინაგანი განცდები გადაგვატანინა, ამან კი არ უნდა შეგვაწუხოს ან დაგვაეჭვოს, პირიქით, კიდევ უფრო ნათლად უნდა გვაგრძობინოს ავტორის სათქმელი: ცხოვრებაში მთავარი ის კი არ არის, რომ ოთხი ტონა ცემენტი არ მოიპარო და არც სხვას მოაპარო, ან კიდევ მხოლოდ ამ თვალსაზრისით იცხოვრო პატიოსნად, არამედ მთავარია შინაგანად იყო ძლიერი, სუფთა, კეთილი, მთელი გულით გიყვარდეს ადამიანი, მეგობარი, ახლობელი. გახსოვდეს, რომ ადამიანი ადამიანითაა ძლიერი. თუ ამას ყველანი ვიწამებთ, მაშინ ადამიანები აღარ იქნებიან მარტონი.

დათოცა და მისი მეგობრებიც, რომლებიც თანამედროვე და კარგი ახალგაზრდები არიან, სწორედ ასეთი სულიერი განწმენდის პროცესს გადიან და იმედია მომავალში მათ აღარ აუფორიაქებთ სულს სინდისის ძახილი: „ესთერ! ესთერ მითხარი, რა იქნა ჩემი მარგალიტი?“

ის, რაზედაც ჩვენ ვგვქონდა საუბარი, არჩილ სულაკაურის რომანის პირველი

წიგნია და, როგორც ჩანს, „ოქროს თევზს“ თავისი გაგრძელება ექნება. ამ გარემოებამ თავისი დაღი დასველია და კვეყნებულ ნაწილს, ბევრი ისეთი რამ რჩება აქ გაუგებარი, რაც არ შეიძლება და ავტორის ასეთი სახით დარჩენოდა დამთავრებულ ნაწარმოებში. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის მირიანსა და ბუბაზე, რომელთა ხასიათი ბევრწილად ბუნდოვანი, ხოლო საქციელი აუხსნელი რჩება ჩვენთვის, ალბათ, ამითვე პასუხს მომდევნო წიგნში ვიპოვნით.

თამაზ ჭილაძის რომანის „აბა, მიიწერა ზამთარი...“ წაყითების შემდეგ, მით უმეტეს, რომ იგი დამთავრებული ნაწარმოებია და არა პირველი ნაწილი თუ წაგნი, უფრო ბევრი რამ რჩება მკითხველისათვის გაუგებარი და აუხსნელი. მართალია, ეს რომანიც ამ მარტობის გრძნობის მძაფრ განცდაზეა დაწერილი, და ამაში გვარწმუნებენ ჩვენ ზაზა, ადამი, თინა, მამია თუ სხვა გმირები ნაწარმოებისა, მაგრამ ამასთან, აქ იმდენი უცნაური გმირი თუ პერსონაჟია, რომელთა საქციელის მოტივირება, ან კიდევ მათი რაიმე შინაგანი სწრაფვის ან სურვილის მიხვედრა უთუოდ ძნელია; ხშირად ისინი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვენ, თითქოს სულაც უაზროდ და უფუნქციოდ დარჩენილანო ამ რომანში.

თამაზ ჭილაძე თავის მოთხრობებში ცდილობდა საკუთარი თხრობისა თუ ხატვის, ხასიათების ვახსნისა თუ გარემოს წარმოსახვის ორიგინალური მანერა გამოემუშაებინა და ზოგიერთ მოთხრობაში, მაგალითად, „შუადღეში“, მოახერხა ყველაზე უფრო მეტად მიეგნო და მიახლოვებოდა თავის ამ მიზანს. საერთოდ, როგორც ჩანს, თამაზ ჭილაძეს არა სურს ავტორის პრინციპების გამომკლავლება და იგი თითქოს ობიექტივისტურად წარმოგვისახავს რაღაც ჩანახატებს, რომელთაც თანმიმდევრობა ან რაიმე შინაგანი კავშირი არც უნდა ჰქონდეთ. თამაზ ჭილაძე სწორედ ამ უბრალო და, შეიძლება, უცნაურ, ამასთან, თითქოს რაიმე მნიშვნელოვნ-

ბას მოკლებულ ეპიზოდში თუ მთლიანად მოთხრობაში ცდილობდა ასევე უბრალოდ, დაძაბულობისა და ვნებათაღელვის გარეშე ეთქვა თავისი თუნდაც ყველაზე მძაფრი და საინტერესო სათქმელი. შეიძლება ის განზრახ ხაზგასმული უმნიშვნელოვნება მოთხრობებში კიდევ ასატანია (თუმცა „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე“ გვარწმუნებს, რომ არც მოთხრობებსა რგებს ეს მაინცა და მაინც), რომანში, როგორც გამოჩნდა, გაუმართლებელი ყოფილა. მოთხრობასა და ნოველაში თუ კიდევ შეიძლება მხოლოდ მინიშნებით დაქაყოფილება, რომანში სათქმელის მიფუჩეჩება ან მიჩქმალვა, ან კიდევ ხასიათის გაუხსნელობა ყოველად მიუტყეებელია. სამწუხაროდ, თამაზ ჭილაძეს ეს რომანი „აჰა, მიიწურა ზამთარი...“ ისეთივე ხერხით დაუწერია, როგორც ადრე მოთხრობებს წერდა და მისი პროზის ნაკლოვანება აქ უფრო თვალსაჩინო ვახდა. ბოლოს და ბოლოს, რა უნდათ ზაზას, ნინიკოს, ადამს თუ სხვებს, რომლებსაც ამ რომანში თითქოს ყველაზე უფრო აწუხებთ ის გარემო, რომელშიც ცხოვრობენ, ბევრწილად მაინც გაუგებარი რჩება და ცალკეული მინიშნებები ამ გმირების ხასიათის, მიზნების, სწრაფვის, ცხოვრებასთან დამოკიდებულების გასარკვევად სულაც არ არის საკმარისი.

უფრო ხორცშესხმული და ნათელი გამოუვიდა ავტორს ის გარემო, რომელიც ამ გმირებს არ აკმაყოფილებთ. თორნიკე, ახალგაზრდა, მაგრამ საესეებით ჩამოყალიბებული კარიერისტი; გიორგი უგრეხელიძე, ხანშიშესული და მხნე თეატრალი, რომელსაც ყველა საპატიო წოდება მიუღია, თუმცა მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ ხელს უშლის თეატრის კოლექტივს; ზაირა, საკმაოდ მარტივი, მაგრამ ჭიუტი ქალიშვილი, რომელსაც თავისი მეთოდები აქვს გათხოვებისა, და კიდევ სხვები ამ რომანში უთუოდ კოლორიტულად დახატული მხატვრული სახეები, მაგრამ მთავარი აქ მაინც სხვაა. ჩვენთვის

პირველ რიგში ნათელი და სორცსაესე უნდა იყენენ ის გმირები, რომლებიც ამ გარემოზე მალღებნიან და, სამწუხაროდ, სწორედ ესენი გამოუვიდა მწერალს სტატიური, ცივი, ან უბრალოდ, დაუმითავრებელი.

თითქოს მწერალმაც იგრძნო, რომ უფრო ნათელი უნდა ყოფილიყო მისი რომანის მთავარი გმირის ზაზას პოზიცია, ხასიათი, მიზნები და ამიტომ შემოგვთავაზა სპეციალური თავი „ზაირას მამის ავარაკი. ერთი, ორი, სამი, ოთხი... ქა“. სადაც ზაზა ზაირას გამოექცევა და ბედნიერად გრძნობს თავს იმის გამო, რომ მანქანიანი და ავარაკიანი ქალიშვილის მახეში არ გაება. მაგრამ ეს ხომ მეტისმეტად პირდაპირი და მარტივი საშუალებაა გმირის კეთილგონიერებისა და კეთილშობილების გამოსახატავად?

ჩემი აზრით, თამაზ ჭილაძე ცოტა ზედმეტად გაიტაცა ორიენტირების ცდუნებამ და ამან თავისი უარყოფითი დალი დაასვა რომანს. ეს უცნაური დასათაურება თავებისა, რომლის ერთი ნიმუში, ყველაზე უფრო ნაკლებ პრეტენზიული, ზემოთ გავიხსენეთ, გამოხატულებაა საერთოდ იმ ბევრი რამ უცნაურისა, რაც რომანში თითქოს მხოლოდ იმიტომ არის, რომ მკითხველი გააოცოს და საგონებელში ჩააგდოს. სამწუხაროდ, სხვა გამართლება ან დანიშნულება, ჩემი აზრით, არ მოეძებნება, თუნდაც მაგალითად, იმ ეპიზოდებს, რომლებშიც ვეცნობით, ან შევცქერით ჩვენ ვინმე ვახოს, ჩვეულებრივ გიჟს, რომელსაც თითქოს რაღაც საგანგებო ფუნქცია აქისრია. მაგრამ რა, — ეს დმერთმა იცის, თვით ადამსაც, რომანის მიზანდასახულების მატარებელ ან ერთ მთავარ გმირთაგანსაც, თუ ბევრ სხვას. რატომღაც ეს გმირები რაღაც უცნაურ, ხელოვნურ პოზაში ჩამდგარ მსახიობებს მოგვაგონებენ, რომლებმაც არ იციან, თუ რა უნდა ითამაშონ და ასე გონიათ, შთაბეჭდილების მოსახდენად ეს პოზა უფრო ეფექტურია, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანური გამომეტყვე-

ლების მიღება და საკუთარი განცდების გამოხატვა.

თამაზ ჭილაძის რომანის „აჰა, მიიწურა ზამთარი...“ მიზანდასახულება თითქოს ნათელია ჩვენთვის. ავტორის გმირები თავს მარტოდა გრძნობენ; მათ სადღაც უნდათ წასვლა, სულ ერთია სად, ოღონდ კი ამ სულისშემზუთველ გარემოს გაეცალნონ და მზად არიან პირველსავე შემხვედრ მატარებელს გაჰყვნენ. ისინი სულიერ მარტოობას გრძნობენ. ეს გასაგებია, მაგრამ რატომ გრძნობენ ამ მარტოობას, რას მიუღობიან და საით ისწრაფვიან — იმ ამაზე რომ ეპასუხნა ავტორს და გაუთავებელი, ნაკლებსმთქმელი დიალოგების ნაცვლად, ამით დაეტვირთა რომანი, ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა.

შეიძლება ჩემი ეს საყვედურები ოდნავ მკაცრი იყოს, მაგრამ ეს იმით აიხს-

ნება, რომ რომანი საინტერესოდ არის ჩაფიქრებული. როგორც ჩანს, ავტორს ბევრი რამ საგულისხმო აქვს სათქმელი, ამიტომ ეს ხარვეზები კიდევ უფრო აღიზიანებს მკითხველს, რომლის ცნობის-მოყვარეობა ბევრწილად დაუქმყოფილებელი რჩება.

არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზი“, ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამე“ და თამაზ ჭილაძის „აჰა, მიიწურა ზამთარი...“, რომელთა ავ-კარგზეც გვქონდა საუბარი, იმის ნათელ რწმენას გვიწერგავს, რომ მწერლებსაც და მათ გმირებსაც ცხოვრების დიდი გზა აქვთ გასავლელი, და რაკილა ასე ძლიერია მათში სინდისის ხმა და მოვალეობის გრძნობა, ისინი ამ გზას ნამუსიანად გაივლიან და თავის კაცურ კვალსაც დასტოვებენ.



ზილიპე ბერიძე

ღირიკუდი გმირის პრობლემა

ღირიკა პოეტის განცდებისა და გზების განსახიერებაა. ამ მხრივ მას მხოლოდ და მხოლოდ შესიკა თუ შეედრება. დრამატულ და ეპიკურ სახეში შემოქმედი სტბიექტი ვაყოფილი, დანაწილებული და გასჭვინებულია.

თუ „კაკო ყაჩაღში“ ილია ჰავეკავამ თავისი მორალური სენტენციები, იდეურა პოზიცია, პირადი აღამიანურა სწრაფვა კაკოს, ზაქროს და ზაქროს მამის მოქმედებში შეახამა, „ეღუგიაში“ უშუალოდ თვითონ გამოთვევება, თავისი გული, შინაგანი სამყარო ვადაგვიშალა.

რა თქმა უნდა, ეპიკური ობიექტი სტბიექტის მიერ გარდაქმნილი და სახეშეცვლილია, მაგრამ აქ ობიექტი მინც იმორჩილებს სტბიექტს, თავის თავში აღჩინარებს და თვითონ იკავებს წინა პლანს. მაშასადამე, ეპიკაში უშუალოდ ობიექტური საგანი, მისი რაობა სახიერდება. ეპიკური აქცენტი მიმართულია ვარგვენელთაყენ, ღირიკული კი შინაგანისაკენ.

ეპიკოსი უპირატესად ფიქრობს სხვაზე, ობიექტურის წარმოსახვა-განსახიერებაზე. იგი პირადულს უსამებს სტბისას, თვითონ განსახიერებელია, სხვა კი განსახიერებელი. სწორედ ეს პრინციპი განაპირობებს ეპიკაში სტბიექტის ნეგატივობას და ობიექტის პოზიტივობას. ჰეგელს ეს ვარგეობა ჰქონდა მხედველობაში, როდესაც ამბობდა: „იმასაც კი, რაც გმირის შინაგან სამყაროში ხდება, პოეტი ხსნის ობიექტურად“.¹

ემოცია, როგორც სტბიექტურა აქტი, ეპიკური სახისათვის ამოსავალი ფაქტორი არ არის, ღირიკისათვის კი ძირითადი პრინციპია. ეპიკაში საგნის ავტორისეული ემოციური ექვევალენტი, რა ღირიკაში დომინანტის როლს ასრულებს, არ მქვლანდება. ეპიკური სახე ობიექტური მხატვრული ფორმია, ღირიკული კი-სტბიექტური.

ეპიკურ სახეში სტბიექტური ეფრო იგულისხმება, ვიდრე ელინდება, მაგრამ ეს „იგულისხმება“ თავისთავად შეიცავს სტბიექტის ჩარევისა და გამოვლენის პრინციპს. მისი (ეპიკური სტბიექტის) პასიური პროექციის აღნიშვნა ღირიკასა და მუსიკისთან შედარებით საყსებით

კანონზომიერი და მიზანშეწონილია, მაგრამ თავისთავად ეს აქტი ეპიკური სტბიექტის უშოქმედობას და სრულიად ვაუმედგენებლობას არ ნიშნავს.

ჩვენი აზრით, ბელისკი ეპოსის ობიექტურობას აზვიადებს, როდესაც წერს: „აქ არ ჩანს პოეტი; სამყარო, პლასტიკურად ვამოყვებით, თვითონვე ვითარდება, და პოეტი თითქოსდა უნარლო მოხრობელია იმისა რაც თავისთავად ხდება“.¹

ეპიკური ობიექტის ასე ვათქვამა, იზოლაცია, თავისთავად ზასათში წარმოდგენა რამდენადმე ამიერებს ეპიკური სტბიექტის მხატვრულ როლს.

ეპიკოსი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სტბისი მსახურია და მხატვრის მსგავსად მოყავებულია ობიექტზე. ღირიკოსი კი ემოქნება, შორდება ვარგვან სამყაროს და ობიექტურ მომენტს ფანტაზიაში, ასოციაციებში აქცევს პოეტის ესთეტიკური იდეალის შესაბამის მხატვრულ ფენომენად. მაშასადამე, აქ ობიექტური ფაქტორი სტბიექტურის ვამედგენების მიზეზად იქცევა. ღირიკული ემოციური ტალღა მთელი არსებით წამოსწყვეს წინ სტბიექტს, და მკითხველსა და მას შორის ინტიმური კავშირი მყარდება.

ღრამას ეპიკასთან შედარებით, უშუალოდ მოქმედების პროცესის ვამოხატვის ვამო, ეპიკაზე უფრო მეტად ვადაქვეს აქცენტი შინაგანზე, ინდივიდუალურზე და ამდენად, ვარკვეული თვალსაზრისით, ღირიკასაც უფრო უახლოვდება, მაგრამ დრამატული შინაგანი, ინდივიდუალური დავაქმირებელია სხვასთან და არა უშუალოდ შემოქმედ (დრამატულ) სტბიექტთან.

სტბიექტური პროექციის თვალსაზრისით ღირიკული სახე მუსიკალურ სახეს უახლოვდება, ღირიკული და მუსიკალური, ემოციურ-სტბიექტური ვამა, თითქმის თანაბარი ძაბვის მხატვრულ ფენომენად აღიარა ჩაიკოვსკიმ.

ასეთი მსგავსების მიუხედავად მათ შორის პრინციპული ვანსხევაებაა. მუსიკალური სტბიექტი აბსტრაქტული, განყენებული, კონკრეტულ შინაარსს ვამოქნული სახეა, ღირიკული კი კონკრეტული, სავნობრივი. ბგერა — მუსიკის

¹ Гегель, Сочинения, т. XIV, соцэквиз. М., 1955, стр. 235.

¹ ბელისკი, რჩეული თხზულებანი, ტ. 1. სახელგამი. 1952, გვ. 357



პირველადი გამოშასხველობითი საშუალება, ასტრაქტული ხასიათისაა, სიტყვა კი კონკრეტული შინაარსის ფორმაა. ესე იგი მუსიკალური სუბიექტი ჩვენში ვაღმოდის, შინაარსს კონკრეტულ მხატვრულ იდეას მოწყვეტილი, ლირიკული სუბიექტი კი შინაარსთან, იდეასთან შერწყმული გვევლინება. მუსიკალური და ლირიკული ემოცია მწვავე რეაქციით, ენერგიული ზემოქმედებით გამოირჩევა. მუსიკალური ვანწყობილება და იდეა ერთმანეთთანავე გაუთიშველი ვანწყობფელი მთლიანობაა.

ლირიკული ვანწყობილებისა და შინაარსის გაყოფა და გაშთალება კი შესაძლებელია. მუსიკალური სახე უპირატესად პასუხს იძლევა კითხვაზე — როგორ? ლირიკული სახე კი თანაბარი სიკვადით უპასუხებს მეორე განმსახლერელ კითხვასაც — რა? მუსიკალური სუბიექტი ცდილობს, რაც შეიძლება, აგვადეს და კონკრეტულად არაფერი გვიახრას; ლირიკული სუბიექტი კი საგნობრივი კავშირისაკენ ისწრაფის.

ეპიკაში სუბიექტი ბოლომდე ვერ უძლებს ობიექტის დაწოლას, დროდადრო ლირიკული ხივსაგებით იჭრება სიუჟეტში და თავის ინტიმურ „მე“-ს გადაგვიშლის.

ბელისკი წერდა: „ლირიზმი, არსებობს რა თავისთავად, როგორც პოეზიის ცალკე გვარი, ყველა სხვა პოეზიაში შედის, როგორც სტიქია, სიტყვებს შთაბერავს მათ, როგორც პროზა თვისის ცეცხლს შთაბერავს ხოლმე სიტყვებს ზევის ყველა ქმნილებას“.¹

მაგალითად: ილია ქაქუაძის „ეკო ყაჩაღში“ და ვაჟა-ფშაველას „მახტრიონში“ ობიექტური ამბავი მღელვარე ლირიკული გადართვების ხაზზე მოძრაობს.

სამშობლოს ცაა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი ვაღუფარა, —
და მთვარის შუქზე მთებისა წრდილი
ილანის ველზე წამოიხარა...

მთიარე შეფერად მძლავრად ვიღოდა,

შორნი მნათობნი მოკაშკაშენი...
(„ეკო ყაჩაღი“)

დღემ დაიბერა პირ-ბაღე,
მთებმა დახუკეს თვალები...

ვაივსო რძითა მთათ ძეძე,
დაეშრომელად რძიანი.
(„მახტრიონი“)

რა ფუნქციას ასრულებენ ეპიკაში შეპრილი ლირიკული ფრაგმენტები?

სიტყვა აზრობრივი-ემოციური სისაქის გამო, უნივერსალური განსახიერებელი საშუალებაა. უოველი სიტყვა ობიექტურად, ზელოვანის ზელ-

შეუხებლადაც კი, გარკვეულ აზრს გვიანგრებს, და ეპიკაში შეპრილი არა თუ მთლიანად, არც რიკული ფრაგმენტი, თვითოველ სიტყვითაც თავისებურ მხატვრულ აზრს გამოხატავს, მაგრამ მას (ლირიკულ ფრაგმენტს) დასრულებული ემოციური, იდეურ-მხატვრული მნიშვნელობა არა აქვს, ესე იგი, ეპიკაში გავლენებულ ლირიკულ გადართვებს პოეტის ესთეტიკური იდეალის შესაბამის სრულქმნილ მხატვრულ ფაქტორებად ვერ ვაღიარებთ.

„ეკო ყაჩაღისა“ და „მახტრიონის“ ლირიკული ფრაგმენტები გარკვეული იდეურ-ემოციური, ასოციაციური თავისთავადობით იქცევენ ჩვენს ყურადღებას, მაგრამ თუ მათ „ელეგისა“ ან „არწივს“ შევადარებთ, დაინახავთ, რომ არცერთში არაა განსახიერებელი იტორიის ესთეტიკური იდეალის შესაბამის ემოციური მხატვრული იდეა.

ისინი (ეპიკაში შეპრილი ლირიკული ფრაგმენტები) აცოცლებენ ობიექტურ ამბავს, ხელს უწყობენ მის ექსპრესიულად განვითარებას და ამით ამთავრებენ თავიანთ მიზანს.

ხშირად ეპიკურ ნაწარმოებში გვხვდება ზესტად ისეთივე მოტივი, რაც ამა თუ იმ ლირიკულ ლექსს დაედო საფუძვლად.

მაგალითად:
ხორცი მასესხა მიწამ,
სული მასესხა ზეცამ;
თხემით ტერფამდე სესხმა —
რა უნდა გავცე სესხად.
კარზე მადგია მიწა,
კარზე მადგია ზეცა;
მოჰქლა მუღამღე ხეყნამ:
— შადროვეთ, თქვენსა შუესა!
(მუხრან მაქაუარიანი)

სულისა და ხორცის დამირისპირების მოტივი ნათლად ჩანს პანს კასტორპისა და სეტემზრინის საუბარში (თ. მანი „გრძნეული მთა“), ამ ნაწყვეტს არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რომანის ცენტრალურ იდეას კი ნაწილობრივ ეხმარება.

მუხრან მაქაუარიანის ლექსში გამოხატულია დასრულებული, სრულყოფილი მღელვარე ემოციური აზრი, აეტორიის პოზიციაც სრულქმნილი და ჩამოყალიბებულია.

ლენინმა უდიდესი შეფასება მისცა ემოციას, როგორც სუბიექტურ აქტს. „ადამიანურ ემოციასა გარეშე არ ყოფილა, არ არის და არც შეიძლება იყოს ჭეშმარიტების ადამიანური ძიება“.¹

აქ ნაველისხმევია ის აზრიანი ემოცია, რომელიც ჭეშმარიტებისაკენ მიიღობს.

ლენინმა ამ სიტყვეში განუმეორებლად აამაღლა საერთოდ სუბიექტის და მით უმეტეს მხატვრული სუბიექტის როლი და მნიშვნელობა.

¹ ბ. ბელისკი, რჩეული თხზულებანი, ტ. 1, სახელგამი. 1952 წ. გვ. 364.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი. ტ. 20. სახელგამი. 1951. გვ. 310.

ლირიული განცდა, ემოციური პროექცია მღელვარე აზრის სახემოსილება.

მოდ ელერი სწორედ ამიტომ ამბობდა: „მღელვარება“ და „მოვალეობა“.

„მოვალეობა“ პირდაპირ მეთითებს ლირიკის საბოლოო მიზანზე (იდეა, მხატვრული აზრი, მხატვრული კეშპირიტება). „მღელვარება“ კი გრძნობის, ემოციის დაძაბულ მოქმედებას ველისძვობს.

ბულო ხანგასით აღნიშნავდა მხატვრული აზრის შერწყმის აუცილებლობას ემოციასთან: ხშირად, აღმაფრენის შეტევას გამო, არაფასავალი აზრის ნაწარმოებებს თხზავნო. როგორც ერთი დიდი მთაზროვნე იტყვოდა: მიზანი, რისთვისაც პოეტს მოძრაობაში მოჰყავს ჩვენი ფანტაზია, არის ის, რომ გვაჩვენოს იდეა, ესე იგი, ცალკეული მავალითა დახატოს რა არის ცხოვრება, რა არის სამყარო.

ლირიული საზე იმდენადა თვით პოეტის, პირადი „მე“-ს გამოხატვა, მისი სულიერი მონოლოგი, რამდენადაც ზოგადადამიანური გულის შესაიდუმლე.

ლირიული პირადელი და არაპირადელი განყოფილი ცნება და როდესაც კეშპირიტ ლირიული ფენომენს ეხებოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ საკაცობრიოზე, ზოგადადამიანურზე ელაპარაკებოთ. ლირიული განზოგადება განზრახული აქტი არ არის. იგი ერთდროულადა დამოკიდებული და დამოუკიდებელი მოვლენა, დამოკიდებული იმდენად, რამდენადაც უშუალოდ სუბიექტის მოქმედების შედეგია და თვითმოყოფილი, დამოუკიდებელი იმდენად, რამდენადაც კეშპირიტ ლირიული განცდა თავისთავად, შეიძლება ასევე ეთქვას — სუბიექტის „შეგნების“ გარეშე, ვალდის ზოგადობის სფეროში.

ეს გუთვინის ვალაკტიონ ტაბიისეული ლირიული განცდა, ეთქვას სიმუდამოდ დაიარგული საყვარელი სახის ტრაგიკული ბედისა („ქარი ჰქრბას...“)? იგი ხომ საერთო ადამიანურია გულის ემოციური თანამგზავრი და ეუთვინლება. ამ უღერესად ნატიფ, დაბეწილ და დაძაბულ განცდაში ერთდროულად შეფარული გოლაკტიონ ტაბიისა და ზოგადი ადამიანური გულის სიმები. მაშასადამე, ვალაკტიონ ტაბიისე, როგორც ლირიული (მხატვრული) სუბიექტი, ამ შემთხვევაში ზოგადადამიანურის, ზოგადსაკაცობრივის ინდივიდუალურია სახეა.

ევა-ფშაველას „არწივი“ და ილია ჭავჭავაძის „უღვრია“ ერთი და იგივე ცხოვრებისეულ ფაქტზე (სამშობლოს ტრაგიკული ბედი) შეიქმნა, ლექსებში განსაზღვრებული მხატვრული განცდა, ემოციური ფენომენი სხვადასხვა ხასიათის, უშუალოდ შემოქმედ სუბიექტთა (ილია ჭავჭავაძისა და ევა-ფშაველას) სულიერი სამყაროს გამოჩახილი და გამოვლენა. პირადელობის, სუბიექტურობის მიუხედავად ორივე ლექსში გამოხატული განცდა საგნის ზუსტი ემოციური ექვი-

ვალენტია და ზოგად ადამიანურ გულის მტკიცდება.

რამ განაპირობა განცდის სუბიექტურობა? პირადელობა? სუბიექტურობა? ინდივიდუალურობა? რომ არა, განცდა, რამდენადმე მაინც, ერთმანეთს დაემსგავსებოდა. ტრინიორ ელფერს მიიღებდა.

ჰეველს ლექციების ეურსში აქვს საგანგებო ნაწილი — „მოვლის შემოქმედებითი სუბიექტურობა“, რომელშიც ეურადლებას ამავილენს საზოგადო დონემდე აშალეულ პოეტურ განცდაზე.

„მას (ლირიკოსს — ფ. ბ.) — წერს იგი, — შეუძლია თავის შინაგან სამყაროში ექებოს როგორც მიზეზი, ასევე შინაარსი, ამიტომ უფლება აქვს, შეწერდეს საერთო სედისა და გულის შინაგან სიტუაციებზე, ეთარებებსა და მდგომარეობებს.“¹

ლირიული ასოციაციის (რომელიც ემოციის ფონზე იქმნება) ფუნქცია და ესთეტიკური ლირსება მხატვრული სიზარალთაა გაპირობებული. ყოველგვარია ასოციაცია არა განსაზღვრილი არა მართო ლირიკაში (საერთოდ ხელოვნებაში), არამედ ჩვეულებრივ ადამიანურ ერთეობათაშიც კი.

ლირიული განცდა, ლირიული ემოცია ერთეულის და ზოგადის ეურსაბეობაა, ისე როგორც დიდი მასშტაბის ეპიკური ქმნილებებიდან გადმოდიან პერსონაჟები და ცხოვრებაში მკვიდრებიან, ასევე ლირიული ლექსიდან გადმოდის მისი შემოქმედი სუბიექტის აზრისანი განცდა და ორგანულად ეუფლება ზოგად ადამიანურ გულს. ესე იგი, ლირიული განცდის ბედი წყდება არა უშუალოდ სუბიექტის შინაგან სამყაროში, არამედ მის გარეთ.

ლირიკა გულისა და გონების პარმონიულ მოქმედებას ემყარება, მაგრამ უპირატესად მიიწევს გულის, „გონიერი გულის“ (რუსთაველი) სამყაროსაკენ მიღღერებს.

ფანტაზიის როლი და მნიშვნელობა იგრძნობა არა მართო ლირიული (მხატვრული) შემოქმედებაში, არამედ ყოველ ადამიანურ ნაბიჭზე. ლენინმა ფანტაზიის, წარმოსახვის უნარის მნიშვნელობა ასე დაახასიათა:

„ის (ლარინი-ფ. ბ.) შეტად ნიჭიერი კაცია და დიდი ფანტაზიის პატრონი. ეს ნიჭი შეტისმეტად საგულისხმოა. ტუეილა ფიქრობენ, რომ ფანტაზია მხოლოდ პოეტისათვისაა საჭირო. ეს სულეღერი ცურაწმენა! მთომეტოპოე კი საჭიროა იგი. დიფერენციალურ და ინტეგრალურ გამოთვლათა აღმოჩენაც კი უფანტაზიოდ შეუძლებელი იქნებოდა.“²

¹ Гегель, Сочинения, т. XIV, Соцэкгиз, М., 1958 г, стр. 297.

² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 33, სახელგამი, 1953, გვ. 373.

თუ მეცნიერების ამოცანაა მთელი ობიექტური სამყაროს თეორიულად გარდაქმნა-ათვისება, ხელოვნების მიზანია მისი ესთეტიკურად დაძლევა. ორივე შემთხვევაში სუბიექტის ტრანსია გადაწყვეტი. მაგალითად: ნიუტონმაღ ბევრჯერ ჩამოვარდნილა ვაშლი ხიდან, მაგრამ მხოლოდ მისი გენია და ფანტაზია მიწვდა ამ უბრალო ფაქტიდან დედამიწის მიზიდულობის კანონს.

სინამდვილის უბრალო, ჩვეულებრივი ფაქტი — სანთლის წეის სურათი, ბევრს უნახავს, მაგრამ მხოლოდ ილია ქავეკავაძის მხატვრულმა გენიამ ამაღლა იგი მოკვდავებისა და უკვდავების დაბირისპირების, სიცოცხლის წარმავლობის მხატვრულ პრობლემაში.

სუბიექტია როლი ორსავე პროცესში ცხადი და ნათელი. მაგრამ ჩვენ ავირეოთ გვიანტერესებს მისი (სუბიექტის) გამოვლენის ფორმა უშუალოდ შედეგში-სახეში (ყერძოდ, ლირიკულ სახეში) და ცნებაში.

განსვენებული სერგი დანელია წერს: „ყოველი ასახვა ამახველს გულსსმობს და მის ნიშნებს ატარებს, და ამიტომ ასახვაში მოჩანს არა მხოლოდ ასახული ობიექტი, ამახველი სუბიექტიც. ეს ითქმის ასახვის არა მხოლოდ იმ მოვლენაზე, რომელსაც მხატვრული სახე ეწოდება, არამედ იმ მოვლენაზედაც, რომელსაც მეცნიერული ცნება ჰქვია; თუ ონეგინის მხატვრულ სახეში ჩვენ შევიხილა ამოცენით ამ სახის შემოქმედი პუშკინი, არნაყლები უფლებით უნდა ითქვას, რომ მსოფლიო მიზიდულობის ფიზიკურ ცნებაშიც ამოცნობა მისი შემქმნელი ნიუტონის პიროვნებაა.“¹

ყერძოთი, აქ აქცენტი ცნებასა და სახის გაიკვებაზე (მათში სუბიექტის გამოვლენის თვალსაზრისით) უფროა გადატანილი, ვიდრე მათ განსხვავებაზე; მეორეც: ეპიკური სახე შემოქმედი სუბიექტის გამჟღავნების მხრივ, საერთოდ, ესთეტიკური სახის ექვივალენტის რაღაც ვერ შეისრულებს.

ხელოვნების დარგები და მათი ენარები, უზიარველეს ყოვლისა, სწორედ მხატვრული სუბიექტის გახსნადების ფორმის ხასიათის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და, ჩვენი აზრით, საშუალო მსახერცელი დებულება მაინც უნდა მონახულიყო, რომ ერთმანეთად მისადაგებოდა ვეღა დარგს. „ევეგინი ონეგინი“ ეპიკური ენარია და, თუ კი რომელიმე ენარზე ითქმის შემოქმედი სუბიექტის გახსნისთვის, ობიექტში გაეჩინარების შესახებ, უპირველესად ებიჯა იძლევა ამის საფუძველს.

შევეადართო ერთმანეთს ცნებაში ლირიკულ სახეში სუბიექტის გამოვლენის ფორმა. ავილოთ არქიმედის კანონი, რომელსაც თვალსაზრისით ემოციურია თავგადასავალი აქვს. როდესაც არქიმედმა წამოიხიბა — „ევერიკა!“ (შემდგომ ეს სიტყვა აღმოჩენის, საიდუმლოების გახსნის სიმბოლოდ, სიხარულის, აღტაცების სინონიმად იქცა). ეს აქტი თავისთავად ემოციური მდგომარეობაა. აქედან დიძრა არქიმედის გრძობადაც და გონებაც. გრძობაა თანდათან გადავიდა გონებაში და შეიქმნა ლოგიკური დასკვნა-ცნება: „სითხეში ჩაბირულ სხეულზე მოქმედი ვერტიკალურად ზევით მიმართული ამომგდები ძალა, რომელიც ამ სხეულის მიერ გაძევებული სითხის წონის უდრის“.

მეცნიერულ პროცესში ფანტაზიას გარკვეული (სამომართიანად ე... აღმოჩენაც კი) მნიშვნელობა ჰქონია და არა გადაწყვეტი. წამყვანი ფაქტორი მაინც გონების რეაქციაა.

არქიმედმა გონებით გაიანგარიშა, დაახუსტა ყოველი დეტალი და შექმნა ცნება სითხეში ჩაბირულ სხეულზე მოქმედი ძალის შესახებ.

მართალია, ემოციამ, ფანტაზიამ პროცესში გარკვეული როლი ითამაშა, მაგრამ შედეგში არ გამჟღავნებულა. ესე იგი, შედეგში უფსკი დაეარტა.

ლირიკულ შემოქმედებათ პროცესში, ლირიკული სახის შექმნის დროს, ემოციამ, ფანტაზიას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს და შედეგშიც გადაწყვეტი ფაქტორად ცხადდება. მაგალითისათვის ავილოთ ევა-ფშეველს „არწივი“.

ლექსის ასოციაციური ქარგა ემოციურად განგაწყობს, ფანტაზიასკენ გვიბიძგებს. „არწივი“ ერთი მხრივ, დაქტურებული საშობლოს დამეორე მხრივ, დროებით, შემთხვევით სამარტებელი უქლოცრეს საგნის ემოციური (ინჰარლო) სუბიექტის (ევა-ფშეველს) მხატვრული ფანტაზიის შედეგია.

ობიექტური ფაქტი ლექსში არც ჩანს. მან ადგილიდან დაძრა ევა-ფშეველს მხატვრული გრძობა. პოეტმა ფანტაზიაში, გრძობის მოძრაობა-განვითარებაში, ასოციაციებში გარდაქმნა იგი და ესთეტიკური იდეალს შესაბამის ლირიკულ ფანომენად აქცია. ესე იგი, პოეტი პროცესშიც ემოციით, ფანტაზიით მოქმედებდა და შედეგშიც ემოციური სახით წარმოგვიდგა, არქიმედი კი ცნებისათვის დამახასიათებელი გონებრივი, ობიექტური თვისებებით გამოჩვენდნო.

ლირიკული სახე მისი შემოქმედი სუბიექტის ფსიქოლოგიურა პორტრეტია და ემოციური განზოგადების მხატვრული ფორმა, რომელიც ადამიანურ გულთან აზრობრივ-ემოციურა შესატყვევებით ავირგეინებს თავის მიზანს.

¹ სერგი დანელია, ლიტერატურული ნარკვევები, საბჭოთა მწერალა, თბილისი, 1960 წ., გვ. 197.

აღ. ლომიძე

ახალი თეორია სონანტთა და აბლაუტის შესახებ ქართველურ ენებში

ჩვენს წინ დევს თამაზ გამყრელიძისა და გვი მჰაკაბიანიის კაბიტალური წიგნი — „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოსცა „მეცნიერებამ“ აკადემიკოს გიორგი წერეთლის რედაქციითა და წინასიტყვიანობით. ნაშრომს დიდი ინტერესით ეცნობა ლინგვისტური სამყარო. ფართოდაც ეხმაურებიან როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც. და ყოველივე ეს საყვებით ბუნებრივია. ამ წიგნში შეყამებულია წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები, პოსტულირებულია სრულიად ახალი შეხედულებანი სონანტთა სისტემისა და აბლაუტის შესახებ ქართველურ ენებში, გამოვლენილია დამაფიქრებელი ფაქტები და, სტრუქტურული ენათმეცნიერების თანამედროვე მეთოდების მიხედვით, შეფასებულია მათი გენეტიკური და ტიპოლოგიური ბუნება. წიგნის უმკველ მეცნიერულ ინტერესს განაპირობებს დასაძული პრობლემის აქტუალობა, შედარებითი რიგების მეთოდოლოგიური საყრდენი, ნაირფეროვანი ფაქტობრივი მასალისა და ენობრივი პროცესების მკაფიო ანალიზი, დიდალი სამეცნიერო ლიტერატურის შეყვრება, პრინციპული მნიშვნელობის გახედული განოჯადებანი, კანონზომიერი რეკონსტრუქციები, საერთო-ქართველური მოდულებანი აღდგენის მარჯვე ცდები, ქართველურ ენათა დიფერენციაციის წინა პერიოდისათვის სავარაუდო სქემების ჩვენება, სონანტთა დიაქრონიული და სინქრონიული სისტემის დისტრიბუციული ანალიზი, აბლაუტის თავისებურება ქართველურ ენებში და მიმართება ინდოევროპულ ენებთან. წიგნი გამოირჩევა პრობლემების სიღრმით. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში და მათთან დაკავშირებული ენობრივი პროცესები ამ პლანიითა და მიდგომით აქამდე არავის განუხილავს.

ასეთ შეფასებას წიგნი იმსახურებს არა მართა იმიო, რომ აქ, კერძოდ, განხილულია სონანტთა სისტემა და აბლაუტის პრობლემა. არა, მხოლოდ ეს საკმარისი არ იქნებოდა ნაშრომის ევოლუციური მალალი შეფასებისათვის. მას შერტი ღირსება აქვს. რაც მთავარია, სონანტთა სისტე-

მისა და აბლაუტთან ერთად, აქ გაშუქებულია ქართველურ ენათა თითქმის მთელი ფონეტიკურ-მორფოლოგიური სამყარო, გამოვლენილია მათი ფონემებისა და მორფემათა სინქრონიული-დიაქრონიული სურათი და მომზადებულია ნიადაგი ფონემურ-მორფოლოგიური პროცესების არსებულ შეფასებათა დისახუსტებლად და ქართველურ ენათა ახლებური შედარებით-ისტორიული გრამატიკის შესაქმნელად. ასე გვესახება, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს თ. გამყრელიძისა და გ. მჰაკაბიანის ნაშრომის მთავარი მეცნიერული ღირსებანი.

აქად, გ. წერეთელი თავის წინასიტყვიანობაში მალალ შეფასებას აძლევს წიგნს და გამოთქვამს იმედს, რომ მომავალი კვლევა-ძიება ქართველურ ენებში წარმართება სწორედ თ. გამყრელიძისა და გ. მჰაკაბიანის ნაშრომში განვითარებული იდეის მიმართულებით. „ეს არის, — ამბობს აქად, გ. წერეთელი, — პირველი ნაშრომი ქართველური ენათმეცნიერების დარგიდან, დაწერილი ენობრივი ანალიზის სტრუქტურული მეთოდების თანამედვერული გამოყენებით და ამდენად — შესატყვისი ლინგვისტური მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონისა. აქ წარმოდგენილია სრულიად ახალი თეორია საერთო-ქართველური ენობრივი სისტემისა და მისი დიაქრონიული ტრანსფორმაციების შესახებ, რომელიც შედეგად გამოყალიბდა ისტორიულად ქართველური ენები. არსებითად ეს შრომა წარმოადგენს საფუძველს ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიული გრამატიკისას. იგი ახალ ეტაპს ქმნის ქართველურ დიაქრონიულ ენათმეცნიერებაში და, უდიქობათ, მთელი მომავალი საკვლევიძობო მუშაობა ამ დარგში წარმართება ამ მიმართულებით, ვინაიდან იგი ბრწყინვალე პერსპექტივებს შლის მეცნიერების წინაშე“ (გვ. 029).

ამ სიტყვებს კაცი ევლარაფერს დეუმატებს. თვით აქად, გ. წერეთლის წერილი, რომელიც წინასიტყვიანობის სახით ერთვის თ. გამყრელიძისა და გ. მჰაკაბიანის წიგნს, უბრალო წინასიტყვიანობა როდია, ამ სიტყვის პირდაპირი

გაგებით, იგი მთელი, დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართულურ ენათა დიაქრონული და სინქრონული სისტემის შესახებ. აქ, ავტორისათვის ჩვეული მეცნიერული სიფრთხილით, გაშუქებულია ქართულური დიაქრონული ენათმეცნიერების სასიტოცხლო საკითხები.

ერთ, ისე მოკლე წერილში ძველია თ. გამყრელიძისა და გ. მაკეაიანიის ნაშრომის ძველი ღირსების დაწვრილებითი ანალიზი. ამას წერილების მთელი სერია მოუწოდებოდა. ჩვენ ამჟამად უფრო მარტივ მიზანს ვისახავთ: ეუბანსუბოთ კითხვებზე, რითაა შესანიშნავი ეს წიგნი, რა სახალეს შეიცავს და როგორ უნდა შედარდეს მისი ძირითადი დებულებანი?

ენობილია, რომ დიაქრონული ენათმეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია შედარებითი მეთოდისა და შინაგანი რეკონსტრუქციის საშუალებით ენობრივ ცვლენადობათა შეფარდებითი ქრონოლოგიის დადგენა, რათა ბერძნის მეთემინდოს ენის განვითარების იმ საფეხურებს, რომელთაც წერილობითი წყაროები ვერ წუდებდა. ამ თვალსაზრისითაა ნაშრომში განხილული როგორც სონანტთა სისტემა, ისე აბლატივი. ორი დიდმნიშვნელოვანი პრობლემის შესწავლად ავტორები ერთ დასკვნამდის მიიყვანა. ქართულურ დიალექტთა შორის არსებული ბოლოგონების შესწავლის გზით თ. გამყრელიძემ და გ. მაკეაიანიამ შესძლეს ზოგად ხაზებში წარმოდგინათ საერთო-ქართულური ფუძემდის დიფერენციაციის პროცესი და მის წიაღში დამოუკიდებელ ქართულურ ენათა ფორმირების სურათი. ქართულურ დიალექტთა გენეტურ მიმართებათა დასადგენად ისინი ვერდნობიან არა მარტო ფონოლოგიურ, არამედ ავტოფონოლოგიურ და ლექსიკურ ბოლოგონებსაც. მათ სწამთ: „მხოლოდ ამგვარი კომპლექსური მიდგომა მოკვლევის საშუალებას განიხილავსწინათ ის რთული მოვლენები, რომლებსაც ფუძემდის დიფერენციაციის პროცესში უნდა ჰქონოდა ადგილი და რომელთა შედეგად ისტორიული ქართულური ენები ჩამოყალიბდა“; „საერთო-ქართულური ენობრივი მოდელის რეკონსტრუირება შესაძლებელია იმ ფორმითა და მიმართებათა ერთ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე პროცესებით, რომლებიც ისტორიულად დამოწმებულ ქართულურ ენებში განიხილავთ შესატყვისებს ქმნიან საერთო-ქართულური ენა იმ ქრონოლოგიურ პრილში, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა მის დიფერენციაციასა და ისტორიულ ქართულურ ენათა ჩამოყალიბებას, წარმოგვიდგება, ამგვარად, როგორც დროსა და სფეროში არსებული ერთობლობა მონათესავე ენებში ტრანსფორმირებული სახით შემოინახული სტრუქტურებისა“ (გვ. 4).

ავტორებისათვის თავიანთ ძიებაში იმპულსის მიმცემი იყო პ. გლისონის (Г. Глисон. Введение в декриптивную лингвистику,

რუს. თარგმ., М., 1959), პ. ჰენიგსვალდის (H. M. Hoernigswald, Language Reconstruction, Спбурга, 1960) ე. ლემანის (В. Ф. Леман, Выводы о протондоевропейской глагольной системе, основанные на внутреннем анализе санскрита (რუს. თარგმ., ВЯ, №2, 1961), ე. პორციგის (W. Porzig, Die Gliederung des indogermanischen Sprachgebiets, Heidelberg, 1954), ე. გეორგიევის (В. Георгиев, Исследования по сравнительно-историческому языкознанию, М., 1958), ე. ა. მაკაევის (Э. А. Макаев, Сихрония и диахрония и вопросы реконструкции, М., 1960), გ. ა. კლიმოვის (Г. А. Климов, О глоттохронологическом методе датировки распада праязыка, ВЯ, №2, 1952) და სხვა ავტორთა ცნობილი ზოგადმეთოდოლოგიური ნაშრომები, რუს და უცხოელ ქართულოლოგთა უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული გამოკვლევები (გ. კლიმოვი, გ. დე-ეტერსი, პ. ფოტი, ე. შმიდტი) და ქართულ მეცნიერთა დაკვირვებანი (ნ. მარი, ა. უფშინაძე, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ე. თოფჩიაძე, ა. ჩიქობავა, ს. ელენტი, ტ. ვადავა და სხვ.).

წიგნი წარმოადგენს უმდიდრეს სპეციალური ლიტერატურისა და მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალის კრიტიკულად შესწავლისა და შეჯერების შედეგს. საანალიზო მასალის სიუბიექტითა და ნათელი განზოგადებებით ის შეთხვეულზე წარუბოლო შეთხვეულობის ახდენს.

შესავალს გარდა, ნაშრომი ორ ნაწილს შეიცავს. შესავალში გარკვეულია კვლევა-ძიების ამოსავალი პრინციპები და წარმოდგენილია ავტორთა კონცეფციის თეორიული პოსტულატები. პირველყოფისა, უარყოფილია ვასულ საუკუნის კომპარატივისტთა მოთხოვნა ენათა განვითარების უფველეს ეტაპებზე არსებულ ელემენტთა ზუსტი ფიქსაციის შესახებ და მოტივირებულია ენობრივ სისტემათა რეკონსტრუქციის იდეა თანამედროვე ენათმეცნიერების თვალსაზრისით. რეკონსტრუქცია „ეარაუდლოს მონათესავე ენათა (ან ცალკეული ენის) ამოსავალი სისტემის (პარადიგმატური და სინტაგმატური წყობის) ზოგად დახასიათებას მისი ელემენტებისა და მათ შორის არსებული მიმართებების განსაზღვრით. რეკონსტრუირებული ენობრივი სისტემა ასახავს ერთგვარ მოდულს, რომლებიც პირველი მახლობელი ავტოფონურ ენის განვითარების უფველეს ეტაპებზე არსებულ სტრუქტურულ მიმართებებს“ (გვ. 3). ამ მიდგომითაა განხილული ფონეტიკურ-მორფოლოგიური სისტემა ქართულური ენებისა (ქართული, სვანური, მგურულ-კანური), რომელთა ისტორიულ ემოქში არსებული ერთიანობა დამოუკიდებელი, გენეტურად მონათესავე ენები აღმოცენებულია. ავტორთა მიერ პოსტულირებული „დიალექტური ერთიანობა“ ასახავს იმ „საერთო-ქართულურ ენას“, რომ-

ლის გვიანდელ ფორმებს ისტორიული ქართულური ენები წარმოადგენენ. მეკლავებათა გულისყური მხაზრობლია საერთო-ქართველური ენის ძირითადი ფონეტიკური და მორფოლოგიური პროცესების სისტემის რეკონსტრუქციისაკენ. მისი „დიალექტური დანაწევრებისა და დიალექტთა ადგილის გარკვევა საერთო-ქართველურ ლინგვისტურ არეალში ქმნის საფუძველს ქართველურ ენათა ურთიერთშიმართებულობისა და ნათესაობის ხარისხის განსაზღვრისათვის“ (გვ. 4). ტრადიციულ შეხედულებას უპირისპირდება ახალი თვალსაზრისი: ერთი მხრივ, ქართულისა და სვანურის, მეორე მხრივ, ქართულ-სვანურის (მეგრულ-სვანურის) და სვანურის ურთიერთობის შესახებ. საბუთიანადაა განსაზღვრული სვანურის განკერძოებული პოზიცია საერთოდ და ლექსიკურად კერძოდ, რის სასარგებლოდ ამ ენის არქაული ტრამოლოგიური ფორცია გამოყენებული. მშვენივრადია ნათქვამი: „ლექსიკურად ქართული და მეგრულ-სვანური შეუდარებლად უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან, ვიდრე თითოეული მათგანი სვანურთან“ (გვ. 11).

თანხმად ამ თვალსაზრისისა, ქართული და მეგრულ-სვანური ენობრივი ერთიანობა იმითავე შეიკავდა დიალექტურ სხვაობას, რის შედეგადაც გვიან განვითარებულა, ერთი მხრივ, ქართული და, მეორე მხრივ, მეგრულ-სვანური. ცნობილია, რომ ამ თეორიის თვალსაჩინოდამტკიცებელი, ჩვენს ავტორებთან ერთად, აგრეთვე არიან გ. დეეტერსი და უფრო გ. კლიმოვი (Г. А. Климов, О глоттохронологическом методе датировки распада праязыка, ВЯ, № 2, 1952).

ნაშრომის პირველი ნაწილი ეძღვნება სონანტთა სისტემის ქართველურ ენებში (გვ. 21—171) და სამ თავს შეიცავს. პირველ თავში ჭერ განხილულია სონანტთა ადგილი ენის ფონოლოგიურ სისტემაში საერთოდ და შემდეგ უ და ჰ ფონემების პოზიციები ქართველურ ენებში. ფონემათა დანაპირისპირებლად ავტორები მ. მ. მართავეს ტრადიციულ მარცვლოვნობის პრინციპს. გამოყოფილია მარცვლოვანთა კლასი — ხმოვნები, უმარცვლოთა კლასი — თანხმოვნები და მარცვლოვან-უმარცვლოთა კლასი — სონანტები. სონანტები (ტ, ჰ, რ, ლ, მ, ნ) დისტრიბუციულად უპირისპირდებიან ხმოვნებსა და თანხმოვნებს, მეგრამ ორ ვარიანტს, მარცვლოვანთა და უმარცვლო ვარიანტს გვიჩვენებენ. პროცესი ბუნებრივია ინდოევროპული ენებისათვის, რომლებშიც, განსაკუთრებით მარცვლოვანთა ვარიანტებში, განსხვავებული რედუქციები მოკვცენ (გვ. 24). თავისთავად ამ მოკლეცხს და მის შესაბამისობებს ქართველური ენების მონაცემებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც საკითხი ამ სიბრტყეზე აქამდის არავის განუხილავს. ამიტომ წარმოდგენილი დისტრიბუცია უ და უ და ჰ და ჰ სემანტებისა

მეტად საკვლესში დასკვნებს იძლევა. ეს სემანტები და მათი ალოფონები უფრო ადრე შესწავლილი სვანურში, მეგრულ-სვანურში და შემდეგ რეკონსტრუირებულა საერთო-ქართველური მოდელები.

სვანურში, მავალითად, უ-სა და უ-ს განმასხვავებლად მარცვლოვანება მიწნეული, აქ ორივე მათგანი ცალკე ფონემაა, ოღონდ პირველი მარცვლოვანი, მეორე — უმარცვლო. მასალის ანალიზმა ავტორები მიიყვანა უშუალოდ დასკვნამდის: უ და უ თანამედროვე სვანურის ფონოლოგიური სისტემის დამოუკიდებელი ერთეულებს წარმოადგენენ, პირველი მათგანი ხმოვანია, მეორე — ბილაბიალური სპირანტი (გვ. 32). ამის საბუთებია: უ-ს დადასტურება მრავალ პოზიციაში; ანლატში თანხმოვნის წინ უსგმა „ევესი“, უმა — უბერებელი“; აუსლატში თანხმოვნის შემდეგ: რშუ „ერთი“, მიშუ „რემი“; თანხმოვნებს შორის ანლატში: ჭულმა „ზღვა“, ზურალ „ქალი“ და ა. შ. ასევე უ-ს დადასტურება პოზიციებში: ანლატში ხმოვნის წინ: ტზგ „ახნაური“, ტზხი „ვახირი“; აუსლატში ხმოვნის შემდეგ: დნაჟ „ორსული“, დნაჟჟ „ცოცხი“; ინტერკალურ პოზიციაში: შდაჟალ „მერცხალი“, შხაჟნ „დავბადა“ და ა. შ. (გვ. 26—27). მასალის დიპრონოზმა ანალიზმა ავტორებს საშუალება მისცა აღედგინათ უ და უ ელემენტთა დისტრიბუციის ისტორიული სურათი სვანურში და გამოეტანათ დიდმნიშვნელოვანი დასკვნა, რომ უ და უ ისტორიულ სვანურში ერთ ფონემაში ერთმანდობდნენ (რომლის სიმბოლოდ ავტორები უ ნიშანს იყენებენ), ხოლო უ და უ მის პოზიციურ ალოფონებს წარმოადგენენ. ამდენად სხვენული უ ფონემა ძველ სვანურში სონანტთა კლასს განეკუთვნებოდა და უპირისპირდებოდა საკუთრივ ხმოვანთა და თანხმოვანთა კლასს (გვ. 38). დაახლოებით ანალოგიური დასკვნა მიღებული ვ (უ) და უ ფონემათა ურთიერთშიმართების ანალიზის შედეგად ძველ ქართულში. აქაც ისტორიულად ვეკონია ერთი ფონემა (ავტორები მას აღნიშნავენ *უ ნიშნით) ორი პოზიციური ალოფონით — მარცვლოვანით (*უ) და უმარცვლოთ (*უ). რეკონსტრუირებული *უ არქაული ეპოქის ქართულისათვის სონანტთა კლასის ელემენტადაა მიწნეული (გვ. 52). ბოლოს, ანალოგიურად განსაზღვრულია უ და უ სემანტები მეგრულ-სვანურში და მათი ორი პოზიციური ალოფონი. შინაგანი რეკონსტრუქციის გზით აღდგენილია ქართველური ენების იდენტური დისტრიბუციული სურათი. დისტრიბუციული მოდელის მიხედვით რეკონსტრუირებული უ და უ ელემენტები ერთი ფონემის (სიმბოლოდ *უ) პოზიციური ალოფონებია, ერთი უმარცვლო, მეორე — მარცვლოვანი, ხოლო თვით *უ კვალიფიცირდება, „როგორც წევრი სონანტთა კლასისა“ ქართველურ ენებში (გვ. 62—63).

უ და უ სემანტების დისტრიბუციული მო-

დელის სრულ პარალელს გვაჩვენებს ქართველურ ენებში **ი** და **ა**. ამ გარემოებამ ავტორებს შესაძლებლობა მისცა გამოეყოთ ***ი** და ***ა** სონანტებს, რომელთაც საერთო-ქართველურ ფონოლოგიურ სისტემაში გვირათ ადგილი საკუთრივ ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის (გვ. 72).

მეორე თავში ლაპარაკია **ლ რ მ ნ** ფონემებსა და მათ შესატყვისობებზე ქართველურ ენებში. შედარებითი რეკონსტრუქციის გზით ავტორებმა მოახერხეს ამ ფონემათა პირვანდელი სახის აღდგენა იმ რეფლექსების მიხედვით, რომლებიც ისტორიულ ქართველურ ენებშია შემონახული. ამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფონემათა ცნობილ შესატყვისობებზე დაყრდნობით ფუძეთა ანალიზი. ავტორები ნდობით ეპყრობიან მდიდარი სპეციალური ლიტერატურის მონაცემებს, მაგრამ ამასთან ერთად საპარტიკიანად ცხრილდებიან და ახსენებენ შესატყვისობათა ტრადიციულ სქემებს.

ქართული ბოლოკიდური **ელ**-ის ფარდია შეკრულ-ქანური **უ** ხმოვანი (გვ. 89).

ქართ. თხელ-ი: ჰან. თუთხუ, მებრ. თხთხუ.

წნელ-ი: ჰან. ჰუნუ, მებრ. ჰინუ.

ბელელ-ი: მებრ.-ჰან. ბალუ.

წინველ-ი: ჰან. დემკუჰ||დემკუჰ.

ასევე ქართულ მიმდებარეულ -ელ სუფიქსს მებრულ-ქანურში **უ** შეეფარდება: მ-ჰედელ-ი: მებრ. ჰკადუ, მ-სუმ-ელ-ი: ჰან, მ-სუმ-უ, მ-ჰემ-ელ-ი: ჰან. მ-ჰემ-უ (გვ. 89); ჰანურ **უ** სუფიქსს ქართულში რაც შემთხვევებში -ელ შეეფარდება: სა-ჰემ-ელ-ი: ჰან. ო-ჰემ-უ „ჰემა“, სა-სუმ-ელ-ი: ჰან. ო-ჰემ-უ „სმა“, სა-წერ-ელ-ი: ჰან. ო-ჰარ-უ „წერა“, სა-ჰრ-ელ-ი: ჰან. ო-ჰორ-უ „ჰრა“ (გვ. 90). ცალკეულ შემთხვევაში ასეთივე შეფარდებაა ილ მარცვლით დაბოლოებულ ფუძეებთან. ქართ. ტფელ-ი: ჰან. ტუბუ, მებრ. ტბუ; ქართ. ლბილ-ი: მებრ. ლბუ; ქართ. ჩხელ-ი: ჰან. ჩუნქუ; ქართ. სრსვილ-ი: ჰან. მსრსხუ; ქართ. მსხვილ-ი: მებრ. შხუ (იქვე).

უსათუოდ საველისხმოა **ლ** და **რ** ფონემათა მარცვლოვანი ელემენტების კვლის ძიება ძველ ქართულში. ამის ნიმუშად დასახლებულია იშვიათი შემთხვევა — **სახლ** ფუძის ვითარებითა ბრუნვა: **სახ** ილ („მოვიდა იესუ **სახ** ილ“). მ. 8, 14 C, **სახ** ე-დ („წარყედ **სახ** ედ შენდა“), მ. 9, 6 D) — ამ ფუძეში **ი/ე** ხმოვანი მართლაც მერყეულია და შეიძლება შეორეული იყოს. ამიტომ სწორია ავტორთა ვარაუდი: „შეორეული ხმოვანი [**ი/ე**] ელემენტის მარცვლოვნობის ხარჯზე უნდა იყოს გაჩენილი. მაშასადამე, **სახ** ილ (resp. **სახ** ელ) < *სახლ-დ (resp. *სახელ-დ) < *სახ დ-დ, სადა* დ წარმოდგენილი იყო თანხმოვნებს შორის“ (გვ. 100). მსგავს გარემოებას, როგორც ავტორებმავე კარგად იცნან,

პირველად ყურადღება მიაქცია ნ. მარმა, როცა აღნიშნა, რომ ფუძეში **ბ რ ქ ე ნ** (ბრქენე) უნდა იყოს სონანტი, მარცვლოვანი ფუნქციის (H. Marr, Gram. древнелит.-груз. яз., 1925, § 6).

ქართულ სონანტთა (რ ლ მ ნ) მებრულ-ქანური და სვანურის შესატყვისობების შედარებითა ანალიზმა ავტორებს საფუძველი მისცა აღედგინათ ამ ფუნქციის საერთოლო ფორმები, რომელთა კანონზომიერი ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა ქართველურ ენებში არსებული ფონემური შეფარდებანი სონორ თანხმოვნებს შორის (გვ. 141). სხვანაირად რომ ვთქვათ, ავტორებმა აქ იგივე დასკვნა მიიღეს, რაც ***ი** და ***ა**-ს განხილვის შედეგად გამოტრენეს. ფონემათა მარცვლოვნობის კლასიფიკაციის თანახმად ***რ** ***ლ** ***მ** ***ნ** ელემენტები ***ი**-სა და ***ა**-სთან ერთად დაგვფუნდნენ სონანტთა კლასში და ლაუპირისპირდნენ საკუთრივ ხმოვანთა და თანხმოვანთა კლასებს, განლაგდნენ ხმოვანებსა და თანხმოვნებს შორის.

ბრწყინვალე შედარებითი ანალიზის შედეგების გადაჭარბებით შეფასება ძნელია. ეს შედეგები თავისთავად მნიშვნელოვანი წვლილი მუცნიერებაში. მეორე მხრით, სინტაქსისა იშითაც, რომ ორგანულად ეხმარებიან ნ. მარმის მიეწეულ დებულებას **ლ რ მ ნ** ფონემებზე და ინტუიციურად გამოთქმულ ვარაუდს: „Эти согласные были некогда сонантами и в грузинском“ (H. Marr, Gram. древнелит.-груз. яз., 1925, § 63). ეს ფაქტი სწორედ აქვთ აღნიშნული როგორც ავტორებს (გვ. 100), ისე წიგნის რედაქტორსაც (გვ. 014).

წარმოდგენილი ფორმულება, რა თქმა უნდა, შინაგანი რეკონსტრუქციების შედეგადაა აღდგენილი, თორემ **ვ რ ლ მ ნ** თანამედროვე ქართველურ ენებში ფონოლოგიურად თანხმოვნებია, **ი** და **უ** — ხმოვნები. ამასთან ავტორები მიუთითებენ, რომ ოდნავი სხვაობა აქ გვაქვს სვანურსა და ნაწილობრივ ძველ ქართულში, სადაც „ყერ კიდევ იტარებოდა **უ/ი** და განსაკუთრებით **ი/ა** ელემენტთა ოდინდელი სონანტური ბუნება“ (გვ. 143).

ამაღება კანონზომიერი კითხვა: როგორღა უნდა აიხსნას ისტორიულ ქართველურ ენებში სონანტთა კლასის გაქრობა, მარცვლოვან და უმარცვლო ვარიანტთა რეფლექსების სხვაგვარი განაწილება? ავტორთა ვარაუდით, ამის მიზეზი ისაა, რომ „ისტორიულ ქართველურ ენებში მოიშალა საერთო-ქართველურ სისტემაში არსებული პოზიციური დამირისპირება მარცვლოვან და შესაბამის უმარცვლო ელემენტებს შორის, რაც დიფერენციაციის წინა პერიოდის ქართველური ფონოლოგიური სისტემის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა“; „ამგვარ დამირისპირებათა მოშლის შედეგად მოჰყვა სონანტთა კლასის გაქრობა და სონანტთა მარცვლოვან და შესაბამის უმარცვ-

ლო ვარიანტთა რეფლექსების განაწილება ისტორიულ ქართულურ ენებში საკუთრივ ხმოვანთა და თანხმოვანთა კლასებს შორის“ (გვ. 144).

მესამე თავში დახასიათებულია ხმოვანთა სისტემა. საეკიალურ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებებს ავტორები უფარდებენ თავიანთ პოზიციას. ტრადიციულად დადგენილ შესატყვისობათა საფუძველზე ისინი დიაქრონულად აღადგენენ ხმოვანთა სისტემის ამოსავალ მოდელს საერთო-ქართველურში და ამის მიხედვით გვიჩვენებენ ქართველური ვოკალიზმის ევოლუციას. მაგალითად, რამდენადაც ქართული **ო** ფონემის შესატყვისად მებრუნ-ქანურსა და სვანურში **ო** არის წარმოდგენილი, მათ საფუძველზე მიეცათ ამოსავალ ვოკალურ სისტემაში ***ო** ფონემის დასადისტრუბუდაც. ქართ. **ე**, მებრ.-ქან. **ა**, სვან. **ე** ამოსავლად სვანურ ვითარებას ვარაუდობს. მებრუნ-ქანური ვოკალიზმში მიხსენულია შედეგად ამოსავალ საერთო-ქართველურ ვოკალიზმში მომხდარი ხმოვანთგადაწვევების: ***ა>ო**, ***ე>ა**, როგორც ამას სხვა წყაროებიდანაც ვიცნობთ.

უკრადლებს იქცეეს ხმოვანთა ცვლილება-შესატყვისობათა ტაბულა, რომელიც ნაშრომის 151-ე გვერდზეა მოთავსებული.

ს.-ქართ.	ქართ.	სვან.	მებრ.-ქან.
*ა	ა	ა	ო, ა
*ე	ე	ე	ა
*ო	ო	ო	ო, უ/ი

ვრცელი ადგილი ეთმობა ხმოვანთა ცვლილებებზე მსჯელობას. საჭირო სისრულეთითა განხილული უმლაუტის პროცესები სვანურსა და მებრუნ-ქანურში და მათი როლი ქართველურ ენათა ვოკალიზმის საერთო სისტემაში. ავტორებს ამასთან ერთად დადასტურებული აქვთ კანონზომიერ შესატყვისობათა ფორმულების დარღვევათა შემთხვევები, რის მთავარ ფაქტორად მიჩნეულია ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია, ანუ უმლაუტი, მისი როგორც პალატალური, ისე ლაბიალური ვარიანტი (გვ. 170). აქვე მოითხოვება, რომ თანამედროვე სვანურში უმლაუტი აღარ უნდა მივიჩნიოთ წმინდა ფონეტიკურ პროცესად, რადგან მას უმთავრესად მორფოლოგიური ღირებულება აქვს.

მესამე თავის დასკვნათ ნაწილში საერთო-ქართველურ ფონოლოგიურ სისტემაში ტემპირის სხვაობათა ნიადაგზე აღდგენილია სამი ვოკალური ელემენტი: ***ე**, ***ა**, ***ო**, „რომელნიც ყველა მათთვის დასაშვებ პოზიციასში ფუნქციონირებდნენ როგორც მარცვლოვანი ელემენტები“

ბი, რითაც ისინი სისტემაში სონანტებსა და ნაერთზე თანხმოვნებს უპირატესობას ანიჭებდნენ“ (გვ. 171).

წიგნის მეორე ნაწილში განხილულია აბლაუტი ქართველურ ენებში და მასთან დაკავშირებული მოვლენები (გვ. 175—379).

აბლაუტი ანუ აპოფონია, როგორც ვიცით, იმისთანა ხმოვანთმონაცვლობაა, რომელსაც მორფოლოგიური ფუნქცია აქვს. ამიტომ იგი, ჩვეულებრივ, ხმოვნის მორფოლოგიურ გადახვევებადაა მიჩნეული. ცნობილია, რომ ეს პროცესი უპირატესად ინდოევროპულ ენებში დასტრუბუდა და ამ ენათა სტრუქტურაში დიდ როლსაც თამაშობს. მოვლენა ფონოლოგიური ფაქტორებით არის შეპირობებული, მაგრამ არსებითად მორფოლოგიური ხასიათისაა და ამის გამო მორფოლოგიური პროცესის საბელოთაცა ცნობილი. დამახასიათებელია ისიც, რომ სონანტთა მარცვლოვანი და უმარცვლო ელემენტების ალოფონური მონაცვლეობა, ავტორთა დაკვირვებით, „არსებითად აბლაუტური შექმნილობით განისაზღვრება“ (გვ. 178). აბლაუტის საერთო-ქართველური ბუნების გარკვევა ავტორებს შესაძლებლობას აძლევს განსაზღვრონ ქართველური ძირისა და აფიქსების მთავარი სტრუქტურული ტიპები, გამოავლინონ მათ შორის არსებული მიმართებანი, რაც ასე მსგავსია ინდოევროპული ენებისა. ამითა გაპირობებული პრობლემის აქტუალობაც.

წიგნის მეორე ნაწილში შეყვრებული მთელი მასალა განლაგებულია ორ თავად. პირველ თავში გადმოცემულია აბლაუტი ზმნის სისტემაში, მეორე თავში კი — აბლაუტი სახელის სისტემაში.

თავდამირველად საინალიზოდ აღებული ე. წ. ფუძემდებელი ორმორფემიანი გარდამავალი ზმნები და მათი შესაბამისი (უნიშნო ენებითის კატეგორიის) კორელატები. სწორედ ამისთანა ზმნების უღლებში დასტურდება ნამდვილი აბლაუტი და ავტორთა პირველი არჩევანიც საესებით მოტივირებულია. გარდამავალი, აწმყო: ვ-დრეკ; ს-დრეკ, დრეკ-ს; აორისტი: ვ-დრეკ-ე, ს-დრეკ-ე, დრეკ-ა; გარდაევალი, აწმყო: ვ-დრეკ-ები, ს-დრეკ-ები, დრეკ-ები-ს; აორისტი: ვ-დრეკ, ს-დრეკ, დრეკ-ა... **დრეკ** ფუძეში გამოიყოფა **დრ-** ძირი, **-ეკ** სუფიქსი; **დრეკ** ფუძეში — **დრეკ** ძირი, **-ეკ** სუფიქსი (გვ. 180) გარდამავალი ფორმის აწმყოსეულ ე ხმოვანს ამ და მსგავს ფუძეებში **-ი** ელემენტი „წარმოშობით მარცვლოვანი სონანტი“ (გვ. 184), ენაცვლება: ვ-დრ-ეკ, ვ-დრ-ეკ-ე, **ეკ** სუფიქსი შეცვლილია **-ეკ** ვარიანტით, „რომელიც სრულსადაცუბირიანი ფორმისაგან **ე** — **ი** ვადაბვერებით მიიღება“ (იქვე). ბუნებრივია, რომ აქ საქმე გვაქვს არა ფონეტიკურ, არამედ მკვეთრად გარჩეულ მორფოლოგიურ პროცესთან. მოვლენა-ქარგადაა შემონახული ძველ ქართულში, დაე-

ლია მეგრულ-ქანურშიაც, რის ნიმუშადაც ნაშრომში დასახელებულია ო-საფეხური: ღირ-ე-ღრეკა, ღლი-ბ-ღლერა... ა-საფეხური: ღირ-ა-კ, ღლი-ბ-კ. ნულ-საფეხური: ღირ-კ, ღირ-ბ (გვ. 187). მართალია, ქართულსა და მეგრულ-ქანურ მავალითებში ერთგვარი რყევა და სხვაობაც შეინიშნება, მაგრამ პროცესი იდენტურია. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ამ საინტერესო მოვლენას ეძღვნა სრულიად ახლებური კვალიფიკაცია.

მდიდარი ფაქტობრივი მასალის ანალიზის შედეგად ავტორები ვარაუდობენ: საერთო-ქართველური მოდელი ყველაზე ნათლად „ქართულში იქნა დაყვანილი, რომელშიც შემოგვიწინა ამ ტიპის ზმნურ ფუძეებში წარმოდგენილი ყველა აბლაუტური საფეხური“. მეგრულ-ქანურსა და სვანურში სხვა მდგომარეობა ვლინდება. მეგრულ-ქანურში, კერძოდ, მარცვლოვან სონანტთა ვოკალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულა სრულხმოვანი ფორმები და დარღვეულა აბლაუტურ მიმართებათა ის სურათი, „რომელიც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქართველურ დილაქტთა ერთიანობის ეპოქისათვის“; რაც შეეხება სვანურს, აქ „საერთო-ქართველური სტრუქტურული მოდელი დაირღვა ორშიორფეხიან ფუძეში თავიდაური თანხმოვნის მომდევნო სონანტის დაკარგვის გამო, რაც შედეგი უნდა ყოფილიყო სვანურში თავიდაურ კომპლექსთა ფონეტიკური გამარტივების ტენდენციისა“ (გვ. 204).

ზმნის ფუძეთა შედარებითი ანალიზის შესაბამისად გამოყოფილია სამი ძირითადი საფეხური: ხმოვანი ანუ სრული საფეხური, ნულ-საფეხური და რედუქციის საფეხური (გვ. 242), მაგრამ რამდენადაც აბლაუტის სრული საფეხური გულახდილად როგორც მოკლე ხმოვნანობის, ისე გრძელხმოვნანობისა, ამიტომ ავტორები აბლაუტის სისტემაში აღგენენ ოთხ ძირითად საფეხურს: ნორმალურს (მოკლეხმოვანი), სიგრძის (გრძელხმოვანი), ნულოვან (უხმოვან) და რედუქციის საფეხურებს (გვ. 243).

ნაშრომში ბუნებრივად დასმული კითხვა: რომელი ეპოქისათვის უნდა ევაზარდოთ წარმოდგენილი რეკონსტრუირებული სისტემის არსებობა? შეკვლევართა პასუხი ამ კითხვაზე ასეთი: ჩვენამდის მოღწეული წერილობითი ძეგლების ეპოქაში ქართულმა ენამ უკვე აღარ იცოდა ხმოვანთა დაძირისპირება სიგრძე-სიმოკლის მიხედვით, ე. ი. ეს თავისებურება მას დაუკარგავს ქვე კლდე ღრე. მაგრამ მისი პარალელი უნდა იყოს ე. წ. უაქმშველი ვ-წერ/წერა და ექმშველი ვ-პერ/პრა ტიპის ზმნები ქართულსა და მეგრულ-ქანურში. ამის ტიპოლოგიურ პარალელებს ავტორები ნახულობენ სვანური ენის ბალსქვემოურ დილაქტში, რომელშიც, როგორც ცნობილია, დღეს აღარ იცის ხმოვანთა ფონეტიკური დაძირისპირება

სიგრძე-სიმოკლის მიხედვით, მაგრამ გრძელ და მოკლე ხმოვანთა კვალს აქაც პოულობენ. ქართველური ზმნების გარკვეული რიგის ფუძეთა შესწავლის შედეგად ავტორებმა შენიშნეს და შედარებითი რეკონსტრუქციის გზით შესძლეს აღდგენათ არა მარტო თემატური აქსუსისა და გრძელხმოვანი ორისტიის მქონე ზმნები, არამედ ორისტიის წარმოების ძირითადი სტრუქტურული ტიპებიც საერთო-ქართველურში. თემატური და ათემატური ტიპის სახით აღგენილია საერთო-ქართველური ორისტიის ისეთი ძირითადი სტრუქტურული ერთეულები, რომელთა ფუძეებში ხმოვანთა აბლაუტური მონაცვლეობა იგულისხმება. წარმოდგენილი არქეტიპები ნავარაუდევია მოვლელის აღმკვეთრი სახეა. ასევეა დადასტურებული აბლაუტის საერთო-ქართველური მექანიზმი ნაშუა უწყვეტლის, მასდარისა (გვ. 273—275) და კაუზატივის წარმოებაში (გვ. 276—278). კაუზატივის -გვ/ივ და -ენ/ან ფორმანტიბიდან, კერძოდ, სიგრძის საფეხურის *ენ და *ან ალმორფები მიჩნეულია ხმოვანმოცვლად, აბლაუტურ ვარიანტებად (გვ. 277). ასევე საინტერესო სურათს წლის ჩვენს წინაშე აბლაუტის ძიება სახელთა სისტემაში. უწინაეს ყოვლისა, დადგენილია ორი ძირითადი სტრუქტურული ტიპი: პირველ ტიპს ქმნიან სახელური ფუძეები ძირის ნორმალური და სუფიქსის ნულოვანი გახმოვნებით (მდრ.: სახ-ლ, მაღ-ლ და მისთ.), მეორეს კი—სახელური ფუძეები ძირის ნულოვანი და სუფიქსის ხმოვანი ვარიანტით (მდრ.: ქმ-არ, ძმ-არ და მისთ.). ამ სტრუქტურულ ელემენტთა ალოფონების შესატყვისად აღდგენილია სახელთა ძირის არქეტიპები, რომელთა ფუძეები აბლაუტის პირნილობითა გახმოვნებულ რეორტე ზმნათა, ისე სახელთა ფუძის (ძირის) ანალოგიური ანალიზის საშუალებით წიგნში აღდგენილია საერთო-ქართველური მოდელები და განსაზღვრულია აბლაუტის გვიანდელი რღვევის მიზეზები. ბუნებრივია დასკვნა: „საერთო-ქართველური აბლაუტური მოდელების ტრანსფორმაციითა ანალიზი ისტორიულ ქართველურ ენებში გვარწმუნებს, რომ ძირითადი ტენდენცია საერთო-ქართველური ენობრივი სტრუქტურის გარდაქმნისა ისტორიულ ქართველურ ენებში მდგომარეობდა ხმოვნანობისადაც ფორმითა ვარიანტობისა და ზმნური თუ სახელური პარადიგმების უნიფიკაციაში, რასაც შედეგად მოჰყვა აბლაუტის სისტემის რღვევა და ათქმისთა ფუნქციონალური როლის გაძლიერება“ (გვ. 364).

ავტორთა ვარაუდით, საერთო-ქართველური ენობრივი სისტემა სტრუქტურულად ხასიათდება მორფონოლოგიური ხმოვანმოცვლეობით, ანუ „შინაგანი ფლექსიით“, ხოლო ტრანსფორმაციის შედეგად მან დაკარგა ეს თვისება და მიუახლოვდა აგლუტინაციურ ტიპს. ეს ტრანსფორმაცია ქართველურ ენებს ერთხან-

ზომრივად არ გაუვლიათ, ავღერტიანეობის სტრუქტურას ქართველური ენებიდან უფრო ადრე და მჭიდროდ ქართვი მიხლოვებია, ხოლო განსაკუთრებული ადგილი სქანერს დაუკვირია: „სქანერი ფონოლოგიური სისტემის სპეციფიკური განვითარების შედეგად აქ ახალი ტიპის აბლაუტური მოდულები ჩამოყალიბდა“, რითაც იგი „ტიპოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას საერთო-ქართველურ ფუძე-ენასთან“ (გვ. 265).

როგორც ეხებათ, მთლიანად წიგნში აღბრუნება ქართველურ ენათა ისტორიული წარმავლობისა და განვითარების უძველესი საფუნდრების სტრუქტურულ თავისებურებათა ურთულესი საკითხები. ე.წ. შინაგანი რეკონსტრუქციისა და შედარებითი რეკონსტრუქციის გზით გამოვლენილი და დალაგებულია უმნიშვნელოვანესი მოდულები როგორც სინილანტთა სისტემის, ისე აბლაუტის დარგში და მიხნეულია ისინი საერთო-ქართველური ენის ძირითად სტრუქტურულ ნიშნებად. აღდგენილ მოდულებს (არქეტიპებს) პარალელები ეძებნებოდა არა მარტო კავკასიის სხვა ენებში, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, ინდოევროპულ ენებშიც. ავტორებს დადგენილი აქვთ ტიპოლოგიური მსგავსება ქართველური და ინდოევროპული ენებისათვის უმნიშვნელოვანეს დარგებში, როგორც, ვთქვათ, სინილანტები (ან საერთოდ ფონოლოგიური სისტემა) და აბლაუტია (ან საერთოდ ზმნისა და სახელის ძირებნისა და მორფოლოგიურ კატეგორიათა სისტემა).

პრინციპული მნიშვნელობა აქვს ავტორთა მკაფიო თეზისს: „არქაული პერიოდის საერთო-ქართველური ფონოლოგიური სისტემის გარდაქმნა წარმართა ძირითადად კონსონანტიზმის გამარტივებისა და ხმოვანთმონაცვლეობასთან დაკავშირებულ სინანტურ ფონემათა ჩამოყალიბების გზით. ამ სტრუქტურული გარდაქმნების შედეგად გვიანდელ საერთო-ქართველურ ქრონოლოგიურ დონეზე მივიღეთ მორფონოლოგიური სისტემა, რომელიც თვალსაჩინო სტრუქტურულ პარალელებს ავლენს გვიანდელი

ინდოევროპულ ფუძე-ენისათვის მოსტერორებულ სტრუქტურულ მოდულებში“ (გვ. 276). ასეთ საერთო, სტრუქტურულად უფროდგენილ მოდულებს მიხნეულია ფონემათა სამი კლასის გარჩევა (საკუთრივ თანხმოვნები, საკუთრივ ხმოვნები და სინანტები უმარცვლო და მარცვლოვანი ვარიანტებით), ხმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობა ფუძეებში (აბლაუტი). მორფემათა სტრუქტურითა და აბლაუტური მიმართებებით ასევე „ქართველური და ინდოევროპული შეიძლება საერთო ტიპოლოგიურ კლასში გაერთიანდნენ“.

ამ დებულებებს კეშმარიტად განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველური ენათმეცნიერების პერსპექტივისათვის. ქართველური და ინდოევროპული ენების კავშირზე ახლა როდი დაიწყო ლაპარაკი. ამ საკითხზე ზველადაც ფაქტობდნენ დასავლეთის მეცნიერების ისეთი წარმომადგენელი, როგორც ლაპინიცი და ბოზი იყვნენ, ფაქტობდნენ სხვებიც, მაგრამ ეს ფაქტი ფაქტად დარჩა. ახალი თეორია სულ სხვა კუთხით იხილავს დიდ პრობლემას. ცნობილია და თითქოს მრავალმხრივ კვალიფიცირებულ ფაქტებს სულ სხვა თეორიული ინტერპრეტაცია მიეცა. ფაქტების სტრუქტურული ენათმეცნიერების თვალთ გადასინჯვისა და მკაცრი ლინგვისტური გაცხრილვის შედეგად მიღებულია შორს გამიზნული თეორიული განზოგადებანი და დებულებანი, რომელთაც ვერ უძლებენ არსებული მოძველებული სქემები და ნაყლები სარწმუნო კლასიფიკაციები.

ვერ ვიტყვი, რომ ნაშრომში წამოყენებულ ყველა ვარაუდს გაამართლებს შემდგომი ძიება; ზოგი მათგანი ჩვენ ახლაც ნაკლებ დამაჯერებლად გვეჩვენება და ვერც გაიზიარებო. მაგრამ საქმე ეს როდია. მთავარი ის არის, რომ ახალი თეორია ქართველურ ენათა სტრუქტურულ შესწავლას ინდოევროპულ ენათა ტიპოლოგიურ სისტემათა მიმართებაში ახალ გზაზე აყენებს, ძვირფასი დაკვირვებებითა და მკაფიო განზოგადებებით ამღიდრებს ჩვენს ცოდნას.

საგმი ახალიანი

საგმი წერიტედი

ქართულმა საბჭოთა ფილოსოფიურ-მა აზროვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა: მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი სავლე ბენედიქტეს ძე წერეთელი.

ს. წერეთლის სახით თანამედროვე ქართულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ დაკარგა შესანიშნავი, უაღრესად ორიგინალური მოაზროვნე, დიდი ერუდიტი, ფილოსოფიური პრობლემების ბრწყინვალე მცოდნე, რომელმაც თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის არც თუ ისე დიდი ხნის მანძილზე შექმნა პირველხარისხოვანი მეცნიერული გამოკვლევები, ფუნდამენტური მონოგრაფიები, წინ წასწია, განავითარა მთელი რიგი ფილოსოფიური პრობლემების კვლევა. იგი იყო ფართო დიაპაზონის, უაღრესად მრავალმხრივი მკვლევარი, რომლის მადლიანი კალამი ერთნაირი სიძლიერით სწვდებოდა ფილოსოფიის სხვადასხვა დარგებს, ნათელს ჰგებდა ფილოსოფიის ურთულეს, სადავო საკითხებს.

ს. წერეთელი დაიბადა 1907 წლის 1 თებერვალს, ამბროლაურის რაიონის სოფ. შრომაში (ყოფ. ჭვარისა). პირველდაწყებითი განათლება მიიღო ამავე რაიონის სოფ. ბუგეულში. ბუგეულის დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ს. წერეთელმა სწავლა განაგრძო ონის საშუალო სასწავლებელში, სადაც მან საფუძვლიანად შეისწავლა მათემატიკა და გერმანული ენა; რაც მთავარი, პირველად იგრძნო მეცნიერული აზროვნების ძალა და ჩამოყალიბ-

და მისი მეცნიერული შემოქმედების უნარი.

1926—1930 წლებში ს. წერეთელი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. აქ მისი უშუალო მასწავლებლები იყვნენ აკად. შ. ნუცუბიძე, პროფ. მ. გოგიბერიძე, პროფ. კ. ბაქრაძე და სხვები. განსაკუთრებული როლი ითამაშა აკად. შ. ნუცუბიძის ცნობილმა ფილოსოფიურმა სემინარებმა, რომლას ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე ს. წერეთელი იყო, ამ სემინარებში მიიღო არა მხოლოდ დიდი ცოდნა, არამედ ფილოსოფიური პრობლემების კვლევა-ძიების დიდი სიყვარულიც.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ს. წერეთელი დატოვებულ იქნა ასპირანტურაში ფილოსოფიის ისტორიის განხრით, სადაც იგი სწავლობდა 1931-1934 წლებში. ამ პერიოდში ღრმად შეისწავლა ერთი მხრივ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომები — მარქსისტული ფილოსოფია, ხოლო მეორე მხრივ, კლასიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა, რის გამოც იგი სამართლიანად ითვლებოდა ფილოსოფიის ისტორიისა და საერთოდ ფილოსოფიური პრობლემათიკის ბრწყინვალე მცოდნედ.

1931 წლიდან ს. წერეთელი იწყებს პედაგოგიურსა და სამეცნიერო მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ როგორც ასისტენტი, ხოლო შემდეგ როგორც დოცენტი, პროფესორი და ახალგაზრდობის გულმოდგინე აღმზრდელი. ამიერიდან მისი

საქმიანობა მკიდროდ დაუკავშირდა უნივერსიტეტს, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდას, რომელსაც იგი, როგორც საყვარელ პროფესიას, გარდაცვალებამდე ემსახურებოდა.

ასპირანტურაში სწავლის პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ს. წერეთლის მეცნიერული მოღვაწეობის პროფილი; სწორედ 1934 წლიდან იგი ხელს ჰკიდებს დიალექტიკური ლოგიკის პრობლემების დამუშავებას, რაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არ შეუწყვეტია და რაც დაავგორავინა ვასულ წელს გამოქვეყნებულ ფუნდამენტალურ ნაშრომში „დიალექტიკური ლოგიკა“. როდესაც ვკითხულობთ ს. წერეთლის საკანდიდატო დისერტაციას „რედუქციული დასკვნა — დასაბუთების მეთოდები“, რომელზეც იგი 1934-1936 წლებში მუშაობდა (დაცულ იქნა 1938 წელს), აშკარად ვხედავთ მისი უკანასკნელი ნაშრომის ავტორს, ნაშრომისა, რომელშიც განვითარებული, სრულყოფილი სახით წარმოდგენილია ახალგაზრდა მეცნიერის დისერტაციაში გატარებული იდეები.

1938 წელს ს. წერეთელმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მოიპოვა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

დიდმა სამამულო ომმა დროებით შეწყვიტა ს. წერეთლის ინტენსიური მეცნიერული მუშაობა. 1941-1946 წლებში იგი იმყოფებოდა წითელი არმიის რიგებში და იბრძოდა გერმანელი ფაშისტებისა და იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, რისთვისაც დაჯილდოებული იყო სამამულო ომის მეორე ხარისხის და წითელი ვარსკვლავის საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. ს. წერეთელი ბოლომდე სიამოვნებით იგონებდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსის — კანტის მშობლიური ქალაქის კენიგსბერგის (ახლანდელი კალინინგრადის) ფაშისტური დიქტატურისაგან განთავისუფლების დღეებს.

დემობილიზაციის შემდეგ, ს. წერეთელი უნივერსიტეტს უბრუნდება და

მუშაობას განაგრძობს ფილოსოფიის ისტორიის კათედრაზე; ამჯერად უკვე მას ირჩევენ ფილოსოფიის კანდიდატად, ლეკანად, ღრმად განსწავლულმა მეცნიერმა და სტუდენტი-ახალგაზრდობის საყვარელმა აღმზრდელმა სულ მალე მოიპოვა დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებში. აუდიტორია, რომელშიც იგი ლექციებს კითხულობდა, ყოველთვის მსვენელებით იყო გაკედილი. მის ლექციებს ესწრებოდნენ არა მხოლოდ სტუდენტები (სხვადასხვა კურსისა), არამედ აგრეთვე ასპირანტები და ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები.

1948 წლიდან ს. წერეთელი განაგრძობდა თბილისის საბელშეფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრას, რომელსაც 10 წლის მანძილზე (1958 წლამდე) ხელმძღვანელობდა. ამ წლებში კიდევ უფრო განამტკიცა ფილოსოფიის ისტორიის სწავლება უნივერსიტეტში, გაამდიდრა ის ფილოსოფიური ტრადიციები, რომელიც აქ დამკვიდრდა აკად. შ. ნუცუბიძის, პროფ. მ. გოგობერიძისა და პროფ. კ. ბაქრაძის დაუღალავი მეცნიერული მოღვაწეობის შედეგად. მისი საფუძვლიანი გამოკვლევები ფილოსოფიის ისტორიის სფეროში დიდი მეცნიერული ღირებულებისაა ამ გამოკვლევების ერთი ნაწილი სხვადასხვა დროს დაიბეჭდა, ხოლო ვრცელი მონოგრაფია ანტიკურ ფილოსოფიაზე ავტორს გამოუქვეყნებელი დარჩა.

მაგრამ ს. წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობა ძირითადად მანიც დაკავშირებულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტთან. 1947 წელს იგი შეთავსებით იწყებს მუშაობას ფილოსოფიის ინსტიტუტში ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების გამგედ, ხოლო 1948-1953 წლებში მუშაობს ამავე ინსტიტუტის დირექტორად. 1957 წლიდან გარდაცვალებამდე ს. წერეთელი კვლავ ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორია და წარმატებულად

ბით ხელმძღვანელობს მის სამეცნიერო მუშაობას. იგი იყო ამ ინსტიტუტის — რესპუბლიკის ფილოსოფიური მუშაობის ცენტრის — ნამდვილი შემქმნელი და ორგანიზატორი, რომელმაც არა მარტო თავის გარშემო შემოიკრიბა საუკეთესო ფილოსოფიური ძალები, არამედ აღზარდა და ინსტიტუტში ჩააბა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა თაობა, რომელიც შემდეგ ინსტიტუტის ბირთვად იქცა. ყველა სამეცნიერო ნაშრომს, გამოკვლევას ან დისერტაციას, რომელიც განვილილი იყო წლის მანძილზე ფილოსოფიის ინსტიტუტში შესრულდა, აშკარად ატყვია ამ ინსტიტუტის ფაქტიური ფუძემდებლის — ს. წერეთლის მაღალი ნიჭისა და ფართო შემოქმედებითი უნარის კვალი. მან გაამდიდრა და გააფართოვა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სფერო. წარმართა იგი აქტუალური ფილოსოფიური პრობლემების დამუშავების მიმართულებით. უწინარეს ყოვლისა, ს. წერეთლის დამსახურებას უნდა მიეწეროს ის, რომ ამჟამად ფილოსოფიის ინსტიტუტი აღიარებულია ერთ-ერთ ფილოსოფიურ ცენტრად მთელ საბჭოთა კავშირში.

1957 წელს ს. წერეთელმა მოსკოვში ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მოიპოვა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მას მალე მიანიჭეს პროფესორისა და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებებიც.

ს. წერეთელი მრავალმხრივი მეცნიერი იყო, მაგრამ მისი მეცნიერული მოღვაწეობის მთავარ უბანს დიალექტიკური ლოგიკის პრობლემები წარმოადგენდა. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიციების ფილოსოფიური მემკვიდრეობისა და ფილოსოფიის ისტორიის საფუძვლიანმა ცოდნამ მას საშუალება მისცა, რომ ღრმად, მრავალმხრივ გამოეკვლია დიალექტიკური ლოგიკის აქტუალური პრობლემები, შეექმნა შეტად საინტერესო, ორიგინალური თეორია დიალექტიკური ლოგიკის დარგში. თუ თბილი-

სის ლოგიკოსების სკოლა ამჟამად დიდი პოპულარობით სარგებლობს, ამის ში უდიდესი დამსახურებას უნდა მივაწეროთ ს. წერეთელსა და პროფ. კ. ბაქრაძესთან ერთად, ს. წერეთელს მიუძღვის.

ს. წერეთელი ოცდაათი წლის მანძილზე ამუშავებდა თავის თეორიას დიალექტიკური ლოგიკის დარგში, თეორიას, რომელიც ცნობილია უსასრულო დასკვნის თეორიის სახელწოდებით; ამ საქმეს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და რამდენიმე მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა უსასრულო დასკვნა, რომლის ცნებაზეც ს. წერეთელმა დიალექტიკური ლოგიკა დააფუძნა, ავტორის აზრით, არის ისეთი დასკვნა, რომელიც თავის უარყოფით თავის თავს ასაბუთებს; ჭეშმარიტების უარყოფა თვითონ ასაბუთებს (ყველაზე მკაცრი ლოგიკური აუცილებლობით) ჭეშმარიტებას, უარყოფის უარყოფა თვითონ არის უარყოფის დადგენა, იგივეობის უარყოფა შეუძლებელია იგივეობის მოხმარების გარეშე, ვინაიდან იგივეობის უარყოფისას თვითონ ეს უარყოფა აუცილებლად უნდა იქნას თავის თავთან იგივეობრივი; ზოგადის უარყოფა იმავე დროს არის ზოგადის დადგენა, ვინაიდან ასეთი უარყოფა თვითონ არის ზოგადი და ა. შ. ამრიგად, უარყოფის გზით დასაბუთება უსასრულო დასკვნის არსებითი ნიშანია, რომელშიც ყველაზე მკაცრად მტლავნდება ლოგიკური აუცილებლობა. უსასრულო დასკვნა დაპირისპირებულია ერთიანობას წარმოადგენს; იგი არის დიალექტიკური დასკვნა, რომელიც, ს. წერეთლის აზრით, პრინციპულად განსხვავდება ფორმალურ (ტრადიციულ) ლოგიკაში ცნობილი დასკვნებისაგან.

ს. წერეთელმა სწორედ უსასრულო დასკვნის ცნებაზე ააგო დიალექტიკური ლოგიკა, რომელმაც იგი აზრის ფორმებში განხორციელებულ დაპირისპირებულთა ერთიანობის ლოგიკად თვლიდა. იგი ფიქრობდა, რომ დიალექტიკური ლოგიკა არის გაშლილ უსასრულო დასკვნა. ბოლო უსასრულო და-

სკენა არის, პირიქით. შექმნილი — ერთი ლოგიკური კავშირის სახით წარმოდგენილი დიალექტიკური ლოგიკა. დიალექტიკური ლოგიკა არის ერთადერთი ფილოსოფიური ლოგიკა, რომლის ერთერთ მომენტს ტრადიციული (ფორმალური) ლოგიკა წარმოადგენს.

ამ დებულების ფართო, დეტალური დასაბუთება მოცემულია ს. წერეთლის მრავალმეცნიერულ გამოკვლევასა და მონოგრაფიებში. აღნიშნული თვალსაზრისი ავტორის მიერ პირველად შეაფიქრებინა გამოთქმული ჯერ კიდევ 1947 წელს მოხსენებაში „დასკვნის პრობლემისათვის“, რომელიც 1949 წელს ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომების“ პირველ ტომში დაიბეჭდა. აქ ავტორმა პირველად მოგვცა უსასრულო (ანუ დაუბოლოებელი) დასკვნის ცნების განსაზღვრება („დაუბოლოებელი არის ის, რომლის უარყოფაც მას ასაბუთებს“). ეს ძირითადი იდეა მან ფართოდ გაშალა ვრცელ მონოგრაფიაში „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“, რომელიც 1952 წელს გამოქვეყნდა, ხოლო უფრო გვიან ახალ მონოგრაფიაში — „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ“ (1956). ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მის სადოქტორო დისერტაციას, რომელშიც, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მარქსამდელ ფილოსოფიაში დიალექტიკური ლოგიკის შექმნის ყველაზე უფრო სერიოზული ცდა იდეალიზმის პოზიციებიდან მოცემული იყო ჰეგელის მიერ. ამიტომ ბუნებრივია, რომ მარქსისტული დიალექტიკური ლოგიკის შექმნა შეუძლებელი იყო ჰეგელის იდეალისტური კონცეფციის საფუძვლიანი კრიტიკის, მისი დაძლევის გარეშე. სწორედ ამ ამოცანას მიუძღვნა ს. წერეთელმა 1959 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია „რაციონალური მარცვლი ჰეგელის დასკვნის თეორიაში“, რომელშიც მან არა მხოლოდ გააკრიტიკა ჰეგელის იდეალისტური კონ-

ცეფცია, არამედ აგრეთვე აჩვენა ჰეგელის დიალექტიკური ლოგიკის დადებითი მომენტები.

1958 წელს ს. წერეთელი, როგორც ცნობილი საბჭოთა ფილოსოფოსი, მიწვეული იყო XII საერთაშორისო ფილოსოფიურ კონგრესზე ვენეციაში, სადაც გერმანულ ენაზე წაიკითხა მოხსენება „ლოგიკური აუცილებლობის ბუნების შესახებ“. ამ მოხსენებაში გარკვეული იყო უსასრულო დასკვნებთან დაკავშირებული ლოგიკური აუცილებლობის ხასიათი, კერძოდ, ავტორი ასაბუთებდა, რომ ყველაზე მკაცრი ლოგიკური აუცილებლობა მაშინ გვაქვს როდესაც რაიმეს უარყოფა არის ამ უარყოფილის დასაბუთება (ე. წ. უსასრულო დასკვნის აუცილებლობა). მოხსენების ტექსტი 1960 წელს იტალიაში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა.

1961 წელს ვარშავაში ლოგიკისა და მეცნიერების მეთოლოგიის საკითხებზე გამართულ კოლოქვიუმზე წარდგინდა იყო ს. წერეთლის მოხსენება „დასაბუთების საწყისის შესახებ“; ეს მოხსენება საფუძვლად დაედო ს. წერეთლის ვრცელ მონოგრაფიულ გამოკვლევას, „დასაბუთების საწყისი“, რომელიც 1963 წელს დაიბეჭდა. ამ ნაშრომში ავტორი ამტკიცებს, რომ დასაბუთების უზოგადესი ლოგიკური საწყისი არაა უსასრულო დასკვნა და არა აქსიომა ან სხვა რომელიმე „პირველი დებულება“, ვინაიდან აქსიომა (აქსიომების არჩევანი) თვითონ ემყარება რაღაც სხვას და, ამრიგად, იწვევს ლოგიკურ რეგრესს. აქსიომების მიჩნევა დასაბუთების საწყისად თავს ვერ აღწევს დასაბუთების ლოგიკურ სიძნელეს. სწორედ ამიტომ შეუძლებელია ლოგიკის აქსიომატიზაცია, რომელიც აუქმებს ლოგიკას, როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებას. ტრადიციული ლოგიკის განვითარების ერთადერთი ქვემარტივი გზა, ამტკიცებს ავტორი ამ ნაშრომში, არის დიალექტიკური ლოგიკის შექმნა, რომელიც ლოგიკის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს.

ვეებერთელა მონოგრაფია „დიალექტიკური ლოგიკა“, რომელიც 1965 წელს გამოქვეყნდა, ს. წერეთლის გედის სიმღერა იყო. ეს წიგნი, რომელიც მთელი მისი ოცდაათწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის ერთგვარ შეჯამებასა და დამთავრებას წარმოადგენს, ჯერჯერობით ერთადერთი გამოცვლევია მთელ საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში, ამ ნაშრომში, სადაც თანამიმდევრულად და ავტორისათვის ჩვეული ლოგიკური სიმკაცრით დამუშავებულია დიალექტიკური ლოგიკის ძირითადი პრობლემები, ს. წერეთელმა თითქმის სრულყოფილად ჩამოაყალიბა დიალექტიკური ლოგიკა, დაადგინა მთელი რიგი მანამდე უცნობი კანონები და კატეგორიები დიალექტიკური ლოგიკა (ე. წ. „ლოგიკურის კატეგორიები“), გარკვეა აზრის ლოგიკური ფორმების დიალექტიკური ბუნება, მოგვცა ორიგინალური ცდა დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის ცნობილი პრობლემის გადაწყვეტისა, დიალექტიკური ლოგიკის პოზიციებიდან დეტალურად განიხილა ლოგიკური დასაბუთების მეთოდები და კიდევ უფრო გააღრმავა თავისი კონცეფცია დასაბუთების საწყისის შესახებ. საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში ძნელია მოიძებნოს მეორე ნაშრომი რომელსაც ამ წიგნის ტოლფასი ღირებულება ჰქონდეს ლოგიკის განვითარებისათვის. სწორედ ამიტომ ეს წიგნი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიუროს მიერ რეკომენდირებულ იქნა რუსულ ენაზე გამოსაცემად.

სრულად ბუნებრივი იყო, რომ ა. წერეთელი ითვლებოდა დიალექტიკური ლოგიკის უდიდეს სპეციალისტად მთელ საბჭოთა კავშირში. მის ფართო ფილოსოფიურ ერუდიციას, ღრმა მეცნიერულ ნიჭს. მისი ნაშრომების მეცნიერულ ღირებულებას აღიარებდნენ არა მხოლოდ მისი თანამოაზრენი, არამედ მისი ოპონენტებიც — ისინი, ვისთვისაც მიუღებელი იყო ს. წერეთლის ფილოსოფიური კონცეფცია.

ს. წერეთლის კალამს ეკუთვნის გამოცვლევების მთელი სერია მარქსისტული დიალექტიკური ლოგიკის, არამედ დიალექტიკური მატერიალიზმის, ფილოსოფიის ისტორიის, მეცნიერული ათეიზმისა და სხვა დარგებშიც. მისი ნაშრომი „მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ“, რომელიც 1955 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა, ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია აღნიშნულ თემაზე; მეორე წიგნი „ქეშმარიტების ლენინური გაგების ზოგიერთი საკითხი“ (1960), წარმოადგენს მეტად საინტერესო, ორიგინალურ გამოცვლევას ქეშმარიტების დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორიის სფეროში. დიდი მეცნიერული ღირებულებისაა მისი ნაშრომები დიალექტიკური მატერიალიზმის კანონების შესახებ, დიალექტიკისა და მეტაფიზიკის ურთიერთობის შესახებ, ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიიდან და ა. შ. ამ ნაშრომებს დღესაც დიდი ინტერესით ეწევა ფილოსოფიით დაინტერესებული ახალგაზრდა თაობა.

მაგრამ ს. წერეთელი იყო არა მარტო პირველბარისბოვანი მეცნიერი მკვლევარი, არამედ შესანიშნავი პედაგოგიც — ახალგაზრდობის ავტორიტეტული აღმზრდელი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ფილოსოფიის სიყვარული და ფილოსოფიური პრობლემების ცოდნა შეიძინა მრავალმა ათასმა ახალგაზრდა სპეციალისტმა, რომლებიც ამჟამად ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში მუშაობენ. მან აღზარდა მთელი პლეადა მოწინავე მეცნიერი მუშაკებისა, რომელთაც ამჟამად თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ რესპუბლიკის ფილოსოფიურ ცხოვრებაში. ს. წერეთლის აზროვნების სტილი, ფართო ფილოსოფიური განათლება, დაუცხრომელი საყვარული ფილოსოფიისა, მის შესანიშნავ ადამიანურ თვისებებთან ერთად. ყოველთვის იყო მისაბამი, მისი მოწაფეებისათვის.

გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა, ს. წერეთელმა ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობა-

საც. იგი იყო რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი, კითხულობდა ლექციებსა და მოხსენებებს ფართო ინტელიგენციისათვის, ყოველთვის დიდი ინტერესით ეზმავრებოდა თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს.

ს. წერეთელი იყო იშვიათი ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული მოქალაქე, უაღრესად კეთილშობილი რაითაც ყოველთვის სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასა ს. წერეთლის ღვაწლი. გარდა საბრძოლო ორდენებისა და მედლებისა, იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით. მისი ჯილდო იყო აგრეთვე ის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რომლითაც იგი ყოველთვის სარგებლობდა მოწინავე ინტელიგენციაში, მის საყვარელ ახალგაზრდა თაობაში.

ს. წერეთელი იყო არაჩვეულებრივი შრომისმოყვარე მეცნიერი, დაუცხრომელი მაძიებელი, მისთვის ყველაზე დიდ სიამოვნებას მეცნიერული მუშაობა წარმოადგენდა. მისი მეცნიერული შემოქმედება არასოდეს არ იყო რეკლამენტირებული; ყოველთვის ინტენ-

სიურად მუშაობდა — როგორც საწერ მაგიდასთან, ისე ლექციებზე, კითხვებს, თუ ნაცნობ — მეგობრებთან. მოწინავე ბთან საუბრის დროს; მისი გონება ყოველთვის ფილოსოფიურ პრობლემებს დატრიალებდა. ს. წერეთლის დაუშრეტელი ენერჯია, მეცნიერის სხვა თვისებებთან ერთად, განცვიფრებდა იწვევდა მის ნაცნობებში. ამ დიდებული მეცნიერის ყოველი ახალი ნაშრომი არა მარტო განვლილი კვლევა-ძიების შედეგი იყო. არამედ მომავალი მუშაობის პროგრამასაც წარმოადგენდა. მას განზრახული ჰქონდა შეექმნა მონოგრაფიების სერია ფილოსოფიის აქტუალურ საკითხებზე, გამსაყუთრებით, დიალექტიკური ლოგიკის დარგში — მაგრამ უღმობელმა სიკვდილმა შეწყვიტა მისი ინტენსიური, ესოდენ ნაყოფიერი მუშაობა.

ს. წერეთლის ნათელ სახეს, სპეტაკ, უმწიკვლო გულს, არასოდეს არ დაივიწყებენ მისი მეგობრები, მოწაფეები, უახლოესი ადამიანები და პატივისცემულები, ხოლო მისი იდეები სამუდამოდ შერჩება ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას.



„არმალიანი“

ამ ბოლო წლებში ქართველი მკითხველის მიზლითყვა სულ უფრო და უფრო იზრდება აღმოსავლეთის ხალხთა მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის ცალკეული ძეგლებისა და ნიმუშების ქართული თარგმანებით. ამ მხრივ მართლაც რომ მოსაწონია და მისასალმებელი ჩვენი გამოცემლობების საქმიანობა, რომელნიც დიდად უწყვეტ ანგარიშს აღმოსავლეთისადმი საზოგადოების ვაზრდილი ინტერესებს და ყოველთვის მზად არიან მკითხველებს ამ დარგში კეთილსინდისიერად და ღირსეულად შესრულებული თარგმანები, მონოგრაფიები და კრებულები მიაწოდონ. ახლა ჩვენ უკვე გვაქვს საქვეყნოდ აღიარებული სპარსული კლასიკური პოეზიის უდიდესი წარმომადგენლები: რუდაქის, ფირდოუსის, ომარ ხაიამის, საადის, შაფეზის, ჯამია და სხვათა შემოქმედების ცალკეული ნიმუშებისა და კრებულების მეტნაკლებად სრული თარგმანებიც კი. გადმოქართულებულია აგრეთვე თანამედროვე არაბული, თურქული და სპარსული პროზის ზოგიერთი საუკეთესო ნიმუში. მშობლიურ ენაზე ვკითხულობთ დღეს საბჭოთა აღმოსავლეთის ისეთ ცნობილ პოეტთა და მწერართა შემოქმედების ნიმუშებს, როგორცაა ლაპეთი, სადრიდინ აინი, მირზო ტურსუნ-ზადე (ტაჯიკეთიდან), მირზა ფათალი ახუნდოვი, საბირი, სამედ ვერგენი (აზერბაიჯანიდან) და სხვა; ხაზგასმით აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ ქართულ ენაზე უშუალოდ დედნიდანაა თარგმნილი გალაბანი ირანელთა ზორიანტრული რელიგიის საღვთო წიგნიდან „ავესტადან“. „გულგამეშაინი“ — ძველი აღმოსავლეთიდან, აქადური პოეზიის ვს ბრწყინვალე ძეგლი. „შაქენტალა“ — VI—V საუკუნეთა დიდი ინდოელი მწერლის კალიდასის პიესა და სხვა, ყველა ზემოთქმულს უნდა დაეუმატათ ისიც, რომ ამ რამდენიმე თვის წინ „საბჭოთა საქართველომ“ მკითხველებს მიაწოდა აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურის ნიმუშების საინტერესო კრებული „არმალიანი“.

არმალიანი, როგორც მკითხველს მოეხსენება, სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ფეშქაშს, ძვირფას საჩუქარს. ამიტომაც სარეცენზიო კრებულის უკვე სახელწოდება ხიბლავს და იზიდავს მკითხველს, ხოლო როდესაც იგი ესოდენ სათუთად და მოხდენილად გამოცემულ წიგნს გადაშლის, მის თვალთა წინ აიკინება აღმოსავლეთის ძველთაძველი კულტურის მკონე ხალხთა მზატერული აზრისა და სიტყვის არა ერთი და ორი „ხელისხელ საგომანები“ მარგალიტი, რომელიც „ქართველ კაცს გზადაგზა მოსწონებია და უთარგმნია“ (გვ. 5).

„არმალიანი“ წარმოდგენილია სპარსული, არაბული, თურქული, ინდური, აზერბაიჯანული და ძველი აღმოსავლეთის ლიტერატურის ცალკეული ღირსშესანიშნავი ნიმუშები, რომლითაც მკითხველი გარკვეულ წარმოდგენას შიილებს, როგორც ძველი და შუა საუკუნეების, ისე ახალი და თანამედროვე აღმოსავლეთის ესოდენ ჰუმანისტური და პატრიოტული იდეებით მდიდარი მწერლობის შესახებ.

კრებულში წარმოდგენილია თარგმანები, მკითხველის გამოცემით, უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე გამოქვეყნებულია ცალკეული გამოცემებისა და კრებულების სახით, აგრეთვე — ფერნალებისა და ვაზეთების ფურცლებზე, ამიტომ „არმალიანი“ არ წარმოადგენს ისეთ წიგნს, რომელიც პირველად აცნობს ქართველ მკითხველს აღმოსავლური ლიტერატურის სავანძურიდან ამოკრეფილ ნიმუშებს; მიუხედავად ამისა, იგი მისასალმებელი მოვლენაა, რადგან მისში ერთადა თავმოურილი უკვე არსებული თარგმანების უმრავლესობა.

„არმალიანის“ ერთ უმთავრეს დავებობ მხარედ ჩვენ ის მიგაჩანია, რომ მისში წარმოდგენილი თარგმანები თითქმის ყველა ორიგინალიდანაა შესრულებული. ამ პრინციპით შეუდგენია აღნიშნული კრებული სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის ცნობილ მთარგმნელს მ. თოდუას.

„არმალიანი“ მხოლოდ ქების ღირსია ორიგინალიდან მომდინარე ისეთი საუცხოო თარგმანებით, როგორცაა, მაგალითად, პროფ. დ. კობაძის მიერ შესრულებული ადგილები საადის „ბუსთანდანი“, დოც. ვ. ფუფუნაძის მიერ—ერ-

„არმალიანი“, შედგენილი მ. თოდუას მიერ, „საბჭოთა საქართველო“, 1965.

თი ნაწევები XI საუკუნის ცნობილი ირანელი პოლიტიკური მოღვაწის, ომარ ხაიამის თანამედროვის ნიჰამ ოლ-მოლქის „სიასეთ-ნამედან“, დოც. შ. ზებუას მიერ — ახალი სპარსული მხატვრული პროზის ფუძემდებლის წვამლ-ზადეს ნოველა „თანამედრობის ყაი“, თ. გორელი-შვილის მიერ თარგმნილი ერთი ადგილი ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების ცნობილი სპარსული მწერლის, შორთაზა მოშფუე ქაზემის, თავის დროს დიდად გახმაურებული სოციალური რომანიდან „საზარელი თეირანი“, ა. კელიძისა და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის შ. თოდუას და ე. კოტიტიშვილის მიერ ქართულად ესოდენ კარგად აღწერებული რომაეები ომარ ხაიამის, თანამედროვე ირანელი პროზის ცნობილ ისტატების: სადეუ ჰელაიათისა და ბოზორგ ალავის მოთხრობების თარგმანები, შესრულებული დოც. ალ. გვახარისა, დოც. თ. კეშელავისა და ნ. ჩხვიდის მიერ. მაგრამ სარეცეზიო კრებული მდიდარია არა მარტო სპარსული მწერლობით, არამედ იგი დამწვევებელია უშუალოდ ორიგინალიდან მომდინარე არაბული ლიტერატურის ისეთ ნიმუშებით როგორცაა აყად. გ. წერეთლის მიერ თარგმნილი ლიანხელი მწერლის, თანამედროვე არაბული ლიტერატურის ფრიალ თვალსაჩინო წარმომადგენლის, ემინ რეიჰანის, ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „განმკურნე მე, ზევის ქალღმერთო“. აგრეთვე — დოც. თ. მარგველაშვილისა და დოც. ნ. ფურცელაძის მიერ არაბულ ხალხურ ზღაპართა წიგნიდან, ესოდენ სახელგანთქმული „ათას ერთი ღამიდან“ გადმოქართულებული რამდენიმე ნაწევები, და ნ. ფურცელაძის მიერ თარგმნილი, ცნობილი არაბი (ეგვიპტელი) მწერლის, თანამედროვე არაბული ნოველის ფუძემდებლის მაჰმუდ თეიმურის „მოგზაური“.

ყურადღებას აპყრობს „არამალანში“ აგრეთვე თურქული ლიტერატურა, რომელიც აქ წარმოდგენილია როგორც შუა საუკუნეების მხატვრული ლიტერატურისა და საისტორიო მწერლობის ნიმუშებით, ისე თანამედროვე პოეტური ქმნილებებითა და ცალკეული პროზაული ნაწარმოებებით. სსსიამოვნია, რომ ამ კრებულში სათანადო ადგილი დავითი თურქული პოეზიის ერთ-ერთი პირველი ნიჭიერი მთარგმნელის, უდროოდ დაღუპული ვახტანგ აკაკილიძის მიერ მალაღი პოეტური სულისკვეთებით შესრულებულ თარგმანებს ნაწილ ჰქმეითის პოლიტიკური ლირიკიდან. კრებულს თურქულ ვანოფიღელეზსა და საერთოდ მიუღ წიგნს ღირსებას მატებს პროფ. ს. წიქიას მიერ ჩვენი დროს გამოხენილი მწერლის რუმელად ნურთ გუნთქინის (გარდ. 1956 წ.) მოთხრობის „სტუმარი ღვთისა“-ს თარგმანი, აგრეთვე თანამედროვე თურქული პროზის ნაყოფიერი მთარგმნელის დოც. ნ. ჩანაშაის მიერ გადმოქართულებული პროგრესული თურქული პროზის ყვე-

ლაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენლის საბაჰათინ აღის მოთხრობა „წიგნები უმჯობესად“ თურქოლოგებს ფილელაფიქტი მესმის ერებათა კახიდატს ი. გოციბიშეს, ლ. ჩლიძისა და ე. ჯავლიძეს გუთონით ასევე ორიგინალიდან შესრულებული თარგმანები XV—XVI საუკუნეთა თურქი პოეტების: ისა ნეჰათისა და შიპრი ხათუნის ლირიკის ნიმუშებისა, ხოცა ნასრედინის ანეკდოტებისა და თანამედროვე თურქი მწერლისა და პედაგოგის ორჰან ჰანერლის მოთხრობისა „უეცრივი ქალაქი“. შეუნელებელი ინტერესით იკითხება დოც. გ. ფუთურბის მიერ თარგმნილი ნაწევები XVII საუკუნის თურქი მწერლისა და მოგზაურის ევლია ჩელეების ცნობილი თხზულებიდან, რომელსაც „სეთაიათ-ნამე“ („მოგზაურობის წიგნი“) ეწოდება.

მაგრამ თუ სპარსულიდან, არაბულიდან და თურქულიდან თარგმნილი ცალკეული ლიტერატურული რეკლებისა და ნაწევების მნიშვნელოვანი ნაწილი სარეცეზიო კრებულის გამოცემამდეც არა ერთხელ ყოფილა გამოქვეყნებული და ამდენად ისინი ქართული მკითხველსათვის უკვე ცნობილი იყო, ინდოეთისა და ბევრი აღმოსავლეთის ლიტერატურის ნიმუშებზე ამის ვერ ვიტყვით და ამიტომაც საგანგებოდაა აღსანიშნავი „არამალანში“ ინდური ორიგინალიდან წარმოდგენილი თარგმანები, რიგვედადს („ქებათა ცოდნა“) შესრულებული აყად. გ. ახვლედიანის მიერ „კალიდასის“ ზემოსხსენებული პისის ნაწევებისა — დოც. გ. ნახუცრიშვილის მიერ, ცნობილი თანამედროვე ინდოელი პროგრესული მწერლის კრიშნ ჩანდლის პროზის შესანიშნავი ნიმუშებისა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის თ. ჰავეჯაძის მიერ თარგმნილი და შანტი მეჰროტრას მოთხრობა „უძილო ღამები“, რომელიც თარგმნილია შ. მოდებაძის მიერ. ბენგალიის სასიკეთოდო მწერლის, დიდი ინდოელი პოეტის, ზეღუანისა და მოახოვანის რამინდრანატ თავორის პოეტური შექვიდრების ქართული ლექსით გადმოცემის უფთოდ გაბედული ცდები თ. ჩხევეტისა და ე. ვაშყრელიძის მიერ შესრულებული თარგმანები.

დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველს აქადური პოეზიის ბრწყინვალე ძეგლის, ძველი აღმოსავლეთის გარდასულ საუკუნეთა შორეთიდან სიცოცხლის ძალისა და რწმენის დამყვადრებელი „გლამამეშაინის“ ნაწევებები, შესრულებული ზ. კიკნაძისა და შ. წერეთლის მიერ, ასევე საყურადღებოა ზ. კიკნაძის მიერ თარგმნილი „ეტანის მითი“, „ადამა“, „მატონი და მონა“ და „ქებათა-ქება“, რომელიც კვლავ ასურულ-ბაბილონური და ებრაული ორიგინალებიდან არის უშუალოდ თარგმნილი.

საბოლოო აღმოსავლეთის მომე ხალხთა ლიტერატურიდან „არამალანში“ სამწუხაროდ მხო-



ლოდ აზერბაიჯანელი მწერლობის ნიმუშებია წარმოდგენილი. შუა საუკუნეებიდან ხაყანი და ნინაში, XIX-დან მირზა ფათალი ახუნდოვი და საბირი (გარდ. 1911 წ.), ხოლო თანამედროვე სამკოორი პერიოდიდან არც ერთი!

თამაშად შეგვიძლია მოწონება გამოვთქვათ ხაყანისა და ნინაშის თარგმანებზე, რომელიც შესრულებიან დოც. ალ. ვაჰაბაიას და მ. თოდუას. პირველს ხაყანის რომაეები, ხოლო მეორეს — ნაწევები ნინაშის უმთავრესი პოეზიადან, „ლეილი და მაჯნუდიდან“. მაგრამ კრებულის აზერბაიჯანულ ნაწილში განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ გ. შაყულაშვილის მიერ აზერბაიჯანულიდან თარგმნილი მირზა ფათალი ახუნდოვის „მოტყუებული ვარსკვლავები“ და ლ. ერაძის მიერ — ამავე მწერლის „წერილი ზაქირს“, დავსძენთ, რომ ქართველი მეთხველი საერთოდ ნაკლებად იცნობს აზერბაიჯანისა და მთელი მუსლიმანური აღმოსავლეთის ამ დიდ მწერალს, მოაზროვნესა და განმანათლებელს. აქვეა წარმოდგენილი ლ. ერაძის მიერ შესრულებული კიდევ ორი თარგმანი ცნობილი აზერბაიჯანული პოეტის საბირის პოეზიიდან.

ყველა ზემოთქმულიდან მხოლოდ ერთ დასკვნას გამოიტანს მკითხველი, რომ „არშადანი“ მისაწონი კრებულაა, მისასაღებელია მისი გამოცემა და სასურველია, ანთოლოგიის ტიპის ასეთი წიგნები კვლავაც მიიღოს ქართველმა მკითხველმა. ამიტომ გვინდა ერთი-ორი შენიშვნაც გამოვთქვათ.

როგორც წინასიტყვაობაში ნათქვამი, კრებულე არ ყოფილა შედგენილი რაიმე მტკიცედ რეგლამენტირებული წესით: „ზოგან ავტორს გაეუწიეთ ანგარიში, ზოგან კიდევ მთარგმნელს ვერ შეველოეთ...“ (გვ. 5). ეს ყოველივე გასაგებმა, მაგრამ რაჟი „საბჭოთა საქართველოში“ არ დიშორა თანაბების რაოდენობა ასეთი კარგი საქმისათვის, იქნებ უფრო რაციონალურად წარმოდგენილიყო მისში მასალა, ადგილი დასთმობდა წიგნში საბჭოთა აღმოსავლეთის ლიტერატურის ნიმუშებსაც და ამით ეს კრებულე თანამედროვეობასთან კიდევ უფრო ახლო მდგარიყო: „არშადანიში“ შეიძლება წარმოდგენილიყო საბჭოთა ტაჯიკური ლიტერატურა სადრდიფ აინის, მირზო ტურსუნ-ზადესა და სხვათა შემოქმედების ნიმუშებით, რომელთა ქართული თარგმანები უკვე არსებობს. დასაწინაა იგრძევე, რომ სასრუცენოთი კრებულეში არაა წარმოდგენილი ისეთი დიდი საბჭოთა აზერბაიჯანული პოეტი, როგორცაა, სამედ ვერგენი, რომლის ლექსების ქართული თარგმანი მოგვეპოება. სადავო არაა, რომ „პეწისათვის“ ნამდვილად კარგი აღმოჩნდა „არშადანიში“ „ეისრამანიდან“ და „ქილილა და დამანდან“ ნიმუშების გარეგა, მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, რომ მკითხველი საბჭოთა აღმოსავლეთის პოეზიის

ნიმუშებსაც გულობილად მიიღებდა და სიამოვნებით გაეცნობოდა მას. საჩუქრისა და კრებულის 270 გვერდზე აღნიშნულ „არშადანი“-ში თქმა უნდა, თავისუფლად მოთავსდებოდა, ზოგიერთის, თუნდაც ირანის ლიტერატურის შეცდომების ხარჯზე, რომელსაც წიგნში მთელი ისი გვერდით უქრავს, და რაჟი სპარსული (ირანული) ლიტერატურა ვახსენეთ, იმასაც შევნიშნავთ, რომ მისი კორიდე და მშვენება ფირდოუსი „არშადანიში“ წარმოდგენილია სტრიქონულთან მამშუდის გასათრვად; ე. ი. ისეთი თხზულებით, რომლის ეთუნელება პოეტისადმი დღეს მეცნიერებაში, მეტი რომ არ ვთქვათ, საფუძვლიანი გვეის ქვეე არის დაყენებული. განა არ გვაქვს „შამანმედან“ კარგად გამართული ცალკეული პოეტური ადგილები ქართულად თარგმნილი? კრებულეში წარმოდგენილი „ზაქირის“ თარგმანი, შესრულებული აღორძინების ხანაში, რასაკვირველია, საყურადღებოა, მაგრამ იგი უფრო მკვლევართათვისაა ინტერესის აღმტრეელი. — „არშადანი“ — კი პირველ რიგში მასიური მკითხველისათვის განკუთვნილი წიგნია. წიგნის შემდგენლისადმი გვაქვს ერთი შეთხება. რაჟი ნინაში განკველი და ხაყანი აზერბაიჯანულ ლიტერატურაშია წარმოდგენილი, რდამე რაღატომაა მოწვევითი ტაჯიკური ლიტერატურას? რდამე მისთანან დაეკუთვნილებით ისიც აღსანიშნავია, რომ იგი იმ მოკლე ცნობარში, რომელიც ყოველი ავტორის შესახებ კრებულეში სითანადო ადგილისაა წარმოდგენილი, სრულად ვარკვეულად დაბდე-ბოთე ბრმადია გამოცხადებული; სინამდვილეში რდამეის სობრძევის საკითხი კვლავაც ცილობას იწვევს, ხოლო მისი ჩვენამდე მოღწეული შემკვიდრების საფუძვლიანი შესწავლა-მიგვიითებს, რომ შეუძლებელია იგი ბრმა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში დაბადებიდანვე. როგორც ვთქვით, ყოველ თარგმანს წინ უძღვის მოკლე ცნობები მისი ავტორისა და თვით თხზულების შესახებ. ეს, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ მათში ყოველთვის არ არის დატული აუცილებელი სიზუსტე. ასე მაგალითად, 28-ე გვერდზე წარმოდგენილია ინდოელი მწერლის შანტი მეპროტრას მოთხრობის — „უბილო ლამეების“ თარგმანი, მაგრამ რომელენაზ წერს ავტორი? ან თუნდაც კრშიან ჩანდრი?

„არშადანის“ წინასიტყვაობაში ეკითხვობთ: „ასეთი ხასიათის კრებული ჩვენში პირველად გამოდის და, ვიმედოვნებთ, რომ იგი გამოადგება ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობასა და სტუდენტობას, საერთოდ ყველას, ვისაც აღმოსავლეთი და მისი ელტურა ინტერესებს. ეს ინტერესი კი დღითიდღე იზრდება, რადგან აღმოსავლეთმა კარგა ხანია საღათს მიღისაგან გამოიღვია და ფართო-საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდა“ (გვ. 5).



ჩვენც ამ სიტყვებით ვამთავრებთ ამ რეცენზიას, მხოლოდ გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ჩვენიცა და უცხოეთშიც იმდენი რამ გაკეთდა აღმოსავლეთის ხალხთა დიდი კულტურული წარსულის შესწავლისა და მათი ეროვნული ღირსების გამოჩინების საქმეში, რომ უკვე საჭირო მოპველებულად და უშინაარსოდ იმის ოდესღაც ეგზოტიკურად შერაცხული აღმოსავლეთის დღეს საღათას ძილისგან გამოფხიზლებულად გამოცხადება; წიგნი „არმაღანიში“ კი, რომელიც „ზღვაში“ წვეთია იმასთან შედარებით, რაც აღმოსავლეთში შეიქმნა“ (იქვე), ნათლად ჩანს, რომ ჰუმანისტური და პატრიოტული სულისკვეთებით ესოდენ მდიდარი ლიტერატურა, რო-

მელსაც თავისი არსებობის საუკუნეთა განძილზე არა ერთხელ დაუძრავს სოციალურ-პოლიტიკურ ღრუბლებში, შებრძობელია აბსტრაქციულ-აქსიომატულ დასწრებშია სიმბოლურ აზროვნებაში, თავის წილში ფართოდ გაუხსნია გზა სამყაროს მატერიალისტური გაგებისათვის და შეიქმნების თეორიაშიც, არა ერთხელ უთქვამს თავისი გზებდელი სიტყვა შეუძლებელია შეიქმნა საღათას ძილით შეპყრობილ ხალხებს. მაგრამ აღმოსავლეთის ასეთ გაგებას თავისი ისტორია აქვს და ამიტომ სიამოვნებით შეიძლება აღინიშნოს, რომ „არმაღანი“ მსგავს შეხედულებათა საწინააღმდეგოდაც საჭირო კრებულა.

კონსტანტინე ფალავა

გაზაფხულის ნიაღვრები

შალვა აფხაიძე საბჭოთა თანამედროვეობის მხატვარი, მაგრამ მის ღირსსა ჩვენი ქვეყნის წარსულიც კვებავს. იგი ისტორიულ სინამდვილეს ისტორიულ უკავშირებს თანამედროვეობას. შ. აფხაიძე პოეტური გუმანიზმით გააღწევა ხოლმე შორეულ, ზოგჯერ ბერუსით მოცულ წარსულს, სინტერესო ფაქტს გამოამხეურებს და დღევანდლობას შეაჩერებს. ეს არ ვახსოვთ წარსულის იდეალიზაცია; პოეტი ისტორიულ წაშლის თვალწინდენ ზღვარს და შორეულ საუკუნეებიდან დღევანდელი პოეტის სამშობლოს სიკეთისათვის მებრძოლი იდეალის სახე წარმოგვიდგება. იგი ამაყად გვაუწყებს, რომ „შე შერქვა ხეო“, ურარტუ, თუბალი, შრავალგის დატრიალი ნაწამებო მთარღვედა ცხოვრების ტალღებს, ეომებოდა მომხდურს, მოძალადეს, გზას მიიკვლევდა მრემე ღამეში, საკუთარი მიწის სიყვარული უნათებდა გზას სინათლისა და თავისუფლებისაკენ.

კვებით. „დიდება შენდა, დიდო სიციცხლევ“, შესახებებს პოეტი და ამ ეპიკურ წამობილში შევიცნობთ საუთარ ხმასა და გულისძვარას. შ. აფხაიძის ღირსიული სითბოთი გატენილი პოეზია ამ ტყბილი ცხოვრების პოეტური ხილვაც ვახლავთ და დიდი მოძალის საჯარო-ბელიც. საჯარო-ბელი რომელიც სრულდება შვის ჩასვლისას, მაგრამ გულისხმობს ხელა შვის ამობრწყინებას.

შ. აფხაიძის პოეზია ზასიათდება თემატური შრავალდროვნებით და აზრის ორიგინალობით. მის ემარკება ყოფითი დეტალების აღქმა, ლექსის უფრო მელოდიურობით წარმოთქვამს და მოგვაგონებს დიდი სიციცხლისათვის დაგუგუნებულ საჯარო-ბელს.

ჩვენი ეპოქის შემოქმედია შალვა აფხაიძე, „დროს შვილი ვარ, არ დამაიფყდესო“, მტკიცედ წარმოთქვამს და დავიწყებული თვალი უთუოდ შენიშნავს მის ღირსიული საბჭოთა თანამედროვეობის მდიდრული პირობის მელოდიებს. პოეტის სიყვარულის საგანია საბჭოთა საქართველო, სიცილიზმის ქვეყანა, როგორც ხეთის, თუბალის, ურარტუს ხალხთა აღზევების შედეგა, რომელმაც დამოუკიდებლობისა და სიციცხლისათვის ბრძოლის დაუცხრომელი ეონით გაუძლო ისტორიის ქარტვილებს, გადაიტანა წარმოდგენილი შეიწროება, „აზიის ევლურს, სასტიკ ქარიზხლეს მარტოდ შეთილი“ ტიტანურად გაუმკლავდა. სამავიეროდ შეინარჩუნა თავისი ენა, კულტურა, თვითმყოფადობა და სულიერით და მატერიალური კულტურით გვერდში ამოუდგა მსოფლიოს მიწინავე დიდ ერებს. პოეტი ხელოვანის პოზიციებიდან აღიქვამს ამ დიდ ისტორიას. „მწეავდა ხანძრები, სისხლად ედნებოდი, გზას მინათებდა სიმართლის ხმალი“. ამ სიმართლის ხმლის ნაკვალევი იგრძნობა შ. აფხაიძის პოეზიაში:

სიციცხლის მძაფრი გრძნობა და სიყვარული მოგვესმის შალვა აფხაიძის ღირსიული ყოველი მისი ლექსი სიციცხლის ეშხით ბრწყინავს. ამ სიციცხლის ღამებ საჯარო-ბელში იმისი პოეტის ომბახიწ და იმედიანი ხმა.

ახლა აქ ვსახლობ და მზიან დროშას ჩემში აქვს ბინა, ჩემს ცხელ უბეში სიუყენეთა იმისი ყიფნა. ამ ქარიზხლებმა ვეღარ გამოთღონ. წარსულს აქედან ამაყად ვემზერ,

შალვა აფხაიძე, „გაზაფხულის ნიაღვრები“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

დიდება მშოსავს მე — საქართველოს, ვლგაგარ მწერგვალზე — დიდ ისტორიის ტალღების ზურგზე. ასე შეგონია, სამოთხის მზე ვარ, როგორც მხედარი კომუნისტისა დღეს ისე ვლგაგარ.

ქართული მიწის დიდმა სიყვარულმა აღაფრთოვანა ქაბუკობაში პოეტის გული და დღემდე თავისი სამშობლოს ზედნიერებას შესტრფის, თავის ძალა, სიცოცხლე უნაყვადებია ამ ქვეყნის სიმტკიცისა და თავისუფლებისათვის. შ. აფხაძე თავის არსებაში აერთიანებს სამშობლოს, და სიცოცხლე მისი დღეგრძელობის გარეშე არაფრად უღირს. იგი მაღალი საბჭოთა პატრიოტიზმის მქადაგებელია და გელათის, ოშკის, სვეტიცხოველის, ნიკორწმინდის ჩუქურთმათა შემქმნელი ხალხის გმირობის მომღერალი. ახალი საბჭოთა საქართველოს უხადო სიმღერა გვიფხვია შ. აფხაძემ ერთ ლექსში — „სამშობლო ჩემო“:

მე ვსუნთქავ მხოლოდ შენ თბილ უბეში, შენა ხარ ჩემი ერთი ნუკეში და ჩემი თვალის სინათლე შენ ხარ, ჩემს ძარღვში სისხლის მიმოქცევა ხარ, გულის ფეთქვა კი — ესეც შენა ხარ, მხად ვიყავ მარად, სულის ნაპრალი და უფსკრულები გადამელახა, ოღონდ დიდება შენი ნენახა, შენახა შენი ოცნებანი ალი, და ასეთს გბედავ: თითქოს უვავილის რბევა შენა ხარ და სიყვარულის ენაც შენა ხარ, სამშობლო ჩემო!

მართალია, შ. აფხაძის ლირიკაში ხანდახან თავს იჩენს თავისუფალი მიდგომა რიტმისადმი, მაგრამ ამას გამოსასახავი საგნის ბუნება მოითხოვს და ენის მდიდარ შესაძლებლობათა საფუძველზე ხდება ნიუანსირებული გადასვლა საგნიდან საგანზე. ეროვნული კოლორატი, პოეტური საბეჭდი, კონკრეტული სურათება გვხვბლავს შ. აფხაძის ლექსებში. იგი ამაღლებული ლირიკული ხმით ადიდებს ჩვენი სამშობლოს ზვიად მთებს, მოლაღანე ველ-მინდვრებს, სბუკოთა ადამიანის მიერ ამრიალებულ ბალ-ვენახებს. ლექსების კრებულის სათაფრიც „ვაზაზ-ბელის ნიაღვრები“ სიმბოლურად მიუთითებს ღრმა ჩანაფიქრს, — ჩვენი ქვეყნის მარადიულ სიკაბუჯეს. გრძნობის სისპეტაკე და შესრულების ოსტატობა ახასიათებს პოეტის ლირიკულ ლექსებს „დიდება მშოსავს მე — საქართველოს“, „მარადის ველი“, „იესება მთვარე“, „თბილისის დილა“, „მე შენით ვსუნთქავ“, „ეს არილია“, „განა ვერ ხედავ“, „სომხეთი“, „თუმცა მოვხეტდი“, „მივალ, მივდივარ“, „ქვეყნად მოესულვარ“, „სასწაულები“, „მივარდევ სიერ-

ცეს“, „წვიმა ქალაქში“, „ო, რა დარია“, „ქოკონდა“, „ხლეა მშვიდად სუნთქვს“. „მე შენით ვსუნთქავ, თბილისის კერა შენა შენი მაიცოცხლებს, მათობას“. ამ ლექსსა და მიწის სიყვარულში გაიარბნა წლებმა, „თქვენს სიყვარულში, თქვენზე ლოცვაში, მოკვამე ჩემი წუთისოფელი“, მიმართავს მშობლიურ მთებს პოეტა.

„მე ვაზაფხულის სიმღერებს ველი, იასამინის ფარფშა ბეჩქთან მე აპრილს ვეცდი. ის მოგა... მოვა“. ოპტიმიზმით შთაგონებული პოეტი გვიჩვენებს საბჭოთა ხელოვნების შემართებულ ძალას და მნიშვნელობას მომავალი თაობის წინაშე, შ. აფხაძე დიდი მხატვრული ტაქტით გვიხატავს კომუნისტის მშენებელი ადამიანის სულიერ მისწრაფებებს, ახალი საქართველოს შენებას. სიცოცხლესა და ცხოვრებაზე შეყვარებული პოეტი სიმღერით იბრუნებს სიკაბუჯეს და თითქოს ფენიქსოვით ახალგაზრდაედება. ლამაზი პეიზაჟები განსაკუთრებით იზრდავს პოეტს, როგორც კონკრეტული სურათოვნებით აფერადებს ნახატს. შ. აფხაძე ბუნებას და ისტორიას კი არ ლექსავს, არამედ ლირიკულად ხედავს და ვინიციის საგანს და ყოველ საგანს ანათებს მხატვრული ფანტაზიით და ხელოვნებაში ანიჭებს სიცოცხლეს:

პო, აპრილია ასე რომ სუნთქავს და ყოველ ზეზე რეკავს კვარტებით, ეს მან დაანთო სიცოცხლის ალი... ეს არილია, თავს რომ დამწივის და გამიშთელა გულის ფიცარი. თითქოს ოაბრუნდა ახალგაზრდობის მსუბუქი ფრთებით სიზმრის არწივი და ლალად დაქრის ჩემს გულში ისევ, იჭრება ჩემში ლავჯარდთა ქარი... მე მზით ავივს.

ჩვენი საუკუნე კოსმოსის ათვისებისა და ატომბულის საიდუმლოების შეცნობის საუკუნეა. ამ საქმეთა ერთუზიასტების საგნობო საქმეების შექმნა პოეტის პირდაპირი ამოცანაა. რაც უნდა დიდი სიმძვლის წინაშე დადგეს პოეტი, ბოლოს და ბოლოს, მაინც უნდა უპასუხოს ცხოვრების მიერ დასმულ ამოცანებს და მხატვრულად ხორცი შეასახს მილიონთა ოცნებას. შ. აფხაძის საინტერესო ლირიკული ლექსი „სასწაულები“, მეტყველებს პოეტის ჯერ კიდევ დამუშრტულ ენერჯიასა და შემოქმედებით შესაძლებლობაზე. ხსენებულ ლექსში მამფრად იგრძნობა ქვეყნის ამშენებლობის პათოსი, უდაბნოში წყლის დაბადება, კოსმოსში აპრილი ციფრი მშენის ცთილი ღიმილი, მშენილობიანი შემოქმედებითი შრომის ჰეროიკა, მიწისა და ცის ძახილი. ჩვენი ეპოქა გმირობის, ოცნების, მამაციობის, თავისუფალი შრომის, ტალანტების გაფურჩქვნის ეპოქაა. თვითველ ადა-

მიანს გადაშლილი აქვს მოქმედების ფართო ასპარეზი, კეთილ ოცნებათა განსახორციელებლად არსებობს რეალური პირობები. მდინარეები ჩადუნენ ადამიანის შეძლებული ცხოვრების სამსახურში. შთაბრძნავს მიფრინავს საბჭოთა რაკეტა, შეცნიერებამ ჩაიხედა ატომის გულში. უოველივე ეს ზომ სისწაულია. ამ სისწაულებს და ბუნების საიდუმლოებათა წვდომას აღიღებს პოეტი. „ჩა დროში ვცხოვრობთ, დღეს სიხარული მთელ ტანში გველისო“, ამბობს პოეტი. ეს ჩვენი გამარჯვებული ზალხის სიხარულია, ჩვენი ეპოქის მაღიღებელი სიმფონია. „საბჭოთა კავშირის მარად დიდება“, ამ საოცარი სისწაულების, განუმეორებელი სიციცხლის ლამაზ ქებას ამბობს შ. აფხაძე, რომელიც ალტაცებით გვაუწყებს, რომ „სიხარული ქვეყნად უღვეი, გვირტყამს სიციცხლის ტალ-

ღა მაღალი და დრო საყვება სისწაულებით“. ჩვენი ქვეყანა განახლების, სიკმატეს, ადამიანთა მომბის, შეგობრობის ციტადელი და სიციცხლის გზის გამაყვავი:

უშვენიერეს ჩემს სამშობლოში
ქვეყნის მიწა და სუნთქავს ლაყვარდი...

შალვა აფხაძე დრო და დრო მოიგონებს სიყრმის გაფრენილ წლებს, გრანიტის დაწინწკლულ ქვებზე წყალწითელას ჩუჩჩუნს, გელათის ვუშბათების ელვარებას, რიონის შჩქეფარე ტალღებს და ზელახლა იბრუნებს ქაბუქური ხმის სილამაზეს, რათა ბოლომდე თქვას სამშობლოს საიდუმლოდ წამოწყებული გრძელი სიმღერა.

ბ. ლომთაძე

XVIII საუკუნის I ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის

რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორია, როგორც ჩვენი ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი პრობლემა, დიდი ხანია იქცევის მკვლევართა უფრადღებას. ფსადიდებელია ამ დარგში, როგორც რევოლუციამდელი (ს. ბელოჯეროვის, ა. ევაგრელის, გ. ბროსეს), ისე საბჭოთა ისტორიკოსების უფროსი თაობის (შ. პოლივექტოვის, ნ. ბერძენიშვილის, ი. ცინცაძის), დამსახურება. წინა თაობებში უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების გამოვლინებითა და საუფრადღებო გამოკვლევებით გაამდიდრეს ჩვენი მეცნიერება რუსი და ქართული ზალხების საუკუნოვანობის შეგობრობის შესახებ.

მაგრამ როგორი დიდიც არ უნდა იყოს წინა თაობების დამსახურება, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის კვლევის დარგში ავლავაც ბევრი რჩება გასაკეთებელი, რაზედაც აქარაღ მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენ დღემდე არ გავაჩნა ამ ურთიერთობის მთლიანი ისტორია (X საუკუნიდან XIX საუკუნემდე) რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის მთლიანი ისტორიის დამწერისათვის კი არც საისტორიო დოკუმენტების სრულ პუბლიკაციებზე გავაჩნა და არც ამ ურთიერთობის ყველა ეტაპია მონოგრაფიულად შესწავლილი.

სწორედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ერთ-ერთ შეუსწავლელ საკითხს ეხება ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გ. პაიჭაძის ნაშრომი: «Русско-грузинские отношения в 1725—1735 годах».

სარეცენზიო ნაშრომი ემყარება ავტორის შიერ გამოვლინებულ დღემდე უცნობ საარტივო დოკუმენტებს, ამასთან ავტორი მასალის ძიე-

ბისას არ შემოფარგლელია ე. წ. აგრუზინსკიე დელას“ ფონდით, როგორც ადრე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის კვლევისას ხდებოდა.

სარეცენზიო ნაშრომის პირველ თავში (სქართველი ზალხის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ 1723-1735 წლებში), რომელიც უფრო საკვლევე პრობლემის ისტორიული ფონია, ვიდრე სპეციალური საკითხი, როგორც ეს სათაურიდან ჩანს, ნაჩვენებია თუ როგორ მძიმედ დაწვა თავს თურქეთის ბატონობა („ოსმალობა“) საქართველოს ფეოდალური საზოგადოების უველა ფენას და განსაკუთრებით შშრომელ მასას, რამაც განაპირობა ქართველი ზალხის შეუპოვარი ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ 1723-1735 წლებში. მართალია, ამ საკითხზე საუფრადღებო გამოკვლევები გამოაკვეყნეს ავად. ნ. ბერძენიშვილმა და პროფ. დ. გერბიშვილმა, მაგრამ სარეცენზიო შრომის ავტორმააც ბევრი, დღემდე უცნობი დოკუმენტი შემოიტანა, გააფაროვა კვლევის არც და რაც მთავარია, გვიჩვენა ქართველი ზალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის კავშირი რუსეთთან.

ნაშრომის I თავში ქართველი ზალხის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ისე ფართოდაა დაკავშირებული რუსეთთან, რომ სათაურში კორექტივის სურვილიც კი დაგვებადა. დაბოლოს, ამ თავში საკმაოდ ნათლადაა ნაჩვენები ის დიდი ავტორიტეტი, რომლითაც ქართლის მეფე ვახტანგ VI, როგორც ქართველი ზალხის ნამდვილი მეთაური, მთელ საქართველოში სარეგებლობდა.

შრომის შიომდევნო თავში — „საქართველოს საკითხი რუსეთის საჯარო პოლიტიკაში“ — ავ-

ტორი, მდიდარ ფაქტურ მასალაზე დაყრდნობით ნათლად და დამაყრებლად უჩვენებს, რომ პეტრე I ვარდაცვალების შემდეგ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ხაზი მტიკიც არ იყო, რადგან მედლიტა ვერადღების ცენტრში ხელი-სუფლებისათვის ბრძოლის საკითხი დადგა, ამიტომ აღმოსავლეთის საკითხში საერთოდ, და კერძოდ, საქართველოს საკითხში, XVIII საუკუნე II მეოთხედში რუსეთის საგარეო პოლიტიკაში წინანდელი მნიშვნელობა დაკარგა; თურქეთმა სკიდა ესარგებლა რუსეთის სისუსტით და მთელი ირანი ხელთ ეგდო; ასეთ ვითარებაში, რუსეთი მხად იყო ერთი მხრივ, ირანისათვის უკან-ვე დაებრუნება ახლახან დაპყრობილი კასპის-პირა პროვინციები, ოღონდ იმ პირობით რომ იგი თურქეთის ხელში არ ჩავარდნიდა; ხოლო მეორე მხრივ, რუსეთის მთავრობა, ვრიდებოდა რა თურქეთთან ახალ შეჯახებას, მტიკიცდ მოითხოვა თურქეთისაგან დაეცვა 1724 წლის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს თურქეთს უთმობდა. ცხადია, ასეთ ვითარებაში ვახტანგ VI მოლაპარაკებას რუსეთის მთავრობასთან, არ შეიძლებოდა სასურველი შედეგი მოყოლოდა. რადგან ვახტანგ VI თურქეთის წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევის ითხოვდა, რუსეთი კი — 1724 წლის ხელშეკრულების პირობების შენარჩუნებისათვის იბრძოდა, ამასთან, რუსეთის მთავრობას არ სურდა რა კავკასიაში ერთგული მოკავშირეების (ქართველების და სომხების) დაკარგვა, მათ რუსეთში თავშესაფარს პირდებოდა და ვითარების შეცვლით ამედებდა, ხოლო ვახტანგ VI-ს თხოვდა დე-ყოლოება ირანის შაი თამაზი ეცნო 1724 წლის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება, რომ თურქებს სახაბო არ ჰქონოდა ვანჯარში ირანის ტერიტორიის დაპყრობა. ავტორი სამართლიანად მიუთითებს რუსეთის მთავრობის გაუბედობაზე, რომელიც მხად იყო ირანისათვის დაეშო დაპყრობილი პროვინციები, ოღონდ „ირანის საქმეებისაგან“ განთავისუფლებულიყო. (გვ. 56-96).

სარეცენზიო ნაშრომის III თავში ავტორი განიხილავს რუსეთის მთავრობის საგანგებო და-ეხლებით ვახტანგ მეფის საქმიან ვიზიტს ირანში 1726-1727 წლებში. რუსეთის მთავრობა ცდილობდა გამოეყენებინა ვახტანგ VI ნიჭი და ავტორიტეტი ირანთან ურთიერთობის მოსაგვარებლად. თუმცა ვახტანგ VI არ აკმაყოფილებდა რუსეთის ვიზებოება, მაგრამ იგი ირანში გამგზავრებაზე დათანხმდა, რადგან მასში ხელაედა საქართველოს როლის ზრდას და იმედოვნებდა გამოეყენებინა იგი თავის სასარგებლოდ. ვახტანგმა მასზე დაესრებულ ამოცანას თავი კარგად გაართვა და საქმეც სასურველი ვითი მიდოლო, მაგრამ რუსეთის წარმომადგენლის აბრამოვის არასწორმა ინფორმაციებმა და გენერალ ლევაშოვის უსაფუძვლო უნდაობლობამ (ქართველები-სა და სომხებისაგან) საქმე ჩაშლა. ამასთან, ირანის ტახტის პრეტენდენტ ამრატის წარმატ-

ბამ და მასთან თურქების ურთიერთობამ რუსეთის მთავრობას პირი ამზაფისაგან აბრუნებინა. ვახტანგ მეფემ რაკი დაინახა, რომ თურქეთის სი-სუსტის მიუხედავად, რუსეთი ავტორიტეტს ვერ ბედავდა, თითონ გადაწყვიტა მოლაპარაკება დაეწყო თურქეთთან, რათა ესარგებლა რუსეთ-თურქეთის 1724 წლის ხელშეკრულებით და ქართლის ტახტი დაებრუნებინა. მაგრამ ვახტანგის ირანში ჩასვლით დაეკებულმა თურქებმა, რომ ვახტანგი ქართველ-სომეხთა გამანათვისუფლებელი მოძრაობის ზრდას ბიჭს მისცემდა, რუსეთის მოსთხოვა ვახტანგი არა მართო გაეწვია ირანიდან, საერთოდ კავკასიის საზღვრებიდანაც შორს ყოლოდა და ვახტანგ მეფეც რუსეთში გაიწვია (გვ. 96-120).

შრომის IV თავში — „საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის და რუსეთ-ირანის ურთიერთობაში 1729-1732 წლებში“ — ავტორი დაწერ-რჩლებით იხილავს ირანში წარმოებულ შინა-ბრძოლას და გვეჩვენებს რუსეთის მთავრობის პოლიტიკას ირანში, ასევე რუსეთსა და თურქეთს შორის წარმოებული დიპლომატიური ბრძოლას ირანის საკითხის ვარშემო (გვ. 120-132). ჩვენ მართებულად მივჯანხვავართო მოსახრება, რომ ნადირის პირველი წარმატებებისა და ირანში თურქების მარცხის შემდეგ, როცა თვით თურქეთში ვარადა შინაბრძოლები, (1730-1731 წწ) ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა თურქეთის ბატონობისაგან აღმოსავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის, რადგან ირანის შაი ჯერ თვით საპირობდა მოკავშირეს თურქეთის წინააღმდეგ და რუსეთის ქარს შეეძლო მოქმედდა ამიერკავკასიაში, როგორც ირანის მოკავშირეს (გვ. 133). მაგრამ 1730 წელს ტახტზე ანა ივანეს ასულის ასული შეივალა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ეტრს, ახალი მთავრობა კიდე უფრო გაუბედავი და დამომობი აღმოჩნდა აღმოსავლეთის საკითხში, რასაც მოვდა 1732 წლის რუსეთის ტრაქტატი, რომლითაც რუსეთში ირანის დიუთო ასტრბადი, მანანდარანი და გილანი ვარადა ამისა, რუსეთი ბაქოსა და დარბანდეს დამომობასაც პირდებოდა ირანს, თუ იგი თურქებს დანარჩენ პროვინციებიდან განდევნიდა, თუმცა ირანის შაიკ პირდებოდა ვახტანგის აღდგენას ქართლის მეფედ (გვ. 134-136). რუსეთის მთავრობა ასეთ დამომობაზე თურქეთ-ირანის ერთმანეთთან და-ახლოების შიშით წეითა, რუსეთი აღმოსავლეთ საქართველოსაც კი უთმობდა ირანს, რათა ირანის მთავრობა მოეშრო, მაგრამ, ავტორის სამართლიანი შენიშვნით, რუსეთის მთავრობის შიში უსაფუძვლო იყო, რადგან მალე ძლევაგოსილმა სარდალმა ნადირმა თამაზი ტახტიდან ჩამოაგდო და თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედება განახლა (გვ. 137).

სარეცენზიო ნაშრომის V თავში საგანგებო-დაა მიმოხილული ვახტანგ VI პოლიტიკური მო-ღვაწეობა 1728-1735 წლებში. ვილინიდან დაბ-

რუნებისთანავე ვახტანგ VI ცდილობდა სასწრაფოდ ჩასულიყო მოსკოვს, რათა დაერწმუნებია რუსეთის მთავრობა საქართველოსათვის დახმარების აუცილებლობაში, ხოლო 1729-1732 წლებში არაერთგზის მიმართა რუსეთის მთავრობას თხოვნით სამხედრო დახმარება აღმოეჩინა საქართველოსათვის და გაეშვა იგი, ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი საქართველოში; მაგრამ რუსეთის მთავრობა თავს იკავებდა და ვახტანგ VI არწმუნებდა; ჯერ სამხედრო დახმარებისათვის ხელსაყრელი დრო არ დამდგარა.

1735 წელს 10 მარტს განჯაში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას რუსეთსა და თურქეთს შორის, რომლითაც ირანს უბრუნდებოდა კასპიისპირა პროვინციები, შიოლოდ იმ პირობით, რომ მას სხვა ქვეყანას ხელში არ ჩაუვლებდა. ვარდა ამისა, განჯის ტრაქტატში დაამტკიცა აგრეთვე რემსტის ტრაქტატის ის მუხლები, რომლებიც ვაჭრობას ეხებოდა. რაც შეეხება, რემსტის ტრაქტატის მე-8 მუხლს — ვახტანგ VI ქართლის ტახტზე აღდგენის შესახებ, ირანის წარმომადგენელმა კატეგორიულად უარყო იმ მოთხოვნით, რომ ვახტანგის ტახტზე უარს არ ეუბნებინა, როცა ირანში ჩამოვაო. ავტორი სამართლიანად დასკვნის, რომ ოსტერმანის (რომელსაც ხელთ ეპყრო რუსეთის საგარეო პოლიტიკის სადავე), მეტისმეტად გაუბედავი და დამბობი პოლიტიკის წყალობით, რუსეთმა ხელიდან გაუშვა ხელსაყრელი და მარჯვე მომენტები, როცა შეიძლებოდა ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცება: ოსტერმანმა, თურქების წინააღმდეგ ირანის მიმხრობის მიზნით, უსახელოდ დასრულა პეტრე I მიერ წარმარებები დაწყებული კამპანია ამიერკავკასიაში (გვ. 161).

ჩატარებული კვლევის შედეგები ავტორს ჩამოკლებული აქვს დასკვნებში, განსაკუთრებით გვიანდა გამოვეყით ავტორის დასკვნა, რომელიც ვახტანგ VI ეხება: „ვახტანგი VI წინადადებებსა და კონკრეტულ გეგმებში, — წერს ავტორი, — რომლებიც მან მთავრობას წარუდგინა, არაფერი იყო უცნაური და არაჩაღატაკი. მაგრამ საქმეს ის იყო, რომ საქართველოსათვის ეს იყო ერთადერთი გზა და ეს წინადადებები

იყო აუცილებელი და გადაუდებელი ხოლო რუსეთის მთავრობისათვის ისჯერებდა, რომ რადიკალური და უკიდურესი ჩინება, რომელსაც იგი თურქეთთან და ირანთან ურთიერთობის გამწვანებას თავს არიდებდა და არ სურდა რაიმე რისკი გაეწიაო“ (გვ. 166). ცალკეულ შემთხვევებში, წერს ავტორი, იყო „ხელსაყრელი ნიადაგი რუსეთის მხრით უფრო დაამწყვეტი მოქმედებისათვის, როგორც თავისი პოზიციის განმტკიცებისათვის, ასევე კავკასიის ხალხების ინტერესების თვალსაზრისით. მაგრამ რუსეთის მთავრობა არ ფიქრობდა რისკი გაეწია არც უზენაესი საიდუმლო საბჭოს მმართველობის ხანაში, როცა მისი წევრები მთლიანად დაკავებული იყვნენ ხელისუფლებისათვის ბრძოლით, და მით უმეტეს, არც „ბირონოვშინის“ დროს, როცა იგი არსებობდა, ანტიფორენულ პოლიტიკას ატარებდაო“ (იქვე).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სატყვეზნო წიგნში საყურადღებო მასალა წარმოდგენილი ვახტანგ VI მოღვაწეობის შესახებ.

ასეთი საჩუქრული ნაშრომის მოკლე შინაარსი და მისი ფოთაგრესი ღირსებაში.

წიგნის მიმართ გვაქვს შენიშვნებიც:

- 1) ზედმეტად გვიჩვენება შესავალში რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შესახებ არსებული მთელი ლიტერატურის მიმოხილვა (გვ. 5-13) მიუხედავად იმისა, რომ იგი მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ამის ნაცვლად ავტორი უფრო ვრცლად შეხებოდა საკვლევი პერიოდის შესახებ არსებულ მასლებს;
- 2) ზედმეტად გვიჩვენება აგრეთვე შესავალში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ზოგადი მიმოხილვა X საუკუნიდან 1725 წლამდე (გვ. 13-35). მით უმეტეს საჩუქრული ნაშრომი წარმოადგენს, ავტორის მიერ 1960 წელს გამოცემულ მონოგრაფიის „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხედო)“ ლოკალურ გაგრძელებას;
- 3) სასურველი იყო ნაშრომს დართოდა ავტორის მიერ გამოვლინებული დოკუმენტები.

3. მახარბაძე

საქართველოს მედიცინის ისტორია

„მედიცინის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში“ წარმოადგენს ავტორთა მიერ ჩიფიქრებული საქართველოს მედიცინის ისტორიის პირველ ნაწილს. იგი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ავტორუ-

ბის ჩანაფიქრით საბჭოთა პერიოდის საქართველოს მედიცინის ისტორიამ უნდა შეადგინოს შრომის მეორე ნაწილი.

წიგნის პირველ თავში „საქართველოს მედიცინა პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდში“ (ავტორი დოც. ი. ბ. ქერაიშვილი) გვაცნობს ექიმობის საწყისებს ემპირიული და მავიური მედიცინის სხივით.

ექიმობის საწყისების ისტორია უძველეს პერიოდში წარმოდგენილია ძველი მატერიალური

ი. ი. ნიკოზაძე, ირ. ი. ტატიშვილი ი. ბ. ქერაიშვილი. „მედიცინის განვითარების ძირითადი ეტაპი საქართველოში“, მეცნიერება, 1964.



კულტურის, არქეოლოგიის და პალეობოტანიკის ისტორიის უახლესი მეცნიერული კვლევების მონაპოვარა საფუძველზე.

ავტორი სწორად დაასკვნის, რომ სამეტრნალო პრაქტიკა საქართველოში პირველყოფილი-თემური წყობილების დროს ძალიან მრავალმხრივი და მდიდარი იყო.

უნდა ვთქვათ, რომ მავიური მედიცინა არ თამაშობდა ისეთ როლს, როგორსაც პრაქტიკული. ავტორი ქართული ფოლკლორიდან განირჩევიან ბევრ მკვლელობის ხალხურ მედიცინასთან დაკავშირებით.

ნაშრომის მეორე თავი (ავტორი იგივე) შეიქმნა აცნობის მედიცინის მდგომარეობის აღწერე მონათმფლობელური წყობილების ეპოქაში. საქართველოში მედიცინის განვითარებაზე გავლენა მოახდინა უფრო ძველი კულტურის მქონე ქვეყნებმა. ეს დებულება ვარჯად არის ილუსტრირებული მთელი რიგი მაგალითებით, ისეთი ქვეყნებს მედიცინის ისტორიიდან, როგორც: ინდოეთი, ჩინეთი, ასურეთი, ბაბილონი, საბერძნეთი, რომი. ნაჩვენებია როგორ გავლენას ახდენდა ძველი ქვეყნების ასურეთის და ბაბილონის სამედიცინო წარმოდგენები ქართული ტომების მედიცინის განვითარებაზე. ქართველი ტომების მედიცინაც თავის მხრივ გავლენას ახდენდა საქართველოს მეზობელი ქვეყნების მედიცინის განვითარებაზე.

ამ თავში გატარებული ძირითადი აზრი ისეთია, რომ საქართველოს ისტორიის ადრემოხათმფლობელობის პერიოდში დაავადებათა ბუნებისა და მისთან ბრძოლის შესახებ შეხედულებანი, ისეთივე იყო, როგორც მათი მეზობელი უძველესი კულტურის მქონე ხალხებისა. აქვე ნაჩვენებია, რომ კლასობრივი საზოგადოების გაჩენისას მავიური მედიცინა შეცვალა სატაძრო მედიცინამ თავისი აუტილებელი ატრიბუტებით — ქურუმებით, რომ ამავე დროს ეითარდებოდა ხალხური მედიცინა, რომელიც ემყარებოდა ყოველდღიურ დაკვირვებას და ხალხის რწმენას. სხვა ხალხების მსგავსად, ძველად საქართველოშიც აღიარებდნენ ცხოველთა კულტს, განსაკუთრებით თავიანთ სცემდნენ გველს, რომელსაც მიაწერდნენ სხვადასხვა სასწრაფოებს ამა თუ იმ დაავადებათა განკურნებაში.

ავტორი სწორად მიუთითებს, რომ სატაძრო მედიცინა ამუხრუჭებდა ხალხური მედიცინის განვითარებას, რამდენადაც ქურუმთა კერძო ინტერესები ხელს უშლიდა დაკვირვებას, ცდებს და ინოვაციებს — ახალ სამკურნალო ნივთიერებათა გამოყენებაში.

წიგნის III და IV თავები დაწერილია პროფ. ი. ნიკობაძის მიერ, მესამე თავი სხვა დანარჩენებთან შედარებით უფრო ვრცელია და შეიქმნა აცნობის ფეოდალური ეპოქის მედიცინის საქართველოში. ისევე, როგორც წინა თავში

გვხვდებით მხრობას წამმკვარებელ აქვს მედიცინის მოკლე სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-კულტურული დახასიათებელი უწყობის მედიცინის, როგორც ხალხის კულტურის შემადგენელი ნაწილის უფრო გავლენის.

მოკლედ, მაგრამ საკმაოდ ნათლადა წარმოდგენილი ფეოდალური პერიოდის საქართველოს ისტორია 15 საუკუნის მანძილზე, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე. მისი მიმე ხედავია, ბრძოლა ვარჯზე დამპყრობლებთან და, ამ ფონზე მოკლედ კულტურის განვითარება, მისთან ერთად მედიცინისაც, დიდი ადგილი აქვს დათმობილი სიმშენის, აზერბაიჯანის, არაბთა ქვეყნების და რუსეთის მედიცინის გავლენის საკითხებს.

მეთერთმეტე საუკუნიდან საქართველოში ჩნდება ორიგინალური სამედიცინო დამწერლობითი ძეგლები — კარაბაღინები, რომელთა შიგ იმ დროის სამედიცინო ცოდნის შესახებ რისად მოკმეულია პათოლოგიისა და თერაპიის სრულიად სხვადასხვა საკითხები. ავტორი სრულიად სამართლიანად სთვლის ამ სამედიცინო ტრაქტატებს საგანგებო ყურადღების ღირსად, იმდენად, რამდენადაც ისინი არა მარტო გამოხატავენ საქართველოს მედიცინის განვითარების დონეს განხილულ ეპოქაში, არამედ, მოწმობენ ძველი ქართველი ექიმების მკურნალობის ზოგიერთ თავისებურ ზერებზე.

მოგვიანებით, გვიანფეოდალიზმის პერიოდში საქართველოში ჩნდება უცხოელი ექიმები. უმოავრესად იტალიელი ზერები. ავტორი სრულიად სამართლიანად უპირატესობას აძლევს ადგილობრივ ნაციონალური წესებით მკურნალ ექიმებს, რომელთა შორისაც იყვნენ როგორც სახალხო ექიმები — ემპირიკები, ისე საზღვარგარეთ სამედიცინო სკოლებსა და უნივერსიტეტში სამედიცინო განათლება მიღებული პირები.

მეზობელი ქვეყნების ირანისა და თურქეთის მხრივ განუწყვეტელმა შემოსევებმა საქართველოს რუსეთთან შეერთების წინა პერიოდში, გავლენა მოახდინა ქვეყნის მედიცინის მდგომარეობაზეც. საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგ პირველი ათეული წლების განმავლობაში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება არსებითად არ შეცვლილა, იმდენად, რამდენადაც, მეფის ხელისუფლება ნაკლებად ზრუნავდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

დადებითი ძერა ამ მიმართებით დიწყო მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებიდან: გაჩნდა საავადმყოფოები, აფთიაქები, წარმოიშვა საექიმო-სანატარული ორგანიზაცია.

უკანასკნელი მეთოზე თავი მიძღვნილი აქვს საქართველოს მედიცინას მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა საქართველო მკიდრო

კავშირში იმყოფებოდა რუსეთთან. ბუნებრივია, რომ საქართველო არ დარჩებოდა რუსეთის კულტურის, მასთან ერთად სამედიცინო კულტურის გავლენის გარეშე. საქართველოს მედიცინის გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად აღნიშნულნი არიან საქართველოში მომუშავე რუსი ექიმებიც.

საჭირო იყო აღნიშნული ყოფილიყო 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის კავკასიის ფრონტის სამეცნიერო დაწესებულებებში მომუშავე სამხედრო და სამოქალაქო ექიმები, რომელთაგან ზოგიერთი ომის დამთავრების შემდეგ კავკასიაში დარჩნენ სამუშაოდ.

უზრადსაღები იყო ისიც, რომ ამავე ომის კავკასიის ფრონტზე ახალგაზრდა ნ. ა. ველიამინოვმა (რომლის შესახებაც ავტორიც წერს) ქიურურგიულ კარავში პირველად ნახა ქიურურგიის გამოჩენილი ოსტატი კ. კ. რეიერი, იქვე, რეიერთან მუშაობდა ფ. კ. ბორჩაუბტი. შემდეგში კივეს უნივერსიტეტის ქიურურგიის პროფესორი.

შეცხრამტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდან საქართველოს სამედიცინო კულტურის პროგრესიული როლის შესახებ წარმოდგენას იძლევა 1864 წელს თბილისში დაარსებული კავკასიის სამედიცინო საზოგადოების, ქუთაისის, ბათუმის სამედიცინო საზოგადოებებისა და აგრეთვე კავკასიის ექიმთა ყრილობების საქმიანობის განხილვა.

როგორც წინასიტყვაობაშია ნათქვამი, ზოგად-ბიოლოგიური საკითხები წიგნში და, კერძოდ ქვეთავებში „მაგიური მედიცინა“, „სამედიცინო კულტურა ძველი სამყაროს მონათმფლობელ ქვეყნებში“, „ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და საზოგადოებრივ-კულტურული დახასიათება და ფეოდალური საქართველოს მეზობელი ქვეყნების მედიცინა“ გაშუქებულია სა-

ქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ირ. ტატიშვილის მიერ,

წიგნი ილუსტრირებულია სხვიდასხვი ხასიათის რეპროდუქციებით: მატერიალური კულტურის საგნების ფოტოებით, ჭარბული მედიცინის მოღვაწეთა პორტრეტებით. მხატვრული სურათებით და სხვა.

სარეცენზიო წიგნის მთლიანი შეფასებისას, ხაზი უნდა ვავსევას იმ გარემოებას, რომ იგი წარმოადგენს პირველ ცდას რუსულ ენაზე გააშუქოს საქართველოს მედიცინის ისტორია, როგორც მანამდე ცნობილი, ისე უკანასკნელ დროს აღმოჩენილი მასალების საფუძველზე. ამგვარად, რუს მეიოხველს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს საქართველოს მედიცინის მდიდარ ისტორიას პირველადი წყაროების საფუძველზე.

წიგნს აქვს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა. გარდა მედიცინის ისტორიის განვითარებისა, იგი მოიცავს ბევრ ძალიან საინტერესო მონაცემებს საქართველოს მდიდარი კულტურის ისტორიიდან. იგი საინტერესოა არა მარტო ექიმთათვის, არამედ ისტორიკოსებისათვისაც. კულტურის ისტორიიდან ცალკეული ფრაგმენტები გვხვდება წიგნის სხვადასხვა ადგილებზე, განსაკუთრებით პირველ ორ თავში.

მასალა კარგად არის სისტემატიზებული: ყერ მოცემულია ეპოქის ისტორიული დახასიათება, მერე განხილულია სამედიცინო მეცნიერების განვითარების საკითხები და ყველა თავის ბოლოში დამოწმებულია გამოყენებული ლიტერატურა.

ლიტერატურული წყაროების სიუხვე მოწმობს მასალის დაწერილებით შესწავლას.

პროფ. ნ. ა. იაპონოსოვი

0159/219

3360 80 433.



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՆԱԿԱՐԱԿԱՆ
ԻՆԴԵԿՏ
7 6 1 2 8

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“